ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

# 12

1987

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე | № 12 | დეკემბერი, 1967 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

თინა დონჟაშვილი — გონჯაურა. რომანი. დასასრული. . . . . . . . 3
ბესიკ ხარანაული — შუადღის წიგნი. ნაწილი პირველი . . . . . . . 70
ლერი ალიმონაკი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 83
ბათუ დანელია — ლექსები . . . . . . . . . . . 87
ჯემალ თოფურიძე — ტროლეიბუსი. მოთხრობა . . . . . . . . 90
ალექსანდრე გაბური — ლექსები . . . . . . . . . 94
ვაჟა ოთარაშვილი — ლექსები . . . . . . . . . 96
სოსო მაჭარაშვილი — ლექსები . . . . . . . . . 98
პერ ლაგერკვისტი — სიბილა. მოთხრობა. დასასრული. თარგმნა მანანა მიქელაძემ 100

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.
ლიტერატურული ჟურნალის ადგილი გარდაქმნაში . . . . . . . . 122

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ვახტანგ ჭელიძე — ჩვენი ლადო ასათიანი . . . . . . . . 125
ნუგზარ მუზაშვილი — „კიკუი ვირისაი“ ანუ „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ . . . . . . . . 136

### 150 — ილია ჭავჭავაძე — 150

ენდრიუ უორდროპი — სადღეგრძელო თქმული ყვარელში, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო ბანკეტზე. ინგლისურიდან თარგმნა მზია შატბერაშვილმა . . 145

### მეცნიერება

გონდო არველაძე — „შუშანიკის წამების“ შესახებ გამოქვეყნებული ერთი აბსურდული ნაშრომის გამო . . . . . . . . 147
როლანდ თოფჩიშვილი — XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები, საქართველოს ეთნოისტორიის და სოციალური ყოფის შესახებ 157

იხ. მეორე გვერდი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

ამირან არაბული — გამოკვლევები ქართული ფოლკლორის საკითხებზე . . . 166
ვახტანგ გორგანელი — უქრობი შარავანდედი . . . . . . . . . 169

ჟურნალ „მნათობის“ 1987 წლის ნომრების შინაარსი . . . 172

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა დონჟაშვილი

# გონჯაურა

## რომანი

### ნაწილი მესამე

### თავი პირველი

ეშელონით თოთხმეტი დღეღამის სავალი გზა აშორებს კაცს თავის ოჯახს, თავის ირმისს, ირმისხევს, თავის ვენახებს, თეთრ ალავერდს, მთების ნაცნობ ქარგას, და არ არის წამალი, წუთით მაინც რომ მიუყუჩდეს სიშორის მძაფრი ტკივილი.

თან სირცხვილიც სწვავს. დეკემბრის იმ უკუღმართ ღამეს ცეცხლივით წაკიდებული სირცხვილი სწვავს და არც ამასა აქვს წამალი, რამ უნდა დაუნელოს ის სიმწვავე, თუ დამსჯელის ხელით გაღებული მოწყალების ღირებულება დღითიდღე მატულობს და ყოველი დღე არწმუნებს, რომ მოწყალების გამღები ხელის კოცნა უსასრულოდ მცირე საფასურია იმ მოწყალებისა...

ჰო, მიიღო მოწყალება, ცოლ-შვილი შინ დატოვა. სწორად მოიქცა. თავმოყვარეობა, სიამაყე, ღირსება მარწუხებით უნდა ჩაიჭირო, დაჩოქილი უნდა ემთხვიო რაფიელას და ჯიბოს მოწყალე ხელს იმის გამო, რომ შენს ცოლსა და შვილს ასცდა ის ჯოჯოხეთური თოთხმეტი დღეღამე ქალებით, კაცებით, ბავშვებით გაჭედილ, პირუტყვთა გადასაზიდ თბილანაში მოგზაურობა, იმის გამო, რომ შენს ცოლსა და შვილს ასცდა სამშობლოდან განდევნილთა ავბედი...

გათენებიდან დაღამებამდე დაათრევს ჯვარს იმ დღის არსებობისას, დაღამებისას ჰგონია, აჰა, აღწია გოლგოთას, მაგრამ ღადარი ღამე უძინარს სდევნის იქიდან, რომ გათენებიდან ისევ ახლად შესდგომოდა იმ გზას.

დადნა კაცი, დაილია. საფარიდან ბუდის კიდეებს მომდგარი თვალები მოყვითალოდ უელვარებენ. ჩარაზული ტუჩის კუთხეებს სიმწრის ხაზები ჩაეყინა. ძვლებს დაკრული გამშრალი კანი ვაგლახად აყვირებს ნაიარევს საფეთქელთან. მისი სახე, დაშვებული მხრები, ბებრულად მოწყვეტილი წელი და მთელი მისი არსება ისეთი უსაზომო ტანჯვის გამომსახველია, რომ ირგვლივ მყოფნი ველარ ბედავენ საკუთარ ბედზე ჩივილ-ტირილს.

თუმცა სადღაა ცრემლი, ან სად არის

---

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 10.

მოთქმა-ჩივილის დრო?! იმ საათიდან, რა საათსაც უცნობელმა ძალამ გატეხა დეკემბრის მშვიდი ღამე და ლოგინიდან აყრილი ხალხი არსაითისკენ მიმავალ გზაზე დააყენა, როცა ის ხალხი მიხვდა, რომ ადამიანთა კანონი მათ აღარ იცავდა — იმ საათიდან ამოქმედდა ბუნების კანონთკანონი — არსებობისათვის ბრძოლა, ბრძოლა მწვავე, უთანაბრო და თავისებური. ეს იყო ავბედით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობლივი ბრძოლა თვითეულის არსებობისათვის, რადგან ეს იყო საკუთარი არსებობის შენარჩუნების ერთადერთი საწინდარი.

და მხოლოდ ერთი კაცი, მხოლოდ ალექსი რჩეულიშვილი არ ერთვოდა იმ ბრძოლაში. ის ყველასთან და ყველაფრისაგან განდგომილი იყო. ლუკმა პურისათვის მებრძოლად მან ვერ ივარგა, იმიტომ, რომ პური არასდროს არ ყოფილა მისი არსებობის წყარო და დასაბამი. და ახლა, მოწყურებულს წყალს რომ აწოდებდნენ, მოშიებულს პურს რომ უნაწილებდნენ — ეს მის გონებაში, მის გულისყურში არავითარ კვალს არ სტოვებდა.

გარემოს მთლიანად გამოთიშული მისი გონებაც, გულისყურიც და განსჯაც, მთელი მისი არსება შეკეტილიყო შიგნით, ღრმად, მიუვალში, და უხმო პროტესტი სწვავდა მის სულს. სწვავდა ისეთივე დაუნელებელი ცეცხლით, როგორითაც მანამდე სწვავდა ეშელონით თოთხმეტი დღეღამის სავალზე დარჩენილი სიცოცხლის სიყვარული...

დროდადრო მაინც იგრძნობდა, გაიფიქრებდა ხოლმე, რომ თავისი არსებობით სხვებსაც უმძიმებდა გაძალლებულ ყოფას, რომ უნდა მოშორდეს, გაეცალოს მათ, გაანთავისუფლოს ზედმეტი ტვირთისაგან, გაიფიქრებდა, მაგრამ ამის შესასრულებლად ღონე და ნება აღარ ჰყოფნიდა.

ასე ღონე და ნებაგამოცლილი, დღეთა სათვალავდაკარგული იჯდა კუთხეში, როცა მის ყურს ტაშ-ფანდურის ხმა მისწვდა, მოეჩვენა, რომ ფანდურზე თენგო ლალიაშვილი უკრავდა დავლურს, ლევანსაც ხელით ტაბურეტის ზედაპირზე გამოჰყავდა საცეკვაო, სხვები ტაშით აგულიანებდნენ წრეში მოფარფატე წვრილნაწნავებიან გოგოს.

ალექსის ეგონა, რომ სიგიჟემდე მისულს ჰალუცინაცია დაეწყო, თვალები მოისრისა, მაგრამ ისევ დაინახა წრედამჯდარი ხალხი, წრეში მოფარფატე გოგონაც, თენგოც, ლევანიც, სხვებიც... დაიჯერა და ნელა წამოდგა, სათითაოდ შეათვალიერა ყველანი და დაინახა: მას უხმობდნენ, ეძებდნენ მიუვალში შეკეტილს, განრიდებულს, მას ეძახოდნენ. ის გოგოც ეძახდა. ხელებგაშლილი, ფარფატით მიუახლოვდა, დაჭრილი ნუკრის მსგავსი თვალები შეანათა, დაღლილი იყო, ხშირად სუნთქავდა, გამხდარ ლოყებზე მეწამული ლაქები აჩნდა, და ეს თურმე დოდაანთ პატარა ნატო იყო, ის ლოყაწითელი ნათუკა სურნელოვან ნაზუქს რომ უტენიდა ჯიბეში...

ალექსის თითქოს ყულფი წაეჭირა ყელზე. ბავშვს მხრებზე ხელები დაადო, მკლავები დააშვებინა და ბრმასავით ფეხების ფლასუნით კარისკენ წავიდა.

— სად მიხვალ, ალექსი? — უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში, შორიდან დაეწია კითხვა დოდაანთ ნატალიამ, — რა გემართება, ადამიანო, აღარ უნდა მოგვხედო?

— გამიშვი, ნატალია, — ყრუდ გაეპასუხა ალექსი და კარი გამოაღო, აღარც დაძახებაზე, არც შეკითხვაზე უკან აღარ მოიხედა.

წავიდა.

ბნელი და ქარიანი ღამე იყო.

მიდიოდა იმ ბნელში და იმ ქარში. გაჩერება არ შეეძლო და მიდიოდა. ქარის მეტი, გზას არავინ ულობავდა. მიარღვევდა ქარს, გაურბოდა იმ ბარაკს, იმ ხალხს, იმ ტაშ-ფანდურს, გაურბოდა ნუკრის ნამიან თვალებს, რალაცას რომ ეხვეწებოდნენ.

გზას დასასრული არა ჰქონდა. არც ბნელ ღამეს ჰქონდა დასასრული. ქარი თანდათან ძლიერდებოდა. სიბნელეც თანდათან მკვრივდებოდა. ბნელში და

ქარში გზას დასასრული არა ჰქონდა. ნუკრის თვალები რაღაცას ეხვეწებოდნენ.

ეხვეწებოდნენ?..

კი არ ეხვეწებოდნენ, უსაყვედურებდნენ!

ალექსი მეხდაცემულივით შერჩა ადგილს. ჰო, ჰო, უსაყვედურებდნენ! ბრმა იყო და ვერ დაინახა, მაგრამ რას უსაყვედურებდნენ? ალექსის რას უსაყვედურებდა ის პატარა გოგო?.. ალექსიმ ვილას უსაყვედუროს?

ალექსიმ? ალექსი ხომ დიდია, ვაჟკაცია, ცეცხლში და ღვართქაფში გამოვლილია, თითონ გაიგოს, ვის უნდა უსაყვედუროს, იმ პაწაწინა გოგოს თავშისახლელი რათ უნდა გახდეს?.. ოო, როგორი საყვედურია პატარა გოგოს თვალებში. „მე მამა არ ვიცი, არ ვიცი რა დააშავა მამაჩემმა. ჩემი სახლი ირმისშია, მე აქ რა მინდა? სანდრა ირმისშია, თავის სახლშია, შენ კი გინდა, მე გაგართო. მე როგორ გაგართო? არ მინდა ცეკვა, ვერა ხედავ, არ მინდა!“

ჰო, უსაყვედურებდნენ.

ეს ისე მოულოდნელად და ისე მკვეთრად შეიგრძნო ალექსიმ, როგორც მოულოდნელი და მკვეთრი იყო ხოლმე მის სხეულში შეჭრილი ტყვიის ან ჭურვის ნატეხის შეგრძნება. რატომ აქამდე შორეულადაც არ გაჰფიქრებია, რომ ის დანარჩენებზე ბედნიერია? ბედნიერია, რომ მისი ცოლი და შვილი არ ურევვია ამ კანონგარეშე დაყენებულ ხალხში, ერთხელაც არ უფიქრია, რომ იმ ხალხსაც მშობლიური მიწიდან აგლეჯილ ადამიანებს, მასავით სწიწკნიდა ტკივილი? რომ უსამართლო სასჯელის სირცხვილი სხვებსაც სწვავდა? რომ თავმოყვარეობის და სიამაყის ჩაჭერა მარწუხებში იქნებ მათ უფრო ძლიერ უჭირდათ?.. ერთხელაც არ გაჰფიქრებია, რომ მისი განდგომა სრულიად ჩვეულებრივი თავკერძობაა, ჩვეულებრივი, საძულველი ეგოიზმია...

— ჰეი, გონჯაურავ, აღარ ხარ ადამიანი? სულ ეგ იყო შენი ავლადიდება? — თქვა ხმამაღლა და სადაც იდგა, იქვე ჩაიჩოქა, ხელები სახეზე აიფარა. გულისკენ გზაშებრუნებულმა ცრემლმა მისი ბედისგამყოფი ხალხის ნაღველი, ტკივილი, გაჭირვება შეიდნო და შეიდუღა. ადამიანის კეთილშობილ გრძნობათა უშრეტ მარაგში, რვალივით მძიმე სიძულვილმა ნახა ადგილი.

უიარაღოს — სიძულვილი იარაღად გამოადგა. მაგრამ ვის წინააღმდეგ? რაფიელა, ჯიბო, გულვარდიშვილი? ეგენი ხომ ჭილყვავები არიან, ბოროტების უღლეური ნაშიერნი? გონჯაურას აქამდე ვერაფერი გაუგია. აქამდე არ იცის, ვის ეკუთვნის დამსჯელი ხელი. დღემდე არ იცის. ეხლაც არ იცის!

— არ ვიცი! — ყვიროდა მისი ტვინი, სხეულის ყველა უჯრედი. ისე ყვიროდა, რომ კარგა ხანს სხვა არაფერი ესმოდა.

და თავი რომ ასწია, შეკრთა.

სად იყო? სად იყო ზღვა? საიდან იყო მიმოქცევის ხმა? თუ ადიდებული ირმისხევია? არა. უცნობი და უცნაური, არაფრის მსგავსი და მანამდე არგაგონილი ხმა იქვე, მის ფერხთით იბადებოდა. ყრუ და მძიმე შრიალს წააგავდა. ცოტა მოშორებით, შრიალს წყვეტილი ქლარუნი ერთვოდა. უფრო მოშორებით ის ხმა საოცარ ძალას იძენდა. ზღვის მიმოქცევის ხმაურს ჰგავდა. მაგრამ სხვა იყო. ტალღების დგაფუნს ჰგავდა, მაგრამ ტალღები ვერცხლისწყალისა უნდა ყოფილიყვნენ, ასე მძიმედ რომ შეხეთქებოდნენ ერთმანეთს, ასეთ მკვრივ წინწკლებად დაღვრილიყვნენ და უცნობი ლითონივით აჟღარუნებულიყვნენ.

იმ უცნობსა და ძლიერ ხმაში ალექსიმ უცებ ისეთი დაუნდობელი მუქარა იგრძნო, რომ წინა ფიქრების ძაფები ერთიანად დაუწყდა. შემკრთალი მოსწყდა ადგილს და გაიქცა. გზის ან ბილიკის მსგავსი არაფერი ისინჯებოდა. ფეხი კოჭებამდე იფლობოდა ვეშაპის ზურგივით ხაოიან და მოძრავ ქვიშაში. ალექსი ისევ შედგა და ქარმა ზურგიდან დააჯახა ტალღა, წვრილ და მძიმე წვეთებად დაატეხა თავზე. კბილებში, თვალებში, ყურებში, კისერში, ბეჭებშუა ჩაღვრილი ქვიშა იგრძნო და გაუ-

კვირდა: თავიდანვე რატომ ვერ მიხვდა, რომ უდაბნოში იყო, რომ ის უცნობი ხმა, ქარიანი უდაბნოს ხმა იყო?, გაეცინა. განსხვავებაც და მსგავსებაც იყო: ვიდრე ფიზიკურად არ შეეჩხა წელან ბავშვის საყვედურს, ახლა კი ქვიშიან ქარიშხალს, მანამდე ვერ მიხვდა სინამდვილეს!

მაგრამ წელანდელმა დაგვიანებულმა მიხვედრამ სიძულვილი შვა, რომელმაც მთლიანად შეიდნო ბადესავით შემოკრული უღიმღამო გრძნობები და შვება მისცა მის შებორკილ სულს, ახლა? ნუთუ ეს დაგვიანება საბედისწერო გახდება მისთვის?.. ირგვლივ სიბნელე, ქარი და ქვიშა. სამი ვერაგი, დაუნდობელი თანამგზავრი. თავკერძობამ შეჰყარა ამ თანამგზავრებს და ახლა თუნდ ეძმოს მათ, თუნდ უმტროს.

ზღვის მიმოქცევის მსგავსი ხმა ხან ახლოვდებოდა, ხან შორდებოდა. ძლიერდებოდა ქარი. ძლიერდებოდა ქვიშის ტალღების ყრუ დგაფუნი. სადღაც შორს სიბნელე გაბაცდა. ალექსიმ ცას შეხედა. ჩამოწოლილი, ჩაბნელებული კაბადონის ვიწრო ნარღვევში, ყვითელ ბურუსში გახვეულმა მთვარის ნალევმა გაიკრთომა და ალექსიმ უდაბნოს გახედა.

შუქჩრდილის გიჟურ როკვას წააგავდა ქარის და ქვიშის უცნაური თამაში. ყოველ შემოქროლვაზე ქარი ბუმბულივით იტაცებდა ვეებერთელა ბორცვებს, ტალღებივით აგორავებდა, გზადაგზა შლიდა, ჰფანტავდა, მერე ბორცვების ნადგომზე გავაკებულს უვლიდა, მოჟღარუნე ზანზალაკებიანი ფრთებით ხვეტავდა ქვიშას და ახალ ადგილზე აზვინებდა. მერე ამ ზვინებს ბურთებივით აგორავებდა, ისევ შლიდა და ისევ ახალ-ახალ ბორცვებად სდგამდა.

ყოველ შემოქროლებაზე ძლიერდებოდა ქარი. ძლიერდებოდა უდაბნოს ღელვა. უფრო ჩქარა-ჩქარა იშლებოდნენ და იდგმებოდნენ ბორცვები, უფრო ძლიერად ეჯახებოდნენ ბორცვები ერთმანეთს. ქარი ხან გრიგალივით წამოუვლიდა უდაბნოს, აიტაცებდა უზარმაზარ ბორცვს, ჰაერში დატრიალებდა, ჰაერშივე შლიდა და ქვიშის წვრილმანსავით უშენდა დაბლა.

მალე კაბადონმა ისევ შავად შეიკრა პირი და უფრო დაბლა დაიწია. აღარაფერი ჩანდა. ალექსი ახლა უკვე, როგორც ოდესღაც თვითმფრინავიდან წამოსული ყუმბარების დაცემას, სმენით ვარაუდობდა მოახლოვებული ტალღის მიმართულებას და საოცარი სისწრაფით გადარბოდა ადგილიდან ადგილზე. მაგრამ ქარის მიმართულება ცვალებადი იყო. ის ხან ოთხივე მხრიდან მოაგორებდა ტალღებს და ზანზალაკების ჟღარუნს ისე აძლიერებდა, თითქოს კაცზე გამარჯვების საზეიმო ზარებს რეკდა უდაბნოში...

რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ბრძოლა, რომელსაც ძალთა უთანაბრობით ბრძოლა არც ეთქმოდა? აღზევებულ უდაბნოსაგან თავდაცვაში კაცი აშკარად მარცხდებოდა. ქვიშით ნაგვემი მისი სხეული სისხლისაგან იცლებოდა. ღონე ელეოდა. ქარი კი მძლავრობდა. ძლიერდებოდა უდაბნოს ხმაური. აჰა, საცაა ჩაითრევს ადამიანს, დაფქვავს, გახეხავს, ნამცეცებად აქცევს, ქვიშას შეურევს. არავის ეცოდინება სად, რომელ ადგილზე ახარა ძეძვი მისმა სისხლმა და ხორცმა, ვერავინ მიხვდება, რად ეგემრიელა ის ძეძვის ქარავნიდან ჩამორჩენილ აქლემს...

ოჰ, არა! მისი სიცოცხლე ვერ შესწყდება ირმისიდან ასე შორს. ეს იცის სიკვდილმა. ბევრჯერ დაუხევია უკან, იმიტომ რომ იცოდა: ეს კაცი ვერ მოკვდებოდა ირმისიდან შორს. ახლაც ასეა. თოთხმეტი დღეღამის სავალზეა ირმისიდან! და ვერ მოკვდება კიდევ იმიტომ რომ ჯერ უნდა ნახოს, რას მოუტანს ქვეყანას უსამართლო მართლმსაჯულება...

მაგრამ ღონე დაელია. ის სულ უფრო ხშირად, და უფრო ხანგრძლივად რჩებოდა ამოძრავებულ ქვიშაზე გართხმული. და თუ დროდადრო, ვიდრე გონს იყო, ცდილობდა წამოდგომას, მხოლოდ იმისათვის, რომ არ უნდოდა

სიკვდილი დაცემულს დაუფლებოდა...

და ფეხზე იდგა, როცა ქარმა ზარებს ჩამოჰკრა, გაშლილი ფრთებით ბორცვები მოხვეტა, ჰაერში აიტაცა, ბურღივით დაატრიალა და ციდან დაშვებულ ღრუბელს შეაგება. ქაჯურად დაკლაკნილ ქარბორბალაში შეჭიდობილი ზეცა და უდაბნო კაცისკენ გამოქანდნენ.

— აა-ა!.. — დაიბღავლა ალექსიმ და პირქვე დაეცა.

* * *

ქვიშა, ქვიშა, ქვიშა... საითაც გაიხედავს, სადამდეც თვალი მისწვდება, ყველგან ქვიშაა. ქარია, და ყრუ დგაფუნს უთვალავი ზანზალაკების ჟღარუნი ერთვის. ქვიშის ზღვა ღელავს, ბობოქრობს. დოლაბებივით მოგორავენ ტალღები, უბეგვავენ ცხვირ-პირს, ხელ-ფეხს, ტანს. სალეწი მანქანებივით მოგრუხუნებენ ტალღები, ლეწენ, სრესენ, ფქვავენ. ქარბორბალაში შეერთებული ზეცა და უდაბნო იერიშით მიდიან, მოდიან, მოდიან...

— აა-ა!... — ყვირის ალექსი და ლამობს გაგლიჯოს მარწუხები, მაგრამ მიწა პირს ხსნის და ალექსი უძირო ქვესკნელს მიექანება.

ვიღაცის ხელები ხსნიან მარწუხებს. თითები სათუთად ევლებიან მის სახეს, თვალებს, გულმკერდს, ხელ-ფეხს, ბეჭებს. ალექსი საამო სიგრილეს გრძნობს. ცხელებიანი ალგზნება თანდათან უნელდება. ის იძინებს ღრმა და ხანგრძლივი ძილით.

მერე ყველაფერი თავიდან იწყება:

ბობოქრობს ქვიშის ზღვა. ტალღებს ებრძვიან ეშელონები. ორთქლმავლის საკვამურიდან ამოსული შავი კვამლი ზეცას უერთდება. თბილანას საჭვრეტელიდან სანდრას და ხატულას ისვრიან ქვიშის ზღვაში და მათკენ მიდის ქარბორბალა, მიდის, უახლოვდება...

— აა-ა!... — ყვირის ალექსი და ცდილობს გაგლიჯოს მარწუხები, მაგრამ ნემსის ჩხვლეტას გრძნობს და ბორგვა თანდათან უცხრება. ალექსი ჩუმად კვნესის და უდაბნოს მინელებულ ხმაურში ადამიანების ხმა ესმის.

— რამდენ ღონეს კარგავს ამ ჭიდილში, — დარდიანად აქნევს თავს დოდაანთ ნატალია და დალურჯებულ მაჯებს ისრესავს.

— მადამ, ეს ძალიან, ძალიან კარგი ჭიდილი არის, კაცი არ გაუშვებს ხელიდან სიცოცხლეს, — ამბობს მხრებვიწრო, წვრილი და მაღალი კაცი, გამჭვირვალე სითხეში ამოვლებულ საფენებს უცვლის ალექსის სახეზე და ტანზე, თან განუწყვეტლივ ლაპარაკობს დამტვრეული რუსულით. ჩანს, რუსული სიტყვების დიდი მარაგი დაუგროვებია და თითქოს ჩქარობსო მთელი მარაგის გამოყენებას. ამასობაში ზოგი ზედმეტი და უადგილო სიტყვა აზრს უმახინჯებს, ზოგი სიტყვა სულაც გაუგებარია, მაგრამ ირმისელებს და ამ კაცს ერთმანეთისა მაინც ესმით.

— თქვენი შფოთი მეტი საჭირო არ არის, — ეუბნება ის ნატალიას. — პულსი კარგი არის, თვალები სუფთა გახდა, უკვე იცის სინათლე თუ ბნელი არის, ხან უკვე ნორმალურად არის და რამეს თქმა უნდა, ეს ნიშანი არის, რომ გონება მოდის.

— თავის დღეში არ გამიგონია, კაცი ამდენ ხანს უგონოდ იყოს...

— რატო არ გამიგონია, მადამ?! მე ძალიან-ძალიან ბევრი ვიცი, ადამიანი სულ არ მოდის გონებაზე! — თქვა კაცმა და გაუკვირდა, რომ მისმა ნუგეშმა დარდიანად შეუკრა ნატალიას შუბლი. — რის გამოთ ეხლა არის თქვენი დარდი? თქვენი კაცი ძალიან-ძალიან ენერგია აქვს, დღეს ან ხვალ სუმთლად იპოვნის თავის გონებას!

— ბრძანოს ღმერთმა, — ამოიოხრა ნატალიამ.

— ნუუ, ღმერთი არის ღმერთი, მაგრამ შენი სიხარული შენი ხელით უნდა აიღო, მადამ!

მან ყვითელი ფესი გადაიძრო თავიდან და აჩეჩილი, შავი ხშირი ქოჩორი შუბლზე ჩამოუვარდა, ზედმეტი საფენები, წამლები მიალაგა და ისევ ნატალიას მიმართა:

— აქა და იქა პატარ-პატარა, რო-

გორც შავი ყვავილი დარჩება, მაგრამ მე ფიქრობ, ეგ არ არის ტრაგედია, თქვენი კაცი არ იყო სილამაზის ღმერთი, ხომ?

— ნეტავი, შენი გახარებით, მალე წამოდგეს, ერთი თავისებურად შემოგხედოს, ერთი გაგიღიმოს და მაშინ დაინახავ, ლამაზია თუ არა! — წყენაც კი გამოერია ნატალიას ხმას.

— ო-ო, მე უკვე ვიცი, მადამ, ირმისელი ხალხს ძალიან-ძალიან უყვარს ეს კაცი, მიტომ თქვენ მეტი ფასი მიეცით მაგას.

— არა, შენ არ იცი! მაგისთანა ძლიერი ადამიანი იქნება მეორე არც იყოს, ყველაზე ძლიერია და ყველაზე ძალიან იმიტომ მოერია ჯავრი და ნაღველი!

— მადამ, ეგ ძალიან-ძალიან საინტერესო ფილოზოფია არის! მე ფიქრობ, თქვენ მართალი ბძანდებით. როცა კიზილკუმი სამუმი არი, მაშინ აქლემიც არ დარჩება ცოცხალი. ხოლოთ ფიზიკური ძალა არ უშველის, სხვაც კიდე ძალა არი საჭირო!... — მან ალექსის დახედა და გახარებულმა თქვა: — ნორმალური ძილი მოვიდა, მე ფიქრობ, შემეძლება მოლოცვა!

მან გალანტურად დაუკრა თავი დოდაანთ ნატალიას, მერე დაიხარა და ხელზე აკოცა. ნატალია ჯერ გაშრა, მერე ქალიშვილივით გაწითლდა, მერე ალექსის გახედა და ფეხის წვერებზე აიწია, სადამდეც მისწვდა იმ მაღალ კაცს, ლავიწზე თუ მხრისთავზე აკოცა.

— დღეს კიდევ დაგჭირდებათ რამე? — ჰკითხა, ჭურჭელი და გასარეცხი თეთრეული ჩანთაში რომ ჩაილაგა.

— არა! და მე კატეგორიულად ვაბობ, თქვენები არ უნდა მოვიდა-წავიდა, თელი დღე ბამბა იმუშაო, მერე რვა კილომეტრი მოვიდა-წავიდა, მერე ჩემი პაციენტი იქნება! კარგად ბძანდებოდეთ, მადამ, კეთილი გზას გისურვებთ!

ნატალია რომ გააცილა, კაცი ოთახში დაბრუნდა, ისევ დახედა ალექსის, კმაყოფილმა მოისრისა გრძელი, კეხიანი ცხვირი და კედელზე დამაგრებულ ლამპას შუქფარი ჩამოაფარა. მერე თავისი გრძელი ფეხები გადააჯვარედინა და ჩვეული მოძრაობით ჩაიკეცა იატაკზე აკოკოლავებულ წიგნებს შორის დაგებულ ლეიბზე.

„ისევ ღამეა...“ — გაიფიქრა ალექსიმ, ანთებული ლამპა რომ დაინახა, შორეულ ბავშვობაში დაბრუნებულმა, სანდრა-პაპას გაუღიმა და თვალები დახუჭა, მაგრამ აღარ ეძინებოდა. უხაროდა, ზღვის დგაფუნი და ზანზალაკების ჟღარუნი რომ აღარ ესმოდა. უკვირდა, სანდრა-პაპა ძალზე გამოცვლილი ეჩვენებოდა. სწყინდა, რომ სარკმლის რაფაზე, თიხის ქილაში ისევ იდგა ქალალდის ჭრელი ყვავილების თაიგული. სიხარულს, გაკვირვებას, წყენასაც რომ მოერია, თიხის კედლები და დაბალი ჭერი შეათვალიერა. თვითონ ვიწრო ტახტზე იწვა და ტახტის პირდაპირ დიდი მაყალი იდგა. ზედ დაპირქვავებული ძაბრივით მორგებული საკვამური ჭერში ადიოდა. მაყალში ცეცხლი ღვიოდა. შუქფარით შეკრული ლამპის შუქი იატაკზე დაგებულ ლოგინში წამომჯდარ კაცს დაჰნათოდა. კაცი ფეხმორთხმით იჯდა, მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო, ირგვლივაც წიგნები ჰქონდა შემოლაგებული. კაცი კითხულობდა. სტრიქონებს მხოლოდ თვალებს კი არა, თავსაც აყოლებდა, თითქოს კისერში ზამბარა ჰქონდა ჩადგმული და ის ატრიალებდა თავს აქეთ-იქით...

ალექსი ერთბაშად მიხვდა, რომ რაღაცა აერია, რომ არც თვითონ იყო ბავშვი, და არც ეს კაცი იყო სანდრა-პაპა. ლამპაც სხვა იყო, და მაყალიც სულ არ ჰგავდა ბუხარს. მაგრამ რასაც ხედავდა, ესეც ნაცნობი იყო. ამ კაცსაც იცნობდა, ახსოვდა მისი ყვითელი ფესი, სქელშუშებიანი სათვალეებით შეკაზმული კეხიანი ცხვირი და წვრილი კისერი, სად უნახავს? საიდან იცნობს? ვის სახლშია ალექსი? აქ როგორ მოხვდა?

კითხვებმა მოქანცეს და ჩააძინეს.

...თვალები რომ გაახილა, ეგონა ახლახან ჩავთვლიმეო. ისევ ენთო ლამ-

პა. ის კაცი ისევ იჯდა იატაკზე დაგებულ ლოგინში. აჩეჩილი ქოჩორი შუბლზე დავარდნოდა. სათვალე გადაშლილ წიგნზე იდო. თავი გვერდზე გადაეწია და ფიქრობდა, მისი მოყვითალო გუგები ცხვირთან შეყრილიყვნენ. კაცი აფხორილ, ჰკვიან ჩიტს დამსგავსებოდა.

მან ალბათ იგრძნო დაჟინებული მზერა, სათვალე გაიკეთა, უცებ ჰოკივით აღიმართა და ტახტთან გაჩნდა.

— სალამი, კამარად, მე ვიფიქრე, შენ სამუდამოთ ძილში წახვედი! — დააყარა მან სიტყვები ერთმანეთს და ალექსის მაჯა გასინჯა — სუმთლად ნორმა არი!

ალექსიმ იცნო მისი ხმაც, მისი დამტვრეული რუსულიც.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ჩუმად.

— ოო, ნახეთ ეს ჯენტლმენი! ჯერ უდაბნოში არ დაუძახეს და თითონ წავიდა, მერე ამ სახლში მოკდომა უნდოდა, მე არ გაუშვი მოკდომა, დღეც, ღამეც ყარაული ვიყავი, ეხლა თვალები გაალო და პირველი სიტყვა არი: შენ ვინა ხარ? კამარად, შენ მეოცე საუკუნის სუფთა-სუფთა ეგზემპლიარი ხარ!

ღიმილმა მტკივნეულად დაუმანჭა ალექსის სახე. ესიამოვნებოდა ამ კაცის ხმა, ვითომდა დამტუქსავი კილოც და მისი მრავალსიტყვაობაც კი.გასუსული იწვა. კაცმა თეთრი, მოტკბო სითხე დაალევინა და თავის ლოგინთან დაბრუნდა, უცებვე ფეხმორთხმით ჩაიკეცა და წიგნი დაიდო მუხლებზე.

— ვინა ხარ? — ისევ ჰკითხა ალექსიმ.

— შენთვის ექიმი ვარ და პლუს ფილოზოფიის მაგისტრი ვარ, ბერძენი, კოსტა ილეტაქსა. დაიძინე, შენ უკვე ბევრი-ბევრი ჩემი დრო წაიღე.

მაგრამ ალექსი თავს კარგად გრძნობდა და აღარ ეძინებოდა. გაღიმებული უყურებდა ილეტაქსას. უკვირდა, რა გაძლება ჰქონდა მის წვრილ კისერს, განუწყვეტლივ რომ ატრიალებდა თავს აქეთ-იქით. ბოლოს ველარ მოითმინა და ჩაახველა. ილეტაქსამ ერთხანს განაგრძო კითხვა, მერე წიგნი უცებ დახურა, ალექსის შეხედა [illegible]ლად ჰკითხა:

[library stamp]

— უდაბნოში როცა წახვედი, თვითმოკდომა გინდოდა?

ალექსი შეცბა. კითხვა მოულოდნელი იყო, თითქოს უადგილოც და უდროოც. არაფერი არ უპასუხა.

— თვითმოკდომის ეს ფორმა ორიგინალურიც არი და პოეტურიც. მაგჟან ტასანბაევი ფიქრობს, შენ გაიპარო გინდოდა, ხოლო მაგჟანს ფანტაზია არა აქვს. მე ძალიან-ძალიან მაინტერესებს, თვითმოკვდომა გინდოდა, თუ გაიპარო გინდოდა?

ალექსი ხმას არ იღებდა.

— მე მაინტერესებს პათოლოგიური ფსიქიკა. სომატურად — ორივე მიზეზის გამოთ მოკდომა ერთნაირი არი! — მან წიგნი გადაფურცლა და განაგრძო: — თუ ადამიანი ერთი ცოდოს აკეთებს ხოლოთ, თვითმოკდომას, მაშინ ის ჯოჯოხეთში იქნება უსარგებლიანო ხე, სუმთლად არ ექნება ჩრდილი. მაგრამ!... თუ თვითმოკდომა და პლუს კიდე სხვა ცოდო, მაშინ ადამიანი ჯოჯოხეთში მძიმე კამერაში დაჯდება და ლუციფერის კერძი იქნება. შენ იცი, ვინ არის ლუციფერი?

— არა, — ჩაიბურტყუნა ალექსიმ და თან გაიფიქრა: ნეტა ალექსიმ ისეთი რა ცოდვა ჩაიდინა, რომ ჯოჯოხეთის ყველა „კამერები" მოიარა.

— ლუციფერი იყო ანგელოზი, ღმერთს აჯანყება გაუკეთა და დასჯა მიიღო — ჯოჯოხეთში სულ მძიმე კამერა, სამი ხახა და სუმუდამ ერთი მენიუ: ძალიან ცოდოიანი ადამიანი!

— უცოდველებით ვინც იკვებება, იმას რაღა ჰქვია?

— შენი პარალელი ორი მხარეს გალესილი დანა არი და მე არ მინდა! უცოდო ადამიანი სამოთხეში მიდის.

— მაგ წიგნებში სწერია? — დაცინვით ჰკითხა ალექსიმ.

— დიახ! შენ არ წაიკითხე „ღვთაებრივი კომედია?" არა? მაშინ მე არ ვიცი, რათ გინდა ჩქარა მოკდომა, თუ დანტეს გენიამ არ მოგცა შუქი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გენიოსები სულაც არ უნდა იბადებოდნენ.

— შენი გული არ ამობს მაგას! გენია თუ არ იყოს, პლანეტა არ იქნება საინტერესო. დანტე რო შენი ნაცნობი იყოს, მაშინ თქვამდი: სალუტ, გენია!

— ჩვენ ბიბლიოთეკაში მინახავს დანტე, მაგრამ არ წამიკითხავს.

— ჰო, არ წაიკითხე! დანტეს რელიგიური მოტივები აქვს, ფილოზოფიაც ღვთისმეტყველება აქვს და კომუნისტები რელიგიას ძმა-მეგობარი არა ხართ.

— რა იცი, კომუნისტი ვარ?

— საბჭოს ქვეყანის მოქალაქე სუმთლად კომუნისტი ხართ.

— მე არ ვიცი, საბჭოთა მოქალაქე ვარ თუ არა.

— ოო, კამარად, შენ ისევ დაკარგე გონება! რათ გაგიჩნდა ეგ ეჭვი.

ალექსის შუბლი შეეკრა. სიკვდილივით ეზარებოდა ამაზე ლაპარაკი, არადა, ამ კაცის შეცდომაში შეყვანაც არ უნდოდა.

— მე იძულებითა ვარ აქ გადმოსახლებული... — თქვა ბოლოს.

— ოო, შენ ფიქრობ, ეგ დიდი ახალი ამბავი არი?! მაგას არა აქვს მნიშვნელობა, კამარად.

— რაო, რა სთქვი?

— დაწექი, დაწექი, შენთვის ანტრაშა გააკეთო ადრე არი. ვამობ, სუმთლად არა აქვს მნიშვნელობა.

„გიჟი ყოფილა“, — დაინანა ალექსიმ და ბალიშს მიესვენა.

— მალე ფლავს მოგცემ! — წამოდგა ილეტაქსა, მაყალზე ქვაბი შედგა, თან ლაპარაკობდა: — ცხელი უნდა გახდეს, ფლავი არი ბრინჯი და ქიშმიში, ძალიან-ძალიან გემრიელი, მისთვის რო, მადამ ნატალიმ გააკეთა...

უცებ სიტყვა გაუწყდა და შეშინებული მოტრიალდა.

ალექსი ამდგარიყო, მაგრამ ეტყობა, ღონე აღარ ჰყოფნიდა, საწოლზე უხერხულად დავარდნილი, სისუსტის ოფლად დაღვრილი, გამხდარ-გაწვრილებულ მკლავებს ვედრებით იწვდიდა მისკენ.

— იწამე ღმერთი,... მითხარ, სად არიან ჩვენები?

მკაცრად შუბლშეკრულმა ილეტაქსამ უსიტყვოდ მიაწვინა ალექსი ბალიშზე, რაღაც წვეთები დაალევინა, რაღაცა სითხეში ამოვლებული ტილოთი სახე გადაუწმინდა, მერე საწოლს მიუჯდა, გულდაწყვეტილმა წყენით უთხრა:

— მე გითხარი, შენთვის ანტრაშა ადრე არი. მე ბევრი-ბევრი დრო შენ არ გაგიშვი მოკდომა, შენ ეხლა გინდა მოკდომა, გინდა, შენი ირმისელები ხალხი ამობდეს, კოსტა ილეტაქსამ სიტყვა არ აასრულა.

— მაპატიე, კოსტა... — ჩუმად თქვა ალექსიმ და გაინაბა. მართლა ხომ არ გაგიჟდა, ქვაბი რომ იცნო და ნატალიას გაკეთებული კერძი შესთავაზეს, ვერ მიხვდა, — თუ გონჯაურა ცოცხალია, ირმისელები უთუოდ სადღაცა ახლო არიან მასთან?! გონს რომ მოვიდა, იმ პირველივე წუთს ვერ მიხვდა ამას?

ილეტაქსამ სათვალე მოიხსნა და კარგახანს იჯდა აფხორილი, ჭკვიან ჩიტს დამსგავსებული. მერე საოცრად გამოცვლილი, რაღაცნაირად ჩაღრმავებული ხმით დაილაპარაკა:

— შენი ირმისელები ხალხი ეხლა ჩემი მეგობარიც ხალხი არი... მადამ ნატალი და იმისი ოჯახი, შენი ძმა ლეონ და იმისი ცოლი ლიზიკო და კიდე შენი ძმა თენგო, კიდე ძმა ციცერონი და კიდე სხვებიც... შენ მემრე სუმთლად ყველაფერს გაიგებ. ეს ძალიან-ძალიან მაღალი პოეზია არი... ირმისელები ხალხის ამბავი მეტად ტრაგედიაც არი, ხოლოთ ძმა-მეგობარის ტალანტი დიდი-დიდი პოეზია არი, მე მართალს ვამობ...

ილეტაქსამ თავი ბეჭებისაკენ გადასწია, თვალები ჭერს მიაპყრო და მთლიანად ჩაიძირა იამბიკური ლექსთწყობით დაუწერელი პოემის შექმნაში.

ალექსი კი თვალდახუჭული გაუნძრევლად იწვა. ნელა უმკლავდებოდა მოზღვავებულ გრძნობებს და სინდისის ქენჯნას: თავკერძაობამ დაატანჯინა ის

ახლობელი ადამიანები... განა ღირსია გონჯაურა მათი სიყვარულისა და მეგობრობის?..

დამწვრის სუნისაგან ორივე ერთად მოეგო გონს.

— ფლავი! — დაიძახა ილეტაქსამ, ზეზე წამოიჭრა, ქვაბი გადმოიღო ცეცხლიდან და აფუსფუსდა, ალაპარაკდა: — ეხლა ჩვენი ერთად პრემიერვახშამი იქნება. ამის გამოთ ჩვენ უნდა მივიღოთ ასი-ასი გრამი ქინძმა-რაული! ძნელი სახელი არი, ხოლოთ მეტად ლამაზი. შენ თუ ისეთი ხარ, როგოც შენი ძმა ლეონ ფიქრობს, როგოც შენი ირმისელები ხალხი ფიქრობს, მე გათხოვებ ჩემ ჰომეროსს, დანტეს, ვერგილიუსს!...

— ვერგილიუსიც გენიოსია?

— დიახ! ვერგილიუსი რომში დაიბადა, ქრისტეზე უფრო წინ და მემრე, თოთხმეტი საუკუნის მემრე მოვიდა დანტესთან და წაიყვანა ჯერ ჯოჯოხეთში, მემრე სამოთხეში. თუ გინდა, მე შემეძლება ვიყო შენი ვერგილიუსი.

— არ მინდა.

— რა არ გინდა?

— შენი ვერგილიუსობა.

— ოო, ეგ ძალიან-ძალიან საინტერესო არი! რატომ არ გინდა?

ალექსიმ არ უპასუხა. თავისთვის გაიფიქრა, რომ სამოთხემდე ვერ მიიყვანდა კაცი, რომელმაც მასთან ერთად არ გაიარა ჯოჯოხეთი.

— შენ სუმთლად არ იცი ირაციონალური მოვლენა, ხოლოთ კომუნისტური რეალიზმი იცი! — უსაყვედურა ილეტაქსამ.

— მე კი მგონია, შენ დაბადებით, ბუნებითა ხარ კომუნისტი.

— არა! მე პარტია არ ვიცი, მე თავისუფალი ადამიანი ვარ, ხოლოთ ანტიფაშისტი ვარ. რატომ არ დალიე ქინძ-მა-რაული?

— შენი დღეგრძელობისა მინდა დავლიო, მაგრამ არ ვიცი, ვინა ხარ, რა კაცი ხარ.

— მე ასი ანკეტა დაწერე, კამარად, მეტი არ მინდა! — გაბრაზდა ილეტაქსა და ფლავს მიეძალა.

— ანკეტა არა მჭირდება, მინდა ვიცოდე, აქ როგორ მოხვედი, რა კაცი ხარ.

— ძალიან-ძალიან კარგი კაცი ვარ! ფაშისტის წინაალმდეგი სალდათი ვარ, ომის ბოლოში დაჭრა მივიღე და ყაზახი სალდათმა თავისი ზურგით წამოიღო თქვენი საბჭოთა ქვეყნის ჰოსპიტალში, მიუხედავათ რო უფრო მეტად დაჭრა ჰქონდა. მემრე ევაკუაცია მოხდა და მე ყაზახი სალდათით ერთათ ყაზახეთის რესპუბლიკაში მოვედი. ის სალდათი — ჩემი ძმა მაგჟან ტასანბაევი არი, დიი-ი-ახ! სატანა მაგჟანმა ბძანა, აქ იცხოვრე, ჩემი აბაი-ბაზარ რაიონში. ეხლა აქ ექიმი უნდა, — მე ექიმი ვარ, წამალი უნდა — მე პროვიზორი ვარ, როცა მანქანა როგოც ჯორი გახდა — მე მანქანას სპეციალისტი ვარ, ხოლოთ ფილოზოფია არავის უნდა, ხოლოთ მე მინდა! ეხლა იცი, მე როგორი კაცი ვარ და დალიე ქინძ-მა-რაული! ირმისელი ხალხი ამობს, ქინძ-მა-რაული ზიარება არი! შენ იცი ზიარება?

— დაიცა, სამშობლო არ გენატრება?

— ჩემი სამშობლოს უფალებს ანტიფაშისტი სალდათი არ უნდა, ჩემი მამა, დედაც მოკდომილი არი, ჩემი ცოლი სხვა კაცით წავიდა... — თქვა და უცებ წამოდგა, სუფრა აიღო, ჭურჭელი მიალაგა. თან ბუზღუნებდა: — მედიცინის აზრით შენ უნიკუმი ხარ, ვიფიცავ ღმერთებს! ეხლა მოკდომა გინდოდა, ეხლა დიდი-დიდი დოზა ლაპარაკი გინდა. ეხლა შენ არა ხარ პაციენტი, ეხლა შენ გამოთ მე ვარ ავათ გახდომილი და არ გამიშვებ ვიძინო, და დილათ ვერ წავალ სამსახურში...

მან უცებ ჩააქრო ლამპა და იატაკზე დაგებულ ლოგინში ჩაწვა, საბანი თავზე წაიფარა და გაისუსა.

ცოტა ნატალიას გაკეთებული ფლავი, ორი ყლუპი, მართლაც, ზიარებასავით ღვინო და კოსტა ილეტაქსას გამოუთქმელი მომხიბვლელობა ძალზე ყუათიანი აღმოჩნდა. ალექსის მალე დაეძინა ჯანსაღი კაცის მშვიდი ძილით.

ფრთხილმა ფაჩუნმა გამოაღვიძა. ოთახი გაჭედილი იყო დღის ხასხასა შუქით.

„ნუთუ ასეთი შუქი ამ პაწია სარკმელიდანაა?“ — გაკვირვებით გახედა ალექსიმ მოპირდაპირე კედელს. სარკმელთან მიდგმულ ტაბურეტზე შემდგარი, ჭრელწინდებიანი გოგონა დაინახა. თიხის ქილაში ყვავილების თაიგულს სცვლიდა, ცოცხალი ყვავილების თაიგულს. „საიდან?“ — გაოცდა ალექსი. გოგონამ თავი გვერდზე გადახარა, თაიგულს შეხედა და ხელები ასწია, ქილა ოდნავ შეატრიალა. გამხდარი იყო და ბეჭები კაბისქვეშ შეკეცილი ფრთებივით დააჩნდა. წყვილი ნაწნავი ბეჭებშუა, როგორც კალაპოტში ჩალაგდნენ. ალექსიმ ქერა ნაწნავები იცნო.

— ნატო! — დაუძახა ჩუმად.

გოგონა შეკრთა, მერე გამოიხედა, გახარებული გადმოხტა იატაკზე და ტახტთან მიირბინა.

კარგა ხანს უსიტყვოდ ათვალიერებდნენ ერთმანეთს. ალექსის საოცარი გრძნობა დაეუფლა. განვლილი ცხოვრების თვითეული ცალკე მონაკვეთი ცალ-ცალკე დასრულებულ სიცოცხლედ მოეჩვენა. თითქოს ბევრჯერ უცოცხლია. უხსოვარ დროიდან მოდიოდა ერთი სიცოცხლიდან მეორეში, ყოველთვის ახალ, უცნობ სამყაროში, და თვითონაც სხვა იყო, სხვანაირი. მოეჩვენა, რომ ამ გოგონას ოდესღაც შეხვედრია, ერთ-ერთ გარდასულ ცხოვრებაში, როცა თვითონ ახალგაზრდა და ბედნიერი იყო, — ეს კი — ნებიერა, ლოყაწითელა ბავშვი. სხვა ცხოვრებაშიც შეხვედრია, როცა თვითონ მიხრწნილი, ნებაგამოცლილი მოხუცი იყო, ეს კი — უღრან ტყეში ჩაკარგული, საყვედურით სავსე თვალებიანი ნუკრი. და მერე მოეჩვენა, რომ უწინდელი ცხოვრებიდან მოვიდა ახალ სამყაროში იმისათვის, რომ ფერმკრთალ, გამხდარ გოგოს, აი ამ პატარა ნატოს მოუაროს და უპატრონოს...

გოგონა გახარებული უყურებდა.

ალექსიმ უკვე იცოდა, რომ მართლაც სახადიანსა ჰგავდა. მთელი სხეული, მეტადრე სახე და ხელები დაფარული ჰქონდა სხვადასხვა სიღრმის, სიდიდის, მოყვანილობის წყლულით. ზოგი ჯერ ისევ ჩირქიანი იყო, ზოგი გაწმენდილიყო. ზოგს პირი შეეკრა და მოთეთრო ნაწიბურებივით აჩნდა.

— რომ მიყურებ, არ გეშინია?

— მივეჩვიე.

— რა ძალა გედგა?

— დიდედამა თქვა, ბოდვაში სუ ამ გოგოს ახსენებსო და ეგება გაუხარდესო, გონზე რო მოვა და დაინახავსო. ძია ალექსი, მართლა გაგიხარდა?

— ვერ გეტყვი, როგორ გამიხარდა!... ნატო, ის ყვავილები საიდან?

— იცი, გარეთ რამდენია? იმდენია, იმდენია, ქვეყნისა!

— მაჩვენე.

— ძია კოსტამ მითხრა, გარეთ არ გაუშვაო.

— ხედავ, ძია კოსტას სცოდნია, რომ ავდგებოდი. უეჭველად უნდა ავდგე, ნატო. მე ერთი ისეთი წამალი ვიცი, ხელათ მომარჩენს. ხოლოთ ეს წამალი მზემ უნდა მომცეს. გარეთ თუ არ გავედი, აბა როგორ მომცემს ჰა?

— ტანისამოსი? თქვენი ტანისამოსი ნაკუწ-ნაკუწად იყო დაგლეჯილი, დიდედამ ახლები შეგიკერათ, იქ არი, ბარაკში.

ნატოს შეეცოდა დაღონებული ძია ალექსი, ტაბურეტი კედელთან მიდგა, კაუჭზე დაკიდულ ხალათს მისწვდა და ჩამოიღო.

— ეს ჩაიცვით, ძია კოსტასია.

— არ ეწყინება?

— ძია კოსტას მეორეცა აქვს ამისთანა.

ალექსის ჩაეცინა. ქრისტესავით განსაჯა პატარა გოგომ. მერე ნატოს გაეცინა — ვიწრო და გრძელ ქლამიდაში გამოწყობილი ძია ალექსი ძალიან სასაცილო იყო!

ნატოს მხარზე დაყრდნობილი ალექსი კარისკენ წავიდა. გარეთ გამოსულს შავი წერტილები აულიცლიცდა თვალებწინ. შეისვენა და მერე დაინახა: უსასრულოდ შორეულ ჰორიზონ-

ტამდე მიწა საოცარი ხატაურით იყო მოფენილი. ყაყაჩო, ტიტა, ზამბახი; ყაყაჩო, მაია ზაფრანა; ყაყაჩო, ცისთვალა, მაჩიტა; ბექანდარა, გვირილა, სოსანი; და ყაყაჩო, ყაყაჩო... ჰყვაოდნენ ნაზი და მყვირალა, ხასხასა და ჰაეროვანი, ნაცნობი და უცნობი ფერის, ელფერის, იერის ყვავილები. მზე აელვარებდა მათ, ნიავი აღელვებდა მათ. მიწაზე ფერთა აჯანყება იყო.

ალექსი გაუნძრევლად იდგა. მისი გონება ხარბად ალიქვამდა წყალივით მოწყურებულ სილამაზეს. მის სხეულს პურივით აძლობდა თვალით ათვისებული მშვენიერება. იდგა და მართლაც უებარი წამალივით ედებოდა მზის სხივიც, ნიავიც, სურნელებაც.

— ნატო, რა ხდება, ხედავ, რა ხდება? რა საოცრებაა, ხედავ? — თქვა და წელგამლილი შევიდა ყვავილოვანში, მთლიანად შეეზიარა ფერთა ფანტასტიურ ალლუმს.

— ძია ალექსი — იი, შორს ნუ მიდიხართ, დაბრუნდი-ით!... — ალექსიმ შიში და შეშფოთება იგრძნო ნატოს ძახილში, გამობრუნდა და მხოლოდ მაშინ შეხედა ქოხს, რომლიდანაც გამოვიდა.

ყვავილთა თვალუწვდენელ სამეფოში კენტად იდგა ალიზის ქოხი. მაგრამ ქოხი იყო? ალბათ თავის დროს ნიავით მოტანილი ყვავილების მტვერი მოეკიდა მის სახურავს, კედლებს, და ახლა ნაირფერად გადაშლილ ყვავილებს ზღაპრულ სასახლედ ექციათ იგი.

— ნატო, ვისია ეს სახლი, მე აქ რათა ვარ, თქვენთან ერთად რატომა არა ვარ?

— ეს არავისი სახლი არ არი, სახურავიც არა ჰქონდა, სუმთლად მინგრეულ-მონგრეული იყო. ძია მაგჟან ტასანბაევმა თქვა, ჩვენი ხალხი წინათ რო მეჯოგე და მომთაბარე იყოო, ეს ქოხიც იმათთვინ იყოო, ხან ღამეს რჩებოდნენო, ხან ავდარში შეეფარებოდნენო. შენ რო გიპოვეს, ბარაკამდე შორი არიო და ძია კოსტამ ბრძანა, აქ დავაწვინოთო. ძია მაგჟანმა კიდე ბრძანა, მასალა წაიღეთ, სახურავიც დახურეთო და მანგალიც დადგითო.

— უყურე შენ!.. ნატო, ძია მაგჟანი ვინ არი? ლიპიანი კაცი როა, და ძალზე წვრილი ხმა აქვს, ის ხომ არ არის?

— შენ საიდან იცი? — გაუკვირდა ნატოს.

— ავად რომ ვიყავი, მაშინ დამახსომდა, შემოვიდა და იკითხა, თქვენი მომაკვდავი მოკვდა თუ ჯერ არაო? მახსოვს, ლიპიანი იყო.

— რათ ამბობ, ლიპიანიო? იმ კაცმა თავისი მონადირე ძაღლი ნერონა წაიყვანა შენ საძებნელად და კინაღამ თითონაც დაიღუპა იმ უდაბნოში, გიპოვნა, როცა შენ აღარც კი სუნთქავდი... — ნატოს ცრემლით აევსო თვალები...

— მაპატიე, ნატო, აბა მე რა ვიცოდი? მე ეგრე დამახსომდა, რა ვიცოდი, ვინ იყო? მაპატიე... ეხლაც არ ვიცი, ვინ არი.

— წინათ თურმე მეჯოგე იყო, მერე ომში იყო და იქ ძია კოსტა იპოვნა, ეხლა ბამბის მეურნეობის დირექტორია, შრომის გმირია და ბოლოლა გოგო ჩემოდენა ჰყავს, სალიმა ჰქვია. სალიმა თურმე ისე ავად იყო, დიდ-დიდ ექიმებს ეთქვათ, არაფერი ეშველებაო, და მერე ძია კოსტას მოურჩენია თავისი წამლებით. იმიტომაც ძია კოსტა ძია მაგჟან ტასანბაევის ღმერთია, რასაც ძია კოსტა სთხოვს, ყველაფერს უსრულებს, თანაც შაითანს ეძახის იცი, სალიმა რა კარგი გოგოა?

— ჰოო?.. — ალექსიმ პეშვით მიწა აიღო, ხელისგულზე დაიფხვიერა, გასინჯა, დაყნოსა. თიხიანი ნეშომპალა იყო, ყამირი!...

ნატომ ტაბურეტი გამოუტანა და თვითონ პეპლებს გაეკიდა.

შთაბეჭდილებით მოღლილი ალექსი ჩამოჯდა, თავი ბეჭებისკენ გადასწია, სახე ნიავს მიანდო და თვალები დახუჭა. ვერ შეატყო, როდის იცვალა გეზი მისმა ფიქრმა. იქნებ წეღანვე, როცა პეშვით მიწა აიღო, ან უფრო ადრე, როცა ფერთა მღელვარე ზღვა დაინახა... თვალები რომ გაახილა და ისევ

იმ ყვავილოვან მდელოს გახედა, სწორ მწკრივებად დამდგარი ვაზი მოეჩვენა...

ველარ მოითმინა, ქოხში შევიდა, სხვა ვერაფერი ნახა და ქარცახი გამოიტანა. რამდენიმე ადგილს ორმო გათხარა, ბეჯითად გასინჯა მიწის ფენები და დაღლილი რომ ჩამოჯდა, ვაზის მწკრივები ფეხადგმულ ლეგიონებად შემოუღაგდნენ ირგვლივ...

ფიქრებიდან ნატოს ხმამ გამოარკვია.

— უყურე, ძია ალექსი, ამისთანა პეპელა გინახია? იცი, როგორ ვეწვალე, ძლივს დავიჭირე. ფიცარზე დავაკრავ და სანდრას გავუგზავნი, სკოლაში ექნებათ, ნორჩი ნატურალისტების მუზეუმში!

— პეპლების დასაჭერად ბადეს გაგიკეთებ და მუზეუმში გასაგზავნად, ყუთსაც გაგიკეთებ.

„როგორ გაუხარდა! ნეტავი ცალფეხზე დატრიალდეს“, — მწველმა ნატვრამ გული ატკინა ალექსის.

— და ეგეთი სახლსაც აგიშენებ, გინდა?

— ნამდვილს?

„ნამდვილ კომბაინს მამი-ი?“ — მკერდის მარცხენა მხარეს ლახვარივით ეცა, რომელიღაც გარდასული ცხოვრებიდან შემოჭრილი ხმა. ჩუმად, სვენებ-სვენებით უთხრა გოგოს:

— ნამდვილს. აი ასეთს, როგორიც ეს არის. მზე რომ გაათბობს, ზღაპრულ კოშკს დაემსგავსება, და შენ ყვავილების დედოფალივით იჯდები შიგ.

გახარებული ნატო ბზრიალასავით დატრიალდა ცალფეხზე. ალექსიმ თვალები დახუჭა. „არა, არ შეიძლება“, — მკაცრად უთხრა თავის თავს და მტკიცედ აღიკვეთა იმ გარდასული ცხოვრების სურათების ხილვა. ნელა წამოდგა, ისევ ჩუმად უთხრა:

— შევიდეთ შინ, ნატო, შენა ხარ ჩემი ვერგილიუსი...

ნატოს ეგონა, „ვერგილიუსი“ ყაზახების ენაზე საალერსო სიტყვააო, და გახარებულმა გადიკისკისა.

საღამოს სამუშაოდან დაბრუნებულ ილეტაქსას ირმისელებიც მოჰყვნენ. ალექსი ლოგინში დახვდათ, მაგრამ თავისი თვალით რომ არა ჰქონოდათ ნანახი, ვერ დაიჯერებდნენ, ახლახან ის გადადებული ავადმყოფი თუ იყო. რა თქმა უნდა, ალექსი ისეთივე გამხდარი და ფერმკრთალი იყო, მაგრამ ნიავმა წყლულები მოუშუშა, მზემ საფეთქელთან ნაიარევი მიუჩქმალა, თვალებს ზაფრა გადასცლოდა და ბუდეში ჩამსხდარნი მშვიდად სხივოსნობდნენ.

— გეტყობა მალე წამოხვალ ჩვენთან, — უთხრა ნატალიამ წასვლისას და გაუკვირდა: ალექსიმ პასუხი დაუგვიანა.

— არ ვიცი, ვნახოთ. ლევანმა ტანისამოსი მომიტანოს...

ილეტაქსამ ირმისელები რომ გააცილა, და ოთახში დაბრუნდა, მის ხალათში გამოწყობილი ალექსი ზეზე დახვდა.

— ძალიან-ძალიან მშვენიერი სპექტაკლია! ნამდვილი ჰამლეტი ბრძანდები და სახეზეც მსოფლიოს პრობლემა დაგიწერია!

— მსოფლიო პრობლემებს თავისი გადამწყვეტი ჰყავს, მე ერთი პატარა აზრი დამებადა, შენი დახმარება მჭირდება, მომისმენ?

— ვიქნები, როგორც სფინქსი! — დაჰპირდა ილეტაქსა და მუხლმორთხმით წამოჯდა ტახტზე, მაგრამ წუთის შემდეგ დაშუშხულივით ახტა.

— შენ გიჟი ხარ! შენ კიზილკუმში გაგიჟდი! არა, კიზილკუმი არ არი შუაში, შენ გიჟი დაიბადე!

ყვირილით გული რომ იჯერა, ბოლთისცემა და ხელების ქნევა დაანელა, ალექსის წინ დადგა და დამრიგებლის კილოთი უთხრა:

— შენ დაგავიწყდა, კამარად, შენი ცხოვრების რადიუსი ხოლოთ სამი კილომეტრი არი. დაგავიწყდა, შენ ორი ხელები გაქ, მეტი არაფერი. დაგავიწყდა, შენი ორი ხელები ბამბის პლანტაციას უნდა. დაგავიწყდა, თქვენი კომენდანტი ძალიან-ძალიან ძაღლი კაცი არი!

მან ფესი გადაიძრო თავიდან და სათ-

ვალე მოიხსნა. ჭკვიანი და აჭახრილი ჩიტი ძალზე ჯავრობდა:

— ირმისელი ხალხი ძალიან-ძალიან შეცდომაში არი! შენ დინჯი კაცი არა ხარ, საქმეანი კაცი არა ხარ. მე ფიქრობ, კარგი მევენახე არა ხარ! ისე ამობ, როგორც ჩემოდანი გაალო და ყურძენი აილო. მე შენზე მეტად ვიცი, რა არი ვენახი!

— უნდა იცოდე. საბერძნეთში ვაზი ჩინებულად ხარობს, მეტადრე საჩამიჩე ჯიში „კორინთული".

— შენ საიდან იცი? — უცებ ჩაცხრა ილეტაქსა.

— სად რა ჯიშის ვაზი ხარობს, მაგის მეტი რა ვიცი?

— და მაშინ რატომ არ იცი, ვენახს მანქანები უნდა, მუშები უნდა, ფული უნდა, სუფსიდია! შენ გიჟი ხარ, შენი ფიქრიც ქიმერა არის, ბოდვა არის, ბოდვა!

— ეს ბოდვა სიკეთით რომ ახდეს, არ გინდა?

— მე ყელამდე სავსე გახდი შენი ბოდვით! ოცი და ერთი დღე ბოდვა, ბოდვა, ბოდვა, მეტი არ მინდა, მადლობთ ვარ!

— ის ოცდაერთი დღე მე არ მითხოვნია, მე ერთ საათს გთხოვ.

„ერთ საათსაო", — თქვა ალექსიმ, მაგრამ ქოხში ლამპის შუქი დღის ნათელმა შესცვალა, ისინი კი განაგრძობდნენ მუშაობას. იყო ჩხუბი, ყვირილი, კამათი. შიგადაშიგ სიმშვიდეც იყო. ილეტაქსას სამხრეთ ყაზახეთის სამხარეო მუზეუმის გამოცემული წიგნიც აღმოაჩნდა, წიგნს რუკა და სარწყავი ქსელის სქემა ჰქონდა დართული.

დილით ილეტაქსას წასაყვანად მანქანა რომ მოვიდა, კოსტამ სათვალე მოიხსნა და მისანი-ჩიტივით წარმოსთქვა:

— შენ საგიჟე ჰოსპიტალში იზოლაციაში დაჯდები!

მერე კარებიდან დაბრუნდა და დაუმატა:

— მთავარი მაგვანი არი. თუ მაგვან ტასანბაევმა თქვა — „არა", მემრე იქნება მაგვანის ჯორცხენამ ბიბლია ისწავლოს, ხოლოთ არ იქნება მაგვანმა თქვას — „ჰო"!

* * *

მართალი რომ ითქვას, ანტიკური პოეზია არცთუ ისე ხიბლავდა ალექსის, მაგრამ ილეტაქსას ხათრი და პატივისცემა აიძულებდა ჰომეროსის დაძლევას.

„ალბათ ჩემი გონება ვერ ჩასწვდომია ამის სიღრმეს, — გულდაწყვეტილი დაუშვებდა ხოლმე წიგნს, როცა სტრიქონებს შორის წერაქვები, თოხები, ნერგები აირეოდნენ. — ვინა თქვა, ოლიმპი მოსვენებისა და განცხრომის ადგილი იყოო? სწორეთ იქიდან, იმ ღმერთებისაგან წამოსულა შური, ღალატი, ვერაგობა, მრუშობა. ჰომეროსი რომ გაცოცხლდეს, გაოცდებოდა: ადამიანის გონება და ხელი ცის, მიწის, ზღვის სიღრმეებს მისწვდომია და იმ ძველთა-ძველი დროიდან წამოყოლილ ბნელ ზრახვებს კი ვერ მოჰრევიაო..."

ამგვარ ფიქრებში იყო წასული, როცა ქოხთან ჯორცხენა გაჩერდა. უნაგირიდან კაცმა გადმოიწია ჩამოსასვლელად, მაგრამ მისმა სიმძიმემ უზანგის გაცვეთილი თასმა გაწყვიტა. კაცმა წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა და ჯორცხენას წვრილი, მაღალი ხმით შეუკურთხა.

ალექსიმ მაგვან ტასანბაევი იცნო და მიხვდა, რომ მისი მოსვლისათვის ილეტაქსას უნდა უმადლობოს.

ერთხანს შორიდან ათვალიერებდნენ ერთმანეთს რჩეულიშვილი და ტასანბაევი.

ვიწრო და გრძელ, თალხ ქლამიდაში გამოკრული ალექსი ყვავილოვანში იდგა, გადაშლილი წიგნით ხელში.

ტანმორჩილ მაგვანს შავი კიტელისა და ჩექმებში ჩატანებული შარვლის ზემოთ წითელნაყშებიანი ფარფარა ხალათი ეცვა და თავზე ჭრელი ოთხკუთხა ქუდი ეხურა. ჯორცხენის გავას მიყრდნობილმა, გადაჯვარედინებული ხელები გულისფიცარს ქვემოდან ზეგანივით ამოზრდილ ღიპზე დაასვენა.

ალექსი ქოხისკენ წამოვიდა. ტასანბაევმა ირიბი, შორი-შორ დასმული, მძივივით წვრილი და ბრჭყვიალა თვალებით ახედ-დახედა, ქოსა სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— გამოჯანსაღებას გილოცავ, ამხანაგო, — თქვა მან მისალმების შემდეგ.

— გმადლობთ, არც კი მჯერა, ავად თუ ვიყავი.

— იოი!... — მოკლე და ფართო ცხვირის ნესტოები დაებერა, მომრგვალებული ტუჩებით უცნაური, მოკლე ბგერა გამოსცა ტასანბაევმა.

— შინ შემობრძანდით, — შესთავაზა ალექსიმ.

— არა. ბამბის ყურებამ მომკლა, მეც მინდა თვალს წყალი დავალევინო, დავტკბე ყვავილების სილამაზით, — ორლესულად თქვა მებამბეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა. ველისკენ წასულ ჯორცხენას თვალი გააყოლა და ჩამოჯდა, საცოდავად აჭრიჭინა ტაბურეტი. ხალათის ჯიბიდან ჩიბუხი და ქისა ამოიღო.

— მოიცა, — უთხრა ალექსიმ და შინ შევიდა, თამბაქოს დამატი გამოუტანა. — ეს გასინჯე, ჩვენებურია.

— ქრთამია? — აჭიმა ტასანბაევმა მოკლე, გაფრენილი წარბები. თამბაქოს ფოთოლი დაფშვნა, ჩიბუხი დატენა და გრძელი ნაფაზი დაარტყა, ხველა აუტყდა, თვალებზე ცრემლი მოადგა და მუცელზე შეკრულმა ღილმა კილო გაგლიჯა, ბზრიალით დაგორდა მიწაზე.

— მაგარია! — ძლივს მოითქვა სული.

— ქრთამი მაგარი უნდა იყოს.

— იოი! — ისევ გამოსცა ის თავისებური ბგერა ტასანბაევმა და ველს მიაჩერდა. ხმა აღარ ამოუღია, პატარ-პატარა, ფრთხილი ნაფაზებით ჩაფერფლა თუთუნი, მერე ჩიბუხი გამოწმინდა, შეინახა და ისევ ყვავილოვან მდელოს მიაჩერდა.

თავშეკავებაში და მოთმინებაში ერთმანეთის გამოცდა კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს ტასანბაევმა ტაბურეტი აჭრიჭინა, ალექსის მოუტრიალდა.

— არ გამოვა! — [illegible] და გიშრის წვრილი [illegible]სო თვალები.

„ნეტა რა უთხრა, როგორ უთხრა კოსტამ, — ნირშეუცვლელად გაუსწორა თვალი ალექსიმ. — სიტყვა ძალიანიაო, მაგრამ მე ისეთი რა სიტყვა გამოვძებნო, ამ კაცმა რომ გამიგოს და დამიჯეროს“.

— არ გამოვა, ამხანაგო, — ისე გაიმეორა ტასანბაევმა, თითქოს ამის სათქმელად მოვიდა, თქვა და საქმე დამთავრებულად ჩათვალაო.

„არც სიტყვის ძებნა დამჭირდა, არც დიდი მჭევრმეტყველება“ — მწარედ ჩაიცინა გულში ალექსიმ და სახის შეუვალი გამომეტყველებით თქვა:

— რას ვიზამ, მეც ბამბას მოვუვლი.

— აი, ეგ სწორი გადაწყვეტილებაა! — ვითომ გაუხარდა ტასანბაევს, სინამდვილეში კი ალექსის გამომეტყველებამ და კილომ შეაცბუნა: ეს კაცი რას იფიქრებს, უარის სათქმელად ამ სიშორეზე რას მოდიოდაო. ასე მოკლედ ნათქვამ თანხმობასაც კი არ ექნებოდა ლაზათი. უარის თქმას დინჯი საუბრის ბოლოსაც მოვასწრებდი...

— შენ და ილეტაქსას ქალალდი ბლომად დაგიხარჯიათ. მე ქალალდები არ მინდა, მოდი იქ მაჩვენე, — თავი გადააქნია ველისკენ.

ალექსი ისე შეუძღვა ყვავილოვანში, თითქოს ვენახის ჭიშკარში გაატარაო. ვინ იცის, რამდენი კილომეტრი მოიარეს ალექსის ნავარაუდევ ნაკვეთებში, მეევენახე დაწვრილებით უამბობდა მებამბეს ვენახის გაშენების თანმიმდევრულ პროცესებს. ორივეს ხვითქი სდიოდა. დაიქანცნენ კითხვა-პასუხით, ტკბილი საუბრით და კვიმატიანი ქარაგმებით.

ბოლოს ტასანბაევმა უბიდან საათი ამოიღო. სამახსოვრო წარწერას ხელი გადაუსვა და სახურავი ახადა.

— იოი, მთელი დღე დამეკარგა! — გაჯავრდა თითქოს, სწრაფი ძუნძულით წავიდა ქოხისკენ, ილაჯგაწყვეტილი დაეშვა ტაბურეტზე და თან მოტანილი

მუცლიანი დოქი მიიყუდა. ბლომად დალია და მერე დოქი ალექსის გაუწოდა, თანაც ყვავილოვანში გალაღებულ ჯორცხენაზე უჩვენა:

— ამისი დედის რძეა. კარგი ჯიშისაა. ამან გაგაცოცხლა.

— ჰა? — ფერი ეცვალა ალექსის.

— ცოტა მქონდა მათარაში, აი მაშინ, უდაბნოში რომ გიპოვნეთ.

ალექსი ცდილობდა გულისრევა დაემორჩილებინა, ტასანბაევი მოკატუნებით უთანაგრძნობდა:

— სამკურნალოდ რომ ჩამოდიან, პირველ დღეებში თითი სულ პირში აქვთ. მერე ეჩვევიან, ძალიან მოსწონთ და ბევრსაც სვამენ. შენც ბევრსა სვამდი. ასეთ დოქს ორ დღეში სცლიდი. დალიე, ახალთახალი კუმისია, სიცოცხლეა, დალიე!

ალექსი თავისი გაჩენის დღეს სწყევლიდა, მაგრამ ტასანბაევის დაჟინებულ თხოვნას ასრულებდა, ცდილობდა კუმისი მშვიდობიანად ჩაეცილებინა ყელში. თან ილეტაქსაზე ბრაზობდა, იცნო თეთრი მოტკბო სითხე, უხვად რომ ასმევდა — წამალიაო.

— აი ასე, ყოჩაღ! — მოეწონა ტასანბაევს ცარიელი დოქი რომ დაიბრუნა. მერე ჩიბუხი მუხლზე დაჰკრა და საქმიანად უთხრა: — მენანება, მაგრამ უნდა გითხრა: არ გამოვა.

ალექსიმ თავის გამხდარ ხელებს დახედა, აღარ ხედავდა ტასანბაევის განზე გაწეული ყვრიმალებით გაფართოებულ სახეს, ეშმაკურად აციმციმებულ თვალებს, მხოლოდ მისი წვრილი ხმა ესმოდა:

— შენ გუთანი გინდა, გუთანს ტრაქტორი უნდა. არა მაქვს. შენ წყალი გინდა, წყალს არხი უნდა, არხი აქ არ არის. შენ ქარსაფარი გინდა, აქ ორიოსამი ხე დგას, აქ არსად ტყე არ არის. შენ მუშები გჭირდება, მუშები ბამბას არ ჰყოფნის. ჩვენს აბაი-ბაზრის რაიონში ვაზი არ არის, ჩვენებურებმა ვენახის მოვლა არ იციან. ძალიან ვნანობ, მაგრამ არაფერი არ გამოვა, გაიგე?

„გავიგე, — გულში უპასუხა ალექსიმ, თავი არ აუწევია. — რაღას მღლიდა და ლაპარაკით ეს ღმერთძაღლი? გავიგე, ზედმეტ თავსამტვრევს ეროდები. მე ჩემ გულს ვერაფერი მოვუხერხე, ალვირი ვერ ამოვდე, სულ საითკენღაც მიიგლიჯება, ტიალი...“

— გაიგონე, ამხანაგო, რა გითხარი?

— გავიგონე.

— მაშ ჩუმად რადა ხარ?

— რაღაა სალაპარაკო.

— შენი სიტყვა ოქრო ხომ არ არის?! გეგონა, ერთი სთქვი და მორჩა, დიდი საქმე გავაკეთეო?!! — აღშფოთდა ტასანბაევი.

ალექსის რატომღაც იმედი მიეცა და თავი ასწია. ტასანბაევმა ქოსა ნიკაპი მოიფხანა და თქვა:

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარ, ამბობენ, პატიოსანი კაცი ხარ, მითხარი, დაუკითხავად შეიძლება ასეთი საქმის გაკეთება?

— დაუკითხავად რათა? შენ დირექტორი კაცი ხარ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხარ, შრომის გმირი ხარ, უარს რად გეტყვიან? ეს ველი უსაქმურადა გდია, ამის გამოყენებას ვინ აგიკრძალავს?

— უსაქმური მიწები იქაც ბევრია, ჩვენი პლანტაციების ახლო. მეტყვიან, ის აიღე, ბევრი და კარგი ბამბა გვექნებაო.

— შენ ბამბა გიყვარს, მაგიან. როცა კაცს თავისი საქმე უყვარს, ის იგრძნობს სხვასაც როგორ უყვარს თავისი საქმე.

— ვიგრძენი, მერე რა რომ ვიგრძენი? რა ვქნა? რა შემიძლია?

— ჩვენები, ვინც დარიანის რაიონიდან არიან, ყველანი მევენახეები არიან, თავისი საქმის ოსტატები არიან, ჩვენგან მებამბე არ გამოვა.

— რას ნიშნავს „მებამბე?“ როცა ბამბას სჭირდება, ასტრონომიის პროფესორიც რომ ჩამივარდეს ხელში, ბამბაზე ვამუშავებ!

— მე წელან გითხარი, როცა ბამბას დასჭირდება, ჩვენ შენთან ვიქნებითმეთქი, ჩემს სიტყვას არ ენდობი?

— შენს სიტყვას რატომ არ უნდა ვენდო, მაგრამ...

— დაიცა, საქმე მარტო მებამბეობა კი არ არის, აი აქ უყურე! — შეაწყვეტინა ალექსიმ. ქარცახის ტარით მიწაზე ყურძნის მტევანი მოხაზა. — ეს ფრანგული ჯიშის ყურძენია „კაბერნე“. აქედან მზადდება ღვინო, მსოფლიოში საუკეთესო ღვინოდ რომ ითვლება. ეს „კაბერნე“ აქ უკეთესად იხარებს, ვიდრე საფრანგეთში.

„კაბერნეს“ გვერდით ალექსიმ მეორე მტევანი დახატა.

— ეხლა უყურე: ეს ქართული სალვინე ჯიშია „საფერავი“. ალბათ დაგილევია. აქ უფრო კარგი პირობები ექნება, ჩვენ გვაჯობებ.

ალექსიმ მესამე მტევანიც დახატა.

— ეს კი აქაური, შუა აზიური ჯიშია „ბაიან შირეი“. რომ გეუბნები, ვაზს აქ უკეთესი პირობები ექნება-მეთქი, არ გეგონოს, ვაჭარბებდე. საქმე ის არის, რომ აქ არც ჭრაქია, არც ფილოქსერა — ვაზის დამღუპველი სენი. აქ ჰაერი სუფთაა, მზე ბევრია. ვაზი ისე იხარებს, რომ ეხლა თუ ცნობილი მებამბე ხარ, ვენახითაც გაითქვამ სახელს.

— რათ მინდა? სახელი — ხათაბალაა, მოუსვენრობაა.

— შენი მოუსვენრობა ხალხს არგებს.

— ხალხი, ხალხი, ყველაფერი ხალხს, მე რაღა? ხუთი შვილი მყავს, ისე იზრდებიან, ვერა ვხედავ. ნადირობისთვის სული მელევა და წელიწადში ერთი დღეც ვერ მომიცლია სანადიროდ. არ გამოვა-მეთქი, გითხარი, არა!

— რა ეშმაკებად მოიცალე იმ დღეს, ჩემთვის დროს რად კარგავდი, რისთვის მომნახე უდაბნოში, რისთვის?

— იოი... — გაბმით თქვა ტასანბაევმა და ჩიბუხი გააწყო. — შენმა ხალხმა მთხოვა, ილეტაქსამ მთხოვა. კარგი კაცი აფსუსია, რად უნდა დაიღუპოს? ნუ მიწყრები, ჩემო კარგო, ბამბა მთხოვე, რამდენსაც გინდა, მოგცემ. სხვა არაფერი არა მაქვს, გაიგე.

— გუთნები და ტრაქტორები გაქვს, მე ვიცი.

— წყალი?

— სირ-დარიაში წყალი გაშრა?

— შენ იცი, სირ-დარია სად არის?

— შენს სახლშია მოყვანილი. კიროვის სახელობის არხიდან მოგდის წყალი. კიროვი რომ ცოცხალი იყოს, წყალს დაინანებდა?

— წყალი არც მე მენანება, მაგრამ არხი?

— არხს ჩვენ გავიყვანთ-მეთქი, ჩვენ! თორმეტიოდე კილომეტრი არხის გაყვანა, რა დიდი ამბავია? მე შენ მუშახელს არა გთხოვ, არც ბამბისთვის საჭირო დროს დავხარჯავთ.

— ჩვენ ვენახის მოვლა-მოშენებისა არა გაგვეგება რა!

— შე დალოცვილო, წეღან რომ გელაპარაკე, დაგავიწყდა? შენი ხალხი თავისუფალ დროს გამოგზავნე, ჩვენ ვასწავლით. ახალგაზრდები საქართველოში გაგზავნე, კურსებზე გაგზავნე, ახალგაზრდებს უყვართ ვაზი, სიხარულით ისწავლიან მის მოვლა-მოშენებას. ჩვენ რომ წავალთ, ისინი დამოუკიდებლად აითვისებენ ამ ტრამალებს.

მაგუანმა ცერად გამოხედა ალექსის.

— თქვენ სად აპირებთ წასვლას?

— შინ, სამშობლოში.

— იოი... თქვენ არსადაც არ წახვალთ, სამუდამოდ დარჩებით აქ!

— არა, მაგუან, ნუ გეგონება ჩვენს ქვეყანაში სიმართლე დაიკარგოს. ჰო, ზოგჯერ ნაძირალა იმარჯვებს, მაგრამ შენც იცი, ეგ წარმავალი ამბავია. საბოლოოდ ჩვენი სიმართლე გაიმარჯვებს, მანამდე კი სტუმრად გვიგულე.

— სტუმრად! სტუმრად! — გაჯავრდა მაგუანი, — მე გეძახოდით სტუმრად? ჩამოხვედით აქ, და რაც თქვენ სახლში გქონდათ, აქაც ის მოგინდათ!

— შენ არ გვეძახოდი, მაგრამ არც ჩვენ მოვიმტვრევდით აქეთ თავპირს. ჩვენი შეყრა არც შენი ბრალია, არც ჩვენი, შენი მეურნეობის ბარაკში ცხოვრებას, ჩვენ ჩვენი ცის ქვეშ ყოფნას ვირჩევდით!

— შენ არაფერი არ იცი! — ბურთივით ახტა მაგუანი, — მითხრეს, ყაჩაღი და მოღალატე ხალხი უნდა მიიღოო, მე რა უნდა მექნა? სასახლეში

არც მე ვცხოვრობ, თქვენთვის რა მომეცა?

— ჩვენ დიდი მადლობელი ვართ შენი! ყიამათ ზამთარში გარეთ გამოყრილი ბალღებისათვის ეგეც დიდი მადლი იყო, ჩვენ ისეთი მძიმე დანაშაული გვაქვს ჩადენილი, რომ ალიზის ქოხის ღირსიც არა ვართ!

— რა გინდა ჩემგან, რა? — შეჰყვირა აჭარხლებულმა ტასანბაევმა, ბრაზი უელვარებდა თვალ-მძივებს.

ბრაზი ახრჩობდა ალექსისაც. რა მოხდა ბოლოს და ბოლოს? თავის უკიდეგანო ქვეყანაში ყველგან ჩიხს უნდა წააწყდეს?

— მე არაფერიც არ მინდა! — თქვა აღშფოთებით, — მე შენ არც იმას გაბრალებ, რომ ეს შენი მიწა უთვალავი ქართველის საფლავად იყო ქცეული! ვიფიქრე, მოდი, ქართველების სახელით აქ ვაზს ვახარებ, გაზახებს მხოლოდ ძვლები კი არა, ჩვენი ცოცხალი გულის ფეთქვაც დარჩებათ-მეთქი. ეს ვიფიქრე, არ გინდა და ნუ!

ალექსი წამოდგა.

— ხვალ გამოვალ ბამბის პლანტაციაზე, დირექტორო, — უთხრა ყინულივით ცივი ხმით და მოშორდა ტასანბაევს, ბინდის იდუმალებაში მთვლემარე ყვავილოვანს შეერია...

ილეტაქსას ალექსი ლოგინში დახვდა. კედლისკენ პირშებრუნებული იწვა, მის შემოსვლაზე არც განძრეულა.

კოსტა ყველაფერს მიხვდა.

— აბა რა გეგონა, კამარად? მე გითხარი, ტასანბაევი სახელიანი კაცი არი, დირექტორი არი, პალატის დეპუტატი არი, ბამბის გმირი არი, არ უნდა შენი ვენახი. გითხარი, მელია არი, სატანა არი!.

ალექსიმ ხმა არ გასცა და კოსტასაც მალე დაეკარგა ლაპარაკის ხალისი. წაკითხვაც ველარ შესძლო. ბუტბუტით ჩააქრო ლამპა და დაწვა.

დილით ილეტაქსას წასაყვანი მანქანა ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა. საყვირიც ჩვეულებრივზე ხანგრძლივი, განგაშივით ყურწამღები და გაბმული იყო.

— ჯერ დრო არ არი! განაცხადა ილეტაქსა. არ უყვარდა შინიდან უნაწილო გასვლა, ჩაიდანი შემოდგა მაყალზე და საუზმე გააწყო.

— ბამბის პლანტაციამდე ჩამიყვანეთ, — სთხოვა ალექსიმ და სწრაფად წამოდგა, ჩაცმა დაიწყო.

კოსტას ლუკმა ყელში გაეჩხირა. „საგანგაშო" საყვირმა კი არემარე აიკლო. სარკმელში ვიღაცამ შემოიძახა. ორივენი გაცვივდნენ. ალიზის სახლების საშენებელი მასალით დატვირთული სამი მანქანა მოსულიყო.

— oო, კამარად, მე გითხარი, მაგყან ტანსანბაევი მელია არი, სატანა არი! — აყვირდა, აწრიალდა, ალაპარაკდა კოსტა ილეტაქსა, — შენ ფიქრობ, შენზე კარგი არ არი პლანეტაზე არავინ, მე გითხარი, მაგყანი, როგორც შენ, ისე გიჟი კაცი არი და შენ მაგყანის კამპანიაში ერთად დაჯდებით საგიჟე ჰოსპიტალში!..

კოსტა ყვიროდა, ალექსის აღარ აცლიდა, შოფრებს ფეხდაფეხ დასდევდა, უჩვენებდა მომავალი დასახლების დაგეგმარების მიხედვით, სად რა და რამდენი მასალა გადმოეტვირთათ.

## თავი მეორე

„...ოლეგ, გილოცავ ცხრა მაისს! ჩვენი გამარჯვების დღეა და შენ აქა ხარ, ჩემთან, რა უშავს, აქ რომ არ არის ფერდობი და ბებერი მუხა, სამაგიეროდ აქ აი, ეს პატარა, ლამაზი აკაციაა, და აქედან უყურე, ხედავ, რა საქმეს შევეჭიდეთ ამ უცხო მხარეში?

ოდერთან შევსება რომ მივიღეთ, შენ მითხარი: „ეს ბიჭები ისე ჰგვანან ერთმანეთს, გეგონება, ყველანი ერთ დედას გაუჩენიაო". ჩვენ ვიცოდით, რა ამსგავსებდა ერთმანეთს იმ სულ სხვადასხვა ბიჭებს. ეხლაც ეგრეა, ოლეგ. არ შეიძლება ადამიანები უფრო მეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ირმისელები განსხვავ-

დებიან აქაურებისაგან, ვიდრე ბერძენი კოსტა ილეტაქსა განსხვავდება ყაზახ ტასანბაევისაგან, მაგრამ ესენიც ოდერთან მდგომი მშვიდობის ჯარისკაცებივით არიან, სიკეთეს ემსახურებიან, ალბათ იმიტომ ჰგვანან ერთმანეთს. ჩვენ ვცდილობთ დავიმეგობროთ მიწა, წყალი, მზე და ქარიც კი. იყავი ჩვენთან, ოლეგ, ძმაო, ჩვენთან იყავი და გვისურვე გამარჯვება...

ჩვენი ფილოსოფოსი კოსტა ილეტაქსა ავადმყოფების და დაზიანებული მანქანების მკურნალი და უებარი წამალია. ოქროს ხელი აქვს, ყველგან და ყველას სჭირდება, მთელ რაიონს უვლის და იმიტომ ჩვენი მზვერავი და მეკავშირეა, ფხიზლად ადევნებს თვალყურს, საით იმაგრებს პოზიციებს ჩვენი მოწინააღმდეგე. მაგჯან ტასანბაევი ჩვენი მესაფრეა და მოიერიშე რაზმის მეთაური. ის „დიდ მიწაზე“ იბრძვის, იმ „დიდ მიწაზე“ ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე ჭილყვავების მოდგმის კაცუნაა — კომენდანტი, შიგნით და გარეთ გარეცხილი, გაპრიალებული, კაცუნა, საქმე — სიცოცხლედ ამ გადმოსახლებული ხალხის შევიწროება, დამცირება, მათი ნამუშევრის წაგლეჯა რომ გაუხდია. ის დარწმუნებულია, რომ გარდა „მხილებული დანაშაულისა“, ყოველი ჩვენგანი მომავალში უფრო დიდი ბოროტების ჩამდენია და ცდილობს არა გამოეპაროს რა. მაგჯან ტასანბაევი მას „ხოლერას“ ეძახის, ილეტაქსა — „ვირუსულ მიკრობს“, მე კი მგონია, ის ჩვეულებრივი ჯიბოა, რაფიელაა, მედვედევია, გულავარდიშვილია. ისინი ყველგან ყოფილან ჩათესილი. მე ისიც მგონია, რომ ომის ცეცხლს მშვიდობით, უვნებლად, გულარხეინად გადარჩენილ ამათთანა ჭილყვავებს მეტი გამძლეობა და გამრავლების უნარი შეუძენიათ...

ოლეგ, ძმაო, არ გესმის ჩემი ხმა?.. მე არ ვიცი, და შენც ვერ მეტყვი, კიდევ რამდენ მაისობას შევხვდებით მე და შენ აქ, ამ აკაციასთან, მაგრამ მე გთხოვ, ძალიანა გთხოვ, შენ მუდამ, განუყრელად იყო ჩვენთან, შენ უეჭველად უნდა იყო ჩემთან, ჩემ გვერდით. ამას წინათ სადღაც დავკარგე და მე კინაღამ უდაბნოში დავრჩი... როცა შენ ჩემთანა ხარ, მე ვერც ჭყანტობი, ვერც უდაბნო, ვერც ვირუსები და ჭილყვავები ვერ დამაკლებენ ვერაფერს. შენ გწამს, და მეც მიმტკიცებ რწმენას, რომ ირმისიდან შორს ვერ მოვკვდები, სხვაგან არსად არ მიმიღებს მიწა... და როცა კვლავ გიპოვნე, ოლეგ, ხომ ხედავ, უყურე, ტრამალებში ეს პატარა დასახლება დაიბადა. ბავშვებმა მას „ყვავილოვანი“ დაარქვეს. ეს უბრალო დასახლება არ გეგონოს, არც უბრალო, ალიზის ორმოცი ქოხი. ეს სიკეთის მონაპოვარია... ყოველ ქოხში ბუხარი ანთია, და ყოველ ბუხართან შენ ისეთივე სასურველი სტუმარი ხარ, როგორიც იყავი ირმისში...

ოლეგ, მინდა ჩვენსავით გაგახარო: ნება დაგვრთეს წერილები გაგვეგზავნა შინ, ორ თვეში ერთხელ შეგიძლიათ გაგზავნოთო. წავიდა ჩვენი პირველი ფოსტა და ეხლა პასუხს ველით. ხალხმა იცის, რომ საქმით დაღლილს — მოლოდინის ჩრჩილი ვერ ეკიდება და ისე მუშაობენ, გაგიკვირდება. ჩვენი ქალები დილა-საღამოს ისეთი სასოებით სწყევლიან ჩვენს ამწიოკებლებს, გეგონება, ლოცულობენო, და მე ხანდახან მინდა ვიყვირო: „ამინ! ამინ!“...

* * *

ყაზახეთიდან მოსულმა პირველმა წერილებმა შეაზანზარეს დარიანის რაიონი. ნანატრი სიკეთის მაცნედ მიიღეს ის პირველი წერილები, სიშორეს ვიღა დაეძებდა, მაცნე — სიცოცხლის მაუწყებელი იყო!

მალე მიწერ-მოწერა და მერე ყაზახეთში ამანათების გზავნაც ისე გახშირდა, რომ ჩვეულ ამბად ჩაეკერა სოფლის ყოველდღიურობას. მძლეთამძლე სიცოცხლე ეძებდა და ნელ-ნელა ჰპოვებდა თავისთავის საჭირო კალაპოტს.

ირმისის და ნატაძრის გაერთიანებულ კოლმეურნეობა „ირმისხევში“

ყველა სამუშაო დროზე და კარგად კეთდებოდა. მოსავალს სწონიდნენ, ზომავდნენ, ითვლიდნენ, სახელმწიფოს პირნათლად აბარებდნენ კუთვნილს, ხალხს შრომას უნაზღაურებდნენ, მოგებით — საერთო სალაროს ამდიდრებდნენ.

ვაჟა კვერენჯაძე კარგი თავმჯდომარე იყო. ვაჟა ყველასთვის საყვარელი ვაჟა იყო, მაგრამ...

მაგრამ ირმისელები სულ სხვა რაღაცას იყვნენ ჩვეული. შემოსავლის ზრდას ისინი, რა თქმა უნდა, ახლაც ცდილობდნენ, მაგრამ აკლდათ „ის რაღაცა" რაც ყველაფერ მატერიალურს — სიხარულის საბადოდ აქცევდა ხოლმე. ისინი ვერ ახსნიდნენ, გონჯაურამ რა წაიღო თან ისეთი, ურომლისოდაც დოვლათი მხოლოდ შრომადღეების ამსახველად დაურჩათ, გეგმების შესრულება — გამოსყიდული თამასუქივით გაუხდათ, და ტყუპებივით დამსგავსებული დღეები მხოლოდ სამუშაოთა სახეობითღა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

„დაგვიბრუნდება სიკეთე, გამოიდარებს!..."—ერთთავად უმეორებდა თავის თავს ხატულა. ცდილობდა დამშვიდებულიყო, რომ შესძლებოდა მუშაობა, ხალხთან შეხვედრა, სანდრას არაბავშვური წყენის დანელება, მისი საყვედურიანი ზამოხედვის ატანა.

ძნელად გამოიზამთრა ბიჭმა. იმ საახალწლო ნაძვის ხსენებაც აიკრძალა. სათამაშოები და მოსართავები სკოლაში წაალებინა ამხანაგებს, თავისთვის მხოლოდ თეთრი დათუნია და მელიაკუდაგრძელია დაიტოვა. ახალ სახლისკენ არც იხედებოდა. სკოლაშიც აღარ უნდოდა წასვლა. ბედად, ახალი დირექტორიც კარგი გულისხმიერი კაცი აღმოჩნდა. მოწაფეებს კარდაკარ დაუარა, ყველას საჭირო სიტყვა მოუძებნა და კარგად სწავლის სურვილი გაუორკეცა.

„დაგვიბრუნდება სიკეთე, გამოიდარებს!.." — ცდილობდა ხატულა ეს რწმენა, ეს იმედი ამოეკითხა ყაზახეთიდან მოსულ წერილებშიც.

ალექსი წერილების წერაზე ყოველთვის ძუნწი იყო და ახლა კიდევ უფრო გაძუნწებულა. ალბათ იცის, რომ მის ამბავს სხვისი წერილებიდანაც გაიგებენ. — ყაზახეთიდან მოსულ წერილებს ერთი საერთო მისამართი აქვთ: „ირმისელებს". ალბათ იცის, რომ უფროსები ბავშვების დღიურებიდანაც ამოიკითხავენ თავისიანების ამბავს. ეს პლატონ შიშნიაშვილის და მისი მეუღლის მასწა-ლინას თაოსნობაა: ყაზახეთში წასული და ირმისში დარჩენილი ბავშვები ერთმანეთში დღიურებს სცვლიან.

პატარა ნატოს დღიურს ჯერ სანდრა დაიზეპირებს ხოლმე, მერე მას მთელი კლასი და მთელი სკოლა კითხულობს, იქიდან დოდაანთ უბანში გადადის. ბოლოს, ხელიდან ხელში ნატარი, დაჭმუჭნილი, თითებისა და ცრემლების უხვი ნაკვალევით ისევ სანდრას უბრუნდება.

წერილებიდან და დღიურებიდან ამოკრეფილი მარცვლები ირმისის დღეთა ავ-კარგთან იკინძებიან და სოფლიდან სოფელში ამბად გადადიან, თითქოს ხალხი თანაზიარად წიგნსა სწერს დარიანის რაიონზე.

ირმისელებმა რომ შეიტყეს, ყაზახეთში ვენახების გაშენება დაუპირებიათო, დიდი ბჭობა და თათბირი გამართეს, მერე აგრონომი დასვეს და უკარნახეს:

— დაწერე, ხატულა, — სიტყვასიტყვით დაწერე, ასე გააგრძელე: „...ნერგებზე ფიქრი ნუ გექნებათ, დროზე მოგაშველებთ-თქო. დაგვპირდნენ, თვითმფრინავით გაგიგზავნითო. რაც კახეთში საუკეთესო ნერგებია თითო-თითოთ ავარჩევთ და იმას გამოგიგზავნით-თქო. მაშ მაგ კაი ხალხთან ხო არ უნდა შევრცხვეთ ქართველი მევენახეები-თქო, აბა თქვენ იცით, ვინძლო გვასახელოთ-თქო..." „დასწერე? ეხლა დაწერე: „...აქაურობის ფიქრი ნუ გექნებათ, უცხოს არავის გავაჭაჭანებთ და არც არავის სახლკარს უპატრონოთ არ დავაგდებთ-თქო..." ეხლა კიდევ დასწერე: „...ჩვე-

ნო ლექსო, ჩვენო ალექსი, ჩვენო სისხლო და ლვიძლო, შენ ხო იცი, არც ერთ ლენცოფანაჭამ ჟამს ჩვენი მამა-პაპა ქედს არ უხრიდა, და თქვენც ყველას მხნეობა და ვაჟკაცობა გევალებათ-თქო...“ ეხლა ყველასგან სათითაოდ მოკითხვა ჩამოწერე, ჩვენ ერთობლივ კარგადა ვართ-თქო და განუყრელათ თქვენთანა ვართ-თქო!“ დასწერე? გაიხარე ჩვენო ხატო, დილაზევე გაგვიგზავნე, შენ გახარებას!...

ხატულამ დარიანის ფოსტიდან გაგზავნა წერილები, ბავშვების დღიურები და ქუჩაში გამოვიდა.

— როგორა ხარ, ხატულა? — შეიჭრა მის ფიქრში ვიღაცის ხმა.

მელითაური ეკითხებოდა, რამაზ მელითაური.

ხატულას წყენისაგან სახეზე ალმურმა აჰკრა.

— გმადლობთ, კარგად, — მიუგო და გზა განაგრძო.

გამწარდა მელითაური. ისევ იმ ტიალ კლდეს შეეჩეხა, მათ შორის რომ ჩამდგარიყო.

— სალაპარაკო მაქვს შენთან, — თქვა ჯიქურ.

— გამეცალე, მელითაურო, ხალხი გვხედავს, უხერხულია.

— მე წლობით ვუწევდი ამას ანგარიშს, ეხლა მომისმინე, ორი სიტყვა მაქვს შენთან.

— მე რომ გავტრიალდე, უხერხულია, ნუ მომდევ.

— თუ არ მომისმენ, შინ მოვალ სალაპარაკოდ.

— დარიანელებს გჩვევიათ სხვის სახლში შევარდნა.

ახლა მელითაურს მოეკიდა სახეზე ცეცხლი.

— სცდები, მაგრამ ეხლა ამის დრო არ არის, სათქმელი უნდა გითხრა და მიბრძანე, როცა გენებოს, საცა გენებოს, იქა გნახავ.

მელითაურს შუბლი შეკრული ჰქონდა. თვალები ყომრალი ნისლის ნაფლეთებივით ჩასწოლოდნენ წამწამთშუა. დათმობას არ აპირებდა.

„ამ კაცს არ უნდა ეგონოს, რომ ვემდური, ან ვადანაშაულებ რამეში. პირიქით, რაც იყო, ის რომ არ ყოფილიყო, ალექსის ვერ შევხვდებოდი და ქვეყანაზე სხვა ვერაფერი ვერ ამინაზღაურებდა ამ დანაკლისს!.. ეთქვა სათქმელი და გამცლოდა, თორემ დარიანელი ავყია ენებს მეტი საბაბი არ დასჭირდებათ...“ — ფიქრობდა აჩქარებით მიმავალი ხატულა.

„გამხდარხარ, ხატო, უფრო მეტად დამსგავსებიხარ ციურს. მოგწვდები განა?! ნეტა მე ვიყო ეგ ნიავი, ბრინჯაოს ნარანდივით დაყრილ თმებს რომ გეფოფინება, უმტვერო თოვლივით შუბლს რომ გიგრილებს. ნუ გამირისხდები, ციურო. მე ხომ არ გიჯავრდები, შენზე ფიქრმა რომ დამადნო კაცი, რომ შენი თვალების სითბოს გარდა, სხვა წამალი ჩემთვის არ არი, შენ კი რისხვით მარიდებ თვალს...“ სევდიანად ფიქრობდა ხატულას გვერდით მიმავალი რამაზი, და რადგან ხატულა პასუხს უგვიანებდა, თვითონვე უკარნახა:

— ზოოტექნიკოსების თათბირს დავნიშნავ და აგრონომებსაც მოვიწვევ. უსათუოდ მოდი, გაჭირვებიდან იხსნი თავსაც და მეც...

თქვა და გაეცალა.

თათბირი საქმიანი აღმოჩნდა. პურმა საძოვრებიც მიითვისა და მეცხოველეები გამოსავალს ეძებდნენ. აგრონომები კი რაიონის ხელმძღვანელებთან კინკლაობით ისე იყვნენ შებეზრებული, რომ პურის სათესად საკარმიდამოსაც ედავებოდნენ ხალხს. ცხარე კამათი იყო. მელითაური გულახდილ, გაბედულ სიტყვაში იწვევდა ხალხს და ბევრი რამ ითქვა ისეთი, რის თქმასაც სხვა თათბირებზე ფიქრადაც კი აიკრძალავდნენ.

ხატულა შორიდან უყურებდა მელითაურს და უკვირდა, რომ თუშის მიმართ არც ჯავრი, არც სიძულვილი არ აწუხებდა. არც პირისპირ შეხვედრის შიში და კრთომა ბორკავდა. თითქოს არ ახსოვდა, თითქოს არც ყოფილიყო თავქარიანი სიყმაწვილის ის

გიჟური გატაცება, უკვირდა, რომ არავითარ კარგ ან ცუდ გრძნობას არ ულვიძებდა ამ ლამაზი და ვაჟკაცური კაცის დანახვა.

— რის თქმა გინდოდა? — ჰკითხა უმალვე, გაიცილა თუ არა მელითაურმა თათბირის მონაწილენი.

— დაგლილიდა ის ყაყანი, მაპატიე.

— რის თქმა გინდოდა? — ჰკითხა ისევ ხატულამ და უგრძნობელმა მისმა კილომ დააბნია მელითაური.

„რის თქმა გინდაო“. განა ადვილია ჩემი სათქმელის თქმა? განა ეგ კითხვა და ეგ კილო მიადვილებს სათქმელის თქმას? მაგრამ უნდა უთხრას, მაშ როდისღა? სადღა ნახავს? ვერც ერთ უძილო ღამეს ველარ აიტანს. შუბლს შეახლის იმ ტიალ კლდეს, ან კლდეს შეამტვრევს ან თავის მოძულებულ თავს...“

— მინდა გითხრა, მოშორდი-მეთქი ბარის აურზაურიან ცხოვრებას. თუშეთში წაგიყვან, მშვიდად და მოსვენებით იქნები.

ხატულამ გაცინება სცადა, მაგრამ ვერ გაიცინა. თითქოს საყრდენს ეძებსო, კარის სახელურს ჩაეჭიდა.

— მაგას რად მეუბნები? — ჰკითხა ხმადაბლა.

მელითაურიც ძლივს იდგა ფეხზე. ისიც კარს ჩაეჭიდა.

— მეტი გაჩუმება აღარ შემეძლო. მაკმარე ის დანაკარგი, რაც ჩემმა უჭკუობამ დამაკარგვინა.

— სხვა სათქმელი თუ არა გაქვს, წავალ, მიღამდება.

— დამიგდე ყური, ხატო, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ მოკლედ გეტყვი. მე ბიძაჩემი მზრდიდა და ერთ ღამეს წაიყვანეს. ჭაბუკი ვიყავ, მაგრამ ამ მარჯვენას უყოყმანოდ დავთმობდი, ოღონც დაეჯერებინათ, რომ იმ კაცის ერთადერთი დანაშაული ამ ქვეყნად — ჩემი განებივრება იყო. ამერია გზაკვალი... შენ რომ შეგხვდი, მაშინ მე უკვე სიკეთეს არსად ვეძებდი, არც მინდოდა, ვერიდებოდი. უფიქრელად, ოხრად, ტიალად გავატარე ჩემი ცხოვრება. ეხლაც არაფერი მინდა, ოღონც შენ დამიჯერებდე, რომ მე ამ სიმარტოვეს ველარ ავიტან. სულ ხალხში ვტრიალებ და სულ მარტო ვარ, აი აქ, გულში ვარ მარტო, და ველარ ვუძლებ...

სიტყვებს არ ეძებდა, არც უკვირდებოდა. გამშრალი ტუჩებით, დაღლილი თვალებით ნელა ლაპარაკობდა, თითქოს სიტყვებს კი არ ამბობდა, დაგუბებული სამსალა წვეთავდა მისი გულიდან.

ხატულა უმოძრაოდ იდგა. მის სახეზე არაფერი არ აღბეჭდილა. „როდის გახდა ასეთი?“ — უკვირდა გულში. მის არც ერთ სიტყვაში არ დაეჭვებულა. უცებვე დაიჯერა: კაცი, რომლის ნაკვალევზე მას ოდესღაც ია და ვარდი ეჩვენებოდა — უბედურია. მაგრამ ის გული, სატრფოს ია-ვარდად რომ ეფინებოდა, ენამზიანმა თუშმა იმ ალიონზე წასვლისას წაიღო თან და იალაღზე მიმავალმა სადღაცა გადააგდო. ხატულა კი ბედმა სანდრა-პაპას ქოხში მიიყვანა...

მოულოდნელმა ასოციაციებმა ხატულა უცებ დეკემბრის იმ წყეულ ღამეში გადაისროლა და ალექსის იმღამინდელი სახე დაანახა. მაშინ ხატულას ალბათ ელდა უშლიდა, ახლა ნათლად დაინახა ის სახე, და ახლა, ამ წუთს ჩასწვდა ალექსის მაშინდელ სულისკვეთებას. საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის არჩევანი რომ ყოფილიყო, ალექსი სიკვდილს ირჩევდა, მაგრამ მათთვის — ხატულასთვის და სანდრასთვის მორჩილად დახარა თავი, თქვა: „ვისარგებლოთ ჰუმანურობითო“ და საძულველი მომხდურების წინაშე თავისი მორჩილებით გასრესილი წავიდა, თავდახრილმა გადააბიჯა თავისი კარის ბჭეს... ახლაღა მიხვდა ხატულა, რომ შემთხვევამ კი არა, იმ მორჩილების სირცხვილმა, გათელილმა ღირსებამ, აუტანელმა წყენამ მიიყვანა ალექსი ქარიან უდაბნოში...

ყვირილი ძლივს შეიკავა და მელითაურმა ხელის შეშველება დააპირა, მაგრამ ოდნავ შესამჩნევმა მისმა მოძრაობამ ხატულა უცებ მოსწყვიტა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცარ ხილვას. „მარტოობას ველარ ვიტანო. როდის გამხდარა მელითაური ასეთი?“ — დაუბრუნდა პირვანდელ განაფიქრს და სახე ისევ არაფრისმთქმელი გაუხდა.

მელითაური მიხვდა, რომ შესცდა. ქალის გაფერმკრთალებულ სახეს ახლახან ალმა რომ აჰკრა, გულისცემამ კაბის საყელო რომ აუთრთოლა, ფართოდ გახელილ თვალებში მუქი წერტილები რომ აირივნენ — ის ყველაფერი სხვაზე ფიქრი იყო...

— ჯერ ახალგაზრდა ხარ, ოჯახს მოეკიდე და მარტო აღარ იქნები, — უთხრა ხატულამ და იგრძნო თავისი ნათქვამის უნიათობა.

ნაოჭები ნაჭდევებივით დააჩნდა მელითაურის სახეს. თავი კარს მიაყრდნო. „მაშ რა გეგონა? რის იმედი გქონდა?“ — გაუელვა კითხვამ და უხმოდ ჩაეცინა. მერე მხრები აიწურა და თითქოს სიტყვები ყელს უჩხაპნიდნენ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა:

— იცი, რის თქმა ა-რ მინდოდა?

ავმა წინათგრძნობამ ბრჭყალები დაასო ხატულას. „ნურც იტყვიო“, სთხოვა კინაღამ, მაგრამ წელში გასწორდა და სახე ისეთი უმეტყველო გაუხდა, რომ თმების წაბლისფერსაც კი დაეკარგა სითბო.

— ბიძაჩემივით უცოდველია ალექსი რჩეულიშვილი, მაგრამ... — თითქოს ლონე მოიკრიფა მელითაურმა და ხმამაღლა დამარცვლა: — მაგრამ მე არ მინდა, ჩემი შვილი უმამოდ იზრდებოდეს, გესმის?

ხატულამ ფრჩხილები ჩაასო თავის ხელისგულებს, კარს მოშორდა და მახლობელ სკამზე ჩამოჯდა. არაბუნებრივად წელგამართული იჯდა. მხოლოდ კაბის საყელოს თრთოლვა ამხელდა ისევ აჩქარებულ მის გულისცემას. მელითაურს მიპყრობილ გაფართოებულ თვალებში, საოცრად გამჭვირვალე გუგებში ისევ უთავბოლოდ აირივნენ მუქი წერტილები.

— მე ნუ დამადანაშაულებ. არ მინდოდა მეთქვა. შენ მაიძულე მოგაგონო ის, რაც ადვილად დაგვიწყებია. შენ მათქმევინე.

ხატულა გაუნძრევლად იჯდა, სანამ გრძნობების სადავეს ჩაიჭერდა, მერე თქვა:

— ენამზიანს მოქარგული სიტყვები უფრო გშვენის, ვიდრე შხამის ნთხევა. ჩემი შვილი — ალექსის ძეა, რჩეულიშვილი.

— ბიჭი ჩემი თრეულია. — სანამ რჩეულიშვილი იყო, მე ბავშვის სიკეთეს ვწირავდი თავს. ვითმენდი მარტოობას. შენს სიმშვიდეს ვწირავდი თავს. ახლა კი...

— ალექსი დაბრუნდება! — ხმამაღლა შეაწყვეტინა ხატულამ, და უცებ სადავე დაუსხლტა, ზეზე წამოიჭრა, ხმაც აიმაღლა: — თუ არა და, თავში იხალეთ შენ და შენმა მფარველებმა ეს ვაზიც, ეს მიწაც! ჩვენ, მე და ჩემი შვილი ალექსისთან წავალთ, გესმის?

— განა შენ იცი, ან მე ვიცი, ან იცის ვინმემ, რა მოელის ალექსის. ბიჭი უმამოდ არ უნდა იზრდებოდეს, როცა ვარსებობ მე, მისი მამა.

წინათგრძნობამ ახლა თითქოს ათასი ბრჭყალი დაასო ხატულას სხეულს. ტკივილისაგან თვალებში ბინდი შეეცილა შუქს. ის კაცი ახლა ხან უაზროდ დაბორიალებულ აჩრდილად ეჩვენებოდა, ხან ისევ მკვეთრად ეხატებოდა კართან უმოძრაოდ მდგომი. და როცა დალაპარაკება შესძლო, თითქოს სხვისი ხმა მისწვდა მის ყურს:

— ქვის გული გქონია, მელითაურო, ადვილად შეგძლებია ადამიანის ამოშლა ცოცხალთა სიიდან.

ახლა ხატულა სცდებოდა. მელითაურის გულში იმედის მკრთალი ნაპერწკალიც ჩაქრა, და მარტოობის წყვდიადში, სადღაც შორს, მიუწვდომელზე, მისი სიტყვებით დახანჯლული ხატულას სახე გაუკრთა. განა ამაზე ოცნებობდა წლობით?

— არა, ციურო, ცოცხალთა სიიდან მე ჩემი თავი ამოვშალე ადრევე, სწორედ იმიტომ, რომ ადამიანის ნებაზე ძალადობის მოძულე ვარ. შენ გეგონა, მე მართლმსაჯულებას მოვიშ-

ველოდებოდი? იძულებით გამოგტაცებდი დასტურს? არა. შენ და ჩემი შვილი მენატრებით. უფლებით კი არა, გულით. რომ იცოდე, რა ტანჯვაა...

თვალები მშრალი ჰქონდა. ტუჩებიც. ხმა უტიროდა ჩუმად, ძალიან ჩუმად.

— ნუ იფიქრებ, დრო გიპოვე, უმწეო განახე, იმიტომ გითხარ ჩემი სათქმელი. ყველაფერში ჩემზე იღბლიანი ხარ. გჯერა, ალექსი დაბრუნდება. მე არაფერი არა მჯერა. არაფერი. არც ალექსის დაბრუნება. იმიტომ გაგიბედე. ნუ მიწყენ, ხატო, ნუ შემრისხავ...

ხატულა ნელა წავიდა კარისაკენ.

— მე ვილოცებ, რომ რჩეულიშვილი დაბრუნდეს. იმ ჩვენი გაყრის დაწყევლილ დღიდან შენ შენს შვილზე ზრუნვით იოკებდი გულს. მე ეგ სიხარული გამოვწირე ჩემ თავს, ჩემი ზრუნვა ეს ლოცვაღა იქნება, ურწმუნო კაცის ლოცვა, ვილოცებ, რომ ჩემ შვილს მამა მალე დაუბრუნდეს...

დამძიმებული ქუთუთოები ჩამოეფარნენ ყომრალი ნისლივით ჩაწოლილ თვალებს. უსინათლო, უსიცოცხლო სახე თაბაშირის ნიღაბივით გაუხდა, და ნიღაბი სიკვდილის ნატვრას დაემსგავსა...

ხატულა სწრაფად გავიდა ოთახიდან.

## თავი მესამე

ყვავილოვანში კი დღიურის წერას განაგრძობს პატარა ნატო.

„ოთხშაბათი, 27 დეკემბერი.

ყოველდღე ყველაფერს რო ვწერამ, გამოდის მე ძალზე ცუდი გოგო ვარ და ამას სანდრა კითხულობს და მთელი ჩვენი კლასიც და რას იფიქრებენ ჩემზე? დღეს პლატონ-მასწამ მითხრა გაკვეთილი უკეთესად უნდა გესწავლაო და რა ჩემი ბრალია კარგად რო არ ვიცოდი. სკოლიდან შინ რომ მივედით ჯაფარაანთ ლიზამ მითხრა პატახან იასთან იყავიო და თითონ წავიდა საცა დედაჩემიც და სხვა ქალებიც ბამბისთვის ტომრებსა ჰკერავენ, ჩემთან კიდე ოსიკო მოვიდა, გაკვეთილები უნდა მოგვემზადებინა და იამ ქ[illegible]-რილი მორთო და ჩვენ გვეგ[illegible] და კუმისი დავალევინეთ, მთელი სავსე ჭიქა ლამაზად გადაყლურწა და მერე ერთბაშად სუმთლად უკან ამოუვიდა. მე და ოსიკოს ძალზე შეგვეშინდა და ყვირილი დავიწყეთ, ყველანი მოცვივდნენ და ლიზას კინაღამ გული შეუღონდა და დედამ მითხრა მოსაკლავი ხარო. დიდები ყველაფერს მე მაბრალებენ და მე ძალიან დარდიანათა ვარ, არც ახალი წელი მინდა არც აქ ყოფნა მინდა, არც ეს თოვლი მინდა, რო საითაც გაიხედო მარტო თოვლი და თოვლი და სხვა მეტი არაფერი, მე ირმისში მინდა. მერე ძია ალექსიც მოვიდა და ყველაფერი როცა გაიგო მე სხვების უჩუმრა მითხრა, შენ რო ჩემი ვერგილიუსი ხარ ტირილი არ შეიძლებაო. წინათ მე მეგონა ვერგილიუსი აქაური სიტყვაა და მემრე ძია კოსტამ მიამბო რომ ვერგილიუსი კაცსა ჰრქმევია, უწინდელ დროს უცხოვრია სამოთხე როცა ყოფილა და იმ სამოთხეში მიმსვლელების გამცილებლათ უმსახურია. მე ძია ალექსის ვუთხარი, თუ ძია სტალინი კარგია, რატო ირმისელი ბავშვების წერილზე არ გვიპასუხა. მე არ ვიცი იგეთი საწყენი რა ვთქვი რო ძია ალექსიმ სახეზე ხელები აიფარა და იგრე იჯდა დიდ ხანს და მემრე მითხრა ალბათ წერილი არ მიუღიაო, იმიტო რომ ავსულები უდგანანო დარაჯათო და იმასთან კაი კაცებს და კაი წერილებს არ უშვებენო და იმას შენისთანა ვერგილიუსი არა ჰყავსო. მე კიდე უთხარი რომ მე პატარა ვარ და იმას შენისთანა ვერგილიუსი უნდა ან ძია კოსტასთანა ან ძია მაგუან ტასანბაევისთანა მეთქი და ძია ალექსიმ გაიცინა და მითხრა ძილის დროა და დაიძინეო...“

ხუთშაბათი, 28 დეკემბერი.

„დღეს როცა სკოლაში მივდიოდით ქარმა ჩარდახი ააგლიჯა ჩვენ მანქანასა და ბავშვები კინაღამ ქარმა წაგვიღო და ძია კოსტამ ცოტას გადარჩა არ გა-

გლიჯა შოფერი, რატო კარგა არ დაგიმაგრებიაო და მემრე თავისი ქმრით დამიჭირა და სხვებიც ერთმანეთს მიამაგრა და სკოლაშიც დავიგვიანეთ, მაგრამ არავინ არ გაგვიჯავრდა, პლატონ-მასწა და მასწა-ლინა და ყველანიც მოვარდნენ თურმე ძალზე შეჭშინებიყოთ რო დავიგვიანეთ და მაშინვე ცხელ-ცხელი ჩაი დაგვალევინეს თაფლით და ფუნთუშებით. ჩემ კლასში როა სალიმა ტასანბაევა იმან თავისი შალი მომახვია და მე მალე ჩავთბი და ჩაიც ბევრი დავლიე. აქაური ჩაი არაუშავსრა გემრიელია, ხოლოთ რაღაცნაირი მწვანე ფერი აქვს. მალე ახალი წელი იქნება და მემრე სამი იანვარი იქნება და მე თორმეტი წლისა გავხდები, მაშინ როცა ათისა გავხდი ჩვენ ეშელონში ვიყავით და იგრე ძალიანა ციოდა, თუ ვინმეს მოსწყურდებოდა ცულით უნდა მოეტეხნა ვედრაში წყალი. ეხლა ჩვენ ყვავილოვანში ძია ალექსიმ რო ააშენა, ყველას სახლში ბუხარი გვაქ და ქვეყნის წივა გვაქ და ისე თბილა ისე რო ჰა! დიდედამ მითხრა გეყოფა დაწერა ნავთი დაილევაო და დედამ კიდე თქვა ჯანდაბას ნავთიო ხვალე ელექტრონი გვექნებაო, დიდედამ კიდე უთხრა რა იცი ან იქნება ან არაო, ეგება ამ წყეულმა ქარმა არ დაანებოს ხალხს მუშაობაო. ვინ იცის ჩვენი ირმისი ეხლა როგოა გაბდღრიალებული ნეტა ცალი თვალით მაინც მანახა, სუყველანი ალბათ ემზადებიან ახალი წლისთვინ, მაგრამ ჩემი კლასელები უჩვენოთ იგრე მხიარულად არ იქნებიან. მალე სანდრიკას დღიური მოვა და ყველაფერსაც გავიგებთ, ეწერება ვისთან იყვნენ ნაძვის ხეზე...“

„პარასკევი, 29 დეკემბერი.

ნიშნები დაგვირიგეს და მე ყველაფერში ხუთიანები მივიღე. ხოლოთ პლატონ-მასწამ მითხრა წერის დროს სასვენ ნიშნებს თუ არ დაუკვირდები ორიანს მიიღებო. ამას იქით ბეჯითად ვიქნები და ბევრ სასვენ ნიშნებს დავსვამ, და სანდრას დღიურსაც კარგად შევამოწმებ, ვნახო იმას როგორა აქვს საქმე წერტილ-მძიმეებში, [illegible] არითმეტიკაში სამიანი მიიღო და იტირა, რა ჩემი ბრალია, მე ქართულად ვიციო და რუსულად მეშლებაო და ჩემ დღიურს ირმისში აღარ გავგზავნიო, ბიჭები დამცინებენო. მემრე პლატონ-მასწამ უთხრა, არაუშავრა, მე გასწავლიო და შენც ხუთიანზე გეცოდინებაო. დიდედამ მითხრა, ძია ალექსი ეგრე ძალიან რო გიყვარს, აჩვენე შენი ნიშნები და გაახარეო. დიდედამ არ იცის, რომ მე ძია ალექსის ვერგილიუსი ვარ და ძია კოსტაც ძალიან მიყვარს იმიტომ, მეცოდება, რო იმას არც ვერგილიუსი ჰყავს, არც სანდრა, არც დეიდა ხატულა, არც სახლი აქვს ირმისში და არც დოდაანთ ქუჩა იცის. და იქნება მამაჩემიც ეგრე კარგი ყოფილიყო და მე იმისი გახარებაც მდომნიყო. მემრე ძია ალექსიმ ბავშვები თავისთან მიგვიყვანა და ირმისიდან გამოგზავნილი დიდი ყუთი გახსნა. ვაიმე დედილო, შიგ ჩემოდენა ნაძვის ხე იყო, სათამაშოებიც და მოსართავიც. ნაძვის ხე ყველას ძალიან გაუხარდა, იმიტომ რომ აქ არც როგორი ხე არ არის და ძია ალექსიმ ქარისსაჭერად ძალიან შორიდან ჩამოიტანა პაწაწკინა ალვის ხეები და ყველანი მოჭრილი თითივით უვლიან იმ ხეებს და საზამთრო დაბამბული ტომრებიც კი ჩააცვეს. იმ ყუთში ცალკე ჩემთვინ დიდი დედოფალა იყო და წერილში ეწერა ნატოს ეგზავნება დაბადების დღეზეო. დეიდა ხატულამ გვიყიდა ქალაქში და გულნაზი ჰქვიანო. უიმე დედილო, როგორ მიყვარს ჩემი კლასი და სანდრაც და დეიდა ხატულაც და ირმისიც. დიდედა გამიჯავრდა, რა გატირებსო. მე რა ვქნა რო თავისთავად მეტირება. მემრე ძია კოსტასთან ვიყავით პარკები დავაწებეთ და ჩამიჩით, ჭერმის და ნესვის ჩირით გავავსეთ ირმისელი ბავშვებისთვის. მე ძია კოსტას უკარნახებდი და აწერდა სახელებსა და გვარებს, ძია კოსტა სუყველაფერს ხელათ იზეპირებს ხოლმე, ქართულსაც ძალიან მალე იზეპირებს, ირმისელი ბავშვე-

ბის სახელებიც და ქუჩების სახელებიც სულ ზეპირად იცის...“

„შაბათი, 30 დეკემბერი.

მე სირბილი და ხტუნვა მინდა, ყველასაც სიცილი უნდა, იმიტომ რო ელექტრონი მოვიდა, სუყველგან ქუჩაშიც და სახლებშიც ისე განათდა ისე რო ჰა! აქ რო ძალიან გამუდმებით ქარია და ბოძები არ არის, ელექტრონი მიწაშია გაყვანილი და ზემოდან არცსუ არა ჩანს. გოგო-ბიჭები ჩვენსა ისე ძალიან ვხტუნაობდით, რო ჭერში ჩამოკიდებული ერთი დიდი ნესვი ჩამოვარდა და პატიკოს ზედ თავზე დაეცა და ვეება კოპი დაუსვა, ზურიკომ თქვა, ეს ნესვი ყაჩაღი ყოფილაო და უნდა დაისაჯოსო და დავჭერით, ძალიან ტკბილი გამოდგა, კაი სუნიც ჰქონდა, ყველანი იძახდნენ ნეტა ირმისელებსაც მისცათ ამისთანაო. ზაფხულში ბამბის კრეფა როცაა, ბუჩქებში ერთბაშათ ნესვი ან ყარფუზი გამოჩნდება ხოლმე, წინწინ იმათი ძებნა არ შეიძლება, ბამბის კრეფის დროს რო სწყურდებათ მუშებს, მაშინ უნდა იპოვნონ და პირი გაისველონ. დიდები ახალწლისთვის რაღაცეებს ამზადებენ და ჩუმჩუმად ტირიან. მითომ ჩვენ არა ვხედავთ, იმათაც უნდათ ირმისი და იმიტომ ტირიან. ძია ალექსიმ ყვავილოვანი როცა ააშენა, ყველას უთხრა, და ეხლაც ყველას უთხრა, ღორი არ გააჭაჭანოთ, აქაურებს ღორი არ უყვართ და ჩვენც ხათრით ნუ გვინდაო. დიდედამა თქვა, დაილოცოს აქაური ხალხი, აქ მაინც ვიყოთ უღორებოთო. ყველამ გაიცინა და ძია კოსტამ თქვა, მადამ ნატალი ფილოზოფი არი და მე მეწყინა, რა თქვა ჩემ დიდედაზე, მაგრამ დედამ მითხრა, ეგ საწყენი სიტყვა არ არიო. ძია კოსტა ყველას სახელებს უგონებს და დედაჩემსაც ბეატრიჩე დაარქვა. ჩვენი ნაძვი ოსიკოანთსა დავდგით, ოსიკოს პაპა-ივანიკო რო მოკვდა, ეხლა იქ მეტი ადგილია. ძია კოსტა, პლატონ-მასწა და მასწა-ლიზა იქ არიან, რთავენ ნაძვს და ჩვენ გამოგვლალეს, მერე დაგიძახებთო...“

„ხუთშაბათი, 4 იანვარი და ახალი 1953 წელი.

უიმე, უიმე, უიმე, დედილო, როგორ გამეპარა დღეები, რამდენი გამოვტოვე დღიურში და ეხლა რომელი ერთი დავწერო. ყველაფერი ამერიადამერია. მაშინ რო დაგვიძახეს, ნაძვის ხე ძალზე ლამაზად ენთო და ჩვენ იმის ტოტებს ხელს ვართმევდით, იმიტო რომ ის ხე ირმისელია. ჩვენთან ბამბის მეურნეობიდანაც ბევრი სტუმრები იყვნენ და ძია კოსტას დიდი ტომარა ეკიდა ზურგზე, ვითომ თოვლის პაპა იყო და ყველას საჩუქრებს ურიგებდა. მემრე ვიღაცამ დაიძახა, ალექსი რაიქნაო, და მე ჩუმად გავიპარე. ძია ალექსი თავისთან მარტოკა იჯდა და მე რომ ამასწინაზე სანდრას დღიური დამეკარგა, ის დღიური ეჭირა, და მითხრა, მაპატიე, არა გკითხე, იგრე ავიღეო. მე კიდე უთხარი, ეგ დღიური სულაც მიჩუქნია შენთვის და ნაძვის ხეც ვისაც უნდა იმისი იყოს, რაკი მე შენი ვერგილიუსი ვარ, შენთან უნდა ვიყო მეთქი. ძია ალექსიმ რაღაცნაირად გაიცინა, ამოდენა გოგო ხელში ამიყვანა და ორივენი ერთად წავედით ნაძვის ხეზე, ისე ვიმხიარულეთ, ისე რო ჰა! სალიმაც იყო, დეიდა კულიაშიც და ძია მაგუანიც, თავიანთებური ჩასაცმელი მაჩუქეს, ყვითელი აბრეშუმის შალვარი, ზემოთ ალისფერი ხალათი და ზედაც ჭრელი სარტყელი. როცა ჩავიცვი, ძია კოსტამ სურათი გადამიღო და მზად რო იქნება, ირმისში გავგზავნი, ჩვენ კლასში ჰქონდეთ ჩემ ჩასვლამდე. ჩემი კლასელები არ გამებუტებიან დღიურში რომ ბევრი გამოვტოვე, ოსიკო სწერამდა და მე აბა როდის დამეწერა, ისე ვიღლებოდი ისე, ისე რო საღამოს თვალები თავისთავად მეხუჭებოდა. ორშაბათიდან ისევ ყოველდღე დავწერამ ხოლმე და სასვენ ნიშნებსაც კარგად ვადევნებ თვალყურს...“

ნატოს კალმისტარი დაუვარდა ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდან. არც გაუგია, დიდედამ როდის გახადა და დააწვინა სიზმარში გაღიმებული სალიმას გვერდით.

* * *

თოვდა. ჰყინავდა. მოსაღამოვებული იყო და ხალხი თავის დათოვლილ სახლებში იყო შეყუჟული. მხოლოდ ბოლის წვრილი ზოლები ამხელდნენ იმ უკიდეგანო თოვლიან ტრამალებში სიცოცხლის არსებობას.

კოსტამ ალექსის კარზე დაარახუნა და ოთახში შეაბოტა.

მთლად შეჭირხლული იყო, უჩვეულოდ აწყობილ-აკვალთული. კართანვე გაიძრო კოჭებამდე გრძელი, ბეწვის ქურქი, ირმის ტყავის ჩექმები, ცეცხლს მიუჯდა და უჩვეულოდ მოკლედ, ორიოდე სიტყვით გაანდო ალექსის თავისი გულისნადები. მერე სათვალე მოიხსნა და გაღვივებულ წივას მიაშტერდა. მოთმინებით უცდიდა პასუხს.

მაგრამ ალექსიც მდუმარედ შეჰყურებდა ცეცხლს. მან იცოდა, რომ ილეტაქსას გაცნობის დღიდანვე მოეწონა და მალეც შეუყვარდა ირმისელები; იცოდა, რომ ირმისელებმაც ასევე მალე და უყოყმანოდ შეითვისეს ეს წოპწოპა, შეუხედავი კაცი, საოცრად მიმზიდველი თავისი კეთილშობილებით. ურთიერთპატივისცემა უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ილეტაქსამ თავისი ბარგი-ბარხანა გადმოიტანა ყვავილოვანში და ერთ-ერთ ალიზის ქოხში დასახლდა.

მისმა მომხიბვლელობამ, ვაჟკაცურმა თანაგრძნობამ და დაუნელებელმა ყურადღებამ მთლად თავისიანად გახადა. აუცილებელი გახადა იგი ყვავილოვანში დასახლებული ხალხისათვის, ისევე როგორც აუცილებელი გახადა კოსტასთვის მათთან მეგობრობის სითბო. მაგრამ ალექსი დიდი ხანია გრძნობდა — ილეტაქსას დამოკიდებულება დოდაშვილების ოჯახისადმი გასცდა უბრალო კეთილმეზობლურ განწყობილებას. მისთვის მოულოდნელი არ იყო ის, რაც კოსტამ სულ ორიოდე სიტყვით გაანდო.

„თუ ოლას შვილებს მშობელი მამის ნახვა არ უწერიათ, შენზე კეთილი მამობილი არ შეიძლება სხვა იყოს, — ფიქრობდა ალექსი, თითქოს ხმამაღლა ელაპარაკებოდა ილეტაქსას. — შენ ღირსი ხარ დიდი სიხარულისა. აგრე მგონია, ჩემსადრინდელ ცხოვრებაში მინახიხარ გაჩხიკული, მყვირალა, გოგო-ბიჭებში აურზაურის ამტეხი, დაუდეგარი ბიჭი; მგონია შეგხვედრივარ ჭაბუკს, ჭკვიანი და აფხორილი ჩიტივით რომ ჩაჰკირკიტებდი ადამიანის ანატომიას და ჰომეროსს. უშიშარ, თავისუფლებისათვის მებრძოლ, ჯარისკაცსაც შეგხვედრივარ თითქოს. სიხარულისა და ბედნიერების ღირსი ხარ, მაგრამ ელიზბარი? იქნებ მართლაც ცოცხალია, იქნება სადმეა ელიზბარი, იქნება გამოჩნდეს...?“

— სუმთლად ჩაიყლაპე ენა? — ვერ მოითმინა, ბუზღუნით გაუწყვიტა ფიქრი ილეტაქსამ.

— კოსტა, იცი, ნატალია რას ამბობს? „რაკი ჩემი შვილი ცოცხალი ყოფილა, ადრე თუ გვიან, უეჭველად დაბრუნდებაო. სადაც არ უნდა იყოს, ის სამარცხვინოს არას ჩაიდენდაო. იცის, შინ დედა ელოდება, ცოლ-შვილი ელოდება, შინ ირმისი დარჩა, მამის საფლავი დარჩა, ის ისეთი ბიჭი არ არის, შინ აღარ მოესვლებოდესო“. ნატალიას იმედი აქვს დაბრუნდებაო, გესმის?

— მესმის, ის დედა არის, შენ როგორ არ გესმის, ეგ ზღაპარი არის. თუ ქმარი თორმეტი წელიწადი არ ეტყვის ცოლს, ცოცხალი ვარ; მაშინ ის მითია, თუნდა მართლა ცოცხალი იყოს!

— რა იცი, იქნება არა აქვს მოწერის საშუალება.

— მე სუმთლად არ ოცნებობ იმის მოკდომაზე, იყოს ცოცხალი, მაგრამ თორმეტი წელიწადი?! მორალური უფლება დაკარგა ეხლა თქვას, ეგ ქალი ჩემი ცოლი არის!

— ქალი — დედას, ნატალიას ჩააბარა, თავის ოჯახში ეგულება!

ალექსის ასე აღელვებული არასდროს უნახავს კოსტა. რუსული, ქარ-

თული, ბერძნული, ყაზახური სიტყვების ნიაღვარში ძნელი ხდებოდა მისი აზრის გაგება.

— ო-ო, მე ძალიან-ძალიან თაყვანვცემ მადამ ნატალის, ის დიდი ღირებულების ქალია, მაგრამ ის არ უნდა იყოს ახალგაზრდა ქალის მეციხე, ის ხოლოდ 32 წლისა არის! იმ ქალმა მადამ ნატალის სამი დოდაშვილი აჩუქა, და მადამ ნატალიმ თითონ უნდა თქვას, შენთვის ქმარი საჭირო არის, იქნება სამი შვილი კიდე იყოს!

ალექსის ჩაეცინა. მარტო ეს რად ღირდა, ამ კაცს თავდავიწყებით რომ უყვარდა ბავშვები...

— მერე რა იქნება, ღმერთმა იცის, კოსტა, ჯერ კი ნურაფერს გაამხელ, დაიცა, ეგ ადვილად გადასაწყვეტი არ არის, მაგას დიდი ტკივილი მოჰყვება...

— ბევრი-ბევრი ტკივილი სოფოკლეს ტრაგედიაში არის, მე ტრაგედია არ მინდა! ჩემი სურვილი ტკივილი არის? ცუდი არის?

— ცუდი კი არა, ძნელია-მეთქი. ბავშვებს არც ოლა დასთმობს, არც ნატალია.

ილეტაქსა ისე წამოიჭრა ზეზე, ცოტას მორჩა, თავი ჭერს არ შეახეთქა:

— რას ამობ, რათ დათმონ? არც მე დათმო! მე მინდა მადამ ნატალიაც, ბავშვებიც, ოლიკოც!

— მარტო შენი სურვილი ხომ არ არის საკმარისი, ადამიანო, იქნება დოდაშვილებმა არ მიგიღონ.

— რატო არ მიმიღონ? რატო? მე ნამდვილი მუშა-კლასი ვარ! ვინმეს მოკდომა უნდა — მე ექიმი ვარ! მანქანა გაფუჭდა — მე მექანიკი ვარ! ბამბა უნდა — მე ბამბის მუშა ვარ! ვენახი უნდა — ვენახში იმუშავებ, შენ არა ხარ მეგობარი, შენ ამობ, არ მიგიღონ! რატო არ მიმიღონ?

— დამშვიდდი, კოსტა, ნუ აჩქარდები, დაიცადე-მეთქი.

— მაგჟან ტასანბაევი კარგად იცის: იოი! მეც ვიყვირო: იოი! იოი! მე ეხლა წერილს დაუწერ შენ ხატულას, დაუწერ, შენი გული ცივი ქვა არის! მე ასე ფიქრობ შენზე: ნამდვილი ქვა არის! ნატურალური ქვა!..

კოსტა ყვირილით გავარდა გარეთ... შინ გაიქცა და მაგიდას მიუჯდა, ხატულასთან წერილის წერა დაიწყო, მაგრამ იმ საღამოს ყვავილოვანში წერილი ვერავინ დაამთავრა:

არემარე აიკლო შაშვის სტვენამ!

წამში გაცოცხლდა დასახლება. დიდი და პატარა გარეთ გამოეფინა იმ თოვლში და ყინვაში. განა ხშირია ასეთი გულადი შაშვი, ზამთარში მოფრინდეს და ამ დალამებისას გაგიჟებული სტვენდეს?!

დიდი და პატარა გაფაციცებით ათვალიერებს გარემოს.

ოზბეთელაანთ დალის გარდა. დალიმ იცის: ქვეყანაზე არც ერთი შაშვი არ სტვენს ასე ლამაზად, და თუ ზღაპარი ოდესმე მართლდება, ახლა მალხაზს დაინახავს!

და დაინახა. მოდის მალხაზი. მხარზე ხურჯინი გადაუკიდია. ცხვრის ტყაპუჭი გაულელია და ურჩი, შავი ქოჩორი კეფაზე მიგდებულ კრაველის ბოხოხს მისტმასნებია.

ხედავს დალი და ადგილიდან ვერ იძვრის. ვერც ხმა ამოუღია. დგას და წამწამებს ახამხამებს.

დიდი და პატარა კი ყვირის:

— მალხაზი! მალხაზ! მალხაზო!..

ქუჩის სიგრძეზე გამოფენილი ხალხი უცებ ერთ დიდ კონად შეიკრა, ბიჭი შიგ ჩაიხვია. დალი კი დგას და ბრაზობს:

„ვითომ რაო? ფასკუნჯი ხომ არ მოფრენილა? მათ თვალწინ არ იზრდებოდა ირმისში ეს ბიჭი? ზოგი დასცინოდა კიდეც, მანქანებზე გიჟდება და ტრაქტორის მიმბმელად კი მუშაობსო. ეხლა ყველას მოუნდა იმ ბიჭთან დალაპარაკება, მისი ხმის გაგონება, მის მხრებზე და ბეჭებზე ხელის დატყაპუნება!..“

ბრაზობს დალი, მაგრამ განა არ იცის? ირმისიდან გამოცხადებული მალხაზი ხალხს მართლაც ჰგონია, შაშვიაო, სიკეთისა და გაზაფხულის ჩიტი-მახარობელი. მაგრამ ერთიც ვნა-

ხოთდა ამ სულელმა, გზააბნეულმა შაშვმა ბოლო მოიქნიოს, გაფრინდეს, გაქრეს... იტყვიან, დალი გაგიჟდა, ამ ყიამათ ზამთარში შაშვის სტვენა რამ მოაჩვენაო...

— მოგნახეთ... — ყველა კითხვაზე იმეორებს და იმეორებს მალხაზი. შორი გზა გალია, ნებართვა მიიღო, ყვავილოვანს კითხვა-კითხვით მოაგნო და არა სჯერა, რომ უკაცრიელ, უკიდეგანო, თოვლიან ტრამალებში ჩაკარგული გოგო იპოვნა. „მოგნახეთო“, — იმეორებს და კისერწაგრძელებული უყურებს გოგოს. დგას გოგო, ისევ ისეთი, ყარაჩი, ისეთი წვრილი, რომ სამაჯური წელზე მოსწვდება, დგას და ნამიანი ბალახივით მოლალანე თვალებით ანათებს იქაურობას.

„მოგნახეთო“, — ესმის უმოძრაოდ მდგომი დალის ამხტარ-დამხტარ გულს.

ჯერ ან ერთს, ან მეორეს რა უცხოვირა ქვეყანაზე, რა იციან როგორ უნდა გრძნობების მიჩქმალვა?! ვერც მიჩქმალავდნენ, მაგრამ ირმისიდან ჩამოსული ბიჭის სტვენამ შესძრა ყვავილოვანი და იმ საერთო მღელვარებაში ვინ მიხვდებოდა, ეს ერთი გოგო რამ მიაჭედა ადგილს, ან ეს, საიდან სად ჩამოსული ბიჭი ასჯერ ვის უმეორებს, „მოგნახეო“?!

ვერც ალექსი მიხვდებოდა, ირმისში, ოზბეთელაანთ ლობესთან თვალი რომ არ მოეკრა ამ გოგოს და ბიჭის შეხვედრისათვის.

ალექსი კი მიხვდებოდა, მაგრამ კოსტა ილეტაქსა? ეს შეყვარებული რაინდი საიდანღა მიხვდა, ალექსის გვერდით რომ გაჩნდა და თვალებმოწკურვით ჩასჩურჩულა:

„ეხლაც იფიქრობ, ელიზბარი ვერ ეტყოდა ცოლს, „დამიცადე, მე ცოცხალი ვარ?!“

* * *

სძინავს სანდრას და ბალიშქვეშიდან მოჩანს ყაზახეთიდან მალხაზის ჩამოტანილი დღიური. ხატულა კი ბუხართან ზის და ვინ იცის, მერამდენედ კითხულობს ილეტაქსას ჩანაწერებს. ჩანაწერებს „წინსიტყვა“ და „ბოლოსიტყვა“ აქვს დართული.

„წინსიტყვაში“ ილეტაქსი სწერს:

„ძვირფასო მეგობარო — ქალბატონო ხატულა! მე გზავნი თქვენ და თქვენი სანდრას ბევრი-ბევრი სალამს და კეთილი მოსურვილებას და მადლობას საჩუქრების გამოთ. მეტად დიდი-დიდი მადლობა „საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია“ და ლექსიკონების გამოთ. თქვენგან მე გავაკეთე პატარა საინტერესო ბიბლიოთეკა და შემიძლია ვიცოდე თქვენი შვენიერი ქვეყნის ისტორია. ძვირფასო მეგობარო — ქალბატონო ხატულა, თქვენ ისე იცით ჩვენი ყვავილოვანის ცხოვრება, ვითომ როგორც თავისი თვალებით ნახოთ, ეხლა შევასრულებ თქვენი თხოვნას, მიიღოთ აქაური ალექსის ნამდვილი პორტრეტი. ამის გამოთ გიგზავნით ჩემი ბლოკნოტის ცოტა ფურცლებს, იქ არი ცოტა-ცოტა ჩემი ინტიმური ამბავიც, მაგრამ არ გავაკეთე კუპიური, მე მინდა ჩემი დაუს-წრებელი (ეს ძნელი სიტყვა არი!) მეგობარი იყოს ჩემი ისტორიის კურსში. ბლოკნოტი ბერძნულ ენაზე ჩემი თავისთვინ არი დაწერილი და გავაკეთე თარგმანი. მე ჯერ არა ვარ ქართული ენის მაესტრო (მაგრამ უ-ეჭ-ველად ვიქნები) და ამის გამოთ პლატონ-პასწამ კორექტურა აკეთა, არ უშავს რომ ჩემი გულის მეგობარი პლატონ-მასწა და მასწა-ლინამ ნახოს ჩემი კორესპონდენცია. ხოლოთ წინასიტყვაც, ბოლოსიტყვაც არა აქს კორექტურა და მე ვიცი, თქვენიდან ნიშანი „2“ მექნება, მაგრამ მე და პატარა ნატალი ჯიბრობთ და მალე „5“ მექნება. მოგისურვებთ თქვენ და პატარა ჯენტლმენს სანდრას ბევრი-ბევრი სიკეთეს. სუმუდამ თქვენი მონა და მეგობარი კოსტა ილეტაქსა“.

ილეტაქსას ბლოკნოტიდან:

„...თებერვლის იმ საშინელ ღამეს, როცა ტასანბაევმა წაიყვანა გამოცდილი მონადირეები და თავისი გენიალური ძაღლი „ნერონი“ და კიზილ-კუმში იპოვნა კაცი, მე გამაღვიძა და მითხ-

რა: „კოსტა, რაკი ჩვენთან გადმოსახლებული ამდენი ხალხი ტირის და გვეხვეწება, გადაარჩინეთო, კარგი კაცია, არ შეიძლება რომ დაიღუპოსო, ჩანს მართლაც კარგი კაცია. მე მოგცემ, რაც დაგჭირდება, უშველე და მერე ვნახოთო!“ და კომენდანტს უთხრა: „მოესწრები მაგის დასჯას, დააცალე სიკვდილიო“.

იმ ღამეს მე ღმერთებმა შემრისხეს და ვულკანზე დამასახლეს, წამართვეს მუშაობისა და ანტიკურ სამყაროში ხეტიალის დრო. დღე და ღამე მე იმ კაცთან ვიჯექი და ვუვლიდი, იმიტომ რომ მისი ხალხი ამბობდა: „ეგ კაცი ჩვენთვის ძალიან-ძალიან საჭირო არისო“.

ამ კაცის ქვეყანა საქართველოა, და მის სოფელს „ირმისი“ ჰქვია. ირმისელებმა ძალიან-ძალიან საიდუმლოდ მითხრეს, რომ ეს კაცი მათთვის „გონჯაურა“ არისო, არ ვიცით, ვინ დაარქვა, რად დაარქვა, ან რას ნიშნავს ეგ სიტყვაო, ვერც ერთ ლექსიკონში მე ასეთი სიტყვა ვერ ვიპოვნე, და მას შემდეგ სულ ვფიქრობ, რა არის „გონჯაურა“...

„...იქნება „გონჯაურა“ — ახალ დასახლებას ნიშნავს?

ეს კაცი წამოდგა თუ არა, იმ დღესვე ისეთი გეგმები დააწყო, მეგონა, კიზილკუმის უდაბნომ გააგიჟა. მერე ის მაგჟან ტასანბაევს შეხვდა. მე არ ვიცი, რა ილაპარაკეს, მაგჟანმა მარტო ის მითხრა, „აქამდე შენ ერთი შაითანი იყავი, ახლა ორნი ხართო!“ მაგჟანმა ირმისელებს ყველაფერში დიდი დახმარება აღმოუჩინა, საშენი მასალაც მისცა და ამ ხალხმა ძალიან-ძალიან ჩქარა ააშენა ორმოცი ალიზის ქოხი, და მანამდე უკაცრიელ ტრამალში გაჩნდა დასახლება, რომელსაც ბავშვებმა „ყვავილოვანი“ დაარქვეს. ერთი ქუჩაა, ერთმანეთის პირისპირ ოც-ოცი სახლი დგას, მეც მომინდა ამ დასახლებაში ცხოვრება და აბაიბაზრის რაიკომის ძალიან-ძალიან კარგმა მდივანმა მომცა ამის ნება. ახლა მეც „ყვავილოვანში“ ვცხოვრობ. ამ ხალხს მეზობლობა უფრო მეტად სწამს, ვიდრე რომის პაპს სახარების უპირველესი პარაგრაფი, და ახლა ირმისელები ჩემი მეზობლები არიან. მე ძალიან შემიყვარდა ირმისელები და მეტადრე პატარა ნატალი. ეს კაცი ავად რომ იყო, ნატალი ჩემი ასისტენტი იყო და მე დავინახე, რომ მის გულში ძალიან ბევრი სიკეთე და დიდი ნაღველია. მე მიყვარს მისი ბავშვური ენა და სიბრძნე, სიბრძნე ალბათ მემკვიდრეობით მიუღია თავისი დიდედა ნატალისაგან. ის ნამდვილი ფილოზოფოსია და მე ძალიან პატივს ვცემ მას. მე შემიყვარდა პატარა ნატალის ტყუპი ძმა — პაატა და ზურიკო. ისინი ცელქი და ცნობისმოყვარენი არიან, ყველგან თავის ცხვირს ყოფენ, ისეთები არიან, როგორიც მე ვიყავი მაგათ ტოლობას. და კიდევ მე შემიყვარდა ამ ბავშვების დედა. ის ყოველთვის მუქი ფერის ტანსაცმელშია, მაღალი თეთრი ყელი აქვს და შავი ნაწნავები თავზე აქვს დახვეული, თითქოს ძალიან-ძალიან ძვირფასი გვირგვინი დაადგესო. როცა ის მოდის ყვავილოვანის ქუჩაზე, მე მგონია, რომ ის ბეატრიჩეა... და მე მიხარია, რომ ყაზახეთის ტრამალში გაჩნდა ეს დასახლება, და მე ვფიქრობ, რომ „გონჯაურა“ ნიშნავს ახალ-ახალ დასახლებას ყველგან ჩვენს პლანეტაზე...

„...იქნება „გონჯაურა“ — წყალია?

ამ კაცმა თავისი ხალხით არხი გათხარა და დიდი სირ-დარია მოვიდა ყვავილოვანში. წყალი მოვიდა ახალდარგულ, შორიდან ჩამოტანილ ალვის ხეებთან, ქარსაფარი გაიზრდებაო. წყალი მოვიდა ორმოც სახლში და ბაღში, სადაც ჩემმა მეზობლებმა დარგეს ხეხილი, ბოსტნეული და მწვანილეული. როცა ირმისელები ბამბის პლანტაციაზე მუშაობენ, დალი და ოსიკო ოზბეთელაშვილი, პატარა ნატალი და სხვა ბავშვებიც რწყავენ ბაღებს და სიხარულით ასრულებენ თავის მოვალეობას. დალიც და ოსიკოც ძალიან კარგი ბავშვები არიან, ხშირად დადიან თავისი ბაბუა ივანიკას საფლავზე. ამ კა-

ცმა ივანიკას საფლავზე ბროწეული დარგა და ის მალე-მალე იზრდება, იმიტომ რომ ამ კაცმა ბროწეულთანაც მიიყვანა წყალი. და მე ახლა ვფიქრობ, რომ „გონჯაურა“ წყალია, ის სჭირდება ადამიანებსაც და ხეებსაც...

„...იქნებ „გონჯაურა“ — მიწაა?

მე მაგუან ტასანბაევს ვუთხარი: — შენ მოგვეცი ერთი დამტვრეული ტრაქტორი, ჩვენ კი ორი კარგი ტრაქტორი გვინდა.

მაგუანი, როგორც ყოველთვის, ბურთივით ახტა-დახტა:

— საიდან მოგცე მე ორი კარგი ტრაქტორი? მე ტრაქტორების ქარხანა მაქვს, თუ რა?

— რატომ ყვირი, მაგუან? კომუნისტები ამბობენ, „დეპუტატი ხალხის მსახურია“. შენ წადი მთავრობასთან, და თქვი, „მე ხალხის სამსახურისთვის ორი კარგი ტრაქტორი მჭირდება!“

— იოი! — ისევ დაიყვირა მაგუანმა. — არ შეიძლება სულ იძახოთ: ეს მოგვეცი, ის მოგვეცი! თქვენ, ორი შაითანის გულისთვის მე პარტიულ ბილეთს დავკარგავ!

— ნუ ყვირი, მაგუან! — ისევ მშვიდად ვუთხარი მე, — რა არის პარტიული ბილეთი? ვალდებულება, ბევრი-ბევრი ვალდებულება. როცა შენ ეგ ბილეთი მიიღე, შენ აიღე ვალდებულება, გააკეთო ბევრი-ბევრი კარგი საქმე, და შენ ახლა ისეთ კარგ საქმეს აკეთებ, რომ მეორე ბილეთიც უნდა მოგცენ!

— იოი! — ისე დაიყვირა მაგუანმა, თითქოს მე თოფი დავუმიზნე.

— ნუ ყვირი! — კიდევ ვეუბნები მე, — აბა დაფიქრდი, შენ დანგრეული ტრაქტორით გახდი სოციალისტური შრომის გმირი? არა. კარგ ბრძოლას და კარგ შრომას კარგი იარაღი სჭირდება, არ იცი?

მაგუანმა თმაზე იტაცა ხელი (ხოლოთ მაგუანს ძალიან ცოტა თმა აქვს) და გამექცა.

ვფიცავ ღმერთებს, კარგი ადამიანი კარგი საქმის გამარჯვებაა! ყვავილოვანში ორი ტრაქტორი მოვიდა, მაგრამ... ამ კარგი საქმისგან მე ტვინი მტკივა ძალიან... რა თქმა უნდა, ღვთიური სინკლიტი ოლიმპიდან უყურებოდა, როცა ადამიანმა ტრაქტორი მოიგონა! დღეც და ღამეც ჩვენს დასახლებაში არა წყდება ტრა-ტრახტარარახ! ლეონ რჩეულიშვილი მაღალი კლასის ტრაქტორისტია და მე მიხარია, რომ ლიზამ მას პატარა გოგონა აჩუქა. მას ირმისიდან გამოუგზავნეს სახელი „ია“, და მე ძალიან მომწონს ეს სახელი, იმიტომ რომ პატარა ქალბატონს პარმის იასავით ლურჯი-ლურჯი თვალები აქვს.

გუშინ ლეონი და მისი მეწყვილე, ყაზახი ისათაი დაილალნენ, და ალექსიმ მითხრა:

— კოსტა, შენი „მერსედესები“, „ბიუკები“, „ფორდები“, „ოპელები“ — სისულელეა, მოდი, ტრაქტორზე შემეჯიბრე, ვნახო, ვინ უფრო ყოჩაღიაო.

მე დავჯექი ტრაქტორის საჭესთან და ვფიცავ ღმერთებს, ძალიან-ძალიან მიხარია, რომ ვაჯობე ამ კაცს!

როცა ხვნა გათავდა და გუთანი წაიღეს, მე ვიფიქრე, ახლა კი დავისვენებდით, მაგრამ ამ კაცმა ტრაქტორებს კულტივატორები გამოაბა და ისევ დაიწყო: ტრახ-ტრახ-ტარარახ!... მაგრამ კულტივატორებმაც რომ გააკეთეს თავისი საქმე, მე დავინახე, რომ დავარცხნილი, შავი, მბზინავი მიწა — ირმისელი ბეატრიჩეს გაშლილი თმასავით იყო...

ტრაქტორები რომ წავიდნენ, ამ კაცმა თქვა:

— დაისვენოს მიწამ, ჩვენ კი ბამბის საკრეფად წავალთ.

მე დავყურებდი ლამაზ, არომატულ შავმიწას და ვფიქრობდი, ალბათ „გონჯაურა“ — მიწაა, რომელზეც ვენახები ხარობენ...

„...ერთხელ მე ვიჯექი თივის ზვინზე და ბეატრიჩეზე ვფიქრობდი. ამ დროს ის კაცი მოვიდა ოფლიანი, ტალახიანი, ერთ ხელში წერაქვი ეჭირა, მეორე ხელით თოხი გაედო მხარზე, და მე

უცებ ვიფიქრე, რომ „გონჯაურა“ ნიშნავს პროზას, უბრალო, რეალისტურ პროზას, ის კი მოვიდა ჩემთან ახლო და მითხრა:

— კოსტა, გაიხედე, ხედავ, მთების ტეხილი ხაზი ცასა სწვდება! უყურე, ხედავ, ჩაუქრობელი ცეცხლივით ანთია თეთრი ტაძარი ალავერდი!

მე ვიცოდი, რომ ირგვლივ, შორეულ ჰორიზონტებამდე ტრამალების მეტი არაფერია, მაგრამ მას ისეთი სახე და თვალები ჰქონდა, რომ მე დავიჯერე, დავინახე ყველაფერი, რასაც ის მაჩვენებდა... მაშინ ვიფიქრე რომ „გონჯაურა“ ძალიან-ძალიან მაღალი პოეზია ყოფილა. და მე მინდოდა მეთქვა მისთვის ძალიან-ძალიან თბილი სიტყვები, მაგრამ მან მოიხედა ჩემსკენ და მითხრა :

— კოსტა, თუ ძმა ხარ, მიეხმარე გოგო-ბიჭებს, ირმისში პეპლების გაგზავნა უნდათ!

და ღმერთებო, რა გგონიათ თქვენ? მე მაგუანის ჯორცხენასავით დავკუნტრუშობდი ველზე, დავდევდი პეპლებს, მერე ის პეპლები დავაკარით დაფებზე, დაფები ჩავალაგეთ ყუთში, მე ის ყუთები წავიღე აბაი-ბაზრის ფოსტაში, ფოსტის ქალბატონს შევეხვეწე, რომ ყუთებს დააწეროს „ფრთხილად“ იმიტომ რომ ის ყუთები მიდიან ირმისის სკოლაში...

ფოსტის ქალბატონმა ყველაფერი გამიკეთა და მე წამოვედი ძალიან-ძალიან ჩაფიქრებული, იმიტომ რომ მე ისევ არ ვიცი, რა არის „გონჯაურა“.

„...ერთხელ იმ კაცმა მითხრა:

— კოსტა, პირველი სექტემბერი მოდის. ბავშვებმა როგორ უნდა იარონ სკოლაში?

მე საიდან ვიცი, როგორ ივლიან ბავშვები სკოლაში. სკოლა ბამბის მეურნეობაშია, ყვავილოვანიდან 12 კილომეტრზე. იმ სკოლაში მუშაობენ ჩემი მეგობრები „პლატონ-მასწა“ და „მასწა-ლინა“, პლატონი ცხოვრობდა პარიზში და ირმისი ენატრებოდა. „მასწა-ლინა“ პარიზელი ქალბატონია, მას ირმისელი კაცი შეუყვარდა, [illegible] უყვარდა ირმისი, ირმისე[illegible] და კლასები, რომელშიც ის ფრანგულ ენას და ხატვას ასწავლიდა. ქალბატონი „მასწა-ლინა“ ოპტიმისტია. მუშაობს გაზახეთში, ბამბის მეურნეობის სკოლაში და ბედნიერია, რომ თავის პლატონთან ერთად არის. ვივა, მასწა-ლინა!...

მე შევედი მეურნეობის დირექტორის კაბინეტში და ჩვენ ასეთი დიალოგი გვქონდა:

— სალამო მშვიდობისა, მაგუან, გისურვებ ბამბისათვის ხელსაყრელ ამინდს!

— რა გინდა, კოსტა, სიცოცხლეს რად მიშხამავ?

— ჩემი პროფესია მკურნალობაა და არა ხალხის მოშხამვა.

მაგუანი ადგა და ძალიან ზრდილობიანად მითხრა:

— სამწუხაროდ, მე დრო არა მაქვს შენთან სასიამოვნო საუბრისათვის, ემტეესში მიცდიან.

— სწორედ ეგ უნდა მეთქვა, ემტეესში სიურპრიზი გელოდება.

მაგუანი უცებ უსურიის ვეფხვი გახდა.

— სავსე ვარ შენი სიურპრიზებითო, მეყო, დამანებე თავი!

მაგუანს უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ მე წინდაწინვე ჩავიჭირე მისი ხალათის კალთა.

— იოი... — საცოდავად თქვა მაგუანმა, — რა გინდა, თქვი, ჩქარა, თქვი!

— შენგან სულ-სულ არაფერი არ მინდა, ხოლოთ დამიგდე ყური: ირმისელები პლანტაციებზე ძალიან კარგად მუშაობენ, ხომ? მერე ისინი არ ისვენებენ, მუშაობას განაგრძობენ ყვავილოვანში, ხომ? მერეც არ ისვენებენ და მუშაობენ ემტეესის ეზოში — ეს შენ არ იცი. გადაგდებული, გადაყრილი ნაწილებიდან შენთვის ააწყეს „გაზიკი“, სღებავიც იყიდეს და ახალთახალი მანქანა მზად არის. და საბჭოთა ქვეყანაში არის შესანიშნავი კანონი — ყველა ბავშვმა უნდა ისწავლოსო- ყვა,

ვილოვანში რომ ცხოვრობენ, იმ ბავშვებმა არ უნდა ისწავლონ, როგორ ფიქრობ?

— ისწავლონ, ჩვენ კარგი სკოლა გვაქვს.

— ჰოო? მე ვიცი, სკოლა კარგია და შენ კანონს არ დაარღვევ, მაგრამ მითხარი, როგორ უნდა იარონ ყვავილოვანიდან იმ შენ კარგ სკოლაში?

— შენ რა მოიფიქრე? — დაიკვნესა მაგუანმა.

— აი ეს ძალიან-ძალიან სწორი შეკითხვაა! პასუხიც სწორია: სკოლა — დასახლება, დასახლება — სკოლა, სატვირთო მანქანის ორი რეისი. მეც იმათთან ვივლი და შენთვის ეკონომიაც იქნება.

— არა მაქვს სატვირთო მანქანა! „გაზიკი" გაუკეთებიათ და იარონ?

— მეც და ისინიც „გაზიკში" ვერ ჩავეტევით, დირექტორისთვის გაკეთებულ პატარა, ლამაზ მანქანაში ვერ ჩავეტევით. ბავშვები ვერ ივლიან სკოლაში და შენი სალიმა იფიქრებს, რომ მეურნეობაში ბევრი სატვირთო მანქანებია, ოღონდ დირექტორს ბავშვები არ უყვარს და არ უნდა, რომ სალიმას ირმისელმა ამხანაგებმა სკოლაში იარონ!

მაგუანს გაგიჟებით უყვარს თავისი მეხუთე გოგო. სალიმას ხსენებაზე თვალები მილულა, მერე თმებში იტაცა ხელი და კაბინეტიდან გავარდა.

პირველ სექტემბერს ყვავილოვანში სატვირთო მანქანა მოვიდა. თავზე ჩარდახი აქვს გაკეთებული და შიგნით — გრძელი სკამებია.

მთელი დასახლება აცილებს ბავშვებს სკოლაში. მეც მივდივარ მათთან ერთად. მხიარულად მივდივართ. გზაში ბავშვები მეკითხებიან:

— ძია კოსტა, მანქანა ვინ მოგვცა? მე არ ვიცი. მაგუანმა? კოსტა ილეტაქსამ? არა. „გონჯაურამ".

„...ახლა კი მე ვიცი, რა არის „გონჯაურა".

შაბათ საღამოს დავბრუნდი შინ, ვოცნებობდი ძილზე და დასვენებაზე, მაგრამ ვიცოდი, რომ დილაზე ირმისელები მთავარ საქმეს უნდა შესდგომოდნენ დაა ვერ დამეძინა, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, გარეთ რომ გამოვედი.

დამუშავებული მიწა განაწილებულია ექვს ბრიგადას შორის. ყოველ ბრიგადაში ირმისელებიც და ყაზახებიც არიან. მიწაზე დახაზულია მეტრიანი კვადრატები და ხაზების გადაკვეთაზე ამოთხრილია პატარ-პატარა ორმოები. ქალები დადიან კალათებით და ყოველ ორმოსთან სტოვებენ თითო ნერგს. კაცები ნერგს შვეულად სდებენ ორმოში, ძირში ნამიან მიწას მაგრად უტკეპნიან და ზემოდან უფრო ფხვიერ მიწას აყრიან. ალექსი უვლის, უვლის, უვლის ორმოებს და მეც ფეხდაფეხ დავდევ. ის ყაზახებსასწავლის ვაზის ჩაყრას და მეც ვსწავლობ ვენახის გაშენებას.

სამოცი ათასი ძირი საფერავი, კაბერნე და ბაიან-შირეი ჩაყარეს. ყვავილოვანში მაგუანი მოვიდა, ხალხმა ქუჩაში დიდი ცეცხლი დაანთო. ქალბატონმა ნატალიმ ჰერმით და შემწვარი ცხვრით ფლავი გააკეთა. ქალებმა მიწაზე დიდი-დიდი სუფრა გაშალეს. როცა დასხდნენ, ალექსიმ ფიალა ასწია და თქვა:

— ქვეყანას კარგი ხალხი აშენებს და ეს ქვეყანა სავსეა კარგი, კეთილი ხალხით. სიცოცხლე, სიხარული და გამარჯვება ქვეყნად სიკეთის მთესველ ადამიანებს!

ყველამ სიხარულით დალია ეს სადღეგრძელო და მერე ალექსიმ განაგრძო:

— მაგუან, შენ იქნება შენი მდგომარეობა გიშლის ხმამაღლა გვიწოდო „მეგობრები", მაგრამ იცოდე, ჩვენ, ირმისელები — შენი და ყაზახი მევენახეების ერთგული მეგობრები ვართ და ვიქნებით მარადჟამს. და იცოდე, თუ ამ ვაზმა არ გაიხარა, ჩვენი ქვეყანა დიდია, უფრო შორს, სადმე ყინულოვან კუნძულზე გადამაგდე...

მაგუანმა სიტყვა გააწყვეტინა:

— ჩემო ძმავ და მეგობარო ალექსი,

ამ ვაზმა თუ ვერ გაიხარა, ყველაზე ძალიან შენ იდარდებ, და თუ კაცს დარდი აქვს, იმისთვის ყველგან ყინულოვანი კუნძულია!

ო, ღმერთებო, ბებერო, უსაქმურო ღმერთებო, დაცალეთ ოლიმპო, გზა მიეცით ჩემს მეგობრებს, გზა!..

მე ეს გავიფიქრე და ირმისელებმა სიმღერა დაიწყეს. ისინი მღეროდნენ და მე მეგონა, რომ მე ათონის სობორში აღდგომის ლიტურგიაზე ვარ და ორგანო ძლიერად ქუხს: „ისმინე, ისმინე, კოსტა ილეტაქსა, „გონჯაურა“ არის ვენახი, ბევრი-ბევრი ვენახი...“

აქ მთავრდებოდა ილეტაქსის ჩანაწერები. „ბოლოსიტყვაობაში“ ეწერა:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო ქალბატონო ხატულა! რაც თქვენ იკითხეთ, ეს ფურცლები მე ძალიან წინათ დავწერე, ეხლა კი, მაპატიეთ, სულთლად არა ვფიქრობ ასე, ეხლა მე ვიცი, რომ თქვენი მეუღლე არი ნამდვილი, ნატურალური, ცივი ქვა. ის ძალიან-ძალიან შვიდათ ამობს: „დაიცა, კოსტა, დაიცა!“ ქვა არი და ამის გამოთ არ გაიგებს: თუ დოდაშვილები ზრმისში წავა, მე როგორ უნდა დარჩე აქ მარტოკა? მე მოკდომის შიში სუმთლად არა მაქვს, მაგრამ როგო უნდა დაკარგო პატარა ნატალი და დიდიც ნატალი, ცელქი ტყუპა პატიკო-ზურიკო და ჩემი ბეატრიჩე? თუ ადამიანი მარტო დარჩეს, ეს მოკდომაზე მეტათ-მეტათ ცუდი არი. მე არ შევიძლებ მარტო დარჩე, მე ამის ძალიან-ძალიან შიში მაქს. ალექსის არ უნდა, კოსტას ქონდეს დიდი ოჯახი, არ გაიგო, რო ჩემი ბრალი სუმთლად არ არი, თუ ბერძენი ადამიანი პლანეტის შორი წერტილში შეხვდა ადამიანს საქართველოდან იმისათვინ, რო მოკდომამდე ერთად იყონ. ალექსიმ ეს არ გაიგო, იმის გამოთ, რომ არის ნამდვილი ცივი ქვა და მე ძალიან-ძალიან გთხოვთ, ჩემო დაუსწრე-ბელო მეგობარო ხატულა, უთხარით თქვენ მეუღლეს ჩემი აზრი.

მიიღეთ ბევრი-ბევრი კეთილი სურვილი თქვენთვის და პატარა სანდრასთვინ, თქვენი მორჩილი მონა ილეტაქსისაგან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატულამ ფურცლები გადადო და უცხოსავით შეათვალიერა ოთახი. ო, რა შორს იყო აქედან ის გარემო და ის ცხოვრება, რომელსაც ახლახან მთელი არსებით ეზიარა! მწვავე სინანულით გათანგული ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მიაჩერდა.

„რა შორიშორ და რა ახლო არიან ერთმანეთთან ბედი და უბედობა. ისინი ხვდებიან იქ, სადაც მათი შეხვედრა თითქოს წარმოუდგენელია. ელიზბარის ფრონტზე წასვლის დღიდან გაუცინარი, გულჩათხრობილი ოლიკო, დასჯილი და სასოწარკვეთილი იქ, იმ დასაკარგავში შეხვდა ქვეყნიერებამოვლილ სოცარ კაცს!.. ალექსი, ნუთუ მართლა ვერ გრძნობ, როგორ ეშინია კოსტა ილეტაქსას სიმარტოვის? არა, ნუ გაიმეტებ მაგ შესანიშნავ ადამიანს სიმარტოვისათვის, შენ არ იცი, ეგ რა საშინელებაა! მე ვნახე სიმარტოვით დასჯილი ადამიანი და მართლაც, ეგ სიკვდილზე უარესი ყოფილა...“

ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს უცებ რამაზ მელითაურის სახე აეფარა — თაბაშირის ნიღაბივით უსიცოცხლო, სიკვდილის ნატვრის მსგავსი. ოთახში თითქოს გამკრავი ქარი შემოიჭრა.

ხატულამ შალი მოიხურა და ცეცხლს შეშა მიუმარჯვა.

„კოსტა, ჩემო კარგო, მართლაც საოცარო. მეგობარო. გთხოვ, გეხვეწები არ შეუშვა შენს გულში სიმარტოვე, არ შეუშვა, თუნდ შენს კერასთან არასდროს არ იჯდეს შენთვის სასურველი ქალი. ღმერთმა დაგიფაროს სიმარტოვისაგან. ეგ ყველაზე მძიმე წყევლა ყოფილა... ალექსი კი არასდროს არ იგრძნობს მარტოობას. მშობლიურ კერას მოწყვეტილმა, უფლებაწართმეულმა, უდაბნოს მრისხანებას სასწაულით გადარჩენილმა მაინც შესძლო, უკაცრიელ ტრამალებში „ყვავილოვანი“ გააშენა, ხალხით დაასახლა, იმ ხალხს მისცა მიწა, წყალი, სინათლე, საყვარელი საქმე. კოსტა, შენ ეს ყველა-

ფერი შენი თვალით ნახე და ისე შეუნიშნავად აღწერ ყველაფერს, თითქოს მართლაც მიხვდი, რა არის „გონჯაურა“, მაგრამ... შენ არ იცი მთავარი: თქვენისთანა კეთილ ადამიანებს რომც არ შეხვედროდა და ვერაფერი გაეკეთებინა, დილიდან დაღამებამდე მხოლოდ ბამბა ეკრიფა, დღე და ღამე მაგ საძაგელი კომენდანტის შემყურე ყოფილიყო, სულერთია, ალექსი მაინც არ იქნებოდა მარტო. მის გულში მაინც აშენდებოდა ყვავილოვანი, დასახლდებოდა ხალხით, იმ ხალხს ექნებოდა მიწა, წყალი, სინათლე, საყვარელი საქმე. გაიზრდებოდა ვენახი, ექნებოდა რთველი და მოწყურებულს მიაწვდიდა მზით დამტკბარ წვენს... იმიტომ, რომ, მის სულში ცოცხლობს და მოქმედებს ოცნება, ოცნება იცოცხლებს და იმოქმედებს მის სულში, ვიდრე ის ცოცხლობს, სუნთქავს, ფიქრობს. ამიტომ ის არასოდეს არ იქნება მარტო, და არ გაგიკვირდეს, კოსტა, მე ეს მავსებს სევდით... ალექსი! არ გესმის? მე მინდა, შენ მწვავედ იგრძნო მარტოობა, როცა მე არა ვარ შენთან, მინდა რომ დამიძახო, და მე დავძლიო ყველა დაბრკოლება, შენთან გავჩნდე, მაგრამ... შენ მიბრძანებ აქ ვიყო და მე უხმოდ გემორჩილები...“

თვალებზე ცრემლმომდგარ ხატულას მოეჩვენა, რომ თეთრი ნიღაბი ცეცხლში არ იწვოდა. მცხუნვარედ მოელვარე ალი თეთრ სახეზე რაღაც შტრიხებით ამუქებდა სიკვდილის ნატვრას. ხატულა მოერია გამკენწლავ სიბრალულს და თვალი მოსწყვიტა ცეცხლს.

„როდემდე უნდა ვიჯდე ამ ბუხართან მარტო? რას ვყარაულობ? ხომ გავიგეთ, დავრწმუნდით, რომ არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში, არც არსად მსგავსი რამ არ მომხდარა, „სოციალიზმის მშენებლობის ხელშემშლელი ელემენტები“ არ უძებნიათ და არ „ამოუჩენიათ“, მაგრამ რა? განა ამით გასაგები გახდა ჩვენში რამ გააგიჟათ, რა მოხდა? რას შველის ამდენი განცხადებების წერა? არსაიდანაც არც პასუხია, არც შედეგი, სულ[illegible] დღეს არა, ხვალ მაინც ამო[illegible]ს, ჩემი აქ ყოფნა რას უშველის? რატომ არ უნდა ვიყო მეც იქ, ყვავილოვანში? ჰო, მეც იქ უნდა ვიყო!“

ხატულა ადგა და ისეთი აჩქარებით შევიდა სანდრას ოთახში, თითქოს ბიჭი უნდა გაალვიძოს, ახლავე მოემზადოს წასასვლელადო. ბავშვის მშვიდმა სუნთქვამ საწოლთან შეაჩერა, ერთბაშად დაუმშვიდა აფრთხიალებული გული. სძინავს სანდრას და ბალიშქვეშიდან მოჩანს ნათუკას დღიური. წინათ სანდრა ფარიკაობით იყო გატაცებული, ნათუკა — თოჯინებით. — ახლა სანდრას მამა ენატრება, ნათუკას კი — ირმისი. ფარიკაობას და თოჯინებს დღიურის წერა ურჩევნიათ, უნდათ დაწვრილებით იცოდნენ ერთმანეთის ამბავი... სძინავს ბიჭს. რა საოცრად იმსგავსა ალექსის ხასიათი და თვისებები. კერპი. ჯიუტი. და მეოცნებე... მამა ისე ენატრება, რომ ძილშიც არ უქრება ეს სასაცილო ნაოჭი წარბებშუა, მაგრამ კრინტს დაძრავ თუ არა ყაზახეთში წასვლაზე, ყვირის: „რას ამბობ, დედი, შენ გინდა ჩვენ ერთად ვიყოთ, კარგად ვიყოთ, და ვაზი? რას იტყვის მამა? აქ რომ წამოსულხართ, იქ ვენახებს ვილა დაიცავსო?!“

— დამცველი... — გაეცინა ხატულას, დაიხარა და ბიჭის გაშიშვლებულ ქუსლს აკოცა. სანდრამ ძილში შუბლი შეჭმუხნა და ფეხი საბანქვეშ შემალა.

ხატულა ნელა გამოტრიალდა, ისევ ბუხართან დაჯდა.

თეთრი ნიღაბი ცეცხლში უცნაურად იცრიცებოდა. თითქოს ცოცხალი სახე იწვოდა. თითქოს ტკივილმა თვალები აახელინა, ტუჩები დაუკლაკნა, დააკვნესა...

ხატულამ თავისი კვნესა გაიგონა. ქარცახი ჩაჰკრა დანაკვერჩხლებულ შეშებს და გააყოლა თვალი საკვამურისაკენ კონა-კონად აშლილ ნაპერწკლებს...

## თავი მეოთხე

ზამთარი რომ მიილევა, სოფლად დღეები ძვირფასი სამკაულებით დატვირთული ქარავანივით მიჰყვებიან ერთიმეორეს. ყოველთვის ასეაა. მაგრამ იმ გაზაფხულის პირველი თვე — სტალინის გარდაცვალების დღე იყო და დღეთა ქარავანს თითქოს გზა აერიაო.

— მზე დაგვიბნელდა!

— ცა ჩამოგვენგრა!

ბორგავდა ხალხი, ერთმანეთს აწყდებოდა ნაცნობ-უცნობი, გაზეთებს იტაცებდნენ, რადიომიმღებებს შესწებებოდნენ, სუნთქვაშეკრული ისმენდნენ, კითხულობდნენ, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს, რა ხდებოდა მოსკოვის სვეტებიან დარბაზში, სადაც მიცვალებული ესვენა.

მაგრამ გადაიგრგვინეს სამგლოვიარო ზალპებმა და სალუტებმა. ჩაჩუმდნენ გლოვის საყვირები. დადუმდნენ ჭირისუფლები.

და ყოველთვის ასეა:

იყო კაცი და აღარ არის.

ის აღარ არის, სხვა არის.

ზოგი წასულს მისტირის, ზოგი მის შემცვლელს ეგებება.

ზოგი მოზარეც არის და მოზეიმეც.

ზოგი არც გლოვობს, არც ზეიმობს.

გაზაფხული კი აინუნშიც არ აგდებს ადამიანთა დაუოკებელ ვნებებს. ის თავისას მოითხოვდა — სოფელს დროულად და სრულად უნდა მიეძღვნა მისთვის ხარკი. და დღეთა ქარავანმა სძლია უგზოობას. ცხოვრება ჩადგა კალაპოტში და აჩქარდნენ ირმისელებიც—პირნათლად უნდა მოუხადონ გაზაფხულს თავისი ვალი, შრომობენ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

მაგრამ ზოგი...

— მელითაურო! — დასჭყივლა სარდიონ მალალაშვილმა რამაზს, და ღვინით სავსე ჭიქა ჭიქას მიუჯახუნა. — დარდს ნუ ეჭმევინები, შენ ნამეტანს გლოვობ, ჩემო ძმაო!

— სამგლოვიარო მაქვს და ვგლოვობ, — ღრჯუდ ჩაილაპარაკა რამაზმა და ხელი აიქნია, შეეცადა თვალიდან მოეცილებინა ხატულას და სანდრას სახეები.

— ვინც სად არი, იქ გაუმარჯოს! — ჭიქა გამოცალა სარდიონმა, გამეტებით იკრა მჯილი მკერდში, კართან მივიდა და დაუსტვინა:

— ჰეი, ბიჭო!

„ჰეი, ბიჭო" — მორიგი მილიციელია, ორმოცდაათს მიტანებული კაცი. იცის, რას ნიშნავს უფროსის დასტვენა, და მყისვე შემოაქვს კაბინეტში ორივე ხელის თითებშუა ჩაჭერილი სავსე ბოთლები. მარჯვედ შეცვალა დაცლილი ბოთლები და შემდეგი ბრძანების მოლოდინში, გაიჭიმა. იცის, რასაც უბრძანებს უფროსი — უკვე მერამდენედ გამოცალა განსვენებულის მოსახსენიებელი და ვალმოხდილი გავიდა.

მალალაშვილს რამაზის დათრობა განუზრახავს, ამიტომ თვითონ შიგადაშიგ იპარავს ღვინოს, მაგრამ მაინც ძალზე მთვრალია. რამაზი კი ზედმეტსაც სვამს, დათრობა უნდა, მაგრამ ღვინო არ ეკიდება, ვერ უმსუბუქებს ნაღველს, ვერ უვსებს მარტოობას. შეზარდა მალალაშვილის ქშენაც, უწმაწური ბლუყუნიც, უთავბოლო წუწუნიც და წამოდგა.

— ე-ე, არ გაგიშვებ! ესეც დაცლაზეა, ეს ჩვენ დიდ სამშობლოს გაუმარჯოს! ჩვენი ქვეყნის ახალ მთავრობას გაუმარჯოს! ჩვენ მამაპაპეულ მიწას გაუმარჯოს! ჰა, რატომ არა სცლი? დალიე-მეთქი!

— შენ გიცდი, დალიე, არ მოიპარო!

— გიჟი ხო არა ხარ, რა უნდა მოვიპარო? ამისთანა სადღეგრძელოსთვის თუნდა სავსე ქვევრს დავცლი!

მალალაშვილმა ღვინო გადაჰკრა და გაოგნებულმა მიიხედ-მოიხედა, ცდილობდა გაეხსენებინა, რისთვის მოიპატიჟა მელითაური, რისთვის ცდილობდა მის დათრობას, რაზე წუწუნებდა. თავს ძალა დაატანა და, როგორც იქნა, გაახსენდა. ძლივძლივობით ასწია დამძიმებული სხეული, ბარბაცით მივიდა სეიფთან, პატარა, წაგრძელებუ-

ლი ქალალდების დასტა გამოიღო და ენის ბორძიკით, სლოკინ-სლოკინით, თვალებგადმოკარკლული ისევ აწუწუნდა:

— წეღანაც გითხარი, ყურს არ მიგდებ. ეს ქალალდები გამაგიჟებენ-მეთქი! ლამის ჭლექი გამიჩნდეს, ამის რჯულიც არ იყოს, ყრია აქ, ხო ხედავ, ჩაყვითლდა. ერთი მითხარი, რა თავში ვიხლი, რად მინდა? სეიფის ყოველ გახსნაზე, გული ყბას გაალებს ხოლმე!...

მელითაურმა უცებვე იცნო ქალალდები. ომის დროს ამისთანები ბევრი უნახავს ატირებულ ოჯახებში. მალალაშვილს რად უნდოდა, მის სეიფში რატომ ყვითლდებოდნენ ფრონტიდან მოსული უწყებები?

რამაზი ისევ დაჯდა და ჭიქა შეუვსო სარდიონს.

— აბა, დავლიოთ, ესეც დაცლაზეა! ეს ჩვენი გულის ვარდს, ჩვენ საყვარელ პროკოფინა ილარიონიჩს გაუმარჯოს, დალიე!

— დავლევ, რო ეგ შენი პროშკა მალე ჩაძალლდეს! მაგისი ბრალია, მაგისი... ეს ქალალდები... ეს ქალალდები, იცი როდინდელია? ორმოცდაორი წლიდანაა, მე რო რაიონის სამხედრო კომისარი ვიყავი, მაშინდელებია...

გაფითრებული რამაზი სიტყვას არ აწყვეტინებდა, ღვინოს უმარჯვებდა.

— ჰო, იმის ჩაძალლებისას დავლევმეთქი! თუ გინდა მიუტანე ამბავი, ფეხებზე მკიდია. მე თუ ჩავვარდი, არც მაგას დაადგება კაი დღე. ბევრიაო, სოფელში პანიკა ატყდებაო, ველარ იმუშავებენო, სახელმწიფოსთვისაც ზარალია ამდენი პენსიის გაცემაო, შეინახე და მერეო. მერე მე ამ ოხრად-დასარჩენი სეიფის გასაღები დამეკარგა, მერე ათასი სადავიდარაბო საქმე არ დაილია და ესენი დამავიწყდა!..

მელითაურს შეაჟრჟოლა. დასტას თვალს ვერ აშორებდა.

— ჰოდა, შენ თითონა თქვი, მერე რალა დროსი იყო! — წყენით გადმოაბრუნა მალალაშვილმა სქელი, ჩალურჯებული ტუჩი.

— მაშ ამათმა ახლობლებმა როგორ გაიგეს თავისიანების ამბავი? თუ... თუ არ იციან?

— ახლობლებმა? ყმაწვილები ელოდებიან ამბავს! ელოდონ ბებრის ყვავილობამდე! ეი, ეი, ჭიქების დამტვრევა დაიწყე? ჰი, ხო დაგათვრე, საცა შენი დაიკვეხო, ჩემიც იქა თქვი!.. რაფოც, რაფიელა ბრეგვაძეც, — უარესად აზლუქუნდა უცებ მალალაშვილი, — ნეხვის გოდორი! სარმა უნდა გამომდოს, თავისი ქვისლისთვის უნდა ჩემი ადგილი. იმდღეს მეუბნება, რალაცა ქალალდები უნდა იყოს შენთანო. აი იმას, აი, აი! — ორ თითშუა ცერი ჩაკეცა და ჰაერში შეატრიალა სარდიონმა.

რამაზი თვალდახუჭული მიეგდო სკამის საზურგეს. „ოჰ, რა ბოროტები არიან ეს ნაძირალები! ვინ აძლევს, რად აძლევენ ამათ შეუზღუდავ უფლებებს? სათარეშოდ რადა აქვთ გამხდარი დარიანის რაიონი? ამაზე ფიქრი ჭკუიდან შეგშლის. თავი მისკდება. ოჰ, როგორ მეზარება თვალის გახელა... ამის სიფათი მზარავს...“

— შენ არხეინად დაბრძანდები, — განაგრძობდა ზლუქუნს მალალაშვილი, — ოჯახი შენ არ გაწუხებს, შვილი და ძირი. მე მკითხე! მთელი ოლქი მაწევს კისერზე, რამდენი უფროსი უნდა დავაპურო, მაშ როგორა? ჰოდა, ადვილი გგონია?... ის ბებრუხუნა ფოსტალიონიც ველარ ჩაძალლდა, საკუთარ ხელში ჩამაბარა ეს უწყებები. ჩაძალლებულიყო, იმის საფლავზე ავანთებდი ამ ქალალდებს?

„დასწვავს, გააქრობს ამ ქალალდებს და მერე ვინლა მოიცლის ძველი უწყებების საძებრად? აქამდეც გააქრობდა, მაგრამ იმ გულღვარძლსაც სცოდნია, ბრეგაძესაც აულია სუნი... მაგრამ მე მაინც რისთვის გამენდო ეს არამზადა?...“

— მერედა, ჩემგან რა გინდა? — თავს ძალა დაატანა, თვალები გაახილა და ჰკითხა უხეშად.

— შენ ქვეყანას უყვარხარ, რა ვიცი შენში რა ნახეს, დიდი და პატარა რო გელოლიავება?!—სიმთვრალით ცრემლ-

მორეული, ენას ძლივს ატრიალებდა მალალაშვილი, — ქვეყანა შენი მეგობარია, გავლენიანი კაცი ხარ, თბილისშიც, ათასი ნაცნობ-მეგობარი გყავს. დამეხმარე. მოიფიქრე რამე, მოვუხერხოთ რამე ამ ოხერ ქაღალდებს. სამაგიერო სამსახურს მეც გაგიწევ, ძმობას გეფიცები! სული მთხოვო, არ დაგიჭერ. რაფო ისეა შემოჩენილი, რომ... იმ ჩასაძაღლებელ პროკოშასაც რაფოსთან პირი აქვს შეკრული, დამღუპავენ, დამეხმარე...

— გეყო ყბედობა! უეჭველად დაგღუპავენ. ერთი გამოსავალი მომეფიქრა, სხვა ვერაფერი გიშველის, — მოიტა ეგ დასტა, მომეცი და...

— მოგცე? შენ მოგცე? მერე? — დააჭყიტა თვალები სარდიონმა.

— სათითაოდ ფოსტის შტემპელს დავაკვრევინებ, ახალს, დღევანდელი თარიღით, ვითომ დარიანში, დღეს მოვიდა ეგ უწყებები. წავიდნენ და ეძიონ, ვის სეიფში ყვითლდებოდნენ, გაიგე?

მალალაშვილი იმდენ ხანს იჯდა თავჩაქინდრული, რომ რამაზმა ველარ მოითმინა და შეანჯღრია. სარდიონმა მძიმედ ასწია თავი და ხრინწიანი ხმით ჰკითხა:

— შტემპელს ვინ დაგიკრავს? მატყუებ?

„ამას უყურეთ, შიშმა ტვინი აუმუშავა ამ პირუტყვს, მიხვდა?!“ — გაუკვირდა რამაზს. ჭიქები შეავსო.

— გატყუებ რომელია? ასწი, ამ საქმის გამარჯვებისა დავლიოთ? ჰოო, ეგრე, ყოჩაღ, ნუ გეშინიან, ბეჭედს მე თვითონ, საკუთარი ხელით დავაკრავ,

— ეგ როგორაა, ჰა? ვაითუ...

მელითაური წამოდგა და გამეტებით წაჰკრა ფეხი სკამს.

— კაცმა მკითხოს, თავს რაზე ვიწუხებ? მთვრალი ხარ, გახეთქილი, დაიძინე, მე ჩემი საქმეც მეყოფა, წავედი!

— დაიცა, სად მიხვალ, შე სახეძაღლო, შენა? — იყვირა სარდიონმა — კარგიდა, ბეჭედი დაუსვი, მერე?

— რესპუბლიკის სამხედრო კომისარი ჩემი ძმა-კაცია, უარს არ მეტყვის. ამ უწყებებს ის მოუვლის, მერე სდიონ შენმა რაფომ და გულვარდმა!

— იმ ხალხმა რო იჩივლოს, დავიდარაბა ატეხოს?

— ვის უჩივლებენ, ვის უნდა აუტეხონ დავიდარაბა? ოსტატურად მოჩხლართულ თქვენ მამაძაღლობაში სოლომონ-ბრძენიც ვერ გაერკვეოდა! დამეხსენ კაცო, რას გადამეკიდე?! წავედი, კარგად მენახე!

— აჰა, აჰა, დაიჭი! შენ კარგი ბიჭი ხარ, არ გამიმეტებ, ყელს არ გამომჭრი... — დაილუღლუღა და უწყებების სხვის ხელში დანახვამ, თუ ღვინომ დაუკარგა აზროვნების უკანასკნელი ნიშნებიც. მთლად გამოლენჩებული, დორბლიანი მიაჩერდა ღვინის ბოთლს.

მელითაურმა უწყებები უბის ჯიბეში შეინახა, ოთახიდან გავიდა, დინჯად ჩაუარა ფეხზე წამომხტარ „ჰეი ბიჭოს“ და ქუჩაში გავიდა.

მეორე დილით ის თბილისში იყო და რესპუბლიკის სამხედრო კომისართანაც შეაღწია. პოლკოვნიკმა გულისყურით მოუსმინა მელითაურს და გუნებაში განსაჯა: უწყებების ამბავი რომ გახმაურებულიყო, კაი დღე არც მას დაადგებოდა. მართალია, ამ საზარელ დანაშაულში მას უშუალო ბრალი არ მიუძღოდა, მაგრამ მიზეზად ისიც კმაროდა, მალალაშვილზე მრავლად შემოსულ საჩივრებს ყურადღებას რომ არ აქცევდა, მალალაშვილს უჯერებდა, დარიანში სულ ინტრიგანები არიანო...

მან ყველაფერი გაიაზრა, აწონ-დაწონა და ამოქმედდა. მელითაურის თანდასწრებით შეადგინა ვრცელი წერილი, რომელშიც დიპლომატურად ხსნიდა უწყებების ირგვლივ „სავალალო გაუგებრობას“.

კვლავ რაიმე „სავალალო გაუგებრობის“ ასაცილებლად მელითაურმა თავისი გაიყვანა, საიდუმლო პაკეტი წერილით და უწყებებით, ყველა საჭირო ფორმალობის შესრულების შემდეგ, ხელზე მიიღო და თვითონ გაგზავნა ყაზახეთში.

დარიანში მიმავალ რამაზს უკვირდა,

აქამდე რომ არ შეუნიშნავს გაზაფხულის მოსვლა.

* * *

ყვავილოვანში კი მზემ უკვე მოიკრიბა ძალა და გაზაფხული სიმწიფეში შეიყვანა.

ათვისებული შავმიწიდან ჯიქურ მოიწევდნენ თანაბრად ტანაყრილი ვაზის მწკრივები. აჯანყებული ფერებით აელვარებულ ტრამალებში ვენახი ოაზისივით ასვენებდა თვალსა და გულს.

მომრავლებული ტოროლები სისხამ დილიდან დაღამებამდე სერავდნენ ჰაერს. ალმა აფრენილნი ხან ცისფერეთში იკარგებოდნენ, ხან დალმა დაფრენილნი თავს აფარებდნენ ყვავილნარს, ვაზს, ხეხილებს, და თითქოს ყვავილნარიც, ვაზიც, ხეხილებიც მღეროდნენ, ხმას უწყობდნენ პაწაწინა შავ-ნაცარა მგალობლებს.

უსაზღვრობაში ჩაკარგული დასახლება, კოსტა ილეტაქსას თქმით, გენიალური იმპრესიონისტის ქმნილებას დაემსგავსა. ერთმანეთის პირისპირ მდგომ ალიზის ქოხებს ყაყაჩოები უწვავდნენ სახურავს, და კედლებზე შანდლებივით ეკიდნენ ნაირფერი ტიტები.

აქაური მზე, ირმისის მზეზე ადრე იწყებდა გაცხარებას და „ყაზახელი ირმისელები“, ვინც კი არ იყო ბამბის პლანტაციაზე წასული, ერთობლივ გამოსულიყვნენ ვენახში. თავაწყვეტით წამოსული ვაზი დაუნელებელ ზრუნვას და ყურადღებას მოითხოვდა.

— ადამიანო, შენ არ გასვენებს გამჩენი და ჩვენც აღარ დაგვაყენებ ხოლმე, თითო თავსატეხ საქმეს არ დაგვილევ! — უსაყვედურა ალექსის წვრილშვილმა მოსე ბეჟიაშვილმა.

მოსე ომში დაკარგული ძმის გამო იყო დედაბუდიანად ყაზახეთში გადმოსახლებული. გამწარებული კაცი ერთთავად სწყევლიდა თავის თავს, ძმას რომ ვერ შეელია, დროზე არ გამოეყო, და ახლა მისი რაღაცა დანაშაულის გამო ისჯებოდა. გულის ჯავრს ძმის ოჯახზე იყრიდა, თუმცა ალექსიმ ისინი ცალ-ცალკე დაასახლა და შრომისმოყვარე, მოკრძალებული [illegible]ფრით არ აწუხებდა [illegible] მუდამ კოპებშეკრულ, ბავშვებთანაც კი უღიმილო მაზლს.

— რაღაცა სთქვი, მოსე, ვერ გავიგონე, — წელში გასწორდა, ბარს დაეყრდნო ალექსი.

— ამ არამოსასვლელს რას ვაქვდებით-მეთქი! — თქვა მოსემ, მუშაობა არ შეუწყვეტია, გულდაგულ უბარავდა ვაზებს ძირს. — ვაზის გამო თავი წააგე და შენ შენსას არ იშლი!

— ჰოო. ვერ ვიშლი...

— ბამბის მოსაყვანად მოგვრეკეს და ბამბა იმყოფინონ, ვაზი კი არა შავი ქვა და ნაცარცხელი ჩვენ ამწიოკებლებს!

— ამინ, — გაიცინა ალექსიმ. — ისინი კი არიან მაგის ღირსი, მაგრამ ამ დალოცვილმა ყამირმა და ამ ყაზახებმა რა დაგიშავეს?

— ყველამაც დამიშავა, დიახ! სამართალი გამქრალა და გამკითხავიც გაწყვეტილა მთელ დუნიაზე!

„გამკითხავიო?.. გამკითხავი!“ — თითქოს გაუკვირდა ალექსის, თვალები აეწვა, მოსეს ალარაფერი უთხრა.

— მართალს ამბობს მოსე, — თქვა ყაზახეთში ლაპარაკს გადაჩვეულმა ციცერომ.

— მართალი ვარ, მა რა? — ბარი ჩაჰკრა, ჩაასო მიწას გაგულისებულმა მოსემ, — ჩვენი საჩივრების წამკითხავი ძე ქრისტიანი არ გამოჩნდა. სიყმეგასაშავებელ იმ შენ ჩარკვიანს პანღური ამოჰკრეს, მაგრამ ჩვენ რა?

— ჩვენ ისა, რო იმედი მოგვეცა, ახალი კაცი განსჯის ჩვენ საქმესო, მაგრამ... — დაილაპარაკა დაბალმა, კოჭლმა აბრია ბეგიაშვილმა. მას საზღვარგარეთ ვიღაცა მოგვარე გამოუტყვრა, წერილები მოაყარა, იმისი ლდინი ამოვარდა, იმის გულისათვის დაისაჯა. აბა რა სიკეთეს შეჰყრიდა იგეთი კაცი, ირმისიდან რო გადაიხვეწებოდა და თავის ბალღებს „ჟაკსა“ და „ფლორას“ დაარქმევდა?! „ჩემი შვილები — ჟაკი და ფლორა გულითად სალამს გიგზავ-

ნიანო“. გეგონება, აბრია იმათ ნათლობაში დავლურს უვლიდაო...

— ეს ახალი კიდევ ყულიყებსა და ქურდბაცაცებს დასდევსო, პატიოსანი ხალხისთვის ჯერ ვერ მოუცლიაო... — ირონიით და საყვედურით თქვა ტყვედნამყოფმა გიორგი ალიაშვილმა. — ეშმაკმა იცის, როდის რას გაარკვევს:...

— გაგირკვევს, მაშ არა?! — უყვირა მას მოსემ, — აცა, ვირო ნუ მოჰკვდები. გაზაფხულზე იონჯა მოვაო. შენ თვალე, რამდენი იონჯობა მოგისწრებს!..

— „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია...“ — თქვა გიორგიმ და მოსეს ზურგი შეაქცია.

მოსე ჩივილს განაგრძობდა. დანარჩენები უხმოდ მუშაობდნენ. ყველაზე ახალგაზრდამ, გიორგის შვილმა ბიძინამ ასწია თავი. საფეთქლებისკენ თვალწარბგაქცეული ბიჭი ფრონტზე მოხალისედ წავიდა. საბრძოლო მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა, მაგრამ ტყვედნამყოფი მამის გამო, ისიც ოჯახიანად იყო გასახლებული ირმისიდან.

— მოსიკო ძია, — ყასიდი ლაქუცით მიმართა მან ბეჟიაშვილს, — გიხაროდეს, რომ ღმერთსაც და ეშმაკებსაც დავავიწყდით. ეგებ აქაური როთველობა დაგვცალდეს! აქ დაყენებული ღვინის პირველი მოჭაშნიკე შენ იქნები, არ გიამება?

— მე შავი მიწის მეტი არა მეამება რა!

— იი! მაშ ის ბალღები უსიამოდ იჩეკებიან? — გადაიხარხარა ბიძინამ.

მოსეს ცოლი ფეხმძიმედ იყო მეხუთე ბავშვზე. ბიძინას სიტყვებზე ზოგს ფხუკუნი წასცდა, ზოგმა ჩუმი სიცილით გაარიდა თავი მოსეს აფეთქებას.

— ენა ნუ წამოგიგდია, ლაწირაკო, დიდ-პატარა იცოდე, — მოულოდნელი თვინიერებით თქვა შეცბუნებულმა მოსემ.

— მოსე, ორიოდე დღით აბაიბაზარში არ წამოხვალ? — ჩაერია თენგო მათ სახიფათო-სასაცილო წალაპარაკებაში. — ტასანბაევმა განაწყენი მოგვცა, მე და ლევანი მავთულზე მივდივართ, შენც წამოსულიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მავთული რა ჩემ ჭირად მინდა? ამ ენაამოსაჭრელ ლაწირაკებს თუ ჩამოჰკიდებს კაცი! — დაგვიანებით აყვირდა მოსე.

მავთულების ჩამოსატანად აბაიბაზარში თენგო და ლევანი წავიდნენ.

დღეები და მოვლენები სცვლიდნენ ერთმანეთს...

* * *

მწვანედ დაგვირისტებული აკაციის ტოტები სურნელოვანი თეთრი მტევნებით დაწინწკლულიყვნენ. ნაწყენი შრიალებდა პატარა აკაცია: კაცმა, რომელმაც გაანებივრა ალერსიანი სიტყვით და განუწყვეტელი ზრუნვით, დღეს ზედაც არ შეხედა. გარიყრაჟზე მოვიდა, გულხელდაკრეფილი დადგა და თავის უჩინარ მეგობარს ჩურჩულით გამოელაპარაკა:

„ამ ცხრა მაისსაც აქა ვხვდებით მე და შენ, ოლეგ, ყვავილოვანში... უსტალინოდ ვხვდებით ამ ცხრა მაისს... ვინ იფიქრებდა, რო ის კაცი გამარჯვების მერვე წლისთავსაც კი ველარ შეესწრებოდა... მე ჯერ ვერ შევჩვევივარ აზრს, რომ ის აღარ არის. აქამდე ვინახავდი იმედს, რომ კვლავ გავიგონებდით იმის ხმას, აი ისეთს, აუწერელს, როგორიც გავიგონეთ 1941 წელს, „ძვირფასო თანამემამულენოო...“ სულ ველოდი, რომ დაილაპარაკებდა, გაჰფანტავდა იმ ბურუსს, ახსნიდა ყველაფერს, რაც ჩვენ, ეგებ ჩვენი უმეცრებით დაგვრჩა გაუგებარი და საშინელებად მიგვაჩნია... მაგრამ ის წავიდა და სათქმელი უთქმელი დარჩა... მე და შენ კი მტკიცედ ვიცოდით ერთი რამ, ისე მტკიცედ ვიცით, რომ ვერავინ და ვერაფერი ვერ გადაგვარწმუნებს. ვიცით, რომ საბჭოთა სახელმწიფო მისმა გენიამ აძლიერა, რომ მისი სახელით ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით...

გახსოვს, მე რომ ხანდახან წავიმღერებდი ხოლმე ჩვენს ხალხურ სიმღერას „მუმლი მუხასა?“ შენც გიყვარს

ეს სიმღერა, იმიტომ რომ, იმას უყვარდა. აი, ეხლაც მესმის ის სიმღერა, ალბათ იმიტომ გამკრა გულში ტკივილმა... მაგრამ გიჟივით ვიცინი... იცი, რა მაცინებს? ეს ტკივილი მოულოდნელად, ყაჩაღივით რომ გამომივარდება ხოლმე, მე კი შეიარაღებული ვხვდები. ეს „იარაღი“ მუდამ თანა მაქვს. თუ კოსტას წამალი ხელთ არა მაქვს, არ შეიძლება მაისი ჩემთვისაც მაისობდეს, არ შეიძლება სანდრას დღიურისა და ხატულას წერილის წაკითხვა, არ შეიძლება იმ სიმღერის გახსენებაც... თუ მომავალ მაისობასაც აქ გვიწერია შეხვედრა, მაშინ სანდრა და ხატულაც აქ იქნებიან. ჩემ თხოვნას ძალა ეკარგება — აღარა დგებიან ირმისში. წამოვიდნენ. ისინიც ყვავილოვანში დასახლდებიან. იქნებ მე მართლაც ზედმეტი ვარ ჩემს მშობელ მიწა-წყალზე?! აქ ვიქნებით, რა უშავს? აქ ვერ ვიქნებით ბედნიერები?... ჰა? როგორა გგონია?“

პასუხად სიჩუმე იყო... ნელა წამოვიდა შინისკენ. რა იცოდა, რომ მეორე დღესვე, ახალი ძალით აზვირთებული გრძნობები, ახალი კითხვებით ისევ მოიყვანდნენ „თავის“ აკაციასთან?!

აბაიბაზრიდან გულხეთქებით დაბრუნებულ თენგოს და ლევანს, ბამბის პლანტაციაზე მომუშავე ირმისელებიც მოჰყვნენ და ალგზნებული ყვირილით მოედვნენ ყვავილოვანს.

— ამნისტია გამოსულა!

— ყველას სახლებში უშვებენო!

— დღესვე შეგიძლიათ წასვლაო!

— მოვემზადოთ! დღესვე წავიდეთ!

— ვეღირსეთ! მივდივართ!

— ამნისტია, ხალხო, გაიგეთ, ამნისტიაა!..

„ამნისტიაო“? — ლახვარივით ეცა გულზე ალექსის. ბარის დანა დაუმძიმდა ხელში. ნელა წამოვიდა ვენახიდან. შორს მოუარა ახმაურებულ-აზრიალებულ დასახლებას და თავის აკაციამდე მისული, არიკთან ჩამოჯდა, ჩუმი ბუბუნით მოგორავდა სირდარიის მოცისფრო, გაუმჭვირვალე წყალი.

„ამნისტია... შეწყალება... მიტევება... პატიება... რის პატიება? რა დანაშაულისა?..“

სირდარიის ყრუ ბუბუნმა, აკაციის სურნელებამ, თუ სიტყვა „ამნისტიამ“ თავი აატკივა. სხვა უფრო დიდი ჭრილობები აღარც ახსოვდა, ეს ერთი ბეწვა ნაიარევი საფეთქელთან კი ისე დაიჭიმება, ისე აუკვნესდება, გეგონება, თავის ქალა ეხდებაო... ისევ მოწყალება? არა, არა და არა! მაშინ იქ სანდრა იყო და ხატულა, იმათი ბედი წყდებოდა. არ შეეძლო ის მოწყალება არ მიეღო. ეხლა აქ მარტოა. არ უნდა ეს მოწყალება, არ მიიღებს პატიებას, არა!..

ირმისში გატარებულ უკანასკნელ ღამეს განცდილმა სიმწარემ, თვალებდათხრილივით რომ მიიყვანა უდაბნოში, უცებ ახალი ძალით გაუღინთა და გულს ისე მიაწვა, თითქოს მისი უკანასკნელი ფეთქვა ხანჯლის წვერზე აიტაცაო...

მთრთოლვარე ხელის ფათურით მოძებნა ჯიბეში ილეტაქსას მიცემული პატარა შუშა და წამალი ენაზე დაიწვეთა. წუთიც და... ხანჯალს წვერი მოსტყდა. გულმა თითქოს ამოიოხრაო და განაგრძო ფეთქვა...

„დაილოცე, კოსტა, მისწრებაა შენი წამალი. შენ თითონაც ხარ მისწრება, უებარი წამალი. გონჯაურას კი ეგონა, სიცოცხლის უკანასკნელმა წამმა უწიაო. ჯერ რა დროსია? შორსაა, შორს ის წამი. დაგავიწყდა რომ იქამდე თოთხმეტი დღე-ღამის სავალი გზაა? განა აივსო შენი ხარბი თვალი და გული სიცოცხლის მშვენიერებით? განა დაიღალა შენი გონება პასუხის მოლოდინში? განა არ გინდა გაიგო, რა მოჰყვება ამ უსამართლო სამართალს? დაგელია მოთმინება? დამშვიდდი, გაიხედ-გამოიხედე, უყურე რა სილამაზეა ირგვლივ!...“

აიხედა და დაინახა... აკაციასთან მოდის ხალხი, მოდის დიდი და პატარა, ყველა, ვინც კი იყო ყვავილოვანში. მოსე მოუძღვებათ...

— აქ სარაოდ გამოჰქცეულხართ? — შორიდანვე შეუყვირა მან ალექსის. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდარდელი კაცივით დამჯდარხარ არხეინად. მაგის დროა? არ უნდა ვილაპარაკოთ, არ უნდა მოვემზადოთ? შენ გიცდით, დღესვე ავიყაროთ თუ რა ვქნათ, რა გადავწყვიტოთ?

ალექსი დამჯდარი არასდროს დახვედრია ხალხს, მაგრამ ხანჯლის წვერზე დატრიალებული ის წამი, უკანასკნელი რომ ეგონა, ახალი გარდასული იყო და ზურგი ვერ მოაცილა აკაციის ღეროს, ჯერ ლაპარაკიც არ შეეძლო.

„ოო, უცებ როგორ გამოცვლილან, როგორი თვალებით შემომყურებენ! შენ თუნდა „პატიება“ დაარქვი, თუნდ „მოწყალება“, — ამნისტია ამათთვის ირმისია. უძინარი ნატვრის შესრულებაა. რა დააკავებთ? ან ვინ და რად უნდა დააკავოს? იქნება ეს არის ჩვენი „საქმის“ დაბოლოება, იქნება სხვა არაფერი იყოს და მართლაც სჯობდეს წასვლა? რა უფლება აქვს გონჯაურას, რომ ამნისტიაზე უარით, თავისი გიჟური ნაფიქრალით ამათაც მოუშალოს ნაოცნებარი გზა ირმისისაკენ? არა, ვერაფერს იტყვის. ვერაფერს ურჩევს. ჰო, მართალია, არ უნდა, რომ გულთან მისულმა ამ პატიოსანმა ადამიანებმა ბრმა მადლობით მიიღონ „პატიება“, მაგრამ უარის თქმას მაინც ვერ ურჩევს. ისე მოიქცნენ, როგორც გონება უკარნახებსო. მე რას მიყურებენ? ჩემი უარით მე იქნებ კლდის პირზე ვდგები, ამათაც ხომ ვერ ავიყოლიებ? არ შეიძლება. მე რათ უნდა ავიყოლიო? თავისი ბედი თვითონ გადაწყვიტონ...“

— რამ დაგამუნჯა, თქვი, ამოიღე ხმა! — ისევ შეუყვირა მოსემ.

— არ ვიცი, რა გირჩიოთ, — თქვა ალექსიმ ჩუმად.

— შენა? შენ რას აპირებ? როდის აპირებ? — ახმაურდა ხალხი. და სიბოროტის წილ უსასრულო გაბოროტებამ უცებ მოუმაგრა გული, ძალა მისცა ალექსის.

— მე ამნისტიას არ მივიღებ! — მოკვეთა და წამოდგა.

— გაგიჟდი? — შეაძახა გასახტებულმა მოსემ.

— ჰო, იქნება გავგიჟდი, მაგრამ მეკითხებით, და რასაც ვფიქრობ, იმას გეუბნებით. ამნისტია ქურდს ქურდობას აპატიებს, მკვლელს — კაცის მოკვლას, ყაჩაღს — ძარცვას, გამფლანგველს — ხალხის ქონების დანიავებას, და ჩვენ? ჩვენ რა უნდა გვეპატიოს?

— ჰოდა, რომ არაფერი დაგვიმავებია, ჩვენზე უფრო უპრიანია ის ამნისტიაა თუ რაღაცა ოხრობა! — თქვა აბრიამ.

— თუ ამნისტიას მივიღებთ, მაშ დანაშაულსაც ვკისრულობთ! — ისევ მოკვეთა ალექსიმ.

— მაშ რას ვუცადოთ? — ისევ ახმაურდა ხალხი.

— არ ვიცი. ეგებ მართლაც არაფერს არ უნდა ვუცადოთ, მაგრამ მე დავუცდი... თუ შემცდარი დავრჩი, ჩემს თავს დავსჯი, სხვას არავის.

— აბა ჩვენი დიდგულობით რა გამოვა? — ჩაილაპარაკა ციცერომ.

— მე ეგრე მნებავს და თქვენ თავში ქვა გიხლიათო, გესმით, ხალხო, ამისი სიტყვა? — დაიყვირა გააფთრებულმა მოსემ.

— დაიცა, მოსე, ღმერთი გიშველის, რა დროს ჯიჯღინია? — გაუწყრა მას ნატალია და წინ წამოდგა, ალექსის მიმართა: — თქვი, ბოლომდე გვითხარი რასაცა ჰფიქრობ, ეგებ ჩვენც დაგვიჯდეს ჭკვაში.

— ჩემი ფიქრით, ამნისტია არა ხსნის ადამიანს დამნაშავის დამღას. სიკვდილამდე ვილაცის მოვალედ უნდა სთვლიდე თავს, მადლობელი უნდა იყო, დანაშაული მეპატიაო. სადაც საქმეზე შეგვეკითხებიან, ყველგან უნდა ვთქვათ და ჩავწეროთ, ამნისტიამ დამაბრუნაო. ყველგან და ყველაფერში უკან უნდა დავდგეთ. რაფიელა და ჯიბოსთანები განა მოისპნენ? სიტყვის თავში და ბოლოში წამოგძახებენ, ნაპატიებელიაო, აი ამ ბალღებსაც წამოსძახებენ, გაამწარებენ...

აკაციის მსუბუქი ფოთლებიც კი არ შრიალებდნენ. სიჩუმეს მხოლოდ სირდარიის ნაკადის ყრუ ბუბუნი არღვევდა.

— თენგო, ლევან, თქვენ რა წყალი დაიგუბეთ პირში? — უსაყვედურა მათ ბიძინამ, — რაო, ქალაქში კიდევ რა გაიგეთ?

— სხვა რა უნდა გაგვეგო? — უგუნებოდ უთხრა თენგომ მარტო ბიძინას კი არა, ყველას, — ამბავი ეგ არი, რაც იცით, ამნისტიაა და მიდიან...

— ჰოდა, აკი მეც ვიძახი, ავიყაროთმეთქი! — აწრიალდა, ისევ აყვირდა მოსე. — ალექსი ტყუილად დროს გვაკარგვინებს!

— „ავიყაროთ“! რასა ბრძანებ? რატო არ იკითხავ, ვინ მიდისო, ან როგორ მიდისო, ჰა? — თენგომ ცხვირსახოცი გადაისვა გაოფლილ სახეზე და უფრო უგუნებოდ განაგრძო: — აქეთ მხარეს, ჩვენ რა ვიცოდით, სპილენძის საბადოები ყოფილა. რაც ჩვენ ქვეყანაში ქურდი, ყაჩაღი, კაცისმკვლელი, თავზე ხელაღებული დაუჭერიათ, იქა ყოფილან, შრომითი გამოსასწორებელ ბანაკში. ამნისტია იმათ ყველაზე წინ გაუგიათ, ისინი პირველები მიცვივდნენ ეშელონებთან...

ეშელონის გახსენებამ ყველა შეზარა.

— რაკი გვიშვებენ, რითაც გვინდა, ჩვენ იმით წავალთ, — დაუწია ხმას მოსემაც კი.

— მოგართმევენ! კიდეც შეგეკითხებიან, მოსე ბექიაშვილო, რბილ კუპეში ხო არ ინებებთ წაბრძანებასო! იმ ეშელონებზე ისეთი ზედახოცვაა, ვისაც თავზე ხელი არ აულია, ახლოც ვერ მიუდგება... სწორედ ისეთები არიან მიძალებული, ადგილის გულისათვისაც კი დანას რომ ჩაჰკრავენ ადამიანს. რა ვიცი, ამის ოხრობაც არ იყოს, მაგათი გაშვება ვის რაში მოეპრიანა, ზოგისა დანახვაც შეგზარდება, სიფათზე აწერია, ძარცვისა და ტანჯვის მეტს არავის რას მიუტანს... იმათ მარაქაში გარევა-ღა გვაკლია...

— ლევან, შენ რა გაჩუმებული ხარ, ეს კაცი რეებს იგონებს, ჰა? — ახლა უმცროს რჩეულიშვილს წაახტა მოსე.

— იგონებს კი არა, რაც ჩვენ ვიხილეთ, იმას ენა ვერ აღწერს, მეორედ მოსვლა იმაზე მეტი რაღა იქნება? — თქვა ლევანმა.

— ეგებ თანდათან შეეცოტავდნენ, — ჩაილაპარაკა გიორგამ.

— ამასობაში გზა რო ჩაგვიკეტონ, მემრე სადღა მიხვალ? — ისევ გაანჩხლდა მოსე.

— სადღა მიხვალ და, აქ ეგდები! — აფეთქდა უცებ თენგო.

ბევრმა, და თვითონ მოსემაც იგრძნო, რომ მართლაც მეტად მძიმე სანახაობას გამოეყვანა წონასწორობიდან ეს მშვიდი და თავაზიანი კაცი. თენგომ არ დაირიდა, საყელოში სწვდა მოსეს:

— მიბრძანდი და შენი თვალითა ნახე! იქ ჩვენებურებსაც შეხვდები, წაჰყე, გაისეირნე, ნახე იმათი ყოფაც. ჩვენ აქ ბატონებივით რომ გამოვიჭიმეთ, განა ყველანი ეგრე არიან! განა ყველას ტასანბაევისთანა და კოსტასთანები ერგოთ წილად? ძაღლუმადურად ყრიან, მაგრამ იმ ეშელონებით წასვლაზე ფიქრსაც ვერა ჰბედავენ!

— პლატონმა და მისმა მეუღლემაც თქვეს, ჩვენ არდადეგებამდე მაინც ვერ წავალთ, სკოლას ვერ მივაგდებთ, ყაზახებთან უმადური ვერ გამოვალთო, — დაუმატა ლევანმა.

— ჰო, ალექსი, — გაახსენდა თენგოს, — იცი, ვინა ვნახეთ? ნატაძრელი გაბო ნაცვლიშვილი! ყვავილოვანში ჩამოსვლა უპირებია.

„უყურე შენა, — გაეფიქრა ალექსის, — იმისი ხმის გასაგონად, ყაზახეთში გადმოსახლება ყოფილა საჭირო...“

— ხალხო, რას გაიტრუნეთ, ამასობაში რომ გამოაცხადონ, ამნისტიას ყავლი გაუვიდაო? — კინაღამ ატირდა მოსე და ისევ ალექსის მიუხტა: — ეგრე რომ გამოაცხადონ, რაღა ვქნათ, ჰა?

— არ ვიცი, მოსე, ეგებ პირიქით გამოაცხადონ, „თუ პატიებაა, თქვენ გვაპატიეთ, ტყუილუბრალოდ დაიტანჯეთო“.

— გეყურებათ, ხალხო? ეს კაცი საჩვენოს მოსწყვეტია, მიწაზე აღარ ეტე-

ვა, ჰაერში დაფრინავს! — ქეროზე ხელი იტკიცა გამწარებულმა მოსემ.

— თუ სხვა სამართალი აღარ გამოჩნდა, მე აქ ჩავკვდები, გესმის მოსე, აქ ჩავკვდები, შენი საქმისა კი შენ იცი... — დაღლილი ხმით უთხრა ალექსიმ და შინისაკენ წავიდა.

ყვავილოვანიდან არავინ აყრილა, მაგრამ იმ საოცარმა საყოველთაო აღგზნებამ და ნატვრის შესრულების, თითქოს ისეთი რეალური შესაძლებლობის დათმობამ, მოულოდნელი, არასასურველი რეაქცია გამოიწვია და ამნისტიით გაშვება რომ შეწყდა, თქვენი საქმე სათითაოდ უნდა გავარჩიოთო, რეაქცია უფრო უცნაური და არასასიამოვნო გახდა.

ადამიანები ერთმანეთს მოერიდნენ. ბამბის მეურნეობაში წამსვლელნი უთენია მიიკრიბებოდნენ დასახლებიდან და ღამეებსაც იქ ათევდნენ. თავისუფალ დროს კი თავ-თავის კარ-მიდამოში იყვნენ შეკეტილი. ქუჩაზე ბავშვებიც კი აღარ ჩანდნენ, და ყვავილოვანმა თითქოს დაკარგა სიცოცხლის ნიშან-წყალი.

ალექსის თავისიანების მიმართ დანაშაულის გრძნობა აღეძრა და თანდათან გაუძლიერდა. თვითონაც მოერიდა მათთან შეხვედრას. მთელ დღეებს ვენახში ატარებდა, ყაზახებს ასწავლიდა მავთულის დაჭიმვას, ზედ ვაზის აკვრას, მორწყვას, ზედმეტი ყლორტებისა და ნამხრევების წაცლას, უხსნიდა ვაზის მოვლის პროცესებს და ამ პროცესების თანმიმდევრობის მნიშვნელობას. უხაროდა ყაზახები გულით რომ მოეჭიდნენ მათთვის უცნობ საქმეს, დაუღალავად, ხალისიანად მუშაობდნენ და სწრაფად ითვისებდნენ კახელ მევენახეთა ადათ-წესებს.

იშვიათ თავისუფალ საათს კი თავის აკაციასთან განმარტოებას ირჩევდა, ოლეგთან ფიქრის გაზიარებას:

„შევცდი?.. ალბათ მე ხშირად ვცდები, არ ვიქცევი, არ ვაკეთებ ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ შენ იცი, ოლეგ, სვინდისის დაუკითხავად მე არასდროს არაფერი მიკეთებია. ეხლა კი სწორედ ეს მაწვალებს. გული მეთანაღრება, იქნებ ამხელათ უნდა გამეჩუმებინა სვინდისი?:.. ის დიდი სათქმელი რომ არ ითქვა, და დღემდე ისევ ბევრი რამ არ მესმის, იქნება იმიტომ ჩავდექი ამ ხალხის ცოდოში? ვაითუ, ჩვენი საქმის გარჩევა ძალიან დაგვიანდეს, ან სულაც არ იყოს. მაშინ მე რა გამამართლებს?.. შევცდი?.. თუ სამუდამოდ აქ დარჩენა მოუწიათ, შეცდომის აღიარება გამამართლებს? უშველის რამეს? თვალებში როგორღა ვუყურო? სანამ იცოცხლებენ, გულში საყვედური ექნებათ, „შენ რომ მოგეწადინა, გავასწრებდით აქედანო...!" მიჯავრდებიან, მემდურიან. მიწყრებიან.ოო, ნეტა ჩემს გულშიც ჩამოახედათ... ნეტა იცოდნენ, რომ თანახმა ვარ ტყვია მკრან გულში, ოღონდ ირმისში ერთხელაც გამატარა პირნათელ კაცად... მაგრამ, მგონი, ეხლაცა ვცდები! იციან, განა არ იციან? მე კი არ მემდურიან, ენაღვლებათ. იტანჯებიან. სხვის მიწაზე ყოფნა გაუსაძლისდათ, და მაგათი ტანჯვით მოშხამული რომ დავდივარ, ალბათ იმიტომ მეჩვენება, რომ მე მემდურიან... არ ვიცი, მართლაც ეგრეა თუ არა, მაგრამ მეც გამიჭირდა ამათი საყვედურიანი თვალების ატანა. ერთი პატარა იმედიღა დამრჩა: დავიბარებ, ჩამოვლენ სანდრა და ხატულა. ისინიც რომ აქ დასახლდებიან, ეგება მაშინ შემირიგდნენ. ჰა, ოლეგ, შემირიგებენ, შენ როგორა გგონია?.."

დაუზოგველად აწყდებოდა თავის გულს ალექსი.

მზე კი თანდათან იგრძელებდა ციურ მანძილს.

და მთვარე თვალდათვალ სივდებოდა ჩაყრუებული ყვავილოვანის ყურებით...

...და ასეთ ჩაყრუებულ ყვავილოვანში ერთ დღეს გაბო ნაცვლიშვილი გამოცხადდა!

გამოცხადდა ცოლით, ორი ბავშვით და ბოხჩაში გამოკრული თავისი ავლადიდებით. „ირმისელების დასახლების ამბავი რომ შევიტყე, იმ დღიდან ად-

მინისტრაციის კარები ავატალახე, ვიდრე ყვავილოვანში წამოსვლის ნებართვას მივიღებდით...“

ნაცვლიშვილი ისე იყო გამოცვლილი, რომ ირმისელები თვალებს არ უჯერებდნენ — ნუთუ ეს ის გაბო იყო, მშობელ მიწაზე „უქნარას“ სახელი რომ დაიმსახურა? ნუთუ იმ „ბეჩავმა“ კაცმა შესძლო სხვა რაიონიდან ყვავილოვანში გადმოსახლების ნებართვა მიეღო?

აქეთ-იქიდან კითხვები დააყარეს, მაგრამ ნაცვლიშვილმა მეტი არა თქვა რა, ცოლ-შვილი ქალებს დაუტოვა და თვითონ ალექსის სანახავად წავიდა ვენახისაკენ.

— ალექსი, ჯერ სალაპარაკო მაქვს შენთან. ვილაპარაკოთ, და თუ ღირსად ჩამთვლი, მაშინ ჩამომართვი ხელი, — მისალმების ნაცვლად, უთხრა აღელვებით.

— გავიაროთ, — შესთავაზა ალექსიმ.

ძნელი იქნებოდა თქმა, რომელი უფრო იყო აღელვებული, ნატაძრელების ბაღში გაყრის დღიდან თორმეტი წლის უნახავი მეზობლის შეხვედრით.

კარგა ხანი დასჭირდათ დასამშვიდებლად, კარგა ხანს იარეს უხმოდ, და ბოლოს გაბომ დაილაპარაკა:

— იცი როგორ მიხარია, ყაზახეთში რომ ვართ?! ნუ გიკვირს, ციალასაც უხარია. შეიძლება ითქვას, ბედნიერები ვართ!...

კაცი საოცარს ამბობდა, მაგრამ მართალს ამბობდა, და აღარ ჰგავდა შორეთიდან მომავალ, უზომოდ დაღლილ მგზავრს, როგორიც ახსოვდა ალექსის ამ წლების მანძილზე. მშვიდი, დაწყნარებული სახე ჰქონდა და ვაჟკაცური იერი ამშვენებდა.

— ნუ გიკვირს, ალექსი, მოკლედ გეტყვი და შენ ყველაფერს გამიგებ. მე და ციალამ ოცდაჩვიდმეტის აგვისტოში მოვაწერეთ ხელი, და სწორედ იმ ღამეს წაიყვანეს ციალას დედ-მამა. იმათ წასაყვანად რაჭიელ ბრეგაძე მოვიდა, მაშინ თბილისში მუშაობდა, ჰო, ის, შენი „ნაცნობი“ ბრეგაძე...

ისევ კარგა ხანს იარეს უხმოდ და ისევ გაბომ განაგრძო:

— ციალა ნატაძარში წამოვიყვანე. ის იყო ნატაძრელებმა თავმჯდომარედ ამირჩიეს. ხალისით შევუდექი საქმეს, დარწმუნებული ვიყავი, იმედს გავუმართლებდი ხალხს, მაგრამ არ დამცალდა. ბრეგაძე დარიანში გადმოიყვანეს. დამიბარა და მეუბნება: „იცი, რა მოგელის, ცოლის მშობლების ამბავს რომ მალავო?“ რა უნდა მეთქვა? ცოლის მშობლებზე არავინ რას მეკითხებოდა და რაზე ვიყვირებდი იმათ ამბავს, მეშინოდა, ციალასაც მომტაცებდნენ. ენაჩავარდნილი ვიდექი. აღარც იმან მითხრა რამე, გამიშვა. ჰო, გამიშვა, მაგრამ დახვრეტა მანატრებინა. გაშვების საფასურად, სისხლს გვწოვდა მე და ნატაძარსაც. იმიტომ არ მინდოდა კარგი თავმჯდომარე ვყოფილიყავი, არ მინდოდა ნატაძარი გამდიდრებულიყო. შინ დღელამ ვკანკალებდით, მე ციალას დარდი მკლავდა, ციალას — ჩემი. გაუთავებელი ჯვარცმა იყო. სადაც კი მივმართე ნატაძრიდან განთავისუფლების თხოვნით, ყველგან ჩამეჩხირა. დაბმული ძაღლივით ვყავდი და თვითონაც ძაღლივით უდარაჯებდა ყოველ ჩემს ნაბიჯს. გულვარდი სათოფეზეც არ მიკარებდა, ჩანს, მიხვდა ბრეგაძის ავანტიურას და ჩემი გულისთვის გადაიკიდებდა? იმ დილას, ჩვენ რომ დავშორდით, თბილისში წასვლა გადავწყვიტე, ვიფიქრე, მოხდეს რაც მოსახდენია-მეთქი. სამინისტროში ორშაბათისთვის დამინიშნეს მიღება,

კვირას კი ომი დაიწყო. ალექსი, აბა წარმოიდგინე, რა ზომამდე მიმიყვანა იმ არაკაცმა, თუ ომის დაწყებამ გამახარა?! მივდექ-მოვდექი, სად თხოვნით, სად ძალახელად გავიტანე ჩემი და ფრონტზე წავედი. ვფიქრობდი, მომკლავენ, ციალა ჯარისკაცის ქვრივი დარჩება და მოასვენებენ-მეთქი. მაგრამ არ მომკლეს. გაგებული გექნება, ორმოცდასამში დავბრუნდი, დაჭრილი და დაჯილდოებული. ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ დავავლე ცოლ-შვილს ხელი და ქუთაისში გადავსახლდი. ციალას მაინც ეშინოდა, მოგვძებნის, არ მოგვასვენებსო და მართლაც, 26 დეკემბრის ღამეს მოგვაკითხეს. მაშ არ უნდა გაგვხარებოდა? ერთად გვაგზავნიდნენ, მთელი ოჯახით. მუდმივ მოლოდინს ეს არა სჯობდა? ამდენი წლის შიშისა და ტირილის შემდეგ, ციალამ იმ ღამეს პირველად გაიცინა, ნამდვილი, მხიარული სიცილით. აი, ალექსი, ეს არის ჩემი ამბის თავი და ბოლო...

იმდენი იარეს, ფეხისგულები აეწვათ. მერე ალექსიმ ჩუმად, ყრუ ხმით ჰკითხა:

— საიდან დაიწყო თქვენი ამბავი, ციალას მშობლების ამბავი? არ იცი, სათავე სად იყო?

— როგორ არ ვიცი! ჩემი სიმამრი ერთი პატიოსანზე პატიოსანი კაცი იყო, თბილისის თეცის მშენებლობაზე მუშაობდა. იმ დღეს სათვალეებიანი მისულიყო, — გაბომ უკაცრიელ ტრამალს გახედა, ვინმე ხომ არ გვისმენსო, და ხმადაბლა განაგრძო: — ამ უხსენებელს, ხომ იცი, ყველაფრის მცოდნედ მოაქვს თავი. მშენებლობა დაუვლია, აბდაუბდა შენიშვნებით შეუბეზრებია ხალხი, მაგრამ ერთი ისეთი უვიცი რჩევა მიუცია, რომ საცოდავ ჩემს სიმამრს გაღიმებია.. ეს იყო და ეს. ეს სისხლით გაუმაძღარი ურჩხული გაღიმებას ან გამოხედვას შეარჩენდა განმეს? იმავ ღამეს წაიყვანეს, „ხალხის მტერიაო“..

ისევ იარეს ხმაამოუღებლად.

— ეს ამნისტია შენ კი არ გეხება?

— დაარღვია დუმილი ალექსიმ.

— არ ვიცი, არ მაინტერესებს. თავკაცი აღარ არის და ვინც დარჩნენ თავისთვის მხარდამჭერთ იმრავლებენ. ამნისტია თავისთვის შეინახონ, ეგებ თვითონ დასჭირდეთ... ჩვენ აქედან მაშინ წავალთ, როცა გამოუცხადებელ სასჯელს მოხდილად მიიჩნევენ, არადა, აქ ვიქნებით. თუ მიგვიღებთ, ჩვენც ყვავილოვანში დავსახლდებით...

— გაიხარე აქ მოსვლისათვის! — ძმურად გადაეხვია ალექსი.

დაღამებული იყო, ყვავილოვანში რომ დაბრუნდნენ.

ოზბეთელაანთ თხოვნით, ნაცვლიშვილები მათთან დასახლდნენ.

ამნისტიით სარგებლობაზე ნაცვლიშვილების მტკიცე უარმა საგრძნობლად დაანელა ირმისელების დაძაბულობა.

თანატოლების შემატებით გახარებულმა ბავშვებმა კვლავ აახმაურეს ყვავილოვანი.

მაგრამ ალექსის ვერაფერი ვერ უმსუბუქებდა თავისი „დანაშაულის“ გრძნობას. ის უფრო ხშირ-ხშირად მიაშურებდა აკაციას და განმარტოებული უზიარებდა ფიქრებს ოლეგ ნეჩაევს.

და ერთხელაც ასეთ ფიქრებში წასული მოძებნა რაიონული ცენტრიდან გამოგზავნილმა, მოტოციკლეტით მოსულმა კაცმა, სასწრაფოდ გიბარებენ სამხედრო კომისარიატშიო.

კომისარი დიდი თავაზით და მოკითხვით შეეგება ალექსის, პოლკოვნიკს, აშკარად ეუხერხულებოდა სათქმე-

ლის თქმა, ბოლოს მეგობრული თანაგრძნობით გაუწოდა თბილისიდან მიღებული „დაგვიანებული“ უწყებები. „მათ ოჯახებს დღესვე შეუძლიათ წასვლა. პირადათ თქვენი საქმეც ალბათ მალე გაირკვევაო...“

...ნელა ცხრებოდა ყვავილოვანში სიხარულის პირველი ტალღა და ომში დაღუპულებზე დაგვიანებული გლოვა.

თვალცრემლიანმა მოსემ ძმა მოიხსენია, რძალს ბოდიში მოუხადა ჯავრიან გულზე უხეშობისათვის და გიჟივით მიახტა ალექსის:

— ამაშიც შენ გამოხვედი მართალი, გენაცვალე სულში და გონებაში ჩვენო იმედო, ჩვენო გონჯაურავ!

— დეეხსენ შე პირძაღლო, შენ ალექსისთან სალაპარაკო პირი სადღა გაქვს? — შეუტია მოსეს დაბალ-აბრიამ.

— ჩემ საკრიტიკოდ შენ ჯერ სიგრძე უნდა მაიმატო! — მოუჭრა მოსემ და ხალხს მიუტრიალდა: — შევიშალე კაცი ჰკუიდან, მეგონა, იმ ოხრადდასარჩენი ამნისტიის მეტი, ჩვენი ხსნა არსაიდან იქნება-მეთქი! ეხლა ბოდიშს ვუხდი ამ კაცს, განა თქვენი ცალია, წყენა დაიგუბოს, განა არ იცის, მე რა ჯავრი მაყბედებდა?!

— დროს ნუღარ კარგავ, მოსე, — გაიცინა ალექსიმ, — მოემზადე წასასვლელად.

მოსემ ბეჯითად შეათვალიერა სიხარულისაგან ჯერ ისევ გაბრუებული ხალხი და ყველას გასაგონად გამოაცხადა:

— მე, ქაჯან, პატახან აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი! ჰო, რას შემომყურებთ, რა გიკვირთ? ამ დალოცვილი ყამირიდან ჰირნახული იგრე მაამტვრევს, გეგონება, მიწიდან ქაჯები ერეკებიანო. ჰოდა, როგორა? ყველაფერი ოხრად დავაგდო?

— გუნებაში თუ ეგა გქონდა, მაშ აქაურობას რაღას აქოთებ[illegible] შენ გაგიქოთდა სამარე! — შე[illegible]მ.

— ეხლა შენ დამიწყე! მოხვედი ყბედობის გუნებაზე? ეგ სარეკელა ენა ღმერთს შენთვის იმისთვის მოუცია, რო მტერი დააოსო, განა მოკეთე? ეხლა რაკი ჩემი ნებაა, როცა მინდა, როგორც მინდა, ისე წავალ, გაიგე? რას ავჩქარდე? ე ბალღები ცარიელზე სად წავასხა? განა იქ გახურებული თონე მიცდის რა!

— მე ისეც ვიცოდი, პირველ ჰამნიკს მოსე ძია არავის დაანებებდა! — გაიცინა ბიძინა ალიაშვილმა.

— მაგ პატივს მე შენისთანა ბემურაზებს დავუთმობ! კაცო, გიორგა ე შენ შვილს ჰაიჰარად ცოლი რო შერთე, დიდ-პატარაობა ვერ ასწავლე?

— მაინც როდემდე აპირებ დარჩენას, ჰა? — პასუხის ნაცვლად ღიმილით შეეკითხა გიორგა.

— სანამდე ყველა საქმეს თავს გამოვაბამ. გზის ხარჯსაც ამოვიღებ და ხელის მოსანაცვლებელსაც, მაშაა, თქვენთვისაც ეგრე არა სჯობია?

...ჰოდა, რაკი მოსწრებაზე აღარ იყო, წამსვლელები დინჯად და საზრიანად შეუდგნენ მზადებას.

დოდაშვილებიც ემზადებოდნენ წასასვლელად.

კოსტა ილეტაქსა გახდა, ფერი დაეკარგა კაცს.

ოლა არსად ჩნდებოდა.

ერთ საღამოს ნატალიამ ბავშვები შინიდან გაიგულა, კარი მაგრად მიხურა და ოლას მოუტრიალდა:

— ეხლა რას აპირებ, ჩემო რძალო?

ოლას ტირილი აუვარდა.

— ქმარზე ერთი ცრემლი არ ჩამოგვარდნია და ეხლა ვისა გლოვობ ასე ცხარედ, ჰა?

ოლამ ცრემლები შეიმშრალა, მაგრამ ისინი თავისთავად წვეთავდნენ და წვეთავდნენ.

— ირმისხევი ნუ დაადინე აქაურო-

ბას, ღმერთი გიშველის! გეკითხებიან და სთქვი, ხმა ამოიღე.

— რა ვთქვა? როცა ელიზბარის ამბავი გვიანდებოდა და მეტირებოდა, თქვენ მიკრძალავდით, ცოცხალ კაცს არა ტირიანო, მერე დარდი ჯავრით შემეცვალა, ცოცხალი თუა, რატო არ ვახსოვარ-მეთქი, ხანი რომ გავიდა, აღარც მეტირებოდა, აღარც მებრაზებოდა. თორმეტი წელიწადი განა ცოტაა? ესეც ჩემი ქმრის უბედურებამ შემყარა, ამ ტიალ ადგილას რომ არ მოვხვედრილიყავით, ირმისში იგრეც მოვკვდებოდი...

— ვაიქის! მე შენზე პატარა ვიყავი, როცა დავქვრივდი, აქ კი არა, ტრაპიზონშიც რომ გავესახლებინე, მეორედ გათხოვებაზე ფიქრს არც ვიკადრებდი. დასწყევლოს ღმერთმა ეხლანდელების თავქარიანობა, ყველაფერს სიყვარულს ეძახით! რა ჭირმა შეგაყვარა ეს ანჩისხატი, ეს საფრთხობელა, ეს ბეცი კაცი, რამ, ჰა?

— ანჩისხატია თუ რაც არის, მაგისი ქებით თავათ თქვენ გაგვიჭედეთ ყურები დიდსა და პატარას. განა არ ვიცი, ელისზბარისთანა მეორე არ დადის ქვეყანაზე...

ნატალია ბეჯითად დააცქერდა რძალს და თვალებში სითბო მოერია.

— მე რო ვაქებდი, საქმეზე ვაქებდი! მაშ არ უნდა მექო, ალექსი გადაგვირჩინა სიკვდილს, და რა მოსთვლის, რამდენი კაიკაცობა გამოიჩინა, მაშ შენი შიშით, შენ არ მოგაწონო-მეთქი, მეძაგებინა?

— ჰოდა, თქვენც იცით, ყველაფერს სიკეთე და პატიოსნება აკეთებინებს, ბავშვებისთვისაც სულსა ჰლევს...

— ძაღლი მიაკვდა სულში! რაო? საით კუდი იღლიაო? ხო არა გგონია, დოდაშვილები უცხო კაცთან გაგატანო?

— მე არაფერიც არა მგონია. ხუთმეტი წელიწადი ჩვენ რძალ-დედამთილობაში ურიგო სიტყვა არა თქმულა. „დედას“ მარტო სიტყვით ან სხვის მოსაჩვენებლად ხო არ გეძახოდით? ეხლაც, როგორც თქვენ იტყვით, ისე იქნება, — ახლად ატირდა ოლღა.

— ვერ უყურებთ, ამ [illegible] როგორ შემომიტრიალა?

შვილის ფრონტზე დაღუპვის შესახებ დაგვიანებულ ცნობას, თითქო უნდა განეახლებინა ნატალიას დარდი, მაგრამ ნატალია — დოდაანთ ქალი იყო, მრუდობას არც სხვას შეარჩენდა, არც თავის თავს, სისწორე კი ის იყო, რომ თავის დროს ფრონტიდან ბაიბურად მოსულ ამბავს ელიზბარის დაღუპვის შესახებ, საკუთარი გულიც და ელიზბარის გახანგრძლივებული სიჩუმეც უდასტურებდა. დეკემბრის იმ წყეულ ღამეს სახლში შამოვარდნილი ჯიბო ჭიმიაშვილის ნათქვამმა, — „შენი შვილი მოღალატეა, გერმანელებთან დარჩენილაო“, თითქოს იმედი გაუღვიძა, ცოცხალი ყოფილაო, მაგრამ ის რა იმედი იყო? გულს უნდოდა და მიიღო, გონებამ კი არ მიიკარა, არ დაიჯერა, შვილის პატიოსნებას ჩრდილი არ მიაყენა. და ეხლა, სიმართლე რომ დადგინდა, ოლას თქმისა არ იყოს, დროს თურმე თავისი გაეტანა, დარდს მახვილი დასჩლუნგებოდა...

ნატალიამ ამოიოხრა: დრო უსწორდება დარდსაც და სიხარულსაც. ეგრე ყოფილა წუთისოფელი. გინდა არ გინდა, დრო თავისას მკის, შენ არას გეკითხება რას... აბა, რა გითხრა, შვილო, დედა მოგიკვდეს, უდროოდ მზედაბნელებულო... შენც და შენთან დაღუპულებსაც მუდმივი ნათელი დაგადგეთ, საზრუნავი კი — თქვენი სიცოცხლის ფასად ცოცხლად დარჩენილთა ბედია...

სადღაცა შორეულ ძმათა საფლავში მიძინებულ შვილზე თვალსმომდგარი ცრემლი ნატალიამ გულშივე ჩაიბრუნა და შვილივით საყვარელ რძალს შეხედა. თავისთვის ამ სევდიან საათს, მის მომავალზე მძაფრი შეშფოთება იგრძნო. „რა ლამაზია ეს გულმკვდარი“ სამი შვილის დედაა. ალქაჯ ბიჭებს სწორედ ეხლა სჭირდებათ ვაჟკაცის ხელი. წესიერად უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია. ამ გოგოს დღემდე სუფთა და

პატიოსანი სახელი ჰქონდა, ურიგოს არც ეხლე ვათქმევინებ არავის“.

ასე გადაწყვიტა ნატალიამ, მაგრამ სითბოც და მზრუნველობაც ხმის სიმკაცრით შენიღბა:

— ჰო, ყველა ყველაა, მაგრამ ირმისელებს რა პასუხი გავცე? ვათქმევინო, დოდაანთ ნატალიამ რძალი ყაზახეთში გაათხოვაო?

— ყაზახეთში რა მინდა! — აენთო ოლა. — ზედმეტი ერთი დილაც ნუ გამთენებია უცხო მხარეში. ჩემს მიწა-წყალს იმდენი პირშავი და ქვემძრომი ასევია, განა ეს ერთი პატიოსანი კაცი დაამძიმებს?

— ოჰ, ძალიან თავი შემაბრალე, არაფერი ვიციო, და კარგად დაგილაგებია!

— არა, ნატოს შერჩენამ, მე მაგაზე ფიქრისაც კი მეშინოდა. დედა, საწყენად ნუ მიიღებთ, და მე სხვა გამფიქრებია ხოლმე: მართალია, ელიზბარს არ დასცალდა, მაგრამ, რაც ამ კაცმა გაჭირვების ჟამს ჩემ შვილებს ამაგი დასდო, რა ვიცი, მშობელი მამა მეტს შესძლებდა-მეთქი?!

შუბლშეკრულმა ნატალიამ არაფერი თქვა.

— რა ვიცი, — ჩუმად განაგრძო ოლამ. — ქვეყანაზე ყველაფერი უკუღმართად რად არის მოწყობილი, მაგისთანა კაცს მარტოობაში რად უნდა ამოუვიდეს სული...

— კარგია ერთი, თავი ნუ მოგიკვდება! — წამოდგა ნატალია, რამდენი იროოდ დადის ქვეყანაზე, ყველას დარდი მე შემომყარე! ეგ რაღაცა ეშმაკის სახელი შეგარქვა „ბეატრიჩეო“, მაგით თუ მოგაჯადოვა, ტყუილად კი არ უთქვამთ „დედაკაცი თმაგრძელი და ჭკუამოკლეო!“

მოგვიანებით ბავშვები რომ დაწვნენ, ნატალიამ სუფთა თავშალი მოიხვია, კაბის კალთას ჯაგრისი დაუსვა და დინჯად გადასჭრა ქუჩა, ილეტაქსას კარს მიუკაკუნა:

— კოსტა, შინა ბრძანდები?

ნატალიას ხმის გაგონებაზე ილეტაქსა ისე შეკრთა და დაიბნა, რომ მზად იყო დამალულიყო, მაგრამ ოთახში დასამალი არსად იყო და ნატალიამაც კარი შეაღო.

— დილას პერანგები დაგიუთავე და უთო აქ დამრჩა (უთო ნატალიამ განგებ დატოვა).

— ოო, ქალბატონო ნატალი, — ძალიან-ძალიან მადლობთ პერანგებისათვის, დიახ, უთო აქ არის, დაბძანდით, გთხოვთ.

— დასაბრძანებლად არ მოვსულვარ. — ნატალიამ უთო აიღო და ჩაგონებით დაუმარცვლა მასპინძელს: — ჩვენ ყველანი მივდივართ, მთელი ოჯახი, ყველანი.

— დიახ, ქალბატონო ნატალი, ვიცი, ყველანი, — უბრალოდ დაუდასტურა ილეტაქსამ, თუმცა ნატალიას არ გამოეპარა მის შავგვრემან სახეს მოდებული სიწითლე.

— ჰოდა, შენ თუ მაგ შენ ფიქრზე დარჩები, მერე ჩამოხვალ.

— მე მოკდომამდე მაგ ფიქრზე დარჩები, ქალბატონო ნატალი.

— შენ ჯერ ქართულიც არ იცი ხეირიანად.

— მე უკვე ვიცი ხეირიანად, ხოლოთ გრამატიკა არის ძალიან მეტად ძნელი, მაგრამ ეგეც ხეირიანად იქნება. როდის მოვალ ირმისში, როდის იქნება თქვენი ნებართვა?

— როცა ჩვენი გახდები, ჩვენნებური პასპორტი გექნება, შენ ჯერ უცხოელად ითვლები.

— არა, ქალბატონო ნატალი, ჩემი ქალალდები უკვე ალმა-ატიდან მოსკოვში წავიდა, სულ-სულ მალე იქნება პასპორტი.

— ჰოდა, რომ მიიღებ შეგვატყობინე, მე ეგ ქალი გზაზე კი არ მიპოვნია, შვილივითა მყავს გაზრდილი. რაც წესი და ლაზათია, ყველაფერი ისე უნდა იყოს.

— მე ძალიან თანახმა ვარ თქვენი მოაზრების, ქალბატონო ნატალი, თუმცა ძალიან მინდა თქვენი ქალიშვილიც, შვილისშვილებიც, თქვენც, ირმისიც...

კოსტამ სათვალე მოიხსნა და გაცნობის დღიდან ეს მეორედ დაიხარა ნატალიას ხელის საკოცნელად.

ამ გულცხელზე ნატალია სხვას უთოს დაახლიდა თავში, ამას კი... „ეჰ, ცუდი კაცი ხომ ცუდია, მაგრამ ეგეთი კარგიც — ხათაბალაა! ქვეყნის სათქმელი მოვამზადე და ერთიც ვერ შევკადრე“, — დაინანა გულში და ცივად უთხრა:

— ცხრამეტი წლისა არც შენა ბრძანდები, არც ჩემი ოლა, გაცილებისას დარბაისლურად უნდა გეჭიროთ თავი, შენც ისე გაგვაცილებ, როგორც სხვები.

— დიახ, ქალბატონო ნატალი, მე ამისთვის მომზადებული ვარ, ხოლოთ ჩემთვის ძალიან-ძალიან ძნელი იქნება პატარა, ჭკვიანი ნატალის გაცილება, — სევდიან ჩიტს დაემსგავსა კოსტა.

— არა უშავს რა, გაუძლებ.

— დიახ, გაუძლო უნდა, იმის გამოთ, რომ პატარა ნატალის ჩქარა-ჩქარა უნდა ირმისი, მე დილით მოვიტან აეროპლანის ბილეთებს.

— ოზბეთელაანთვისაც სამი ბილეთი არ დაგავიწყდეს!

— დიახ, არ დამავიწყდება, ქალბატონო ნატალი, დალი და ოსიკო კარგი შვილები არის, დედას ფევრონიას ძალიან მიეხმარებიან...

„ეს გულმკვდარი, თებროს ეძახის ფევრონიას!..“ — ჩაეცინა ნატალიას გუნებაში.

— და დალი და ოსიკო ძალიან-ძალიან კარგი შვილისშვილები არის, ჩუმად განაგრძობდა კოსტა, — მე სულ-სულ მალე მორჩები პაპა ივანიკას მემორიალს...

— ეგ კეთილი საქმეა, კოსტა, მადლია, გაგახაროს და გაბედნიეროს ღმერთმა, დაიძინე, ღამე მშვიდობისა!

ნატალიას ახლა კი ნამდვილად დაავიწყდა უთოს წალება.

* * *

წამსვლელები რომ გააცილეს, ტასანბაევმა ჩაიხანაში შეიპატიჟა ალექსი, ლაპარაკ-ლაპარაკში სამი ჭიქა ჩაი გამოცალა, მეოთხის — ხელისგულები შემოუმრგვალა და თავისი თვალ-ბურლები დაასო ალექსის.

— რას იტყვი? — ღიმილით ჰკითხა ალექსიმ, იცნობდა მაგჟანის ჩვევას: მნიშვნელოვანი სათქმელის თქმას რომ დააპირებდა, მოსაუბრეს აი ასე, ხანგრძლივად და გამომცდელად მიაჩერდებოდა ხოლმე.

მაგჟანმა მეოთხე ჭიქა ჩაიც დალია, ლამბაქზე პირდაღმა დაყირავებული ჭიქა გასწია, აუჩქარებლად დატენა ჩიბუხი, გააბოლა და მერე დაილაპარაკა:

— მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ბეჯითად ვაკვირდებოდი შენებურებს და პირდაპირ გეტყვი: კარგი ხალხია, ძალიან კარგი, მშრომელი, პატიოსანი, თავაზიანი, თავის მიწა-წყალზე შეყვარებული, და ასე მგონია, სამოყვროდ, სამეგობროდ გაჩენილიო...: და მე აქამდე ვერ გამიგია, რა დააშავეს, რაზე დაისაჯნენ?.. ჩუმადა ხარ. ჰო, ვიცი, შენთვის ძნელია, შენ არ გინდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მე მინდა ვიცოდე... თუ შენც არ იცი?

იცის ალექსიმ, როგორ არ იცის, მაგრამ არ უნდა, არ შეუძლია ამაზე ლაპარაკი. რისთვის? ყოველ მოვლენაზე ყველას თავისი აზრი აქვს, რასაც მაგჟანი ეკითხება, ამაზე უთუოდ აქვს თავისი აზრი, იმიტომ წამოიწყო ეს ლაპარაკი. მაგრამ რა საჭიროა? რისთვის? განა ამგვარი ლაპარაკი გაარკვევს ადამიანთა გაუგებარ განსჯას?

სდუმდა ალექსი.

— ამას წინათ ალმა-ატაში რომ ვიყავი სესიაზე, — ჩაფიქრებით დაილაპარაკა ისევ მაგჟანმა, — ბევრ მეგობარს, ძმაკაცს ველაპარაკე. ეს თქვენი ამბავი არ მასვენებდა და იმათაც ვეკითხებოდი. არც ერთს, არავის ეგ ამბავი არ გაუგონია, ასეთი რამ ჩვენ ქვეყანაში არ ყოფილაო, შენ ეს იცი? — დაჟინებით შეეკითხა ალექსის.

— რა მნიშვნელობა აქვს, მე ვიცი თუ არ ვიცი, — უხალისოდ დაარღვია ალექსიმ დუმილი, თქვა მხოლოდ იმისათვის, რომ მისი გაჩუმება მაგჟანს უყურადღებობაში არ ჩამოერთმია.

— იოი... — ჩაიძახა მაგჟანმა და ჩაფიქრებულმა გაადევნა თვალი ჭერის-

კენ აფარფატებულ მტრედისფერ ბოლს.

ალექსის კი გაახსენდა თავისი უკანასკნელი საუბარი ნიკო ხელაშვილთან, იქ, ირმისში, 9 მაისის დილას. ცხარე კამათი ჰქონდათ, მაგრამ ადვილად ესმოდათ ერთმანეთის და ეს ბუნებრივი იყო — ორივე საკუთარი მხრებით ზიდავდა მათ მიწა-წყალზე შექმნილი ვითარების სიმძიმეს. მაგჟანს კი წარმოდგენა არა ჰქონდა იმ სირთულეზე, მაშინ ნიკომ რომ თქვა. „კაცი შეიძლება ჭკვიანიც იყოს, განათლებულიც, პატიოსანიც, მაგრამ თუ ვაჟკაცობა აკლია, საქვეყნო საქმეზე თავს არ დასდებსო...“ მაშინ ლაპარაკი ვენახებზე იყო და საყვედური მათი რესპუბლიკის ხელმძღვანელს ეხებოდა. რას მოიფიქრებდნენ, რომ კაცს, რომელსაც ვაჟკაცობა აკლია, ვაზის კი არა, ადამიანების დაცვა დასჭირდებოდა?! განა ამისთვის ის თავის თავს, თავის კეთილდღეობას საფრთხის ქვეშ დააყენებდა?! თავისმა წინამორბედმა — უდანაშაულო ადამიანების სისხლით გაუმაძღარმა სათვალეებიანმა ურჩხულმა უბრძანა და მან უსიტყვოდ გასწირა თავისი თანამემამულენი...

გაჩუმებული იჯდა ალექსი. როგორ აეხსნა მაგჟანისათვის, რომ ქარიან უდაბნოში დაბადებულ სიძულვილს ზიზღიც შეერია — ქართულ ხასიათში მუდმივი ძნელბედობით გამოკვეთილი თვისება — ზიზღი სიმხდალისადმი. სხვას ეგებ ნაწილობრივ მაინც გაუზიარებდა თავის მწველ გრძნობას, მაგრამ მაგჟან ტასანბაევს? მაგჟანს, რომელმაც არ დაირიდა ძმური ხელის გაწოდება კანონგარეშე დაყენებული ადამიანებისათვის? სხვა ტომის კაცისათვის როგორ აეხსნა — თვისტომმა რატომ ვერ დაიცვა თავისი უდანაშაულო, პატიოსანი, მართალი ხალხი?

და სიმხდალისადმი, სულმოკლეობისადმი ზიზღით ყელამდე ავსილმა, კბილებში ძლივს გამოსცრა:

— ბრძანება შეასრულა...

— ბრძანება შეასრულა... — გაბმით გაიმეორა მაგჟანმა, ჩაიხანის დაცარიელებულ დარბაზში გაიარ-გამოიარა, მერე ალექსისთან გაჩერდა, მხარზე ხელი დაადო: — უბრალოდ ცრუ[illegible]მოყვარეობად ნუ ჩამითვლი, ალექსი, ძმაო ჩემო, მე შენი ხალხის სიყვარული მალაპარაკებს... რად სჭირდებოდა სტალინს ეგ ბრძანება?

— საიდან დაასკვენი, რომ იმისი ბრძანება იყო? — თითქოს შოლტი გადაუჭირესო ალექსის.

— მაშ რათა ხდება, რომ, როცა ის აღარ არის, ამნისტია მაშინ გამოვიდა, ხალხს ანთავისუფლებენ?

ეჰ, რახან ეგრეა, ალექსი იტყვის თავის სათქმელს!

— მაგჟან, მე ირმისში დაბრუნება თუ არ მიწერია, უარესს ვერავინ რას დამმართებს, გეტყვი რასაც ვფიქრობ. ეხლა რომ „გულკეთილობენ“, წინათ სად იყვნენ ეს ვაჟბატონები? ყველაფერი ცუდი რაც იყო — ეხლა შეიძლება მკვდარს მიაწერო, ის ხმას ვერ ამოიღებს, ყველაფერი კარგი რაც იყო — შეიძლება შენ მიიწერო, მკვდარი ვერ შეგედავება. იციან იმ მკვდარს ჩრდილი რომ არ მიაყენონ, თავისი თავის დამკვიდრება გაუჭირდებათ, იმის სიმაღლეს ვერ შესწვდებიან, ჭკუა-გონება არ ეყოფათ. ჰო, მაგჟან, მე ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ პატიოსან კაცს უნდა ესმოდეს და ახსოვდეს, თუ რწმენა დაარღვიე, შეიძლება ტაძარიც გაიბზაროს...

— ოოი... — ხმადაბლა აღმოხდა აღელვებულ მაგჟანს და თვალი ვერ მოსწყვიტა ალექსის დაღლილ, სევდიან სახეს.

## თავი მეხუთე

ყაზახეთიდან რამდენიმე ოჯახი რომ დაბრუნდა ირმისში, ზაფხული განახევრებული იყო. „დაგვიანებული უწყებების“ ირგვლივ ათასნაირი ხმა დადიოდა. სარდიონ მალალაშვილი არა ჩანდა, ამბობდნენ, მანქანის ავარიაში დაღუპული ბრეგაძის შესანდობარსა სვამდა, თბილისში რომ გაიძახესო.

რამაზ მელითაურიც არა ჩანდა. იმ დღეს კი მან ჩვეულებრივი სითამამით შეაღო გულვარდიშვილის კაბინეტის კარი.

მდივანმა სალამზე არ უპასუხა, არც დაჯდომა შესთავაზა.

— უწყებებს შენ ვინ გაკითხებდა? მაღალაშვილი გასწირე? — ჰკითხა კუშტად.

— შენ მაღალაშვილის ბედი გაწუხებს, თუ შენი საკუთარი?

— შენ ძალიან გათავხედდი! — წამოხტა გულვარდიშვილი.

— ნუ ყვირი, თავი მტკივა, — ხმადაბლა უთხრა მელითაურმა.

— როგორ მიბედავ? დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები?

— ნუ ყვირი-მეთქი, — ისევ ხმადაბლა და მკაცრად შეაწყვეტინა მელითაურმა და თვალი თვალში გაუყარა მდივანს.

გულვარდიშვილს მოეჩვენა, რომ ვიღაცა სხვა, უცნობი კაცი ელაპარაკება, რომელსაც უფლება აქვს ელაპარაკოს და მოექცეს ისე, როგორც მოეპრიანება. უცებ სიტყვაგამწყდარი დაეშვა სავარძელში.

მელითაურმა შეიცადა, სანამ სავარძლის სახელურებზე დალაგდებოდნენ მდივნის მოწითურო ბალნიანი ხელები, და მერე თვითონაც დაჯდა.

სახელურებს რომ ჩაეჭიდა, გულვარდიშვილს გულზე მოეშვა. გუნებაში ჩაეცინა კიდეც თავის წამიერ სისუსტეზე. მადლობა ღმერთს, მის სავარძელს არსაიდან რა ემუქრება. გუშინ ჩამოვიდა პროკოფი თბილისიდან. იქ, ცენტრალურ კომიტეტში ჩვეულებრივი პატივისცემით მიიღეს და გამოაცილეს. ვითომ რას თავხედობს ეს ვაჟბატონი? ეხლავე დაითხოვს კაბინეტიდან და აუკრძალავს აქ მოსვლას!

— ყვირილსა და მუქარას მოეშვი, — თქვა მელითაურმა, — მე საჩხუბრად არ მოვსულვარ. ეხლა შენთან ჩხუბს ვაჟკაცობა აღარ ეთქმის.

— რათა, რა გგონია? — მთლად გამოევგო წუთით შემდგარ ეჭვს გულვარდიშვილი და თხელი წარბები დაცინვით აჰიმა.

მელითაურმა კვლავ შეიცადა, ვიდრე პროკოფის დანაოჭებული კანი გახუნებული ნარმასავით აიკეცებოდა თხემამდე და ყურის ნიჟარამდე. „მართლაც არ იცის, რა მგონია. არასდროს არ იცის, ვინ რას ფიქრობს. თავის ქალა კუბოს მიუგავს, აზროვნების კუბოს. შიგ ერთადერთი ფიქრი ფუთფუთებს — „მე!“ სხვა ყველაფერი ამის ირგვლივ ტრიალებს...“ — ფიქრობდა მელითაური, ვიდრე მდივანი წარბებს ადგილზე დაუშვებდა. მელითაური ახლა მის შეყვითლებულ, მკრქალ კანზე დარჩენილ, დაშლილი ნაოჭების წვრილად დახაზულ ნაკვალევს მიაჩერდა. თავის ტკივილისაგან იყო, თუ ხრწნის სუნი ეჩვენებოდა — გული ერეოდა.

არც მდივანი აშორებდა თვალს მელითაურს. იგრძნო: რაც უნდა ეთქვა, როგორც უნდა დაეტუქსა თუში, სასაცილო თვითონ გახდებოდა. სჯობდა, ყველაფერი ხუმრობად და მეგობრულ წაქილიკებად მიეღო.

— მითხარი, როდისმე თუ მოგსვლია აზრად, ადამიანს ადამიანი რად ჰქვია? — ჰკითხა ამ დროს მელითაურმა.

— ო, ეგ მართლაც თავსამტვრევი და საინტერესო საკითხია! — გაიცინა გულვარდიშვილმა და ხანგრძლივი საუბრისათვის განეწყო.

რისთვის ჰკითხა? სულერთი არ არის, რას უპასუხებს პროკოფი? აქ ჯდომა, მისი ყურება, მისი ხმის გაგონება არ შეუძლია. მოვიდა იმისათვის, რომ მის შეზღუდულ გონებაში ის ერთადერთი ფიქრი და საზრუნავი „მე“ აუმოქმედოს. რადგან ამისი მიღწევა წარმოუდგენლად ადვილია, დროს დაკარგვაც არა ღირს.

— შენ გაინტერესებს ეგ თავსამტვრევი საკითხი? მე რომ წავალ, მაშინ არკვიე, ეხლა მომისმინე, ხოლოთ ნუ აყვირდები, თავი მტკივა და გულიც მერევა. მოვედი რომ გირჩიო. იცოდე, მაღალაშვილი შენ არ დაგინდობს, ხელს არ დაგაფარებს. მის სეიფში გაყვითლებული უწყებები თქვენი ბო-

როტების ერთი მარცვალია, რომელიც ბოლოს მოუღებს შენს მდივნობას. დაიცა, ნუ ღელავ, მათქმევინე, შენს სასიკეთოს გეუბნები! ვიდრე ჯერ კიდევ დრო გაქვს, ეცადე ზოგიერთი დანაშაული მაინც გამოასწორო. ალექსი რჩეულიშვილის გასახლება საკუთრად შენი დანაშაულია. იზრუნე მის დაბრუნებაზე. ეცადე, ყოველგვარი ღონე იხმარე, სწრაფად გამოასწორე ეს დანაშაული. ხო იცი ის კაცი როგორ უყვარს ხალხს, ამას დიდ სიკეთედ ჩაგითვლიან, დაგიფასებენ, ბევრ სხვა წყენას გაპატიებენ. ზევითაც დიდ დამსახურებად ჩაგითვლიან, მოგიწონებენ, ვაჟკაცობას შეგიქებენ, გაიმაგრებ შენს მდგომარეობას, ეგებ უფრო წინ წაგწიონ, ხომ ხედავ, ეხლა ჰუმანურობა დიდად ფასობს.

— რა ჰყოფილხარ, მელითაურო? ასე დამიფასე ზრუნვა და მხარდაჭერა? გზათა უკან დაყიალობდი, ჩემ რაიონში შეგიკედლე, კაცად გაქციე, საუკეთესო სამსახური მოგეცი და შენ კი...

— მიმიფურთხებია შენი მოცემული სამსახურისათვის. თბილისიდან პასუხი მივიღე, თავისუფალი ვარ. ზრუნვა დაგიფასე და შენთან იმიტომ მოვედი, მიიღე ჩემი რჩევა, ამ წუთიდანვე დაიწყე იმ კაცის დაბრუნებაზე ჩალიჩი.

— გიჟი ხო არა ხარ, იმის დაბრუნებას მე ვინა მკითხავს?

— არა გკითხავენ. შენი და რაფოსთანების მოჩხლართულ საძაგლობას არკვევენ, მაგრამ დაჩქარდი, შენც ჩაიდე წილი, მოახერხე ჩარევა. შენი ბედი, რომ რაფომ ადრე მოსატეხი კისერი გვიან მაინც მოიტეხა. დაუყოვნებლივ იმოქმედე. ვიდრე მდივანი ხარ, შენ სიტყვას ძალა და გასაქანი ექნება. დღესვე გაგზავნე წერილი. შენ ფაქტების დამახინჯების და ტყუილების ოსტატი ხარ, დაწერე, რომ იმ უწყებების აღმოჩენაც შენი დავალებით მოხდა, დაწერე, რომ იმ ხალხის გასახლების ისეთი წინააღმდეგი იყავი, რომ ბრეგაძემ კინაღამ პარტიული ბილეთი დაგატოვებინა, რომ მიუხედავად ამ საშიშროებისა, შენ მაინც შესძელი და ალექსი რჩეულიშვილის ცოლ-შვილი გადაარჩინე. დაწერე, შეგიძლიან დარიანის რაიონის მშრომელების სახელით მოითხოვო ბრეგაძის მიერ დარღვეული სამართლის აღდგენა. დროს ნუ დაკარგავ, შენთვის ყოველი საათი ძვირფასია, დაწერე, მე ხელს აღარ შეგიშლი...

მელითაურმა ხმაურით დასწია სკამი და წამოდგა.

— შენ გვიან დაიბადე, პატარა, ღვარძლიანო ფეოდალო, ტაკიმასხარა პროკოფინავ! — უთხრა და გატრიალდა, აუჩქარებლად გავიდა კაბინეტიდან.

გონს მოსული გულვარდიშვილი ფანჯარას ეცა, დაინახა, მელითაურმა მოედანი გადაჭრა და თვალს მიეფარა. მიხვდა, თუშმა დიდი ხნის წადილი შეისრულა — გაექცა ბარს...

მელითაურის ნასროლი ისარი ზუსტად მოხვდა მიზანს. საკუთარ ბედზე აფორიაქებული ფიქრები პროკოფის თავში ისე აირივნენ, დაედევნენ ერთმანეთს, როგორც რკალები ამღვრეული ჭაობის ზედაპირზე. „ამ ლაპარაკს მოწმე არ შესწრებია, აქედან ამბის გამტანი არავინ იყო“, — გაიმაგრა გული და ყველაფერი საწყენი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, რაც ახლახან მოისმინა, თვალთაგან მიფარებულ თუშს გააყოლა. დარჩა მხოლოდ ფიქრი თავდაცვაზე.

ნელა მოშორდა ფანჯარას. მაღალჭერიანი კაბინეტი, ლამაზი ახალთახალი ავეჯი, ბროლის ჭაღი შეათვალიერა და შუქის ჩამრთველი გადაატრიალა. ჭაღის რვა ნათურა აინთო, მეორედ გადაატრიალა და კიდევ რვა ნათურა აინთო, მესამედ — კიდევ რვა. თვალებმოჭუტულმა ერთ ხანს უყურა გაჩახჩახებულ ჭაღს, მერე საწერ მაგიდას მიუჯდა და სეიფიდან გამოღებული „საიდუმლო“ საქაღალდე გადაშალა. ქაღალდებს ათვალიერებდა და თან თავის თავს ელაპარაკებოდა:

— რამდენი სულელი ჰყავს ღმერთს! ღირსეულად მოპოვებულ ჩემს მდგომარეობას რა საფრთხე უნდა ემუქრე-

ბოდეს? „ფეოდალი“. ეს შურია და იდეურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობა. მე პარტიამ გამზარდა. განა ბევრსა აქვს ამდენი წლის პარტიული მუშაობის გამოცდილება? სხვა ვინ გაუძლებდა ამდენ ხანს ნერვიულ, დაძაბულ მუშაობას რაიონში? ალბათ მალე პარტიის ცენტრალურ აპარატში გადამიყვანენ. მე ამის უფლება მოვიპოვე ჩემი უმწიკვლო, თავდადებული შრომით, იქ სწორედ ჩემისთანები არიან საჭირო. მე ვერავინ ვერავითარ ნაკლს ვერ მომიძებნის. პარტიისა და მთავრობის ღონისძიება გავაკრიტიკე როდისმე? ბრძანება არ შევასრულე როდისმე? უფროსებს პატივს არა ვცემდი? ჩემ სანიმუშო დისციპლინას ხშირად აღნიშნავდნენ უფროსი ამხანაგები. აი ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები...

მან საქაღალდედან ადრე წარდგენილი მოხსენებითი ბარათების ასლები ამოიღო, გადაათვალიერა და ასანთი მოუკიდა. დაიცადა სანამ ქაღალდები დაიწვებოდა, ფერფლი ახალ, ჯერ წაუკითხავ გაზეთში ბეჯითად შეახვია, პორტფელში ჩადო და განაგრძო დაწყებული „საქმეც“, ლაპარაკიც:

— მე ვალდებული ვიყავი ყოველ მოვლენაზე რეაგირება დროზე გამეკეთებინა. მაშ არ უნდა მიმეწერა სათანადო ინსტანციებში, რომ ჩემს რაიონში პურის დამზადებისა და სხვა საკითხების ირგვლივ რჩეულიშვილი გამოდიოდა მთავრობისა და ხელისუფლების წინააღმდეგ? მე ვალდებული ვიყავი გამეგზავნა სათანადო სიგნალი...

კალამი მოიმარჯვა და აჩქარდა მელითაურის ნაკარნახევის, საკუთარ აზრებთან ერთად ქაღალდზე გადატანას·

„...დიახ, ამხანაგი რჩეულიშვილი გმირულად გამოდიოდა მაშინდელი მცდარი კურსის წინააღმდეგ, მე დიდად ვაფასებდი მის პრინციპულობას, გულში მთლიანად ვიზიარებდი მის პოზიციას, მაგრამ როგორც პარტიულ ხელმძღვანელს არ შემეძლო ამის აშკარად გამომჟღავნება. განა ადვილი იყო, პირადი დამოკიდებულების და სოლიდარობის მიუხედავად, სიგნალების გზავნა? მაგრამ მე ვალდებული ვიყავი, ასე იყო საჭირო. ის მერე, როცა [illegible]ლური სიტუაციის მიხედვით შეიცვალა ჩვენი პარტიისა და პოლიტიკის კური, მაშინ, რომ გავიგეთლა პურის საკითხში დამახინჯებებთან გვქონდა საქმე, კინალამ კახეთში ვაზი მთლიანად ამოგვაძირკვინეს, მაგრამ ჩვენ, დარიანელები რისკზე მივდიოდით და ვაით იყო თუ ვაგლახით, ზვრების მომეტებული ნაწილი მაინც გადავარჩინეთ აოხრებას...

შავად დაწერილი გადაიკითხა, აქაიქ შესწორება შეიტანა, გადასათეთრებლად გადადო და ახალ ფურცელზე განაგრძო წერა:

„...რაც შეეხება იმ ავად სახსენებელ აქციას, ის ღონისძიება, მოგეხსენებათ, ბრეგაძის ხაზით ტარდებოდა. რაიონის გაწმენდა-გაჯანსაღების მიზნითო, გასასახლებელი ოჯახების სიაც იმის შედგენილი გახლდათ. მე ისეთი წინააღმდეგი ვიყავი იმ სიაში ამხანაგ რჩეულიშვილის შეტანისა, რომ ბრეგაძე დამემუქრა, პარტბილეთს დაგატოვებინებო. რჩეულიშვილისადმი ჩემი სოლიდარობა და დამოკიდებულება იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ მიუხედავად რაფიელ ბრეგაძის მუქარისა, მე მას, შეიძლება ითქვას, ხელიდან გამოვტაცე ამხანაგ რჩეულიშვილის ცოლ-შვილი, რითაც დარიანის რაიონს შევუნარჩუნე საუკეთესო აგრონომისპეციალისტი მისი მეუღლე. რაფიელ ბრეგაძის ბოროტების გამოსწორება მე მაშინღა შევძელი, როცა ჩვენი რაიონის მილიციის უფროსის სარდიონ მალალაშვილის სეიფში უნარიანად მივაკვლიე ჩვენი ბიჭების ფრონტზე გმირულად დაცემის უწყებებს...“

„დარიანის რაიონის გაჯანსაღების მიზნით“ ბრეგაძესთან ერთად შედგენილი „პროექტი“ ამოიღო საქაღალდედან, საკუთარ ხელმოწერას დააკვირდა და გულგახეთქილმა მოუკიდა ასანთი. მერე საქაღალდედან წერილი ამოაძრო. ეს ბელორუსიის სოფელ იაბლონკიდან გამოგზავნილი წერილი იყო — ის წერილი, გულვარდიშვილი ტრიბუნაზე

მდგომი რომ აფრიალებდა სავსე დარბაზის თვალწინ. ცოლ-ქმარი რომანიუკები და მათი შვილი სერიოგა იწერებოდნენ. მათ არ იცოდნენ დაბრუნდა ფრონტიდან თუ არა მათი ნაცნობი ზემდეგი ალექსი რჩეულიშვილი, ამიტომ დაწვრილებით იწერებოდნენ მის შესახებ ყველაფერს, რაც იცოდნენ, და რაც მოგვიანებით შეეტყოთ დივიზიის ქვალდაკვალ მისი ძებნის შედეგად. წერილში ეწერა, რომ ზემდეგი წარდგენილი იყო უმაღლეს ჯილდოზე, მაგრამ კონტრდაზვერვის უსინდისო მაიორ მედვედევთან მომხდარი გაუგებრობის გამო შეფერხდა საქმეო, მაგრამ იაბლონკაში ზემდეგს მაინც სთვლიან გმირად, თუნდაც ეს არ იყოს ოფიციალურად აღიარებულიო. იწერებოდნენ, რომ ისინი მოუთმენლად ელიან პასუხს და არ კარგავენ იმედს, პირადად გადაუხადონ მადლობა ზემდეგსო...

გულვარდიშვილმა ამ წერილის დაწვაც დააპირა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და ასანთი ჩააქრო. „გაგიჟდა? კინაღამ ასეთი ძვირფასი დოკუმენტი მოსპო! დეპეშას გაგზავნის ბელორუსიაში, რომ ყოფილი ზემდეგი, ეხლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსი რჩეულიშვილი მივლინებაშია და დაბრუნდება თუ არა, გიპასუხებთო. ამ წერილს და დეპეშის ასლს კი ჩემ მოხსენებით ბარათს დავურთავ და სპეცკომისიას შევატყობინებ, რომ ამ წერილს ბრეგაძემ გაუკეთა კომენტარები და ეს წერილიც უწყებებთან ერთად ალმოვაჩინე მალალაშვილის სეიფში!“

თავისი მრავალგვერდიანი „მოხსენებითი ბარათი“ გულვარდიშვილმა ასე დაასრულა: „ყველა ზემოთაღნიშნული ფაქტების საფუძველზე, პარტიის დარიანის რაიონული კომიტეტი, რაიონის მშრომელებთან ერთად გადაჭრით მოითხოვს უსამართლოდ დასჯილი მალალიდეური შეგნების ამხანაგის, შრომის ბრწყინვალე ორგანიზატორის და შეუდარებელი სპეციალისტ-მევენახის ალექსი რჩეულიშვილის დაბრუნებას“.

თავისი მახვილგონიერებით და შორსმჭვრეტელობით კმაყოფილი გულვარდიშვილი ბარათის გადათეთრებას შეუდგა. რას წარმო[illegible] ამ დროს იგი სოცრად[illegible] მაიორ მედვედევს, რომელმაც მისი თქმით, „ნაწილის მეთაურები იხსნა სავალალო შეცდომისაგან“. და რას წარმოიდგენდა, რომ მოედნის მოპირდაპირე მხრიდან მელითაური უყურებდა მის ფანჯრებს.

„ქალი აუჩახჩახებია, მაშ დამჯდარა საწერად. უუფ, პროკოფინავ, რად განდეს, როგორ განდეს შენ ეგ კაბინეტი? ან ეგეთი უვიცი და გამოთაყვანებული როგორ ახერხებდი წლების მანძილზე მაგ ადგილის შენარჩუნებას? ჰოდა, რაკი იმათ, ვისაც ევალებოდა შენი ავ-კარგიანობის გარკვევა, აქამდე ვერ გაარკვიეს, ეხლა დარიანელები დაგიდგენენ ჭეშმარიტ ღირებულებას, ესენი მოგიძებნიან შესაფერ ადგილსამყოფელს...“ — რამაზმა გამეტებით მოისრისა ცხელი შუბლი, თვალი მოსწყვიტა ფანჯრებს და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

ორიოდე დღის შემდეგ გულვარდიშვილი „პობედით“ მიჰქროდა ნათესავებისაკენ. გზა კირიანზე გადიოდა. პროკოფის ჭირივით ეჯავრებოდა იმ დანგრეულ-გალატაკებულ სოფელზე გავლა, იმიტომ ეჩქარებოდა ნათესავებისათვის თბილისში ბინის მიღება, ჯერჯერობით კი რა ჩარა იყო, ამ გზაზე უნდა ევლო.

უკანასკნელ ლობემონგრეულ სახლს რომ გასცდნენ, კირიანელმა შოფერმა ხელმარცხნივ სერს გახედა, კვამლის ბოლქვები შენიშნა, ცერად გამოხედა გვერდით მჯდომ მდივანს, მოკლეულვაშიანი ტუჩი კბილით ჩაიჩირა და ვაზს უმატა. მალე იძულებული გახდა მანქანა დაემუხრუჭებინა — წინ გზა ისეთი აყრილი დახვდათ, მანქანით კი არა, ფეხითაც ვერ გაივლიდა კაცი... მანქანიდან გადმოსულმა შოფერმა გზა შორამდე დაათვალიერა, ხელი უიმედოდ ჩაიქნია, საყვირი საგანგაშოდ აახმაურა და ხალხის დასაძახებლად ლობეღობე დაიარა.

აღრენილი მდივანი წინა სავარძლი-

დან უკან გადაჯდა, რაც შეეძლო ღრმად შეიკუნჭა. „ისეთი უტიფარი ხალხია, გზაზეც გადაგიდგებიან და თავისი გაუთავებელი თხოვნა-წუწუნით სულს ამოგხდიანო“, — ხშირად შეუჩივლია თავისი შინაკაცებისათვის.

საყვირის ხმაზე ბლომად კაცები გამოვიდნენ გზაზე, ეტყობა, სამუშაოს მიანებეს თავი, ზოგს ბარი, თოხი და ფოცხი შერჩენოდა ხელში. „ერთი შეხედვით ეს კირიანი უკაცრიელი გეგონება და უყურე, რამდენი ყოფილან“ — გაუკვირდა პროკოფის, არავის იცნობდა, საიდან მიხვდებოდა, რომ კირიანელების გარდა, იქ ახლო-მახლო სოფლებიდან და ნატაძრიდანაც იყო ხალხი მოსული.

ისინი თავაზიანი სალამ-ქალამით შემოეხვივნენ მანქანას.

გულვარდიშვილი იძულებული გახდა ფანჯრის მინა დაეწია და თავდაბლობაც კი გამოეჩინა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, როგორ გიკითხოთ?

— შენი წყალობით რა გაგვიჭირდება?! — მიუგეს დინჯად.

— ამ გზას რა დაემართა?

— აიმ ავდარზე ნიაღვარმა ჩამორეცხა და მერე ტრაქტორებმა მოუღეს ბოლო! გვცოდნიყო აქეთ აპირებდით, ღამეს დავათენებდით, რაღაცას მოვუხერხებდით! — უპასუხეს აქეთ-იქიდან.

— ვიდრე გზა გაიწმინდება, იქნება დასვენება ინებოთ, — შესთავაზა ერთმა დარბაისელმა გლეხმა.

— ძალიან მეჩქარებოდა...

— მაინც დაცდა მოგიხდებათ, ვიდრე გზა გაიწმინდება.

— დღეობა ხომ არა გაქვთ, ბევრნი შეკრებილხართ! — ღიმილით შენიშნა მდივანმა. „დღეს როგორღაც არა ჩანან წუწუნის გუნებაზე“, — გაიფიქრა თან.

— დღეობაზე უკეთესი ამბავი გვაქვს, თუ პატივს დაგვდებთ და წამობრძანდებით, საკუთარი თვალით ინახულებთ!

თავაზით, მშვიდად, გულიანად სთხოვდნენ და მეტი უარის თქმაც აღარ შეიძლებოდა. მდივანი მანქანიდან გადმოვიდა და ხალისიანად მობაასე ხალხით შემოხვეული, სოფლისაკენ წავიდნენ. დარწმუნებული იყო, რომ თავისი გამარჯვების საჩვენებლად მიჰყავდათ, მაგრამ არა ჯავრობდა. „ზოგი ჭირი მარგებელიაო, — ფიქრობდა გზადაგზა. — მაჩვენონ. თუ რამე მთხოვეს, დახმარებას შევპირდები, ეხლა სწორედ მისწრება იქნება გზის შეკეთებაც რომ შევპირდე...“ — მან ჩალის პანამა მოიხადა, ზოგიერთი გლეხივით თავზე ბოლოებგამონასკვული ცხვირსახოცი დაიფარა და გაზეთის მარაოს რხევით განაგრძო აუჩქარებელი სვლა.

საუბარში გართულნი შეუმჩნევლად მიადგნენ ერთ პატარა, სუფთა და პირიან ნაგებობას.

— ხელმარჯვე მშენებლები გყოლიათ! შიგ რა გაქვთ მოწყობილი? — ვითომ ძალიან დაინტერესდა, დარდიმანდულად იკითხა გულვარდიშვილმა.

— ჩამოდექით, კარებში რას ჩამდგარხართ? პირველები რომ მიიმტვრევთ თავპირს, არ გინახავთ თუ რა? — გაუწყრნენ უფროსები შესასვლელში შეჯგუფებულ ახალგაზრდებს.

ფართოდ გაღებულ კარს ყველანი ჩამოეცალნენ. ვიდრე შიგ შესული გულვარდიშვილი სიბნელეს თვალს შეაჩვევდა, დანარჩენებმა შენობა უცებ დაცალეს და კარი დახურეს.

— დაბრძანდი, უფროსო, მანდ სკამიც არის, ლოგინიც, ლამპაც, დაბრძანდი და მოისვენე, — უთხრეს გარედან და კარი ჩარაზეს.

ჯერ გაოგნებულმა, მერე გაასპიტებულმა გულვარდიშვილმა იყვირა და იწივლა, კარს მუშტები და წიხლები დააყარა.

— დამშვიდდი, გეთაყვა, ტყუილუბრალოდ გულს ნუ იბრუნებ. კარს ჩვენ არ გავაღებთ, შენ კი ვერაფერს დააკლებ. წამოწექი, დაისვენე. პური და ხახვიც მოგიმარაგეთ, არ გვისაყვედურონ, კაცი შიმშილით მოგვიკალითო, თორემ შენ ჩვენი პურის ნამცეცის ღირსიც არა ხარ.

— გააღეთ ახლავე! მთავრობის შეურაცხყოფისათვის მთელ სოფელს აგ-

ყრიან! გაალეთ-მეთქი! გაალეთ თორემ...

— გეყო ყვირილი, — მკაცრად შეაწყვეტინეს გარედან, — შავდლეს შენ ისე შეგვაჩვიე, მუქარა აღარ გვაშინებს. დაბრძანდი და დაისვენე.

— რა გინდათ ჩემგან, რა? მითხარით, რა გინდათ? — სხვა ფანდი სცადა გულვარდიშვილმა.

— რაც აქამდე მივიღეთ შენგან, ისიც გვეყოფა. ეხლა ცოტა მოითმინე, შენი მანქანით ქალაქში კაცებს გავგზავნით, უფროსები ჩამობრძანდნენ და თითონა გნახონ, რა დღეში ხარ. მერე შენ იცი და იმათ. როგორც თქვენ მორიგდებით, ჩვენ ყაბულს ვიქნებით, ამაზე კაი სიტყვა რაღა იქნება?

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დამიძახეთ! ეგ არის თქვენი სვინდისი? თქვენი უგუნურობით ღუპავთ იმ კაცს!

— შენ იმის დარდი ნუ შეგაწუხებს, ჩვენ დავუმოწმებთ, რომ ის არაფერ შუაშია, მესამე დღეა ალაზანზე ქეიფობს და ამ საქმის ბაიბურშიც არ არის. ეხლა დაისვენე, ჩვენ ჩვენ საქმეს უნდა მივხედოთ!

გარეთ ლაპარაკის ხმა მისწყდა. ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. გულვარდიშვილმა ირწმუნა, რომ პირიანად ნაგებ ბოსელს მართლაც ვერაფერს დააკლებდა და ტვინარეული, გატრუნული მიეგდო ტახტზე. „აი თურმე რა მოუფიქრებიათ! ეს როგორ დამემართა, ამ ყაჩაღებს როგორ ვენდე? ნუთუ მართლა ჩამოიყვანენ ვინმეს? არა, მაგას ვერ გაბედავენ, განა არ იციან, რა დღე დაადგებათ? პასუხისმგებელი პირის გაბიაბრუებას აპატიებენ? ნეტა შოფერმა განგაში არ ატეხოს. შინაურულად უნდა გავათავოთ საქმე. ხუმრობად ჩავთვალოთ. მითხრან რა სჭირდებათ და ყველაფერს შევუსრულებ... არა, არაფერს არ იფიქრებს, მართლაცდა, გული რად გადაიბრუნოს, გავიდეს აქედან და აჩვენებს სეირს ამ ველური თვითნებობისათვის...“

ხალხმა ამასობაში მანქანასთან მიაცილა თბილისში გასაგზავნად არჩეული კაცები. დანა პირს არ უხსნიდათ. განა თვითონ კი უხაროდათ? გასახარი რა ჰქონდათ, თუ აუტანელმა [illegible]ობამ ეს საოცრება ჩა[illegible]?

შოფერი საჭეს მიუჯდა. ნაფრონტალი კაცი იყო, ცალი ჭაჭა ამოჭრილი ჰქონდა. გულვარდიშვილის გვერდით ჯდომა ჰაი-ჰაი, ბევრჯერ შეზიზღებია. „თავი ცოცხალი რაღად უნდა, საქმე ისე გაიხადა, ლორივით ბოსელში შეაგდეს, — ფიქრობდა დაძმარებული, — პასუხს მეც მომკითხავენ, უნდა დაგეცვა მდივანიო, მომკითხონ! რჩეულიშვილმა თავი საციმბიროდ გაიხადა, მე კი შევშინდე? ცოლ-შვილს სოფელი მიმიხედავს და ჩემი თავი ამ ხალხის ჭირის სანაცვლო იყოს!“

— აბა, — უკანასკნელად დაიძახეს გამცილებლებმა, — მაგრად დადექით, ყველაფერზე ერთნაირად უპასუხეთ: „არაფერი ვიცით, წამობრძანდით და ადგილზე ნახეთ თქვენი თვალითაო!“

სერზე შემდგარმა მელითაურმა თვალი გააყოლა ქალაქისაკენ წასულ მანქანას და შვებით ამოიოხრა. მერე დანაკვერჩხლებულ ფიჩხს მიწა წააყარა, უკანასკნელად გაიხედა ირმისისაკენ და „ტრედანას“ მოახტა.

კარგა ხნის ჭენებით დაღლილს, მთათუშეთიდან წამოსულ ცხვარს შემოხვდა. გახარებულმა მწყემსებმა ფარები დააყენეს და ღამის თევა თქვეს. ცეცხლის ირგვლივ შემომსხდარნი, გულისნადების ამოსალებს ვერ ილევდნენ. რამაზი შიგადაშიგ ძველებურად „აურევდა“ ხოლმე. დარიანელ რომელიმე „ჩინონიკს“ ისე სასაცილოდ წარმოუდგენდა, რომ მწყემსები სიცილისაგან დაოსებული გორაობდნენ.

გამთენიისას აიშალნენ და დიდხანს, ძალიან დიდხანს აცილებდნენ ერთმანეთს. ასე არასდროს არ გასჭირვებიათ განშორება. მწყემსები ეხვეწებოდნენ, წამოდი კასპიისპირეთში, ზამთარში უჩვენოდ მთაში რა გაგაძლებინებსო, მაგრამ ვერასგზით ვერ დაიყოლიეს.

— გაზაფხულზე რომ დაბრუნდებით, მთაში მე ვიქნები თქვენი მასპინძელიო!

— სიცილით არწმუნებდა მწყემსებს.

როგორც იქნა, გაიყარნენ. ტრედანა მოსახვევში გაუჩინარდა.

სარქალმა, ცალთვალა ფირანამ თავი გააქნია და ისე ნაღვლიანად თქვა, გეგონება, გულმა უგრძნოო, გეგონება, ენამ უყივლაო.:

— ნეტა ვიცოდე, ეს ჩვენი რამაზა რას მოუტეხია? იმ თოვლიაან მთაში რას მიდის? ემანდ არსად გადაიჩეხოს დაა...

## თავი მეექვსე

ვაჟა კვერენჯაძეს — დარიანის რაიკომის ახალ მდივანს დარიანელების გაცნობაზე დრო არ ეკარგება. მათთან ენაც საერთო აქვს და თვითონაც არა ერთი სტრიქონი ჩაუწერია ამბავში, იმისში რომ იწერება და სოფელ-სოფელ იკინძება. საკუთარი ოჯახივით ნაცნობ სოფლებს უვლის და თანდათან უფრო უკვირს, როგორ მოახერხა იმ „გულავარდმა“, ისე როგორ აიმხედრა ეს პატიოსანი, მშრომელი, მრავალ ჭირმომთმენი ხალხი, რომ ის საოცარი, არგაგონილი განაჩენი გამოატანინა?!

გულში უკვირს, პირადად კი არც თვითონ, არც ხალხი აღარ ახსენებს დარიანის ცხოვრებიდან ამოძირკულ „ფეოდალს“. ვაჟას სწადია, ამბავში დაწყებული ახალი თავი ბოლომდე ლამაზად გაიტანოს, მაგრამ მის წადილსა და წადილის შესრულების შუა ჯერ ისევ დგას ბოროტების ჩრდილი.

ძილი უკრთის ვაჟას. ყურში ერთთავად ჩასწივის დარიანელების სათქმელი: „მოხვედი შენ, ახალი ხელმძღვანელი. იქნებ ძალიანაც ივარგო, ჩვენ ყველაფერში ხელს დაგახმარებთ, მაგრამ ჩვენი გული კი განზე იქნება, სანამ შენ სიმართლის კვალს არ გაიტან ბოლომდე“.

იცის ვაჟამ. ადვილად მისაბრუნებელ-მოსაბრუნებელი გული სანდო არ არის, მაგრამ დარიანელების, გულის მობრუნებას თუ შესძლებს, მომავლისკენ საიმედო თანამგზავრები ეყოლება. მათი გულის მობრუნება კი ძნელია, ეს მის ხელთ არ არის და ძილს უფრთხობს ვაჟას. „ყაყაჩო“ კი დამშვიდების ნაცვლად, ჭინჭარივით სუსხავს:

—ეს საქმე თუ არ მოაგვარე, შენი რწმენა საიდან ექნებათ? იტყვიან ძველი და ახალი მდივანი რას გაურჩევია, თუ რჩეულიშვილი როგორც დაგვიკარგეს, ისევ ისე იქნება გადაკარგულიო!

— რაიკომის მდივანი შენ ყოვლისშემძლე ხომ არა გგონია? — დულს ვაჟა, უბრაზდება ცოლს: — მე მხოლოდ იმის გამოსწორება შემიძლია, რაც ჩემზეა დამოკიდებული. პურიც ბევრი გვექნება. ცხვარსაც ვამრავლებთ. აბრეშუმიც ბევრი გვინდა. ეთერზეთოვანთა პლანტაციებსაც გავაფართოვებთ. სიმინდსაც მოვიყვანთ, ოღონდ ყველამ უნდა იცოდეს, შეიგნოს, რომ ჩვენთვის მთავარი — ვენახებია, რომ კახეთის თვალიც და დედოფალიც — ვაზია! ზვრები უნდა შევიმატოთ, ჯიშები უნდა ვაუმჯობესოთ, მაგისთვის არ დაიცვა ხატულამ დისერტაცია? ბევრი და კარგი მევენახე გვჭირდება. ალექსი რჩეულიშვილი ყველაზე ძალიან მე მჭირდება, მაგრამ მე ყოვლისშემძლე არა ვარ, გაიგე, არა!

— მაგას, რაც შენა ბრძანე, დარიანელები უშენოდაც კარგად მოუვლიან, მაგით ვის მოხიბლავ? — არა ცხრება მაკა, — სიმართლეს თუ ვერ დაადგენ, ეს ხალხი ცოტას გიყურებს და მერე შენც გამოგიტანს შესაფერის განაჩენს!

— რას შემომიჩნდი, ქალავ? გგონია, რაკი ცუდი ხელმძღვანელი გამოცვალეს, ყველაფერი ერთბაშად მოწესრიგდა? სიბოროტის მოჩხლართული საქმე იმდენია, რომ ყველაფრის გასწორებას დრო უნდა, დრო! მოთმინებაა საჭირო, ყველაფერი ერთი შებერვით არ გამოვა, მე არა ვარ-მეთქი ყოვლისშემძლე. ვერ გაიგე?

— უყვარდათ ვაჟა კვერენჯაძე, „კარგი ბიჭიაო“, — მაინც იკბინება ჭინჭარი, — რაიკომის მდივნისთვის ეგ აღარ კმარა, ჩემო კარგო. ვინც ვერ

გაიგებს, რით არის ხელმძღვანელი კარგი, ის ბოსელისაკენ გზას იმოკლებს, დიახ!

— არაფერიც არ გესმის! გეჩიჩინები და ვერ გაგაგებინე, დრო, ცოტა მოთმინებაა საჭირო! გეგონება, მე გულხელდაკრეფილი ვზივარ ან არხეინად მძინავს! — გავარდა სახლიდან ვაყა.

მაკა გულს იოხებს, თორემ განა არ იცის, ყველაზე უკეთ იცის, როგორა ცდილობს ვაყა, რომ დააჩქარონ ალექსის დაბრუნება. იცის, მოთმინებაა საჭირო, მაგრამ ხატულასთან შეხვედრა უმძიმს და უხატულობა კი ძალზე აკლია, გულსა სტკენს.

და მოლოდინით, იმედით, შრომით დამუხტული დღეები გარბიან. ისე გარბიან დარიანის დღეები, რომ შეუმჩნევლად ილევა ის ზამთარიც, ხეში წვენი ილვიძებს, მაღლდება ზვირთი ირმისხევში...

...ყაზახეთის შორეულ დასახლებაში კი იგივე დღეები გულსალევად მიზოზინებენ. ზამთარს ბოლო არ უჩანს. ისევ ჰყინავს. ქვენა ქარი განუწყვეტლივ ზუზუნებს, უთვალავი თეთრი კალთით აყრის და აყრის თოვლს ალიზის ქოხებს, თავბრუდამხვევად ატრიალებს ოთხსავ მხარეს შემომდგარ, აუტანლად გათათეთრებულ ტრამალებს.

მოლოდინი აქ ხასიათის წრთობად იქცა.

ილეტაქსას ქოხში გათენებამდე ანთია შუქი. ბერძნული, ქართული, ყაზახური, რუსული წიგნები, სამედიცინო ,ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა, ჰომეროსი, ვერგილიუსი, სოფოკლე, დანტე ცდილობენ გაუთავებელი ღამეების შემოკლებას, მაგრამ რა უმადურია ადამიანი! აზროვნების გიგანტებს ირმისელ ბეატრიჩეზე ფიქრი ჩრდილავს, და წვა-დაგვით ნაშოვნ ფოლიანტებს სძლევენ მელნით მოთხუპნული, წერტილ-მძიმეებთან დაუმზრახებული პატარა ნატოს წერილები. . ..

ოო, ძია კოსტას ძალიან-ძალიან ენატრება პატარა ნატალი. ილეტაქსას უკვე აქვს საბჭოთა პასპორტი და ქალბატონ ნატალის ნებართვაც ირმისში ჩამოსვლაზე, მაგრამ... კოსტა ილეტაქსა — ირმისში, ალექსი რჩეულიშვილი — ყაზახეთში?! ეს ნამდვილი პარადოქსია, და კოსტას არ უნდა პარადოქსები. რა დააძინებს მას ირმისში, თუ ყაზახეთში უძილობა სტანჯავს მის მეგობარს? მოთმინება, კამარად, მოთმინება! შენ ხელს არ გიშლიან ტყუპი ცნობისმოყვარე ბიჭები პატიკო-ზურიკო, იჯექი ოლიმპზე და ესაუბრე შენს ღმერთებს!

ილეტაქსას მეზობელ ქოხში თითქმის მუდამ ბნელა. თითქოს არაფერს აღარ ძალუძს დაამშვიდოს პროტესტით გადაღლილი გული.

ჩამქრალ ბუხართან ზის ალექსი და საკვამურში ღმუის, ზუზუნებს, სლუკუნებს ქარი. ჰო, რა თქმა უნდა, მოლოდინის ატანას პოეზიაც შველის, ალიზის აგურების კეთებაც, ჟანგიანი ნაწილებისაგან მანქანების შეკოწიწებაც, ახალშენი ვაზის მოვლაც, ყინვაგამძლე ჯიშის გამოყვანაც, ქარდამჭერი ჯებირების აგებაც, ბამბის თოხნაც, კრეფაც, მაგრამ...

მაგრამ ვინ ახსნის, რად გაჩენილა ადამიანი აგრე, თავის მშობლიურ მიწაზე ამოსული პაწაწინა სამყურა რად ურჩევნია უცხო მხარეში გაშლილ ყვავილნარს? რა ჯადო აქვს იმ უმწეო სამყურას, რომ კაცის გულს ჯაჭვივით დააბამს მშობლიურ მიწაზე და გაწყვეტილი ჯაჭვის ბოლოები გულისფიცარს ურტყამენ, ურტყამენ, ურტყამენ, არცა კლავენ კაცს, აღარც არჩენენ...

ჰო, კარგია ეს უსაზღვრო ცაც და უსაზღვრო ტრამალებიც უსასრულობას რომ გაზიარებენ. კარგია ყაზახები გულით რომ მოეჭიდნენ მევენახეობას, კარგია მაგჟანის სალიმამ ნათუკას გამოგზავნილი „დედა ენა“ რომ დაიზეპირა და ირმისში სტუმრობას აპირებს, ძალზე კარგია შენს კალთაში რომ მიიძინებს ამ ტრამალებში დაბადებული შენი ძმისშვილი, და რა მოსთვლის, რამდენი რამ აამებს კაცს უცხო მხარეშიც, მაგრამ...

თუ გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლი შორს დარჩა სადმე მთის ქარგაში, ან ნამეხარი მუხის ძირას, ან თეთრ ტაძართან, ან ხევისპირას, ან ნაბალზე ან მოხუც სანდრა-პაპას ნატერფალზე — იმ შორს ჩარჩენილ რგოლს ვერაფერი სცვლის და გაწყვეტილი ჯაჭვის ბოლოები უროსავით ურტყამენ გულისფიცარს...

...ოლეგ, შემჯავრდა თავი, გოდებას რომ ვეღარ ვიკავებ. მაგრამ გაწვრილდა, გაწყვეტაზეა მოთმინების ძაფი. წრთობა აღარა მშველის და ამ ყიამათ ზამთარში გიხმე. ეგებ ეს იმის ბრალია, რომ ქარი მშიერი მგლების ხროვასავით ღმუის და ღმუის. ეგებ იმისი, რომ თოვლმა „ყვავილოვანი" დაკარგული სამარხის ყორღანს დაამსგავსა, და აქა-იქ აჩენილი ბოლი ცოცხლად დამარხულთა სუნთქვად მეჩვენება. ეგებ იმის ბრალიც არის, რომ თოვლიან ტრამალებში აღარ გათავდა თეთრი კუდიანების ფერხული... წარამარა მიხდება შენი სიტყვების გამეორება: „მაგრად იყავი, ალექსი, ირმისის იქით შენ არსად მიწა არ შიგიღებსო!" ვიმეორებ, და აღარც ეგა მშველის. მელევა ის ძალა, ირმისისათვის რომ მინახავდა, ძალა, რომელზეც შენ ამბობდი, „ყოფიერების სიხარულით არის შობილიო", მართალი იყავი, ოლეგ, უსიხარულოდ მე ერთი წუთიც არ მიცოცხლია, ის ჩემში იყო, ჩემთან განუყრელი იყო, ის მინახავდა, და იმიტომ ვერ მერეოდა ვერც ხიფათი, ვერც ტყვია, ვერც დარდი და უსამართლობა. ეხლა კი... წამერთვა, დამეკარგა ის ძალა, და ვეღარ მიპოვნია, მისი პოვნის იმედიც მეკარგება, გესმის?..."

ვიღაცა დაეჭიდა გარეთა კარს, გახსნა და შიდა კარი შემოაღო. ქარი შლეგიანივით მოაწყდა ოთახს, თოვლის ბელტები შემოყარა, მაგრამ სწრაფად მიხურულ კარსუკან დარჩენილი, ღმუილით გაქანდა საითკენღაც.

ლევანი იყო. ალექსი მოიღუშა.

— ბნელში რათა ზიხარ?

— ჩამძინებია.

— ცეცხლიც ჩამქრალა, ოთახი გაყინულეა, ვერა გრძნობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩამძინებია-მეთქი.

სარკმლის შუშებზე სქლად დადებული ჭირხლის ანარეკლი თეთრ ლაქებად ეყარა იატაკზე დაგებულ ჭილოფზე.

ალექსი არ ჩქარობდა შუქის ანთებას. ლევანიც აუჩქარებლად ახვავებდა ბუხარში წივას და ბულულებს. ორივესათვის საჭირო იყო ის ჩაბნელებული და უჩუმარი წუთი.

ლევანმა გაალვივა ჩაფერფლილი ცეცხლი და ალექსიმაც ჩართო შუქი. ძმის მოსვლა ახლა გაუკვირდა. ის ბამბის მეურნეობაში თუ არ იყო წასული, შინიდან არ გამოდიოდა, თითქოს თავისი ცოლ-შვილის მეტი არავინ ახსოვდა. ალექსის ისიც გაუკვირდა, რომ ლევანის დაწმენდილსა და დამშვიდებულ, ვაჟკაცურ სილამაზეს როგორღაც არ ეთანხმებოდა თვალების მოუსვენარი ციალი. ეგონა, ნასვამიაო.

— ია როგორ არის?

— ჟინიანობს. ლიზა ამბობს, ძია ალექსი მოენატრაო.

— ბალღებს სჩვევიათ უცნაურობა.

ლაპარაკი გაწყდა.

— კეთილ საათს შემოვდგი ფეხი ირმისში... — დაილაპარაკა მერე ლევანმა. — დიდხანს არ მეჯერებოდა, იცი? დილით თვალის გახელა მეშინოდა, მეგონა, სიზმარივით გაქრებოდა ყველაფერი. შენ იცი, რა იყო ის „ყველაფერი", მაგრამ არ იცი, რომ მთავარი შენ იყავი...

ალექსი თავდახრილი იჯდა. ლევანმა არ იცოდა, ძმა უსმენდა თუ არა, მაგრამ ასე ერჩია, სათქმელი უადვილდებოდა.

— შვიდი წლისა დაგშორდი. ჩვენი ძმობის შუა მძიმე წლები ჩადგნენ. ზოგს ერთმანეთის სახელიც კი დაავიწყდებოდა, მე კი სულ მენატრებოდი. ბოლოს მაინც მოგაკითხე. გახსოვს, როგორი მოვედი შენთან?

ლევანმა წივა აჩეჩა, ცეცხლს გზა მისცა და მერე განაგრძო:

— იცი, შენთან რამ მომიყვანა? რაც მე თითონ მახსოვდა შენზე, იმას მამა-

ჩემისაგან გაგონილი თითო-ოროლა სიტყვა, დედაჩემის ნაამბობი და ჩემი მოგონილიც მივუმატე და ჩემებურად წარმოგიდგინე. არ მახსოვს, როგორი წარმოგიდგინე. ალბათ ჩემს უზღაპრო ბავშვობას სჭირდებოდა და შენ გამიხდი ზღაპარიც, გასართობიც, მესაიდუმლეც. ის გამოგონილი ძმა ჩემთან ერთად იზრდებოდა, მერე ყველგან დამყვებოდა, ყველგან, გესმის?

ალექსის მოეჩვენა, რომ ლევანს ხმა გაებზარა. „ყველგანო, ალბათ უნდა ეთქვა: ტყვეობაშიცო“, — გაეფიქრა და თავის თავისა გაუკვირდა: ლევანის მოსვლაც, მისი ხმაც, ლაპარაკიც, თვალების შემაღონებელი ციალიც აბეზრებდა, მხოლოდ აბეზრებდა, მეტი არაფერი!

ლევანმა თითქოს შეატყო და აჩქარებით განაგრძო:

— ირმისში ჩამოსვლას იმიტომ ვაჭიანურებდი, რომ მეშინოდა ყოველთვის კარგს ველოდი და ცუდი მხვდებოდა... ბოლოს ძალიან რომ გავმწარდი, მაშინ კი ვთქვი, ამისი რჯულიც არ იყოს, ამ მოგონილ ძმას რაღას ვუფრთხილდები, ბარემ ამ ბოდვასაც დავეღწევი და რაც იქნება იქნება-მეთქი. მაშინ მოგნახე, და პირიქით მოხდა... რაც მთელი სიცოცხლე მაკლდა, ის დამხვდა, რაც მენატრებოდა, ერთიათასად მეტი ვიპოვნე, მართლა ასე იყო, იცი? მართლა. სასაცილოა?

— ზღაპარი სასაცილო უნდა იყოს.

— არა! არ მინდა სასაცილო იყოს, არ მინდა ირმისში ჩამოსვლა მანანებინო!

— მე რა ვქნა? რაც მაბადია, იმაზე მეტი მე საიდან ავიღო? მეც ერთი უბრალო კაცი ვარ, ხან სხვაზე უკეთესი, ხან უარესი, ზოგჯერ სხვაზე ამტანი, ზოგჯერ ყველაზე სუსტი და სულმოკლე... — თავაუღებლად, უგრძნობელი ხმით წაილაპარაკა ალექსიმ.

— მე რაც შენში დავინახე, იმაში მეტნაკლებობის საწყაო ჯერ არავის მოუგონია. მარტო მე რომ დამენახე ისეთი, როგორიც გნახე, ვიტყოდი, ძმობის სისხლი თავისას იძახის-მეთქი, მაგრამ მე ისეთი გნახე, როგორსაც ქვეყანა გიცნობს... პატარა ბიჭმა მამას რომ უთხრა „ვერ წამოვალო“ — აი ასეთს. მაშ იმ დღიდან ხომ არ ატყუებდი ქვეყანას?

თვალები, ხმა და მთელი არსება გამოხატავდა ლევანის საოცარ ღელვას. თუმცა ის ისე იკავებდა თავს, თითქოს ხელში სასწორი ეჭირა და მცირე მოძრაობას, სუნთქვასაც კი შეეძლო მისი გამრუდება. შინაგანად ერთიანად დაძაბულმა, ოდნავ გასაგონად თქვა:

— არ მინდა ირმისში ჩამოსვლა მანანებინო, არ მინდა მოტყუებული დავრჩე, გესმის?

კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ალექსი ისე წამოდგა, თითქოს ხმის ამოღება აუკრძალაო.

— ჰო, გატყუებდით! გვიან მიმხვდარხარ, რომ გატყუებდით! მე მაგ სულელური ტყუილით დავტანჯე ცოლიც და შვილიც, ამოდენა ხალხიც და შენც! ჭკუა არ მეყო, სიმართლე ვერ მომეფიქრა, დროზე ვერ მომეფიქრა მეც მყოფნოდა ის ვაზი, რაც ლოზუნგებს გადაურჩებოდა, მეც დავჯერებულიყავი იმ ცხვარს, რაც ავდარს გადაიტანდა. რა მესაქმებოდა მე იმ იაბლონკასთან? ჭკუა არ მეყო მეამებინა რაფიელა და მედვედევებისათვის, დავძმობილიყავი ჯიბოსთანა ქვემძრომებსა და ჭილყვავებს, თითო ლუკმა მიმეგდო ყველა ძაღლი-მამაძაღლისათვის. ამ უტვინო ტყუილებისათვის დასჯამაც ვერ მომიყვანა ჭკუაზე. აქ, ყაზახეთშიც ტყუილით ჩაგითრიეთ საქმეში, დაგტანჯეთ ვაზის გაშენებით, გატყუებდით, მე არ მინდოდა ირმისში წასვლა და შეგაცდინეთ, რომ არ გესარგებლათ ამნისტიით. ჰო, დიახ, ბალღობიდანვე ტყუილში იყო ჩემი სიხარული, ეგრეც ვიცხოვრე ირგვლივ ყველას მოტყუებით, და ეხლა რომ ველარ გატყუებთ, იმიტომ წამმწარდა სიხარული, გაიგე?

ფრთამოტეხილი არწივის მრისხანე ყაშყაში ესმოდა ლევანს. ნანატრ მხარეს დახრილ სასწორს უშვა ხელი და ღრმად ამოისუნთქა.

უცებ გონსმოსულმა ალექსიმ ძმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური ღიმილი შენიშნა და თითქოს წყალი გადაასხესო, სახე უცებ ცივი, და ხმაც ძალზე ყრუ გაუხდა.

— აბა მე რით გიშველო? ეგ რაღაცა ზღაპარი მოგიგონია, ბოლოც თითონ მოაბი, როგორიც გინდა, ისეთი. და წადი, ცოლ-შვილს მიხედე, ზღაპრები იას უამბე.

— ვუამბობ, შენმა სიცოცხლემ? ვუამბობ გონჯაურაზე, ომის ცეცხლში რომ ვერ დაიწვა, უკაცურ კაცთა გულნამცეცობამ ვერ დაანელა, ძნელმისაწვდომზე გახიზნულ მის ოცნებას ფრთები ვერ მოსტეხა; როგორა ცდილობდა ბოროტება ჯვარზე გაეკრა ადამიანი, და ის ადამიანი კი, თავისი ტანჯვის წამების, თუნდ სიცოცხლის ფასადაც — ბოროტებას აკრავდა იმ ჯვარზე...

* * *

მარტოდ დარჩენილმა ალექსიმ დიდხანს იარა ოთახში. ნაბიჯიც არეული ჰქონდა, ფიქრიც.

— ძმა ჰქვია! სასაკლაოზე მითრეული მოზვერივით ვირქინები და იმისთვის ეს ზღაპარია. სულელი. ზღაპრის სათქმელად რომ მოდიოდა, რა ეგონა? მე ვინმეს რამე შევჩივლე თუ რა? ჩემს ოთახში მე რასაც მინდა, იმას ვიფიქრებ, აღარც ამის უფლება მაქვს? ვინ ეკითხება ჩემს ფიქრებს დაუდარაჯდიო? სულელი. მე ჩემს გაჩენას ვწყევლი, ის კი „ირმისში ჩამოსვლა არ მანანებინოო!"

უცებ მოტრიალდა, თექის ჩექმებში ჩადგა ფეხი, ჯუბაჩაზე ბრეზენტის ლაბადა შემოიცვა და ზედ ქამარი შემოიჭირა, ყურებიანი ქუდი ჩამოიფხატა, ხელჯაგები წამოიცვა და გარეთ გავარდა.

სიცილ-ხარხარით ეკვეთა ქარი, თოვლის ნემსები შეაყარა თვალებში, ცხვირ-პირში, თოვლის ზვინი აუგორა ფეხქვეშ, კინაღამ კალთები წააგლიჯა, მაგრამ ალექსიმ ქამარი გაიჭირა, ქუდი უფრო ჩამოიფხატა და წავიდა.

უკიდეგანო თეთრ სიბრტყეზე თეთრი მეჭეჭებივით ეყარა, რაც კი მიწის პირს იყო აცილებული.

„იქ ხეში წვენი იქნება ჩამდგარი, ირმისხევში ზვირთს ააქაფებდა მთაში დამდნარი თოვლი..."

ნამქერში მიიკვლევდა გზას.

„მალე აქაც დათბება. იმიტომ ილრინება თებერვალი. სიასპიტე რას გიშველის, მაინც შეადნები უცებ გაცხარებულ მზეს... არ გეგონოს მე მართლა ავწუწუნდი უთავბოლო დიაცივით. უყურე, რა ლამაზ და თბილ ქურქშია შეფუთნული ჩვენი აკაცია. ყურადღებას ნუ მიაქცევ გახელებულ კაცის ბოდვას. შეხედე რა ლამაზად ათოვს ჩვენს ყვავილოვანს, როგორ აცეკვებს ქარაშოტი თეთრ ტრამალებს, მართლაც ჰგავს კუდიანების ფერხულს, სხვაგან სად ნახავ ასეთ სილამაზეს? სულელია ჩემი ძმა..."

აკაციიდან გამობრუნებული, ისევ ნამქერში მიიკვლევდა გზას.

„ნეტა რას ანჩხლობს ქარი, ტყუილად რას ეხეთქება ამ კედლებს, ხომ არ ჰგონია, სადღეხვალიოდ არი ნაგები? ჭკუა ჭკუას რომ ემატება, საქმე ყოველთვის მოგებულია, ირმისელებმა ვერ მოვიფიქრეთ, ყაზახებმა თქვეს, „იზარდონ ალვის ხეებმა, მაგრამ ალიზის აგური უსასყიდლო გვაქვს, მოდით ახალშენს კედელი დავუყენოთ ქარის წინააღმდეგო". ოჰ, რა სანახავი იქნება აქაურობა ოდნავ რომ გამოთბება! მწვანე ვენახი და ირგვლივ ყვავილებიანი კედელი. ლიოშა ბოგუჩაროვი იტყოდა „ზორბააო!" ჩემი სულელი ძმა კი ამბობს..."

შეუჩერებლად მიიკვლევდა გზას ნამქერში.

„ხედავ ეს ჩვენი საცდელი ნაკვეთია. საცოდავი ნერგები: მეგონა იტყოდნენ, რა გულქვა ყოფილა ეს გონჯაურა, მიწის ზემოთ დაგვტოვა, არ იფიქრა, რომ შეგვცივა, გავიყინებითო. მაგრამ ზოგი კაცივით კი არ აწუწუნდნენ, ვაჟკაცურად აიტანეს სიძნელე. ვიდრე თოვლი არ იყო და ხმელად ჰყინავდა, ვუბოლეთ და ვუბოლეთ ამ ჯიშდალოცვილებს, მერე თოვლი მოვიდა, საბნად დაედო. ეხლა აღარა სცივათ. მალე მზეც გაუღიმებთ. აბა რა, თუ

წრთობაა, წრთობა იყოს, ესენიც უნდა შეეჩვიონ აქაური ზამთრის ატანას! მე აქამდე არ ვიცოდი, ჩემ სულელ ძმას ზღაპრები რომ ჰყვარებია.

გამობრუნდა. ნამქერში ძლივს პოულობდა თავის ნაკვალევს.

„ჩვენ ისევ გამარჯვების დღეს შევხვდებით ერთმანეთს, ოლეგ, როცა ირგვლივ მაისობა იქნება, გახსოვს ჩვენი შეთანხმება? თუ ამ მაისობასაც აქა ვხვდებით, სანდრა და ხატულაც აქ იქნებიან. და მე მეყოფა ეს სიხარული, არა? იმ სულელ ლევანს კი რაღაცა ზღაპრები მოუგონია...“

ქარისაგან სახეამწვარი, ხელფეხდამზრალი, გამჭვალული და ერთიანად გათოშილი ბრუნდებოდა. ქარი უხიაკი მასპინძელივით ხან ზურგში უთხლაშუნებდა, ხან ლაქუცით უვლიდა გარს, ხან ავაზაკივით ესხმოდა თავს კივილით ახტებოდა ზედ.

„საცაა სანდრა-პაპას დარგული ნაძვი გამოჩნდება. საკვამურიდან მორეული ცეცხლის შთამომავალი ნაპერწკლები აიშლებიან ჰაერში. ჩაიდანი ადუღდება, გონჯაურა ცხელ-ცხელ ჩაის დალევს და ენძელები გაიღიმებენ, და ვიღაცა ბიჭი დაიძახებს: მამი-ი...“

თოვლით მოიხეხა სახე და შინ შევიდა.

„ჰოდა, კარგია ბუხარი რომ ჩამქრალა, რა დროს ჩაია? ლოგინში გათბება, ორი საბნის ქვეშ. ეს ირმისიდან გამოგზავნილია. ეს კი ნატალიამ აქ შემიკერა. აქ ბამბაც ბევრია და ჭრელი ჩითიც. ნატალიამ ყველას შეუკერა საბანი. ჩემს ლურჯთვალება ძმისწულსაც ნატალიას შეკერილი საბანი ჰხურავს. კოსტა ილეტაქსასაც. კოსტას საბანი ყველაზე ჭრელია. სასიძოს ყველაზე ჭრელი ეკუთვნის, აბა რა?! ზორბაა, არა? თავი დამანებე, ლიოშკა, დამანებე თავი, ზემდეგს სცივა და ეძინება, აცალე გათბეს და გამოიძინოს...“

...ალბათ კარგა ხანი გამოხდა, ალექსი გათბა, დაისვენა და გამოიძინა. ახლა რასაც ხედავს სიზმარს არა ჰგავს: ოთახში სინათლეა. ბუხარში ცეცხლი ანთია. მაგიდაზე სამოვარი თუხთუხებს. ქალი, უწინ რომ კოლმეურნეობის მონგარიშე იყო და „სანდრას ძავნანა“ და ხატულას „შინაბერა“, ეხლა კი ლურჯთვალება ის დედაა — ჭიქებში ისეთ კარგ ჩაის ასხამს, რომ ალექსის სწვდება მისი სურნელება. ალექსის წელან ლიოშა ბოგუჩაროვი ელანდებოდა, ეხლა კი მაგუან ტასანბაევი ეჩვენება. ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს პატარა, ცეცხლისფერი სეხნია ბიჭი, მაგრამ არ შეიძლება მოჩვენება იყოს ლიპიანი, ჩიბუხს აბოლებდეს და წვრილი ხმით ვიღაცას ეკამათებოდეს...

აჰ არა, ეს ყველაფერი ცხადად ხდება! ოთახი სავსეა ხალხით, და ის ხალხი ჩაის სვამს, იცინის, კამათობს...

— ჰა? — თოფნაკრავივით წამოიჭრა ტახტიდან ალექსი.

— ჰო!... ჰო!... — რაღაცა დაუდასტურა მაგუანმა და პატარა ქალალდი გაუწოდა.

სტრიქონებს აურზაური აუტყდათ, ალექსიმ ვერაფერი წაიკითხა, მაგრამ წაუკითხავადაც მიხვდა. წელანვე მიხვდა. სისხლისაგან თითქოს მთლად დაცლილი, გათეთრებული სახე ანთებული კელაპტრებივით გაუნათეს ბუდის კიდეს მომდგარმა თვალებმა.

„ეხლა მართლაც ვიცი, „გონჯაურა“ ძალიან-ძალიან დიდი სიხარული არი!“ — გუნებაში მიულოცა თავის თავს კოსტა ილეტაქსამ.

„დაილოცოს ირმისში ჩემი მოსვლის საათი“ ,— გაეფიქრა ლევანს.

„რა ვიქნებოდი დღეს, იმ დილას ნატაძრის ბაღში რომ არ შემსწრებოდა ალექსი?!“ — აალელვა გაბო გაელვებულმა ფიქრმა.

„ხატულა, რა ბედნიერები ვართ მე და შენ!“ — კინაღამ იყვირა ჯაფარაანთ ლიზამ.

„ვიცოდი, ასე იქნებოდა!“ — წაიჩურჩულა თენგომ.

„იოი...“ — გაბმით ჩაიძახა გულში მაგუანმა და ჩიბუხი განზე გასწია, ბოლი უშლიდა ალექსის სახის დანახვას.

— რამ გაგაჩუმათ? — იკითხა ალექსიმ. სითეთრემ გადაუარა და ახლა

ღიმილის ნათელი მოეფინა ნაიარევ, უდაბნოს ნაკვალევ, მზით დამწვარ და ყინვით ატრუსულ სახეს. — მაგუან, ხომ არ გეწყინა ამ ქალაღდის მიღება?

— მე უქაღალდოდ გიცანი, — მიუგო გრძნობამორეულმა მაგუანმა.

— ეგ კარგი ქაღალდი მაინც საჭირო იყო, — თქვა თენგომ.

— ეგ პატარა ქაღალდი ჩვენი ყველას დღეობა არი! — გამოაცხადა კოსტამ.

— ჩვენი დღეობა — ქაღალდები კი არა, სიმართლის გამარჯვებაა, სვინდისნამუსის დღეობაა, — თქვა ლევანმა.

— აი ეგ სწორია! — დაუდასტურა მაგუანმა, — ქაღალდი მტერსაც და მოყვარესაც ერთნაირად იტანს. თქვენი კომენდანტი მთელი დღე ქაღალდებს სწერს თქვენზეც, ჩემზეც, ყველაზე და თან ყვირის: გაუმარჯოს კომუნიზმს!

— ვინც ყვირის, ის არ მოვა ჩვენ დღეობაში! — დაადგინა კოსტა ილეტაქსამ.

— მე შენ დღეობას მაშინ გაგიმართავ, როცა ახალი საავადმყოფო გაიხსნება, — უთხრა მას ტასანბაევმა.

— შენ გიჟი ბძანდები, ამხანაგო მაგუან! — აღშფოთდა კოსტა, მაგისთვინ კიდე ერთი თვე უნდა, მე ალექსის ველოდე, ირმისში ერთად წავიდეთ უნდა, მე თუ მოკვდი, საავადმყოფო არ გაიღება?

— იოი!... — აღშფოთდა მაგუანიც, — შენ დღეობაზე გეჩქარება და თუ ხალხის საქმე მოითხოვს, ერთი თვეც არ გინდა დაიცადო? შენ კამარადი კი არა, შაითანი ხარ, ვფიცავ ალაჰს!

— ჰოპლა! შენ ალაჰი და შაითანი ერთად დასვი? — შესძახა კოსტამ, — მე ვფიქრობ, ეგ უკვე არი დიდი-დიდი დღეობა!

ყველას სიცილი აუტყდა, მაგუანმა კი რატომღაც უხერხულობა იგრძნო.

— იცინით? თქვენ იცინით და მე...— გაბმით თქვა მან.

— მიგიხვდი, — ნიშნის მოგებით უთხრა თენგომ, — ჩვენ ალექსიზე ნაკლები მეგვენახეები გგონივართ?

— არა, მე ეგ არა მგონია, მაგრამ... თქვენ ალექსის უცდით, ეხლა ყველანი წახვალთ, ჩვენ კი ახალი [illegible] გაშენება დავაპირეთ, — ისე [illegible] მაგუანმა, რომ კვლავ სიცილი ატყდა.

— ჰოდა, მე მიგიხვდი საგონებელს! მერედა, ვინ მოგახსენა, ყველანი წავალთო? — უთხრა თენგომ. — აღებულ ვალდებულებას შესრულება არ უნდა? მე პირობა დავდე აქაურ ახალგაზრდებს რთველიც ჩავატარებინო, ღვინის დაყენებაც ვასწავლო. რათა გგონია, ჩემ სიტყვას უპატრონოდ დავაგდებ?

— თენგოს ეტყობა დაავიწყდა, ეგ ვალდებულება მე და მაგან ერთად ვიკისრეთ, — თქვა ლევანმა.

— მე კი ადრევე ვაპირებდი წასვლას, მაგრამ რა ვქნა, ამ ბიჭებს ვერ გავეყრები, ერთად წავალთ! — გაიცინა გაბო ნაცვლიშვილმა.

მიხვდა ალექსი. მეგობრები მას უადვილებდნენ წასვლას, ადვილად უადვილებდნენ, გულით და სულით და ღიმილით. მადლობა? მადლობის გამოხატვა არ შეეძლო. სიყვარულმა ატკინა გული. და ჩუმად თქვა:

— მაგუან, განა მე კი შორს მივდივარ? ჩემი მეორე სამშობლო და კერა ამას იქით აქ მეგულება, შენთან...

— იოი! — სასაცილოდ გაასავსავა ხელები ტასანბაევმა, — მე თავიდანვე დავინახე, ირმისელები ყველანი მაგარი შაითანები ხართ! ეხლა ჩემთან წავიდეთ. ალექსის ძალიან უყვარს კუმისი და მე ახალთახალი კუმისით გიმასპინძლდებით, წავედით! ლიზა-ხანუმ, წამობრძანდით!..

### ... და ბოლო თავი

ირმისხევთან ბინდი წამოეწია.

მანქანა მიატოვა და მსუბუქი ხელბარგით წამოვიდა სოფლისაკენ. როგორც ოდესღაც, რომელიღაც გარდასულ ცხოვრებაში, ნაომარი რომ ბრუნდებოდა. აუჩქარებლად შედიოდა თავის სამყაროში, ნელ-ნელა ეჩვეოდა დაბრუნებას.

ფიქრობდა რამეს?

არა.

შუახიდზე შეისვენა. „მგალობელი შაშვივით ბიჭის, მალხაზის მამის გაკეთებულია ეს ლამაზი ჩუქურთმა“, — კი არ გაიფიქრა, თითებმა შეიგრძნეს ხელოსნის მარჯვენის სითბო, ხიდის მოაჯირს რომ შეენახა.

„მართლაც აქაფებულა ირმისხევი“, — არც ეს გაჰფიქრებია, მისი ღიმილი შეეგება მთიდან ბევრჯერ ერთად ნამგზავრ, ნაცნობ ზვირთს.

„აი ნარიყალიც“. — ისევ არ იყო ფიქრი, თვალმა შენიშნა — ყორეს ერთი ქვაც არ დაჰკლებია. ატირებულა ვაზი, დაზრდილა ხეხილი...“

ბინდი ჩამუქდა.

გაღმა-გამოღმა შუქის წერტილები აკიაფდნენ. ფიქრზე უმალ თვალი რბის სახლიდან სახლზე, იცის ახლა სად გაიკრთომებს შუქმფინარი ციცინათელა.

რა მკვეთრად დაილანდა ფერდობიც და მუხაც! ყურს ხვდება ძველი წისქვილის სარეკელას რაკარუკი. ახალი საბჯენები უყენია დაფერდებულ კედლებს. და უცინის თავით ფეხამდე ფქვილით შეთეთრებული ტიტიკო: „ეჰეიი, გონჯაურავ, შენ შეგინახა ხალხმა ეს წისქვილი, იმას უყვარსო!“.

სსუ, არავინ გაიგონოს მისი გულის ძახილი, არავინ დაინახოს. ჯერ ლაპარაკი არ შეუძლია. ჯერ გულს არ მოუძებნია თავისი ადგილი. აი, ამ ტირიფთან დაისვენებს. ქოლგის წკირებივით ჩამოზრდია დახრილი ტოტები. ამ ტირიფთან იყრიან თავს ირმისხევიდან ამოსული გოგო-ბიჭები. ცხელ ქვიშაზე გორაობა უყვარს სანდრას...

და ხსენებაზე, ცისქვეშეთი უცებ გაჭედა ძახილმა:

— მამიი-ი!...

„პირგამტეხი ყოფილა ის შოფერი“, — მოასწრო, მიხვდა ალექსი და მკერდთან იგრძნო სანდრას აფართხალებული გული. უსირცხვილოდ მოვარდნილმა ცრემლმა დაუნამა ბიჭს ქარვისა და წაბლის ფერით შეზავებული ქოჩორი...

მერე კი, თვალებს აფარებული ბადე დაიხია, და დაინახა: მოდის ირმისი ირმისხევთან. მოდის ირმისი მრავალხმიანი ძახილით:

— მშვიდობა შენს დაბრუნებას, ლექსო! ალექსი! ალექსი!...

* * *

ახალი სახლი კარგია. ლამაზი, მზიანი აივნიდან მოჩანს შორეული მთების ქარგა, გათენება, ალაზნის ველი, თეთრი ალავერდი.

ახალი სახლი ძალიან კარგია. ლამაზი, მაღალჭერიანი, ხალვათი. აქეთ ფანჯრიდან მოჩანს კენტად ნაზარდი, ტოტებგაფარჩხული ნაძვი და სანდრაპაპასეული ქოხი.

ახალი სახლი ძალიან-ძალიან კარგია. მაღალჭერიანი, წითელკრამიტიანი. ეზოდან მოჩანს მშვიდობის ქუჩა და დოდაანთ უბანი.

და ახალ სახლში არ ილევა წამსვლელ-მომსვლელი, მეზობელი, მეგობარი, თანასოფლელები, სხვასოფლელები, კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ნაცნობი და უცნობიც კი.

სანდრას არავინ ეუბნება, სკოლაში რატომ არ დადიხარო, დროზე რატომ არ იძინებო. გაზრდილა ბიჭი, მაგრამ ისევ ისეთი მგრძნობიარეა, ძნელად მშვიდდება. მისმა გონებამ ჯერ ვერ ირწმუნა, რომ მამას აღარავინ წაართმევს, მამა ახლა კი განუყრელად იქნება მასთან. მისი თვალები ვერ გამძღარან მამის ცქერით. მაგრამ სანდრას ვინ აცლის, დილიდან დაღამებამდე ქვეყანა ირევა მათ სახლში.

ხატულასაც არავინ უსაყვედურებს, სამუშაოზე რატომ არ დადიხარ, არსად სჩანხარო. იციან შინ არის. მაგრამ ალექსისთან ყოფნას არც მას აცლიან, დილიდან ღამემდე არ ილევა მომსვლელ-წამსვლელი.

აი, რახანია შუაღამე გადავიდა. ალექსი აცილებს მეგობრებს.

— ხვალ ათისთვის გიცდი რაიკომში, — თხოვნით უმეორებს ვაჟა წასვლისას.

— ხვალ კი არა, დღეს, — იღიმება სახეგაბადრული ხელაშვილი.

— ჰო, დღეს! — უხარია ალექსის.

აი, დახედავს ბიჭს, მერე ცოტას წაიძინებს და ათ საათისთვის მივა რაიკომში...

გულგაღეღილს დასძინებია სანდრას. რამ გაუჩინა წარბებშუა ეს ნაოჭი? სასაცილოა, როგორ საქმიან იერს აძლევს ეს პაწაწინა ნაოჭი, და სასაცილოა, რა ცხარედ იცავს ეს ბიჭი ნათქვამს, ცხარედ და საზრიანად. დამოუკიდებლობას იჩენს, ვაუკაცობს ჩემი ჩიორა...

ფეხაკრეფით გამოტრიალდა, საძილე ოთახში შევიდა. ეგონა, ხატულასაც დაეძინაო, და ფრთხილად გადასწია საბანი, ჩუმად შეწვა ლოგინში.

ხატულა თვალდახუჭული წევს და მის უსაზღვრო, უკიდეგანო სიხარულს ნიღაბის მსგავსი, უსიცოცხლო სახე ჩრდილავს.

— ხატო, რა იყო? — კარგა ხნის მერე ჰკითხა ალექსიმ.

— რაზე მეკითხები?

— დაიკვნესე.

— ალბათ მოგეჩვენა...

კედლის საათი სიჩუმეში ხმამაღლა ითვლის ჟამის მაჯისცემას.

— გაწუხებს რაღაცა, — თქვა ალექსიმ, სათვალავი რომ დაეკარგა.

ხატულამ არ უპასუხა.

ალექსის შესცივდა.

ღია ფანჯარაში ღამე იყურებოდა.

სიჩუმე და ოთახში შემოჭრილი ღამე უშლიდა ალექსის, ნელა წამოდგა, წყალი დალია. უცაბედად ჭიქა ლამბაქს დაახალა. მიაყურა. სანდრას ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. არც ხატულა განძრეულა.

„ვერც გაიგონა, — გაიფიქრა ალექსიმ და დარაბა დახურა. ისევ დაწვა. მოეჩვენა, რომ ხატულა შორს არი, ძალიან შორს, ახლა დახურული დარაბა უშლიდა. სულს უხუთავდა.

— მთელი სიცოცხლე სხვის შეცდომებს დაათრევ ზურგით... — დაილაპარაკა ხატულამ, თითქოს ადრე დაწყებული ლაპარაკი განაგრძო.

ეს არ იყო ბუნებრივი, და ალექსი იცდიდა.

— მთელი სიცოცხლე სხვის უნამუსობაზე აგებ პასუხს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცა მოახლოვდა.

— როგორ იტან? ზოგი საკუთარი შეცდომის საზღაურსაც ვერ უძლებს.

„ვინ? ვინ? — ვერ მოსწყდა ენას, უხმოდ იკითხა ალექსიმ.

— შენ ძალიან დაამძიმე... — თქვა ხატულამ.

„რა? რა?“ — ისევ უხმო იყო კითხვა.

— დამაჩვიე გულახდილობას...

„ჯერ არაფერი გითქვამს და ნურც იტყვი, არ მინდა!“ — ამოუშრო ყელი უხმო ძახილმა.

— მაზიარე უსაზომო სიკეთეს, ჭირიშიმყოფის თანაგრძნობას, პატიებას...

„პატიება — ამნისტიაა. ამნისტია — დაწერილი კანონის დარღვევის პატიებაა. დაუწერელი კანონის დამრღვევი არ ისჯება, მისი პატიებაც არ შეიძლება“, — გამოიკვეთა ალექსის გონებაში.

— უკურნებელი სენით შეპყრობილი ვნახე და ვუთანაგრძნე, ვაპატიე.

„ვის? ვის?“—უხმოდ აყვირდა კითხვა და დაუჭიმა კუნთები, ძარღვები, სახსრები, კანი.

— შემეცოდა. ვერ უძლებდა საზღაურს. ყველაფერზე მძიმე სენი შეჰყროდა — სიმარტოვე. ეგ თურმე ადამიანის სახეს ნიღაბივით ხდის და ნიღაბი სიკვდილის ნატვრას გამოხატავს...

ღამემ დარაბა შემოლეწა, ალექსის შეეშინდა.

— შენ უნდოდი? — ამოაძრო კითხვა ბალღამით გატენილ ყელს.

— მე არც კი, შვილი...

— შ ვ ი ლ ი?

და ხატულამ დაინახა მის სახესთან რომ გაიკრთომეს ალექსის თვალებმა, მერე მოშორებით გაიკრთომეს, მერე საწოლის ფერხთით დამდგარ სილუეტს ჩაეკრნენ. და გაიგონა:

— შენ მართალი ხარ, ხატულა, მძიმეა სხვისი შეცდომებისა და უნამუსობის ზიდვა. ეხლა მინდა ავიცილო სიმძიმის ის ერთი წვეთი. ამტანობის ზღვარზე რომ გამეჩხირა. როგორიც არ უნდა იყოს ბოლო, იყავ მართალი და

პატიოსანი ბოლომდე. ყველაზე მეტად ჩვენი ურთიერთობის სასაცილო დაბოლოვება შემზარავდა. ჩემი თმენა შორაა ქრისტიანული ყოვლისშენდობიდან. ნუ მიწყენ, ხატო, ცოტას გავივლი...

თვალებმა ერთხელაც გაიკრთომეს შორს, კართან, და კარი ჭრიალით გაიღო.

...უთენიის სუსხი მოლილისფერო ტალღებად მიეძალა ოთახიდან გამოსულს. მან ისე ღრმად ჩაისუნთქა გრილი ჰაერი, რომ შავი სატინის ხალათი სალტესავით შემოეკრა მის განიერ გულმკერდს. თავი თაღიანი აივნის სვეტს მიაყრდნო და დასალიერს გახედა. იქ ჯერ ისევ ღამე იყო, მაგრამ ის ხედავდა ერთმანეთზე მიჯრით მილაგებული მთების ქარგას. უკუნეთშიც დაინახავდა — ისეთი ნაცნობი იყო ის ქარგა. მთების გამოღმა, ხელისგულივით გაშლილ ველზე ალავერდი ილანდებოდა და, მისი სითეთრით შემკრთალი ბინდი ულიმღამოდ ეურჩებოდა გათენებას, ფერწასული ედებოდა ველისპირა ლობე-ყორეს, სახლებს, ხეებს, ბუჩქებს.

სადღაცა მჭახედ იყივლა მამალმა. სადღაცა ძაღლმა წამოიყეფა.

საკვამურები უსაქმურად ისხდნენ სახურავებზე — ადამიანებს ეძინათ ჯერ.

ჰო, ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, თვალმისაწვდომი სამყარო მშვიდობიან ღამეს ითევდა, და ალექსიმ ნელა ჩაიარა კიბე. მიწაზე დავარდნილ გამხდარ ფოთოლს შეასწრო თვალი, დასწვდა და აიღო — ის ხომ ჭადრის ტოტზე უდარდელად მოშრიალე უნახავს?! გზა განაგრძო. წყაროს გალვიძებოდა. გასიფრიფანებული ყინულის ნაბზარებში ამოხეთქილი წვრილი ნაკადები ბროლის ციგურებზე შემდგარი ეშმაკუნებივით უჩინარდებოდნენ. მოსახვევში წყაროს უბეებში შერჩენილ, ჩამუქებულ თოვლზე ენძელები ციალებდნენ და ალექსიმ შერჩენილ ფოთოლს დახედა. ესეც ძალიან ნაცნობი იყო — სიცოცხლისა და სიკვდილის გაწყვეტელი თანდევნა...

მან ქვიშით მოიხეხა დიდრონი, ძარღვიანი ხელები, პეშვით შეისხა სახეზე წყალი, სველი ხელი გადაისვა საფეთქელთან შეთეთრებულ თმაზე, საკინძეგახსნილ მკერდზე და წელში გასწორდა. შეიცადა, ვიდრე სიო შეუშრობდა აწითლებულ-ახორკლილ კანს და ისევ განაგრძო გზა.

მალე გვერდი უქცია თემშარას, ფერდობს აჰყვა. მანძილი დაიმოკლა და დროც დაზოგა. იცოდა, სხვა არავინ და არაფერი, მხოლოდ დრო იყო სიკვდილ-სიცოცხლის მომრიგებელი და სიკვდილისათვის კი ენანებოდა სიცოცხლის ყოველი წამი.

ფერდობის ქიმზე წამომდგარ ნამეხარ მუხას რომ მიაღწია, ნაცნობ ლოდთან დადგა და პირი იბრუნა.

გარიჟრაჟი ოქროს ხაზებით დატიხრული ფერადი მინანქრის ხატივით ეკიდა სივრცეში და თეთრი კელაპტარივით იწვოდა ალავერდი.

ის უძირო და უკიდეგანო, ის ხელთუქმნელი ხატი აღთქმებას მოითხოვდა, და ეს კაცი ალბათ წარმართი იყო, ალბათ შორათ-შორეულ წინაპრებმა დაანათლეს თავისი რელიგია — აღქმის უნარის საწყისიდანვე ბავშვი ბავშვურად, ჭაბუკი ჭაბუკურად, კაცი კაცურად — უჩინრად და უთქმელად აღიარებდა ამ რელიგიას...

და ახლაც...

ბუდის კიდეს მომდგარი მისი თვალები, უბრალო რუხი ქვისაგან გამოთლილი მისი სახე, მწუხარე ზოლებით მოხაზული და ნაჭრილობევით საფეთქელთან; მთელი მისი სხეული, დიდი, ვაჟკაცური და ნატანჯი; სული მისი, ძლიერი და ნაზი, ბრძენი, კეთილი და თავისუფალი, და მთლიანად ის — უძრავად მდგომი და მოწყვეტილი არსებითობას, შეუკავებელი სწრაფვით მიილტვოდა იქით, სადაც დიად იდუმალებაში იბადებოდა ახალი დღე...

„მხოლოდ ხელთუქმნელ მშვენიერებას შეუძლია აზიაროს მოკვდავი მარა-

დისობას...“ — გაუწყვიტა ფიქრი შორეულმა ძახილმა.

— მამი-ი!..

ტყვიასავით ეცხელა ალექსის ეს ძახილი. არა, არ უნდა გაეპასუხოს, თორემ ეს იქნება ამტანობის უკანასკნელი წვეთი, რომლის იქით ალარაფერია...

ტუჩებჩარაზული დაეშვა ლოდზე.

— მამი-ი!.. — მოახლოებულ ძახილს მოჰყვა ბიჭიც, სირბილისაგან სულს ძლივს იბრუნებდა.

— უჩემოდ რად წამოხვედი, ჰა? — ჰკითხა მუხასთან მოსულმა სანდრამ და შუბლშეკრულმა უსაყვედურა: — მე უშენოდ აქ ერთხელაც არ ამოვსულვარ, აქაც და ყველგანაც, ყოველთვის შენთან მინდა ყოფნა, შენთან, ეს როგორ არ გესმის?

ისიც ლოდზე ჩამოჯდა, მამის გვერდით. აკეცილი მუხლები მკლავებით შემოისალტა, შორეული მთების ტეხილ ხაზს თვალი გაადევნა და ხმადაბლა თქვა:

— მინდა მეც გონჯაურა დამიძახონ, რამდენი ათასჯერ უნდა გითხრა? — და წამიერი დუმილის შემდეგ, როგორც ოდესღაც ალექსიმ ურღვევი სიმტკიცით უთხრა მამას, ისე [illegible]

— მინდა მეც გონჯაურა ვიყო! მითხარი რამე, რათა ხარ გაჩუმებული?

ის გაჩუმებული იყო, იმიტომ რომ სიხარულისაგან გულატკივებულს ხმის ამოღება ეძნელებოდა. ისევ თვალმოუშორებლად მისჩერებოდა დასალიერს და ხედავდა:

მზემ მთებსგაღმიდან ამოისროლა სხივების ლეგიონები და აალებულ სივრცეში სანდრასტოლა გოგო-ბიჭებად ქცეული ლეგიონები მოისწრაფოდნენ ნამეხარ მუხისკენ, მოჰქონდათ ახალი, სხივფენილი სამყარო, და მოუძღოდა მათ **ის** — გარდასული ცხოვრების ქარტეხილში, უკვლოდ მშთანთქავ ჭანჭრობისპირას გულის ძახილზე რომ გამოეცხადა ღვთიშობელი დედასავით ხელში აყვანილი ბავშვით... და საოცარი ეს ხილვა თითქოს უდასტურებდა მთელი განვლილი ცხოვრების უზენაეს გამართლებას...

— მამი, შენ ხო გჯერა ჩემი? დამიჯერე. მე ვიქნები გონჯაურა! მითხარი რამე, რათა ხარ ჩუმად, რათა?

გაჩუმებული იყო ალექსი. იმიტომ რომ, ილეტაქსას წამალმა ველარ მოუზომა მის გულს ასატანი სიხარული...

1964 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

# შუადღის წიგნი

## ნაწილი პირველი

განღებულ არს კარი სინანულისაი, შევიდეთ მას შინა ძმანო.
**იოანე მინჩხი**

### 1.

მე ამ წიგნის დაწერა ისე მჭირდებოდა, მთელი წელი დღე და ღამ
თავს დავტრიალებდი,
მაგრამ იძუნწა ბუნებამ, ცა და მიწა შეითქვა
და ფოთოლიც არ შეირხა ხეზე.

მე ამ წიგნის დაწერა ისე მჭირდებოდა, როგორც გიჟს გაეხსნება
სიცოცხლის წადილი,
როდესაც მიხვდება, რომ ამ ქვეყანაზე
მხოლოდ თვითონ არის თავისი მსურველი.

და მაღალი მთიდან თუ სახურავიდან — რადგანაც სიგიჟე
ყველგან მწვერვალზეა,
სადაც უნდა იდგეს თავით თუ ფეხებით —
უყეფს ამ ქვეყანას, რომელიც დაჟინებით მოუწოდებს,
— მოკვდიო!...

— რათა, მე თქვენიი!...

მე ამ წიგნის დაწერა ისე მჭირდებოდა, როგორც მკვდარს სიცოცხლე
და ნაპირს, ნაპირი,
ვგრძნობდი, ხერხემალი რომ მეზნიქებოდა და გახსენებებში
ჩემს თავს დავეძებდი —
როგორც ხელის ფათურით წამალს ან საწამლავს.

მე ამ წიგნის დაწერა ისე მჭირდებოდა, მაგრამ ფასი დაიდო
უცებ ყველაფერმა,
უცებ გამეცალნენ ძველი მეგობრებიც
და გოხებაც გაკერპდა, დაიხშო, გამოშრა, თითქოს მტერს დაუთმო
თავისი ადგილი,
რომ სხვის ფანჯარაში ჩემად მჩვენებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ამ წიგნის დაწერა ისე მჭირდებოდა, ვხედავდი,
არავინ არ მყავდა მშველელი
და იმასაც ვგრძნობდი, სასოწარკვეთილი,
რომ დრო ამ ტანჯვასაც თავის წყალს შერთავდა,
წარსულად აქცევდა მასაც მომავალში
და დროის ეს უცვლელი, სასტიკი კანონი, მაბოროტებდა და
უძრავად მტოვებდა.

— დაივიწყებს შვილს დედა? — ვკითხულობდი ხმამაღლა, თუმც ჩემდა სავალალოდ
პასუხიც ვიცოდი
და ისიც მაბოროტებდა, რომ ჩემს გულისთქმაში ჩემთვისვე ჩვეული
ორჭოფობა არ იყო.

რადგან მზე ზეციდან არასდროს არ ჩადის და ადამიანსაც ცხოვრებამ ასწავლა,
რომ მიცვალებული საფლავში უყვარდეს
და შეყვარებული ორი მთის გადაღმა.

რომ ყველა ვარდება, წვიმის წვეთიც, ფოთოლიც და ხელიც ნერვიულად
ჭიქაზე ვარჯიშობს:
გაუშვებს, ვარდება, გაუშვებს ეცემა, უცვლელად, რაც არის, მიწისკენ
ისწრაფვის...
და დანაკარგებმა წამართვეს ხალისი.

ასე შევაერთე ლექსი და ტკივილი... და აი, სიმღერა,
რომელიც გიამბობთ,
გიყვებათ, გიამბობთ თავგადაგდებული,
უნდა, რომ ირწმუნოთ, სურს რომ დაუჯეროთ, მაგრამ იმასაც გაიგებს ადვილად,
თუკი არავის დააინტერესებს.

და მხოლოდ ერთადერთ ეშმაკობას მიმართავს, ერთი აქვს
მკითხველის მისატყუებელი:
რომ სხვისი სიბრიყვე ჩვენ მუდამ გვამაღლებს და გვაჯანსაღებენ
სხვისი ტკივილები.

2.

ეს იმედი ვრცელია, სამყაროს ხელაა, როგორც თავისმკვლელისთვის
დაცემის ადგილი:
ქუჩის მტვერი, კლდის ძირი, შენობის ნაპირი,
ოღონდ არსად ყვავილი... ვარდი აღერილი.

რადგანაც ნელ-ნელა, დღე-ღამის ტრიალში,
პოეტი ემსგავსება თავის შთაგონებას. რაც შიგნით განძია,
გარეთ მოაშუქებს და სული სახეზე გამოეფინება...

თავის გრძნობებს თუ მიჰყვა ისეთ ერთგულებით,
რომ შესძლოს თვითეულის სახელი ამოთქვას
და თუკი სუყველა ლექსში მოაგროვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარით შერხეული ხის ნაყოფებივით —
მაშინ მკვდარ სურათებს მუსიკად შეკონავს...

ყოველ სიტყვას და სტრიქონს — სულის ბორგვისაგან
ბაგეებთან ამოსულს, ამოტივტივებულს,
თუკი გაჰყვა, გასდია, გაეტყუებინა და უცხო მინდორში
მხარიც თუ ეცვალა,

მაშინ კი როდისმე ალბათ მოათავებს
თავის მონათხრობსაც
და იმ თავის თავსაც,
დაღლილს, მობეზრებულს და ამოჩემებულს.

ჩვენთვის მართალია, მისი მონაყოლი
იქნება ნატანჯი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი,
რადგანაც, ვინ იცის ყოველ გახედვაზე
რომელ მხარეს რა შეხვდა და რამ მიიზიდა,

მაგრამ ყვავილები ცოცხალი ექნება
და ცვარი — სისხლისა.

3.

მე ვიცნობ ჩემს თავს და ჩემს ცხოვრებას,
არც სხვებისთვისაა იგი იმდენად დაფარული და უცოდნელი,
რომ მე თავი მშვიდად ვიგულვო.

ამ წიგნში მე თავიდან ვითამაშე ჩემი ცხოვრება (ეს მერამდენედ!),
კვლავ განვიცადე და შევეხე ისეთ რამეებს,
რომელთაგან ზოგს უკვე ობი მოეკიდა და ზოგი კი აკრძალულია.

მე ვიცნობ ჩემს თავს.
იგი შედგება ტკბილი ცხოვრებისა და
მწარე ასოციაციებისაგან.

მე ველტვი ბედნიერებას, მე ველტვი სიხარულს, მე ვცხოვრობ იმედით.
ამათ შორის კი სევდაა გაკრული,
როგორც ობობა, რომელიც ერთ დღესაც ვერ იარსებებდა,
თუ ორი კიდე არ ექნებოდა ჩასაჭიდებელი.

სულ რომ სევდა იყოს?
როგორც სრული სიბნელე ან სრული განათება...
ბრძენი სევდა, მარადიული. შეუმცდარი და გაუკვირვებელი.

სამი ვინმეა დაჯილდოვებული:
ბავშვმა იცის თავისი თავი, შეყვარებულმა და
გზისპირის ეკალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი მთელი სიცოცხლე
ბრმებისათვის თვალების ახელას მოვუნდი.
მსურდა რომ ვეხილე და ვებრძოდი ჩემს ყოფნას იმათ სიბნელეში

მაგრამ სიბნელე
სინამდვილე ყოფილა თურმე,
ისინი მე ბნელში მხედავდნენ.
მაშ დაე ბნელში ჩაესმოდეთ ჩემი სახელი, ბნელში
მნატრობდნენ.

მიწაში ჩემს თავს ვერ დავინახავ, იმიტომ, რომ იქ სიმჭიდროვეა,
ვერც სივრცეში, რადგან იქ ბევრი თავისუფლებაა.
მე კი მჭირდება შუქი და ხაზი,
ჩარჩო, რომელშიც ავირეკლები.
აი, ჩემი თავისუფლება...

აქ კი ხან მეტი ვარ და ხან კი ნაკლები
და კიდევ უკვირთ, რომ არ მესვენება.

4.

მე არ ვაპირებ ვინმეს გავეჯიბრო,
კალამს როცა ხელში აიღებ, ასეთი გრძნობა დამღუპველია.
ის კი მჯერა რომ სულ სხვა ვინმე ვარ,
ისევე მჯერა, როგორც ყველა სხვას.

ერთის რომანები გრძელ ღამეებს გულისხმობს ხოლმე,
მეორისა — ჩიბუხის დატენვას,
მესამისა — ტყავგადაკრულ მაგიდასა და სავარძელს ბუხრის შორიახლოს.

მე ისე ვწერდი, როგორც ჩიტი: ტოტიდან — ტოტამდე,
მარცვლიდან — მარცვლამდე,
ჩიტი, რომელიც ისეთი სულელია, რომ ყველაფერი,
რასაც თავის ფრთებქვეშ იხილავს,
ჰგონია თავისი.

და არაა გასაკვირი, რომ ხშირად კიდეც შეეწიროს
ამ მოუშლელ გულუბრყვილობას.

რადგანაც არც ხე, არც სოფელი და არც ქალაქი,
არც არაფერი,
რასაც ჩიტი ითავისებს და რაც სჯერა, რომ მას ეკუთვნის,
არ არის მისი.

ვინ იკითხავს, სად მოკლეს ჩიტი:
სამშობლოში? თავის მიწაზე? თავის ბუდესთან?
სურვილი იყო იმის გულში? შიმშილი იყო?
უხაროდა იმ ჩიტს რაიმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ცხოვრებით ფრთები ისე ჩამოძენძოდა,
რომ დალოცა თავისი მკვლელი.

რა ტკბილია ბალახში გდება... პირიდან რომ სისხლი გადმოგდის,
ვიდრე ან ძაღლი აგიყვანდეს, ან შენი შვილი.

კიდევ კარგი რომ მოასწარი და ცხოვრებას გამოეთხოვე,
იმის თვალწინ,
ვისაც შენთვის ესეც კი არ ემეტებოდა,

იმის თვალწინ,
ვინც წინადღის მომართული საათის რეკვამ
ზანტად მძინარი წამოაგდო და ჩაგისაფრა,
ჩქარა-ჩქარა ნასაუზმევი,
მაშინ, როდესაც შენ შენს გზაზე მიგიხაროდა
და დედამიწას ევლებოდი, ზეცას ერთვოდი.

მოკლე-მოკლე აბზაცებითაა დაწერილი შენი ცხოვრება,
ჩიტის აბზაცებით...
თხრობის სურვილმა მოაგროვა ისინი ერთად,
ერთურთს მიაგდო და მიაწება.
დიდმა ტვირთებმა ჰაერები ამოუშრო და გაუფანტა
რაც ფრთებქვეშ გაკრთა, რასაც გული წამოედო და რაც თვალმა
გამოიტაცა.

5.

ჩემი ქვეწყობილი წინადადებები დაწერილია იმ პირობითი ენით,
რომელიც ახალი ადამიანის გაუბედავობას გამოხატავს
და აკლია ის უშუალობა, ველურს რომ გააჩნდა:
როცა სიტყვა ადამიანს ასახავდა არსში და არა მდგომარეობაში.

„ის“ არის ჩემგან გაგდებული ჩემივე თავი, სინამდვილისთვის გამეტებული,
იგივე მე ვარ, ოღონდ ისეთი ორეულია, რომელიც მეც ვარ და
ისიც არის:
სიტყვა, რომელსაც ბაგე აკავებს, საქმე, რომელსაც გონება მიშლის —
ჩემს მაგივრად ცეცხლში რომ იწვის,
წვიმაში რომ სველდება და ქვეყანას გადააბრუნებს.

ის მე მაშორებს ჩემს რეალობას,
მაგრამ მე მაინც ვეჯიბრები მას, — რით? — რეალობით!
რადგანაც მისი ფრთებდაჭრილი ორეული ვარ,
საგანი — საგნად,

როგორც ჯარისკაცი, ომიდან შინ უხელფეხოდ ჩამოტანილი,
რომელიც თავის თავს
ჩვენს მიერ წარმოსახული გაგრძელებებით ჰგავს,
გაგრძელებებით, რომლებიც სრულყოფილია და იდეალური.
მე — „მე“ და „ის“ ვარ, ორის ცხადი, ორის სიზმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

რაც მე არ ვიცი — ეს არის ცხოვრება,
რასაც არ ვიცნობ — ადამიანი,
მაგრამ ამეებსაც არაფრად ჩავთვლიდი,
ჩემს თავს რომ ვიცნობდე.

ამიტომაც ვწერ,
ვწერ არცოდნაზე...

სხვასთან ვისთან მქონია საქმე?
ვარსკვლავი მე არ ვყოფილვარ და ბალახად არ გამიხარია,
რომ თავი ნამით დამმძიმებოდა.

ცხოვრებას პირში ჩალა ბევრჯერ გამოუვლია,
ადამიანებსაც უამრავჯერ დავუტოვებივარ გაკვირვებული,
მაგრამ ამეებს ცოტათი კიდევ არცილებ თავიდან კაცი
და პირობითობებიც დაგეხმარებიან,
მაგრამ ჩემს თავს რა ვუყო ხოლმე,
თავისუფალ არსებას ჩემში,

რომელსაც განუწყვეტლივ ვწვრთნი და ვასწავლი,
ჩემს თავს ვაგუებ, სარკის წინ ვიზომებ,
ფეხს ავაყოლებ, სახელოში ხელს ერთად ვუყრით,
მაგრამ როგორც კი ნაბიჯს გადავდგამთ,
მე აღარ მეკუთვნის.

შეგონებებით ალვჭურავ და ტანს დავუმძიმებ,
დამორჩილებულს გავიყოლებ დახშულ კარამდის,
ერთად ვალებთ, შევდივართ და ერთად ვჩერდებით,
მაგრამ, როგორც კი პირს გაალებს,
მე აღარ მეკუთვნის.

განსაკუთრებით იცის ხოლმე თავის გამოდება „ხო“-ზე და „არა“-ზე,
გზაჯვარედინზე, არჩევანზე, ბედის სასწორზე...
ამიტომაც ვწერ, ვწერ არცოდნაზე
და უსასრულოა ჩემი ასპარეზი.

7.

ყველაფერი გრძელდება და გრძელდება და გრძლდება
და არაფერი არ თავდება ერთ წამში და ერთ საათში, ერთ წელიწადში,
ადამიანი კი სულ ჩქარობს და ჩქარობს და ჩქარობს,
მაგრამ მერე რა?
დაბადებასა და სიკვდილს უნდება იმისი ნიჭი.
ობობას ბადე ამ ორ კიდეზე არის გაბმული:
დ ა ბ ა დ ე ბ ა, ს ი კ ვ დ ი ლ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ბავშვობაში მზისკენ ხელი გამიშვერია,
მე ეს არ მახსოვს.
გაკვირვებულს ხომ დამტოვებდა?
მრავალ სიტკბოს ალბათ მეც ვყავარ გაოცებული:
— ამას ეს რატომო?!

ამახობაში კი ჩემი მოგონებები მოძუნძულებენ იმ შავი ძაღლიდან,
არავისი რომ არ იყო მთელ იმ სოფელში
და დაუკითხავად სხვისი სახლის აივნის ქვეშ დაყარა ლეკვები.

ისე დაბალი იყო დირე იმ აივნისა,
რომ ჩაცუცქული ბავშვის მზერა თუ შეაღწევდა
და ძაღლიც მხოლოდ ზურგჩაზნექით ძვრებოდა ხოლმე.

ბავშვი, რომელიც შეაძრწუნა დედა-ძაღლის სისხლიანმა უკანა ტანმა,
როცა მცირე ხნით გარეთ გამოსული ისევ ლეკვებს უბრუნდებოდა
და თან სხეულს — დატანჯულ წელსა და ხერხემალს უფრთხილდებოდა,
რადგან დაბალი იყო დირე იმ აივნისა
და მხოლოდ ჩაცუცქული ბავშვის მზერა თუ შეაღწევდა.

შეფურთხდებოდა და ჯერ კიდევ რომ არ იყო ამოსუნთქული,
თვალაუხელელი ლეკვები გარს შემოერტყმოდნენ.
საჭმლის ძებნაში გარეთყოფნის მწარე-მწარე შთაბეჭდილებებს
და ტკივილს, ცოცხალს და აქამდის მოუშუშებელს
აბრუნებდა ჯერაც ისევ იმისი ტვინი,
რომ ნაცრიდან ამოჩრილი ღველფებივით ბრმა შვილები მიეკრობოდნენ
და ისიც, როგორც სისხლისმწოვლებს მსხვერპლი ნებდება,
მუცელს უშვერდა რაღაც მოძრავ ძონძების გროვას
და აივნის იმ სიბნელიდან
მწვანე მოლიან ეზოსაკენ აშუქებდნენ მისი თვალები,
დარაჯად მდგარნი.

რამდენ სიმწარეს გავუკვირვებივარ,
— ამას ეს რატომო?!
ის ლეკვები, რომლებიც შემდეგ ბურთებივით დამრგვალდებოდნენ
და ჩემთან ერთად გაიყოფდნენ პურს და ბილიკებს,
სიცოცხლის წყურვილს როგორ ბოროტებად გადაუქცევია!

8.

ხოლო გაგრძელება მე დიდი ხნის შემდეგ ვიხილე:

მთელი საქალეთის ჯავრს იყრიდა ეს ძაღლი თითქოს,
მთელი საქალეთის ოცნება მას ასრულებოდა.
პატარა ტანის,
სიყვარულებისგან ხორცგაცლილი უჯიშო ძუკნა
ისე ამაყად მოუძღვოდა, თავშემართული,
სხვადასხვა ზომის, ჯიშისა და ასაკის ძაღლებს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდიადის და წარმავლობის ერთდროული, მშვიდი შეგრძნებით,
რომ მის აღწერას სჭირდებოდა ლერწმის კალამი
და მოთმინება
აღმოსავლეთის მეფის კარზე გაზრდილ მხატვრისა.

ამ ძაღლსა და ჩემს ძაღლს შორის დიდი გზა იყო
და გაგრძელებაც მე დიდი ხნის შემდეგ ვიხილე:

მათი საუბარი ჰკვიანმა იროდმა ასე შეაჯამა
(აკი იმის მსჯავრს ელოდებოდნენ სულგანაბულნი):
— მე, რომ ძაღლი მყავდეს,
სულ ფეხებზე დავიკიდებდი მთელ ქვეყანასო!

9.

ერთი რამე მუდამ მავიწყდება:
როდის ვიყავი ხოლმე სამარცხვინო?!
ამის გამო არა რეკავს ჩემი საათი,
ჯვარი არ ასვია არც ბუჩქს, არც სახლს, არც წინადადებას
და მხოლოდ ზოგჯერ შემეძვრება რაღაცით გული...
მაგრამ მიწაზე ვარ...
და ერთი რამე მუდამ მავიწყდება...

ჰო, შეიძლება რაღაცას მიჰხვდე:
წიგნს რომ გადავდებ, მაშინ კი არა,
სადაც ჩემს სიტყვებს სხვა ვილაც ახსენებს —
სხვა რიტმი რომ იყო, ფეხი რომ ვერ შევუწყე და რომ გამოვეშვი — ცხოვრებას,
ჩემს თავს ფანჯრის იქით, როგორც ზღვის ხმაა
ან შორი გუგუნი,
რომელიც გიბრუნდება ამ შუაღამეში, როცა ყველაფერი ის არის, რაცაა.

მხოლოდ ცხოველები ამბობენ სიმართლეს.
ამაში ჩვენ მაშინ ვრწმუნდებით,
ქალი და კაცი ერთი სიტყვით რომ გაუგებენ ხოლმე ერთმანეთს
და გაუჩინარდებიან პირობით ღამეში.

10.

ფიჭვის კორომში, საიდანაც სოლომონის კარვებს ნიავი უქროდა,
ისინი ღიღხანს საუბრობდნენ პოეზიაზე.

მე ვთქვი, რომ არ მინდა ვწერო ისეთი რამ, რასაც ლექსი დაერქმეოდა,
ორ წერტილს შორის, ორ ზღვარს შორის პყრობილი რამე.
როგორც ეს თასია, ამ დოქში კი ღვინო ასხია.
მე მინდა ვიმყოფებოდე გაურკვევლობაში, პოეზია ხომ
არც იწყება და არც მთავრდება, ის იჭრება ელვის მაკრატლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე იყო ნათქვამი, რომ მე მოვკვდები ჩემი სიკვდილით,
ღრმად მოხუცებული.
სიკვდილის წინ მე დავწერ ლექსს, სამწუხაროდ მხოლოდ ამისთვის,
ბოლო წუთები სიცოცხლისა რომ ჩავიშხამო,
რომ უწარედ ვიგრძნო, ამჯერადაც ისევ რაღაც რომ დავაკელი.

ფორმისკენ სწრაფვამ, გამართვის და წყობის სურვილმა
კვლავ მაიძულა, რომ რაღაცა ისევ დამეკლო.

მწარე მწარედ იწოდება ამ ქვეყანაზე, ტკბილი კიდევ
ტკბილად ითვლება
და შენ ამ მუდმივ სახელრქმევას ენდობი და ასახავ ხოლმე.

მაგრამ რაღაცა რომ არსებობს ასევე მუდამ? რაც ტკბილამდეა
და რომელიც მწარემდე არის?

შენს ხელწყვში უფრო მეტი ხდება, ვიდრე შენი გონება არის,
ვიდრე აზრია, ვიდრე სიტყვები.

ისე ძნელია
მთავარზე და ნამდვილზე წერა,
რომ ამისათვის ადამიანმა წესები და კანონები გამოიგონა.
ამ ხერხებით ხშირად მიზანს მართლა აღწევენ,
სინამდვილესაც ამსგავსებენ და მთავარსაც ამბობენ ხოლმე,
მაგრამ კაცი ბოლომდე მაინც ვერ ენდობა
ამ ჩვენს მხატვრულ ჭეშმარიტებას,

რადგანაც გრძნობს, რომ იმის თვალწინ რაღაც დამალეს და ითვალთმაქცეს.
მაგრამ ეს კაცი ვერც გვიხსნის და ვერც გვიდასტურებს თავის მიხვედრას,
რადგან თავისი პირობითი ენისათვის თავი ვერც მას დაუღწევია.

დანტე აბსოლუტურად არარეალური სცენით იწყება
და „გვპირდება", რომ შემდგომშიც ასე იქნება
და რომ გაგვიყოლიოს ამ გაბედულ მოგზაურობაში, თავზარს გვცემს იმით,
რომ უზადო ფორმას მიმართავს,
უნდობლობას გვიკარგავს და ახალ გრძნობას აღმოგვიცენებს.

როგორ ახერხებენ გენიოსი პოეტები უმანკოდ სიკვდილს?
სისხლიანია იმათი კვალი,
იმდენ დაცვენილს და წაგებულს ტოვებენ გზაზე.

როგორ ახერხებენ წერას ლექსებისა, რომელშიც მხოლოდ
გულისა და გონების უნარი კი არა ჩანს მათი,
არამედ პოეტის თანდაყოლილი უკუღმართობა.

როგორ ახერხებენ, ყოველი სიტყვა წინადადებაში
ერთადერთ რიგით, ერთადერთი თანმიმდევრობით რომ დაალაგონ:
სხვანაირად რომ არ წარმოიდგინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ახერხებენ დაწერონ ისეთი რამ, რომ ყველაფერი დანარჩენი
იყოს „მანამდელი“.

როგორ ახერხებენ, ყველაფერი პოეზიას დაუმორჩილონ?

როგორ ახერხებენ, თვალი აარიდონ, და იმას, რაც ათასჯერ ზეპირად იციან,
ისე გასცდნენ, თითქოს ერთხელაც არ წაეკითხოთ: უფრო მკაფიოდ
სხვა სიტყვები არსად სწერია, როგორც პოეზიის კარზე არის ამოკვეთილი:
„ამის გამკეთებელი მრავალ შურსა და მითქმა-მოთქმას შეიყრის“!
როგორ ახერხებენ, გასცდნენ, წავიდნენ და თავისი საქმე აგრძელონ?

როგორ ახერხებენ, ილაპარაკონ თავის თავზე გულწრფელად და დაუმალავად
და ამავე დროს იყვნენ მკაცრად შეუხებელნი?

პოეზია გაიყინა. დღეს ლექსისგან იმას ველით, რაც გუშინ იყო
(მოლოდინი იმის — რაც იყო?!).

სტრიქონებს შორის ყოველთვის არის ცარიელი ადგილები,
დაწერას რომ იხვეწებიან,
რომლებსაც ჩვენ სულ ვტოვებთ ხოლმე, ტრადიციულ მთხრობელის მსგავსად.

თქვენ გგონიათ მართლა რაიმე?
თქვენ გგონიათ დიდი რამეები გვაშორებენ ჩვენს ნამდვილ საქმეს?
მზერით არეკლილი საგნები და ფუჭი ფიქრები!
რომლებიც თავის მხრივ ირეკლავენ საგნებს და წარსულს.
მომავალი არ ირეკლება არც საგნებში და არც ფიქრებში,
იმ წრეში სადაც ახლა ვდგავართ, მომავალი არ იმყოფება:
მთქნარების წრეში.

ჩვენ არ მოგვწონს არც მზერითი კენკვა საგნების
და არც ჩვენი ფუჭი ფიქრები,
მაგრამ სუნთქვასავით ძალდაუტანებელნი არიან ისინიც.

პოეზია რომ არა, სად წავიღებდი ნეტავ მე ჩემს თავს?
ქინს რა მომიკლავდა?
ამიტომ მასთან უნდა იყო სულ, ჩემო თავო!
შეყვარებულის გვერდითაც და ვარდების ბაღშიც,
ცხოვრება რომ გატივტივებს მაშინაც და სხეული რომ ძირს გიგდია
იმ წუთებშიაც.

კვლავ ჩუმ თითებით დაითვალე სატრფოს მხარზე ხელმოხვეულმაც
მოჩვენებულ ლექსის მარცვლები!

იმის თმებშიც კი იჩურჩულე და ამოწმე სტრიქონის გემო!
და არ გეგონოს რომ მეტად ღირხარ.

11.

თუ კარგი კაცია, დაე, იკვეხნიდეს!
ცოტა პრეტენზია თუ არა აქვს, ისე არც ვარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია ხომ ყველა პოეტისთვის ისეთნაირია,
როგორნაირადაც თვითონ არის დაელმებული.

თუ კარგი კაცია, დაე ჰკვეხნიდეს,
გინდ ფშაველი მოლექსე იყოს,
გინდ ნიუორლიანელი საქსაფონისტი —
იმასავით „ვერვინ ამბობდა“, ამასავით „ვერვინ უკრავდა“,
ეხლანდელებმა რა იციან ან ლექსისა ან საქსაფონის!

ვისაც რა ძალუძს, იმას იკვეხნის, იმას გვისახავს
ჭეშმარიტებად:
ლექსი ასე კი არ უნდა, ისე უნდაო
და... პოეზია ყველა პოეტისთვის ისეთნაირია,
როგორნაირადაც თვითონ არის დაელმებული.

— ტურფა ვარ!
რაც უფრო დალრეცილი იყვირებს ამას,
მით უფრო თვალსაჩინო და საინტერესოა,
მით უფრო საეჭვოა სიტურფე ქვეყნად,
მით უფრო წარმავალი, მით უფრო უაზრო.

რა არის პოეზია? აილე და დაფურცლე ვარდი,
თითქოს ეძებდე გულს იმისას, საიდანაც სურნელს გამოსცემს,
რადგან გგონია, რომ იგი სადღაც ღრმად არის და შუაგულშია,
აილე და დაფურცლე ვარდი,
როგორც საერთოდ, როცა პოეზიას დაეძებ ლექსში — ზედმეტს აცილებ,
ახლაც სცადე და ვარდს ფურცლები შემოაცალე:
შენ შენი ხელის თითებით იხილავ, რომ იგი გაქრა.
(მაგრამ სურნელი?)

12.

როცა შვილს დაუმთავრებელ საქმეს უტოვებს,
მამამ ეჭვითაც კი არ იცის, რომ ბრძნულად იქცევა,
რადგან ღმერთისგანაც კი არ უნდა მიიღო შენი თავი დასრულებული,
— დანარჩენს მე თვითონო! — უნდა უთხრა,
უნდა ხელიდან გამოართვა შენი კედლის ქვა და თვითონ დასდო.

კარგია კაცი, თავის თავის ამშენებელი,
კარგია კაცი, თავის თავს რომ მტრად დაისახავს
და წუთიერი გამარჯვების დროს ნიშნს მოუვებს ბაგეშეკრული,
რადგან თავის თავს მოუგო ბრძოლა.

მაგრამ იცოდე, ყველაფერი შენი ძალით არ დაასრულო,
ზოგი ბედს უნდა დაუტოვო, ზოგი შემთხვევას.

ადამიანის აზრი ხომ სულელი მართაა,
წინ და უკან მარბენალი, თავის თავი რომ ვერ დაუბამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხანდახან მშვენიერიც კი რომ არის ამ ხეთქებაში:
როგორც ჩიტი — წანწკატა,
ხან ამ ტოტზე, ხან იმ ტოტზე რომ განათდება.

ბოლო შერცხვენაა ჩვენი ორიენტირი,
იმას ალვნიშნავთ, საკურთხეველს იმას ვუგებთ,
წელთაღრიცხვას იქიდან ვიწყებთ.
ხოლო იმას — იმ სულ ბოლო წამს თავის შერცხვენის,
ადამიანი მარტო ესწრება.
მოწმეების გარეშე. ხეც კი არსად რომ არ იქნება.

და ამ შერცხვენაში ყველაფერი ისე სწორია,
ისე არის ყოველივე შემოსწრებული,
რომ კაცის მთელი წინა ცხოვრება
ამ შერცხვენის ნიჰი ყოფილა.
და ისე არის ის ბოლო — ბოლო,
რომ ერთი თუ აყნოსვინე, დანარჩენ გზას თვალაკრული ძაღლიც იპოვის.

ადამიანი ხომ რასაცა გრძნობს იმას ვერ ხედავს
და მე, იმისთვის, რომ გავიგო სულ უბრალო რაღაცეები,
ორი ძაღლი მყავს დაგეშილი:
მყნოსავნი, გამომცნობნი, ზღვაზე, ხმელზე გადამავალნი,
რომლებიც შარდით ეხებიან ქალაქებს და გეოგრაფიებს.

გოროხი არ გეგონო, დასველება არა მჭირდება!
მე ასეთი ამოვედი ჩემი აკვნიდან, მერე ბედი აღარ შემცვლია.
მე შენ არაფერს არ გპირდები, მე შენ მიყვარხარ,
და თუკი ვინმე დაეჭვდება, დაე, იცხოვროს შვიდასი წელი
და მიყუროს, როგორ მიყვარხარ!

რა ვიქნებოდი დედაჩემის მუცელში ნეტავ?
დედაჩემის სისხლით როცა ვიკვებებოდი.
იმას რატომ არ იკითხავენ,
რა ძოპქონდა იმ სისხლს ჩემთვის ამანათებად?

ან შენ ვინა ხარ, ვინ გადმოგცა ჩემი თავი, რწმენით ურწმუნოვ?
რატომ გინდა, რომ გამიხდე მეორე დედა?
შენი სიმარტოვე უჩემობაა. ჩემიც — უჩემობა.

ვის შეუძლია შეაკეთოს თავისი ბედი? ბედი — თავიდან?
რომ შენს ნებაზე შეაზავო სიტკბოთიცა და სიმწარეთიც.

იმას, რაც ადამიანს გააჩნია, სხეული არ ესაჭიროება.
ხორცი?..
ნაწილებად რომ შეგიძლია აქნა და ადუღო...

ერთადერთი ძალა აქვს ადამიანს, მაგრამ მყიფე ჭურჭელში უყენია.
ხოლო ჭურჭლის გამტეხი ღვინოსაც დააქცევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩათვლემილს ჩიტი გაუფრინდება.
იმას, რაც ადამიანს გააჩნია, სხეული არ ესაჭიროება.

13.

შლის ჩვენს ნამდვილ სახეს ხორციელი არსება ჩვენი — სარკისეული.
ადამიანის ხორცი: ცეცხლზე რომ იწვის, წყალში რომ იხრშება,
ნესტის ამკრეფი, რომელიც რაც გაჩენილია,
თავის თავში იტოვებს ნაგავს.

გაიტანე ნაგავი შენგან!
თუ ხუთ პურსა და ორ თევზს დარჩა ნამუსრევი
ათორმეტი გოდორი სავსე, შენ რაღა გექნება!
გაიტანე ნაგავი შენგან!..

მიჯნურებო, გაიტანეთ ნაგავი თქვენგან,
რადგან წმინდად ბოძებულს ხარჯავთ.
ქაფი მოხადეთ და ჩახედეთ თქვენს სულს მშვენიერს,
იქ ისეთი სიღრმეებია, ისეთი სივრცე...
ისეთ ლანდშაფტებს იხილავთ იქ — ისეთ ფერებით,
ისეთ მუსიკას მოისმენთ და ისეთ სინათლეს,
მერე თვალებს აღარ გაახელთ.

მიჯნურებო,
რატომ იტოვებენ შეყვარებულები
ტკივილის სახსოვრებს?!

მიჯნურებო!
ორივე გვებრძვის —
ჩვენი დრო და დრო დროისა, დრო სამყაროსი,
თქვენ ხართ საგანნი ზედროულნი ახალ სამოსში,
ცხოვრების ნახლართშიც და ღმერთის ნაქსოვშიც —
ორივეში ხართ!

ნუ ილაჴდებით ჩემს მიწიერ ისტორიაში სოლომონის თეთრო კარვებო,
ზედროულო სარკმელებო, ანჯამებზე მაგრად ეკიდეთ,
ჩემს სცუალ გზაზე ნუ დამიყრით უცხო სამოსს, უცხო იარაღს!

დრო მიმაქანებს თავის აფრებით,
შესწორებებით, ვერსიებით, კომენტარებით...
მარადისობას შეერთვება ეს ჩემი დროც, შემოფარგლული,
როგორც ჩიტის ფრთის ჰაერი ვერ დაეტყობა
უზღვავფარდიან სამყაროს რხევას.

მაგრამ რაცა ვარ, მეტს მე როგორ შეგემატები,
ჩემო დროო და დროვ დროისა, სამყაროს დროო!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ლერი ალიმონაკი**

# ხსოვნის ქალაქი

I

თოვს სივრცეებში, თოვს ხილვებში,
თოვს ზმანებებში,
თოვს დავიწყებულ უხსოვრობაში.
ციმციმებს სული
დავიწყების უხილავ ნისლში
და იხსენებს რაღაც დაკარგულს,
რაღაც შორეულს და გაურკვეველს...
აჰა, ზღვარი — დაფარულის და შეუღწევის,
გრძნება და ფიქრი — დაუსაზღვრავი
და მახსოვრობის ცრემლიანი თავშესაფარი:
ვიოლინო — დაშლილი და მიუსაფარი...
კვდება ტანი ბედისწერის მიწიურ ზღვართან
და მივიწევი უკაცრიელ უსაზღვრობაში...
მივდივარ სადღაც,
ვიღაც უცხო მომიხმობს ნისლში
და ვუერთდები —
უხსოვრობის ცივ ანარეკლებს,
ვუერთდები დაკარგულ სხეულს
და ვეთხოვები ამ ქაოსურ წამიერებას...

II

კვლავ თოვს ხილვებში, თოვს ზმანებებში,
თოვს წამით ხილულ უხსოვრობაში...
კვლავ მივაბიჯებ უცხოდხილულ ციურ ქალაქში,
კვლავ ელვარებენ გუმბათებში მთვლემარე ნისლში,
ისევ კვდებიან თოლიები ცივ ნავსადგურში...
აჰა, ჩემი ხსოვნის ქალაქი:
სულის ძახილი — შორეული და უხსოვარი
და ვიოლინო — ძველი ცრემლის თავშესაფარი:
კვლავ მოუხმობს დამწუხრებულ მოქალაქეებს...
ტირის სიმები და დგება მწუხრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირის სიმები. ჩემი სულიც კვნესის და ტირის.
სადღაც მიდის მთვლემარე ნისლი...
და გემიც სტოვებს ცივ ნავსადგურს
და სადღაც მიდის...
ვდგავარ უმიზნო — უკაცრიელ უსაზღვრობაში,
ვდგავარ უმიზნო, უალაგო, უთავსასთუმლო
და მოვუხმობ გადარჩენილ ხსოვნის ნაფლეთებს...
და ვერ ვიხსენებ:
ველი ვინმეს თუ მე მელიან,
უნდა დავრჩე თუ უნდა წავიდე...
და ვბრუნდები კვლავ ძველ სარდაფში,
ვბრუნდები არსად — ცივ ზმანებებში
და მღვრიე მზერით კათხის ფსკერში ვეძიებ ზეცას,
ვეძიებ ხსოვნას — ვიოლინოს ხმებში ჩაღექილს:
მოწყვეტილი ქვეყნიურ ბრუნვას
და კათხის წრეში სამუდამოდ გამომწყვდეული...

III

ეს წამით იყო. აქაც წამი სუფევს და მეფობს,
წამი მავალი — ათასწლებში ამოტვიფრული...
ეშვება ნისლი უკაცრიელ უსაზღვრობაში,
ცოცხლდება ტანი
ბედისწერის მიუვალ ზღვართან
და ვუბრუნდები კვლავ ქაოსურ წამიერებას...
მივდივარ სადღაც,
ვიფერფლები და კვლავ მივდივარ...
დავდივარ ასე:
დავიწყებიდან — დავიწყებაში,
უხსოვრობიდან — უხსოვრობაში...
და ვიოლინო — ძველი ხსოვნის თავშესაფარი:
კვლავ მოუხმობს
ჟამთა ბრუნვის იდუმალ წამებს...
კვლავ თოვს ხილვებში, თოვს სივრცეებში,
თოვს დავიწყებულ უხსოვრობაში...

* * *

შენს საფლავს ანათებს მთვარე,
ძაღლებიც სდუმან და თვლემენ.
უცხადებს ანათემას აბელს
ბრბო და სულცოდვილნი ყეფენ.

ჟამს მიაქვს ყოველივე ცერად,
აბელს სისხლი სდის და გოდებს.

ბრბო კი განუსჯელად ღელავს,
გესლავს სასაფლაოს ლოდებს.

შენ კი არაფერი გესმის,
ალბათ მზეც ამოვა მალე.
ბრბო კვლავ გაგიჟებით მღერის
და საფლავს ანათებს მთვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯუჯა

აჰა, დარბაზი სავსეა ხალხით,
დღესაც მსჯავრს სდებენ ვიღაც ბრალეულს.
ფეხზე დგას მეფე სასტიკი სახით,
ისწორებს გვირგვინს ირიბად დადგმულს.

კარისკაცები ბჭობენ და თვლემენ,
ჯუჯა კი არხევს ხელმწიფის ხანჯალს.
ტახტზე მიბმული ძაღლები ყეფენ,
ზანტად ძიძგნიან მარტორქის ბარკალს.

და მეფე ბრძანებს: „სიკვდილი მზაკვარს!“
ჯუჯა ხითხითებს. ტყვე წყალს თხოულობს.
მეფე მრისხანედ ანიშნებს მხატვარს:
დახატოს ასე და ბრბო მონუსხოს.

მეფე კვლავ ბრძანებს: „შეჰკრიბეთ სპანი!
გაანადგურეთ, მოსპეთ, დაამხეთ!
თუ არ წარვხოცეთ დღეს ისპაჰანი,
ხვალ კართაგენი დაგვიგებს მახეს!“

ჯუჯა ხითხითებს, კვლავ არხევს ხანჯალს,
ტყვესთან თასებით დაღვარეს წყალი.
და ამცნობს ჯუჯა დაზაფრულ დარბაზს:
დასტოვონ მეფე — ბრძენი და მწყრალი.

დაცარიელდა დარბაზი დიდი,
ძაღლები მაინც ძიძგნიან ბარკალს.
კანკელს გაჰყურებს მეფე დაღლილი,
ჯუჯა კი ზვერავს გამოხრულ დარბაზს.
კუშტად დასტოვა მეფემ სამსჯავრო,
სანთლები ქრება და მიდის ჯუჯაც.
ფეხმორთხმით ზის და არაფერს ჯავრობს,
სიცილით კვდება შვიდი წლის ბუდა.

## გზაჯვარედინზე

მე ისევ ვდგავარ გზაჯვარედინზე,
მტვრიანი გზები ერთმანეთს კვეთენ,
სისხლი მოწვეთავს ბზასა და ჯვრებზე
და წმიდა ძელზე ყვავები თვლემენ.

აქ ქვეყნიური ჰქრიან ეტლები,
ზოგი იქით ჰქრის და ზოგი აქეთ.
შენ არსად ჩანხარ. არიელები
ცაზე ჰკიდებენ ძველ ზოდიაქოს.

შენ ბედისწერის შეგეხო კვერთხი
და გადაგმალა იდუმალ სამყოფს.
აქ ისევ დაჰქრის ნერონის ეტლი,
აქ ისევ ვუმზერ იუდას ამბორს.

მზესავით გწამდა სიმშვენიერე,
უცოდველ ცოდვებს შენ ექმენ მსხვერპლად.
შენ დაუმკვიდრე სიმშვიდე ხელებს
და ჩუმად გალობ ზეციერ ველად.

შენ უარყავი ამაოება,
არათანხმობა მიწიერ სოფლის.
ახლა ზვარაკით დგახარ მოგვებთან,
შენდობას ითხოვ ჩემმიერ ცოდვის.

ხოლო მე ვდგავარ გზაჯვარედინზე,
ყველგან ნისლია ჩასაფრებული.
მოწვეთავს სისხლი ბზასა და ჯვრებზე
და ჩატეხილი ჩანს საფეხური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლურჯი საბანი

ის იყო მარტო, მიუსაფარი,
სათნო, ლანდების უტყვი მისანი.
ის იყო ბავშვი. ლურჯი საბანი
ესიზმრებოდა ცივ ნიაღვარში.

ის დადიოდა ფრთხილად და ნელა,
არ ალვიძებდა მიწიერ ტანჯვებს.
თავს მოწიწებით უხრიდა ყველას,
ღამით კი ჰვრეტდა ჩალვენთილ სანთელს.

მძიმე მოვარდა გრიგალი-ბანგი
და სიზმრად გაჰქრა საბანი ლურჯი.
სატანიური მაგიის ლამბით
დალამბეს მისი ხორციც და სულიც.

ლანდთა მისნობის დაჰკარგა ძალა,
ველარ ჰვრეტს ღამით ჩალვენთილ სანთელს.
ცხოვრობს ქუჩებში და ითვლის მდაბლად
პირველი ცოდვის უხსოვარ წამებს.

სულდალარული შავი ბილინგვით,
ებრძვის ღამეებს ღვთიურს ცახცახით.
და დადის ახლა საზარელ ნილბით,
კაცი სათნო და მიუსაფარი.

* * *

ვერ მოესწარი გაზაფხულს, შვილო,
სიონში მწუხრის დარეკა ზარმა.
ცრემლი ნამავდა სამსხვერპლო ღვინოს,
იმ მოულოდნელ ელდას და ზაფრას.

ვერც მე მოვესწარ გაზაფხულს, შვილო,
დრო შენში შეწყდა, შენში შეჩერდა.
სიზმრები ბზარავს გარდასულ მითოსს
და ველოდები ახალ შეხვედრას.

ხოლო შენ იქ ხარ, სად ანგელოსთა
და ქერობინთა შრიალებს ფრთები.
სად უმანკოთა და უცოდველთა
უფლისა გფარავს ღვთიური ხელი.

მე კი, მე აქ ვარ, სადაც ცოდვილთა
და შეცთომილთა ტრიალებს გზები.
მოხრილი ვდგავარ ზეცის ბოგირთან
და შორით გიჰვრეტ ტანჯვით და ცრემლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ბათუ დანელია**

## ერთხელ

ერთხელ, როცა გამოველ კარში
და მოუთმენლად გავეშურე
ასაყვავებელ ალუბლებისკენ,
და ფუტკრები ამემგზავრნენ,
როგორც გლახას სოფლის ბავშვები,
და ჩამოვჯექი მერე იქვე —
ტროტუარის მზიან კიდეზე...

ერთხელ, როცა ჩამოვჯექი
ტროტუარის მზიან კიდეზე
და ჩავლუნე უმწეო თავი
და გამვლელებს ძლიერ უკვირდათ, —
გამოშვერილი არ მქონდა ხელი
და არც ქუდი მედო ფეხებში,
და ასფალტზე ჩემი ცრემლები
აწკარუნდნენ მონეტებივით,
და ვილაცის ლამაზმა ცუგამ,
როგორც საეჭვოს, — შემომიყეფა...

ერთხელ, როცა ვილაცის ცუგამ,
როგორც საეჭვოს შემომიყეფა,
ტროტუარის მზიან კიდეზე
ჩემთვის ჩამომჯდარს და თავჩაღუნულს
და წამომაგდო ფიქრს მიცემული,
და გავაგრძელე გზა აჩქარებით,
ასაყვავებელ ალუბლებისკენ
და მთის გაღაღმა შავი მდინარის
საშიში ხიდი გადავიარე...
ერთხელ, როცა შავი მდინარის
საშიში ხიდი გადავიარე
და უცებ მოვხვდი სამოთხის ბაღში,
და გავეშურე მოუთმენლობით,
ასაყვავებელ ალუბლებისკენ
და ბაღის ბოლოს დავინახე ის
ალუბლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც კიდეც აყვავებულან
და გამოუსხამთ ნაყოფი კიდეც,
და კიდევაც გამოლეულან,
და გამოვბრუნდი გულდაწყვეტილი...

ერთხელ, როცა გულდაწყვეტილი
გამოვბრუნდი უკან — დედისკენ
და შინ ვერ მიველ ვერასდიდებით...

## უხილავი ფანჯრები

აფრიალდება ჩემი გული ზოგჯერ მკერდიდან,
როგორც მაგიდიდან ქაღალდი,
სარკმელში შემოჭრილ ქარისგან.
ეშველება ქაღალდს:
წამოჰკრეფ მას იატაკიდან და
ისევ მაგიდაზე დადებ.
ჩაკეტავ მერე ფანჯარასაც, რომ ქარმა
თავისი შავი ხელი კვლავ არ შემოყოს.
მაგრამ გულს რაღას უზამ?
გულს რითი უშველი?
გულს საიდან დაიბრუნებ? —
რომელი იატაკიდან წამოჰკრეფ?
რომელ მაგიდაზე დადებ?
რომელ ფანჯარას ჩაკეტავ?
არსებობს კი, საერთოდ, ის ფანჯარა? —
არსებობენ უხილავი ფანჯრები, არსებობენ!
დაკიდულან ისინი ჩვენს მკერდებზე,
ჩვენს თავებზე და გრძნობებზე.
აღებენ მათ უხილავნი, როცა ჰირდებათ.
შემოუშვებენ მათში თავიანთ ქარებს და ერთობიან...

აფრიალდება ჩემი გული ზოგჯერ მკერდიდან
და ქალაქის ფართო ქუჩებში,
ხმელი ფოთოლივით მიფრინავს.
ველოდები მერე მე ისევე იმ ქარს... —
ქარის წაღებულს ქარი მოიტანს! —
ასეთია ჩემი ანდაზა...

## ჩემი ნერვული სიტყვები

ისინი კარს ფეხით აღებენ.
ოჯახში საინებსა და ჭიქებს ამსხვრევენ.
სუფრაზე ბოთლებს აყირავებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიპოდებს სახეში ღვინოს ასხამენ.
თანამდებობითა და ასაკით უფროსებთან დაობენ.
უწმაწურად იგინებიან.
არადა, ამას ჩემზე ვერავინ ვერ იტყვის.

ჩემი ნერვული სიტყვები!

მათ გული გადმოხტომაზე აქვთ.
მათ „ვალერიანის წვეთები“ ვერ ამშვიდებს.
მათ „რელანიუმი“ ვერ აძინებს.
მათ ნევროპათოლოგი ვერ კურნავს.
მათ ყველაფერი უნდათ.
მათ არაფერი არ უნდათ.
არადა, ამას ჩემზე ვერავინ ვერ იტყვის.

ჩემი ნერვული სიტყვები!
ისინი მე სულაც არ მგვანან.
მათთან შედარებით მე მამა აბრამის ბატკანი ვარ.
და მაინც ისინი ჩემი ალი-კვალი არიან.
საქმე ისაა, რომ მე ყველაფერს ვითმენ.
ყველგან და ყოველთვის თავს ვიკავებ.
ერთი სიტყვით, მე ლაჩარი ვარ.
ისინი სწორედ ამაზე ნერვიულობენ.

ჩემი ნერვული სიტყვები!

კიდევ კარგი, რომ მათ არავინ უსმენს!

ნეგატივია ისინი ჩემი.

მე მათი პოზიტივი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ თოფურიძე

# ტროლეიბუსი

ყოველ დილით ტროლეიბუსში, რასაკვირველია, უამრავი ხალხია. აქედან გამომდინარე — ათასნაირი სუნი. დღეს ყველა არომატს ხაშისა და არყისა ფარავს. თანაც, სადღაც სულ ახლოა ჩემთან. აქვე, ორი კაცის შემდეგ, რაღაც ირონიულად და მრავალმნიშვნელოვნად ულიმიან ერთმანეთს კარგი შეყვარებულებივით (ავტობუსის მძღოლი — ვინც უკნიდან ამოვიდნენ, ერთმანეთს მისცენ ან გაუცვალონ. ჩამსვლელლებმა დამანახონ წინიდან, არადა არ გავაღებ). „ისევ მიდიხარ, ისევ მშორდები, ისევ ეშვება ღამე“ — ღრიალებს ერთ-ერთი მთვრალი. ტროლეიბუსი ადგილიდან იძვრის.

— სად მოასწრეს მაინც, — ღელავს ჩემს გვერდით მდგომი შუახნის კაცი.

— ვისაც პატრონი ყავს, საყვარელო, უკვე რესტორანშია, — პასუხობს მთვრალი.

— ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე პატრონი არა მყავს? — იბლოება არ უნდა შუახნის კაცს.

— როგორ გეკადრებათ, ფისო, რაღა დროს თქვენი პატრონია, თქვენ თვითონ პატრონო!

— „მე ვარ შენი თოფის ლულა, შენ ხარ ჩემი პატრონაო“, — ამღერდა მეორე. — „უბედურო კალისტრატე, რაფრა გიძლებს მატრონაო“.

— სახელი საიდან გაიგეს ჩემი? — ჩურჩულით მეკითხება შუახნის კაცი.

ვულიმი, ხუმრობა მგონია, მაგრამ იმის თვალებს რომ ვაკვირდები, ვხვდები, რომ ამ კაცმა საერთოდ არ იცის, რა არის ხუმრობა.

— ალბათ თქვენ უთხარით, — ვამშვიდებ მე.

— არა, ყველას გეფიცებით. ჯობს, მე ახლა ჩავალ... — და აღელვებული ჩადის ავტობუსიდან.

თვითონაც არ ვიცი, ფანჯარასთან, როგორ აღმოვჩნდი. ძალიან მიყვარს ფანჯარასთან დგომა. მსუბუქი მანქანები გვერდს გვივლიან. ყველა მანქანაში ვიხედები ისე, როგორც სამსახურიდან სახლში დაბრუნებისას ვიხედები ხოლმე პირველი სართულის განათებულ ფანჯრებში. მანქანებში ხშირად ვხედავ ახალგაზრდა ქალების ლამაზ მუხლებს.

ტროლეიბუსი ჩერდება, თუმცა გაჩერება არ არის. არც ბიგელი ავარდნია ალბათ წინ „პრობკაა“. მიუხედავად მგზავრების დაჟინებული მოთხოვნისა, მძღოლი მაინც არ აღებს კარებს.

— უბილეთოდ ჩახვიდეთ, არა!? — ხვდება მგზავრების განზრახვას.

საშინელი დაგუბული ჰაერია ტროლეიბუსში.

— რა არის, აღარ დაადგება ამ ტროლეიბუსის წასვლას საშველი! — უკმაყოფილებას გამოხატავენ მგზავრები.

**— Черт знает что, еще курят здесь!**

— რა უბედურებაა, რას ველოდებით?

— ვსტრეჩნი ტროლეიბუსს, გენაცვალე, — ამშვიდებს ერთ-ერთი მთვრალი მგზავრებს.

— შენ რა გჭირს, გამოიძინებ კიდეც.

— რომელი საათია?

— ათის თხუთმეტი.

— მორჩა, აწი თუ გინდა საათს იდგეს, მოხსნილი ვარ მაინც სამსახურიდან.

სწორედ ამ დროს ძრავს მძღოლი ტროლეიბუსს ადგილიდან, თითქოს იმ საცოდავის სამსახურიდან განთავისუფლებას ელოდებოდა.

— ფეხი, რა? — ვეხვეწები ერთს, ერთობ მოხერხებულად რომ გრძნობს თავს ჩემს ფეხზე შემდგარი.

—როგორ?

— ფეხი.

— რა ფეხი?

— ჩემი ფეხი.

— სად მე და სად თქვენი ფეხი.

— ჩემია, ნამდვილად, საკუთარი, თანაც მარცხენა. — ვუყურებ თვალებში, იმას ეღიმება. ასე მგონია, ძალად მიკეთებს.

— იცი, რას ვიზამ? ცოტას ავხტებისავით და ამ დროს გამოსწიე, — ეჰვს მიფანტავს მეზობელი.

— მიდი.

— მაიცა.

— მიდი.

ხტება. ვიღაც ილანძღება. სამაგიეროდ მე ვასწრებ ფეხის გამოწევას.

მალე ისიც (ჯიბის ქურდი) ამოდის. „კლეჩატი“ პალტო აცვია, მხრებში ოდნავ აწეული, გრძელი, წელში გამოყვანილი, დიდჯიბეებიანი. ბრიოლინწასმული თმა გვერდზე მკაცრად აქვს გაყოფილ-გადავარცხნილი. გულის ამრევია. ამოდის და ამოჰყავს თავისი მსხვერპლი. წინ უშვებს, ეფერება.

— ავიდეთ, ავიდეთ, ნუ ჩქარობთ, ყველა მოვასწრებთ. ამობრძანდით, ქალბატონო. — ასე ერთსა და იმავეს იმეორებს ყოველი სამუშაო დღის დაწყებისას. ჯერ სხვებს ამოუშვებს, მერე თვითონ ამოჰყვება — საქმეს შეუდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფრთხილად, ქალბატონო! — ვუყვირი ჩემს წინ მდგომ ახლად ამოსულ ქალს, რომლის შავი ტყავის ჩანთის რკინის გასახსნელზე ქურდის მარჯვენა ხელი გველივით აცოცებულა.

— ფრთხილად, ფეხს მადგამთ? — უფრო ვუწევ ხმას ქურდზე გამწარებული. ქალს ჩემკენ ვეზიდები და ფანჯარასთან ვაყენებ. მთელი ტანით ვეფარები. ქალი ახალგაზრდაა და არშიყობად მითვლის საქციელს, რაშიც ჩემს მიმართ არცთუ ისე მკაცრად ნათქვამი „ნახალ“ მარწმუნებს. ქურდისკენ ვიხედები. თვალებში მიყურებს, მეც ვუყურებ.

„დედას გიტირებ“ — მეუბნება თვალებით.

„ვერაფერს ვერ მიზამ“ — ვპასუხობ მე და ქალივით მეშინია. ის ხვდება, რომ მეშინია და ამაზე მეტის გამკეთებელი არა ვარ. ისე მიყურებს, აშკარად მესმის მისი სიტყვები: „მე ჯიბეში მაინც შემიძლია ჩაძრომა, შენ კი საცოდავად ამოიფარებ ქალს, საწყალო, იმის თავიც არა გაქვს, რომ რამე მითხრა, უსუსურო“. — ეს მე მკლავს და საკუთარი ღირსების დასაცავად ვპასუხობ: „როდისმე, როდისმე მაინც“.

ეღიმება — „ვერასოდეს, ვერასოდეს“ — თვალს არ მაშორებს, ისე ჩადის პირველსავე გაჩერებაზე. ტროლეიბუსში მათხოვარი ამოდის. ამასაც კარგად ვიცნობ. ესეც ჩემი ავტობუსის ხშირი სტუმარია; წვერმოშვებული, ჭუჭყიანი თვალები აქვს — ლურჯი, ძალიან ლურჯი და ისეთი დაღლილი, დაქანცული; თუმცა, აბა, როგორი ექნება. ლოთი და მათხოვარია, მაგრამ ცოტა განსხვავდება სხვა მათხოვრებისაგან, სულ ისე უმუშევრადაც არ უნდა მოწყალება, თან საქართველოს ისტორიას მოგიყვებითო, — გვთავაზობს მგზავრებს. ჯერ იმას მიადგა, სამსახურიდან რომ დაითხოვეს დაგვიანებისათვის და ბედს ასე თუ ისე შეჰგუებოდა უკვე. მათხოვარი ხელს უწვდის, ის არ იმჩნევს.

— ოცი კაპიკი მომე, რა?

— დასარიგებელი ოცი კაპიკი რომ მქონდეს, მოხსნილი კი არ ვიქნებოდი.

— მომე, რა?

— თავი დამანებე!

— საქართველოს ისტორიას მოგიყვები.

— დიდი მადლობა პატივისცემისათვის. შენზე კარგად ვიცი. მაგანაა რომ დამღუპა.

— რატომ?

— ჩამებარებინა, ბატონო, ეკონომიურზე ან ტექნოლოგიურზე, — უხარია დარდის გამზიარებელი რომ ნახა, — არა, რაიკომის მდივნობა მოვინდომე მაინცდამაინც და ისტორიულზე ჩავაბარე. ჰოდა, მასწავლებელი ვარ ახლა სკოლაში. თუმცა სადღა ვარ, ჩემი დირექტორის გადამკიდე, ვაი, ჩვენს დღეს... — დანარჩენს ფიქრობს.

— ძალიან სამწუხაროა. — ვითომ რაიმე გაიგო მათხოვარმა და გაშვერილი ხელით სხვისკენ გადაინაცვლა.

— ერთი ოცი კაპიკი.

— თავი დამანებეთ, — პასუხობს ის სხვა, ცილინდრიანი, პორტფელიანი.

— ოცი კაპიკი რა ყოფილა, საქართველოს ისტორიას მოგიყვები.

— ახლავე მომცილდით თავიდან! — ეტყობა ძალიან ზრდილობიანია და საერთოდ კარგ ოჯახშია გაზრდილი.

— ოცი კაპიკი არა გაქვს, დავიჯერო? — არ ეშვება ლოთი.

— თავს თუ არ დამანებებთ, იძულებული ვიქნები, მილიციას გამოვუძახო. გირჩევნიათ, წახვიდეთ და იმუშაოთ.

მილიციის გაგონებაზე მათხოვარი სხვასთან გადადის. მე მინდა გავარტყა ცილინდრიანს, მაგრამ, რასაკვირველია, სურვილი სურვილად რჩება.

— ოცი კაპიკი მომეცით, ქალბატონო, — ქალბატონი ჩანთას ხსნის, ხურდას იღებს და აძლევს.

— დიდად გმადლობთ, ქალბატონო, საქართველოს ისტორიას მოგიყვებით.

— გმადლობთ, გეთაყვა, არ მინდა.

მათხოვარი შემდეგს უახლოვდება.

— ოცი კაპიკი არა გაქვთ?

— რად გინდა? — ეკითხება ახალგაზრდა ბიჭი.

— ვაა, კოლექციისთვის.

— ვა, რა „ოსტრი" ხარ.

— აბა რა გეგონა.

— წადი, გაიარე.

— საქართველოს ისტორიას მოგიყვები.

— რამდენ ხანში?

— რა უნდა, ცოტაა.

— არ მინდა.

— ესე იგი, არა გაქვს?

— არა.

— არც გექნება, — წყევლის ლოთი და შემდეგზე გადადის.

— საქართველოს ისტორიას მოგიყვები.

— აიღე აგი ოცი კაპიკი და მომშორდი. — პასუხობს შუახნის კაცი. — ვის რად უნდა შენი საქართველოს ისტორია.

— დიდი მადლობა, ბატონო. — შემდეგთან მიდის.

— საქართველოს ისტორიას მოგიყვებით.

— რა ღირს, ბიჭო, ეგ შენი საქართველოს ისტორია? — ეკითხება ვიღაცა, აშკარად რაიონიდან ჩამოსული.

— ოცი კაპიკი.

— ნამეტანი იაფი ხომ არაა, ბიჭო?

— მანეთი მომეცი, თუ გინდა.

— უყურე შენ! საქართველოს ისტორიას ყიდის აგი ლოთი. მე ვაძლევ. ესე იგი მანეთი ერთი...

— მანეთნახევარი! — ყვირის სამსახურიდან განთავისუფლებული და ისტერიულად იცინის.

— მანეთნახევარი ერთი... — ყვირის ჩამოსული.

— ორი მანეთი, — ყვირის ახალგაზრდა.

— ორი მანეთი ერთი, — აცხადებს ჩამოსული.

— ხუთი მანეთი! — ყვირის ვიღაცა.

— ხუთი მანეთი თუ გქონდა, ტაქსში ვერ ჩაჯექი? — ეხმაურებიან წინიდან. ყველა იცინის. მერე ჩუმდება უცებ ყველა. საშინელი სიჩუმეა ტროლეიბუსში.

— უკნიდან ამოსულებმა წამოვიწიოთ, ეგრე ნუ გავჩერდებით. გამოიარე, ამხანაგო, შენ გეუბნებიან! — ეამხანაგება მძღოლი ვიღაც ახალგაზრდა კაცს, რომელსაც „დუბლიონკა“ აცვია და ხელზე „სეიკო“ საათი უკეთია, და რომელიც ხუთმანეთიანს უდებს ლოთს ხელში. ეტყობა, მანქანა ვერ იშოვა, თორემ მართლა რა უნდა აქ.

— კიდევ გამოვიაროთ, — არ ეშვება მძღოლი, თითქოს იმის მეტი არავინ არის. ის წინ მიიწევს.

— კიდევ ცოტაც.

— კაცო, ფეხით სიარული რომ მდომოდა, ტროლეიბუსში კი არ ჩავჯდებოდი! — იძახის „დუბლიონკიანი“, ტროლეიბუსი ისევ მხიარულდება.

ისე მაწვება ვიღაც, რომ გავიტანე ის ქალი „ნახალო“ რომ შემამკო.

— თუ შეიძლება ფრთხილად, — მეუბნება. ეტყობა, არც ისე თავხედად მთვლის.

— ბოდიში. რა ვქნა, მაწვებიან.

— ჰოდა თქვენც მიაწექით. საერთოდ თუ არ მიაწექით, არაფერი გამოვა. გაიგეთ, — მეუბნება და მიღიმის.

„აუ, რა გოიმია, ამას ვის გადავეკიდე. ეს ალბათ იმ კატეგორიის ქალებს ეკუთვნის, რომ გაექაჩები და არაფრით არ იკისრებენ, გინდა თუ არა, ჯერ ვიაროთო. ან მე შენ ლამაზ ზღაპარს მოგიყვები, ბიჭოო, შუა საქმეში რომ გეტყვიან. თანაც ასო „ლ“-ს ძალიან რბილად რომ წარმოსთქვამენ“.

— ჩემი დედაენა! — მესმის ვიღაც ქალის აღშფოთებული ხმა. — სად არის ჩემი დედაენა?

— რა დედაენა, ქალბატონო? — ეკითხება ხანდაზმული ქალი.

— აქ მქონდა, ამ ჩანთაში, ძლივს ვიშოვე.

— ძირს მოძებნეთ, სადმე ეგდება. — მთელი ტროლეიბუსი დედაენას ეძებს.

— მე შენ გეტყვი, იშოვი ამ ახალ გამოცემას! — წუხს ქალი.

„ის ჯიბგირი ნაღდად არ წაიღებდა“.

— იპოვეთ?

— ვერა, ვერ ვიპოვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადმე ქუჩაში დაგივარდებოდათ, ქალბატონო, — ამშვიდებს ვიღაცა.

— თუმნის ხურდა არავის არა გაქვთ? — კითხულობს „დუბლიონკიანი“.

— არა, ბატონო.

ტროლეიბუსი ჩერდება. ჩემი გაჩერებაა.

— გამატარეთ, თუ შეიძლება, — ვიხვეწები.

— გადი, თუ ბიჭი ხარ!

—თუმნის ხურდა არა გაქვთ? მძღოლს არა აქვს? — არ იშლის დუბლიონკიანი.

— გითხრეს შენ, თუმანი და ხუთ მანეთიანი თუ გაქვს, ტროლეიბუსში ნუ ჯდებიო, — დაარიგა ჭკუა მოხუცმა კაცმა.

— რა ვქნა, ბატონო, ვერ ვიშოვე ეს მანქანა! ბოლოსდაბოლოს ჩემი საქმე არ არის, თუ მინდა ცხენით ვიმგზავრებ სულაც.

— ცხენს რა უჭირს, — ეღიმება ვიღაცას.

— გამატარეთ, ცოტა მარჯვნივ ჩაიწიეთ, — ტულუპი მეხსნება.

— ჰე, მიდი, მიდი. — ბრბოს ვარღვევ.

— თუმნის ხურდა არავის გაქვთ?

— არაა, ბატონო, დაგვანებეთ თავი.

— რა ვქნა ახლა მე?

— მე დაგპატიჟებთ, მაინც ათკაპიკიანი უნდა მივცე, — ვეუბნები.

— აგაშენა ღმერთმა.

— გამატარეთ, — მე უკვე ცალი ფეხით ასფალტზე ვდგევარ, ახლა მთავარია მეორეც დავითრიო როგორმე. ოპა! ახლა წინა კარებთან მივრბივარ და ვიღაცის ხელით მძღოლს ფულს ვუგზავნი. მორჩა. თავისუფალი ვარ. გაუმარჯოს თავისუფლებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე გაბური

### სადამდე...

ღამე... მიმწუხრი... დილა... შუადღე,
სად, რომელ დროის ტკივილთან
დაგთმო?
და ვანაწილებ გზა-გზა ქრუანტელს:
ეს ყვავილს, ეს ცრემლს, ეს კიდევ
მნათობს,

თავის წილს ითხოვს ჩავლილი ექო,
მებაირახტრე, მეურმე, მეხრე...
ეს რწმენას—ღამე თეთრად რომ ვტეხო,
ეს კი გაძლებას — ხვალეს რომ
შევხვდე,

სამყარო ღია ჭრილობად ფეთქავს
და ზეცის ყვავილს გიმაგრებს გულთან...
ეს მიწის ძახილს გაპოხს წვეთ-წვეთად,
ეს — ერთგულების გატანას უნდა,

სიკეთე ჩავლით სიპ ქვაზე დავდე,
წლებს დავუტოვე გადასახედი...
ეს გარიჟრაჟით დაბზარულ ბაგეს,
ეს თვალებს — ხსოვნის გზაზე
ჩახერგილს...

ეს ჩურჩულს — წყაროს პირას რომ
დავთმე
და დავაპკურე შხეფები წყურვილს.
ეს — მონატრებას დაუნთებს სანთელს,
რომ ჩააქციოს თვალების შური,

მზე არ ამოდის ცაზე თავისით,
ჯერ მოლოდინი შეფაკლავს მაღრიბს—
სიხარულს ელის მთათა ხალისი,
ლტოლვას მოცვარავს ლაჟვარდის
თალი...

თავის ბედს ითხოვს მსჯავრი და ჯილდო,
ალტაცება თუ დუმილი მძიმე,
თავდავიწყებამ სილაღე, ზიდოს,
ხვალის დღე ეჯდეს ფეხებთან იმედს.

რამდენს გაწვდება მწირი მტკაველი,
ყველა თავის წილ სიმართლეს ითხოვს:
ოცნებას ვრცელი უნდა მთა-ველი,
სიყვარულს — გულით დაძრული
სითბო.

სადამდე მეყო შენი მზის სხივი —
სულის საგზალი: „გეწეროს ჯვარი!“
სდის სინანული დღეებს სისხლივით
და ბლანტი შხამით მევსება ჯამი.

რა დავუფარო თავზე დაფერფლილ
გადახრილ ჟამთა ღვარძლსა და
ღალატს,
გადამაჭექებს ზეცის ნაფლეთი,
ქარისას ქარი წამგლეჯს და წავა.

და აწყვეტილი კარიდან — კარად
დაიქანცება გრძელი მინდორი.
შემომწკავწკავებს გარედან „კმარა“,
გადაყვითლდება სივრცე —
„მშვიდობით!“

მანამ კი უნდა გავწვდე ქრუანტელს,
ღიმილს და ცრემლებს, ნაწვიმს და
ნათოვს...
ღამე... მომწუხრი... დილა... შუადღე,
სად, რომელ დროის ტკივილთან
დაგთმო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედის ცრემლი..

კაცის ტყუილით, ჯილაგის გეშით,
ჩამოლვენთილი მზით და ჩეროთი
ეგ ძახილია, რომლითაც შენში
მთელი სამყაროს გზები შემოდის.

ქამით გადახრილ ქარების მერდინს
წინ გვიფრიალებს არსთა გამრიგე...

ეგ ის გზა არის, რა გზითაც ბედი
უკან გვაბრუნებს და დაგვაფიქრებს...

გამოგიზრდია შიში ბავშვივით
და საგზლად მატან ცრემლსა და
ლოცვას...
ეგ სარკმელია, სად ყველა შვილის
გული დანთებულ ცეცხლივით მოჩანს...

## ღამეს გითევ

შენი სისხლის სიმამაცე,
შენი ზეცის მადლი ღვთისა,
იქ დავიცდი, სადაც დავცემ
ბედს და კბილოწითელ ისარს.

დღე სადარო ცერზე გიზის,
ჯიში მოგდევს გეშით მგლისა.
უკვდავება ალალ მისი,
ვინც ნაღდ ქართველობას იზამს.

ღამეს ვუთევ კაცით, ლექსით
შენს წყალობასა და რისხვას.
ვისაც მშობლის თქმა არ ესმის —
მისი ბალი ვერ დაისხამს.

ცა ნამუსის ქუდად გხურავს,
შენი მადლი გულში მჭირსა,
ჩემი ხელი მხარზე ძმურად,
ჩემი მხარი „შიგან ჭირსა“.

მზეს ვაგუბებ თხემით, ტერფით
მიმწუხრსა თუ დილა სისხამს.
შენი დღისთვის ვფლანგე ღმერთი
წვეთ-წვეთად და მისხალ-მისხალ.

ჩრდილის ერთგულებით ზიდე
რწმენა — საქართველოს ხნისა.
რიყრაყს ფრთებზე ჩამოგკიდებ
წკავწკავს ალგეთს ლექვებისას.

* * *

ნიავი ძოვდა ზაფხულის მინდორს,
მზეზე ელავდა ძოწი და ქარვა.
ქარს წაყოლილი დღეების ჯილდო
კვლავ დამიბრუნა ივლისის ქარმა.

ერთი ლოდინის ზეცაც დასრულდა,
ვიდრე სიხარულს დავიტირებდი...
ბავშვობის ბილიკს ვადექ, წარსულთან
დაბრუნების და შეყრის იმედით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვაჟა ოთარაშვილი

* * *

ღამეა. წვიმს და მუსიკას ვუსმენ,
შენ ალბათ გძინავს და სიზმრებს ხედავ...
გული დარდებმა მკერდს მიალურსმეს,
წვიმაში უფრო მატულობს სევდა...
დაუწერელი სიტყვა მაწამებს,
რომლითაც ისე დავხატო უნდა,
წვიმებისფერი ცრემლი წამწამზე,
ღიმილი — ჩემთვის დაყრილი ხურდა,
რომ დარჩეს იქნებ მაისის ღამეს
და მერე, როცა წლები გაივლის,
ოდნავ სევდიანს და მოკამკამეს,
მოგართვა ლექსი, როგორც ყვავილი...

* * *

დროს მიაქვს ძველი დარდი და რწმენა,
მიწა იბარებს მიწიერ შვილებს...
მაგრამ აკვნები ისევ ირწევა
და ანგელოზებს ულიმის ჩვილი...
თუმცა ტკივილად რჩება მამების
დანატოვარი ფიქრი და სითბო...
და ნეტარების ტკბილი წამები,
ზოგჯერ გარდასულს გვავიწყებს
თითქოს...
მე კი რატომღაც ასე მეგონა,
რომ ადრე უფრო ცოცხლობდნენ
დიდხანს,
სხვა ფასი ჰქონდა მაშინ მეგობარს,
სხვა გაურკვეულება მტრედისფერ
სისხამს...
წუხელ ვისმენდი მწუხრის გალობას,
(ექოზე თრთოდა სანთლების ჩრდილი...)
უკვდავებაზე ისევ დავობდნენ
და ულიმოდა ანგელოზს ჩვილი...

* * *

სექტემბერია... ქალაქს ვბრუნდები,
სული სავსეა ახალ მიზნებით...
როგორც დაღლილი წეროს გუნდები,
მდინარის პირას სხედან ნისლები...
მატარებლიდან მოჩანს ქსილისი,
ლურჯი კალთები თრიალეთისა...
მომენატრება უცებ თბილისი
და მივდევ ისარს ვახტანგ მეფისას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

განტრობ, მარტო ვარ და შენზე
ვფიქრობ,
ნაწვიმარ ქუჩებს ანათებს მთვარე...
გაზაფხულია... ღამემ დაიკლო,
წუხელ სიზმარიც ვერ დავამთავრე...
ვერ დავამთავრე და სადარდელით
იმ მთვარესავით გული ივსება...
ქრება იმედიც, ვით კართაგენი,
ვით ულამაზეს დღეთა ღირსება...
მერყეობაა ცხოვრება ჩემი,
ვერ გავასრულე ვერც ერთი საქმე,
ამ განშორებებს ვერაფრით ვშველი
და წვიმასავით ვერ ვამბობ სათქმელს...
ყველაფერს ხვდები და ქალურ გუმანს,
არ შეიძლება შეცდეს რაიმე...
ცხოვრების ჭადრაკს ვთამაშობთ ჩუმად,
აღარ ვჯერდებით თანაც ყაიმებს...
მარტმაც ქალივით იცის ღალატი,
(ქარებს გაატანს დარსა და სითბოს...)
ქუჩაში ნისლი მიდის ტაატით,
თენდება... განტრობ, თებერვლის
ფიფქო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსო მაჭარაშვილი

## მზერის ისარი

თუ გადარჩენის არ ჩანს ნიშანი
და დარჩებიან
მხოლოდ ქვიშანი,
წყალნი წავლენ თუ წყალნი წამოვლენ,
ჩვენს არენაზე
სხვანი გამოვლენ.
თუ უქარვასლო ქართულ ქალაქებს
ქარი ქვითინით
დააქარაგმებს,
აყმუვლდებიან ლეკვნი მგლისანი,
ევრის, არაგვის,
ალგეთისანი,
მგლური, მრისხანე და მოსისხარი
მზეს შეემსხვრევა
მზერის ისარი!
მაგრამ ვაი თუ მათი სიმცირით
არ მოიშალოს
მტერმა სიცილი!

## უკვდავება გვიჩენს იარებს

წარსულს ვიხსენებთ —
თუ სიცოცხლეს ვმატებთ
ჩირაღდნებს, —
წამი გვინათებს,
თუ გვიმატებს
ფერებს კვიმატებს, —
როცა ცხოვრების გზაწვრილებით
ველტვით სიმაღლეს,
ვკარგავთ სილაღეს,
სიამაყეს
და სიდიადეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სულს კი დაღლილი სასოება
ისე გვიალებს,
მოკვდავ სხეულზე უკვდავება
გვიჩენს იარებს...)
მაგრამ სიკეთე თუ მოიმკის
დღეთა მზიანეთს,
ნათელ ოცნებებს,
ალმაფრენებს
და იდეალებს,
(სანამ სამყაროს სიძულვილი
გაატიალებს)
ქვეყნად გახდება სიყვარული
მემატიანე!

## ენავ იბერის

მარად ძირძველო სალოცავო
ამერ იმერის,
ენავ იბერის!
არაფერი გმართებს სიბერის!
გწყავდა სრულიად საქართველოს
რწმენის უფალი,...
და არ გჭირდება ცრემლიანი
ჭირისუფალი!
ათასწლეულთა წიაღიდან შენთვის
მქუხარი;
სული კერკეტის,
მოსინიკის,
მარის
თუბალის...
შენში ზეიმობს!
და ნუგეშად რამე უთხარი:
წროფელი, ძლიერი,
ახალი და თავისუფალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პერ ლაგერკვისტი

# სიბილა

მოთხრობა

სახლის კართან, ჯერ კიდევ ცხელი ხელით წირთხლს ჩავეჭიდე და ბედნიერებით აღვსილი გავინაბე.

მინდვრიდან მამის დაბრუნებას ველოდი, საჭმელს ვამზადებდი და მდინარეზე ვფიქრობდი. ალბათ, ცუდად მოვიქეცით, რომ დავივიწყეთ და არც კი შევხედეთ; იქნებ განრისხდა, რომ მის წინ არ ვილოცეთ და მის წყალში არ განვიწმინდეთ, სანამ სიყვარული მოგვიცავდა, რომ მხოლოდ ჩვენს თავზე ვფიქრობდით. იქნებ ეს შეცდომა იყო და სასჯელიც მოგველოდა.. ყველა მდინარეში ხომ ღვთაება იმალება და მისი ყურისწამღები ქუხილიც განრისხებული ღვთაების უცილობელი ნიშანი იყო. თითქოს კვლავ მესმოდა ეს მუქარით სავსე ქუხილი და ახლა, მარტომყოფს შიშით მავსებდა.

მდინარე ხომ გულღვარძლიანია, ეს ყველამ იცის, ღმერთიც ღვარძლიანია.

უფალი? უფალი რაღას იზამს? მაპატიებს ამ ცოდვას?

მე ხომ უფალს ვეკუთვნი, მე ხომ მისი ბატარძალი ვარ.

ჰო, ცხადია, ასეა. მაგრამ მე ხომ ადამიანიცა ვარ. ადამიანი, ქალი, ისეთივე ქალი, როგორიც სხვები არიან. მე ხომ სწორედ ეს ვიგრძენი, ეს შევიცანი, სულ ახლახან, როცა ენით უთქმელი სიხარული განვიცადე. ისეთი სიხარული და ბედნიერება ადრე რომ ვერც წარმოვიდგენდი, რის უფლებაც ჩამორთმეული მქონდა. ჩამორთმეული? ვინ ჩამომართვა?

ღმერთმა ამირჩია, ღვთის რჩეული ვარ. მაგრამ მიწიერმა ცხოვრებამ, ჩვეულებრივმა ადამიანურმა ცხოვრებამაც ამირჩია. სიყვარულმა ამირჩია, ადამიანმა შემიყვარა, ჩემი დაუფლება მოისურვა და მეც ნეტარებით დავნებდი. მე მისი პატარძალი ვარ, უფლის და მისი პატარძალი.

არა, ამაზე, სჯობდა, არ მეფიქრა. სჯობდა, მხოლოდ ჩემს ბედნიერებაზე მეფიქრა, მხოლოდ ბედნიერებაზე და მეტი არაფერზე.

მაგრამ უფალი, თავად უფალი მღელვარე ფიქრებით მავსებდა და თუმცა თავიდან მოშორებას ვლამობდი, მათგან თავი ვერც შემდგომში დავაღწიე, არ მშორდებოდნენ. მაშინ არ ვიცოდი, ვერც კი ვხვდებოდი როგორ უნდა შევეშფოთებინე ჩემი და ჩემი შეყვარებულის ბედს, ვერც კი წარმოვიდგენდი, რა გველოდა, რა გვემუქრებოდა.

თავადაც არ ვიცოდით, რა ჩავიდინეთ, როცა ამ უფსკრულში, აბობოქრებული მდინარისაკენ გავქანდით.

ვცდილობდი, შინაური საქმეებით გართულიყავი და სხვა არაფერზე მეფიქრა. მაგრამ გონებას ამით ვერ დავაკავებდი, ჩემი ხელები საქმეს დაუფიქრებლადაც მშვენივრად აკეთებდნენ. ჩემი ხელები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ეალერსებოდნენ...

რა მშვენიერია, როცა შეყვარებულის თავს, ასეთ განძს ხელებს შემოხვევ, მის ტუჩებს კოცნით გაათბობ, დაწვავ და დაინახავ მისი მზერა შენსაში როგორ ჩაიძირება...

ნეტავ მე როგორი მზერა მქონდა მაშინ... ალბათ, წყალწაღებულის...

ვინმეს რომ გაეგო, რა მოხდებოდა? რა საზარელი ხვედრი გველოდა? თუმცა ეს ხომ საიდუმლოდ მოხდა. არავინ და არაფერი იცოდა. არა, მდინარემ იცოდა. მდინარემ და ღმერთმა. უფალმა იცოდა!

და ასე ხომ კიდევ გაგრძელდებოდა. კიდევ და კიდევ გაგრძელდებოდა. ჩემი სხეული ამას ითხოვდა და არაფერს შეეძლო მისი ძახილის ჩახშობა. მზად ვიყავი ხმამაღლა მეყვირა, დაე, ყველა მთას გაეგო... მოხდეს, რაც მოსახდენია! არ მეშინია! სიყვარულს არაფრის ეშინია! მხოლოდ ის მაფრთხობს, რომ ჩემი შეყვარებული... ჩემს შეყვარებულს შეუძლია...

ნეტავ თუ იცოდა რამე? თუ იცოდა, რომ პი-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. მნათობი № 11.

თია, უფლის ქადაგი და პატარძალი ვიყავი? ან თუ გაიგებდა, ნუთუ სხვებივით... ნუთუ მაშინ...

არა, სჯობდა არაფერზე მეფიქრა, მხოლოდ ჩემს ბედნიერებაზე მეფიქრა, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, იმჟამად, იმ დღეს. გამეხსენებინა ქეთილი ხეების საბურველქვეშ, სურნელოვანი წიწვის სარეცელზე მასთან როგორ ვიწექი, ამ საბურველქვეშ, მის ხელზე, მის მძლავრ ხელზე რა კარგად ვისვენებდი, როგორ მივეალერსე... ჰო, მასთან ვპოვე სიმშვიდე, როგორც იქნა ვპოვე... ოღონდ უფალს შეერჩინა ეს სიმშვიდე, შენარჩუნების უფლება მოეცა... უფალს, ვინც სიმშვიდე ვერ მომანიჭა, ვისაც არ შეიძლებოდა ეს მქონოდა, ცხადია, გასაგებია, მშვენივრად მქსმოდა... მაგრამ ადამიანი სუსტი არსებაა, მხოლოდ ადამიანია. მას ხომ უნდა ქონდეს სიმშვიდის შეცნობის უფლება, ორ შეყვარებულს ხომ უნდა ჰქონდეს ერთმანეთის მკლავებში სიმშვიდის მოპოვების უფლება... ხომ შეიძლებოდა შეყვარებულის მკლავებში ერთხელ მეც მშვიდად დამესვენა, მე ხომ ასე დიდხანს მენატრებოდა სიმშვიდე...

მახსოვს, როგორ ვემუდარებოდი უფალს, მომეცი ბედნიერების განცდის უფლება, მომეცი მშვიდობა სიყვარულში, ამ მიწიერ სიყვარულში ახლა რომ მავსებს-მეთქი.

არც კი მესმოდა, რომ მიამიტი სული იმას ვემუდარებოდი, რასაც ვერასოდეს მომანიჭებდა ამის თხოვნა უაზრობაც იყო, მე ხომ ვთხოვდი, თავად მიმატოვე-მეთქი.

ჩვენი ბედნიერებისათვის უკეთესი იყო, მაშინ რომ არ მესმოდა, რა უაზრობას ვემუდარებოდი და ისიც, რა რთულს, რა შეუძლებელს მოვითხოვდი, როცა მეგონა, უფალი მას შეისმენს-მეთქი. ჩვენ სიყვარულით ვცოცხლობდით, განუყოფლად მივნებდით, არაფერი გვაეჭვებდა და მაინცდამაინც არც არაფერზე ვღელავდით. დროდადრო მხოლოდ ჩემში იჩენდა შფოთვა თავს, ჩემს შეყვარებულს არაფერი აკრთობდა, ეს განცდა მისთვის სრულიად უცხო იყო. იგი მთლიანად სინამდვილეს, მიწიერ ყოფას, ჭეშმარიტ ცხოვრებას ეკუთვნოდა და მის მიღმა არაფერი აშინებდა. მან არ იცოდა, რისი უნდა გვშინებოდა, არ შეიძლებოდა ეს სცოდნოდა.

ჰო, მადლი იყო, რომ არაფერი, სრულიად არაფერი ვიცოდით.

ერთმანეთი გვიყვარდა და როცა კი შეგვეძლო, როგორც კი საშუალება მოგვეცემოდა სიახლოვეს ვეძებდით; საიდუმლოდ ვეძებდით, სხვაგვარად არც შეგვეძლო შეხვედრა, მაგრამ ეს ჩვენს ურთიერთობას მხოლოდ ამძაფრებდა. სადაც მოგვხვდებოდა, იქ გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც ცხოველები, როგორც თავად ბუნება, მუდამ გალაღებულ ჰაერზე ვეძლეოდით თავდავიწყებას. იძულებულიც გახლდით და თავადაც ასე გვსურდა. ჩვენცა და ჩვენს მიუსაფარ და ბედნიერ სიყვარულსაც ასე უფრო უხდებოდა. არა ჭერქვეშ, როგორც ეს ადამიანებს შორისაა მიღებული, არამედ ქარში, წვიმასა და მზეში გვიყვარდა. თუკი სურვილი მოგვიცავდა, სადღაც ქერის ყანაში შეგვეძლო, ერთმანეთს დავნებებოდით. ვიწექით იქ, თვალს მოფარებულნი, ჩვენს სიყვარულთან განმარტოვებულნი. მხოლოდ არწივები ცაში ირაოს ჰკრავდნენ და გვხედავდნენ. მახსოვს, ერთხელ, შუა ზაფხულში თავთავი მწიფდა და ჩვენს ზემოთ მტვერი რიალებდა, როცა ერთმანეთს შევედულეთ მზის ელვარებაში. სამუდამოდ დამამახსოვრდა ქერის სუნი და ზაფხულის ხვატისაგან აცახცახებული ჰაერი.

მაგრამ მდინარესთან ჩასვლა არაფრით აღარ მინდოდა. თუმცა ხანდახან ის მიხმობდა, ყველაზე საიმედოდ დაფარული იქ ვიქნებითო, ამბობდა, რად არ გინდა იქ წამოსვლაო, მეკითხებოდა, მაგრამ არა და არ ვეუბნებოდი.

ისიც მყოფნიდა, რომ მდინარის ქუხილი, შორეული მუქარით სავსე ქუხილი ჩემს სიყვარულს განუყოფლად შეერწყა. როცა სიყვარულს ვნებდებოდი, ის ხმები მუდამ მესმოდა. დღისით, მზის გულზე, პურის ყანაში განცდილ ბედნიერების წამსაც კი ირგვლივ მდინარის ყრუ ქუხილი მესმოდა. ან იქნებ ეს ყველაფერი ჩემში ხმიანებდა?

ჩემმა შეყვარებულმა არაფერი იცოდა. აფორიაქებულ აზრებს ვუმალავდი. ფიქრები ყველაზე ხშირად მაშინ მომეძალებოდა, როცა შინ მარტო ვრჩებოდი, ვფუსფუსებდი და ფიქრისათვის საკმაო დრო მქონდა. მაშინვე ბუნდოვანი მღელვარება, მომავლის გაუცნობიერებელი შიში მიპყრობდა. შემდეგ რა მოხდება? რა მომელის? მუცლადღება? ერთხელ, რაღაცას ვეძებდი და უცებ ჩემს საპატარძლო სამოსს წავაწყდი. სასწრაფოდ სადღაც მოშორებით გადავმალე და ცარიელ სახლში მშფოთვარე ფიქრებით დამძიმებულმა, აღელვებულმა ვიბორიალე.

ნეტავ შემძლებოდა მისთვის, ჩემი შეყვარებულისათვის ამეხსნა, რა მთრგუნავდა. როგორ დავმშვიდდებოდი, დარდის გაზიარება რომ შემძლებოდა. არაერთხელ დავაპირე გულის გადახსნა. მინდოდა მეკითხა, იცოდა თუ არა... იცოდა, ვინ ვიყავი? მაგრამ ვერ ვბედავდი. ჩემი ბედნიერება მეტად ძვირფასი იყო და მისი დაკარგვა არ მსურდა. დიახ, მე მოვიპოვე ბედნიერება და შეიძლებოდა დამეკარგა, თუკი შეყვარებულს გულს გადავუშლიდი. ასეთი რამ ხომ ყველგან ხდებოდა. რომ მეთქვა, ვინც ვიყავი...

მან ხომ ალბათ, იცოდა კიდეც. შეუძლებელია, არ სცოდნოდა. მაშ რად...

ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე მეთქვა.

მას თურმე სცოდნია, რომ მე ორაკულის ქადაგი ვიყავი, მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნა იყო და შესაძლებელია მოგვიანებითაც, როცა მან მამისეული სახლი დატოვა, მაგრამ ეგონა, რომ მეც სხვებივით რამდენიმე წელიწადი დივყავი პითიად და ეს სამსახური კარგახანია დავასრულე. როცა გაიგო, რომ ახ-

ლაც ორაკულს ვემსახურები და კვლავ პითია ვარ, ძალიან გაოცდა უცხო მიწიდან დაბრუნების შემდეგ. ჩემს შესახებ არავისთან ულაპარაკია, რათა ჩვენი საიდუმლო არ გაეცა. ამიტომ არც არაფერი გაუგია. მხოლოდ ის იცოდა, რაც თავად ვუამბე: რომ მამასთან ვცხოვრობდი და ოჯახს ვუვლიდი. მისმა ნათქვამმა მიმახვედრა, რომ მაინცდამაინც ნათლად არ ესმოდა ორაკულის ქადაგის არსი. იგი ხომ დიდხანს დელფოსაგან მოშორებით ცხოვრობდა და ამასთანავე ამ ქალაქის ცხოვრება დიდად არ იტაცებდა. ეს საჩემო არაა, მითხრა. მაგრამ როცა გაიგო, რომ კვლავ პითია ვიყავი და ღვთაებასთან ასე მჭიდრო კავშირი მქონდა, გაოცება ვერ დამალა. აშკარად არაფერი უთქვამს, მაგრამ მივხვდი, რომ შეჩქვიფდა.

გულზე მომეშვა, როცა დავინახე, ჩემი ნაამბობი როგორ მიიღო. არა, არ დავკარგავდი. მივხვდი, რომ ცხადია, არ დავკარგავდი, მისთვის ჩემი პითიობა არც ისე მნიშვნელოვანი იყო იგი პირველი გახლდათ, ადამიანი, რომელიც ამის გამო არც ველურივით მიყურებდა და არც თავს მარიდებდა. ცხადია, არ იცოდა, რომ ახლა ვიყავი პითია, მაგრამ საერთოდ ხომ იცოდა ჩემი პითიობის ამბავი და ასეთი ვუყვარდი. განა საჭირო იყო კიდევ საბუთი, რომ მისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა!

მადლიერებისა და ბედნიერების გრძნობამ ამავსო. ყველაფერი ვუამბე და მანაც გაიგო, ჩემი მღელვარება გაიგო. თუმცა ჩემს შეშფოთებაზე ვერაფერი ვუთხარი, პირდაპირ არაფერი მითქვამს. აღარ ვღელავდი. მან ხომ გაიგო, სწორედ ისე გაიგო, როგორც შეყვარებულს ძალუძს გაგება.

ვიჯექი და ხელზე ვეფერებოდი, ასე ძვირფას და საყვარელ ხელზე. შემდეგ მახსოვს ამ ხელს ვკოცე. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კოცნითა და ღიმილით დავშორდით ერთმანეთს.

ამ საუბრის შემდეგ, პირველივე პაემნისას ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. ჩვენი პირველი სიახლოვის მერე, ვგონებ ასე ვნებიანად არასოდეს მოვფერებივარ. ჩემი სიყვარული უფრო მხურვალე, უფრო მადლიერი გახდა და მსურდა ეს მეჩვენებინა. მსურდა მისთვის მეჩუქებინა სიყვარული, ჩემი თავი, მთლიანად ჩემი თავი, სხეული, სინაზე, სურვილი, ყოველივე, რისი მოცემაც შეყვარებულ ქალს ძალუძს. მან მიიღო ჩემი საჩუქარი და თავადაც ვნების ალში გაეხვია. თუმცა ჩემი თავაწყვეტილობით, მგონი, ცოტა გაოცებული დარჩა. მახსოვს, შემდეგ ისე ჩუმად მეფერებოდა, თითქოს ჩემი დამშვიდება უნდოდა.

წინა საუბარს აღარ მივბრუნებივართ, ორივე თავს ვარიდებდით, თითქმის აღარასოდეს გვილაპარაკია. შევამჩნიე, სიტყვა ამ თემაზე ჩამოვარდებოდა თუ არა, შეცბებოდა და იბნეოდა, ამიტომ თავადაც ვერიდებოდი საუბარს ახლა, როცა გული გადავუშალე და ყველაფერი უწინდებურად რიგზე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ყველაფერი ძველებურად იყო, მხოლოდ ჩემი სიყვარული უფრო მხურვალე გახდა და უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ვერ ვმალავდი, რა უსაზღვროდ მჭირდებოდა იგი, როგორ ვუფრთხილდებოდი და ვებღაუჭებოდი, რა აუცილებელი შეიქნა ჩემთვის და ეს ალბათ, კარგადაც მეტყობოდა.

მისი გრძნობა ისეთივე მშვიდი და ზომიერი იყო, როგორც სხვა მისი თვისებები — სწორედ ამის გამო მიყვარდა. თავისებურად მასაც ვუყვარდი, ძლიერი ადამიანის მშვიდი სიყვარულით ვუყვარდი და ცხადია, არასოდეს მიღალატებდა. მაგრამ ჩემი აფეთქებული ვნება, მის სიყვარულსა და სურვილს ვგონებ, სულაც არ აძლიერებდა. პირიქით, დროდადრო თითქოს აკრთობდა კიდეც. როგორც ჩანს, შეჩქვიფებისა და კრძალვის გარეშე ვერ იხსენებდა ჩემს ნაამბობს, რომ მე პითია ვიყავი და უფალს ვეკუთვნოდი. ცოტა განმიდგა კიდეც და სწორედ იმიტომ, რომ მის განდგომას ვგრძნობდი, უფრო მჭირდებოდა; უფრო ვებღაუჭებოდი, უფრო მხურვალედ, და თავშეუკავებლად ვეკრობოდი, სულ ასე ვიქნებოდი მის კისერზე ჩამოკიდული!

ახლა მისი დაკარგვის აღარ მეშინოდა, ცხადია, არ მეშინოდა, სულაც არ მეშინოდა და მაინც ისე ვებღაუჭებოდი, თითქოს რაიმე საშიშროება მელოდებოდა. არ მჭირდებოდა, მაგრამ სახეზე ზეთს ვისვამდი, რათა სახის კანი დამერბილებინა და ნაოჭებიც გამესწორებინა, თუმცა ჩემს ნორჩ სახეზე ჯერ არც ერთი ნაოჭი არ ჩანდა, ასაკი არ მეტყობოდა და გარეგნობითაც მასზე უფროსს არ ვგავდი. ზეთს კი მაინც ვისვამდი. ერთხელაც წყაროსთან არ დამხვდა და სასოწარკვეთილებამ მომიცვა, განსჯის უნარი დავკარგე, სირცხვილის გრძნობა დავივიწყე. მაშინვე ვაგრძნობინე, რა დაუცხრომელი იყო ჩემი სურვილი, რა გულწრფელად სიამისმომგვრელი იყო ჩემი სიყვარული. ვიცოდი, რომ წყალწაღებულის მზერა მქონდა, მაგრამ აღარ მაცბუნებდა, მზერას არ ვარიდებდი, აღარაფერს ვმალავდი! არაფრის დამალვა აღარ მსურდა!

ჩემი ვნება გავდა ველურ უფსკრულს, რომელიც მის ჩასანთქმელად იყო გამზადებული და მე ვხედავდი, რომ კაცს ეს აფრთხობდა.

დიახ, ჩემი სიყვარული უზომოდ დიდი იყო. დიდი სიყვარული კი ადამიანს აწუხებს. ეს არ მესმოდა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, რომც მცოდნოდა, არაფერ შეიცვლებოდა. სიყვარულის ზუსტი საზომის მოძებნა ხომ არავის ძალუძს.

შეუძლებელი იყო, არ დაეფრთხო ამ თავშეუკავებლობას, ამ ველურ ხანძარს, რადგან მისთვის, მისი სამყაროსათვის, მისი საიმედო, მშვიდი, მიწიერი სამყაროსათვის ეს უცხო იყო. მე

ხომ სწორედ ეს სიმშვიდე და საიმედობა მიუყვარდა და ხედავთ, ისე მგზნებარედ შევიყვარე, დავკარგე კიდეც. შეუძლებელი იყო, არ დამეკარგა. სწორედ ყოვლისწამლეკავი სიყვარულის გამო დავკარგე. არა, ჩემი სიყვარული ამ ცხოვრებისათვის ვერ ივარგებდა, მასში არ ჩაეტეოდა. როგორც ჩანს, ამ სამყაროს, ნამდვილ ადამიანურ სამყაროს მართლა ვერ მოვერგე, მისთვის შექმნილი არ ვიყავი.

ჩემი შეყვარებულის ხვევნა თავად სიმშვიდე, სასურველი და ტკბილი სიმშვიდე იყო. მაგრამ მე მშვიდობისათვის შექმნილი არ ვიყავი, მეუცხოვებოდა, რადგან უზომოდ მიყვარდა.

ჩემს შეყვარებულს ხელი არ უკრავს. იგი უწინდებურად კეთილი დარჩა. ხელიხელჩაკიდებულნი საათობით ვისხედით და ვსაუბრობდით. როცა მივეკრობოდი ხვდებოდა, რომ მის მოლოდინში გული მელეოდა. ვგრძნობდი, თავად არ ვსურდი, საპასუხო ვნებას ვერ ვაღვიძებდი, მაგრამ ხშირად მაინც ემორჩილებოდა ჩემს ნდომას, ჩემს თავაწყვეტილობასა და აღგზნებას იტანდა, თუმცა თავად აღარ იზიარებდა. ყველაზე მეტად ის მტანჯავდა, რომ თითქოს მხოლოდ სიკეთის გამო მითმობდა. მიუხედავად სურვილისა, მწარე იყო იმის აღქმა, თუ რა ცოტა მქონდა საერთო სიკეთეს სიყვარულთან.

ჰო, ის ძალიან კეთილი იყო. უცნაური გრძნობა მიპყრობდა, როცა ვხედავდი მისი საერთოდ ასე ძლიერი ხელი რა წყნარად, დინჯად მეფერებოდა და ამ ალერსისას სიყვარული როგორ ქრებოდა და იფერფლებოდა.

აი, ასე ვცხოვრობდით იმ საბედისწერო დღემდე, როცა ტაძრიდან შემომითვალეს უნდა დაბრუნდეო. ორაკული კვლავ იწყებდა თავის სამსახურს და მე ხანგრძლივი დღესასწაული და პილიგრიმთა ვეებერთელა ლაშქარი მელოდებოდა.

უკანასკნელ საღამოს სასოწარკვეთილი ვიყავი და ამ სასოწარკვეთილებას ვერც ვმალავდი. სულ მეკითხებოდა, რა დაგემართაო, მაგრამ არ მსურდა, ჩემი თავი ვერ ვაიძულე, მეთქვა. აი, ასე აცრემლებული და სულაწეწილი დავშორდი.

მეორე დილას, პატარძლის სამოსი ამოვიღე; მამისთვის სიტყვა არ მითქვამს, სახლიდან ჩუმად გავედი და დელფოსაკენ გავემართე. დილის ბინდი იდგა და ვარსკვლავთა ყინულოვან სხივებქვეშ ვიყინებოდი. ღმერთი აღარ მიყვარდა, სხვა, სხვა შევიყვარე, მას კი არ ვჭირდებოდი და უსაზღვროდ მარტოსული ვიყავი.

როგორც კი მიწისქვეშა ტაძარში ჩავედი, მაშინვე ვიგრძენი, რომ ის ვისაც ვუღალატე, უკვე აქ იყო. მისმა მძაფრმა და გამაბრუებელმა სუნთქვამ სახეში დამიბერა; თითქოს მაშინვე დამეძგერა. მთელი მიწისქვეშეთი მისით, მისი სულით იყო სავსე. მძიმე და მხუთავი ჰაერი იდგა. ორაკულის შხამიანი გველები უკვე გამოძვრენ და ორკაპა ენებს ჩემკენ იშვერდნენ; ნაპრალიდან, რომელიც მიცვალებულთა საუფლოსაკენ მიემართებოდა, გულისამრევი, შხამიანი ანაორთქლი ამოიჭრა. ჯერ ზედადგარზე შემჯდარი არ ვიყავი, რომ უკვე დავიბაწგე. აქამდე არ ყოფილა შემთხვევა მის გავლენას ასე სწრაფად მოვექციე, არარაობად ვქცეულიყავი და მისით ავვსებულიყავი. თითქოს სწორედ ამ წუთს ელოდა, როცა ბოლოს და ბოლოს თავს დამესხმებოდა. ყელში ისეთი ძალით წამიჭირა, თითქოს დახრჩობას მიპირებდა, სუნთქვა შემიჩერდა და საზარელი სისინი აღმომხდა. თავზარდაცემული და შიშით გათანგული გახლდით, სიმსუბუქე და სიხარული არც ერთი წამით აღარ მიგრძვნია. ასეთი წამება არასოდეს განმეცადა, ასე სასტიკად, ბოროტად, მძვინვარედ არასოდეს მომპყრობია, მაგრამ არც ასეთ შლეგ ექსტაზში ჩავუგდივარ ოდესმე. შემდეგ მიამბეს, ჩემი სხეული თურმე გაშმაგებით აწყდებოდა აქეთ-იქით, ხოლო შმაგი კივილი ზემოთ, ტაძარშიც ისმოდა. საზარელი განცდა იყო. ყველაზე მეტად კი იმან შემაშინა და დამაფრთხო, რომ ექსტაზის მიღმა, საიდანღაც მდინარის ყრუ ხმაური მესმოდა, მეზმანებოდა. ნუთუ შესაძლებელი იყო? ნუთუ მართლა მესმოდა? ყველაზე მეტად ეს რად მაფრთხობდა?

შემდეგ დედაბრის სახლში ვისვენებდი და საშინელი წამების შემდეგ გონებას ვიკრებდი. მოხუცი მსახური მოვიდა და ცოტა ხანს ჩემს საწოლთან ჩამოჯდა. იგი ღელავდა, თავს როგორ გრძნობო, მეკითხებოდა. შენი სახე ასე დამაფრთხობლად საზარელი, როგორც ამჯერად იყო, ჯერ არ მინახავსო. ეს ქურუმებმაც შენიშნეს და ერთმანეთშიც ლაპარაკობდნენო. შენით, შენი ღვთაებრივი შეშლილობით ძალიან კმაყოფილები არიანო. მაგრამო, თავის მხრივ ფრთხილად დაამატა, რა საჭიროა ასე გახელებით დანებდე უფალს, ღმერთი, ხომ ცხადია, ამას არ მოითხოვსო. თვალდახუჭული მის მზრუნველ სიტყვებს ვისმენდი. დაღლილ სახეზე სუსტმა ღიმილმა გადამირბინა, თუმცა მსახურს ეს არ შეუნიშნავს.

ის ღმერთზე, თავის ღმერთზე ლაპარაკობდა. მე რაღა მაცინებდა?

შემდეგ მოხუცმა მსახურმა რაღაც მიამბო ერთ უცნობ ადამიანზე, რომელმაც პილიგრიმების დარბაზიდან კიბე ჩამოირბინა, წმინდა მიწისქვეშეთში შემოიჭრა და საზარელი თვალებით დამაშტერდა. ალბათ, აქაური არ იყო, დელფოში ამგვარი უცნაურობის ჩადენას ვერავინ გაბედავდა, ყველამ იცის, რომ ეს სასტიკად აკრძალულიაო. ორაკულის ქურუმები გამძვინვარდნენ. კაცი ცხადია, მაშინვე გააძევეს; ტაძრის დარაჯმა ხელი ჩასჭიდა, გაიყვანა და არავინ იცის, ახლა რა სასჯელი მოელის, თუმცა შეიძლება დაუსჯელიც გადარჩესო.

საკმაოდ უჩვეულო შემთხვევა გახლდათ, მარამ მე მაინც გონებადაფანტული ვუსმენდი, სანამ არ აღნიშნა, მგონი, ეს კაცი ცალხელა იყოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწოლიდან წამოვხტი. როგორც ჩანს, ფერი მეცვალა. მოხუცი მსახური გაოგნებული შემომცქეროდა. ცხადია, ვერ მიხვდა ასე უცებ რად შევიცვალე. სამაგიეროდ მიხვდა, რომ დასვენებას აღარ ვაპირებდი. ესე იგი, კარგად ვიყავი, შეეძლო, აღარ შეშფოთებულიყო და ისიც სრულიად კმაყოფილი, სიკეთით სავსე, გაღიმებული დამშორდა.

მარტო დავრჩი. დიდხანს ვიჯექი და თავში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები მერეოდა. რატომ მოვიდა? რა უნდოდა? რამ უბიძგა? იქნებ იმიტომ, რომ იგი... იქნებ მთლად გულგრილი მაინც არ იყო?

გულში რაღაც სუსტი იმედი გამიკრთა, თუმცა საამისო მიზეზი არ მქონდა.

პატარძლის სამოსი დინჯად გავიხადე, ჩვეულებრივი კაბა ჩავიცვი და ხეობისაკენ გავემართე.

შინ არავინ დამხვდა. გამოვედი და ალალბედზე ყანებისაკენ წავეხეტე. დავინახე, მამამისის დათესილ მიწის ნაკვეთს ამუშავებდა და მისკენ გავეშურე. ჩემს დანახვაზე იგი ოდნავ შეცბა და ყოველთვის პირდაპირ, ნათელ გამოხედვაში გაუბედავი, ფრთხილი მზერა შევნიშნე. როცა მივუახლოვდი, თავი არ აუწევია. ასე ვიდექით ორივე და ვდუმდით.

ყოველივე ნათელი იყო. მან დაინახა, იხილა ჩემი საზარლად შეცვლილი სახე, როცა უფალი მფლობდა, იხილა ის, რისი ატანაც არავის შეუძლია და რასაც სიკვდილის კარამდე ვერავინ ივიწყებს. ახლა მისთვის პითია ვიყავი, მისთვის, როგორც, ყველასთვის ღვთით ატანილი პითია ვიყავი. ახლა ისიც სხვებს დაემსგავსა და ამით ყველაფერი დასრულდა.

გამოვკითხე და დაუფარავად მიპასუხა, ასეათ. ამას ვერასოდეს მოვინელებო. მივხვდი, რასაც ამბობდა: არც ერთ მამაკაცს არ შეუძლია ქალის შეყვარება, თუკი ასეთს, თუკი ღვთით ატანილს იხილავს.

შემდეგ მიამბო: დილით წყაროსთან მივედი და შენს მოსვლას ვუცდიდი. შენ არ გამოჩნდი და როცა გამახსენდა, რა უცნაურ სულიერ მდგომარეობაში იყავი წინა საღამოს, უფრო შევშფოთდი. უცებ გავიფიქრე, ხომ არაფერი დაემართა-მეთქი. თქვენს სახლთან მივედი, იქ არავინ დამხვდა, მაშინ უფრო შეშფოთებულმა მინდორში მამაშენი მოვძებნე, მაგრამ არც მამამ იცოდა რამე და გაუკვირდა, რომ სახლში არ იყავი. იგი შეყოყმანდა, შემდეგ ნაძალადევად, უხალისოდ დაამატა, ალბათ, დელფოში, ორაკულის ტაძარში წავიდაო. მეც ტაძრისაკენ გამოვეშურე და უკვე ტაძრის წინ შენი ველური კივილი გავიგონე, თითქოს ვიღაც გაწამებდა. ჯერ ტაძარში შემოვიჭერი, შემდეგ პილიგრიმთა დარბაზში, საიდანაც, როგორც მომეჩვენა, შენი კივილი ისმოდა, შემდეგ კიბით ქვემოთ დავეშვი...

აქ, თხრობა შეწყვიტა.

ხელში მოვკიდე ხელი:

— ჩემ გამო შიშობდი?

— ჰო.

— მეტად აღარ შეშფოთდები, არასოდეს. ისე მიყვარხარ, შეუძლებელს შევძლებ შენთვის.

იგი მიმიხვდა, რა აზრი ჩავაქსოვე ამ სიტყვებში. მიმიხვდა, რომ მისთვის გავაკეთებდი ყველაზე ძნელს, უკანასკნელს, რაც კი შეყვარებულ ქალს შეუძლია: გავანთავისუფლებდი ჩემგან და მეტად ველარ მიხილავდა. დღეის შემდეგ გავიყრებოდით, ის ძველებურად თავის, მე კი ჩემს სამყაროში ვიცხოვრებდით. ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო.

დიდხანს ვიდექით. მიწას მიშტერებულნი ერთმანეთს თვალს ვარიდებდით. ხელზე მოვუჭირე ხელი, ოღონდ არც ისე ძლიერად, რომ გახსენებოდა, რა მხურვალედ მიყვარდა ან რა მძიმე წუთი მედგა. შემდეგ ერთმანეთს სამუდამოდ დავშორდით.

თუმცა გვერდიგვერდ ვცხოვრობდით, აღარასოდეს შევხვედრივართ. აშკარად თავს მარიდებდა, ალბათ, ფიქრობდა, ორივესთვის ასე სჯობიათ. თავადაც ასე ვფიქრობდი და მისი მადლიერი ვიყავი.

თუ დელფოში არ მიბარებდნენ, წინდებურად მამასთან ვცხოვრობდი და დროს იმავე ბუნებაში, იმავე ხეობაში ვატარებდი, ისევე როგორც ის, მე ვისაც დავშორდი. ზაფხულის მიწურული იდგა, ირგვლივ ყველაფერი გადაიხრუკა, ჩვენი ხეობა, ველები, ტყეები, ყველაფერი, ყველაფერი თითქოს ცეცხლმა დასწვა. მხოლოდ წყარო არ შეცვლილა, ძველებურად სუფთა, ანკარა წყლით იყო სავსე, რადგან ღვთაებრივი გახლდათ. ქვიშაც ერთ ადგილზე უწინდებურად ისე მდორედ ტრიალებდა, თითქოს უფლის უხილავი ხელი მართავდა. დილ-დილობით ძველებურად მივდიოდი იქ და ფიქრებთან განმარტოვებული ცოტახანს ვჯდებოდი. მაგრამ წყაროში არასოდეს ჩამიხედავს, არ შემეძლო, აღარ მსურდა ჩემი სახის დანახვა. უბრალოდ ვიჯექი, გავცქეროდი ცარიელ სივრცეს, რომელიც სულ უფრო საშემოდგომო და უფერული ხდებოდა. შემდეგ თვალდახუჭული რამდენიმე პეშვ წყალს შევსვამდი და შინ ვბრუნდებოდი.

ცხადია, ისიც ყოველ დღე დადიოდა. ეს ცივი წყალი ხომ მასაც არანაკლებ უყვარდა და არც უიმისობა შეეძლო, მაგრამ ისეთ დროს მოდიოდა, როცა მე არ ვიქნებოდი. ჩემი იმედი მქონდა, იცოდა, არ დავხვდებოდი.

ერთხელ შორიდან მოვკარი თვალი. ჰალაში, რომელიც მამამისის ნაკვეთს ეკუთვნოდა, ზეთისხილს აგროვებდა. იმის მიხედვით, თუ როგორ უჭირდა ტოტის დაჭერაც და ზეთისხილის ჩამოკრეფაც, მაშინვე ვიცანი. თავად შეუმჩნეველი ვიდექი და შევყურებდი, როგორ სწევდა ზევით თავის ერთადერთ ხელს და ბებერ ხეს ნაყოფს აცლიდა. მისი სახე არ ჩანდა, მაგრამ

ვიცოდი, რომ ის იყო. თავი ვერ შევიკავე. მიწაზე დავეცი. დავემხე და ავტირდი, ავქვითინდი.

შინ დავბრუნდი თუ არა, დავჯექი, სახეზე ხელები ავიფარე და მასზე ვფიქრობდი. მარტო გახლდით, მამა ჯერ კიდევ არ იყო მოსული.

ნეტავ შემძლებოდა დავხმარებოდი, სანამ ზეთისხილს ჩამოკრეფდა ტოტი დამეჭირა. ნეტავ შემძლებოდა მასთან ერთად მიწაზე, ამ ხეობაში, ხანგრძლივი და ბედნიერი ადამიანური ცხოვრებით მეცხოვრა. ისეთი ცხოვრებით, დედაჩემმა რომ გალია, მრავალნი და მრავალნი რომ ცხოვრობენ. რად არ მაქვს ამის უფლება? რად არ მაქვს უფლება სხვებს ვგავდე?

მაშინ უკანასკნელად ვნახე, მაგრამ თავად ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ უკანასკნელად ვხედავდი.

მცირე ხნის შემდეგ მე, უფლის მიერ ნამუსახდილი, ორაკულის მიწისქვეშეთიდან გონდაკარგული გამომიყვანეს, ამას ცხადია, ვერავინ მიხვდა. ყველამ მხოლოდ დაინახა, რომ, როგორც არასდროს, ისე გახლდით ატანილი, რომ ჩემმა ექსტაზმა, სიშლეგემ საშინელი ძალით იჩინა თავი და ალბათ ზედადგარიდან ჩამოვარდებოდი, მოხუც მსახურს რომ არ მოესწრო და ხელი არ ეტაცა.

ეს ამბავი ასე მოხდა: ის იყო გონებას ვკარგავდი, რომ თხის მძაფრი სიმყრალე ვიგრძენი და შავ თხად გარდასახული, ორაკულის მიწისქვეშეთში თავის წმინდა ცხოველად გარდასახული უფალი მძვინვარედ, ხარბად დამეძგერა... ტკივილითა და ზიზღით ვიგრძენი, რომ ვილაც დამეუფლა, მბრძანებლურად დამიმორჩილა, რაღაც მძვინვარე და მრისხანე ძალამ თავისი არაადამიანური სიდიადით გამაბრუა. შეუცნობელმა, ყოვლისშემძლე ძალამ რაღაც მანქანებით ორაკულის მიწისქვეშეთის მყრალი თხის სახე მიიღო და ამ დროს, როგორც არასდროს ისე ნათლად მესმოდა მდინარის ყრუ ქუხილი, რომელიც უფრო და უფრო იზრდებოდა, მეხივით გრგვინავდა და სიამტკბილობის ჟამს, ენით უთქმელი ტანჯვითა და შიშის ზარით მავსებდა.

შემდეგ თითქოს სადღაც ჩავეშვი და აღარ ვიცი, რა მოხდა, სანამ დედაბრის სახლში არ გამოვფხიზლდი. დედაბერი გულაჩუყებული თუ დამცინავი გამომეტყველებით ფუსფუსებდა და ცნობისმოყვარე მზერას არ მაშორებდა. ვთხოვე, მარტო დამტოვე-მეთქი; იგი დაეჭვებული, უხალისოდ დამემორჩილა და ახლა მარტოს შემეძლო ჩემი ფიქრით დავტანჯულიყავი. ადგომის თავი არ მქონდა, ამიტომ დიდხანს ვიწექი და შინისაკენ მხოლოდ საღამოს გავეშურე.

როგორ მოხდა? ერთსა და იმავე დროს მოხდა? ამას ვერავინ და ვერასოდეს გაიგებს. მისი დამახინჯებული სხეული მეორე დღეს მდინარეში იპოვნეს. მაგრამ ამბავი, ალბათ, უფრო ადრე, იმ დილით მოხდა, როცა სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. სწორედ იმ დილას, როცა მე, რაც გიამბეთ ის გადამხდა თავს. როგორ მოხდა ან იქ რისთვის წავიდა, ვერავინ მიხვდა. მას ხომ არაფრად ჰქონდებოდა ამ ველურ უფსკრულში ჩაძრომა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ სცდებოდნენ, რომ მან ძახილი შეისმინა, რომ მას მოუხმეს იქით. რათა სიკვდილს შეხვედროდა, რომ გადაულახავმა ძალამ მოუხმო, მისი დაღუპვა, მისი გადაულაპვა რომ უნდოდა. დაიხრჩო თუ უფსკრულში ჩავარდა, დაიმტვრა და დაჟეჟილობამ თუ ჭრილობებმა მოკლა? ან იქნებ ტკივილმა გონება დააკარგვინა და მდინარეში ჩაიხრჩო, თუმცა იმ დროს წყალი სულ დაბლა იყო დაწეული? მის ძალაუფლებაში მოქცეული ჩემსავით უგრძნობლად ხომ არ გაიშოტა? აბა რა ვიცი! გაჭიმული, გულაღმა იწვა და წყალი ოდნავ ფარავდა. როგორც კი მოიფიქრეს, იქ მოვძებნოთო, მაშინვე შენიშნეს.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ უფსკრულში ჩავარდა, რადგან ერთადერთი ხელით ხის ტოტს გაშმაგებული ჩაბღაუჭებოდა. ფიქრობდნენ, ამ ტოტს მოეჭიდა, რათა თავი შეეკავებინა და არ ჩავარდნილიყო, მაგრამ დახეთ საოცრებას, ტოტი დაფნისა გამოდგა, თუმცა ვიწრო გამოქვაბულში უფლის წმინდა ხე არ ხარობდა. ეს ყველას უცნაურად მოეჩვენა; თუმცა ამაზე ფიქრით თავი არავის აუტკივებია. არავინ იცოდა, სინამდვილეში რა მოხდა, ამის მიღმა სინამდვილეში რა იფარებოდა. ვის შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ეს უფალმა იძია შური ადამიანური ბედნიერებისათვის, უფალმა იძია შური, რადგან რჩეულმა უღალატა, მხოლოდ მისთვის ცხოვრება არ ისურვა.

ხალხი, რომელმაც იგი იპოვნა, ამბობდა, თითქოს მძინარეს გავდა, მაგრამ ფერი ჰქონდა დაკარგული, გაუფერულებული და მკრქალი იყოო, ის, ვისი ჯანმრთელობის ხასხასა ფერებიც მუდამ უყვარდა. მისი სხეული ჭრილობებით გახლდათ დაფარული, ოღონდ სისხლი არ ჩანდა, სისხლი მდინარემ წაიღო, მდინარემ მიითვისა, ყველაფერი მიითვისა.

თავად არ მინახავს იგი, როგორ გავბედავდი! ბევრი კი წავიდა სანახავად; მისმა უჩვეულო სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; ნახულობდა ისეთი ხალხიც, რომელსაც მისი არსებობა არასოდეს გაახსენდებოდა, ასეთი სიკვდილით რომ არ მომკვდარიყო. მე კი უფლება არ მქონდა. სიყვარული მიშლიდა წავსულიყავი და მენახა. სიყვარული მაშინვე თავს გასცემდა, ყველასთვის საცნაური გახდებოდა. არ შემეძლო მისვლა მისი სახლში, სადაც წაასვენეს, ეს მის მშობლებს გააოცებდა, შეიძლება დაეეჭვებინა კიდეც, მე ხომ მათ თითქმის არ ვიცნობდი. არაფერი შემეძლო, სრულიად არაფერი. მხოლოდლა მარტოობის ჟამს, როცა მამა არ მხედავდა, ტირილი შემეძლო. მამას არასოდეს შეუმჩნევია,

რომ ვტიროდი, რადგან მაშინ, როცა ჩვენი სიყვარული ყვაოდა, არაფრით დაებევებული. ეს ამბავი კი მამისაგან შევიტყე. გავიგე, რომ ჩემი შეყვარებული მოკვდა, რომ იპოვნეს; ის გავიგე, რაც ყველამ იცოდა, ჩვენს ხეობაში ამაზე კარგა ხანს ლაპარაკობდნენ.

შემდეგ მალევე მიივიწყეს. მშობლიურ მიდამოებში მას ცუდად იცნობდნენ, რადგან მრავალი წელი შინ არ ყოფილა, სხვებთან ერთად გლეხურად არ უშრომია, გაშინაურება ვერ მოასწრო. და აი, გარდაიცვალა. რა მხურვალედ უნდოდა და მაინც ვერ მოასწრო მიწის ნაკვეთის შეძენა და ერთადერთი ხელით მისი დამუშავება.

მხოლოდ მე ვერ დავივიწყე. დარდისაგან გული მეფლითებოდა; მისი სიკვდილით თითქოს მეც წამერთვა სიცოცხლე, თუმცა მაშინ უკვე აღარ მეკუთვნოდა, თუმცა უფრო ადრე დავკარგე და როცა მისი სიყვარული მოკვდა, სიცოცხლეც მაშინ დავასამარე. ახლა არაფერი დამიკარგავს. მაგრამ როგორ შემეძლო, არ მეფიქრა მასზე, ვინც ყველაფერი მომცა, შემდეგ კი ყველაფერი წამართვა, ვინც თავისი უსაზღვრო სიკეთით სიცოცხლის ძალა მაგრძნობინა!

ვერ ვივიწყებდი და ვერც დავივიწყებ, თუმცა ამდენი ხანგრძლივი წელი გასრულდა, თუმც ყოველივე ისეთ შორეთში დარჩა, ალბათ, ბინდში უნდა ვხედავდე. ის კი, ისე ცოცხლად მიდგას თვალწინ, თითქოს არც მომკვდარა.

რა უცნაურია, ასე ვზივარ და კვლავ მას ვიხსენებ, კვლავ იმ ერთადერთ ხანას ვიხსენებ, როცა ჭეშმარიტი ცხოვრებით ვცხოვრობდი.

მძიმე დრო დამიდგა. ჩემი დარდის ყველასთვის დამალვა მიჭირდა. ვერავინ უნდა მიმხვდარიყო, რა უბედურება მეწვია, როგორ ვიტანჯებოდი. მაგრამ მე ხომ ბავშვობიდან გულჩახვეულობასა და ყველაფრის დაფარვას ვიყავი მიჩვეული, ახლაც მოვახერხე და, მგონი, ვერავინ შენიშნა. ვერავინ დელფოელი დედაბრის გარდა. ზუსტად არ ვიცი, როგორც ჩანს რაღაცამ დააეჭვა. დედაბერი ადამიანის ბუნებას კარგად იცნობდა, მას ხომ ყველას ნაკლის ჭექვა უყვარდა, ამისგან კი თვალი გამჭრიახი ხდება. დედაბერს არაფერი დაემალებოდა.

ერთხელაც, გვიან შემოდგომისას, თვიური ციკლი დამერღვა და ვიფიქრე, ალბათ ფეხმძიმედ ვარ-მეთქი. ამ აზრმა შიშით და საოცარი, ჯერაც განუცდელი სიხარულით ამავსო. არ ვიცოდი, წარმოდგენაც არ მქონდა, როგორ შეიცვლებოდა ჩემი ცხოვრება, ცხადია, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. მიუხედავად ამისა, სულის სიღრმეში სიხარული ცოცხლობდა. ჩემში ისეთმა ჩუმმა აღფრთოვანებამ ჩაიბუდა, რომ ვერავინ მიხვდებოდა, ჩემ გარდა ვერასდროს და ვერავინ მიხვდებოდა. იგი რაღაც არაჩვეულებრივს მეჩურჩულებოდა, ჩუმად, შეუპოვრად, განუწყვეტლივ რაღაც არარსებულს, თავად სიკვდილის დამარცხებაზე მეჩურჩულებოდა, სიყვარულის კვდომასა და თავად სიკვდილზე გამარჯვებას მამცნობდა. გაუნძრევლად, თვალდახუჭული ვჯდებოდი, რათა იგი, ჩემი სხეულის ჩუმი აღფრთოვანება, გამარჯვების აღფრთოვანება შემეგრძნო და როგორც კი ასე დავჯდებოდი, ვგრძნობდი, აშკარად ვგრძნობდი, რომ ჩემი სიყვარული არ მოკვდა, იგი ჩემში, ჩემს სიღრმეში ცოცხლობდა. ჩემი შეყვარებული არ მოკვდა, ის კვლავ არსებობდა, ჩემში ცოცხლობდა. არ მოვუტყუებივარ, არასოდეს მიმატოვებდა, ახლა აღარასოდეს მიმატოვებდა.

ჩემმა სიყვარულმა ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა. მე დავიბრუნე იგი.

ეს ბედნიერება იყო, ისეთი დიდი ბედნიერება, რომ ჩემთვის გაუგებარი დარჩა, როგორ ვერ ამჩნევდა ხალხი და საიდუმლოდ როგორ რჩებოდა. მაგრამ სწორედ ამის გამო, რომ ვერავინ მიხვდა, რომ ჩემში დაფარული საიდუმლო ვერავინ ამოიცნო, ჩემი ბედნიერება უფრო დიდი და ყოვლისმომცველი, მომხდარი სასწაული კი წარმოუდგენელი გახდა.

ცხადია, მოუსვენრად ვგრძნობდი თავს. ცხადია, ხშირად აღელვებით და გულის კანკალითაც ვფიქრობდი, რა მომელის-მეთქი, მაგრამ რა მოხდებოდა, ვერ წარმომედგინა. ეს ზმანებას გავდა. მე ხომ მომავალი თითქოს დავკარგე, უმომავლოდ დავრჩი და ამიტომ შიშისაგან განსაცვიფრებლად განვთავისუფლდი. აბა რისი შეიძლებოდა ახლა, ასეთ მდგომარეობაში, ჩემს ახალ, დალოცვილ მდგომარეობაში მშინებოდა. ჩუმი აღფრთოვანება მღელვარებას, შიშს, სიფრთხილეს, ყოველივეს ახშობდა და მოსალოდნელ ხიფათსაც სადღაც სინამდვილის მიღმა დევნიდა. მხოლოდ იმ სინამდვილით ვცხოვრობდი, რასაც ჩემს სიღრმეში ვმალავდი. ახლა მხოლოდ ამით ვარსებობდი.

ზამთარი დადგა და ჩემი ფეხმძიმობაც შუა ზამთარში აუვავდა, გაზაფხულივით, ზაფხულის კარიბჭესავით გაიფურჩქნა. ბუნების კვდომა სულაც არ აცბუნებდა, არაფერი არ აცბუნებდა. ხალხი ვერაფერს ამჩნევდა, ჯერ არაფერი მეტყობოდა. ასეთი დიდი სასწაული მოხდა, ირგვლივ კი ვერავინ ხედავდა, რა მჭირდა.

დედაბრის ეჭვი კი არ გაიფანტა, პირიქით გაიზარდა. მართალია, კვლავ ალერსიანი იყო ჩემთან, როგორც ყველასთან, ვისაც ელაპარაკებოდა, მაგრამ ხანდახან ისე უცნაურად გამომხედავდა, თვალს ისე ამადევნებდა, როგორც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. ეს უსიამოვნო გრძნობა გახლდათ და მაწუხებდა, მაგრამ თავს ვიწყნარებდი, მე ხომ ადრეც არ მსიამოვნებდა, როცა მიყურებდა-მეთქი. დედაბერი არაფერს ამბობდა, ერთი გადაკრული სიტყვა არ უთქვამს, რომ მეფიქრა, რაღაც იცის ან ხვდება-მეთქი. ასეთი მზერა რომ არ მქონოდა...

მალე მივხვდი, რად არ მსიამოვნებდა მისი მზერა, მივხვდი, რომ სულ თვალს მადევნებდა.

ეს მისი მოვალეობაც გახლდათ, თუმცა საკუთარი სურვილითაც სიამოვნებით ჩაიდენდა. გავიგე, რომ პასუხისმგებლობა პითიაზე მას ეკისრებოდა, რომ უფლის რჩეულისათვის, რომელიც ღვთაებასთან სიახლოვის გამო ასე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო ტაძრისა და ქალაქისათვის, მას უნდა ეთვალთვალა და ეჯაშუშა და ყოველივე, თვით უმნიშვნელო წვრილმანიც კი ქურუმებისათვის მოეხსენებინა, დედაბერიც ამ საქმეს დიდი სიამოვნებით ასრულებდა.

პითიებზე მოსახსენებელი იშვიათად მქონდა, გარდა ჩვეულებრივი ჭორებისა, რომელიც ვგონებ, მხოლოდ მისი ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებდა. ახლა კი უცებ გაჩნდა სათქმელი, თანაც ისეთი, ადრე რომ არასოდეს მომხდარა; ბოლოს და ბოლოს ამას მაინც მიუგდებდნენ ყურს, თანაც განცვიფრებულნი და თავზარდაცემულნი მოისმენდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ ეს მე მეხებოდა, პითიას, ვისზედაც სამწუხაროდ არასოდეს და არაფერი მქონდა სათქმელი.

ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. როგორც ჩანს, თავი კარგა ხანს იმტვრია იმის გასაგებად, თუ როგორ ჩავვარდი ამ დღეში. მე ხომ მარტოსული გახლდით, არც კაცებს, არც ქალებს, არავის ვიცნობდი და მხოლოდ ჩემს ბებერ მამასთან დავდიოდი. დღემდე ვერ გამიგია, როგორ ამოაჩინა ჩვენი სიყვარულის საიდუმლო, რომელიც ხეობის სიღრმეში ყველასგან დაფარული იყო, სიყვარული, რომელიც მეგონა, მხოლოდ ჩვენ ორს გვეკუთვნოდა, რომელსაც არ შეიძლებოდა ხალხის ბინძური აზრები და სიტყვები შეხებოდა. ასე იყო თუ ისე, დადგა დღე, როცა ქურუმებმა და მთელმა ქალაქმა შეიტყო ღვთის წინაშე, ტაძრის წინაშე, მთელი ქალაქის წინაშე ჩემი გაუგონარი დანაშაულის ამბავი. ყველამ გაიგო, რომ მე ფეხმძიმედ ვიყავი, მამა კი ის კაცი გახლდათ, რომელიც მკვდარი იპოვნეს მდინარეში და რომელმაც დამსახურებული სასჯელი უკვე მიიღო. სწორედ ის ცალხელა, ერთხელ, მიწისქვეშა ტაძარში შეჭრა და მისი შეურაცხყოფა რომ სცადა და ვინ იცის, იქნებ უფლისათვის მისი დოვლათის, მისით ატანილი, მისი სულით ავსილი ქადაგის მოპარვა სურდა.

ეს კაცი უფალმა უკვე დასაჯა, მაგრამ მე დავრჩი. ყველაზე მთავარი დამნაშავე კი მე ვიყავი, რამეთუ ის კაცი უბრალო მოკვდავი გახლდათ, მე კი უფალმა ამირჩია, რათა მისი მიზნებისათვის, ერთგულად, რწმენით, თავგანწირვით მემსახურა. მე ხომ ასეც ვიქცეოდი მთელი ცხოვრება, სიყმაწვილის ჟამიდან მოყოლებული, რაც პითია გავხდი, მხოლოდ ტაძრისა და უფლისათვის ვცხოვრობდი. ყველას თვალში მე და ორაკული ლამის განუყოფელი ვიყავით. თავადვე ამბობდნენ, ისე უყვარს ღმერთს, რომ მხოლოდ მისი ბაგეებით სურს ქადაგებაო. ჩემი სახელი კი ტაძრისათვის და ესე იგი მთელი ქალაქისათვის სასარგებლო იყო. ეს ყოველივე ახლა განსაკუთრებულ დანაშაულად მეთვლებოდა, ეს ყოველივე ჩემს დაცემას უფრო საშინელს ხდიდა, ხოლო მოულოდნელად ამოხეთქილი სიძულვილს უფრო მძვინვარედ აქცევდა. ის ამბავი, რომ ღმერთი სწორედ მე შევურაცხყავი და მოვატყუე, რომ ვუღალატე და მიწიერ მამაკაცში გავცვალე, წარმოუდგენლად მძიმე დანაშაული გახლდათ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რა სამარცხვინო იყო.

უმაღლეს ქურუმთა საბჭოს წინაშე წარვსდექი. ნუთუ დედაბრის ნაამბობი მართალიაო, შემეკითხნენ. მათ ეს შეუძლებლად მიაჩნდათ, ეს არ ეხამებოდა იმას, რაც თავად იცოდნენ ჩემზე, ამ წლების განმავლობაში, რაც ტაძარს ვემსახურებოდი, მე ხომ ორაკულის მშვენიერ ქადაგად მთვლიდნენ. როგორც ჩანს, ძალიან მოწადინებული იყვნენ, რომ ეს ტყუილი გამომდგარიყო. მაგრამ მე მაშინვე გამოვტყდი და ალბათ სახეზეც მეტყობოდა ჩემი ფეხმძიმობით რა ბედნიერი ვიყავი. ქურუმები ამან უფრო გააოცა და გაამწარა. ერთხმად ალაპარაკდნენ, ყოველივე მომხდარი გაუგონარი, შეუძლებელი და ტაძრისათვის სამარცხვინო საქციელიაო, ორაკულის კეთილ სახელს ჩრდილს ფენსო, სამართლიანი იქნება თუ კლდიდან გადავჩეხავთ, როგორც ჩვეულებრივ ტაძრის შემბილწველებს ვექცევითო, თუმცა ვხვდებოდი, რომ ამის მოსჯას არ აპირებდნენ. შემდეგ კვლავ ჩემკენ იბრუნეს პირი, მელაპარაკნენ უფალზე, თუ რა საშინლად შევცოდე მის წინაშე და კვლავ სირცხვილზე, რომელიც ტაძარს, ორაკულს და მთელ ქალაქს თავს დავატეხე. დასასრულ გამომიცხადეს ღმერთი შენთვის მკაცრ სასჯელს მოითხოვს და დღის განმავლობაში განაჩენს გამოგიტანთო.

მათ არ დავუსჯივართ, მათ მხოლოდ გადადეს მსჯავრის გამოტანა და ამით სხვებს ჩემი ხვედრის გადაწყვეტის საშუალება მისცეს.

ქალაქში მეხივით გავარდა ხმა, რომ ყოველივე ვალიარე და გამძვინვარებული ბრბო მოაწყდა დედაბრის სახლს, სადაც, იცოდნენ, განაჩენს ველოდებოდი. ქვებითა და მარგილებით შეიარაღებული გამძვინვარებული ბრბო ჩემს სიკვდილს ითხოვდა. სარკმლიდან ვხედავდი მათ და ვხვდებოდი, რომ ამ ხალხს უყოყმანოდ შეეძლო თავისი მუქარა აღესრულებინა. ერთნაირი სიბოროტით, მძვინვარე სიძულვილით დამახინჯებული სახეები, საზიზღარი დასანახავი გახლდათ. სახლში კი ბებერი კუდიანი უჩუმრად ფუსფუსებდა, ვირთხის ნაცრისფერ სახეზე დაუფარავი, ავხორცული, სიხარული ეხატა, თავს კი ისე მაჩვენებდა თითქოს ჩემ გამო შიშობდა. თან დაუსრულებლად მიმეორებდა, შენზე პასუხს აღარ ვაგებ, სჯობს, აქედან წახვიდეო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩემი თავი ჩასაქოლად უნდა მიმეცა, ბრბოს უნდა მოვეკალი. ცხადია, დედაბერს არ გაუმხელია, რომ თავად დამაბე-

ზლა, მე კი არ მეხალისებოდა მეთქვა, რომ ყველაფერი ვიცოდი. დედაბერი ალბათ დარწმუნებული იყო არაფერი იცისო და ადვილი შესაძლებელია თავი უდანაშაულოც გონებოდა ჩემს ხვედრში, იმ უბედურებაში თავს რომ დამატყდა. იგი ხომ ფიქრობდა, რომ სამართლიანი, კეთილი და მოკრძალებული ქალი იყო, რომ ცხოვრებაში ცუდი არავიზე უთქვამს, თუმცა გარს არამზადა, ცრუ და ყოველმხრივ უგვანი ხალხი ეხვია.

ყვირილი და მუქარა უფრო გამძვინვარდა, ქურუმები კი ზომებს არ იღებდნენ, ჩარევას არ ცდილობდნენ. როგორც ჩანს, სიამოვნებით მისცეს ბრბოს უფლება თავად გამოეტანათ ჩემთვის განაჩენი, რათა ზედმეტი საზრუნავი თავიდან აუცილებინათ. ამ სახლში, სადაც შიგნით ნაცრისფერი უხსენებელი დაცოცავდა, გარედან კი გახელებული, სისხლმოწყურებული ბრბო ეხვია, ჩემი მდგომარეობა საშინელი, სასოწარმკვეთი იყო და მეც ცოცხლად გადარჩენის, ყოველგვარი იმედი გადავიწყური.

ჩემი ერთადერთი მეგობარი, ბერიკაცი — ორაკულის მსახური სწორედ მაშინ გამოჩნდა. სანდლების ხმამაღალი კაკუნით შემოირბინა, სული ძლივს მოითქვა და მითხრა ტაძარს შეაფარე თავი, იქ დაიმალე, ტაძრის კედლები წმიდათა წმიდაა, იქ ვერავინ გაგიბედავს ხელის შეხებას, რადგან თავად უფალი დაგიფარავსო. ბებერმა კუდიანმა მისი არასასურველი ჩარევისას სულ ცოფი ყარა. გაახელა იმ აზრმა, რომ ტაძარი ასეთ საქმეს მოემსახურებოდა, რომ ჩემსავით გარყვნილ დედაკაცს, რომელმაც უფალი მოატყუა, ღმერთი დაიფარავდა. ალბათ, არცაა გასაოცარი, ასე რომ გახელდა. ორაკულის სახელი ხომ მუდამ ძვირფასი იყო მისთვის და უფრთხილდებოდა. ტაძარს, თავის განძსაც ესათუთებოდა და თვლიდა მის მოსავლელად ვარ გაჩენილიო, თუმცა იქ ფეხი არასოდეს შეუდგამს. აბა, როგორ უნდა დაეშვა, რომ ტაძარი ამ მიზნით გამოგვეყენებინა და დამსახურებულ სასჯელს გადავრჩენოდი! მის სახეზე, მის ნაცრისფერ ჩამკვდარ სახეზე, რომელსაც უკანასკნელად შევცქეროდი, ადრე სიბოროტე არასოდეს შემიჩნევია, მაგრამ ახლა თავის შეკავება აღარ შეეძლო.

ამასობაში, მოხუცმა მსახურმა, რომელსაც არაფერი შეუნიშნავს, ხელი მტაცა და ჩემი სიცოცხლის, გადარჩენა სცადა. დედაბრის სახლი ზედ ტაძრის გვერდით იდგა და სანამ ბრბო ჩემს გაქცევას შენიშნავდა, იქ მირბენას მოვასწრებდით. ხალხმა სახლის წინ მოიყარა თავი, გვერდით კი კარი იყო, რომლის არსებობაც ალბათ არავინ იცოდა. იქიდან ისე გამალებით გავძვერით, არავის დაუნახავს, შემდეგ ტაძრის კიბე ავირბინეთ და შესასვლელისაკენ გავქანდით. ამ დროს, ცხადია, შეგვნიშნეს და ზურგს უკან გახელებული კივილი გაისმა. ბრბო დაგვედევნა და კიბე ერთ წამში შეავსო; ამასობაში ჩვენ კოლონადა გავიარეთ და ტაძარში შევცვივდით. დღევანდელი დღესავით მახსოვს საფრთხისა და მღელვარების მიუხედავად, ჩემს მეგობარს სანდლების გახდა მაინც არ დავიწყებია და შემომხედა, რათა იგივე გამეკეთებინა მე, რომელსაც ცხადია, ყველაფერი დამავიწყდა. როგორ გავდა ეს უფლის, ჩემი კეთილი მეგობრის საქციელს, უპირველესად იმაზე იფიქრა, რომ ტაძრის წმინდა კედლებში შევედით. სწორედ ეს განაპირობებდა ჩვენს უსაფრთხოებას, თუკი საშიშროება მართლაც აღარ გველოდა. ბრბოს მაინცდამაინც არ ეტყობოდა წმინდა კედლების პატივისცემა. იგი ყვირილით შემოიჭრა შიგნით და ტაძრის სიღრმეში მიმალვა ძლივს მოვასწარი. შეშლილებივით ყვიროდნენ, მოვაშორებთ უფალს ამ სიბილწეს, ამ გარყვნილ ქალაგს რომელმაც ისიც და მთელი ქალაქიც შეარცხვინაო.

ამ დროს, მოკრძალებული და კეთილი მოხუცი მსახური ისე გარდაისახა თვალებს არ დავუჯერე. ძლიერი და მტკიცე ხმით, რომელიც მისგან არასოდეს გამეგონა, გამოაცხადა, აქ უფლის, ტაძარია და ვინც მასში ძალმომრეობისათვის შემოჭრას გაბედავს, უფლის მსახვრალი ხელით მიიღებს სიკვდილსო. ყველას, ვინც ტაძარში იმალება, უფალი თავისი სიძლიერით იცავსო.

— იქნებ არ იცოდით? — გამძვინვარებულმა შესძახა უცებ.

ამ სიტყვებით დამფრთხალმა, საზარელმა, ლურჯსახიანმა ბრბომ უკან დაიხია; ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ირტისოდენი ეჭვიც არავის ეპარებოდა, ეს უმისოდაც ყველამ კარგად იცოდა. ბრბომ უკან, კოლონადისაკენ დაიხია, მაგრამ მოხუც მსახურს მოეჩვენა ვიღაცეები ფეხს ითრევენო. მაშინ გულიანად სტაცა ხელი ცოცხს, რომელსაც მუდამ შესასვლელთან ტოვებდა და ამდენი ხალხი ნაგავივით ისე გახვეტა, თითქოს თავის საქმეს ასრულებდა. ის ხომ უფალმა ტაძრის სისუფთავის მოსავლელად დააყენა.

ამგვარად ყველა გააძევა, თავად კი კოლონადაში დარჩა, რათა შეეკავებინა ისინი და მათთვის, ვინც შიგნით შემოჭრას შეეცდებოდა გზა გადაეღობა. როგორც ჩანს, მოახერხა, ტაძარში არავინ გამოჩენილა. ბრბო შესამჩნევად ჩაწყნარდა, მხოლოდ განუწყვეტელი ხმაური და დროდადრო ცალკეული წამოძახილები მესმოდა.

მარტო ვიყავი ტაძარში, მარტო, უფლის მფარველობას შეფარებული. უარი არ უთქვამს, მთლად არ დავიწყებია, რომ მას ვეკუთვნოდი. მკლავები გადამიშალა, თავისი ნათელი მკლავები გადამიშალა და დღის სინათლით გაჩახჩახებულ ტაძარში მიმიღო, სწორედ იმ დიად ტაძარში, სადაც მე არ ვემსახურებოდი. როგორც იქნა, აქ მიმიღო.

საოცარია, ამ მძიმე წუთებში, როცა ტაძრის კედლებს მიღმა ბრბო ჩასაქოლად მელოდა და ალბათ, მომკლავდა, უცებ საზეიმო სიჩუმით

ავივსე; მან ბოლოს და ბოლოს, ამავსო თავისი სიჩუმით, რომელსაც ამდენგზის ვთხოვდი და ადრე არასოდეს მანიჭებდა. როგორც იქნა შევიგრძენი სიმშვიდე და მშვიდობა, ასე რომ ვემუდარებოდი, როგორც იქნა, მის მკერდში ჩაკრულს მშვიდად დასვენების უფლება მომეცა. ვხვდებოდი, რომ ეს წამიერი განცდა გახლდათ, ჩემი ხვედრი ხომ გადაწყვეტილი იყო. ვხვდებოდი და მაინც უზომოდ ბედნიერი ვიყავი.

ირგვლივ ყველაფერს ისე მოწიწებითა და სიხარულით ვუმზერდი, როგორც იმ დღეს, როცა აქ დედასთან ერთად მოვედი, მისი სავანე პირველად დავინახე და მეგონა აქ ვემსახურებოდი. ჩემს სურვილს ახდომა არ ეწერა, მაგრამ ახლა აქ, თავის ჭეშმარიტ ტაძარში მიმიღო, სასიკვდილო საშიშროების ჟამს თავშესაფარი და სიმშვიდე აქ მომანიჭა. ახლა, როგორც არასდროს ვგრძნობდი მის სიახლოვეს, მაგრამ ამჯერად ცეცხლისა და სიმხურვალის სახით კი არა, სინათლის სახით მომევლინა. ვგრძნობდი, სახეზე მისი სინათლე მეფრქვეოდა და ბედნიერებისაგან დახუჭულ თვალებს ცრემლი მიწვავდა.

ამ სასტიკმა, შეუცნობელმა ღმერთმა თავისი სინათლე, თავისი სამყარო გულუხვად მიძღვნა, ახლა, როცა ყველაფერი დასრულდა, როცა მისი ტაძარი სამუდამოდ უნდა დამეტოვებინა. თავისი სიმშვიდე ახლა მაჩუქა წამიერად, მხოლოდ წამიერად და ისიც მაშინ, როცა იქ, კედლის მიღმა ჩახლეჩილი ხმები ყვირილით მომითხოვდნენ. ეს ყვირილი იჭრებოდა მისი ტაძრის სიჩუმეში, იმ სამყაროში, რითაც ბოლოს და ბოლოს დამასაჩუქრა.

არასოდეს დამავიწყდება ის წუთები. არასოდეს ჩამიქრება მადლიერების გრძნობა, რომ მისი განცდის უფლება მომენიჭა და ვერასოდეს გავიგებ ასეთი როგორ შეუძლია იყოს, ასეთი რად უნდა იყოს.

იქნებ ამანაც მიშველა; გული გავიმაგრე, ძალა მოვიკრიბე და ტაძარი დავტოვე, თუმცა ბრბო კვლავ იქვე იდგა, მდარაჯობდა და თავშესაფრიდან ჩემს გამოსვლას ელოდებოდა. არ ვიცი ასე რად მოვიქეცი, იქნებ უფალმა ჩამაგონა, ან პირიქით იდუმალი დაუმორჩილებლობა, ჯანყი, თვითდამკვიდრებისაკენ მისწრაფება, ამ იდუმალი, უგულო ღმერთის გამოწვევა იყო. იქნებ სიამაყე ან სიკვდილისა და ბრბოს ზიზღიც ერია. ასე იყო თუ ისე, გადავწყვიტე უხიფათო ნავსაყუდელი დამეტოვებინა და ჩემი ხვედრის, სიკვდილ-სიცოცხლის შესახვედრად გავსულიყავი. ტაძარში უსასრულოდ დარჩენა მაინც შეუძლებელი გახლდათ, ადრე თუ გვიან წასვლა მაინც მომიწევდა.

ორაკულის მოხუცმა მსახურმა დაინახა, რომ სანდლებს ვიცვამდი, მიხვდა, რას ვაპირებდი და დაფრთხა. ჩურჩულით მთხოვა, ამ სიგიჟეზე უარი თქვით. მაგრამ მისი თხოვნის მიუხედავად, მიღებული გადაწყვეტილება ალარ შეცვალე.

ყველას გასაოცრად კოლონადაში გავედი და კიბეზე დავეშვი. ბრბო ისე გაოგნდა, გონს ვერ მოიკრიბა, არც კი გავულანძღივარ. მხოლოდ მიცქეროდა და მდუმარედ გზას მითმობდა. როგორც ჩანს, ახლა, როცა ბოლოს და ბოლოს გამოვედი და მათ წინ წარვსდექი, ისევ ვაფრთხობდი, როგორც ვაშინებდი მუდამ, სანამ პითია ვიყავი; თანაც ჩემი უფრო ეშინოდათ, ვიდრე ორაკულის სხვა ქურუმებისა, მე ხომ უფლის განსაკუთრებით საყვარელი რჩეული გახლდით და როგორც არავინ, ისე ვიყავი მისი სულით აღტანილი, მისით აღვსილი. ეტყობა ბრბომ იფიქრა, თუმცა შეაჩვენეს, ღვთიური ძალა, თუნდაც მრისხანე შეჩვენების სახით კვლავ ცოცხლობს მასშიო. ეს აშინებდა, მოშორებით აჩერებდა, ახლოს მოსვლას ვერავინ ბედავდა. ხალხი მგონი, ჩემმა საქციელმაც დაზაფრა. გაიოცეს, რომ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ტაძრიდან გამოსვლა გავბედე და მათ შორის გამოვჩნდი, ეს არ ესმოდათ, ადამიანი ასე არ იქცევა, აქ რაღაც არაადამიანური მოჩანდა.

ბრბო მზად იყო ჩავექოლე, მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, თვალები სიძულვილით უბრწყინავდა და მაინც კარგა მოშორებით ფრთხილად იდგა.

კიბეზე დავეშვი და ტაძრის მოედანი გადავკვეთე, რათა წმინდა გზაზე გავსულიყავი. ბრბომ გზა დამითმო. გახელებულ, ქვებითა და მარგილებით შეიარაღებულ ხალხს შორის მივაბიჯებდი და ვერავინ მიბედავდა შეხებას. მაგრამ უკანა რიგები თანდათან ახმაურდნენ, აყვირდნენ. მალე ყოველი მხრიდან წამოვიდა ლანძღვის კორიანტელი, ყველაზე უხეში სიტყვები, რაც ქალს შეიძლება უწოდო. ფეხმძიმობისთვის შეუფერებელ ჩემს ასაკს ბოროტად დასცინოდნენ! ისინი არაფრის წინაშე არ იხევდნენ უკან, სამართლიანი აღშფოთებითა და სიძულვილით იყვნენ განმსჭვალულნი ჩემდამი, ვინც თავი მოჭრა ქალაქს, ტაძარს, ღმერთს, ყოველივეს, რითაც ისინი ცხოვრობდნენ, ვინც დელფოს და ორაკულს არნახული ლაფი დაასხა, რაც თავის მხრივ პილიგრიმთა ნაკადის შემცირებასა და ალბათ, მათი შემოსავლის შემცირებასაც გამოიწვევდა. არაბუნებრივი ზიზღისაგან ბრბოს სახეზე სისხლი წამოაწვა. მრავალი მათგანი სიძულვილით ვიცანი, ყველანი ხომ აქაურები იყვნენ, წელიწადის ამ დროს დელფოში უცხოები არ მოდიოდნენ. ყველა წრის, ყველა წოდების ქალები და მამაკაცები ირეოდნენ ბრბოში, თანაც ქალები მრავლადაც იყვნენ, თუმცა ერთი შეხედვით, ვის, თუ მათ არა, ჩემსავე დებს უნდა გაეგოთ და სიყვარულისთვის ჩადენილი ცოდვა უნდა მიეტევებინათ. ისეთი რა ჩავიდინე, მათ ენაზე ხომ ამას სიყვარული ერქვა.

ეს უგვანო სახეები სამუდამოდ ჩამინერგავდა

ზიზღს ადამიანისადმი, ამ სახელით ცნობილი უგვანი არსებისადმი, მათ მიმართ ჯანსაღ აზრს რომ არ ეკარნახა, მთავარი ეს არ არის, მთელი სიმართლე ეს არ არისო. მაგრამ მაშინ ეს სიმართლე, სახიფათო და მრისხანე სიმართლე იყო.

ისინი ფეხდაფეხ მომდევდნენ, უკნიდან მომადგებოდნენ, გვერდიდან შემომირბენდნენ, დაუსრულებლად ყვიროდნენ და ილანძღებოდნენ. მაგრამ შეხებას ვერ მიბედავდნენ, ეშინოდათ. იქნებ იმიტომაც, რომ წმინდა გზას მივუყვებოდი. ეს გზა ხომ ტაძარივით ის ადგილი გახლდათ, სადაც მშვიდობა არ უნდა დარღვეულიყო და ძალმომრეობა არ უნდა მომხდარიყო. ან იქნებ მოხუცი მსახურის სიტყვებით აღძრული შიში ჯერ არ გამქრალიყო.

გზამ გვერდზე გაუხვია; უკანასკნელად მოვიხედე, რათა ჩემი მეგობარი, ჩემი ერთადერთი კეთილისმსურველი დამენახა. იგი კვლავ ტაძრის კიბეზე იდგა და თვალს მადევნებდა. ასე იდგა იქ, თავისი ცოცხით ხელში და ტიროდა. გამწარებულმა ცრემლი ძლივს შევიკავე. რამდენიმე წამში კი იგი უკვე აღარ მოჩანდა და მეც თავი მაშინვე უსაზღვროდ ეულად და ობლად ვიგრძენი.

ასე მივდიოდი ახლა წმინდა გზაზე, რომელსაც ოდესღაც, სინორჩის ჟამს, ერთ ღვთიური სიდიადით გასხივოსნებულ დილას, აღფრთოვანებული, უფლის პატარძლად მორთული და მისდამი სიყვარულით აღვსილი მივუყვებოდი. ახლა ამ გზაზე უკანასკნელად მივდიოდი და როგორ განსხვავდებოდა ეს გზა, იმ პირველი გზისაგან. ირგვლივ მუქარისა და შეურაცხყოფის კორიანტელი იდგა, არ ვიცოდი, წინ კიდევ რა საშინელება მელოდა და უცნაურია, მაინც მშვიდად ვიყავი. ისევე მშვიდად, როგორც ტაძარში. ოღონდ ახლა, ვგონებ, ეს ჩემს მიერ მოპოვებული, ჩემი ძალებით შექმნილი სიმშვიდე იყო. იქნებ არა?

ჩემს მდგომარეობაში ასეთი სიმშვიდე ბრბოსთვის ალბათ არაბუნებრივი იყო და აფრთხობდა, შიშით ჩემზე ხელს არ აღმართვინებდა. ვფიქრობ, მე, თავიანთ ყოფილ პითიას, იმიტომ ვერ დამეხსნენ მარგილებით თავს, რომ მოკვარების ეშინოდათ ან ის ძალა ზარავდათ, ძველებურად რომ შეიძლებოდა ჩემში დაფარული ყოფილიყო. მაგრამ, როგორც კი წმინდა გზა დასრულდა და იძულებული გავხდი მთის ფერდობს შევყოლოდი, წარმოუდგენელი კივილი ატყდა და ჩემს კვალს ქვების სეტყვა გამოჰყვა. ზოგიერთი ქვა მომხვდა, მაგრამ ეს სასიკვდილო არ იყო. მგონი სასიკვდილოდ აღარც ჩემი მდევრები მესხმოდნენ თავს, ჩემს მოკვლას ველარ ბედავდნენ და მზად იყვნენ ჩემი განდევნით დაკმაყოფილებულიყვნენ. ერთი ქვა კეფაში ისე ძლიერად მომხვდა, რომ მიწას დავასკდი და ველარ წამოვდექი. მხოლოდ მცირე ხნის შემდეგ წამოვიწიე და კვლავ მთაზე ავბობღდი. ბრბო უკან აღარ გამომყოლია, ქვემოთ იდგა, შეჩვენებას მითვლიდა და ყვიროდა: აბა, გაბედე დელფოში დაბრუნება, შენი ფეხი არ ვნახოთ აქ არასდროსო.

მოშორებით წავედი, სადაც ვერავინ დამინახავდა და სულის მოსათქმელად ჩამოვჯექი. აშკარად გადავრჩი. ჭრილობებიდან, განსაკუთრებით კი კეფის ჭრილობიდან სისხლი მდიოდა. ხელს ვაჭერდი და ხელისგული სისხლით მევსებოდა. სხეულიც დალურჯებული მქონდა. მაგრამ დანარჩენი უვნებლად გადამირჩა, მოულოდნელად, იოლად გადავრჩი, არადა რა ხიფათი ელოდა ჩემს სიცოცხლეს.

ყველაზე მეტად მეშინოდა, ისე დამამახინჯებენ ჩემი პირმშოს ტარებას და შობას ველარ შევძლებ, სულიერ ან სხეულის ისეთ ტრამვას მომაყენებენ, ფეხმძიმე ქალისთვის საბედისწერო აღმოჩნდება-მეთქი. ახლა აღარ მეშინოდა, მსგავსი არაფერი მომსვლია. ჩემმა ძლიერმა სხეულმა, ბევრს რომ გასტეხდა, ისეთი სასტიკი სასჯელი აიტანა, სულმა კი სიმშვიდე შეინარჩუნა. თუ ეს სიმშვიდე მთლად ჩემი დამსახურება არ იყო, თუ აქაც უფლის ხელი ერია, მისი მადლიერი გახლდით. უფალმა ცხადია, ჩემს გადარჩენას და ესე იგი ბავშვის გადარჩენასაც ხელი შეუწყო. ოღონდ შეიძლებოდა კი უფალს ამ ბავშვის გადარჩენა სდომებოდა?

უპირველეს ყოვლისა, ცხადია ორაკულის მოხუცმა მსახურმა მიხსნა. ის რომ არა, ამ კოშმარულ დღეს ვერ გადავიტანდი-მეთქი, ვფიქრობდი იმ საღამოს, როცა განვლილს თვალი გადავავლე და ღია ცის ქვეშ პირველი ღამის გასათევად მოვემზადე. მოგვიანებითაც ვფიქრობდი, როცა ღამის გასათევად ფოთლები მოვხვეტე, მთის ღრმულში, საიდანაც არავითარი ადამიანური საცხოვრებელი არ ჩანდა. პირდაპირ მიწაზე მოვეწყე და მხოლოდ მთების ციცაბო ფერდობები და მათ შორის ვარსკვლავები დავინახე: სულ მთლად ეული, მასზე, ჩემს ერთადერთ მეგობარზე ვფიქრობდი და ეს ფიქრი მამხნევებდა, ძალას მმატებდა.

ჩემი მეგობარი როგორღა უყურებდა ჩემს დანაშაულს, ჩემს საქციელს? ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ის დამეხმარა, სიცოცხლე გადამირჩინა, მხარი დამიჭირა, მაგრამ არ გამიგია, როგორ განსაჯა ჩემი დანაშაული, რომელმაც მთელი ქალაქი აალელვა. ჩვენ სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, ამის საშუალება არ გვქონდა.

მისმა ცნობიერებამ ალბათ ვერ აღიქვა ჩემი დანაშაული. მას ადამიანში ცუდის შემჩნევა არ შეეძლო, ამიტომ არავის განსჯიდა და არც მე განვუსჯივარ.

ახლა რა ეშველებოდა, ადამიანური სიკეთის მისეულ რწმენას, რა მოელოდა. ეს მოვლენები, რომლის მოწმეც დღეს გახდა, რომელმაც ალშფოთების ასეთი აფეთქება გამოიწვია უფლისა და ადამიანებისადმი მის ნდობაზე, როგორ იმ-

ოქმედებდა? ხომ არ შეატრიალებდა, ხომ არ დაარბევდა მის წარმოდგენას სამყაროზე?

არა, ვიმედოვნებდი. მალე დაივიწყებდა ამბავს, რომელმაც ცხოვრება აუწეწა და რომლის მიზეზიც მე გახლდით. კვლავ უწინდებური დარჩებოდა და როგორც მის ბუნებას შეეფერება, ადამიანებში მხოლოდ სიკეთეს დაინახავდა. სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო იგი, ღმერთისა და ადამიანების კეთილი მეგობარი და მოგონებებშიც ასეთი მსურდა შემომენახა.

თავი დავიიმედე და მშვიდად ჩავიძინე.

ღამით სიცივემ რამდენჯერმე გამომაღვიძა და როცა ბოლოს და ბოლოს მზე ამოვიდა და მიდამოც ცოტათი გათბა, ფრიად გავიხარე. შუა ზამთარი იდგა, ღამ-ღამობით ძალიან ციოდა.

საერთოდ იმ წელს ძალიან თბილი ზამთარი დადგა; კიდევ კარგი, თორემ ვერ გავუძლებდი. ისედაც ძალიან მიჭირდა, მძიმე იყო არსებობა, უბრალოდ შიმშილით სიკვდილს გადარჩენა, ღამის სიცივეების ატანა. თავშესაფარს ხან გამოქვაბულებში ვეძებდი, ხან მწყემსების მიტოვებულ უბადრუკ ქოხში, ხოლო საკვებად თავდაპირველად მჟინც, ძველი, გამხმარი, ცოტა დამპალი კენკრა და ფიჭვის გირჩების თესლი მქონდა. რაც მომხვდებოდა,იმას მივირთმევდი, ოღონდ ცოტა მოვემაგრებინე, ან სიმაძღრის გრძნობა მოეცა. დიდხანს დავეხეტებოდი, ვეძებდი კენკრას, რომლის სახელიც არ ვიცოდი. მაგრამ დროთა განმავლობაში გული მომეცა და მოხერხებაც გამოვიჩინე. შიმშილი მდევნიდა და ბავშვზე ზრუნვა მაშფოთებდა; ბავშვზე, რომელსაც უნდა ეცოცხლა და ჩემი მუდმივი შიმშილით არ უნდა დაზარალებულიყო. სხვისი თხები თავისკენ მიტყუებდნენ, როცა მთაში მხვდებოდნენ და მეც მათი გამოწველა დავიწყე. რძეს რომელიღაცა მწყემსის ქოხში ნაპოვნ თასში ვაგროვებდი და თავშეუკავებელი სიხარბით ვსვამდი. უფრო და უფრო უშიშრად და მოხერხებულად ვეტანებოდი სხვის თხებს. უფრო ჯანმრთელ და მშვენიერ საკვებს ჩემთვის და ბავშვისათვის ვერც მოვძებნიდი. შემდეგ მწყემსებისათვის ყველის და პურის მოპარვაც გავბედე. შორიახლო ბუჩქებში ან მაღალი ქვის უკან ვიმალებოდი და მათ წასვლას ველოდი, მერე კი მათ ქოხში შევიპარებოდი. ამ გზით ვიშოვე თხის ტყავი, რომელსაც ღამით ვიხურავდი. ყველაფერს ვიპარავდი, რაც კი ხელში მომხვდებოდა, და სინდისის ქენჯნის გარეშე ჩავიდენდი ყველაფერს ბავშვის გამო, მისი და ჩემი ბავშვის გამო, ეს ხომ ჩვენი სიყვარულის პირმშო გახლდათ, ეს ხომ საბუთი იყო, რომ მისი სიყვარული არ მოკვდა, რომ იგი ჩემში ცოცხლობდა, რომ ჩემი შეყვარებული კვლავ ჩემში ცოცხლობდა.

ველური არსებასავით, ველური პირუტყვივით ვცხოვრობდი მთაში. ხალხის მიერ გაძევებული, მათი ცხოვრებისაგან იძულებით მოკვეთილი, ნამატის მომლოდინე დევნილი ცხოველივით არაფერს ვთაკილობდი, რათა ჩემი და ბავშვის სიცოცხლე გადამერჩინა. იმ ადგილებს, სადაც ხალხი ცხოვრობდა, გულმოდგინედ ვერიდებოდი, მათთან ყოველგვარ შეხვედრას თავს ვარიდებდი, მათგან სიკეთეს არ ველოდი. და სულ მეშინოდა მწყემსებმა არ შემამჩნიონმეთქი. ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდნენ შესაძლებლობას, რამე ზიანი მოეყენებინათ ჩემთვის, ისინიც ხომ ადამიანები იყვნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, მაშინ ბედნიერი ვიყავი. ბედნიერი ჩემი თავისუფლებით, სხეულის ჯანმრთელობით, რომელიც ასეთ ცხოვრებას უძლებდა და არ ზიანდებოდა, რომელიც მძიმე და ყველაფერსმოკლებული ცხოვრებისაგან მგონი უფრო ძლიერი და ამტანი ხდებოდა და ყველაფერის გადასატანად მზად იყო. ბედნიერებას მანიჭებდა ფიქრი, რომ ჩემი პირმშო, რომელიც უნდა გამეჩინა და გულთან ვატარებდი, ჩემმა შეყვარებულმა ჩასახა. მუდამ ვგრძნობდი, როგორ მოძრაობდა, როგორ ცოცხლობდა ბავშვი ჩემში და ეს აუწერელი ბედნიერებით მავსებდა. მარტოსული და ყველას მიერ განკიცხული, უბედურების, მღელვარების, შიმშილისა და სიცივის მიუხედავად დედობის შეუდარებელ ბედნიერებას სრულად აღვიქვამდი.

ბოლოს და ბოლოს გაზაფხულიც დადგა. ყველაფერი გაადვილდა და სულსაც შეღავათი მიეცა. აღარ ვიყინებოდი და მალე ჩემთვის, ისევე, როგორც სხვა, ველური ცხოველებისათვის უფრო მეტი საკვები უნდა გაჩენილიყო. უკვე ვპოულობდი ღორთქო, ცოცხალ ბალახს, რომელიც არ გაძლობდა, მაგრამ ჯანმრთელობისათვის უდავოდ სასარგებლო იყო. თხის რძე შესამჩნევად ბლანტი გახდა. თხების მიტყუება ძნელი არ იყო, ისინი თავად მოდიოდნენ და მოსაწველად მიშვებდნენ, იქნებ იმიტომ, რომ უკვე მიცნობდნენ, ან ქალი რომ წველიდა, ის მოსწონდათ. თხები ხშირად ფეხდაფეხ დამყვებოდნენ და მეც მათი გაყრა, თავიდან მოშორება მჭირდებოდა. მე ხომ სულ მეშინოდა მწყემსები შემნიშნავენ-მეთქი. ის თხებიც კი, რომლებიც ადრე არასოდეს მენახა, ხანდახან კუდში ამედევნებოდნენ.

მაშინ პირველად შევნიშნე, რომ მათ რაღაცით ვიზიდავდი, თუმცა თავდაპირველად ეს უცნაურად სულაც არ მომჩვენებია, პირიქით სრულიად ბუნებრივი მეგონა.

მთები ყვავილებით გადაჭრელდა. ღამ-ღამობით ვიწექი, მათ სურნელებას ვისუნთქავდი, გული მეწურებოდა და ვნატრობდი იმას, ვისაც ოდესღაც ვუყვარდი, ვინც გაზაფხულის სასწაული, ჩემი სხეულის ერთადერთი გაზაფხული შემაცნობინა.

სად იქნებოდა, ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო? ნეტავ თუ დამიბრუნდებოდა ახლა, როცა პითია აღარ ვიყავი და მის პირმშოს ვატარებდი? ნეტავ თუ შევძლებდით ამ ცხოვრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად გვეცხოვრა და ბედნიერები ვყოფილიყავით.

უსარგებლო ფიქრები გაზლდათ. ის მოკვდა. ის აღარ იყო ამ ქვეყანაზე და არც აღარასოდეს იქნებოდა. ფერმკრთალი და სისხლისაგან დაცლილი მდინარეში იპოვნეს, ერთადერთ ხელში კი უფლის წმინდა ხის ტოტი ქონდა ჩაბღუჯული. ეს იყო და ეს და მარად ასე დარჩებოდა.

ადამიანს მხოლოდ ერთი ხვედრი აქვს. და როცა მას ბოლომდე გალევს, აღარაფერი დარჩება.

მრავალი ხვედრი მხოლოდ ღმერთებს აქვთ და სიკვდილიც არ იციან. მათ ყოველივეს შეგრძნება და განცდა შეუძლიათ. ყოველივესი, ადამიანური ბედნიერების გარდა. ამის შეცნობა არ ძალუძთ, ამიტომაც სურთ ადამიანებს წაართვან. არაფერი მათში ისეთ გაავებას და სისასტიკეს არ აღვიძებს, როგორც ადამიანი, რომელსაც სითავხედე ეყო ბედნიერება განეცადა, რომელმაც მიწიერი ბედნიერების გამო ღმერთები დაივიწყა. მაშინ ღმერთები შურს იძიებენ და თავისი წმინდა ხის ტოტს მსხვერპლს ერთადერთ ხელში ჩაუდებენ.

ხანდახან, წყნარ ღამეებში მეჩვენებოდა, თითქოს მესმოდა, როგორ მოედინებოდა ხეობაში მდინარე. აქ, მთებშიც კი მესმოდა. ხმა მდინარისა, რომლის ძლიერი ქუხილი ჩვენს სიყვარულს განუშორებლად დასდევდა, შემდეგ მას ასეთი საბედისწერო დარტყმა აგემა, შური ასე სასტიკად იძია. ახლა კვლავ გაზაფხული იდგა, უდაბური უფსკრულის ფსკერზე წყალმა, ალბათ, ძალიან მოიმატა და შესაძლებელი იყო, რომ მის ქუხილს აქამდეც მოეღწია.

შეუძლებელია, ეს ქუხილი მხოლოდ შიგნიდან გამეგონა.

არა, აშკარად მესმოდა, რომ იქიდან, უფსკრულის ფსკერიდან ამოდიოდა. მარტოდ-მარტო ვიწექი ყვავილებს შორის და მესმოდა ამ მდინარის ხმა, სასტიკი მდინარის ხმა, რომელმაც ჩემი შეყვარებულის სისხლი წაიღო.

მო, ის გაზაფხული ჩემთვის სასიხარულოც და, როგორც ყველა ეული შეყვარებულისათვის, მძიმე ხანაც იყო. ეული? სულაც არ ვიყავი ეული, ამის თქმა როგორ შევძელი! ჩემში, ჩემს წიაღში ხომ ჩემი შეყვარებული ცოცხლობდა, ჩვენი სიყვარული ცოცხლობდა და სიკვდილზეც და საკუთარ დასასრულზეც ზეიმობდა. თავად უფალზეც კი ზეიმობდა! ალბათ, თავხედობაა ამის მტკიცება, მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე იყო. უფალმა ტყუილად წაართვა მას სიცოცხლე, მდინარეს ტყუილად გაატანა მისი სისხლი, ის კვლავ ცოცხლობდა ჩემში მე მივეცი მას ახალი სისხლი, ჩემი გულის ის ცხელი სისხლი, რომელიც ჩემს სიყვარულს აღვიძებდა. ადამიანური სიყვარულის სისხლი, რომლის შესახებაც ღმერთებმა არაფერი უწყიან.

აი, ასე მოხდა. ჩვენსა და უფალს შორის ბრძოლა ასე დასრულდა.

კეთილი, მშვიდი ზაფხული [illegible] გაფურჩქვნის, მწიფობის [illegible] მიწის წიაღი ზეიმობს. [illegible] ქვებს შორის მოქცეული მთელი ხეობა გადაიქცა დიდებულ წიაღად, სადაც სიცოცხლე მწიფობას იწყებდა და აქაც, ზემოთაც, ყოველივე, რასაც ამველურ ფერდობზე ფეხის მოდგმა შეეძლო ასევე უხვად და დაუდგრომლად გაიშალა. ირგვლივ სინათლე და სიხარული, სიმშვიდე და იმედი სუფევდა და მეც მშვიდობითა და ნათელი იმედებით ვიყავი სავსე, თუმცა სადარდებელიც არ მაკლდა; როგორ ვიმშობიარებდი, რით გამოვკვებავდი თავსაც და ჩემს შვილსაც, სხვაც ბევრ რამეზე ვფიქრობდი. თუკი ვინმეს ჰქონდა მიზეზი მომავლისთვის შეშფოთებით ეცქირა, ერთ-ერთი ალბათ, მეც ვიყავი, მაგრამ მე არ ვღელავდი. განა ღირდა ამაზე თავის შეწუხება? უკეთესი მომავლის იმედი მქონდა და არაფერზე ვდარდობდი, როგორც პირმშოს მომლოდინე ქალს შეეფერება. ჩემი ყოველთვის ძლიერი სხეული ახლა უშველებელი და უფორმო გახდა; მიუხედავად ამისა, კვლავ იოლად ვმოძრაობდი. მე ხომ მუდამ ცოცხალი და ბუნებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი. დედალი პირუტყვი, რომელიც ნამატის მოლოდინში იძულებულია თავად იშოვნოს საკვები, ადვილად მშობიარობს, ვფიქრობდი და მწამდა, რომ მეც ასე გავაჩენდი. განა შეიძლებოდა ამის შესახებ რაიმე მცოდნოდა?

უფრო და უფრო დაცხა; ზაფხულმა ძალა მოიკრიბა და მეგონა ეს-ესაა მშობიარობის ჟამი დამიდგება-მეთქი, მაგრამ ჟამი არა და არ დგებოდა. ველოდი, ველოდი, მაგრამ, მშობიარობა არა და არ იწყებოდა. თავგზა ამებნა. როგორც ჩანდა, ყოველგვარ ვადას გადავაცილე, ოღონდ არ ვიცოდი, რამდენით. ცხადია მახსოვდა, როდის ვიყავით ერთად უკანასკნელად, სულ უკანასკნელად... მაგრამ არა, ამაზე სჯობდა არ მეფიქრა, ძალიან მძიმე იყო... სჯობდა! მეფიქრა, რომ მალე ჩვენი სიყვარულის ნაყოფი მომწიფდებოდა, სჯობდა მეცოცხლა მოგონებებით ჩვენი სიყვარულის საუკეთესო ხანაზე, როცა ორივეს ერთმანეთი მხურვალედ გვიყვარდა, ისე გვიყვარდა, რომ ყოველივე დავძლიეთ. ახლა ჩვენი პირმშო გაჩნდებოდა, ჩვენი სიყვარულისა და მსხვერპლად შეწირული, გარდაცვლილის პირმშო — ჩვენი ტრიუმფი, სიკვდილზე გამარჯვება, ყველაფერზე, თვით ღმერთებზე გამარჯვება.

მაგრამ ვერა და ვერ ვაჩენდი. ველოდი და ველოდი, მაგრამ მშობიარობა არა და არ იწყებოდა.

ზაფხული გრძელდებოდა, სიცხე კი უფრო და უფრო საშინელი, აუტანელი, სიქაგამცლელი გახდა. და მხოლოდ ღამით აგრილდებოდა ხანდახან, როცა მარადიული თოვლით დაფარული მთებიდან სიგრილე დაეშვებოდა.

არ მახსოვს ისეთი ცხელი ზაფხული, როგო-

როც იმ წელს დადგა. ცხადია, ჩემს მდგომარეობაში განსაკუთრებით მაწუხებდა სიცხე, მაწვალებდა ჩემი ვეებერთელა, დამძიმებული ხხეული ადრე სულაც რომ არ მაწუხებდა. კიდევ უფრო გავიბერე და მეგონა, მეტი გაბერვა შეუძლებელია და ჩემს მოსალოდნელად ყოველივე მზადაა-მეთქი. მაგრამ მშობიარობა არ იწყებოდა. როგორც ჩანდა, ამ ბავშვს ვერასოდეს გავაჩენდი.

ასე დიდი ხნით როგორ შეიძლებოდა მშობიარობის შეყოვნება? არაფერი მესმოდა. ნუთუ მართლა შესაძლებელი იყო ამდენხანს შეყოვნება?

ერთხელაც სიცხისაგან გათანგული ვიწექი და ბოლოს და ბოლოს ვიგრძენი, რომ ჰინთვა დამეწყო. ჰინთვა ჯერ სუსტი იყო, შემდეგ უცებ გაძლიერდა, გახშირდა და მტკივნეული გახდა. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა და გავარვარებული სხივებით მწვავდა. ჰაერი კი ისე ჩამოიხუთა, სუნთქვა შემეკრა. თუმცა შეიძლება მომეჩვენა კიდეც. უცებ ცის სამხრეთით შხამიანი, მოყვითალო ღრუბელი გამოჩნდა და ჩემკენ გამოქანდა. მთელი ზაფხულის მანძილზე მგონი პირველად იწყებოდა ჭექა-ქუხილი. ხეობა ჩამუქდა, ღრუბლების ავბედითი ჩრდილები მიწაზე დაცურდა და მისი მკვეთრად გამოხატული კიდე სულ უფრო მომიახლოვდა. ზეცაზე ელვა გაიკლაკნა და აშკარად გამოიკვეთა, თუმცა მზე ჩახჩახებდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ქუხილის ყრუ გრუხუნიც გაისმა.

ამისთვის მოუმზადებელი აღმოვჩნდი, ამას სულ არ ველოდი. მეგონა, სადაც მომხვდება, ღია ცის ქვეშ ვიმშობიარებ-მეთქი და თავშესაფარზე არ მიზრუნია. სად წავსულიყავი? თავსხმა წვიმაში ხომ ვერ ვიმშობიარებდი, თქეში კი წუთი წუთზე შეიძლებოდა წამოსულიყო. ელვასაც უნდა მოვრიდებოდი, აქ, მთაში მეხი ხომ ასე ხშირად ეცემა ხოლმე მიწას.

წამოვდექი და ირგვლივ მიმოვიხედე, მაგრამ თავის შესაფარებელი ადგილი ვერსად შევნიშნე. ჩრდილომახლო ხეც კი არსად იდგა. მიდამო მოვათვალიერე და მთის ფერდობისაკენ უთავბოლოდ წავეხეტე. ჰინთვები გამიძლიერდა და მომკუნტა, ტკივილმა მიწამდე დამხარა. მუცელზე ხელები შემოვიჭირე და გზა განვაგრძე, თანრით დამთავრდება ეს ყველაფერი-მეთქი, ვფიქრობდი. სად წავსულიყავი? ჩემი პირმშო სად გამეჩინა?

აი, ამ დროს თხები გამოჩნდნენ. თხები, რომლებიც ადრე არასოდეს მენახა და არც მათ შეიძლებოდა ვცნობოდი. მგონი ველური თხები იყვნენ. მათ თითქოს ესმოდათ, რა მჭირდა და როცა ვკვნესოდი, თანაგრძნობის საცოდავ, უცნაურ, უჩვეულო, თითქოს ადამიანურ ბგერებს გამოსცემდნენ. რამდენიმე თხა ერთი მიმართულებით, მთის ფერდობისაკენ წაბაკუნდა. შემდეგ ისევ მობრუნდნენ, თითქოს იქით მეპატიჟებოდნენ. მთაზე უნდა ავსულიყავი, ჩემთვის კი ეს ადვილი არ იყო. მაინც დავიძარი და უძლური ნაბიჯით, რწევით გავწიე. თითქოს რაღაცა ძალა მაიძულებდა გავყოლოდი. ხანდახან, როცა ჰინთვა განსაკუთრებით მტკივნეული იყო, წუთით შევჩერდებოდი. ცხოველებს თითქოს ესმოდათ ჩემი, თავადაც ჩერდებოდნენ და მიცდიდნენ, გზის გაგრძელებას როდის შევძლებდი. დაქანებული ფერდობი უფრო ციცაბო გახდა, ბოლოს სულ დაეკიდა და ვიფიქრე, ამას კი ველარ დავძლევ-მეთქი. როგორც კი ჩემი ყოყმანი შენიშნეს, თხები საწყალობლად აკიკინდნენ. მათი განაწყენება ველარ შევძელი, სისუსტე დავძლიე, მათ კვალს ჩავუდექი და ფერდობზე ავფოფხდი. თხები ამას აშკარა მოწონებით შეხვდნენ, ერთხმად აკიკინდნენ და ამით თავისი სიხარული გამოხატეს.

ზურგსუკან ავდრის ბობოქრობის ხმა მესმოდა. საშინელი თავსხმა ხეობიდან წამოვიდა და უფრო მოგვიახლოვდა. ყველა მთის წვერზე ქუხდა, ციცაბო კედელს კი, რომელზედაც ხელ-ფეხ ჩაჭიდებული მივძვრებოდი, ხშირი ელვა შეუწყვეტლად ანათებდა.

სრულიად დაუძლურებული, როგორც იქნა, თხებთან ერთად პატარა ბექობის მწირ, საკმაოდ სწორ ბაქანზე ავძვერი და იმ წუთას, როცა წვიმა წამომეწია, ჩემს პირდაპირ შევნიშნე გამოქვაბულის შესასვლელი, რომელიც მთის სიღრმეში იჭრებოდა. თხებმა სიღრმეში ბაკუნით შეირბინეს და მეც, თითქოს ბურანში, რწევით მივყევი.

შიგნით ბნელოდა, ყოველ შემთხვევაში სანამ თვალს შევაჩვევდი, თუმცა შემდეგშიც საკმარისი ბინდი იდგა და გამოქვაბულის სიდიდე ვერ გავარჩიე. ასე მომეჩვენა, რომ უშველებელი გამოქვაბულის ბოლო სადღაც სიბნელეში იკარგებოდა. ცხვირში თხის მძაფრი სუნი მეცა; შემდეგ აღარაფერი დამინახავს და არც არაფერი გამიგონია. თხის გამხმარი კურკლის სქელი ფენით დაფარულ მიწაზე ულონოდ დავეცი, თუმცა უჩვეულოდ რბილად ვიწექი და ჩემი სარეცელიც არაჩვეულებრივად მეჩვენა.

როგორც ჩანს, ერთი ხანობა გული წამივიდა. როცა გონს მოვეგე, თხები ირგვლივ მჭიდროდ შემომხვეოდნენ და შეშინებულები თანაგრძნობით მიცქეროდნენ. რომ დამინახეს, გამოფხიზლდაო, ხალისიანად აკიკინდნენ. მაშინვე საშინელი ჰინთვები დამეწყო, რაღაც ისეთი, ადრინდელს რომ არ ჰგავდა და მეც ველური ხმით ვიკივლე. თხები გაჩუმდნენ და შეშინებულებმა უკან დაიხიეს, შემდეგ ისევ მომიახლოვდნენ და თავადაც კვნესა დაიწყეს. რაღაც უცნაურ, გაგრძელებულ, ნაღვლიან ხმებს გამოსცემდნენ. ცხადია, არა ისე ხმამაღლა, როგორც მე ვკიოდი, მაგრამ უფრო სევდიან-ნაღველიან ხმებს, უტყვი პირუტყვის ჩივილს რომ ჰგავდა და მათი მადლით ჩემს ტანჯვაში მარტოობას ნაკლებად ვგრძნობდი.

თხები ჩემს ტკივილს იზიარებდნენ, თუმცა სხვაგვარად, ადამიანურად გამოხატვა არ შეეძლოთ; უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეც აღარ შემეძლო. ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობდით და ერთმანეთის კარგად გვესმოდა.

ჰინთვები ისე გახშირდა, მათ შორის დროის მონაკვეთი მგონი სულ აღარ დარჩა და სულის მოთქმას ძლივს ვასწრებდი. ტკივილი ისე აუტანელი გახდა, ჩემი კივილი გამოქვაბულს აზანზარებდა. თავის შეკავება აღარ შემეძლო და მგონი კივილისაგან ცოტა შვებას ვგრძნობდი. ზოგიერთი თხა ამ დროს გამოქვაბულში შეშფოთებით დარბოდა, დანარჩენები კვლავ ჩემს ირგვლივ იდგნენ, უწინდებურად თავები აეწიათ და კვნესოდნენ, მაგრამ მათი ხმა არ ისმოდა,ჩემი განწირული კივილი ფარავდა. ვხედავდი, რომ შეშინებული კიკინისაგან ცხვირპირი უკანკალებდათ, ზედა ტუჩი უხტოდათ და სველი, მოყვითალო კბილები უჩანდათ.

მაშინ არ მიფიქრია, რომ ცხოველთა საქციელი და ჩემდამი მათი საგანგებო ყურადღება რაღაც უჩვეულო იყო. მაშინ საერთოდ არაფერზე ვფიქრობდი. უბრალოდ მადლიერი ,ვიყავი, რომ შემომეხვიენ, რომ ღვთისაგან და ხალხისაგან შეჩვენებული ამ მძიმე წუთებში სულ მარტო არ დამტოვეს. მხოლოდ ამ ცხოველებმა გამოიჩინეს თანაგრძნობა, როცა ჩემს პირმშოს წამებით ვშობდი.

გარეთ კვლავ ავდარი ბობოქრობდა, ახლა ის ზუსტად ჩვენს თავზე გრიალებდა. თითქმის შეუწყვეტლად ისმოდა ქუხილი, წვიმა კი ნიაღვრებად მიედინებოდა გამოქვაბულის შესასვლელთან, რომელსაც დროდადრო ელვა ანათებდა. მთელ ცაზე თითქოს ცეცხლი გიგზიგებდა და მოციმციმე ცეცხლის ენებს ჩვენკენ იშვერდა.

ჰინთვების სიძლიერით მივხვდი, ეს-ესაა ვიმშობიარებ-მეთქი. და თუმცა ტკივილისაგან გონება მენისლებოდა, ვიგრძენი, რომ ბავშვი დაიძრა. გონებაში გამიელვა, მგონი, ყველაზე ძნელი თავის გატარება-მეთქი. საერთოდ კი აღარაფერზე ვფიქრობდი, ამისი თავი არ მქონდა. მთელი ძალით ვეხმარებოდი მშობიარობას, უფრო სწორად, ჩემი სხეული ეხმარებოდა: ჩემთან შეუთანხმებლად, ჩემს სურვილთან შეუთანხმებლად ისეთი ძალით ირჯებოდა, რომ არც ველოდი და ალბათ, თვითონ არც ვისურვებდი. ასე მეგონა, ახლა გავიფხრიწები-მეთქი. ტკივილი მაშმაგებდა, დროდადრო კი, ალბათ ნახევრადგონდაკარგულს, საკუთარი კივილი სხვისი ყვირილივით მესმოდა. არ ვიცი, ეს რამდენხანს გაგრძელდა, დროთა დინებას სულ ველარ ვგრძნობდი.

და აი, როგორც იქნა, განსაცვიფრებელი სიმსუბუქე, თავისუფლება ვიგრძენი. ცხადია, ისევ მტკიოდა, მაგრამ არა ძველებურად. სუნთქვა დამიმშვიდდა, აღარ ვკიოდი, მხოლოდ ჩუმად ვკვნესოდი. სხეულს დაჭიმვა აღარ ჰქონდა, მოდუნდა, ყველაფერი მომიდუნდა და ისეთი მშვენიერი განცდა დამეუფლა, თითქოს სიცოცხლეს კვლავ დავუბრუნდი.

თვალები გავახილე — როგორც ჩანს, მაშინ დავხუჭე, როცა ყველაზე საზარელი ტკივილები დამეწყო — გავახილე და დავინახე, რომ ფეხებს შუა რაღაც გუნდა მეგდო. თხები კი თავისი გრძელი, ვარდისფერი ენებით მას გულმოდგინეთ ლოკავდნენ. მეც ასე გულმოდგინედ გამლოკეს და სისხლი, სადაც კი მისწვდნენ ყველგან გამაცალეს. ნათელი იყო, რომ ჩემზე კი არ ზრუნავდნენ, მშობიარობის შემდეგ მე კი არ მასუფთავებდნენ, თავად სისხლი, თითქოს რაღაც განსაკუთრებული და ფარული მათ იზიდავდა და სიხარბეს ულვიძებდა. იძულებული გავხდი თხებისთვის ხელი მეკრა და რაც ძალა შემწევდა — ჯერ ისევ ძლიერ სუსტად ვიყავი — მათთვის ნამიან პირისახეში ჩამეფარებინა.

როცა იმდენად მოვსულიერდი, რომ ბავშვის აყვანა შევძელი, ხელი მოვკიდე და დავინახე, ბიჭი იყო. ჭიპის გაწყვეტა ვცადე, მაგრამ ვერ მოვერიე, მაშინ გადავკვნიტე და ბავშვი ხელზე დავიწვინე, რათა თხებს ველარ გაელოკათ. პატარა უკვე სუფთა იყო და კარგი შესახედავიც გახდა, მაგრამ თხები არაფრით არ ეშვებოდნენ. იძულებული ვიყავი დაუსრულებლად შემეძახა და გამერეკა.

თხების საქციელი არ მესმოდა, მეჩოთირებოდა, უცნაურად და საძაგლად მეჩვენებოდა. ბოლოს და ბოლოს ისეთი ზიზღი შემომაწვა, რწევით წამოვდექი ფეხებზე, რომლებზეც ჯერ კიდევ ცუდად ვიდექი და გაცლა დავაპირე. იქნებ თხების მიმართ ეს უმადურობა იყო, მაგრამ სხვა არაფერი შემეძლო. მძაფრი თხის სიმყრალითა და სამშობიარო სისხლის სუნით გაჟღენთილი გამოქვაბული გულს მირევდა. ასე მეგონა, თუ მალე არ გავედი, დავიხრჩობი-მეთქი. ამასობაში ავდარიც დაწყნარდა და თუ თავის დასაღწევად ძალა მეყოფოდა, გამოქვაბულში დარჩენა აუცილებელი აღარ იყო. ახალშობილი მკერდზე მივიხუტე, გამოქვაბულის გასასვლელისაკენ რწევით გავემართე და წვიმის შემდეგ გაწმენდილ ჰაერზე გამოვედი. ასე მეგონა, ცოტაც და გონებას დავკარგავ-მეთქი, მაგრამ სახეში სიგრილემ შემომიბერა და მიხსნა.

აი, ასე ჩაიარა სასურველმა მშობიარობამ, ამდენ ხანს რომ ველოდი, აი, ასე გავაჩინე ჩემი პირმშო.

დედაბერმა ამბის თხრობა შეწყვიტა, მხრებში გასწორდა, შემდეგ წინ გადმოიხარა, მძაფრი მოძრაობით ცეცხლი, რომელშიც დროდადრო ფიჩხს ყრიდა, გაქექა.

— აი, ვინ გავაჩინე, — აღელვებით შესძახა მან. — აი, ის კუთხეში რომ ზის. ასეთი აღმოჩნდა ჩემი მხურვალე სიყვარულის, უმაღლესი ადამიანური ბედნიერების ნაყოფი. აი, როგორ დასრულდა ჩვენი მხურვალე სიყვარული,

წმინდა წყაროსთან რომ დაიწყო, ზაფხულის მხურვალე სიყვარული აყვავებულ პურის ყანაში, მოწმეებად არწივები რომ ჰყავდა!

აი, ეს არის ჩვენი შვილი.

ეს არ მესმოდა, ამის ახსნა შეუძლებელი იყო. რაც უფრო იზრდებოდა ბავშვი და ვხვდებოდი, როგორიც იყო, ეს ამოუხსნელი გამოცანა, თუ როგორ შვა ჩვენმა სიყვარულმა ასეთი ნაყოფი, უფრო და უფრო დაუსრულებელი და ამაო ფიქრებით მბოჭავდა. ცხადია, ბავშვი მაშინ ჩაისახა, როცა ჩვენი სიყვარული ძველებურად ბედნიერი აღარ იყო. და ვინც ჩასახა, მგონი, შეყვარებულიც აღარ გახლდათ. ეს იყო მიზეზი? ასე ძვირად ეს დაგვიჯდა? ასე სასტიკად ძვირად დაგვიჯდა.

მაგრამ უწინ ხომ ვუყვარდი, ჩვენი შვილი მაშინ რად არ ჩაისახა? თუ შვილის გაჩენა გვეწერა, ადრე, ჩვენი სიყვარულის მხურვალე შუადღის ჟამს რად არ ჩაისახა? რად გაჩნდა მხოლოდ დასასრულს, როცა ჩემს შეყვარებულს ნამდვილად აღარ ვუყვარდი, როცა ვნებადაცლილი მეალერსებოდა და მის სასიცოცხლო წვენს ჭეშმარიტი ძალა დაკარგული ჰქონდა? ასე რად მოხდა? ჩემი უბედური საშო მხოლოდ მაშინ რად განაყოფიერდა?

განა გასაოცარი არ იყო, რომ უფრო ადრე არ დავორსულდი?

იქნებ ეს უკანასკნელ დღეს მოხდა, ჩვენი უკანასკნელი სიახლოვის იმ მძიმე წუთებში, როცა ეს არც მე მიხარებდა გულს, არც იმას.

უკანასკნელად... ცხადია, მაშინ უნდა მომხდარიყო, სხვაგვარად მშობიარობამდე ზედმეტად ბევრი დრო გავიდა. ისედაც ძალიან ხანგრძლივი იყო დრო...

არა, სჯობდა ეს არ მეფიქრა! ოღონდ ეს არა!

ქალი ხშირად დადგენილ დროზე დიდხანს ატარებს ნაყოფს. ყოველ შემთხვევაში ასე ხანდახან მაინც ხდება. ზუსტად ხომ არავინ იცის, როგორ გამოითვალოს, ესეც ხშირად მსმენია. არა, აქ ვერაფერს გავიგებდი, თავის ატკივებადაც არ ღირდა. სჯობდა ეს არ მეფიქრა, სულ არ მეფიქრა. სულ ერთია, არაფერი გამოდიოდა. სჯობდა თავიდან გამოემებერტყა... სხვა რამით უნდა დამეკავებინა გონება, სულ ერთი იყო, რით დავაკავებდი, ოღონდ ამ უსაფუძვლო, უაზრო ანგარიშისთვის თავი დამენებებინა...

ასე ვეუბნებოდი, ასე ვარწმუნებდი თავს...

აზრი კი, რომელსაც თავიდან ვიშორებდი ასეთი იყო: თუ ჩვეულებრივი ქალებივით დავიანგარიშებდი, სწორედ ის დღე გამოდიოდა, როცა ჩემი შეყვარებული მდინარეში მოკვდა, მე კი უფალმა ნამუსი ამხადა. თვიური ციკლი სწორედ ამის შემდეგ დამერღვა. ჩემს შეყვარებულს კი თავისი სიკვდილის ჟამს კარგა ხნის მიტოვებული ვყავდი.

არა, რა სისულელეა! ეს ხომ სიგიჟეა! ეს ხომ შეუძლებელია, უფრო შეუძლებელი ვიდრე... უფალმა ჩასახა? უფლის ვაჟიშვილია... ეს ბრიყვი, რომელსაც ადამიანსაც ვერ უწოდებ. ბავშვი, რომელიც თუ ცოცხალი გადარჩა, მხოლოდ უბედური შეშლილი იქნება, რომელიც თავის არსებობასაც კი ვერ აღიქვამს, სახეზე უაზრო ღიმილმოფენილი, ახალშობილის სულჩასახლებული შეშლილი იქნება.

რა უაზრობაა! მოგივა ხოლმე ხანდახან თავში ასეთი აზრი!

ორაკულის მიწისქვეშეთში მომხდარ ამ საშინელ, სასტიკ, ველურ და არაადამიანურ სისაძაგლეებს შეუძლია ბავშვს სიცოცხლე მიანიჭოს? ამან გადამაქცია დედად? არა მხურვალე, ცოცხალმა, მიწიერმა სიყვარულმა, არამედ ამ სიბინძურემ, რომელსაც ღრმა ზიზღის გარეშე ვერ გაიხსენებ?

არა, ეს ნამდვილად შეუძლებელი იყო, გიჟური გამოგონება, უბრალოდ ბრიყვული აზრი გახლდათ. მოგივა ხოლმე თავში ასეთი აზრი...

არც ისე დაუშვებლად დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემს შეყვარებულს, ჩემს ძვირფას შეყვარებულს უკანასკნელად დავნებდი. ისიც თავისუფლად შეიძლებოდა ბავშვის მამა ყოფილიყო. ამ ბავშვის მამა. ცხადია, ცხადია, შეიძლებოდა, თუკი ასე ვისურვებდი...

მსურდა კი? მსურდა რომ...

არა, ამაზე ფიქრი არ შემეძლო, ეს უკიდურესი სასოწარკვეთით მავსებდა. სასოწარკვეთილი ვფიქრობდი სიცოცხლეზე, სიყვარულზე, ღმერთზე, ყველაფერზე.

ღმერთისთვის უცხოა გულმოწყალება. ვინც მას კეთილად თვლის, უბრალოდ არ იცნობს. უფალზე არაადამიანური არავინ მეგულება. ელვასავით მძვინვარე და ვერაგია. ელვასავით მოულოდნელად გამოსხლტება ღრუბლიდან. უცებ, მოულოდნელად დაგკრავს; უცებ, მოულოდნელად დასცხებს ადამიანს და მთელ თავის სისასტიკეს, სიყვარულს ან სასტიკ სიყვარულს სააშკარაოზე გამოიტანს. ყველაფერს უნდა ელოდო მისგან. როცა უნდა და რა სახითაც უნდა, ისე გამოგეცხადება. ავდარი, რომელმაც გამოქვაბულში შემამწყვდია, ჩემს მოსავლელად გამოგზავნილი თხები, ცხელი, მზიანი ზაფხული, უკიდურესად გავარვარებული ჰაერი, მშობიარობა თხების გამოქვაბულში, როცა ზეცა მიწას ელვას სტყორცნიდა, თხების უცნაური საქციელი, მშობიარესა და ბავშვისადმი მათი გულმოდგინე ყურადღება, ამ გამოქვაბულში რაღაც საშინელის, საზიზღარის, არაადამიანურის აშკარა შეგრძნება — რა იმალებოდა ყოველივე ამის უკან? უფლის თვითნებობა ხომ არ იმალებოდა? ამის მიღმა ძლიერი ღვთაება ხომ არ იდგა?

ამაოდ მოძებნით ადამიანურს ღვთაებრივში. თავისი არსით იგი სხვანაირია. კეთილშობილურს, ამაღლებულსა და შთაგონებულსაც ამაოდ მოძებნით, თუმცა ვისურვებდით გვეხილა. ღვთაებრივი რაღაც უცხო და საზიზღარია, ხან

შეშლილობაა, ხანაც ბოროტი, სახიფათო და საბედისწერო. ყოველ შემთხვევაში მე ასეთად შევიცანი. უფლის თხის მძაფრი სიმყრალეც კარგად ნაცნობია, მე თუ არა, მაშ ვის ეცოდინება! მაშინვე ვიცანი, როგორც კი ფეხი შევდგი გამოქვაბულში, სადაც ვაჟიშვილი გავაჩინე, პირშო, რომლის მამა შეიძლება თავად უფალი იყო, ვაჟიშვილი, ჩასახული უფალი — თხის მიერ მიწისქვეშა ტაძარში, გამოქვაბულში მისი ბრწყინვალე ტაძრის ქვეშ, რომელიც მზისა და სინათლის ღმერთს აუგეს, სწორედ იმ ტაძრის ქვეშ, სადაც მსახურების უფლება არ მომცა. სამაგიეროდ მისი გონებასუსტი ვაჟიშვილის გაჩენის ნება დამრთო, როცა მისი გაჩენა რაღაცისთვის დასჭირდა. ეს ბრიყვი, რომელსაც სახეზე უცვლელი ღიმილი შეჰყინვია, მთელი ჩემი ცხოვრება კისერზე ქვასავით მკიდია...

არა, არა, რას ვამბობ... მე ხომ არაფერი ვიცი, სულ არაფერი, არაფერი... არ ვიცი, ამ ბავშვის მამა ვინ არის, არც მაშინ ვიცოდი, არც ახლა ვიცი. არ შეიძლება უფლის ვაჟიშვილი იყოს, არც ჩემი შეყვარებულის შვილი შეიძლება იყოს, მას ხომ სულ არა ჰგავს, არც მე მგავს, ჩვენ ორში არც ერთს არ ჰგავს, საერთოდ ადამიანს არა ჰგავს. ღმერთს .კიდევ უფრო ნაკლებად ჰგავს... არა, მე არაფერი ვიცი.

მაგრამ ხელები მუშტებად მეკვრება, როცა ვფიქრობ მასზე, ვინც ასე მომექცა, ვინც დამიბრიყვა, მიწისქვეშეთში, ორაკულის გამოქვაბულში მიმსახურა, ჩემგან თავისი მორჩილი იარაღი გამოჭედა, ჩემს სულსა და სხეულს ნამუსი ახადა, ვინც თავის ბოროტ სულს მისახელებდა, უგონობაში მძირავდა, თავის წინასწარმეტყველებას მინერგავდა, მხურვალე სუნთქვით, არაამქვეყნიური ცეცხლით მავსებდა; ვინც ქვეყანაზე გონებასუსტი ვაჟის გასაჩენად გამწირა, ვაჟის, რომელიც ადამიანის, გონებისა და ადამიანის და ჩემი, მისი გამჩენის ბოროტი დაცინვაა. ვინც მხოლოდ იმისთვის ამირჩია, რომ თავის მსხვერპლად გადავექციე, რათა მისით ალტაცებული და გახელებული დუჟით დავმხრჩვალიყავი და გიჟი გამეჩინა. ვინც მთელი ცხოვრება დამიბრიყვა! ნამდვილი ბედნიერება, ყოველგვარი ადამიანური ბედნიერება, ყოველივე, რასაც სხვებისთვის სიხარული მოაქვს და მშვიდობითა და სიმშვიდით აჭილდოვებს, წამართვა. ჩემი სიყვარული, ჩემი შეყვარებული, ყველაფერი, ყველაფერი წამართვა, სამაგიეროდ კი თავისი თავის გარდა არაფერი მომცა. თავისი თავის გარდა... და ის ახლაც ცოცხლობს ჩემში, თავისი მოუსვენრობით მავსებს, სიმშვიდეს არასოდეს მანიჭებს, რადგან თავადაც არ გააჩნია. არასოდეს არ მტოვებს, არასოდეს არ დამტოვებს!

ხელები, ჩემი ულონო ხელები მუშტებად მეკვრება, როცა მასზე ვფიქრობ!

დედაბერი ძაგძაგებდა, მთელი მისი არსება ძლიერ მღელვარებას მოეცვა. მან ცეცხლი გააქაქა, შემდეგ შეამჩნია, ჩაჭრა და ძირმომწვარი ჯოხი, რომლითაც ქექავდა, მორჩილივ ნაკვერჩხლებზე მოისროლა.

მერე თანდათან ცოტა დაწყნარდა, თავს მოერია, ხმაც ძველებური გაუხდა, თავისი ბუნებრივი ჟღერადობა დაიბრუნა და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ განაგრძო:

— არ მესმის ეს რატომ გიამბე, შენ ხომ უცხო ადამიანი ხარ. თუმცა ასეთ საქმეში ვინ არ არის უცხო?

შენ რაღაც მკითხე, მეც მოგონებებს მივეცი თავი და ჩემი ცხოვრება, ჩემი ხვედრი კვლავ წამოტივტივდა, მახსოვრობაში კვლავ გაცოცხლდა და შემიპყრო. ანკი როდის ველაპარაკე ადამიანს უკანასკნელად? როდის მოხდა? ისე დიდი ხნის წინ იყო, ვერც კი გეტყვი.

აქ, მარტო ვიჯექი და ჩემს ხვედრზე ვფიქრობდი. დრო საკმაო, საკმაოზე მეტიც მქონდა. მაგრამ არავისთან შემეძლო საუბარი.

მას შემდეგ, რაც დავტოვე ადამიანთა სამყარო — სიტყვას მოჰყვა და ამ სამყაროს ნამდვილად არც არასოდეს ვეკუთვნოდი — მას შემდეგ, რაც დავტოვე, ჩემი ცხოვრება სრულ მარტოობად გადაიქცა. მარტო გავლიე დღეები ამ ბავშვთან, ამ ვაჟიშვილთან, ახლა უკვე ჭაღარა კაცთან, დღემდე რომ არ ვიცი, ვისია და საიდან გაჩნდა. მარტო ვცხოვრობდით მთებში, ამ ძველისძველ ქოხში, რომელიც მე, არც კი მახსოვს, რამდენი წლის წინათ საცხოვრებლად მოვაწყე. ჩვენი ერთადერთი თანამგზავრები ეს თხები იყვნენ. ეს ველური თხები არ გვშორდებოდნენ. სადაც არ უნდა გვეცხოვრა, ყველგან მოდიოდნენ და გვკვებავდნენ. ჩემი ვაჟიშვილი მხოლოდ ამ ცოცხალ არსებებს იცნობს და ეს თხები მას იზიდავს. ადამიანებს იგი საერთოდ არ იცნობს და არც აინტერესებს. თხები კი ყოველთვის იზიდავდნენ. თხებიც, სადაც არ უნდა წავიდეს, ფეხდაფეხ დასდევენ და ეხახუნებიან. მათ ერთმანეთს ვერ დააშორებ.

როცა ვცდილობ, მისი ვინაობა გავიგო, ამასაც ვიხსენებ. და კიდევ მის სახეს, რომელსაც არ შეეხო არარა, რასაც ადამიანები ცხოვრებას ვეძახით. იგი კვლავ ახალშობილის სახეა, ახლა უკვე ჭაღარა ახალშობილის, რომელმაც ახალშობილის უცვლელი ღიმილი შემოიტოვა. ეს უაზრო ღიმილი ყოველთვის მტანჯავდა და მაწამებდა, ამის გამო ვფიქრობდი აქ, შეშლილთან ერთად ვცხოვრობ-მეთქი. ხანდახან კი თავს ვეკითხები, უფალი ხომ არ მიზის გვერდით ამ მარადიული ღიმილით, ქვევით თავის ტაძარს, დელფოს, მთელ ადამიანურ სამყაროს გადამყურებს და ყველაფერს ერთად მხოლოდ დასცინის-მეთქი.

არ ვიცი. მე არაფერი ვიცი. მაგრამ ხანდახან

ვფიქრობ, ხანდახან ასეთი აზრებიც მომდის თავში.

დედაბერმა საუბარი დაასრულა, წუთით დადუმდა. შემდეგ წამოდგა და გაემართა შესასვლელისაკენ, სადაც ღამის სუსტი სხივი მოჩანდა.

უცებ შეჩერდა და დაიყვირა:

— ის არ არის! აქ აღარ არის!

და მართლაც ის აღარ იყო, ის გაქრა.

როგორც ჩანს, ამ ხანგრძლივი თხრობის რომელიღაც მონაკვეთში გავიდა და ღამეში გაუჩინარდა. ასეთ სიბნელეში შეუმჩნევლად ამის გაკეთება იოლი იყო, თანაც ქოხს გასასვლელად მხოლოდ ნიში ჰქონდა, კარი არ ეკიდა.

დედაბერი შეიშალა. მისი სახის გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ალბათ, საშინელი ძრწოლა ეხატა და ეს ძრწოლა ხმაშიც გაისმა.

— სად არის, სად?! — ყვიროდა იგი. — სად წავიდა?! ამ სიბნელეში, ღამით სახლიდან რად წავიდა. ის ხომ ასე უმწეოა, დაიღუპება! ფერდობიდან ჩამოვარდება! ასე რად მოიქცა? როგორ? რისთვის? რად მიმატოვა?

იქნებ... იქნებ მიხვდა, რა ბოროტებას, რა საშინელებას ვწამებდი. მე... ვაი, თუ მიხვდა! არა, შეუძლებელია... მას ხომ ადამიანის სიტყვა არასოდეს ესმოდა და თავადაც არაფრის თქმა შეეძლო. მაგრამ... იქნებ თავს მაჩვენებდა არ მესმისო, არ სურდა გაგება? ადამიანებთან ურთიერთობა არ სურდა? ხანდახან ხომ მეჩვენებოდა... ხანდახან ხომ ეჭვი მეპარებოდა რომ ესმოდა, რასაც გაბრაზებული ვეუბნებოდი, როცა თავს ველარ ვერეოდი და თავს ვესხმოდი... ჩემს საბრალო ბალღს... ჩემი ბალღი... ო, ასე არაერთგზის მომხდარა, მე უსამართლო ვიყავი, უსამართლო... როგორ შევძელი, ასეთი სიტყვების თქმა როგორ შევძელი, ვატკინე, ისე ვატკინე, რომ მიმატოვა! მიმატოვა!

დედაბერი თავის თავს ესაუბრებოდა და არა მოსულს, თუმცა გაცხარებული სიტყვებით მას მიმართავდა.

— ცხადია, მიხვდა, ცხადია ამიტომ წავიდა. ო, რა ჩავიდინე, რა ჩავიდინე!

— უნდა წავიდეთ და მოვძებნოთ! — უკიდურესი სასოწარკვეთით წამოიძახა უცებ დედაბერმა, გადახტა, დაბალ ნიშში გაძვრა და გაქრა.

კაცი უკან დაედევნა.

მთვარიანი და ვარსკვლავიანი ღამე იდგა, მაგრამ მთებს ცივი ნისლი შემოხვეოდა და შორს არაფერი მოჩანდა.

დედაბერმა ჯერ სწრაფად მიმოიხედა სახლის ირგვლივ, ვაჟიშვილი სადმე აქ ხომ არ არისო, შემდეგ არც დაფიქრებულა, ბილიკს შეუყვა. ეტყობა, იქ ბილიკი იყო, რომელიც ზემოთ, მთებისაკენ მიემართებოდა, მაგრამ არ ჩანდა. იგი ისე გამალებით მიქროდა, კაცი ძლივს ეწეოდა, რადგან ასეთ ადგილებში სიარულს მიჩვეული არ გახლდათ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მის ასაკში ასე ცქვიტად სირბილი შეეძლო. მაგრამ ამ მთებში მან სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა და მათთან თითქოს შერწმული იყო. თხის გახეხილი ტყავის ნაგლეჯებში გახვეული ბებერი ფეხებით მთის ფერდობზე ისე ძალდაუტანებლად მიქროდა, თითქოს მათგან თავადაც განუყოფელი იყო და მთვარის დაბინდულ შუქში თითქმის შეუმჩნეველ, პატარა, ნაცრისფერ ცხოველს ჰგავდა. დედაბერი სწორედ ისე მოძრაობდა, როგორც შეჩვეულ გარემოში ველური ცხოველები მოძრაობენ.

კაცი უკან მისდევდა, განცვიფრებული დედაბრის ნაამბობით თავის თავზე, ვაჟიშვილზე, რომლის საძებნელადაც ნისლში, მთებისაკენ მიეშურებოდნენ. ადამიანები აქ არ დადიოდნენ. მათი ბილიკი სადღაც ქვემოთ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნისლში არ ჩანდა. დედაბერმა სწორედ ეს გზა რად აირჩია? ალბათ, ჰქონდა დაეჭვების მიზეზი, რომ ვაჟიშვილი სწორედ აქეთ წამოვიდა. ქვევით, დელფოში რომ არ ჩავიდოდა, დედაბრისათვის ცხადია, ნათელი გახლდათ, დელფოში ის ნამყოფი არ იყო. იქნებ ნაკვალევი იპოვნა? იმის და მიხედვით თუ რა დარწმუნებული მიაბიჯებდა სწორედ ამ მხარეს, ესეც დასაშვები იყო.

თავიდან ძამრეცი ფერდობი ციცაბო გახდა. ისინი უკვე საკმაოდ მაღლა, ველურ მთებს შორის მოექცნენ და ბილიკიც, რომელსაც კაცი ვერ ხედავდა, ზევით დაკიდულიყო. შემდეგ გაივაკეს, სწორ ადგილას გავიდნენ, რაღაც მაღალმთიანი ზეგანის მაგვარ ადგილას აღმოჩნდნენ. დედაბერმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა. ალბათ, უჩინარი ბილიკი გაიყო ან დედაბერმა დაჰკარგა კვალი, რომელსაც მოჰყვებოდა. დედაბერი იდგა და მოშიშვლებულ მთებს ირგვლივ ეჭვის თვალით უმზერდა. მთვარის შუქი ცივ ნისლში კრთებოდა, გარემოს უცნაური იდუმალების სამოსში ხვევდა და კაცმა იფიქრა აქ, ამ ნახევრად გამჭვირვალე სამყაროში ყველაფერმა შეიძლება დაგვაეჭვოსო. დედაბერი ისევ აჩქარებით გაუყვა გზას, როგორც ჩანს, აღარ ყოყმანობდა, მიმართულების არჩევანი აღარ აეჭვებდა. კაცმა უნებურად გაიფიქრა, დედაბერი თუმცა ადამიანია, პირუტყვივით ინსტინქტით მიიკვლევს გზას ან უბრალო მოკვდავთათვის შეუცნობელი განსაკუთრებული გრძნობით ხელმძღვანელობსო. მოჩვენებით და ირეალურ სამყაროში უფრო და უფრო ეშვებოდნენ. ვაკე გათავდა და მათი გზა კვლავ აღმართს შეუყვა.

მოულოდნელად ნისლი ერთი ხელის დაკვრით გაიფანტა და მათ წინ ჩახჩახა მთვარის შუქით მოფენილი, მარადიული თოვლით დაფარული თეთრი, ნისლშემოხვეული, მოკიაფე ვარსკვლავებქვეშ დაკიდული უშველებელი მთა აღიმართა. ოდნავ დაქანებული ღალმართი თო-

ვლის კიდისაკენ მიემართებოდა. ვიწრო, მაგრამ მკაფიოდ აღბეჭდილი მხეცების ბილიკიც მას გასდევდა და თოვლში იკარგებოდა. გაუგებარი იყო დედაბერი სწორედ იქით რად მიდიოდა, იქ ხომ ბილიკი თავდებოდა, ქრებოდა. უჩვეულო, უცნაური სანახავი იყო ეს ბილიკი, რომელიც მარადიულ თოვლში ქრებოდა. დედაბერი კი მას ზევით აჰყვა.

მცირე მანძილი რომ გაიარა, ქალი დაიხარა და მიწიდან რაღაც აიღო. თხის ტყავის ქამარი აღმოჩნდა. დედაბერმა იგი მძაფრი ყურადღებით დაათვალიერა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და ქამარჩაბღუჯული ხელი ძირს ჩამოუვარდა. გზა მაინც განაგრძო. მალე ბილიკის მარჯვნივ, ისევ თხის ტყავის სამოსი იპოვნა. დედაბერმა ისიც აიღო და სიტყვის უთქმელად მკლავზე გადაიკიდა. ცოტა ზევით ცალ სანდალს მოჰკრა თვალი, შემდეგ კი მეორეც მოძებნა. სანდლები ტყავის ნაგლეჯისა და თახმისაგან უბრალოდ გახლდათ გაკეთებული. მეორე სანდალი თითქმის თოვლის კიდესთან ეგდო. აქ ისინი შეჩერდნენ და იდუმალ მთას მზერა მიაპყრეს.

ღამით ახალი თოვლის თხელი ფენა ჩამოცვენილიყო და ამ ფენაზე შიშველი ფეხისგულის ანაბეჭდი აშკარად ჩანდა. აღმართს კვლავ აუყვნენ, კვალს ისევ და ისევ პოულობდნენ. ვიღაცის შიშველი ფეხები ზევით, მარადიული თოვლისაკენ მიემართებოდა. ეს ძალიან პატარა, ლამაზი ფეხის ანაბეჭდი იყო, რომელიც უფრო და უფრო მსუბუქი, უფრო სუსტი ხდებოდა, შემდეგ თოვლს ოდნავი შეხების კვალი მინიშნებასავით ეტყობოდა, ბოლოს კი სულ გაქრა. უკან არავითარი ნაკვალევი არ ბრუნდებოდა.

დედაბერი იდგა და დასცქეროდა ამ გამქრალ ნიშნებს, რომელიც დასტოვა ფეხმა, მიწას რომ აღარ ეხებოდა, დასტოვა ქმნილებამ, რომელმაც სიმძიმე დაჰკარგა და ზემოთ ლაჟვარდებში აიჭრა. ლაჟვარდები კი აქ, უფლის მთასთან ისე გამჭვირვალე და მოწმენდილი იყო, გეგონებოდა ვარსკვლავებს ხელით შეეხებიო.

— უკან დაბრუნდა, — ჩუმად ჩაილაპარაკა დედაბერმა, — ასეც ვფიქრობდი.

— როგორც კი ჩვენი ქოხიდან გამოვიდოდა, ყოველთვის აქეთ მოისწრაფოდა, — მცირე ხნის შემდეგ დაუმატა მან. — რაღაც იზიდავდა აქეთ. ახლა ჩამოაგდო ნიღაბი, რითიც ჭეშმარიტ სახეს მალავდა, შემოიცალა მიწიერი გარსი და კვლავ იმად გადაიქცა, რაც სინამდვილეში იყო. მამამ უკან, თავისთან წაიყვანა.

დედაბერი ჩუმად იდგა. სულის ფარული მოძრაობა, იდუმალი აზრები და გრძნობები არაფრით გაუცია. გროვად შერჩენოდა ის, რისგანაც შვილმა თავი გაინთავისუფლა, ის, რაც დედაბრისაგან მიიღო, რაც დედაბერმა თავისი ხელით გაუკეთა. ვინ იცის, იქნებ ქალი თავის მიწიერ, დედურ გულში ჩხვლეტასაც გრძნობდა, რომ ყველაფერი ასე ოლოდ გაიროო და გადაყარა. ვინ იცის, იქნებ ასეც იყო, მაგრამ არაფერი ეტყობოდა მის ბებერ, დანაოჭებულ სახეზე ვერაფერს წაიკითხავდი. ძლიერი სულიერი მღელვარებისაგან, ადრე რომ ეტყობოდა, კვალიც აღარ დარჩენილიყო. ახლა, როცა მიხვდა, თუ რა მოხდა, როცა ყველაფერი გაიცნაურა, როცა ყოველივე დასრულებულს ჰგავდა, ბნელი გამოცანა, როგორც იქნა, ამოიხსნა, მარადიული თოვლის ნაკვალევის მიხედვით ყოველივე გაირკვა, თვალწინ ალბათ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მრავალმა სურათმა გაურბინა. ერთი წამით მან თვალები დახუჭა და მოხუცს მისი ნაამბობი გაახსენდა: ასეთი ჩვევა მქონდა, როცა სული პირთამდე იყო სავსეო. შემდეგ კვლავ გაახილა თვალები, თავისი უძველესი თვალები, რომელსაც მგონი ყველაფერი ენახა და კიდევ ერთხელ შეხედა მის დატოვებულ ნიშანს, იმის ნიშანს, რომ მიატოვეს, მოზრდილი მამაკაცისათვის უჩვეულოდ პატარა და ნატიფი ფეხისგულის მსუბუქ კვალს.

— ისეთი ლამაზი ფეხები ჰქონდა, — ისე ჩუმად ჩაილაპარაკა, თითქოს თავს ადანაშაულებდა, ადრე ამაზე საკმაოდ არ მიფიქრიაო. — ისეთი ლამაზი ხელ-ფეხი ჰქონდა.

დედაბერი ცოტა ხანს კიდევ გაჩერდა, შემდეგ თოვლის ფენას ქვემოთ, მთის ნაცრისფერი ძირისაკენ, უკან, მიწისაკენ ნელა დაუყვა და შინისაკენ უკანდასაბრუნებელ გზაზე გავიდა.

ახლა ნელა მიაბიჯებდა, თუმცა თავდაღმართში ეშვებოდა. აღარსად ეჩქარებოდა ან იქნებ ფიქრებით იყო გართული და ჩვეულებრივზე ნელა ამიტომ მიაბიჯებდა. თუ ასე იყო, ალბათ თავის ვაჟიშვილზე ფიქრობდა, რომლის უბადრუკი, მიწიერი სამოსი უკან, თავის ქოხში, თავის მარტოობაში მიჰქონდა. იქნებ მისი ძლიერი მამაც გაახსენდა, ოდესღაც ის საშოში რომ ჩაუსახა.

მოხუცი ცოტა მოშორებით მიაბიჯებდა. ისიც მიდიოდა და ფიქრობდა უფლის ვაჟიშვილზე, რომელმაც ღვთის შვილის ნიღაბი, თხის ტყავის სამოსი განიძარცვა და ამ უცნაური, იდუმალი მთიდან ამაღლდა. ფიქრობდა უფალზე, რომელიც უდაოდ თხის ღმერთიც იყო, მაგრამ თხის ღმერთზე ჭეშმარიტად მეტი გახლდათ. ნეტავ ისეთივე ქალარა დარჩა, როცა თოვლს უკანასკნელად, მსუბუქად დაჰკრა ფეხი და ამაღლდა, ვარსკვლავებისაკენ გასრიალდა, თუ იმ წუთში ახალგაზრდობა კვლავ დაუბრუნდა? მაშინ ალბათ, მარადიულ ახალგაზრდობას ეზიარა. და ცხადია, მისი სახე სულ სხვანაირი გახდა, უფლის იერსახეს უფრო დაემსგავსა.

შემდეგ კაცმა გაიფიქრა, თუ იმ ხალხის ნაამბობს დავუჯერებთ, ვინც მას ეთაყვანება და უყვარს, უფლის მეორე შვილი, ვისაც ჩემი სა-

შინელი ხვედრი მოეკითხება და რომელმაც თავისი ბოროტი შეჩვენება თავს დამატეხა, ასევე მთიდან ამაღლდა ზეცაში, მამა-ღმერთმა იქ, ღრუბლით აიყვანა. ოღონდ მანამდე იგი ჯვარს აცვეს და ამით ხალხისათვის არაჩვეულებრივად შესანიშნავი გახდა, მისი ცხოვრება კი ყველასთვის და ყოველ ჟამს ღრმა აზრითა და მნიშვნელობით აივსო. ხოლო ღმერთის ეს ვაჟიშვილი მგონი მხოლოდ იმისთვის გაჩნდა, რომ ძველი, მწყემსური ქოხის ზღურბლზე ბინდში მჯდარიყო, ქვეყნისათვის, ფუსფუსისათვის, ადამიანთა ეშმაკური წამოწყებებისათვის და საკუთარი დიადი ტაძრისათვის ეცქირა და ყველაფერზე მხოლოდ გასცინებოდა.

უცებ გონება გაუნათდა, გაახსენდა ეს მარადიული ღიმილი რას აგონებდა. ჰო, უფლის ერთ გამოსახულებას აგონებდა, რომელიც გუშინ დელფოს ტაძარში იხილა, ძველებურ ფიგურას, რომელიც სადღაც, შორეულ კუთხეში ისე იდგა, თითქოს ადგილს უფრო ახალ და ლამაზ გამოსახულებებს უთმობდა. ფიგურას ზუსტად ასეთი აუხსნელი და იდუმალი, უაზრო და შეუცნობელი აზრით აღსავსე ღიმილი ჰქონდა. მისი ღიმილი არც კეთილი იყო, არც ბოროტი და ამით რატომღაც თავზარდამცემი ხდებოდა. ეს ფიგურა ალბათ, იგივე ღმერთი იყო, დედაბრის ღმერთი, ვისთვისაც ეს ტაძარი აღმართეს, მაგრამ, ჩანს, იგი ძალიან ძველი გახლდათ, ისეთივე ძველი, როგორც მისი ქვის სიცილის გამოცანა.

დიახ, უფალი მიუწვდომელი, ულმობელი და მრისხანეა. ეს თავად გამოსცადა დედაბერმა, ამ სიბილამ, რომელმაც იგი ისე კარგად გაიცნო, როგორც არავინ. მისით ატანილი, შეყვარებული და შეჩვენებული იყო, მთელი ცხოვრება მისთვის იცხოვრა და ვაჟიშვილიც გაუჩინა. ვაჟიშვილი, რომელიც ამ ქვეყნად მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ ეჩვენებინა, სრული უაზრობაც შეიძლება ღვთაებრივი იყოსო. ან იქნებ დედაბერზე იძია შური ამ ცალხელას სიყვარულისთვის, მის მკლავებში, მის ერთადერთ მკლავზე გატარებული ხანმოკლე საზაფხულო ნეტარებისთვის. ან იმიტომ, რომ უფლის გარდა სხვაც შეიცნო, ღვთის სიყვარულის გარდა სხვა სიყვარულიც განიცადა.

ჰო, ღმერთი ბოროტია, დედაბერი მართალს ამბობს. უგულო და ავია, შურს იძიებს და არ გაპატიებს თუ მის გარდა სხვაც შეიყვარე, თუ შენი სახლის კედელზე თავი არ მიაყრდნობინე. იგი ულმობელია და გულმოწყალება მისთვის უცხოა. ხალხი სულაც არ ენაღვლება, მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. და არასოდეს არ პატიობს, არასოდეს, არაფერი ავიწყდება.

მაგრამ მეც ხომ არავინ მედარდება ჩემი თავის გარდა! მეც ისევე მძულს უზენაესი, როგორც უზენაესს ვძულვარ. შემაჩვენა? რას იზამ, მეც ასევე შევაჩვენებ!

ქედს არ მოვიდრეკ! მეც ხომ მასავით უკვდავი ვარ! თავად მაზიარა უკვდავებას, თუმცა სიბოროტით მაზიარა, ჩემი გახარება სულაც არ უნდოდა. მისი შეჩვენება ამასაც შეიცავს, ამ ყველაზე დიდ ულმობლობას, რაც კი გააჩნია. და მაინც, უკვდავი ვარ! თუმცა ჩემი უკვდავება მისი უკვდავებისაგან განსხვავდება.

იგი ტახტზე დაბრძანდა და ზეცაში, სადაც რამდენიმე საათი ჯვარზე დაკიდების შემდეგ ამაღლდა, მარადიული ახალგაზრდობით ტკბება. მე კი განწირული ვარ, დედამიწაზე უკუნითი უკუნისამდე ვეწამო. მის მიერ ჩანერგილი აფორიაქებით დევნილი ქვეყნად დავეხეტები, ჩემი უბედური სული კი ვერასოდეს შეიცნობს ნეტარებას. მარად ვიცოცხლებ ამ ქვეყანაზე, თავად, კარგა ხანია, რომ მიატოვა და სხვა ქვეყანას ვერასოდეს ვიხილავ. დღითი დღე, წლიდან წლამდე, საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე მოსჯილი მაქვს ამ ქვეყანას ყველაფრის განმჭვრეტი ჩემი ბებერი თვალებით ვუყურო და კვლავ და კვლავ ყოველივეში არარაობა დავინახო. ამ ნაცრით დაფარულ ქვეყანას უნდა ვუყურო. აი, რისთვის ამირჩია! რა მომისაჯა. მაგრამ ქედს არ მოვუხრი! ჩემი სიძულვილი მისი სიძულვილივით უკვდავია!

ასე ფიქრობდა კაცი თავის ხვედრზე და ყველაფერი მასში აღშფოთებით ბობოქრობდა, სანამ დედაბერს კვალდაკვალ მიჰყვებოდა და მის ნაცრისფერ გამოსახულებას ოდნავ წინ მიმავალს ხედავდა.

შემდეგ მხოლოდ ვარსკვლავების შუქზე იარეს, მთვარე ჩავიდა. მაგრამ ამ ბილიკს დედაბერი განსაკუთრებით კარგად იცნობდა. ნისლი სრულიად გაიფანტა და, როცა ბოლოს და ბოლოს შინ დაბრუნდნენ, უკვე ახალი დღე დგებოდა. ქოხში აღარ შესულან, მის გვერდით ქვის უხეშ მერხზე ჩამოსხდნენ. თვალწინ გადაშლილ სივრცეს მზე ჯერ კიდევ არ ანათებდა, მაგრამ ოდნავ გაფერმკრთალებული ცა მის მოვლინებას იწუყებოდა.

კაცის გულში აღშფოთება ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო და უცებ ისეთი სიფიცხით იყვირა, თითქოს ადრე წამოწყებულ მხურვალე კამათს აგრძელებდა.

— შენ ხომ უნდა გძულდეს ეს ღმერთი, როგორ მოგექცა, რა გიქნა! შენ ხომ უნდა გძულდეს ასეთი უაზრო სიბოროტით აღსავსე ღმერთი!

დედაბერმა ცოტა შეიცადა, როგორც ჩანს, პასუხზე დაფიქრდა, შემდეგ თქვა:

— მე არ ვიცი, ღმერთი ვინ არის. მაშ როგორ უნდა მძულდეს ან მიყვარდეს? მგონი, ვერც სიძულვილი დავიჩემებ მისას, ვერც სიყვარულით დავიტრაბახებ.

თუკი ჩაუკვირდი, ეს სიტყვები, როცა მასზე ვლაპარაკობთ, უაზრობად იქცევა. იგი ჩვენ არ გვგავს, ვერასოდეს გავუგებთ, მიუწვდომელი და შეუცნობელია, ის ღმერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადაც მესმის, ბოროტიცაა და კეთილიც, სინათლეცაა და სიბნელეც, სრული უაზრობაცაა და ღრმა აზრიც, რომელსაც ჩვენ ვერ მივაკვლევთ, ძებნას კი არასოდეს შევწყვეტთ. ეს გამოცანა გამოსაცნობად არაა შექმნილი, ის მხოლოდ არსებობს და ყოველთვის შეგვაშფოთებს.

ყველაზე გაუგებარია, რომ ის ზოგჯერ ბელტებისაგან აგებული პატარა საკურთხეველიცაა, სადაც რამდენიმე თავთავს დასდებ და ამით მშვიდობასა და სულის სიმშვიდეს მოიპოვებ, ანდა წყარო, სადაც საკუთარ ანარეკლს დაინახავ, მშვენიერ წყალს კი პეშვებით შესვამ. თავად არის ეს ყოველივე, მე ვიცი, ასეთიც ხდება ხოლმე, თუმცა ჩემთვის ასეთი არ იყო, ალბათ, არ შეეძლო.

ჩემთვის იგი ველური უფსკრული გახლდათ, რომელმაც მეც და ყოველივე ჩემთვის ძვირფასიც გადაყლაპა. ჩემთვის იგი მწველი სუნთქვა იყო, მშვიდობისა და სიმშვიდისაგან დაცლილი ალერსი და მაინც ალერსი, რომელიც მენატრებოდა, შმაგი და უცხო ძალა, რომელიც მთლიანად მიმორჩილებდა.

ძალიან გამაუბედურა, მაგრამ ბედნიერებაც განმაცდევინა, ისეთი ვეებერთელა ბედნიერება, რომ გონება ვერ იტევს. ჰო, ასე იყო, ამის დავიწყებაც არ შეიძლება.

აბა, რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება უიმისოდ? მისით, მისი სულით რომ არასოდეს ავსილიყავი, მისეული ნეტარება და კვლავ მისეული ტანჯვა და ტკივილი არასოდეს შემეგრძნო, უფლის მწველი ალერსის ჟამს ჩემი არარად გარდასახვის სასწაული არ განმეცადა, როცა განუყოფლად მას ვეკუთვნოდი, მისი აღფრთოვანება, მისი უკიდეგანო ნეტარება არ შემეცნო და უფალს ყოფის ბედნიერებით უსაზღვრო აღტაცებაში არ შევზიარებოდი?

რა ვიქნებოდი უამისოდ, თუკი ჩემი თავის გარდა ვერაფერს შევიცნობდი!

მაგრამ ვერც მის სიბოროტეს და საშინელ წამებას დავივიწყებ. არასოდეს დამავიწყდება როგორ დაეუფლა მთელ ჩემს ცხოვრებას, თითქმის ყოველგვარი მიწიერი სიხარული წამართვა და თავისი უფსკრულები, თავისი სიბოროტის სიღრმეები გადამიშალა. არც დავივიწყებ და არც ვაპატიებ!

და მაინც, მხცოვანი და ეული, აქ, ამ ფერდობზე ვზივარ და ფიქრით კვლავ შენკენ მოვისწრაფვი, ჩემო უფალო! რამეთუ ცხოვრება ჩემი შენ იყავი, შენს გზაზე ყოველივესი ცეცხლივით დამწველი და დამბუგველი, სადაც არ გაივლიდი, შენს შემდეგ აღარაფერს რომ არ ტოვებდი. ჩემი ცხოვრება — შენში განვლილი ცხოვრება იყო. ულმობელი, მწარე და მდიდარი ცხოვრება, შენ რომ მომანიჭეო, უფალო, წყეულიმც იყავ და კურთხეულიც!

კაცი მდუმარედ შესცქეროდა დედაბრის შავ, თითქოს დამწვარ სახეს, მის ბებერ, უძირო, შეუცნობელ თვალებს — [illegible]ველ თვალებს, უყურებდა.

კაცის თვალებმაც იხილეს ღმერთი, მაგრამ ისინი ამის გამო დაცარიელდნენ. დამშრალ ჭას, ცარიელ სიღრმეს დაემსგავსნენ. მისი თვალები დედაბრის თვალებს არა ჰგავს. რად მოხდა ასე? კაცი რად არის ასე ლატაკი, დედაბერი კი ასე მდიდარი?

— ჩემს ხვედრზე რაღას მეტყვი? — მღელვარებით შეეკითხა კაცი. — რას მიპასუხებ მე, ვინც ჩემი ხვედრის ახსნის იმედმა მომიყვანა შენთან, სულის მოუსვენრობის ტვირთად რომ მაწევს, იმ შერჩევნების ახსნის იმედმა? რით შეგიძლია მე დამამშვიდო? ის, რაც შენთვის ნუგეში და აზრია, ჩემთვის არაფერს ფენს ნათელს.

დედაბერმა კაცს შეხედა, მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. კაცს ჭეშმარიტად ლატაკი მზერა ჰქონდა, ადამიანის ასეთი ლატაკი მზერა ვგონებ, არასოდეს ენახა. დედაბერი ამან მაშინვე გააოცა, როგორც კი კაცი მოვიდა. მისი უბრალო წამოსასხამი თვალებთან შედარებით სამეფო მანტიასავით ძვირფასი მოსჩანდა.

მაგრამ დედაბერმა ისიც შეამჩნია, რომ კაცის შენიშვნა, ჩემი თვალები დამშრალ ჭასა და ცარიელ სიღრმეს ჰგავსო, სწორი არ იყო. არა, არ იყო სწორი, თვალები ცარიელი კი არა, სასოწარკვეთილებით ჰქონდა სავსე. შერჩევნებამ იგი ლატაკად, უმწეოდ აქცია, ყოველივე წაართვა, მაგრამ ეს სასოწარკვეთილებაც მანვე შვა. და ალბათ, იმიტომ, რომ ეს შეამჩნია, დედაბერმა ასე უპასუხა:

— ვხედავ, რომ უფალმა შეგარჩევნა და რაც მიამბე, ყველაფერი მართალია. ჩანს, რომ თავისუფალი არა ხარ, მას მიეჯაჭვე და შენს გაშვებას არც ფიქრობს. უფლის შერჩევნებამ მას ისევე მიგაჯაჭვა, როგორც ლოცვა-კურთხევა მიგაჯაჭვავდა. უზენაესი შენი ხვედრია. შენი სული უფლით არის სავსე. ცხოვრება კი, მისი შერჩევნების წყალობით, ღმერთთან განუშორებელია. გძულს იგი, დასცინი და აძაგებ, მაგრამ შენი აღშფოთებული სიტყვები მოწმობენ, რომ ამ ქვეყანაზე უფლის გარდა არაფერი გედარდება და მხოლოდ მისით ხარ სავსე. ამ სისავსეს შენ სიძულვილს ეძახი, მაგრამ უფლის შენეული აღქმა სწორედ ეს მძაფრი სიძულვილი შეიძლება იყოს.

იქნებ დადგეს დღე, როცა შერჩევნების ნაცვლად ლოცვა-კურთხევას შემოგითვლის, აბა, მე რა ვიცი! იქნებ დადგეს დღე, როცა შენს სახელზე თავს მიაყრდნობინებ. იქნებ არც არასოდეს დადგეს. ვის შეუძლია ეს იცოდეს. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, შენი ხვედრი ღმერთისაგან განუყოფელი, სული კი უფლით სავსე იქნება.

მომავალში გინდა ჩავიხედო? არ შემიძლია. მაგრამ ადამიანთა ცხოვრება რამდენადაც მეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის და მომავალი ცხოვრების განჭვრეტა რამდენადაც შემიძლია. ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ უფლის შეჩვენებისა და ლოცვა-კურთხევის გარეშე ვერასოდეს იცხოვრებენ. რაც არ უნდა ირწმუნონ, იფიქრონ ან ჩაიდინონ, მათი ხვედრი უფლისაგან მუდამ განუყოფელი იქნება.

დედაბერმა სიტყვა დაასრულა და შებრუნდა. იჯდა ასე, სადღაც იყურებოდა და კაცმა არ იცოდა, რას ხედავდა. იქნებ შორეულ მთებს გასცქეროდა, უკვე მზე რომ ანათებდა, როცა აქ ჯერ კიდევ ბინდი იწვა. იქნებ მიწიერ ხილვებს სხვა სურათი ფარავდა და ეს სურათი თვალწინ ედგა. ყოველ შემთხვევაში ქალი სადღაც ძალიან შორს წასულს ჰგავდა, თითქოს კაცის არსებობა დაივიწყა და მის აქ ყოფნას ველარ ამჩნევდა.

კაცი იჯდა. დედაბერს შესცქეროდა და ყურში მისი სიტყვები ესმოდა. ეჩვენებოდა, ამ სიტყვებმა ახლებურად აღმაქმევინეს და უფრო ღრმად ჩამახედეს ჩემს ხვედრში, დამეხმარენ, რაღაც ისეთი დამანახეს, ადრე რომ არ მიფიქრია და, შეიძლება, ახლა უფრო გამიადვილდეს ამ ტვირთის ტარებაო. იქნებ არც ისე უაზრო და გამოუვალი იყოს, ადრე რომ მეჩვენებოდა, იქნებ არც ისე უცილობლად შეუცვლელი იყოს, როგორც მეგონა, თუმცა ამაზე პასუხის გაცემას ალბათ, ჩემი დაუსრულებელი ყარიბობა და ჩემ წინ გადაჭიმული უკიდეგანო გზა შესძლებს, რამეთუ ჭეშმარიტია დედაბრის სიტყვა: აბა, ვინ შეიძლება ეს იცოდესო.

დიდხანს ისხდნენ მდუმარედ.

ბოლოს კაცი მერხიდან წამოდგა. კვლავ უნდა გაეგრძელებინა ყარიბობა. კვლავ უნდა შედგომოდა გზას. დედაბერს დაემშვიდობა, [illegible]მა მხოლოდ ოდნავ დაუკრა თავი და არაფერი უთქვამს. ერთმანეთს მდუმარედ, უსიტყვოდ დაშორდნენ. კაცი ციცაბო ფერდობით დელფოსაკენ დაეშვა, დედაბერი კი კვლავ ზემოთ იჯდა და გასცქეროდა მის კვალს. უძველეს ხეობას, ქალაქს, ტაძარს, ყოველივეს, რასაც ასე კარგად იცნობდა. მზე უკვე იქაც ამოვიდა და ხალხი სახლების წინ ფუსფუსებდა, ქუჩაში მიმოდიოდა. ტაძრის მოედანი ჯერ ცარიელი გახლდათ, მაგრამ მსახური ბიჭუნა უფლის ქალიდან მოტანილი დაფნის რტოების ცოცხით მას უკვე ასუფთავებდა. წმინდა გზაზე ტაძრისაკენ ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიემართებოდა პატარძლის სამოსით მორთული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თან მიჰყვებოდა მოწიწებით აღვსილი ხალხიც და ალბათ, ისეთებიც განსაკუთრებულ მოწიწებას რომ არ განიცდიდნენ. ქალს მზერა ტაძრისათვის მიეპყრო და ახლავე აღვსილიყო იმ აღფრთოვანებითაც მალე რომ უნდა განეცადა და ვინ იცის, მოსალოდნელის შიშითაც. უფალთან შეხვედრის წინ მღელვარება და თანაც მონატრების გრძნობა ავსებდა. დილის მზე, ტაძრისაკენ მიმავალი ხალხის ბრბოს, მთელ ხეობას, მთებს, ამ უკიდეგანო სივრცეს, რომელიც ზემოდან თვალწინ იშლებოდა, სინათლეს ფენდა.

დედაბერი იჯდა და ყოველივეს თავისი ბებერი თვალებით უმზერდა.

თარგმნა მანანა მიქელაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# ლიტერატურული ჟურნალის ადგილი გარდაქმნაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორის, სკკპ წევრის ა. ს. სულაკაურის ანგარიში „სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რედაქციის კოლექტივის მუშაობის გარდაქმნის შესახებ".

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რედაქცია ეწევა მუშაობას, რათა გარდაქმნას ჟურნალის საქმიანობა დროის მოთხოვნების სულისკვეთებით. ჟურნალი რესპუბლიკის ლიტერატურულ-მხატვრული აზრის ავტორიტეტული ტრიბუნა გახდა. მთელი რიგი გამოქვეყნებული ნაწარმოებები გამოირჩევა მაღალი იდეურ-მხატვრული დონით, ლიტერატურულ-კრიტიკული მასალები, ცალკეული პუბლიცისტური ნაწარმოებები, სამეცნიერო სტატიები აქტუალური, არგუმენტირებულია, ეტყობა პროფესიული ოსტატობა.

ამასთანავე ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ჟურნალის მუშაობაში ნელა მიმდინარეობს გარდაქმნა. ძალზე იშვიათად იბეჭდება ის ძირეულ ცვლილებათა ამსახველი ნაწარმოებები, რომლებიც ქვეყნის, რესპუბლიკის სულიერ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობს. ცალკეული მწვავე კრიტიკული გამოსვლების მიუხედავად, მთლიანად რედაქციის მუშაობა ლიტერატურული კრიტიკის დარგში არასაკმარისად არის მიჩნეული. ცოტაა სტატიები, ოპერატიულად რომ ეხმაურებოდეს ლიტერატურული პროცესის თანამედროვე მოვლენებს. მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნდება ხუთი-ექვსი წლის წინ, ის კი არა, 70-იან წლებში გამოსულ ნაწარმოებებს.

ჟურნალი „მნათობი", ისევე როგორც მთელი რესპუბლიკის ლიტერატურულ-მხატვრული ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები, არასაკმარის ყურადღებას უთმობს სამწერლო პუბლიცისტიკას. ჟურნალის რედაქცია იშვიათად იზიდავს მხატვრული პუბლიცისტიკის ჟანრში მუშაობისათვის ყველაზე კვალიფიციურ და კომპეტენტურ მწერლებსა და ჟურნალისტებს. არ იგრძნობა გამბედაობა საჭირბოროტო საკითხების, აქტუალური პრობლემების აღძვრის მხრივ, ბევრ მასალას არ ატყვია ახლებური აზროვნების კვალი. პუბლიცისტური გამოსვლების უმრავლესობა შორს დგას ცხოვრების კრიტიკული გააზრებისაგან. ბევრი ნაკლი და ხარვეზია რედაქციის საქმიანობაში ახალგაზრდა შემოქმედ მუშაკებთან, რის გამოც ნელა ფართოვდება „მნათობის" ავტორთა წრე, ამას კი მომავალში შეიძლება მოჰყვეს ჟურნალის შემოქმედებითი სახის გარკვეული გაერთფეროვნება, მისი თემატიკური და მხატვრული დიაპაზონის შეზღუდვა.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დღემდე არ გამხდარა ნამდვილად ხელმძღვანელი რგოლი, რომელიც განსაზღვრავს ჟურნალის პოლიტიკას, ზუსტად

დაგეგმავს მის ნორმებს, ოპერატიულად გადაწყვეტს შემოქმედებითს საკითხებს. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა ხელოვნურად არის გაფართოებული, მისი ბევრი წევრი მხოლოდ ფორმალურად ირიცხება, პრაქტიკულად არ მონაწილეობს ჟურნალისა და მისი რედაქციის მუშაობაში.

ეს და სხვა ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ ჟურნალის პარტორგანიზაცია (მდივანი — რ. ჩაკვეტაძე) სუსტ გავლენას ახდენს რედაქციის კოლექტივის საქმიანობაზე, საკმარის მომთხოვნელობას არ იჩენს მისი ხელმძღვანელებისადმი, რათა გამოქვეყნებული მასალები ესატყვისებოდეს გარდაქმნის, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის სულისკვეთებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიასა და პარტიულ ორგანიზაციას დაავალა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ჟურნალის საქმიანობას საფუძვლად უნდა დაედოს სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნები, დებულებები, დასკვნები და მითითებები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს.

ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს სარედაქციო, მიმოხილვითი სტატიები, რომლებშიც ღრმად იქნება გაანალიზებული ლიტერატურული პროცესი, პრინციპულად შეფასდება ყოველი ლიტერატურული ფაქტი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ლიტერატურულმხატვრული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განვითარებას, მკაცრად იქნეს დაცული ლიტერატურის პარტიულობის პრინციპები, მეცნიერულობის, ობიექტურობისა და მომთხოვნელობის კრიტერიუმები, გამოირიცხოს „მჯობინება“ და სუბიექტივიზმი, პირადული მიკერძოება თუ ქათინაურობანა. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გაძლიერდეს მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის, სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა მხატვრული გამოცდილების უფრო სრული ათვისებისათვის, დამყარდეს მჭიდრო კონტაქტები მკითხველთა აუდიტორიასთან, უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული მკითხველთა სარედაქციო ფოსტა, მოეწყოს შეხვედრები ხელისმომწერებთან, მეტი ანგარიში გაეწიოს მათს მოსაზრებებს.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას წინადადება მიეცა დანერგოს და ფართოდ გამოიყენოს აზერბაიჯანის, სომხეთის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მონათესავე ჟურნალების რედაქციებთან მასალების რეგულარული გაცვლის პრაქტიკა. მუშაობის სრულყოფისა და შემოქმედებითი შინაარსის გამდიდრების მიზნით რეგულარულად გამოაქვეყნოს თეორიული მასალები, რომლებიც მიეძღვნება საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების, მისი პარტიულობისა და ხალხურობის შემოქმედებითს პრობლემებს, სოციალისტური რეალიზმის საკითხებს, სოციალისტური კულტურის ადგილსა და როლს ახალი ადამიანის, მისი ჯანსაღი ესთეტიკური შეხედულებებისა და დებულებების, მორალური და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში. უფრო თამამად წამოჭრას მწვავე, სადავო თეორიული პრობლემები, ერიდოს წვრილთემიანობას, სქოლასტიკას. ჟურნალმა უნდა გააცართოოს ავტორთა აქტივი, უფრო მეტად მოიზიდოს თანამშრომლობისათვის რესპუბლიკის სხვადასხვა ეროვნულ რეგიონებში, ავტონომიურ ფორმირებებში მცხოვ-

ეროვნული

რები მწერლები, აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი ლიტერატორები, ხელოვნებათმცოდნენი, ჟურნალისტები.

საქართველოს მწერალთა კავშირს მართებს უფრო ქმედითი დახმარება გაუწიოს ჟურნალის რედაქციას შემოქმედებითი და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, „მნათობის“ რედაქციასთან ერთად განიხილოს სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის განახლების საკითხი, 1988 წლიდან მოყოლებული, წელიწადში ორჯერ მოაწყოს პუბლიცისტთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარები, რომლებზეც უნდა მოიწვიოს ამ ჟანრის თვალსაჩინო ოსტატები მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას დაევალა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ჟურნალ „მნათობის“ პოლიგრაფიული დონის ასამაღლებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალებისა და ალმანახების რედაქციათა კოლეგიებს და პარტორგანიზაციებს წინადადება მისცა შეუსაბამონ მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები დროის მოთხოვნებს, საღად გააანალიზონ თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციები, მეტი ყურადღება დაუთმონ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახლანდელი გარდამტეხი ეტაპის თავისებურებათა ჩვენებას.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, შესაბამის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ლიტერატურულ-მხატვრული ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების როლის გაძლიერებას მკითხველის იდეურ-ესთეტიკურ აღზრდაში, მისი აზროვნების, ფსიქოლოგიის გარდაქმნაში, საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე განახლების რევოლუციური პროცესებისადმი აქტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, ქმედითი დახმარება გაუწიონ ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალებისა და ალმანახების პარტორგანიზაციებს, ხელი შეუწყონ მათი მებრძოლურობისა და ავტორიტეტის ზრდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა აგრეთვე სხვა კონკრეტული ღონისძიებანი ჟურნალ „მნათობის“ შინაარსისა და ლიტერატურულ-მხატვრული დონის ასამაღლებლად, მისი საქმიანობის ცალკეული ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად.

(საქინფორმი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჭელიძე

# ჩვენი ლადო ასათიანი

ლადო ასათიანის ყველაზე სრულ წიგნს წამძღვარებული აქვს ავტოგრაფი პოეტის ცნობილი ლექსისა — „რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა“... არ ვიცი, ეს შემთხვევით მოხდა თუ საგანგებოდ შეარჩია წიგნის შემდგენელმა. ძალიან მარჯვედ კი შეურჩევია. ვისაც სურს ლადო ასათიანის პორტრეტი გააცოცხლოს, უსათუოდ უნდა გაიხსენოს ან წარმოიდგინოს იმდროინდელი რუსთაველის პროსპექტი. როგორც ნეგატივიდან თანდათანობით გამოიკვეთება ხოლმე გამოსახულება, ისე წელთა სიმრავლის ბურუსიდან ნელ-ნელა იკვეთება მაშინდელი, ოცი-ოცდაათიანი წლების რუსთაველის პროსპექტი — არა ასეთი გადარეული, არა ასეთი აქოთქოთებული და ერთფეროვან ნიაღვრად დაძრული...

ხალხი დინჯად დადის, თითქოს არსად მიეჩქარებათ, ტროტუარზე აქა-იქ მწვანედ შეღებილი გრძელი მერხები გამოუდგამთ და მოხუცები სხედან, საღამოს სიგრილეს ოთახის ხვატიდან გამოუტყუებია ისინი და ტკბილად საუბრობენ — არც თავად უშლიან სხვებს ხელს და არც ქუჩაში კანტიკუნტად მიმომავალი ხალხი უშლის მათ რაიმეს. აქ უსათუოდ ნაცნობ სახეებს წააწყდები, და თუნდა პირადი ნაცნობობა არა გქონდეს, არც ვინაობა იცოდე, როცა ჩაუვლი, უსათუოდ გაუღიმებ, ისიც, რა თქმა უნდა, გაგიღიმებს და სასურველი სიმშვიდე გეუფლება...

ასეთი ჯადო და მადლი აქვს ამ ქუჩას.

ალბათ ამ მადლმა მოხიბლა თბილისში ახლადჩამოსული ჭაბუკი პოეტი ლადო ასათიანი. ისე შეიყვარა ეს ქუჩა, როგორც შეიძლება შეიყვაროს ადამიანმა ცოცხალი არსება. იგი ვერ ძღებოდა ამ სიყვარულით. საოცრებათა ქვეყანაში მოხვედრილი ბავშვის ხარბი აღტაცებით შეჰყურებდა ირგვლივ ყველაფერს და კი არ ხედავდა მხოლოდ, მთელი არსებით გრძნობდა. დადიოდა და თვალებით ეფერებოდა ყველა სახლს, ყველა ხეს, დიდებულ ტაძარს, რომელიც უვიცობისა თუ ავკაცობის გამო ჩიხში მოექციათ და შავი ჯანღით დაებურათ. წარმოსახვით ხედავდა და ეალერსებოდა ნაფეხურებს ძვირფასი ადამიანებისა, რომელთაც ცოტა ხნის წინათ აქ ევლოთ და ერთბაშად გამქრალიყვნენ...

ჩაგეკითხებოდა ხოლმე: როდის ჩამოივლიდა აქ ტიციან ტაბიძე, დღის რა დროს, სად შეჩერდებოდა, თან ვინ ახლდა, ჩქარა მოდიოდა თუ ნელა; მიხეილ ჯავახიშვილსაც თუ უყვარდა რუსთაველის პროსპექტზე გავლა; როგორი სიარული იცოდა ვასილ ბარნოვმა, რომელ ხესთან უყვარდა გაჩერება... და მალ-მალე შეავლებდა თვალს ამ ხეს.

აქ, ამ ქუჩაზე, დღის რომელიმე მონაკვეთში უსათუოდ ნახავდი ყველა საყვარელ ხელოვანს — მწერალს, კომპოზიტორს, მხატვარს, მსახიობს... და დაახლოებით იცოდი კიდეც, ვის როდის შეხვდებოდი, ან სად შეხვდებოდი... მწერალთა კავშირისაკენ მიმავალ ან იქიდან გამოსულ მწერალს უსათუოდ აქ უნდა გაევლო (მაშინ ხომ ფეხით დადიოდა ხალხი), და ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულებაც აქ იყო — კონსერვატორია, საოპერო თეატრი, რუსთაველის თეატრი, ხელოვნების სამმართველო, სამხატვრო გალერეა, მუზეუმები, რედაქციები, კინოთეატრები: „მინიონი“, „სპარტაკი“ და საოცარი საზაფხულო კინო „ეთერი“ — საოცარი თავისი განუმეორებელი სიმყუდროვითა და სილამაზით, მშვიდი, ლიმილიანი მაყურებლებით, რომლებიც თითქოს იმიტომაც მოიჩქაროდნენ საღამოს სიგრილეში აქეთკენ, რათა ერთმანეთისთვის სიყვარული გაეზიარებინათ და ალერსით გული გაეთბოთ...

ასეთი იყო ეს ქუჩა და იგი ერთბაშად შეიყვარა ლადო ასათიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცარი იყო ეს სიყვარული.

სულ სხვაა გრძნობა, ადამიანის ხელითვე შექმნილი დიადი ძეგლების მიმართ რომ აღგეძვრის — მას შეიძლება ეწოდოს კრძალვა, მოწიწება, თაყვანისცემა... ეს კი სულ სხვა იყო. „ქაშვეთის შემოხედვამ დამარეტიანოსო", როცა წერს პოეტი, ეს გაზვიადება სულაც არ არის, არც მოდასაყოლილი სიკეკლუცე. ეს გულიდან ამოსული სიტყვებია — გატაცებული, ტკივილიანი... ასე მხოლოდ ცოცხალ არსებას თუ შეიყვარებ. და მართლაც ცოცხალი იყო ეს დიდი ქუჩა — თბილი, მღელვარე, სასურველი. მან მოწყენაც იცოდა და გახარებაც... და ლადოს არ ეთმობოდა, უმძიმდა მასთან ხანმოკლე განშორებაც კი. ისე ეთხოვებოდა, როგორც ახლობელ ადამიანს. მე მინახავს ასეთი გამოთხოვება — შემაძრწუნებლად საყვარელი და ცრემლისმომგვრელი.

ახლაც თვალწინ მიდგას, თითქოს ცოცხლად ვხედავდე — ნელი, ძალიან არათანაბარი ნაბიჯით მოდის და დროდადრო ერთბაშად შედგება, თითქოს უხილავი თოკით ვინმემ უკან დასწიაო; თავს ასწევს, ცას ახედავს, სახლებს შეათვალიერებს და ისევ მძიმედ წამოვა; თუ ზაფხულია, მარვალზე გადმოშვებული, ჯიბეებიანი მოთალხო ბლუზა აცვია, წელზე ბრტყელი ქამარი შემოურტყამს. ზამთარში სიახლედაკარგული პალტო აცვია, საყელო წამოუწევია, ღილები კი გახსნილი აქვს. ლია ნაცრისფერი კაშნე მოუხვევია, ქუდი ლამის თვალებზე ჩამოუფხატავს... თუმცა ჯერ შორსაა და სახეს ვერც გაარჩევ; და როცა მოგიახლოვდება, ერთბაშად თვალები შემოგანათებს — დიდრონი, ანთებული თვალები. რომ მკითხონ, ყველაზე დამახასიათებელი რა გახსოვს ლადო ასათიანისო, თვალებს ვიტყოდი, სევდით დანისლულ თვალებს, რომლებიც ერთდროულად სითბოსაც ასხივებს, სიკეთესაც, სევდაგარეულ ირონიასაც და კიდევ რაღაც სხვას, რისთვისაც სახელის შერქმევა გაგიჭირდება — იქნებ იმედისგაცრუებას, თუ დაღლას... მაგრამ არა გესლსა და სიძულვილს, როგორც შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, როცა მის მეტისმეტად მწვავე ეპიგრამებს გაეცნობა. როცა დაგინახავს, გულწრფელი სიხარულით გაგიღიმებს და თავის ვეება ხელის მტევანში მოიქცევს შენს ხელს. ხმაში ოდნავ, სულ ოდნავ, რაღაცნაირი ხრინწი დაჰკრავს, და ეს ერთგვარად არბილებს მის მეტყველებას. ლაპარაკობს გატაცებით, მგზნებარედ, და ამ დროს ხელების ქნევა უყვარს. ტანმაღალია, ძვალმსხვილი, შუბლმაღალი და შუბლნათელი. ასეთ ადამიანებს ნათელი აზროვნება აქვთ. უყვარს ხუმრობა და ამ დროს თვალებში ეშმაკი ჩაუჯდება.

ზემოთ რომ ლექსების სრული კრებული ვახსენე, მას დართული აქვს გუდიაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტი პოეტისა, რაღა თქმა უნდა, თავისთავად მშვენიერი, მაგრამ იგი სრულად ვერ გადმოგვცემს ლადო ასათიანის ბუნებასა და ხასიათს; კარგად გვაგრძნობინებს პოეტის სპეტაკ სულსა და მიმზიდველ სინაზეს, მაგრამ ვერ განგვაცდევინებს ძალასა და სიმტკიცეს. საბედნიეროდ, მრავალი ფოტოსურათი დარჩა პოეტისა, და განსაკუთრებით ერთი, რომელიც მურმან ლებანიძეს მის მიერვე გამოცემული კრებულისათვის წარუმძღვარებია, თითქოს ცოცხალ ადამიანს შეჰყურებდე. ღრმა სევდა, რომელსაც თვალები ასხივებს, მწუხარების ჩრდილს კი არა ჰფენს მის სახეს, არამედ შინაგანად ანათებს და, ხალას ტალანტთან ერთად, ძალასა და სიმტკიცეს გაგრძნობინებს.

ასეთი იყო ლადო ასათიანი. ასეთი დაგამახსოვრდებოდა იგი, რუსთაველის პროსპექტზე თუ შეხვდებოდი 1938-41 წლებში. მერე ცოტათი შეიცვალა — უფრო და უფრო გალიზიანებული გახდა. გალიზიანებული და არა გაბოროტებული. ირონია გაუმკაცრდა, ის იმედისგაცრუების პატარა ჩრდილი, პირველად ძლივს რომ შენიშნავდი, ქუშ გულგატეხილობად იქცა, თუმცა სიძულვილის გესლი მაინც არ გარევია...

მურმან ლებანიძე წერს, ლადო ასათიანი თუ გინდა გაიგო, მასზე დაწერილი სტატიების წაკითხვა არ არის საჭირო, პოეტის ლექსები უნდა წაიკითხო და ის ყველაფერს გეტყვისო. ნამდვილად ასეა. ოღონდ მარტო ლექსები კი არა, უსათუოდ უნდა წაიკითხო ის პატარა, დღიურივით ჩანაწერებიც, მის ყველა წიგნში რომ შეაქვთ, და, რა თქმა უნდა, პირადი წერილები, რომლებიც, აქვე უნდა ითქვას, სრული არ არის და მერე ალბათ თანდათანობით შეივსება. საოცარია ეს წიგნი, საოცარი სიცხადით გადაგვიშლის ავტორის ცხოვრებას, მისი განწყობილებების მეტამორფოზას, იმ სწრაფცვალებად დროს, რომელშიაც პოეტი ცხოვრობდა...

1938 წლის ზაფხულში ლადო ასათიანი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად.

მანამდე?

მანამდე ქუთაისი. სწავლა, წიგნების დაწაფებით კითხვა, პირველი ლექსები, პირველი სიხარული და... პირველი იმედის გაცრუება. პირველი მოსინჯვა ცხოვრების სიმწარისა, რომელიც ჯერ მხოლოდ მიამიტურად გააკვირვებს ახალგაზრდა პოეტს... და მალევე პირველი დიდი, განუკურნებელი ტკივილი, რომელიც თავის ხანმოკლე სიცოცხლეს ბოლომდე მოუშუშებლად გაჰყვება. თუმცა სხვებთან ამაზე ლაპარაკი არ უყვარს. ზემოთ რომ პოეტის პორტრეტის მოხაზვა ვცადე, დამავიწყდა მეთქვა მისი ხასიათის ერთი თვისება — სიამაყე, რაც სხვამხრივ გულღია და გულგახსნილ ახალგაზრდა კაცს ბორკავს, რომ თავისი სატკივარი და გასაჭირი სხვასაც გაანდოს და ამით თუნდაც მცირე შვება იგრძნოს. ეს სიამაყე მას კაცურ კაცობის ნიშნად მიაჩნია და ამითვე აფასებს

ადამიანს — „იყავი ამაყად, კაცურად, ჰკვიანად" — სწერს იგი უმცროს ძმას. ჩანჩურა ხალხს, ვისაც საკუთარი თავის ღირსება და სიამაყე არ გააჩნია, ეფოროსინეებს ეძახის. „ახლა თბილისი დაცარიელებულია, მაგრამ კიდევ დარჩნენ ეფოროსინეები... ო, როგორ მძულს და მეზიზღება ზოგი ხეპრე და ბოლთის თაყვანისმცემელი, კარგად ნასადილევი ადამიანის სახე რომ აქვს... ყველაფრით რომ კმაყოფილია... თვალებში უაზრობა ჩასდგომია... ასეთი ადამიანის გული ბნელია, როგორც ძუნწი კაცის საფულავი", სწერს იგი თავის უახლოეს ადამიანს. მაგრამ წერილის განწყობილებასაც ეტყობა, რომ ეს უფრო გვიანდელია. ჩვენ ჯერ მწერლობაში მის პირველ ნაბიჯებზე ვლაპარაკობდით.

რა მოკლეა ის ბედნიერი დღეები, როცა ლეჩხუმიდან ქუთაისში ჩამოსული, ჯერ კიდევ ბავშვი პოეტი წერილით უზიარებს დედას გაზეთში პირველი ლექსის დაბეჭდვით გამოწვეულ სიხარულს. „გიგზავნი ლექსს, რომელმაც აალაპარაკა ხალხი ქუთაისში"... „ტრიუმფალურად მიდის ქუთაისისა და კერძოდ ჩემი ლიტერატურული ცხოვრება. გიგზავნი გაზეთებს, გვერდში რომ ლექსია, მანდ დავწერე, ის კი, ცალკე რომაა, ახალია"... ლადოს, საერთოდ, ირონიაგარეული ხუმრობა უყვარს. მაგრამ ეს ხუმრობა არ არის. ახალგაზრდა პოეტის ლაღი სიხარულია, რომელიც გულში ველარ დაუტევია და ეშურება უახლოეს და უძვირფასეს ადამიანს გაუზიაროს. ეს სიტყვები იქნებ უხერხულ ტრაბახობადაც მოგვეჩვენებოდა, თუ არ გვეცოდინებოდა, რომ ბავშვის დაწერილია, რომანტიკულად განწყობილი აღტაცებული ნიჭიერი ბავშვისა, რომელსაც ჯერ თვალსა სჭრის ცხოვრების ელვარება, რომლის წილ ცხოვრებაში ჯერ სატანა არ შეპარულა. „გამომიგზავნე ღვინო და ჩურჩხელების ლეგიონებიო", იქვე სწერს დედას. რა ლაღი უზრუნველობითა სწერს, იმ ადამიანის სილაღით, რომელიც სიცოცხლეს შეტრფის, ირგვლივ მხოლოდ სიკეთეს ხედავს და ბოროტის არსებობა ვერ წარმოუდგენია.

მაგრამ უმალვე, დედისადმი მიწერილ შემდეგ წერილშივე წავაწყდებით იმ პირველ იმედისგაცრუებასა თუ ცვალებას, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით. „...ლექსში კუპლეტები ამომიგდეს. მაინც არ ვჩივი, ეს პირველია... 4 კუპლეტიდან 2 დატოვეს. სასაცილოა"...

ამ დროს პოეტი 17 წლისაა მხოლოდ. ეს პირველია, თითქოს წინათგრძნობამ ათქმევინა — ამის შემდეგ მას სულ ეს სტანჯავს, ამაზე აქვს დავა რედაქციებთან, გამომცემლობებთან, ამან მოუსწრაფა სიცოცხლე... მკაცრი წლები იყო. „ჩემი ლექსი „სამშობლო", — სწერს იგი ქუთაისიდან ალიო მაშაშვილს, რომელიც იმ დროს „მნათობს" რედაქტორობდა, — „...უნდა დაბეჭდილიყო თქვენი ჟურნალის ა. წ. მე-2 ნომერში. მაგრამ უკვე დაბეჭდილი ამოგვიდიათ"... ეს წერილი დაწერილია 1938 წელს.

დააკვირდით ლექსის სათაურს და დაწერის თარიღს! ამ დროს ლადოს უკვე მიყენებული აქვს პირველი დიდი ტკივილი — დედა მოაშორეს და არც იცის, სად არის. როგორც ითქვა, ამ ტკივილს იგი გულში ინახავს, არავის ანდობს და მხოლოდღა ლექსში იფეთქებს დროდადრო: „...ავდექი დარდით გულგასერილი... გინატრა შვილმა, იტირა ლექსმა... ნეტავ სადა ხარ ან რომელ მხარეს, სულზე უტკბესო დედილო ჩემო?" ეს ლექსი 1938 წელსაა დაწერილი, თბილისში ჩამოსვლამდე. გადის წლები და ლექსებში ისევ და ისევ მწარედ გაისმის — „...როცა ვნატრობდი უბრალო ხალათს, დედის ძვირფასი ხელით შეკერილს"... (1939); „შენ, მამაჩემო, რად დარდობ, რამ დაგისველა თვალები? ან შენ სადა ხარ, დედილო, რომ ლექსი გამაბედვინო?" (1940)...

ასეთი დარდით გულგასერილი ჩამოვიდა ახალგაზრდა პოეტი თბილისში, დაბნეული, დაეჭვებული, უბინაო, ყოველგვარ საარსებო სახსრებს მოკლებული, მეტად ბუნდოვანი მომავლის მომლოდინე. და მიუხედავად იმისა, რომ იმ ძნელი წლების სიმკაცრე ყველაზე მწვავედ სწორედ თბილისმა განიცადა, ახალგაზრდა პოეტმა მაინც შვება იგრძნო აქ: იგი ერთბაშად მოხვდა თანამოაზრეთა გარემოცვაში, რომელთაც გულში ჩაიკრეს ახალგაზრდა ნიჭიერი თანამოკალმე. აქ მას დახვდა ნიკა აგიაშვილი — დედის შემდეგ ყველაზე ახლობელი ადამიანი და მზრუნველი, რომლის ქუთაისიდან წამოსვლა ძალიან დააკლდა ახალგაზრდა პოეტს; აქ მას დახვდნენ თანატოლები — რეზო მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, მირზა გელოვანი, კოტე ხიმშიაშვილი, ლადო ავალიანი, ალეკო შენგელაია, გიორგი კალანდაძე, გაბრიელ ჯაბუშანური... ეს ერთი თაობა იყო, ნიჭიერი და იმედისმომცემი თაობა, დიდი ქართული მწერლობის ერთი მძლავრი შენაკადი... აქ მას დახვდა ჯერ ისევ გაუყუჩებელტკივილიანი მოგონება ტიციან ტაბიძეზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, პაოლო იაშვილზე; აქ ის მწერალთა კავშირში თუ თბილისის ქუჩებში ყოველდღე ხვდებოდა გალაკტიონს, ნიკო ლორთქიფანიძეს, ლეო ქიაჩელს, კონსტანტინე გამსახურდიას... თბილისში ამ დროს ლიტერატურული ატმოსფერო სუფევდა, რაც მუდამ ასე სწყუროდა ლადო ასათიანს... აქ იგი ხვდებოდა და ესაუბრებოდა ხალხს, რომელთაც საკუთარი თვალით ენახათ, გამოლაპარაკებოდნენ ფიროსმანს, რომლის შეყვარება ახალგაზრდა პოეტმა ადრევე მოასწრო; აქ იგი დადიოდა იმ ქუჩებში, სადაც დიდ მხატვარს ევლო, ჩადიოდა სარდაფებში, სადაც, გადმოცემით, ფიროსმანს უხატავს, გაუხარელი სიცოცხლის დღეები გაუტარებია...

რამ შეაყვარა ახალგაზრდა პოეტს ასე მტკივნეულად ფიროსმანი? იქნებ არა მარტო

თვითმყოფადმა ტალანტმა მხატვრისა, არამედ მისმა ტრაგიკულმა ცხოვრებამაც, რაშიაც იგი საკუთარ ბედსაც ცნობდა!

ლადო ასათიანი დიდი ქალაქის ცხოვრებას დაეწაფა, ამ ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა. წმიდა მლოცველის სასოებით ნაბიჯ-ნაბიჯ აქვს შემოვლილი მთელი თბილისი, მისი ყოველი ქუჩა და უბანი...

საოცარია, ვისზე აღარ წერენ, თბილისის მოლექსალიათ — რომელ პოეტსა თუ აშუღზე, ლადო ასათიანს კი თითქოს არც ეხსენებინოს თბილისი. არადა, ძნელად თუ დაასახელებ პოეტს, ასეთი წრფელი სიყვარულით ემღეროს თბილისისათვის, შვილის ტკივილიანი, თავდავიწყებული სიყვარულით... ვცადე, ამის საილუსტრაციოდ სტრიქონები ამომეწერა პოეტის ცალკეული ლექსებიდან, მაგრამ შეუძლებელი გამოდგა, ერთი წერილი ვერაფრით ვერ დაიტევს ამას, სტრიქონების ძებნაც ამაო იქნება — მთელი მისი შემოქმედებაა გამსჭვალული ამ სიყვარულით. რა სიხარული, რა სევდა და სინანულია ამ სიყვარულში.

„რამდენჯერ მომნატრებია ადრინდულად გასეირნება რუსთაველზე ღამით, მდუმარებაში. ახლა ჩემსავით აღარავინ დაზეტიალობს აქ, აღარ ჩაუვლის ქაშვეთს“... — წერს უკვე სიკვდილს მიახლოებული პოეტი.

თავისი თაობის პოეტებში მხოლოდ მას შეეძლო ასე ეთქვა — „ჩემი თბილისი და ფიროსმანი არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“... „...მე მოვიარე საავდრო ნისლში დედაქალაქის ყველა ქუჩები, და მერე როცა ჩვეული რიდით გავხსენ რუსთველის ქუჩის ურდული, დაიგრუხუნა თბილისის ირგვლივ და წამოვიდა წვიმა შურდულით. გავხედე, თრთოდნენ ქარ-წვიმის ხმაში ქუჩები, ბევრჯერ გადანათელი, მარტო გამზირზე არ წვიმდა მაშინ და მარტო გამზირს ადგა ნათელი“..., ან: „...და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი“... თანაც, სხვა პოეტებისგან განსხვავებით, აქ ზღვარს ვერ გაავლებ — ძველი თბილისია ეს თუ მისი რომელიმე ახალი უბანი... აქ თბილისი წარმოდგენილია როგორც საქართველო — თავისი წარსულითა და აწმყოთი, როგორც საქართველოს გული, ერის მთლიანობისა და ერთიანობის გამომხატველი.

და როცა სხვადასხვა დროს დაწერილ სტრიქონებს ვკითხულობ, ჩემს თვალწინ შთამბეჭდავ სურათებად ცოცხლდებიან ცალკეული ეპიზოდები იმ მეტისმეტად ხანმოკლე ცხოვრებისა, რაც მკაცრმა და უსამართლო ბედმა პოეტისთვის გამოიმეტა.

ზოგიერთ წერილსა თუ მოგონებას რომ წაიკითხავ ლადო ასათიანისა და მისი თაობის მწერლებისადმი მიძღვნილს, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნება, თითქოს ეს ხალხი სულ ქუჩაში და რესტორნებში იყო და მეტს არაფერს აკეთებდა. ასე არ არის. ბევრს მუშაობდნენ, ძალიან ბევრს კითხულობდნენ. ხელიდან ხელში გადადიოდა პრუსტის, ჰამსუნის, იბსენის, მეტერლინკის, პშიბიშევსკის, [illegible] ფეიხტვანგერის, ჟიდის წიგნები. რომ აღარაფერი ვთქვათ დიდ კლასიკურ მწერლობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ პოეზიაზე. ესენინის, ბლოკის, შელის ლექსებს ზეპირად კითხულობენ, როცა ერთად შეიყრებიან, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო...

არ შემიძლია აქვე არ მოვიტანო ნაწყვეტი პირადი წერილიდან, რომელიც დაწერილია 1942 წლის მიწურულს, როცა ახალგაზრდა პოეტს მორიეული ჰქონდა საშინელი სენი, სიცხით იყო გათანგული და გადარჩენის აღარავითარი იმედი აღარ არსებობდა. „...აბასთუმანში ბევრი დრო მქონდა და სულ წიგნებთან ვიყავი... რომ იცოდე, რამდენი რამ წავიკითხე: როლანისა და ცვაიგის ნაამბობი ბეთჰოვენის, მიქელანჯელოს, ბალზაკის, დოსტოევსკის, დიკენსის, მაგელანის ბიოგრაფიები, შემდეგ ვაზარი და სტენდალი... მერე რამდენი კარგი წიგნია აქ — გიორგი ბრწყინვალის ისტორია, ბექა და აღბუღა ათაბაგების სამართლის წიგნი, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ჰეროდოტე და სტრაბონი, თუკიდიდე და ტაციტი, აქვეა პლუტარქეც... რა ყოფილა ეს გილგამეშიანი — ბრძოლა სიბერისა და სიკვდილის წინააღმდეგ — საუკუნო ცხოვრებისათვის“...

ლადო ასათიანმა, ისე როგორც მისი თაობის ბევრმა ახალგაზრდამ, კარგად იცის საქართველოს ისტორია. ეწაფებიან „ქართლის ცხოვრების“ ძველ, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ გამოცემებს, ეძიებენ და კითხულობენ პირველ წყაროებს და აღმერთებენ ივანე ჯავახიშვილს (ლადო ლექსს უძღვნის დიდ ისტორიკოსს), დიდი თაყვანისცემით მოიხსენიებენ ექვთიმე თაყაიშვილს, მაგრამ ოფიციალურად მისი სახელის ხსენება მიღებული არ არის...

ლადომ ჩინებულად იცის ქართული ლიტერატურა და ახლა უცხოურს ეწაფება — საფუძვლიანად, მთელი სერიოზულობით, როგორც მას სჩვევია ხოლმე. თანამედროვე ქართველ პოეტთაგან, რაღა თქმა უნდა, უყვარს გალაკტიონი, მაგრამ განსაკუთრებით გატაცებულია ტიციან ტაბიძით. ლექსის სტრიქონებიც უძღვნა მას შეფარვით („მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა, ვისაც სახელი შორს გაუვარდა, ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა“...). სწუხდა, რომ ტიციანის ლექსების წიგნი არა ჰქონდა, და როგორ გაიხარა, როცა მე ვაჩუქე სწორედ წინა წლებში გამოცემული კრებული ტიციან ტაბიძის ლექსებისა. ჩემთან იყვნენ სახლში საჯაია და ის, და თვალი ვერ მოაშორა აგრეთვე ნიცშეს, რომელიც „ნივას“ დამატებებად იყო გამოცემული და სიძველისაგან ერთიანად გაყვითლებულიყო, ისედაც მდარე ქაღალდს ელასტიურობა დაეკარგა. წინა წლებში ვიყიდე პუშკინის ქუ-

ჩაზე, პატარა ბუკინისტურ მაღაზიაში. ნარინჯისფერ უდებში ჩასმული თხელი წიგნები დაძენძილი კანაფით შეეკრათ. მაშინ ჯერ ისევ შეხვდებოდი ასეთ წიგნებს ბუკინისტებთან. დაიწყო ლადომ ფურცვლა სიძველისგან გაცრეცილი ფურცლებისა და ვეღარ მოშორდა — ასეთი გატაცება იცოდა — და ეს წიგნებიც ვარუქე. ალბათ ახლაც მის არქივშია.

ლადო ასათიანის შემოქმედებაში აშკარად გამოიკვეთება ერთი მთავარი თემა. და როცა ამას ვწერ, მახსენდება ერთი რეცენზია, დაწერილი შოპენის კონცერტის მოსმენის შემდეგ, კომპოზიტორის სიცოცხლეშივე. რეცენზია ფრანგულად არის დაწერილი, მაგრამ რამდენადაც მე რუსულად მაქვს წაკითხული, პირდაპირ რუსულ თარგმანს მოვიტან:

**В Шопене две личности: патриот и художник, и душа первой побуждает гений второй..**

საოცარია, ეს სიტყვები დაიწერა 1842 წელს, ზუსტად ასი წლის წინათ იმ დღეებიდან, რომელთაც ახლა ვიგონებ. რა თქმა უნდა, ამიტომ არ გამხსენებია ეს რეცენზია. მით უფრო არც იმიტომ, რომ ნიჭისა და შემოქმედების მასშტაბურობის თვალსაზრისით პარალელი გავავლო. ასეთი პარალელების გავლება საერთოდ ფუჭი და უსარგებლო საქმეა. მაგრამ თემისადმი მხატვრის დამოკიდებულების, შემოქმედების საერთო ხაზის, განწყობილების თვალსაზრისით, ვფიქრობ, მართლაც შეიძლება ზემონახსენები რეცენზიიდან მოტანილი სიტყვების გამოყენება ლადო ასათიანის პოეზიის მიმართ. ლადო ასათიანის მთელი შემოქმედება, თითქმის ყველა მისი ლექსი სამშობლოს სიყვარულით, მშობელი ხალხის ბედზე ზრუნვით არის შთაგონებული. პატრიოტიზმი ხასინჯი ქვააო, წამიკითხავს. შეიძლებოდა ამ აზრის დაკონკრეტება: პატრიოტიზმი ბეწვის ხიდზე სიარულია, საიდანაც ადვილად შეიძლება გადაიჩეხო — და ბევრი გადაჩეხილა კიდეც — პროვინციალიზმში, უგემოვნებაში, სქემატიზმში, ყალბ პათეტიკაში. ლადო ასათიანი ამ ბეწვის ხიდზე გადის. გადის თავაწეული, ლაღად. როცა კითხულობ, შიში არ გიპყრობს, ვაი თუ გემოვნებამ უმტყუნოს, ვაი თუ ფეხი დაუცდეს და გადაიჩეხოსო. რა შველის პოეტს ასე ლაღად რომ ეპყრობა ამ საშიშ თემას? უპირველეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, ნიჭი, ტალანტი, და გულწრფელობა, უშუალობა, გრძნობის სიხალასე...

საერთოდ, ვერ იტანდა ვერავითარ სიყალბეს. საოცრად გამახვილებული სმენა ჰქონდა და ხელადვე იგრძნობდა სიყალბის ნოტებს — მხატვრულ ქმნილებაშიაც, ადამიანის ხასიათშიაც, მეტყველებაშიაც... ყველაფერს აპატიებდა ადამიანს და ყალბ პათეტიკას — არა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, რა ვითარებაში, თუნდაც სუფრაზე, სადღეგრძელოების დროს, როცა ადამიანს უფრო უჭირს ზომიერების დაცვა, ხელებს გაშლიდა და შესძახებდა [illegible] ვირევი ახლა, გავსულელდები!“ ვარელი შეძახილებია — ასე გამოხატავდა პროტესტს, თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. არაფერს მოერიდებოდა, პირში მიახლიდა მოურიდებლად და მკვახედ.

მით უფრო, ვერ იტანდა ყალბ პათეტიკას მხატვრული შემოქმედების ვერც ერთ სფეროში. ერთხანს პიონერთა სასახლეში ვმუშაობდი. ჩემი ოთახიდან პირდაპირ აივანზე გახვიდოდი და იქიდან ქვის ფართო, ძველებური კიბე ეშვებოდა სასახლის დიდებულ ბაღში. მთელს იმ აივანსა და კიბის გრძელ, მასიურ მოაჯირს ორივე მხარეს გლიცინია მიჰყვებოდა, და არაფერი ჯობდა იქ ყოფნას გაზაფხულობით, როცა გლიცინია აყვავდებოდა. ალიოშა საჯაია და ლადო ხშირად გამომივლიდნენ ხოლმე, მოსწონდათ იქაურობა. ერთხელ, აივანზე რომ გავედით ბაღში ჩასასვლელად, ლადო რაღაც არაბუნებრივად დაიძაბა, მოაჯირს ხელჩაჭიდებულმა უხერხულად ამსუბუქებული ნაბიჯით (თითქოს მთიელი კაცის მოძრაობას ბაძავსო) დაიწყო ქვემოთ დაშვება, თანაც, ყოველ ორ საფეხურს რომ ჩაივლიდა, ერთ-ორჯერ შემოტრიალდებოდა. თითქოს პირდაპირ ჩასვლა არ შეიძლებოდა, ჩასვლას განგებ ირთულებდა, თვალებს გადაატრიალებდა... კიბე კარგა მაღალია, და როცა სულ ქვემო საფეხურს მიუახლოვდა, ერთი კიდევ შეტრიალდა, თვალები გადაკარკლა, შეჰკივლა — „მ ო მ კ ლ ე ს!“ და უხერხული მოძრაობით მოაჯირს გადააწვა. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია სიტყვებით გადმოცემა, როგორ გააკეთა ეს. და ახლა იმიტომ გავიხსენე, რომ ეს იყო პაროდია ზოგიერთი ჩვენი თეატრისა, როცა უზარმაზარი დეკორაციებით გაჭედილ სცენაზე თითქოს გმირულ თეატრს განასახიერებდნენ და ეპიგონობა კი გამოსდიოდათ, ყალბი, გულისამრევი პათეტიკა. ნამდვილი გმირული თეატრი მოსწონდა ლადოს. იგი არ მოსწრებია ახმეტელის დიდებულ სპექტაკლებს და ეს სანანებლად ჰქონდა...

უბრალო ადამიანი იყო, ვერ იტანდა გატუღარქულ, გადაპრანჭულ სტილს. საგულისხმოა რეზო მარგიანისადმი მიწერილი ბარათი, სადაც ვკითხულობთ: „...მე მართალი კაცი ვარ, ჩემი ლექსების თემა მუდამ საქართველოა... იჭიაბიჭია ცრუ პატრიოტიზმი ჩემი საქმე არ არის. აი, ასეთი თანამედროვე პოეტი ვარ და ასეთი თანამედროვეობა მწამს მე. მორჩა და გათავდა! ვინც ეს არ იცის, ის სულელია...“ ეს სიტყვები შემთხვევით არ არის დაწერილი. როგორც ვხედავთ, აქ ერთგვარად პოლემისტური პათოსიც იგრძნობა იმათ მიმართ, ვისთვისაც სწორედ „იჭია-ბიჭია ცრუ პატრიოტიზმია“ დამახასიათებელი და იმათ მიმართაც, ვისაც ასა-

თიანის შემოქმედების პატრიოტული განწყობილება არ მოსწონს.

აგერ, უმცროს ძმასთან მიწერილი ბარათიც ვნახოთ: „თუ ძმა ხარ, სიტყვების კორიანტელი, გატულარჩული სტილი და ათასნაირი უცხოური ამბები ნუ გაგიტაცებს, ეს ყველაფერი სისულელეა. ჩვეულებრივი, ადამიანური ენით დაწერილი (ილია, აკაკი, ვაჟა) წაიკითხე და იყავი ჩვეულებრივად უბრალო".

ძმასთან მიწერილმა ბარათებმა გამახსენეს. მცდარია ის აზრი, თითქოს ლადო ასათიანი დაუდევარი კაცი ყოფილიყოს, ბოჰემური ცხოვრების მიმდევარი... ამ შთაბეჭდილების შექმნას იქნებ იმანაც შეუწყო ხელი, რომ უბინაო იყო, ხან ვისთან იყო შეკედლებული და ხან ვისთან. არც იმის საშუალება გაჩნდა, ბინა კერძოდ დაექირავებინა... სოცარი შინაგანი წესრიგი ჰქონდა, თვითდისციპლინა, ფანატიკურად პატივისმცემელი იყო საქმისა, რომელსაც ემსახურებოდა, და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა. დაუდევრობას და ადამიანებთან ურთიერთობაში უპატივცემლობას სხვებისასაც ვერ იტანდა. სწორედ ძმასთან მიწერილმა ბარათმა გამახსენა: „ბიჭო, გოგია, ამ ერთ ნაკუწ ქაღალდზე რომ იწერები, სხვას თუ არ სცემ პატივს, შენს თავს მაინც უნდა სცე. გაგონილა ასე რაღაც ნაკუწებზე წერა!... მოიწერე წესიერად წერილები, თავისუფალი ხარ, დიდი დატვირთვა შენ არ გაქვს, რომ ვერ მოიცალო".

უნდა ნახოთ არქივში დაცული ავტოგრაფები პოეტისა, მეგობრებსა და ახლობლებთან მიწერილი ბარათები, ჩანაწერები... რა სასოებით წერს, რა სიყვარულით! ესეც კი მაღალი პროფესიონალიზმის გამოხატულებაა, რაც ასე დამახასიათებელი იყო ლადო ასათიანისათვის.

თბილისში ჩამოსული ლადო ასათიანი ერთი პირობა გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში მუშაობდა. გაზეთის რედაქცია იმ დროს საოპერო თეატრის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სახლში იყო, სულ ზემოთა სართულზე. ზაფხულის დღეებში, მუშაობის დამთავრების შემდეგ, როცა თანამშრომლები სახლებში გაიკრიფებოდნენ, ლადო რედაქციის პატარა აივანზე გამოვიდოდა, ბინა არა ჰქონდა — ხან ვისთან იყო შეკედლებული და ხან ვისთან — და არსად მიეჩქარებოდა. იჯდა აივანზე და კითხულობდა. დროდადრო რუსთაველის პროსპექტს გახედავდა. მთელი ქუჩა ხელისგულივით მოჩანდა აქედან. ასე გვერდიდან რომ გახედავდი, ქაშვეთიც კარგად იხედებოდა, თუმცა წინ ულაზათო შენობა (მიგიენის სახლი — აბანოსაპარიკმახერო) წამოუჭიმეს, რათა ტაძარი ნაწილობრივ მაინც დაეფარათ. ქუჩაში მოსიარულისათვის მართლაც დაფარული იყო, მაგრამ ასე, ზემოდან რომ გახედავდი, მთელი თავისი მშვენიერებით ჩანდა. ლადოს თანატოლი ახალგაზრდები უკვე სოფლებში იყვნენ გაკრეფილები, თვითონ კი ვერსად მიდიოდა, მთელი ზაფხული თბილისში გაატარა. ეს იყო 1939 წელს. ცხელი ზაფხული იყო, მეც თბილისში ვიყავი იმ ზაფხულს. საღამო-ხანს გამოვივლიდი — ასე ვიყავით შეთანხმებული — ავძახებდი, ისიც ჩამოვიდოდა და კიროვის პარკში წავიდოდით, განაპირა კორდზე ჩამოვსხდებოდით, აქედან მთელი თბილისი მოსჩანდა, ზოგჯერ ყაზბეგიც გამოჩნდებოდა ხოლმე. გვიან ღამემდე ვისხედით იქ. რაზე ვსაუბრობდით? რაზე აღარ — ახალწაკითხულ წიგნებზე, ჩვენს ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე, დღევანდელ ჩვენს ყოფაზე. იმ დროს აღმოვაჩინეთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში „ინგლისის ისტორია ბავშვებისათვის" დიკენსისა. ეს წიგნი, რამდენადაც ვიცი, რუსულად არ გამოცემულა, და ლადო დაინტერესდა — როგორ არის მოთხრობილი, გაიდეალებულია წარსული თუ ყველაფერი სიმართლით არის გადმოცემული, გაბმული თხრობაა თუ ცალკეული მნიშვნელოვანი ეპიზოდებია მოთხრობილი... ცალკეულ ადგილებს მაამბობინებდა ხოლმე. ძალიან დააინტერესა იმ ფაქტმა, რომ დიდი მწერალი ბავშვებს ერის ისტორიას მოუთხრობდა — უბრალოდ, მიმზიდველად...

იქნებ ამ დროს გაჩნდა ჩანაწერი მის რვეულში:

„მინდა მქონდეს საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის ისე, დიკენსმა რომ დაწერა და შეადგინა..."

და იქნებ ესეც ამავე აზრის გაგრძელება იყოს:

„როგორ უნდა დაიწეროს საქართველოს ისტორია? ჩვენ ხომ ჯერ არ გვაქვს იგი ხალხის საკითხავად! საჭიროა მიუკერძოებელი, ეამთაალმწერელი: დაწეროს, რაც იყო, რაც მოხდა — შეულამაზებელ-შეუფერავად, უბრალო ენით, ზღაპარივით საამოდ სასმენელად..."

ზემოთაც ითქვა, საერთოდ გატაცებული იყო საქართველოს ისტორიით, ყველაფერს კითხულობდა, რასაც კი წააწყდებოდა ამ საგანზე. საგულისხმოა მისი ერთი პირადი წერილი აბასთუმნიდან — ითხოვს გაუგზავნონ სხვადასხვა წყაროები საქართველოს ისტორიიდან, რისი წაღებაც ვერ მოუსწრია.

არა, ეს არ ყოფილა უბრალო დაინტერესება — იგი უფრო დიდი რამისთვის ემზადებოდა...

ქართველი ხალხის წარსულის სიყვარული კარგად ჩანს მის პოეზიაში. და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო, რომ მკაცრად აკრიტიკებდნენ. საქმე ისაა, რომ ამ თემას ეჭვით და აღმაცერად უყურებდნენ მაშინ, ნაციონალისტობად ნათლავდნენ, პატივში არ იყო ისტორია. ზემოთ აკი გავიხსენეთ, რა ბედი ეწია ლადოს ერთ ლექსს — „სამშობლოს", ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდოდა. დიდი, სახელმოხვეჭილი უნდა ყოფილიყო მწერალი, რომ ამ თემაზე წერა ეპატიებინათ.

საგულისხმოა პოეტის ერთი ჩანაწერი.

მწერალთა სასახლის ბაღში მწერლები ისხდნენ და საუბრობდნენ... მაგრამ პირდაპირ მოვიტან ამ ჩანაწერს:

„მწერალთა სახლის ბაღში ერთი მწერალი იჯდა — რაფიელის „სამშობლო ხევსურისა“ ადგილობრივი, კუთხური პატრიოტიზმიაო, შოვინიზმის სუნი უდისო. სულ სულელი ვუძახე. უნდა მეცემნა, ძლივს გამასწრო... სულელია და... აბა რა ჭკუა უნდა მოვკითხო!“

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა ახალგაზრდა პოეტი, როცა მისი შემოქმედების ამოსავალი სწორედ ეს იყო. ამიტომაც ჰქონდა გაუთავებელი დავა რედაქციებსა და კრიტიკოსებთან, ამიტომ იყო სულ იმის შიშში, რომ ლექსისათვის „ჩხიკინი“ არ დაეწყოთ (ეს მისი გამოთქმაა), არაფერი შეეცვალათ, არაფერი ამოეგდოთ. აღიზიანებდა მაშინდელი კრიტიკის დონე. იმავე „ჩანაწერებში“ ასეთი კრიტიკოსებიც მოხვედრილან. ერთგან მთელი აბზაცი გადმოუწერია ასეთი კრიტიკოსის ნააზრევისა:

„ჩვენი შესანიშნავი პოეტის ამ ღირსშესანიშნავი კრებულის გამოცემა, როგორც ამას ჩვენი არანაკლებ ღირსშესანიშნავი კრიტიკა აღნიშნავს, ნიშნავს იმ განსაკუთრებულსა და ახლის აღნიშვნას ჩვენი უმნიშვნელოვანესი ხალხის ცხოვრებაში, რაც პოეტმა ჩანიშნა ჩვენი მწერლობის შესანიშნავ საგანძურში და, რაც ბუნებრივად აღსანიშნავია, დაკავშირებულია ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს უმნიშვნელოვანეს სახელთან“.

კრიტიკოსის გვარი არა აქვს აღნიშნული, უბრალოდ მოწერილი აქვს „ერთი კრიტიკოსის სტილი და ენა“. და თუნდაც თვით პოეტის მოგონილი იყოს, მაინც კარგად მიუთითებს ჩვენი კრიტიკის მაშინდელ დონეზე. და იმაზეც, თუ როგორ გაუღიზიანებია ამ კრიტიკას. ასეთი „კრიტიკა“ თანამედროვე ცხოვრებიდან განდგომას სწამებდა კაცს, რომელიც სწორედ თანამედროვე ცხოვრებით სუნთქავდა და სულდგმულობდა. ლადოს, ბუნებრივია, ძალიან აღიზიანებდა ეს. ასე იცოდნენ — როცა ერთ რამეს ან ვინმეს ამოიჩემებდნენ, აღარ მოეშვებოდნენ ხოლმე, ყველგან მასზე იყო ლაპარაკი, ყველა კრებასა თუ პლენუმზე, მწერალთა კავშირშიც და კავშირის გარეთაც. ერთხელ ლადო ასათიანი მაღალი ტრიბუნიდან დაამუშავეს, საკმაოდ მკაცრად. უხერხული მდგომარეობა შეიქნა, ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეტად არასასურველი შედეგები. დრო იყო ისეთი. ლადო არ იმჩნევდა, ცდილობდა სხვებისთვის არ ეჩვენებინა შიში თუ შეწუხება. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა. ამის შემდეგ სულ რამდენიმე დღე გავიდა და გაზეთში გამოჩნდა უცნაური და უსიამოვნო განცხადება: ერთი მწერალი მკითხველ საზოგადოებას აუწყებდა, მოხსენებაში მკაცრად გაკრიტიკებული პოეტი მე არ ვარო. ეტყობა, ასე ურჩიეს თუ დაავალეს იმ კაცს. — ასეთი შემთხვევები სხვებიც მომხდარა. — ამან კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა, ხაზი გაუსვა ისედაც ყველასათვის ცნობილ ფაქტს, რომ ასეთი ტრიბუნიდან გაკრიტიკებას შეიძლებოდა უფრო რთული შედეგები მოჰყოლოდა. ლადოს მეგობრები შეწუხებული იყვნენ. თვით ლადო ახლაც ცდილობდა არ შეემჩნია. მაგრამ ბავშვი ხომ არ იყო, ყველაფერს ხვდებოდა. როცა პირველად ნახა ეს გაზეთი, ჯერ გაშრა, იმდენად მოულოდნელი იყო, სახე შეუფაკლდა (დაუფორაკდებოდა ხოლმე სახე ასეთ დროს), მერე ერთბაშად თავისი გრძელი ხელები გაშალა და გაცხარებით თქვა: „მეც უნდა გამოვაქვეყნო ახლა განცხადება, რომ მაგისი უნიჭო ნაწერების ავტორი მე არა ვარო“, ეს კი თითქოს ლაღად თქვა, მაგრამ გულში რა ცეცხლი უტრიალებდა! მწარე იყო ეს ხუმრობა.

ლექსების ბეჭდვა ხომ მუდამ გაძნელებული ჰქონდა და იმ კრიტიკის შემდეგ უფრო გართულდა მდგომარეობა. გამოჩნდა კრიტიკული წერილები, ამჯერად უკვე სალიტერატურო პრესაში — ისეთივე მკაცრი და უსამართლო. ზედიზედ აკრიტიკებენ მის საუკეთესო ლექსებს, როგორც არაჯანსაღი განწყობილების გამომხატველებს, აკრიტიკებენ, რომ ის სიყვარულზე წერს. ასე გაუკრიტიკეს მშვენიერი ლექსი „ალბომიდან“ („რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს, რამ დამავიწყოს ეს ალუბლები“), როგორც დეკადენტური მიმართულების გავლენით დაწერილი, აკრიტიკებენ მის ერთ-ერთ შედევრს „ცაგერის ბაზრობას“, როგორც სინამდვილიდან განდგომისა და ისტორიზმში გადასვლის ნიმუშს, აკრიტიკებენ მის შესანიშნავ ლექსებს ფიროსმანზე, მის „კოლხიდას“... თითქოს მისთვის მოიცალა კრიტიკამ. მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა. პოეტს მოსთხოვეს საჯაროდ ეღიარებინა თავისი „შეცდომები“. და გულისმომკვლელი იყო ეს სიტყვა:

„...მე ვგრძნობ ჩემი ზოგიერთი ლექსის იდეურ სიღარიბეს, იდეურ ჩამორჩენილობას... გამოვედევნე რა სასიყვარულო განცდებს, წმინდა ადამიანური განწყობილებების გადმოცემას, სჩანს დავივიწყე ნამდვილი სოციალური მოტივი. გავყევი რა პირადულ განცდებს, დავივიწყე მისი განზოგადების აუცილებლობა...“

მე აქ დაწვრილებით არ მოვიტან ამ სიტყვას. იგი მართლაც რომ გულისმომკვლელია. რა სისასტიკე იყო ეს ახალგაზრდა პოეტის მიმართ! თუმცა ეს მარტო სისასტიკე არ ყოფილა, ეს იყო საშინელი ცინიზმი. კაცს, რომლის მთელი შემოქმედება სიცოცხლის საგალობელია, რომელიც თანამედროვე ცხოვრებით ცხოვრობს, — პესიმიზმს, ჩამორჩენილობას და ისტორიზმში გადავარდნას უკიჟინებენ. „სასიყვარულო განცდებისა“ და „ადამიანური განწ-

ყობილებების გადმოცემას“ მომაკვდინებელ ნაკლად უთვლიან.

ამის შემდეგ პოეტის ყოველ სტრიქონს ეჭვით უყურებდნენ რედაქციებში. მკაცრად მოითხოვდნენ თანამედროვეობაზე წერას, თითქოს ყველა ლექსი ლადო ასათიანისა თანამედროვეობას არ ეხმაურებოდა...

ჭირს ლექსების დაბეჭდვა. რედაქციებში თვეობით, წლობით აწყვია მისი ლექსები.

„გამიგე, „თაობაში“ ლექსი თუ იბეჭდება ჩემი, № 6-ში, ანდა საჯაიამ თუ მიუტანა ნიკას ლექსი, ორი ლექსი აქვთ მანდ ჩემი...“

ეს წერილი აბასთუმნიდანაა.

და ისევ აბასთუმნიდან:

„...იმ ერთი ლექსის გარდა, რომელიც მაგათი ანგარიშით № 7-ში უნდა დაიბეჭდოს, კიდევ აქვთ ერთი ლექსი „ასათიანური“ და თუ არ დაბეჭდავენ, გამოართვი“.

დააკვირდით: იგი ახსენებს ერთ ლექსს — „ასათიანურს“. ასეთ ლექსს ვერ შეხვდებით მისი ლექსების ყველაზე სრულ კრებულშიაც. საქმე ისაა, რომ ეს ლექსი „სალაღობოს“ სახელით დაიბეჭდა. „ასათიანური“ ალიოშა საჯაიამ დაარქვა ამ ლექსს (როცა პოეტმა წაუკითხა) და ლადოს ძალიან მოეწონა. მაგრამ ამ სახელწოდებით მაინც არ დაიბეჭდა. ძნელი სათქმელია, რედაქციამ შეაცვლევინა სათაური თუ თვითონ შეცვალა და, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი სათაურიც კი მისცა. მაგრამ ლადოს ისე მოეწონა ეს სახელწოდება, რომ შემდეგ ყველა თავის ლექსს „ასათიანურს“ უწოდებს. ერთგან ამბობს კიდეც — უნდა დავწერო ჩემებურად, ასათიანურადო...

მაგრამ ისევ დაწყებული ამბავი განვაგრძოთ. გაძნელდა ლექსების ბეჭდვა.

„გიგზავნი ლექსებს (სულ 6 ლექსია), მიეცი სიმონ ჩიქოვანს ან კარლო კალაძეს „მნათობისათვის“. უნდა დაიბეჭდოს აუცილებლად ასე — ექვსივე. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მინდა, თუ რაიმე შეიცვლება, თუ გინდა ერთი სიტყვა, არც მაშინ მინდა, არაფერია აქ შესაცვლელი, და არც სადაოა რამე... ისევ გიმეორებ, თუ ასე დაიბეჭდება, თორემ არ მინდა. იცოდე, გავგიჟდები, რომ სხვანაირად რამე მოხდეს, ქვეყანას შევაწრიალებ. თუ დაბეჭდვა გადაწყვიტონ, მაშინ მანქანაზე რომ გადაბეჭდავინებენ, მერე ნიკას შეადარებინე, თორემ შეცდომები იქნება და გავგიჟდები. თუ ასე არ დაიბეჭდოს, მაშინ გამოართვი, არ დაკარგო, შეინახე, ნურავის ნუ აჩვენებ, ჩუმად და წყნარად გააკეთე ეს. კიდევ გიმეორებ, თუ ასე არ დაიბეჭდება, არ მინდა, კარგად დაიმახსოვრე. სხვას არავის მისცე. სიმონი სჯობია ან კარლო“.

ეს წერილიც აბასთუმნიდანაა და იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ კარგად გვაჩვენებს პოეტის სულიერ მდგომარეობას.

„ლექსებს არაფერი ჩხიკინი დაუწყო, არ გადამრიო, შვილივით გაბარებ, იცოდე“.

ამასაც აბასთუმნიდან იწერება.

გართულდა წიგნის გამოცემაც .

„როგორაა შენი წიგნის საქმე? ჩემსას ხომ არ დაადგა საშველი და ისაა“, — სწერს აბასთუმნიდან მეგობარს.

და ისევ აბასთუმნიდან მეუღლესთან მიწერილ ბარათში:

„რა ეშმაკი მოუვიდა მა „ერთცახე“ წიგნს, მაგან გამიჩინა ჭლექი“.

აქ ლაპარაკია პოეტის პირველ წიგნზე, რომელმაც, როგორც იქნა, იხილა დღის სინათლე...

ლადო ასათიანს ძალიან ბევრი ეპიგრამა დარჩა. ეს ეპიგრამები ზეპირად ვრცელდებოდა და დიდი გამოცოცხლება შეჰქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში — ზოგი ობიექტი ეპიგრამისა განაწყენებული რჩებოდა, ზოგი გაღიზიანებული, ზოგი მოთმინებას კარგავდა და რისხვას ანთხევდა... საქმე ისაა, რომ ეპიგრამები ეხმაურებოდა სხვადასხვა ფაქტს თუ მოვლენას, ეხებოდა ცალკეულ პირს... იგი უმთავრესად კიცხავდა და დასცინოდა ადამიანურ სისუსტეებს, საზოგადოებაში გამეფებულ მანკიერებებს — მლიქვნელობას, პირმოთნეობას, სიხარბეს, წრეგადასულ პატივმოყვარეობას, ანდა სულაც ჭამა-სმითა და დროსტარებით ზედმეტ გატაცებას... ზოგში პირდაპირ იყო დასახელებული დაცინვისა და გაკიცხვის ობიექტი, ზოგში შეფარვით, მაგრამ ისე იყო დახასიათებული, რომ ყველა კარგად ცნობდა. ზოგი ეპიგრამა სავსებით უწყინარი იყო, ზოგი მეტისმეტად მწარე და გესლიანიც კი. ეს ეპიგრამები უმთავრესად სახელდახელოდ ითხზვებოდა, ზოგჯერ ზეპირადაც, მეგობრების წრეში ყოფნის დროს. და კიდევ ერთხელ ადასტურებდა ავტორის დიდ პოეტურ ნიჭსა და მახვილ გონიერებას, ხასიათების ლაკონურად ხატვის უნარს. ბევრი ეპიგრამა თავისსავე მეგობრებზეა, თავისსავე საყვარელ ადამიანებზე და არც მათ აკლიათ სიმწვავე. მაგრამ, როცა ამ ეპიგრამებზე ვსაუბრობთ, ერთი წუთითაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაკი ბედი უსამართლოდ მოექცა პოეტს, რაკი ადამიანებიც უსამართლოდ ექცეოდნენ, თითქოს ამას გაებოროტებინოს იგი. რაღა თქმა უნდა, უსამართლო მოპყრობა აღიზიანებდა, მაგრამ ღვარძლი და ბოროტება უცხო იყო მისთვის. იგი ყველას მიმართ კეთილმოსურნე იყო, ყველას წარმატება ახარებდა და არასოდეს არავის მიმართ ერთი ბეწო შური არ ჰქონია. პირიქით, მის პირად წერილებსა და ჩანაწერებს რომ კითხულობ, გაკვირვებული რჩები — სადა ჰქონდა ამ უკიდურესად გატანჯულ ადამიანს ამდენი სითბო და ალერსი. როგორი სიყვარულით მოიხსენიებს ყველას — უფროსი თაობის მწერ-

ლებსაც და თანატოლებსაც. როგორი სიყვარულით ახსენებს არა მარტო მის ყველაზე ერთგულსა და უახლოეს მეგობარს ნიკა აგიაშვილს, არამედ სხვებსაც, ყველას — მირზას, რეზო მარგიანს, გაბრიელ ჯაბუშანურს. როგორ ხშირად წააწყდები ხოლმე ამ ბარათებში — „ალიომა თუ ჩამოვიდა“, „ალიომა ახლა ალბათ შოვშია“... ეს ალიომა საჯაიაა.

საკმარისია ჩაიხედოთ მის წიგნში, და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავთ ასეთ ფრაზებს... და რაც უფრო ახლოვდება სიკვდილი, უფრო იგრძნობა მეგობრების მონატრება.

სიკვდილი კი ულმობლად ახლოვდება.

ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდება. წამლის შოვნა ჭირს. თუმცა რა წამალმა უნდა უშველოს უკურნებელ სენს. მაინც აქვთ წამლის იმედი. „მაზგავოი“ და მისი ჯანი!“ იმედიანად და მხნედ სწერს ლადო ცოლს აბასთუმნიდან. ეს წერილი ცოტა უფრო ადრინდელია — ჯერ არ გადაწურულა იმედი. მაგრამ წამლის შოვნა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ძნელდება, და საინტერესოა ალექსანდრე საჯაიას წერილები, რომლებშიაც კარგად ჩანს ამ ახალგაზრდა კაცის ჩვეული სითბო და გულისხმიერება, რასაც იგი არასოდეს არ იშურებს მეგობრების მიმართ. აქ მოვიტან ცალკეულ სტრიქონებს ზოგიერთი წერილიდან:

„გამარჯობა, ძმაო ლადო, შენი წერილი მივილე. ცუდად ვარო იწერები. „მაზგავოის“ წამალი ვიშოვე მთელი ნახევარი წლის სამყოფი. ნუ გეშინია, ლადო. მთავარია, არ ინერვიულო... კარაქი იყიდე ცალკე“... ეს წერილი 1940 წლითაა დათარიღებული. აგერ, მეორე წერილი: „...მომწყინდაო, იწერები. რასაკვირველია, მოგწყინდებოდა, მაგრამ წამოსვლა სისულელეა, კიდევ ორი თვე და მერე სულ კარგად იქნები. წამალი არ მოიკლო, იცოდე. თუ მანდ არ არის, აქედან გამოგიგზავნი. კარაქიც უნდა ჭამო, თორემ ისე არაფერი გამოვა“... კიდევ ერთი წერილი: „...შენი წამოსვლა ჯერჯერობით არაფრით არ შეიძლება — თბილისში ძალიან ცხელა“... აგერ, კიდევ ერთი წერილი: „...სხვა, ლადო, აქ გავიგეთ, რომ „მაზგავოის“ წამალი მანდაც ყოფილა. სანატორიუმის ექიმს ექნება. გამოართვი და იხმარე მანდ ყოფნისას. აქ რომ ჩამოხვალ, იმ დროისთვის ეთერი იშოვის კიდევ. ნუ მოიწყენ და კარგად იყავი. ლექსები დაწერე ბევრი“... აქ ნახსენებ ეთერ სვანიძეს ლადომ ლექსი უძღვნა („ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ დაფდაფითა და ბუკითა, ახლა ყაყაჩო შემომხვდა ლამაზი ქალის შუქითა“...).

საჭიროა აბასთუმანში ხანგრძლივად ყოფნა, მაგრამ არც ეს ხერხდება — ძვირი ჯდება აბასთუმანი, საგზურის შოვნა ჭირს, ფული არ არის. აქ უსათუოდ უნდა ითქვას ლადოს მეუღლის ანა ვაჩნაძის საოცარ ერთგულებასა და თავდადებაზე. იგი შეუძლებელს აკეთებს, რომ ლადოს არაფერი მოაკლოს, ცხოვრება გაუადვილოს, ამ საშინელი გაჭირვების დროს ახერხებს, საგზური უშოვოს, ვადა გაუგრძელოს, ფული დროზე მიაწოდოს. უკვე იმიც დაიწყო. ახალგაზრდები მიმოიფანტნენ, ცხოვრება მეტისმეტად გაძნელდა. პოეტის სულიერი განწყობილება მეტისმეტად მძიმეა, უკვე გაცინებულს ველარ ნახავ... პირად წერილებში ასე თუ ისე ჩანს ეს განწყობილება. წუწუნი არ უყვარს, მაგრამ აქა-იქ მაინც გაიპარება ბედის სამდურავი — „წავიდა ჩემი ყმაწვილკაცობა... განა ასეთი ახალგაზრდობა მინდოდა? განა ამას ვნატრობდი...“ „ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება და თვეებს საუკუნეებად ვითვლი...“ ამ ფრაზებს, როგორც ითქვა, პირად წერილებში თუ წააწყდები, შემთხვევით თუ წამოცდება ასეთი რამ, კანტი-კუნტად. იგი, რა თქმა უნდა, გრძნობს მოახლოებულ სიკვდილს. როგორ შეიძლება არ იგრძნოს, როცა ყოველდღიურად ტკივილსა და ტანჯვას უმატებს, ძალღონეს აცლის, ენერგიას აცლის, მაგრამ საოცარია: ეს არ იგრძნობა მის შემოქმედებაში, ლექსებში. „ჩემი საქმე წასულია... საშინელი დღე დამაყარა ცხოვრებამ“, სწერს იგი ერთ წერილში, და აქვე: „რაც შეეხება მწერლობას, ეს ცალკეა. მწერლობას სხვა პატივისცემა უნდა“... და მართლაც, სწორედ იმ ხანებში, როცა ზემოთ მოტანილი ფრაზები იწერებოდა, შექმნილია პოეტის ლექსები „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „გულბაათ ჭავჭავაძე“, „ბასიანის ბრძოლა“, „ქართული ენა“... და აქ იმას კი არ მინდა ხაზი გავუსვა, თუ რა დიდებული ლექსები არიან ისინი და როგორ ამშვენებენ ქართულ პოეზიას, არამედ ამ ლექსების განწყობილებაა საგულისხმო: საოცარი სილაღე, სიმხნე, შემართება და ხალისი, სიცოცხლის და უშრეტელი სიყვარული. თვით ისეთ ლექსებშიაც კი, რომლებიც სიკვდილს ეძღვნება, სიცოცხლის ფეთქვა და წყურვილი იგრძნობა. გავიხსენოთ თუნდაც მისი ლექსი „სასაფლაო“ — „ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული, აქეთ-იქით საფლავები და მათს შორის ნაკადული, და მათ შორის ნაკადული, ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი, ვით იესოს ტანჯულ მკერდზე გადმომსკდარი სისხლის ღვარი... ვის უნახავს-საფლავებში როგორ მოქრის ნაკადული, როგორ მოქრის, როგორ მოქუხს, ვით სიცოცხლე უშიშარი...“ საინტერესოა ამ ლექსის დაწერის ისტორიაც, რომელსაც პოეტი თავის მეგობარს აკაკი გაწერელიას სწერს: „აქაური სასაფლაო ვნახე. უცნაურია: მთაში რამდენიმე საფლავია... საფლავებს შორის მოჭქრის ნაკადული, მთის ნაკადული... როგორც სიცოცხლე...“ ანდა შესანიშნავი ლექსი, რომელსაც თავის საშინელ სენს მიუძღვნის, თითქოს გამოწვევაა სიკვდილისა, მარადიული სიცოცხლის სადიდებელია. გავიხსენოთ ეს ლექსი — „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო, ლექსში ქა-

რთულად რომ მოგიხსენო", „შენ შეგრჩეს ვაჟას ფილტვების დაღრღნა და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა"...

სულიერად მართლაც ვერ გასტეხა, მაგრამ კატასტროფა სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. სამწუხაროდ, ამ ხანებში დაწერილი ზოგი წერილი პოეტისა ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. მინდა გავიხსენო ერთ-ერთი უკანასკნელი ბარათი, მიწერილი ნიკა აგიაშვილთან ფრონტზე. ამის შემდეგ ათიოდე თვე იცოცხლა ლადომ: „მე — დაწყევლილი ლადო ასათიანი — ერთი კვირაა რაც გეახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბასთუმანში აბსოლუტურად მარტომ, სულ წიგნებთან. არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით მე მალე უნდა მივიცვალო... ახლა რაც შეეხება ჩემს პოეტურ მოღვაწეობას... დავწერე რამდენიმე ლექსი: „გულბაათ ჭავჭავაძე", „ქართველი ოქროს მაძიებლების სიმღერა", „ირმების შეთქმულება", „სუმბული" და ერთიც 300 სტრიქონიანი ბალადა „ბასიანის ბრძოლა", თამარ მეფის დროიდან... სხვებიცა მაქვს, კაი-კაი, „ასათიანური"..."

და ისევ ამ ბარათიდან ვაგრძელებ ნაწყვეტს:

„თუ ავადმყოფობამ არ შემიშალა ხელი და არც სხვა რამე უხიაკობა არ გამომიტყვრა საიდანმე, მინდა ცალკე წიგნად გამოვცე „ასპინძა", ეს ბალადა და სხვა ასეთი ლექსები. დამპირდნენ გამოცემას. წიგნს „წინაპრები" უნდა დავარქვა... წიგნის („წინაპრების") გეგმა და პროექტი უკვე მოფიქრებული მაქვს. წიგნი არ იქნება დიდი, ზომით ძალზე პატარა — შიგ მოთავსდება სულ 16 ლექსი: „სალაღობო", „ცხრა ძმა ხერხეულიძე", „ქართველი ოქროს მაძიებლების სიმღერა", „ასპინძა", „გულბაათ ჭავჭავაძე", „კრწანისის ყაყაჩოები", „ცი̇ხის სიზმარი", „ქართული ენა", „ბასიანის ბრძოლა", „მანანა ორბელიანის სურათზე", „ბაბუაჩემი", „ბარდნალა", „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი", „პირველი მჭედლები", „სასწაული", „ივანე ჯავახიშვილისადმი". აქედან იქნებ ორი-სამი ამოვიღო და სხვა რომელიმე ჩავუმატო, იქნებ, ზოგი ვინმეს არ მოეწონოს და მან ამოიღოს, ვინ იცის... მგონი არ იქნება ცუდი. ვინძლო მისმა გამოსვლამ ცოტა სული მომათქმევინოს, გამახალისოს და ეს ხანმოკლე და ულიმღამო სიცოცხლე ოდნავ გამიხანგრძლივოს. ესაა ჩემი იმედი და კიდევ ბევრი რამ ამ ქვეყანაზე, რაც მასულდგმულებს და სიცოცხლის სიყვარულს არ მიკარგავს"... „თუ ცოცხალი დავრჩი და შენც ცოცხალს მომისწარი, როცა ჩამოხვალ, კაი ლამაზ წიგნს დაგახვედრებ"...

ასეთი სახოებით შეჰხაროდა ამ წიგნს, რომელსაც გატანჯული და ულიმღამო სიცოცხლე უნდა გაეხანგრძლივებია პოეტისთვის. სამწუხაროდ, მისი ავი წინათგრძნობა გამართლდა — მართლაც „გამოტყვრა რაღაც უხიაკობა", რამაც ხელი შეუშალა. უკვე დაბეჭდილი წიგნის ტირაჟი გაანადგურეს. მხოლოდ სასიგნალოები გადარჩა, რომელთა სტამბიდან გამოტანაც მოასწრო პოეტმა, და იქნებ კიდევ თითო-ოროლა ცალი, რომელთაც სტამბის მუშები გამოიტანდნენ.

ადვილად წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ეს პოეტზე, რომლის დღეები ისედაც უკვე დათვლილი იყო.

ის უკვე საყვარელ ქუჩაშიაც ველარ გამოდიოდა, ამის ძალა აღარა ჰქონდა. „ძლივსღა დავლოღავ... ბოტანიკურ ბაღშიაც ველარ გავდივარ..." სწერს იგი ნიკა აგიაშვილს 1943 წლის 20 მარტს, გარდაცვალებამდე სამიოდე თვით ადრე.

ამავე ხანებში შემხვდა იგი ქუჩაში, მაგრამ არა მის საყვარელ რუსთაველის პროსპექტზე, არამედ ცოტა უფრო მოშორებით, მაშინდელ ვერის ბაზარსა და რუსთაველის მოედანს შორის. ცივი, ნესტიანი დღე იყო, სველი ბურუსი ტანში უსიამოვნოდ ატანდა. შორიდან დავინახე ლადო — პალტოში გახვეული, მობუზული, თითქოს დაპატარავებული, ყელზე თავისი ნაცრისფერი კაშნე ჰქონდა მოხვეული, ქუდი მომაღლოდ ეხურა. ცხელ შუბლზე ცივი ჰაერი სიამოვნებდა. მოდიოდა ძალიან ნელა, თითქოს მართლაც მოღოღავდა, და სახე მისი არაფერს გამოხატავდა — არც მოახლოებული სიკვდილის შიშს, არც წუხილს, არც ტანჯვას, არც სინანულს... გახევებული, დაღლილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. ცხელ, ოფლიან ხელს ძალა სულ აღარ შერჩენოდა. ძნელია განწირულ ადამიანს ჩვენში ჩვეულებად მიღებული სიტყვებით მიმართო — როგორა ხარ, რასა იქმო. დაცინვასავით გამოვა. ისიც ძნელია ასეთ დღეში მყოფი კაცი გაამხნევო და რისიმე იმედი მისცე. ესეც თითქოს დაცინვასავითაა. უხერხულობა რომ დამერღვია, ესღა ვკითხე — სად ყოფილხარ, ჯიბეში რა გაქვს-მეთქი. პალტოს ჯიბე გამობერილი ჰქონდა. ტილი, წითელი ვაშლი ამოიღო და მაჩვენა, მწარედ გაიღიმა. თავისი პატარა მანანასთვის ეყიდნა ბაზარში. ხილიც ძალიან ძვირი იყო.

ამის შემდეგ ქუჩაში აღარ გამოსულა. უკვე საბოლოოდ ლოგინად ჩავარდა.

და ისევ მისი მეუღლის კარგი ქალობა უნდა გავიხსენო. იმ მძიმე დროში მარტოხელა ქალს ცალკე პატარა ბავშვისათვის უნდა მოევლო, ცალკე ასეთი ავადმყოფისათვის. დამხმარე კი არავინ იყო. ყველას თავისი თავი გასჭირვებოდა. ერთბაშად გავრცელდა ხმა — სიმონ ჩიქოვანი ცეკას პირველ მდივანთან მივიდა და ლადოსთვის კარაქი სთხოვაო. ბაზარში ამ დროს კილო კარაქის ფასი — თუკი ვინმე იშოვიდა — ათას მანეთს აღემატებოდა. ასე მოიპოვა

სიმონ ჩიქოვანმა სასიკვდილოდ განწირული პოეტისათვის ორი კილო კარაქი. ყველა ლოცავდა ცალკე ცეკას მდივანს და ცალკე სიმონ ჩიქოვანს.

კარაქი, რაღა თქმა უნდა, ველარაფერს უშველიდა, მაგრამ რაღაც ნუგეში მაინც იყო. ადამიანი მუდამ იმედს ებღაუჭება. სიკვდილის წინ მამა ინატრა. უკვე სულთმობრძავი იყო. როცა მამა ჩამოვიდა და მომაკვდავ შვილს არც გაუგია.

ასე გარდაიცვალა იმ დიდი თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პოეტი ლადო ასათიანი, 26 წლის ახალგაზრდა კაცი. ეს მოხდა 1943 წლის 23 ივლისს.

„ლადო ასათიანის სახით ახალმა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ დაჰკარგა ორიგინალური პოეტი, რომლის შემოქმედებითი ძალა ჯერ კიდევ არ იყო სავსებით გამოვლენილი. მისი საუკეთესო პოეტური სტრიქონები მუდამ იცოცხლებენ მისი მეგობრებისა და მკითხველი საზოგადოების წინაშე“. ამ სიტყვებით მთავრდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ძალიან პატარა ნეკროლოგი, რომელსაც ხელს აწერდნენ: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი, პავლე ინგოროყვა, შალვა აფხაიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი გაწერელია, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, ლევან ასათიანი, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, ალექსანდრე საჯაია, ილო მოსაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, მიქელ პატარიძე.

გარდაცვალების ზუსტად ერთი წლის თავზე პოეტის ხსოვნას წერილი მიუძღვნა მისმა მეგობარმა ალექსანდრე საჯაიამ. ეს წერილი, რომელიც შესულია ალ. საჯაიას წიგნში, პირველი სერიოზული ცდა იყო ლადო ასათიანის პოეზიის პროფესიული და პატიოსანი შეფასებისა, პოეტის შემოქმედების მთავარ თვისებებსა და თავისებურებებზე მიუთითებდა. დაწერილია სითბოთი და უდროოდ დაღუპული მეგობრისადმი სიყვარულით. მაგრამ წერილი მოკლე იყო, პოეტის გარდაცვალების წლისთავისათვის სახელდახელოდ დაწერილი. და ავტორი აპირებდა ვრცელი წერილის დაწერას, რომელშიაც მოთხრობილი უნდა ყოფილიყო ლადო ასათიანის ცხოვრება და განხილული მისი შემოქმედება. ამ განზრახვის შესრულება მას არ დასცალდა... როცა იმ წერილს მწერალთა კავშირში აბექდინებდა ალექსანდრე საჯაია, მბეჭდავს — ქალბატონ ნადია გოგიჩაძეს უთხრა თურმე: მეც მალე მოვკვდები და ნეტა ჩემზე ვინ დაწერს წერილსო. ქალბატონმა ნადიამ უსაყვედურა — ამისთანა ლაპარაკი როგორ შეიძლებაო. ეს საშინელი წინათგრძნობა გამართლდა. ამის შემდეგ ორი თვეც არ გასულა, რომ კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იმ შესანიშნავი თაობისა ალექსანდრე საჯაია მშობლიური სოფლის მიწას მიაბარეს.

ამითვე უნდა დავამთავრო ეს წერილი. მინდოდა იგი ისე დამეწერა, როგორც მისი მეგობარი ალექსანდრე საჯაია დაწერდა, ახლა, ლადო ასათიანის დაბადების 70 წლისთავზე რომ ცოცხალი ყოფილიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ მუზაშვილი

# „კიცუი ვირისაი" ანუ „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია"

ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან..." ის წიგნია, სადაც ბოროტებას, გამოვლენილს სრულიად სხვადასხვა ასპექტში, სანთლით ძებნა არ სჭირდება. მას ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით. დასაბამს იგი მაიორიდან, მისი ბუნებიდან იღებს. მაგრამ ასეთ ფონზეც კი მისი შვილიშვილის, ალექსანდრეს სიძულვილი იმდენად ღრმაა და ყოვლისმომცველი, რომ ძალადაუტანებლად ირჩევა სხვებისაგან. მისი უკიდურესი გაბოროტება რომანში ასეა მოტივირებული: საკუთარი პაპის, მაიორის სიძულვილით ატანილმა ძმებმა, ნიკომ და ალექსანდრემ, გადაწყვიტეს ის ხალორე აეფეთქებინათ, რომელშიც მაიორი ყოველ წელიწადს საგანგებოდ ასუქებდა ღორს. ძმებმა განზრახვა კი აისრულეს, მაგრამ უბედურება მოხდა და ალექსანდრემ მარცხენა მკლავი დაკარგა. ამის შემდეგ მაკაბელთა ოჯახში ახალი ხანა დაიწყო. უბედურებამ უცებ გამოააშკარავა ის შინაგანი წყლულები, რაც ფარულად ღრღნიდა ოჯახს. იგი შინაგანად დახრღვა, ხოლო შემდეგ გაითიშა კიდეც. სიკეთის ის ფესვი, რომელიც ანასაგან იღებდა სათავეს და რომელიც მაკაბელებში ჯერ კიდევ ჰიატებ:ვა, ალექსანდრეს არსებაში თითქოს უკვალოდ გაქრა, თითქოს ისიც მოკვეთილ მკლავს გააყოლა. ამის შემდეგ ეს კაცი „სხვასაც აწამებდა და თავადაც ეწამებოდა. თვითგვემაში ხედავდა საკუთარი სიმახინჯის გამოსყიდვის საშუალებას" (ა. ბაქრაძე). იგი მთელ ქვეყანას დაუპირისპირდა: „მე ჩემთვის და თქვენ თქვენთვის — აი, ყველაზე სწორი სიტყვა: მე ერთი და თქვენ მრავალი — აი, ყველაზე სამართლიანი ანგარიში". დედის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე პრაქტიკულადაც განახორციელებს ამ სიტყვებს: ოჯახს მიატოვებს და მესაფლავის ქალიშვილს, სულიერად და ფიზიკურად მახინჯ, ქვეყნის ნათრევ მაროს შეირთავს.

ალექსანდრეს სძულს ყველა, სძულს საკუთარი ძმა ნიკო და სძულს თავის თავიც. იგი მართლაც რაღაც კოსმიურ სიძულვილს შეუპყრია. ყველაზე ღრმა, ყველაზე ბოროტი სიძულვილით კი ალექსანდრე მაინც მაიორის მიმართ არის განმსჭვალული, რადგან სრულიად სამართლიანად მას თვლის ყველა უბედურების მიზეზად.

მაგრამ უკვე დასასრულისკენ დაქანებული რომანის ფურცლებზე, ერთი შეხედვით საკმაოდ მოულოდნელად, ჩვენ ალექსანდრეს მეტამორფოზის მოწმენი ვხდებით. მეტამორფოზა ხდება რადიკალური და იმ მაჟორული ტონისა და იმედიანი განწყობილების განმაპირობებელი, რითაც მთავრდება რომანი. ალექსანდრე იმ მომენტს დასძლევს საკუთარ თავში, რაშიაც ყველაზე მეტად არ ეთანხმებოდა მკითხველი, დასძლევს ძმის სიძულვილს. უკეთ რომ ვთქვათ, მის არსებაში სიკეთისა და სიყვარულის ფესვი იწყებს ალორძინებას.

ამ ვითარებამ ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი გაუჩინა. ა. ფვანია წერდა: „...მეტისმეტად მოულოდნელი გარდასახვა ხდება ალექსანდრე მაკაბელში. კაცი, რომელიც ლვიძლ ბაბუას სიკვდილის შემდეგ სარეცლიდან გადმოათრევს და სახედარზე შესვამს, სულ მალე გასაოცრად კეთილისმყოფელი ხდება. მაინც რის შემდეგ მოხდა ალექსანდრეს ესოდენ უცნაური გარდასახვა, ნუთუ იმის შემდეგ, რაც მისი დის მამაცი ქომაგის მძიმე მუშტი იწვნია? ეს შეუძლებელია, იმიტომ რომ მაშინ, გამოდის, ამაოდ დასცინოდნენ უბადლებულ ლომბროზოს, რომლის მტკიცების თანახმად... ადამიანის თავის ძალუმი შერყევა ხანდახან გენიალურობის გამოვლენის წინაპირობად იქცევა". („კრიტიკა", 1978, № 2, გვ. 165).

საკმაოდ უადგილო ირონიით განზავებულ ამ ეჭვს ეხმიანება გ. ბელაიას რადიკალური ტონით გამოთქმული მოსაზრება: „...მოულოდნელია ალექსანდრეს ხსნის აქტი — ის მოტივირებული არაა, სულიერი პროცესით არაა მომზადებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. „გაპიროტყვებული“ ადამიანი უეცრად იქცევა გულკეთილ კაცად, რომელიც იმპერიის თოვლიან ტრამალებს გადასერავს გადასახლებული ძმის მოსაძებნად, რაც მხოლოდ გარეგნულ ჟესტად, გარეგნულ მოქმედებად გვესახება. დამაჯერებელი არაა მისი შინ დაბრუნების ამბავიც... „უნიათოა ალექსანდრეს აღთქმა, რომ იცოცხლებს, რათა უყვარდეს პატარა გოგონა, და უპატრონებს მას“. ამის შემდეგ მოულოდნელი აღარაა მკვლევარი ქალის სიტყვები რომანის ფინალზე :„მისი უკანასკნელი აკორდი ბუნდოვანია და, გარკვეულად ამორფულიც“-ო (Г. Белая, Литература в зеркале критики, М., 1986, с. 261, 262, წერილი თავის დროზე ქართულადაც ითარგმნა, იხ. „კრიტიკა“, 1985, № 3, გვ. 53-54).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რომანის ბოლოს სწორედ ალექსანდრე გვეუბნება მწერლის სათქმელს და არა სხვა ვინმე, მაშინ ნათელი გახდება, რაოდენ მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება ამ პერსონაჟს რომანში. შესაბამისად ნათელი ხდება ისიც, რომ ალექსანდრეს სულიერ მეტამორფოზაში ეჭვის შეტანა, მთლიანად რომანის კონცეფციასაც აყენებს ეჭვქვეშ. ამიტომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა გაირკვეს.

ამრიგად, ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად ვანახოთ: ალექსანდრეს ხსნის აქტი ღრმა სულიერი პროცესით არის მოტივირებული და მისი აღთქმა. იცოცხლოს იმისთვის, რათა უყვარდეს და უპატრონოს თავის პატარა ძმისშვილს, უმძიმეს სულიერ კატაკლიზმებს გამოვლილი კაცის სულის მოთხოვნილებაა, თუ პირიქით, მართლაც არაფრით არ არის მოტივირებული ბოროტებით გულგასენილი კაცის ასეთი გარდასახვა.

წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ, ჩვენი აზრით, ალექსანდრეს სულიერი მეტამორფოზა წიგნში შესაბამისად არის მოტივირებული, ოღონდ ამის დასანახად საჭიროა ნაწარმოებში საგანგებო ჩაღრმავება. რევაზ თვარაძის მიერ ოთარ ჭილაძის პირველ რომანზე ნათქვამი სიტყვები ამ წიგნზეც ვრცელდება: „...არ შეიძლება ეს რომანი სასხვათაშორისოდ გადაიკითხო, შემდეგ იქით გადასდო და მსჯავრი გამოუტანო შენთვის. ყოველ გვერდს, ყოველ აბზაცს, ყოველ წინადადებასაც კი გულდასმით უნდა ჩაღრმავება...“

ამ პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

* * *

საუბარს ერთი დაკვირვებით დავიწყებთ.

რაც უნდა მძიმე, კოშმარულ ამბავს გვიყვებოდეს მწერალი ალექსანდრეზე, ადამიანი მაინც არასოდეს არ იმსჭვალება მისდამი მხოლოდ ერთი კონკრეტული გრძნობით. ჩვენი მიმართება ამ პერსონაჟისადმი ღრმად ძალზე წინააღმდეგობრივია, რადგან იგი, თითქმის ყოველთვის, სხვადასხვა ხასიათის გრძნობათა რთული ნაზავისაგან შედგება: პირველ რიგში, ალბათ, მაინც ანტიპათია, მაგრამ იქვე ერთგვარი კმაყოფილება და თანაგრძნობაც. ანტიპათია — როგორც ბოროტების მოციქულის“ მიმართ, მაგრამ, როგორც ითქვა უკვე, იქვე კმაყოფილების გრძნობაც გვდევს, რადგან ალექსანდრე თავისი ბოროტებით უპირველესად მაიორს უპირისპირდება. და რადგან ნათელია, რომ ამ კაცის გაბოროტება მაიორის დამსახურებაა, სათავეს იქიდან იღებს; ცხადი ხდება რომ ალექსანდრე კიდევ ერთი მსხვერპლია მისი. აქედან — სიბრალული და თანაგრძნობაც. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად მუდამ თან გვდევს კიდევ ერთი, ძნელად გამოსათქმელი და უცნაური გრძნობა. დავარქვათ მას მოლოდინი, იმედი ან წინათგრძნობა იმისა, რომ ალექსანდრე სრულიადაც არ არის ისეთი, როგორადაც ცდილობს თავი გვაჩვენოს.

საიდან იღებს დასაბამს ასეთი უცნაური გრძნობა?

გავიხსენოთ ბაბუცას გარდაცვალებისა და დაკრძალვის ეპიზოდი:

„...ალექსანდრე ის დღეები სულ მთვრალი დადიოდა, ჩახმახივით იყო შემართული საჩხუბრად, ხარივით უბრიალებდა თვალებს სამძიმარზე მოსულ ხალხს. ნიკოს წერილმა, რომელიც სასწაულად ბაბუცას გარდაცვალების მეორე დღესვე მოვიდა, უარესად გააცეცხლა...

— დედაჩემი ჩემს ძმას გადაჰყვა. — ბობოქრობდა ალექსანდრე და ერთიდერთ ხელს ავად ასავსავებდა ჰაერში, — მე არ ვიყავი, მე არ ვარსებობდი მისთვის. არა, როგორ არ ვარსებობდი, ჩემს დანახვაზე გული მისდიოდა... თითქოს... — სიბრაზისგან ენა ებმოდა, უნდოდა რაიმე საშინელი სიბილწე ეთქვა და ვერ მოეგონებინა, — ცალხელა რომ ვარ, იმიტომ, უწიგნური, გლეხუკა“.

ეს ის ალექსანდრეა, ვის დანახვასაც შევეჩვიეთ: თავისი არასრულფასოვნების კომპლექსითა და გაუნელებელი ბოღმით მთელ ქვეყანაზე და, მათ შორის, საკუთარ დედაზეც რომ ავრცელებს. მაგრამ ეს ყველაფერი მისი შეძენილი ბუნებაა, რომელიც მიუხედავად განსაკუთრებული ძალისა და თვით ალექსანდრეს მცდელობისა, მაინც რომ ვერ გაბატონებულა ერთპიროვნულად მის არსებაში. ორიოდე სტრიქონის შემდეგ ამ აზრის სისწორეში თვალნათლივ ვრწმუნდებით:

„დაკრძალვის დღეს, როცა ზოსიმე მღვდელმა კუბოსაც და პირდაღებულ საფლავსაც ჯვარი გადასწერა და ქირისუფლები გვერდზე გაიყვანეს, ალექსანდრემ კუბოსთან დაიჩოქა, მესაფლავეებს, მობოშებული თოკებით რომ იდგნენ კუბოს აქეთ-იქით, კუბო ხელახლა აახდევინა, მერე ზედ გადაემხო, ჯოხივით დაიბჯინა მარჯვენა და დედის გაცრეცილ შუბლს დაეკონა. ხალხმა ამოიზმუვლა...“

აშკარაა, რომ ალექსანდრეს გადაწყვეტილი ჰქონია არ დამშვიდობებოდა დედის ცხედარს.

ოჯახის დანარჩენ წევრებს. როგორც წესი და რიგია, უკვე შეუსრულებიათ ეს რიტუალი. კუბოც დაუხურავთ და ის იყო საფლავში უნდა ჩაესვენებინათ, რომ ალექსანდრე ველარ მოერია საკუთარ გულს და ხელახლა აახდევინა კუბო..

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს სურათი არაფრით არა ჰგავს ორთოდოქსი მიზანთროპის საქციელს .ალექსანდრეს სულის რომელიღაც კუნჭულში ჯიუტად მფეთქავი სიკეთისა და სიყვარულის ფესვი სწორედ ამ მომენტში ჩანს. ეს ვითარება უნდა გახდეს გასაღები ამ ადამიანის წინააღმდეგობებით დაფლეთილი სულის ცხრაკლიტულის გასაღებად.

ეს კაცი მართლაც მეამბოხეა, მაგრამ იგი პირველ რიგში საკუთარი გულის წინააღმდეგაა ამბოხებული. ალექსანდრე ყველაზე დაუნდობლად საკუთარ თავს ებრძვის, მაგრამ ვერაფრით ვერ დაუძლევია იგი. ეს გარემოება კიდევ უფრო აანჩხლებს და აბოროტებს მას. სიკეთის ნაპერწკალი ალექსანდრეს სურვილის საწინააღმდეგოდ, მის არსებაში გაუქრობლად ანთია. ეს ძალიან საშიში სიტუაციაა. ასეთი მასშტაბის სულიერი წინააღმდეგობებით გაწამებული კაცისაგან ნებისმიერი საქციელია მოსალოდნელი, თვით ყველაზე წარმოუდგენელიც კი. რომანში ეს ყველაფერი ძალზე თვალსაჩინოდა ჩანს. იმისათვის, რათა პირველ რიგში საკუთარ თავს დაუმტკიცოს, რომ მან შესძლო სულიდან „დამღუპველი და დამაჩიავებელი“ სიკეთის ამოშანთვა, ალექსანდრეს ნებისმიერი ბოროტების ჩადენა ძალუძს, ამ გარემოებამ, მხოლოდ აქამდე მისასვლელი გზების ბოლომდე გაუაზრებლად, მისცა ალბათ საბაბი გ. ბელაიას ალექსანდრესთვის „ბოროტების ცხოველი ხორცშესხმა“ და „ქაიხოსროს მიერ ამონთხეული შხამის ნაშიერი“ ეწოდებინა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ კაცის მსგავსი ეპითეტებით შემკობა გაუმართლებელია, რადგან მიუხედავად თავგანწირული მცდელობისა, ალექსანდრემ, ბოლომდე ვერასოდეს ვერ მოახერხა საკუთარი ბუნების დათრგუნვა და სატანის ადეპტად გადაქცევა.

მაგრამ რატომ ცდილობს ალექსანდრე ასეთი დაჟინებით საკუთარი სულიდან სიკეთის ამოშანთვას?

მწერალი ცოტა მოგვიანებით გვიპასუხებს ამ შეკითხვაზე. მანამდე სიკვდილის ცელი უნდა დატრიალდეს მაკაბელთა ოჯახში. პირველი მსხვერპლნი, ყველაზე უმწეონი — გიორგა და ბაბუცა.ალმოჩნდნენ. ახლა ანას ჯერი დამდგარა, რომელმაც შვილის სისხლიანი პერანგი ჩაიცვა და იმავე გომურში გადასახლდა, სადაც სახედართან ერთად სიკვდილამდე ცხოვრობდა გიორგა. ერთ ღამეს ანას, უკვე კარგა ხნის ოჯახიდან გაქცეული ალექსანდრე მიაკითხავს.

„— შენა ხარ, ბიჭო? — თქვა ანამ.

— ბებო... როგორა ხარ, ბებო — მიესიყვარულა ალექსანდრე.

— მე ნიკოსთან მგონიხარ. ხალხს ვეუბნები, ძმას ჩააკითხა-მეთქი. — გაუღიმა ანამაც.

— შენს თავზე იფიქრე, შე უბედურო. რატომა ხარ ასეთი... ბეჩავი, საბრალო, უსუსური... მონა! — იყვირა ალექსანდრემ.

— მე გიჟი ვარ, ბიჭო .— გაიღიმა ანამ.

— არა. — ღვარძლიანმა ღიმილმა პირი მოუღრიცა ალექსანდრეს. — გიჟი კი არა ხარ, თავის მოგიჟიანება გირჩევნია ომს, მონა ხარ..,

— მონა! — გაიმეორა ალექსანდრემ. თავჩაქინდრული იდგა, თითქოს მიწაში ელაპარაკებოდა ვიღაცას. — რატომ წაყევი პაპაჩემს? რატომ დაგვღუპე ყველანი? შ ე ნ მ ა  ს ი კ ე თ ე მ  დ ა გ ვ ღ უ პ ა,  გ ა გ ვ ა უ ბ ე დ უ რ ა. — თავი ასწია და უაზროდ მოათვალიერა გომური...

— იცი, საიდან მოვდივარ... იქ ვიყავი, — თავი აიქნია ცხენივით.., — პაპაჩემი უნდა მომეკლა... მაგრამ ბოლო წუთს გულმა მიმტყუნა. შენგან გამოყოლილმა სიბეჩავემ შემიშალა, შენგან გამოყოლილმა სიკეთემ... შხამივით მიდგას ძარღვებში. არც ნიკოა კაცის მომკვლელი, ისიც ჩემსავით ჩანჩურაა. ან გადააბრალეს, ან ძალით ასროლინეს. მკვლელებივით ვცხოვრობთ, მაგრამ სინამდვილეში, ჩვენ კი არა ვკლავთ, ჩვენ გვკლავენ.

— თუ გინდა რომ მოისვენო, ძმას ჩააკითხე. — უთხრა ანამ...“

ბებია-შვილიშვილის დიალოგში ერთხელაც არ ხსენებულა გიორგას სახელი, მაგრამ ნათელია, რომ როცა ალექსანდრე საკუთარ ძარღვებში შხამივით ჩამდგარ სიკეთეს სწყევლის, ამით, უპირველეს ყოვლისა, გიორგას უპირისპირდება, მის პოზიციას იწუნებს, რადგან სწორედ ეს უკანასკნელია ის პიროვნება, ვინც ავად თუ კარგად, მაგრამ სათავეს კი უდებს მაიორის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიას. სიკეთე გიორგას ბუნებაში მთელი თავისი ბრწყინვალებით იყო განვითარებული, მაგრამ ღმერთმა ისე განსაჯა, რომ გიორგას ცხოვრების გზა, ალექსანდრეს თვალწინ რომ მიდიოდა საკმაო ხანს, სიკეთისადმი რწმენით კი არ ავსებს ამ უკანასკნელს, პირიქით, მის უვარგისობაში არწმუნებს.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად ცოტა უფრო ახლოდან უნდა შევხედოთ გიორგას პიროვნებას.

აკაკი ბაქრაძე წერს: „გიორგა — ალექსანდრე — ნიკო — მიტო სხვადასხვა ტოტია ერთი სიკეთის ხისა. ამ ხის ფესვი ანაა“. თუ ამ მოსაზრების პერიფრაზირებას მოვახდენთ, უნდა ითქვას, რომ გიორგა არის ის სიკეთის ხე, საიდანაც ტოტებად ამოიზარდნენ ალექსანდრე. ნიკო და მიტო. ანა ამ ხის ფესვია. მიუხედავად ამგვარი განცხადებისა, გიორგას მხატვრული სახის აღქმა და განსაკუთრებით მისი მიღება, ცოტა არ იყოს ძირს. სიტუაციის მექანიზმი იოლი ასახსნელია: როცა ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანური რეაქციით მისგან ენერგიულ მოქმედებას ველით, მიმართულს მისი ოჯახის უზურპატორის, მაიორის წინააღმდეგ, ამ დროს მისი არსება სულ სხვა გრძნობებით აღვსილა... ასე რომ ბავშვობაში წამოცდენილი ერთი-ორი დანაქადნის შემ-

დეგ მისთვის უცხოა ყოველგვარი აქტიური დაპირისპირება, თუნდაც სიტყვიერი ფორმით გამოთქმული. მისი პირიდან ველარ გავიგებთ ერთ საყვედურ[illegible] არავითარი ბედის სამდურავი. ხოლო რაც განსაკუთრებით საოცარია, გიორგას არსებაში მაიორის გამართლების ტენდენციაც კი იბადება. როგორც მწერალი მოგვითხრობს, ქაიხოსროს თათართან შეტაკების წუთიდან „გიორგა სარკედ იქცა მაიორისთვის, რომელშიაც, არა მარტო თეთრად შეფიფქული საფეთქლები და მუნდირის თვალისმომჭრელი ბრწყინვალება ირეკლებოდა, არამედ ბნელი სულის ნაოჭებიც. რა გასაკვირია, ასეთი სარკე რომ შესჯავრებოდა, ტალახით გადალესვა რომ სდომებოდა მისი? გიორგაც ამიტომ არ ამტყუნებდა მაიორს სიძულვილისთვის, პირიქით, ეცოდებოდა კიდეც, რადგან მისი ღრმა რწმენით, ამ სიძულვილის ბრალი იყო მაიორის უხასიათობაც, წარამარა, უმიზეზო სიბრაზეც, სიხარბეც, ლვარძლიც და განუწყვეტელი, დაუოკებელი შიშიც, გაუჩერებლად რომ დახტოდა მის აწრიალებულ თვალებში, როგორც ძეძვის ეკლიან ტოტებში ლობემძვრალა... გიორგას აზრადაც არ მოუვიდოდა, მტრად გახდომოდა დედის ქმარსა და ძმის მამას, და, რაც არ უნდა მკაცრი და უსამართლო ყოფილიყო მაიორი მის მიმართ, მაინც არ გამოაჭენებდა მის ნამდვილ სახეს შარაზე, თუნდაც დედისა და ძმის ხათრით“.

ასეთია გიორგა, თავმდაბალი, წყნარი, მუდამ სამსახურისთვის მზადმყოფი.

ამგვარი პოზიცია უცნაურად აღარ მოგვეჩვენება, თუ კარგად გავითვალისწინებთ მის საფუძველს. საამისოდ კი საჭიროა რომანის გულდასმითი ანალიზი, რადგან როგორც გურამ ასათიანი თავის დროზე წერდა, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...“ ისეთი ნაწარმოებია, რომელშიც ყველა წვრილმანს განსაკუთრებული, თავისებურად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“.

ასეთ „წვრილმანად“ უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მოყოლებული დედის ხელმეორე გათხოვებიდან სიცოცხლის ბოლომდე გიორგა სახედრის გვერდით ცხოვრობს გომურში. „მადლობა ღმერთს, ვირი მაინც რომ იყო მის გვერდით იმ გაუთავებელ ღამეებში, გომურის კუთხეში ატუზული, ფარდაგივით ჩახუჭრებული და საოცრად ცოცხალი, საოცრად კეთილი თვალების პატრონი“. მისი ულვთო აღსასრულის ერთადერთი თანადამსწრე და „თანამგრძნობი“ ისევ მხოლოდ სახედარია. გიორგას „არ ესმოდა, როგორ შფოთავდა, როგორ წრიალებდა ადამიანის სიკვდილით დამფრთხალი, ძნელსა და ნესტიან კუთხეში მიყუჟული სახედარი“. ხოლო მეორე დღეს, იქვე, ცაცხვებთან გაჩერებულმა სახედარმა გომურიდან გამოსულ ზოსიმე მღვდელს „დიდი წყლიანი თვალები მიაშტერა, ჯერ კიდევ არ განელებოდა წუხანდელი შიში და თითქოს ერთი სული ჰქონდა გაეგო, კიდევ რა ხდებოდა იქ, გომურში. დაძაბული იყურებოდა კაცებისაკენ“. მნიშვნელოვანია ის სურათიც, რაც ალბათ ამ ამბებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგაც, გიორგას გახსენებაზე თვალწინ უნდა დასდგომოდათ ურუქელებს, რადგან ამ უკანასკნელის სიცოცხლის ბოლო წლებში, [illegible]ამ-სალამოობით მუდამ ასე ხედავდნენ მას: მხარზე ბარგადებული, მთელი დღის მუხლჩაუხრელი შრომით დამაშვრალი გიორგა ვენახიდან შინისაკენ მიჩაქჩაქებს სახედარზე ამხედრებული, აქეთ-იქიდან კი მთელი ურუქის ძაღლები მისდევენ ყეფით.

რაზე მიგვანიშნებს მწერალი მაინცა და მაინც გიორგასთან სახედრის ასეთი დაკავშირებით? საეჭვოა, ეს გარემოება მხოლოდ კახური პეიზაჟის კოლორიტის შესანარჩუნებლად იყოს ასე აქცენტირებული...

როგორც მათე მახარობელი გადმოგვცემს, ოდეს ვნებად ეგულებოდა იესოს, ანუ როცა დადგა ჟამი იერუსალიმში შესვლისა, მაცხოვარმა მოწაფეებს სახედარი მოაყვანინა და მასზედ ამხედრებული შევიდა მარადიულ ქალაქში (მათე 21, 1-9). ამის გამო ერთი ძველი ავტორი სამართლიანი გაკვირვებით კითხულობს:

„აწ არა თუ ვერ შემძლებელ იყო (იესო), რაითამცა აქუნდა ეტლები გინა ცხენები, რამეთუ იგი იყო მეუფე ძალთაი და მხოლოდშობილი, რომლისათვის თქუა წინასწარმეტყუელმან: ეტლნი ღმრთისანი ბევრ წილ არიან და ათასეულნი წარუმართებენ მას. არა თუ ნაკლულევან რაი იყო ეტლებითა, რომელი — იგი მჯდომარე არს ქერობინთა ზედა. არა ნაკლულევან იყო ეტლითა, რომელმან — იგი შეაბნის ქარნი ეტლად და განკვირვებითა აქცევნ“.

მაშ, რაშია საქმე? რატომ მაინცა და მაინც უპრეტენზიო სახედრით მოიწადინა მაცხოვარმა მარადიულ ქალაქში შესვლა? იმავე ავტორის სიტყვებით, ეს იყო ღრმად სიმბოლური აქტი:

„...ოდეს — იგი მიავლინნა მოწაფენი მისნი, და მომგვარეს მას კიცუი ვირისაი არა თუ სხვისათვის რაი კიცუსა მას ზედა ჯერ — იჩინა დაჯდომაი, არამედ რაითამცა სიმდაბლითა მით ამპარტავნებაი დახსნა და სხუად არარად იყო მისი იგი მას ზედა დაჯდომაი, არამედ რაითამცა დაარცხვინო კაცთა იგი სილაღე, რომელნი — იგი ეტლთა და ცხენთა ზედა ზუაობენ“ (სინური მრავალთავი, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 182-188).

საქმეში ჩახედული კაცისთვის ნათელია, რომ ეს იყო კიდევ ერთი სიმბოლური მოწოდება მაცხოვრისა თავმდაბლობისკენ, ურომლისოდაც ჭეშმარიტი სიკეთის მოაზრება შეუძლებელია. სახედარი აღმოჩნდა ის არსება , რომლის დახმარებითაც უსიტყვოდ გამოიხატა უდიდესი შინაარსი.

ამრიგად, გასაგებია რა ეთიკური პოზიცია უდევს საფუძვლად გიორგას პიროვნებას, მაგრამ გარკვეულ დრომდე ყველაფერ ამას ფასი ეკარგება, რადგან მაიორის ბოროტებასთან

დაპირისპირებისას იგი აბსოლუტურად უშედეგო და უპერსპექტივო ჩანს.

როგორც ამბობენ, ყველა ადამიანს აქვს ბედნიერების უფლება. მაიორის გამგებლობაში მყოფთ კი ჩვეულებრივი, ნორმალური არსებობა ვერ მოუხერხებიათ. მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც გიორგას ცხოვრება იყო. არც მისი აღსასრული, გიორგას სიკეთისა და მშვენიერების აპოთეოზი რომ უწოდა გურამ ასათიანმა, აღტდე აუცილებლად?"

ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი კაცი დაიბნეოდა.

ალექსანდრე კი არა, თვით ექიმი ჯანდიერი, „უნივერსიტეტებში განსწავლული და წიგნის სიღრმეთა მხილველი" კაცი, მაკაბელთა ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის მოწმე, ტანჯვით ფიქრობს: „ზედმეტი სიკეთეც ავადმყოფობაა, აუძლურებს კაცს... ნუთუ სიკეთე უძლურებაა" ნუთუ ძლიერი რომ იყო, უნდა გაბოროტდე აუცილებლად?"

ამგვარმა სიტუაციამ ექიმი ჯანდიერი თუ მხოლოდ დააეჭვა, ალექსანდრე უკვე სავსებით დარწმუნა, რომ აუცილებელია გაბოროტება, რომ სიკეთე მართლაც ავადმყოფობაა და მისი თავიდან მოშორება, მისგან განთავისუფლებაა საჭირო. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ამგვარმა ვითარებამ მკითხველიც დააეჭვოს სიკეთის ძალმოსილებაში",[1] რაც, ცხადია, შეუწყნარებელი იქნებოდა. მწერალმა ბრწყინვალე გამოსავალი მონახა.

როგორც გვახსოვს, ბებია-შვილიშვილის ზემოთ მოყვანილ საუბარში ალექსანდრეს რწმენას ანამ ვერაფერი დაუპირისპირა. ო. ჭილაძემ არ უღალატა მხატვრულ სიმართლეს: სიკეთის დასაცავად თეორიული არგუმენტების მოტანა გლეხის ქალისაგან მოულოდნელი და არაბუნებრივი იქნებოდა. საჭიროა მოქმედება, რითაც ალექსანდრე მოგვიანებით, ხოლო ჩვენ იმავე წუთს დავინახავთ იმ მარადიულ ძალას, რასაც თავის თავში პოტენციურად შეიცავს სიკეთე და რის არსებობაშიც ასე რადიკალურად დაეჭვებულა ეს „ცალხელა ახმახი".

პრობლემა ასე გადაიჭრა:

შვილიშვილის წასვლისთანავე ანა გადაწყვეტს თვითონ მოკლას მაიორი. რამ მიიყვანა ანა ამ, მისი ბუნებისათვის სრულიად წარმოუდგენელ გადაწყვეტილებამდე? მსგავსი აზრი არ მოსვლია მას თვით უდიდესი მწუხარებისა და სასოწარკვეთის დღეებში — გიორგას სიკვდილის დროს. ცხადია, ალექსანდრეს სიყვარულმა, მისი გადარჩენის, კიდევ ერთი უბედურებისგან მისი დახსნის სურვილმა აფიქრებინა ანას საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა: „უნდა შევძლო... საჭიროა... კიდევ რამე არ აუტეხოს თავს..."

აი, ყველაზე მშვენიერი და ყველაზე ძლიერი არგუმენტი...

იმ ღამეს მაიორი მხოლოდ შემთხვევის წყალობით გადაურჩა ნალდ სიკვდილს.

ალბათ, სიკეთის ამგვარი ბუნება ჰქონდა მხედველობაში ზოსიმე მღვდელს, როცა განაცხადა: „სანამ დედას შვილის სისხლიანი პერანგი აცვია, ქვეყანა არ დაილუპება"-ო.

მაგრამ ალექსანდრეს მოსაქცევად ამგვარი ფაქტები არა კმარა. მათ არ ძალუძთ ხელი აალებინონ ამ კაცს თავის რწმენაზე. თუმცა ეს ყველაფერი უკვალოდ მაინც არა ქრება: დადგება წუთი, როცა ამგვარი ფაქტების მნიშვნელობა ცხადი შეიქნა მისთვის, მაგრამ ამ წუთამდე ჯერ კარგა მანძილია. ალექსანდრემ ბოლომდე უნდა აზიდოს თავისი ჯვარი. ამიტომ ანას შეგონება, თუ გინდა რომ მოისვენო, ძმას ჩააკითხე ციმბირშიო, მას მხოლოდ აცოფებს, რადგან, იქნებ უნებლიედ, ანა ამით იმ ფესვის აღორძინებას ცდილობს თავის შვილიშვილში, რომელთან ბრძოლითაც დაიღალა ალექსანდრე, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ მოახერხა მისი აღმოფხვრა საკუთარი არსებიდან.

ბოლოს და ბოლოს დადგება მომენტი, როცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ ალექსანდრემ როგორც იქნა შეისრულა გულისწადილი და საბოლოოდ განთავისუფლდა სიკეთის იმ ნამუსრევთაგან, ასე ჯიუტად რომ დაბორიალობენ მის გულში. თითქოს საბოლოოდ იმარჯვა ბოროტებამ, მაგრამ ხდება სრულიად საპირისპირო რამ: გარკვეული კანონზომიერების გამო ბოროტების ამგვარი აღზევება ხდება ის მიჯნა, როცა ალექსანდრე კვლავ დაეჭვდება, მაგრამ ამჯერად ბოროტების ძალმოსილებაში.

მწერლის სიმართლე აქ ეჭვშეუვალია. განსხვავებით ექიმ ჯანდიერის ინტელიგენტური ეჭვებისაგან, ალექსანდრეს საქციელი ყოველთვის მკვეთრია და სწორხაზოვანი, რადგან მას არა აქვს თეორიული წანამძღვარი. როგორც ბავშვი შეიმეცნებს სამყაროს მასთან სისტემატური, თანდათანობითი, პრაქტიკული შეხების გზით, ასევე ალექსანდრეს მხოლოდ მოქმედების და ამ მოქმედების შედეგების გააზრების შემდეგ გამოაქვს დასკვნები, ისიც ხშირად ნაწილობრივ ბოლომდე გაუაზრებლად, სანახევროდ თითქოს ინსტინქტურად. ამის გამო გახდა აუცილებელი უდიდესი მკრეხელობის ჩადენა — მიცვალებულის შეურაცხყოფა. ალექსანდრე მხოლოდ ამ აქტის ასრულების შემდეგ შეიგრძნობს ამგვარი საქციელის უაზრობასა და უხამსობას.

გარდაიცვალა თუ არა მაიორი, ალექსანდრემ გადაწყვიტა „ბავშვობაში დადებული ალთქმა" შეესრულებინა. მოიპარა პაპის ცხედარი

---

1 რაღაც დაახლოებით ამის მსგავსი მართლაც მოხდა. ვ. ოგნევი წერს: „რომანში ასახული სიკეთე უძლურია..." ხოლო გ. ბელაიას ეს მოსაზრება უკიდურესობამდე მიჰყავს (იხ. გ. ბელაიას დასახ. ნაშრომი, გვ. 258, 259).

და ვირზე შესმული სოფელ-სოფელ ატარა".[1] ამ გაუგონარი აქტით მან შური იძია, მაგრამ საკუთარი მოლოდინის საწინააღმდეგოდ მაინც ვერ დამშვიდდა, სულიერი თავისუფლება ვერ მოიპოვა. პირიქით, იგი შურისძიების შემდეგ გაჩენილმა სიცარიელის უაზრობამ შეზარა. ზოსიმე მღვდელთან გამოტყდება: „წუხელ აღთქმა შევასრულე, მამაო, ბავშვობაში დადებული აღთქმა, ლოცვასავით ყოველ ღამე რომ ვიმეორებდი ძილის წინ, მკვდარი ვირზე უნდა შევსვა და სოფელ-სოფელ ჩამოვატარო-მეთქი. ვითომ შურს ვიძიებდი ამით, გალახული ბავშვობისათვის, დაკარგული ძმისთვის და მკლავისთვის. სინამდვილეში კიდევ ერთხელ გავიცელქე. ეგ იყო და ეგ..."

„ალექსანდრეს სიძულვილისაგან გადაბრუნებული გონების" (გ. ასათიანი) მიერ მოგონილი და განხორციელებული შურისძიების აქტი ის მწვერვალია, საიდანაც ადამიანი ან საბოლოოდ ბოროტების ჭაობში უნდა ჩაეშვას, ანდა უნდა გამოფხიზლდეს. და თუ ალექსანდრემ ეს უკანასკნელი მოახერხა, ალბათ სწორედ იმ სიკეთის მეშვეობით, რომელიც მის არსებაში მთლიანად არასოდეს ჩამკვდარა. მაგრამ ამ პირქუში, შურისმაძიებელი კაციდან ერთი ხელის დაკვრით ანგელოზის მიღება, ცხადია, ყოვლად შეუწყნარებელი სიყალბე იქნებოდა. ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე, ალექსანდრე ბედმა კიდევ საკმაოდ ატარა.

საერთოდ იმდენად წინააღმდეგობრივი, მტანჯველი სულიერი ბრძოლებით შეპყრობილი პიროვნებაა ალექსანდრე, რომ მისი საქციელის შეფასებაში თვით ადამიანური ბუნების ყველაზე მიჩქმალული მხარეების განჭვრეტის იდუმალი ნიჭით დაჯილდოებული ზოსიმე მღვდელიც კი შეცდება. როცა მამის ცხედრის სახლიდან გაქრობით გაშეთებული პეტრე სასწრაფოდ ზოსიმე მღვდელთან გაიქცა, ამ უკანასკნელს, პეტრე დაინახა თუ არა, „გულმა რეჩხი უყო, იგრძნო ,რაღაც არაჩვეულებრივს შეიტყობდა ერთი წუთის მერე, და ისიც იგრძნო, გუშინდლიდან ამის მოლოდინში რომ იყო თვითონაც..."

ზოსიმე მღვდელს წინათგრძნობამ არ უღალატა. მაკაბელთა ოჯახში მართლაც მორიგი უცნაური ამბავი დატრიალდა. მაიორის ცხედარი ღამე ვიღაცას მოეპარა.

„— ისევ თქვენიანი მოიპარავდა ვინმე...

— რას ამბობ მამაო, ქურდი რომ მოხულიყო, აბაზიანს რატომ დატოვებდა. შეუშლიდა, დაამძიმებდა თუ აწყენდა? — გაცხარდა პეტრე".

ამ გაცხარებით შესანიშნავად ინაკვთება პეტრეს მთელი ბუნება, მაგრამ განსაკუთრებით მისი ერთი თვისება — რაღაცნაირი, ბრიყვული, ჩარჩული სული. სწორედ მაიორის ღირსეული მემკვიდრის ამ თვისებისა და საერთოდ მისი ბუნების კარგი ცოდნა ათქმევინებს ზოსიმე მღვდელს:

„— აბაზიანსო? მეტი, გაცილებით მეტი დაგიჯდება, შვილო ჩემო, მამის ცხედრის უკანვე დაბრუნება, ხოლო უფრო ზუსტად ცხედრის ქურდი გეტყვის თვითონ. ფული ჯიბეზე იქონიე, ზედმეტად რომ არ გაისარჯო... ძმასთან აპირებს ალბათ წასვლას და ფული დასჭირდა — გააგრძელა ზოსიმე მღვდელმა... — გამწარებული იყო ალბათ. არავინ არ იცის, რას მოიმოქმედებს გამწარებული ადამიანი, რამეთუ რაოდენსა — იგი მამაი იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს.

— ალექსანდრეს წაულია... გესმის, ქალო? — მხარი წაჰკრა პეტრემ დუსას. — ხო. ალექსანდრეს მოუპარავს. შენი ლაპარაკიდან ასე გამოდის, მამაო, არა?.. და თქვენ, ღვთის მსახური, მზადა ხართ, გაამართლოთ კიდეც, რადგან თქვენი აზრით, საამისო მიზეზიც ჰქონია. უფულობას გაუმწარებია, მასავით დამთხვეული ძმა ჰყოლია სანახავი ციმბირში და რაკი უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებია, პაპის გვამი მოუპარავს, რათა მერე მამას მიჰყიდოს და იმაში აღებული ფულით ნიორი და თბილი საცვალი ჩაუტანოს ძმას...

— რამეთუ ვითარცა — იგი მამაი აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთაი ჰნებავს, აცხოვნებს. მე კი არ ვამართლებ, ვიცავ. — მშვიდად თქვა ზოსიმე მღვდელმა. — მეცოდება და ვიცავ. — დაამატე ცოტა ხნის მერე".

ზოსიმე მღვდლის მიერ იოანეს სახარებიდან მოტანილი სიტყვებით (5. 19, 21) ცხადი ხდება, რომ იგი ალექსანდრეს საქციელს ცნობილი კანონზომიერებითა ხსნის: შესანიშნავად იცნობდა და იცნობს რა მაკაბელთა ოჯახის „ბურჯებს", მაიორსა და პეტრეს, თვლის, რომ ალექსანდრეს, როგორც მათ ნაშიერს, შეუძლია ფულისთვის მსგავსი რამ მოიმოქმედოს, რადგან, როგორც თავის დროზე თქმულა „არა ხელ-ეწიფების ძესა საქმედ თავით თვისით არცა ერთი რაი, უკუეთუ არა იხილოს რაიმე მამისაგან საქმე, რამეთუ რაოდენსა-იგი მამაი იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს, რამეთუ მამასა უყვარს ძე და ყოველსავე უჩვენებს მას, რაოდენსაც იგი იქმს, და უფროსიც ამის უჩვენოს მას საქმე, რაითა თქუენ გიკვირდეს" (იოანე 5, 19, 20).

---

1 თუ გავიხსენებთ სახედრის ალეგორიულ ფუნქციას რომანში, მაშინ ცხადი გახდება, ოღონდ ამჯერად სიმბოლურად, ალექსანდრეს ამდროინდელი მიმართება სიკეთესთან. რომანის ბოლო გვერდებზე ჩვენ კიდევ ერთხელ ვიხილავთ ალექსანდრეს სახედრის გვერდით, რომელიც კვლავ სიმბოლურად მის სიკეთესთან მიმართებაზე უნდა მიგვანიშნებდეს, მაგრამ ამჯერად უკვე რადიკალურად შეცვლილზე.

ძნელი არ არის ზოსიმე მღვდლის სიტყვების დაფარული აზრის დანახვა. პეტრეს უბირი გონება ვერ ჩამწვდარა კარგად, თორემ მღვდელი მთლიანად მას ადანაშაულებს შვილის ასეთი საქციელისთვის.

მაგრამ მოულოდნელია არა ალექსანდრეს მოქმედების ამგვარი ახსნა, არამედ ის გარემოება, რომ ზოსიმე მღვდელმა ფაქტიურად წინასწარ იცოდა, უფრო სწორედ გრძნობდა, რო რაღაც ამის მსგავსი უნდა მომხდარიყო.

საიდან შეიძლებოდა გასჩენოდა ზოსიმე მღვდელს ამგვარი წინათგრძნობა?

ჭეშმარიტია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წინათგრძნობა მხოლოდ რეალურ ცხოვრებაში შეიძლება იყოს აუხსნელი და იდუმალი. რაც შეეხება მხატვრულ ნაწარმოებს, აქ ყველაფერს თავისი საფუძველი, თავისი ლოგიკა უნდა გააჩნდეს, რათა მკითხველმა შეძლოს შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

ზემოთ მოტანილი ეპიზოდის დაკვირვებით შესწავლამ არ შეიძლება არ დაგვანახოს, რომ ზოსიმე მღვდელი ღრმადაა დარწმუნებული ერთ გარემოებაში: მას ეჭვი არ ეპარება, ადრე თუ გვიან ალექსანდრეს არსებაში სიკეთე გაიმარჯვებს, რაც მისი ციმბირში ძმასთან გამგზავრებით უნდა გამოიხატოს. ამიტომ პეტრესგან შეიტყობს თუ არა მაიორის ცხედრის დაკარგვის ამბავს, წამსვე ალექსანდრეს უკავშირებს ამ ინციდენტს და მზად არის დაიცვას კი არა და, პრინციპში გაამართლოს კიდეც ეს უცნაური საქციელი: „არავინ არ იცის, რას მოიმოქმედებს გამწარებული ადამიანი“-ო. მღვდელს თითქოს ენანება ციმბირში გადაკარგული ძმის მონახულების კეთილშობილური განზრახვა, ამავე განზრახვის მეორე, მისი უხამსი ნაწილით დაამძიმოს და წაბილწოს.

ცხადი ხდება, რა დიდი წარმოდგენისა ყოფილა ზოსიმე მღვდელი ალექსანდრეს არსებაში მფეთქავ სიკეთის ნერგზე. საიდან უნდა გასჩენოდა მას ასეთი წარმოდგენა? იმგვარი კაცისათვის, როგორიც ზოსიმე მღვდელია, დედის ცხედარზე დამხობილი ალექსანდრე მრავლის მეტყველი ფაქტი უნდა ყოფილიყო. თავის როლს შეასრულებდა ალბათ, სხვა უამრავი დეტალიც. მაგრამ, როგორც ვიცით, მღვდელი ღრმად შეცდა და შეცდა ალბათ იმიტომ, რომ ვერ გაითვალისწინა ალექსანდრეს ჯიუტი ხასიათი და მისი მაიორისადმი სიძულვილის მთელი სიღრმე. სოფლის მოძღვარი იმავე დღეს დარწმუნდა, რომ „ეს კაცი საკუთარი სიმახინჯისა და უმწეობის წინააღმდეგ იყო ამბოხებული, ესენი კი კიდევ უფრო უარესად უპირებდნენ დამახინჯებას, უარესი სივერაგით უპირებდნენ დაკნინებასა და გათელვას, რადგან მაიმარად, დაუფიქრებლად, შეუმოწმებლად დასწამეს ის, რასაც თვითონ ალბათ გუნებაშიც არ გაივლებდა, გინდათ ათი სიცოცხლე ეცხოვრა, თუნდაც იმიტომ, რომ მას თავისი, განსაკუთრებული ანგარიში ჰქონდა ქვეყანასთან, რომელიც ფულით კი არ სწორდება, არამედ სისხლით“.

სწორედ ამ მიხვედრის შემდეგ დაასრულებს ზოსიმე მღვდელი იოანე მახარობლის სიტყვების ციტირებას: „არცაღა მამაი სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“ (იოანე 6, 22). ამ შემთხვევაში დასჯილად ზოსიმე მღვდელს საკუთარი თავი უნდა ეგულისხმა, რადგან ალექსანდრეს რეაქცია მის ცილისწამებაზე და განსაკუთრებით მისი ბოლო სიტყვები, მღვდლისთვის მართლაც მძიმე სასჯელი უნდა ყოფილიყო. ალექსანდრეს „უცებ უხმო, შემაზრზენი სიცილი აუვარდა, ერთადერთი მკლავი კვიპაროსის ხეს მიაბჯინა და, სახედამანჭული, მთელი ტანით ძაგძაგებდა, იკრუნჩხებოდა, თითქოს ძალით ირევდა გულს. — შენ მაინც რატომ არ დამინდე, მამაო? შენთვის ხომ არაფერი დამიშავებია? — ამოაყოლა სიცილს“.

ამ ამბიდან კარგა ხნის შემდეგ, ციმბირში, ნიკოსთან გამგზავრებამდე უნდა ეთქვა ზოსიმე მღვდელს ალექსანდრესათვის: „შენ ხარ ქრისტე ბარაბაში და ბარაბა ქრისტეში. ასე კი არ შეიძლება. ან ერთი უნდა იყო, ან მეორე“-ო. ამ სიტყვებით არა მარტო თავი იმართლა მღვდელმა, ჭეშმარიტებაც უთხრა ალექსანდრეს. შეუძლებელია ორი შეუთავსებელი ბუნების, ორი საპირისპირო პოზიციის შეერთება. ეს ვერც ალექსანდრემ შესძლო ბოლომდე, თუმცა კი დიდი ხანი ეცადა ამას.

* * *

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ ალექსანდრეს ბოროტების გამოვლენის, მისი განხორციელების კულმინაციური წერტილი იქცა მისივე აღორძინების, სიკეთისკენ მობრუნების დასაწყისად. მაგრამ ჯერჯერობით ამ სიტუაციას აღორძინებისა არაფერი არ უგავს. ალექსანდრე უფრო უაზრო სიცარიელეს, დაბნეულობას უნდა ჰყავდეს შეპყრობილი, რადგან იმ გზამ, რომლის ძალმოსილებაში აქამდე იყო დარწმუნებული, იოტისოდენა შვება არ მოუტანა. ღმერთმა იცის, როგორ განვითარდებოდა ამ კაცის შემდგომი ცხოვრება, თუ არა ის მოვლენები, რაც მაიორის გარდაცვალების შემდეგ დატრიალდა მაკაბელთა ფაქტიურად დაქცეულ ოჯახში.

როცა მაროსაგან ანეტას შერცხვენის ამბავს გაიგებს, კვლავ ზვავით დაეშვება ურუქისაკენ, თითქოს ისევ ძველი ალექსანდრეა, პირქუში, ავი, მაგრამ მკითხველმა იცის, რომ მის არსებაში ბოროტებას საფუძველი აქვს გამოცლილი. ამიტომ მისი სვლა ურუქისაკენ დის დასასჯელად უფრო ერთგვარი სულიერი ინერციის შედეგია, რის გამოც, შესაჩერებლადაც შედარებით იოლი.

მაგრამ ალექსანდრეს ურუქში, მშობლიური

სახლის ეზოში, საკუთარი დის გვერდით სულ სხვა ხასიათის და ხარისხის წინააღმდეგობა დახვდა. აქამდე ალექსანდრე ძალას მხოლოდ თავკერძობაში, ეგოიზმში, საერთოდ ბოროტებაში ხედავდა. მთელი სიცოცხლე მან დამცირებულ, ფეხქვეშ გათელილ და სასაცილოდ აგდებულ სიკეთეს უყურა, აკი მისდამი რწმენაც ძირითადად ამის გამო დაკარგა. ამიტომ ძმათაგან დავიწყებული, შებილწული და დამბლადაცემული ანეტას მოსარჩლე საგზაო ინჟინრის ერთმა დარტყმამ მართლაც რომ მეყსეულად „დაუმსხვრია შურისა და ღვარძლის, თავკერძობისა და პატივმოყვარეობის ნაჭუჭი და ბევრ რამეს მიახვედრა ერთბაშად".

საგზაო ინჟინერი სულიერად გიორგას მემკვიდრეა, მისი სიკეთეც ისეთივე უსაზღვროა, როგორც გიორგასი, მაგრამ იგი განსხვავდება კიდეც ამ უკანასკნელისაგან. გიორგას გაუთვითცნობიერებელი, ერთგვარად სტიქიური სიკეთისაგან განსხვავებით, მიტოს სიკეთე ღრმად გააზრებული პოზიციაა, რომელსაც თავის შეწირვის გარდა, როცა ეს საჭირო ხდება, თავის დაცვის აუცილებლობაც აქვს კარგად შეგნებული. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით უნდა ყოფილიყო ალექსანდრესთვის. იგი მოულოდნელად და საკმაოდ დამაჯერებლად იმაში დარწმუნდა, რისი არსებობაც არ სჯეროდა. ალექსანდრეს გამოფიტული და დაბნეული სულისათვის ეს აღმოჩენა ციურ მანანასავით იქნებოდა. ამავე აღმოჩენის შემდეგ იგი უეცრად სულ სხვა თვალით დაინახავს ანას და გიორგას სიკეთესაც, ოღონდ ამჯერად ანეტას თვალში და ეს იქნება ბოლო გაკვეთილი, ბოლო წვეთი — ალექსანდრე გადარჩება.

მწერალი ასე გადმოგვცემს თავისი გმირის სულიერ მოძრაობას:

ალექსანდრემ „საკუთარი თვალით იხილა საკუთარი არარაობა... მამისეული სახლის ეზოში, ცაცხვების ძირას, როცა მათი ოჯახისათვის სრულიად უცხო ადამიანმა ცხვირიდან სისხლი ადინა ძმის დავიწყებისათვის, დის გაწირვისათვის, ხოლო მისმა დამ ისევ ალექსანდრე შეიცოდა, წუხილისაგან გაუფართოვდა მიშნაჭამი თვალები და იმის თვალებში დაინახა ალექსანდრემ, ცხვირპირი სისხლში რომ ჰქონდა ამოსვრილი. ნიკოსავით უდროოდ დაღუპება ალექსანდრე თუ პაპასავით ას წელს გადააცილებს, ეს გრძნობა ყველაზე ძლიერი, ყველაზე მტანჯველი და ყველაზე წმინდა გრძნობა იქნება მისთვის".

ალექსანდრემ დიდი და მტანჯველი გზის გავლის შემდეგ როგორც იქნა თავისი თავი, თავისი ჭეშმარიტი ბუნება იპოვა. მაგრამ რატომ გახდა შესაძლებელი იმის დაკარგვა, რაც, უნდა ვიფიქროთ, ალექსანდრეს თავიდანვე უნდა ჰქონოდა? მაიორის „რეჟიმის" მთელი სისაძაგლე და ბოროტება სხვასთან ერთად, ამ ვითარებაშიც უნდა დავინახოთ... ალექსანდრე სასწაულით გადაურჩა მის დამღუპველ და მონუსხველ ძალას. სწორედ ამ ვითარებაში გვანიშნებს შესანიშნავად ფრთებდაჭრილი ანგელოზის ხატი: „ალექსანდრეს ოფლისაგან ხალათი ბეჭებზე დასველებია, ორი შავი, უფორმო ლაქა გაჩენია, თითქოს ესესაა ფრთები გადაუჭრიათ მისთვის და გადანაჭრებიდან ჯერ კიდევ მოუონავს ცხელი და ორთქლიანი სისხლი".

ალექსანდრე — ფრთა დაჭრილი ანგელოზი.

ამაზე მოკლედ და ამაზე უკეთ, ალბათ შეუძლებელია ალექსანდრეს მხატვრული სახის არსის წარმოდგენა.

მიუხედავად ფრთების დაჭრისა თუ მაინც გადარჩა ანგელოზი ალექსანდრეში, ალბათ იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს მან შეიგნო ერთი ჭეშმარიტება: „ვერავითარი გრძნობა ვერ დაუდგება გვერდით ვერც სიძლიერითა და ვერც სისასტიკით ვალდებულებადქცეულ სიყვარულს... ღმერთმა ნუ ქნას, შეუფერებელი რომ აღმოჩნდეს ის გრძნობა შენი არსებისათვის და ერთხელ მაინც რომ მიიქციოს შენი ყურადღება, რადგან მისი ძირფესვიანად მოშორება ანდა გარდაქმნა ყოვლად შეუძლებელია..."

ალექსანდრე ამ დასკვნამდე უმძიმესმა ტანჯვის გზამ მიიყვანა. ამ გზით მოპოვებული ჭეშმარიტების განსაკუთრებული ძალა და ფასი კი უძველესი დროიდან არის ცნობილი. ყოველივე ამის შემდეგ უცნაური და ალოგიკური ის იქნებოდა, ალექსანდრეს ანას ოდინდელი შეგონების განხორციელებაზე რომ არ ეფიქრა და ნიკოსთან, ციმბირს რომ არ გამგზავრებულიყო. აღორძინებულმა სიყვარულმა წაიყვანა და ამ გრძნობამვე შეაძლებინა უმძიმესი გზის გავლა კატორღისაკენ.

რომანის ბოლოს, ავტორი, სიმბოლურადაც მიგვანიშნებს თავისი გმირის მეორედ დაბადებას. ეს ამბავი წნორის ბაზრობაზე ხდება. უკვე ჩამოუღწევიათ ბიძა-ძმისშვილს სამშობლოში, სულ ცოტაღა დარჩა მშობლიურ სოფლამდე, მამისეულ სახლამდე. მათ „არაფერი ესაქმებათ წნორში, არც ბაზარში და არც სადგურში, მაგრამ ფეხს ითრევენ, გათენებას ელოდებიან", რადგან ალექსანდრეს არ უნდა, მართამ ბნელში გაიაროს მშობლიური სახლის გზა. მათ ყურადღებას მიიპყრობს იქვე, თუთის ხეზე გამობმული სახედარი, თავისთვის რომ დამდგარა, „გარინდული, როგორც სიმარტოვის ქანდაკება". ალექსანდრე ახლო მიდის, „ათვალიერებს, თითქოს მართლა ქანდაკება იყოს, თითქოს აქამდე არ ენახოს სახედარი, კახეთში დაბადებულს..." მერე „ამოლლიავებულ ქურქს მიწაზე აგდებს, ერთადერთი მკლავი რომ გაითავისუფლოს და გაფშეკილ ქეჩოზე ეფერება სახედარს..."

თითქოს აქამდე არ ენახოს სახედარი, კაზე-თში დაბადებულს...

ამ ფრაზით, მოყვანილი სურათის სიმბოლუ-რი აზრი სრულიად გამჭვირვალე ხდება. მაგ-რამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ალექსანდ-რემ ბოლომდე გაიზიარა გიორგას მიმართება სამყაროსთან? ამ კითხვაზე პასუხს, მწერალი, თვითონ ალექსანდრეს პირით გაგვცემს რომა-ნის ბოლო გვერდზე. როცა თავისი პატარა ძმისშვილით შინისაკენ იმედიანად მიმავალ ალექსანდრეს მოაგონდება ზოსიმე მღვდლის ზემოთ უკვე ხსენებული სიტყვები, ალექსანდრე ახლა უპასუხებს: „მე არც ქრისტე ვარ და არც ბარაბა, მე ვარ ალექსანდრე, ალექსანდრე მაკაბელი. აი, ამ პატარა გოგოს ბიძა და მე-ტიც არაფერი მინდა, ვინმე გადაუდგეს გზა-ზე".

ეს არის წიგნის ყველაზე მთავარი იდეა, ყველაზე მთავარი აზრი.

ეს გარემოებაც ხდება [illegible] ფაქტორი დასკვნის გამოტანის მიზეზი, ალექსანდრე რომ იმეორებს რომანის დასასრულს და მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურაში ცოტა შეიძლება დაიძებნოს ამგვარი, ჭეშმარიტად ტრაგიკული შინაარსის წიგნი, მკითხველს ოდ-ნავადაც არ ეპარება ეჭვი ამ დასკვნის ბუნებ-რივობაში:

ცხოვრება ქვრივ-ობლობა ყოფილა. უნდა გავძლოთ. ქვეყანა ასეა, მაგრამ მაინც უყვართ, მაინც კითხულობენ ერთმანეთის ამბებს, იმე-დიცა აქვთ და მოლოდინიც.

ჭეშმარიტად!.. იმედიც გვაქვს და მოლოდი-ნიც.

უნდა გვქონდეს კიდეც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენდრიუ უორდროპი

# სადღეგრძელო თქმული ყვარელში, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო ბანკეტზე

ბატონო თამადა, თანამესუფრენო,

მისტერ ჰიუიტმა უკვე გადმოგცათ მარჯორი უორდროპის ფონდის დირექციის მისალმება და ამანათი. მე კი უორდროპების ოჯახის სახელით მოგმართავთ.

რაც თავი მახსოვს, ჩვენს ოჯახურ წრეში თითქმის ყოველდღე მოიხსენიებოდა საქართველოს სახელი, რადგან საქართველოს მამაჩემის გულში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. უზომო იყო მისი სიყვარული და ერთგულება თქვენი ლამაზი ქვეყნისა და ხალხის მიმართ. წიგნში, რომელიც პირველი სტუმრობის შემდეგ დაწერა, იგი საქართველოს სილამაზეს აღწერს და მკაფიოდ და კატეგორიულად აყალიბებს თავის გრძნობებს: „საქართველოს მთავარი ხიბლი მისი ხალხია. ასეთი მხიარული, გულკეთილი, გულუხვი, პატიოსანი და ალალი ადამიანების გვერდით ცხოვრება საუკეთესო წამალია მელანქოლიისა და მიზანთროპიის წინააღმდეგ“.

და ბოლოს ასე ასკვნის: „ქართველები არა მხოლოდ საამოდ შესახედი, არამედ ჭეშმარიტად საყვარელი ხალხია“.

სულ პატარა ვიყავი, როდესაც პირველად ვინატრე, ოდესმე ქართულ მიწაზე დამედგა ფეხი. ამ უჩუმარი ნატვრის აღსრულებას საქართველოს მწერალთა კავშირს უნდა ვუმადლოდე — მან მომანიჭა ამის შესაძლებლობა. ვიდრე სიტყვას განვაგრძობდე, ნება მიბოძეთ, ამ პატივის მოგებისათვის მის მესვეურთ გულითადი მადლობა მოვახსენო.

ჩვენ აქ თავი მოვიყარეთ, რათა აღვნიშნოთ ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე. მამაჩემი და მამიდა მარჯორი პატივს სცემდნენ და ეთაყვანებოდნენ ილიას, დიდად აფასებდნენ მასთან მეგობრობას.

ეს ჭეშმარიტად დიდი და ღირსშესანიშნავი ადამიანი და მისი ოჯახი ასმაგად უბრუნებდნენ სიყვარულს. სიყვარული და ერთგულება, რაც მათ სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა, ძალას მატებდა იმ შრომის გასაწევად, რომელმაც დასავლეთის სამყაროს თქვენი ქვეყნის ნატიფი, მრავალმხრივი ლიტერატურა გადაუშალა. მათი წყალობით შესაძლებლობა მოგვეცა ჩვენ,

ვინც ქართული ენა არ ვიცით, „ვისრამიანის“, „სიბრძნე-სიცრუისას“, „ვეფხისტყაოსნის“ და სხვა კლასიკური ნაწარმოებების გაცნობის [illegible] რე წარმოდგენა მაინც შეგვექმნოდა მდიდარ ქართულ ლიტერატურაზე. მათვე გაგვაცნეს ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის „განდეგილი“. სწორედ ამ ნაწარმოების თარგმნის დროს ჰქონდათ მის ავტორსა და მარჯორის ხანგრძლივი მიმოწერა, თუმცა მარჯორი, მისთვის ჩვეული მოკრძალებით თავის ნაშრომს ორიგინალის ბადალად არა სთვლიდა. 1894 წელს იგი თავის ძმას მისწერს კონსტანტინოპოლში: „ვერ აგიწერ, როგორ მძულს საკუთარი თავი „განდეგილის“ თარგმნისთვის. თუ არა ილია ჭავჭავაძისადმი მიწერილი წერილი, სადაც ვატყობინებ, თარგმანის გამოქვეყნებას ვაპირებ-მეთქი, პოემას დიდიხნით განზე გადავდებ. ბოლოსდაბოლოს დავასკვენი, რომ ნამდვილი ლიტერატურული თხზულების სათარგმნად ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ“.

შემდეგ იგი ეხება რუსთაველის დიდი ეპოსის თარგმანს და წერს:

„სულმთლად მანადგურებს ის მტკივნეული გრძნობა, რომელსაც აღძრავს ჩემივ უძლურება — მე არ ძალმიძს კუთვნილი მივაგო ამ დიდებულ ნაწარმოებს. საქართველოს სიყვარული რომ არა, ამ საქმეს ვინმე სხვას, ჩემზედ უკეთესს დავუტოვებდი. მაგრამ ეს საქმე მეორე სიცოცხლედ მექცა და თავს ვერ მივანებებ“.

ეს ნაწყვეტები წაგიკითხეთ, რათა შემეხსენებინა თქვენთვის მარჯორის მოკრძალება და იმ გრძნობის ნამდვილი სიღრმე, რაიც მას საქართველოსა და ქართულ თხზულებათა მიმართ ჰქონდა და, რაც მას წამითაც არ სტოვებდა.

„ვეფხისტყაოსანი“ მისი სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნა მამაჩემმა. მანვე დაასრულა თვით თარგმანიც. საქართველოსადმი მისი სიყვარული იყო ის პირველი ბიძგი, რამაც მარჯორის თქვენი ქვეყნისა და ხალხისადმი ინტერესი გაუღვივა.

ახლა კი აწმყოს დავუბრუნდეთ. — ახლა 1987 წელია, ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს ვზეიმობთ, მაგრამ არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ შევაჩერო იმ ფაქტზე, რომ 1987 წელს შესრულდა 100 წელი 1887 წლის იმ გაზაფხულის დღიდან, როდესაც მამაჩემმა პირველად დადგა ფეხი ქართულ მიწაზე. ამიტომ, ზუსტად 100 წლის თავზე ჩემი სტუმრობა მართლაც რომ დროულია და დიდ პატივად ვთვლი, ამ ორმაგად ღირსსახსოვარ მოვლენას ჩემი ოჯახის სახელით რომ ვესწრები.

თავს აღარ შეგაწყენთ. მჯერა, მამაჩემისა და მისი დის — მარჯორის სულები ახლა თავს დაგვტრიალებენ. გთხოვთ, შესვათ მათი ხსოვნის სადღეგრძელო.

ინგლისურიდან თარგმნა **მზია შატბერაშვილმა**

## მეცნიერება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბონდო არველაძე

# „შუშანიკის წამების" შესახებ გამოქვეყნე-ბული ერთი აბსურდული ნაშრომის გამო

1987 წ. ჟურნალ „გარუნში" (№ 8, გვ. 91-94) დაიბეჭდა ხოსროვ თოროსიანის წერილი „შუშანიკის წამება", რომელშიც სომეხი ავტორი კატეგორიულად აცხადებს ამ თხზულების არაქართულ წარმომავლობას. იგი ამ მხატვრული ქმნილების არამეცნიერული შეფასებით ცდილობს მის სომხურ ორიგინალურ თხზულებად წარმოჩენას. ამ წერილს რედაქცია ბეჭდავს „კულტურის გამოცანების" რუბრიკით. ის, რაც დღემდე გარკვეული და ნათელი გვეგონა, ერევნის ახალგაზრდული ჟურნალის რედაქციისათვის (გარუნი" არის სომხეთის ალკკ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო) თურმე გამოცანა ყოფილა.

ხ. თოროსიანის სტატიას წინ უძღვის ერევნის უნივერსიტეტის სტუდენტის არტურ ლაზაროზიანის მოკლე წერილი. აი, ესეც: „ამ უკანასკნელ ხანებში ერევნის წიგნის მაღაზიების თაროზე გამოჩნდა ლიტერატურული კრებული „კავკასიონი" (ტ. 1, 1983 წ., თბილისი, გამომცემლობა „მერანი"). ანოტაციიდან ვგებულობთ, რომ „კავკასიონის" მიზანია რუსულენოვან მკითხველს გააცნოს საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება: მის ფურცლებზე ქვეყნდება ქართველი, აფხაზი და ოსი მწერლების შემოქმედებათა რუსული თარგმანები. აქვეა დაბეჭდილი, აგრეთვე, „შუშანიკის წამება" და ერთი ვრცელი სტატია, რომელშიც ეს თხზულება განხილულია, როგორც ქართული ნაწარმოები. რადგან დღემდე ვიცოდი, რომ ეს ნაწარმოები სომხური მწერლობის ძეგლი იყო, წარმოიდგინეთ, ჩემი გაოცება როგორი იქნებოდა.

ძვირფასო რედაქცია, გთხოვთ დაგვეხმაროთ ამ გაუგებრობის გარკვევაში".

რა გვეთქმის: თურმე რედაქცია იძულებული გამხდარა მკითხველის წერილზე გაეცა პასუხი და ამიტომ დაუბეჭდავს ხ. თოროსიანის სტატია; ისე კი რედაქცია თუ საკითხის ობიექტურ გადაწყვეტით იყო დაინტერესებული, შეეძლო უფრო კომპეტენტურ მეცნიერ-მკვლევართათვის მიემართა.

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების" შექმნის გეოგრაფიულ გარემოდ ხ. თოროსიანს მიაჩნია სომხეთი: „შუშანიკის წამება" ძველი სომხური ლიტერატურის შედევრია. იგი ადრექრისტიანული ფეოდალური ხანის ეპოქის ერთ-ერთი ნიმუშია. მასში ასახული ამბავის ადგილი არის გუგარქი (ქართული გოგარენი, ბ. ა.), რომელიც ადრიდანვე სომხური მიწა იყო". შემდეგ ავტორი მუყვება სომხეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად დაყოფის ისტორიას და განაგრძობს: „გუგარქის ბედი ცვალებადი იყო. სომხეთის სამეფოს დასუსტების მიზნით IV საუკუნეში სპარსეთმა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაცილა სომხეთს და მიუერთა ქართლს, უტქი და არცახი — ალბანეთს. შუშანიკის დროს სომხური საბდეშხოები (ბდეშხი — ქართული პიტიახშია — ბ. ა.) აღარ იყო, რადგან სომხეთი უკვე სამარზპანოდ იყო ქცეული. მიუხედავად ამისა, გუგარქის მფლობელს საპატიო ადგილი ეკავა სომხურ-ქართულ ფეოდალურ სამყაროში. რაც მათი სპარსეთთან მეგობრული დამოკიდებულებით იყო განსაზღვრული. ისინი ინარჩუნებდნენ „ბდეშხის" სახელს, რომელიც უკვე მხოლოდ წოდებად იქცა. გუგარქის ბდეშხი იწოდებოდა ქართველ ბდეშხად, რადგან ის სომხეთის სახელმწიფოს ქართლის მხრიდან იცავდა; შემდეგში კი იმიტომ, რომ გუგარქი ქართლის შემადგენლობაში შედიოდა. მაგრამ მისი პოლიტიკური ბედი როგორიც არ უნდა

ყოფილიყო, ეთნიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობით იყო და დარჩა სომხეთად“.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხ. თოროსიანი ტენდენციურად წარმოგვიდგენს ქვემო ქართლის უძველესი პროვინციის გოგარენის ისტორიას (საერთოდ ტენდენციურობა მის სტატიას წითელ ხაზად გასდევს).

პირველყოვლისა შევჩერდებით გოგარენის ეტიმოლოგიაზე, ესაა უძველესი ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინი, რომელშიც ადამიანის წარმომავლობის მეგრულ-ჭანური სუფიქსი „არ“-ი გვაქვს შემორჩენილი „გოგელ-“ის მნიშვნელობით.[1]

მოვუსმინოთ ნ. მარს, რომელიც გოგარენის (გოგარების) შესახებ წერს:

«Что гоги с магогами библейских текстов до ассирииских источников отождествлялись и без яфетидологии со скифами, нас сейчас не занимет но гугары, resp — гогары, т. е гуги и гог и, эта ведь этническая среда выработки... грузинской национальности, древнейший этап в этом исторически важнейшем для Кавказа процесса, породившем картов, или картвелов»[2].

როგორც ვხედავთ, ნ. მარსაც გოგარები ქართველთა წარმომავლობის ტომობრივ გარემოდ მიაჩნდა.

გოგარენი სენ-მარტენს,[3] მ. ბროსეს[4] ასევე უძველეს ქართულ მიწად მიაჩნდათ და სხვა მეცნიერებს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. თუმცაღა რა შორს მივდივართ, თვით ხ. თოროსიანის თანამემამულე, V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენაცი წერს — გუგარქის მოსახლეობას ძველთაგანვე იბერიელთა ტომი შეადგენდაო.

ფაქტია, როცა ხ. თოროსიანი ერთი ხელის მოსმით გოგარენს თავიდანვე სომხეთის მიწად აცხადებს, წმინდა არამეცნიერული მიდგომაა ამ საკითხისადმი. ნამდვილი ისტორიული ვითარება კი ასეთი იყო: ძველი ბერძნული ცნობების თანახმად, სტრაბონის მოწმობით, სომხეთმა მეორე საუკუნეში ქართლს ჩამოაჭრა გოგარენის მხარე და შეიერთა.

მაგრამ გოგარენის წართმევა ქართლისაგან დროებითი მოვლენა იყო, რადგან გუგარქის ეს კონგლომერატული გაერთიანება, რომელიც სომხეთის სახელმწიფოს მიერ ჩრდილოეთის მხარის ექსპანსიის მიზნით იყო შექმნილი, 387 წელს საბოლოოდ დაიბრუნა ქართლმა და ისევ თავის ორგანულ ნაწილად გაიხადა. რა თქმა უნდა, ეთნიკური შემადგენლობის მხრივ ეს პროვინცია, რომელიც სომხეთს ესაზღვრებოდა, ადგილობრივ მკვიდრ ქართველებთან ერთად, სომხურ მოსახლეობასაც უნდა გულისხმობდეს. მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ მხარის ეპიგრაფიკული წარწერები X საუკუნემდე ქართულია, მხოლოდ X საუკუნიდან გვხვდება სამშვილდის პირველი სომხური წარწერა.

რაც შეეხება ცურტავს, ვარსქენ პიტიახშის რეზიდენციას, ისტორიკოსთა უკანასკნელი გამოკვლევებით მას ვარაუდობენ ბოლნისსა და რუსთავს შორის მდინარე ხრამის ხეობაში (დღევანდელი სოფელი არახლო), რომელსაც ვახუშტის გეოგრაფიის მიხედვით ნახიდური ეწოდებოდა.

გოგარენის (გუგარქის) საპიტიახშოს გაერთიანება 387 წლის შემდეგ დაიშალა და ყოველგვარი ფუნქცია დაკარგა სომხეთისათვის. ქართლის სამეფომ იგი ისევ თავის სახელმწიფო ერთეულად აქცია. ასე რომ, ხ. თოროსიანის განცხადება — „შუშანიკის წამების“ სომხურ გეოგრაფიულ გარემოში შექმნის შესახებ ჰაერშია გადმოკიდებული და ისტორიულ სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხ. თოროსიანის სტატიას თავიდან ბოლომდე წითელი ხაზივით გასდევს გაგულისებული კაცის ტონი, რაც კულმინაციას აღწევს, როცა შუშანიკისა და ვარსქენის შესახებ გამომწვევად კითხულობს: „ვინ არიან ისინი?“ და იწყებს ჯერ შუშანიკისა და მერე ვარსქენის გვარტომობის ისტორიის თხრობას. ამ გენიოლოგიურ „აღმოჩენას“ ისე დეტალურად გვყვება, თითქოს ვინმეს (მათ შორის ქართველ მეცნიერებსაც) ოდესმე იოტისოდენა ეჭვი შეეტანოს იაკობ ხუცესის სიტყვებში: „...და ცოლად მისი (იგულისხმება ვარსქენის, ბ. ა.) იყო ასული ვარდანის სომეხთა სპასპეტისა, რომლისთვის ესე მივწერე თქუენდა, მამისაგან სახელით ვარდან და სიყვარულით სახელი მისი შუშანიკ“... (გვ. 3).

იაკობ ხუცესი გარკვევით წერს, რომ შუშანიკი იყო სომეხთა სპასპეტის ვარდან მამიკონიანის შვილი, ე. ი. სომეხი, რაშიც არასდროს არავის არ უდავია, მაგრამ ხ. თოროსიანს ეს არ აკმაყოფილებს და მაინც მკითხველს დეტალურად მოუთხრობს შუშანიკ მამიკონიანის ოჯახის ისტორიას, იქვე ავტორს ეჭვი შეაქვს სომეხი მეცნიერის გ. ორომანიანის მიერ დადგენილ შუშანიკის დაბადების თარიღში — 409 წელი. თუმცა არავითარი საბუთი არ მოაქვს და ხელის ერთი მოსმით უარყოფს მას.

ცნობილი ფაქტია, რომ შუშანიკი სომეხთა ორი დიდებული გვარის მამიკონიანთა და პართევთა შთამომავალია. ამ გვარმა თავის დროზე გაითქვა სახელი სამშობლოს ერთგულებითა და თავგანწირვით. ეს არავისთვის საეჭვო არ არის, ვისაც კი ერთხელ მაინც გადაუვლია თვალი სომხეთის საისტორიო მწერლობისათვის. რისთვის სჭირდება ხ. თოროსიანს შუშანიკის ეროვნული კუთვნილების ხაზგასმა და მისი წინა პლანზე წამოწევა? მოვუსმინოთ მას: „ვარდან მამიკონიანი სომხურმა ეკლესიამ მა-

შინვე წმინდანად შერაცხა. ამდენად, გასაგებია — შუშანიკი აღიზარდა ისეთი სულით, იდეით და მორალური პრინციპებით, რომლის ცოცხალი განსახიერება იყო მამამისი. შუშანიკი იბრძვის მშობლიური სომხური ტრადიციის დასაცავად და მზადაა მამასავით სიცოცხლე შესწიროს მას“. ამით ავტორი იმაზე მიგვანიშნებს, რომ შუშანიკის ცხოვრებისა და წამების აღწერით მხოლოდ სომეხი მწერალი თუ დაინტერესდებოდა, და, ბუნებრივია, მასზე სომხურ ენაზეც შექმნიდა ამ შესანიშნავ ძეგლსო.

ეროვნებით სომეხი შუშანიკი თავისი ნებით ეწამა ქრისტიანობისათვის და, რამდენადაც იგი ქართველთა თავნება პიტიახშის მეუღლე იყო, ნებსით თუ უნებლიედ აღსასრულისთანავე ქართველთა ეროვნული თუ სარწმუნეობრივი ინტერესების ცენტრში მოექცა. ეს ფაქტი ისტორიულ ფაქტად რჩება, რაც არ უნდა დაუჯერებლად მოეჩვენოს იგი ხ. თოროსიანს. სხვა ერის შვილის ასეთი თავგანწირვა უცხო არ არის ჩვენს ლიტერატურასა და ისტორიაში. გავიხსენოთ თუნდაც არაბი აბო, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე გასწირა ქრისტიანობისათვის და ამით თავისი ქართველი მეუღლის ეროვნული ინტერესებიც დაიცვა. მაშინ ხომ ქრისტიანობისთვის თავდადება ეროვნული თვითმყოფადობის ბრძოლასაც ნიშნავდა.

მივყვეთ ხ. თოროსიანის სტატიას. ავტორი ნემსის ყუნწში ძვრება, რათა მკითხველი დაარწმუნოს ვარსქენის სომხობაშიც (აქ ისეთ ავტორთან გვაქვს საქმე, რომელიც თავის აზრის განმტკიცებისათვის წყაროებზე მითითებით მაინცდამაინც დიდად არ იწუხებს თავს). ხ. თოროსიანი ნაწარმოების სომხური წარმომავლობის მეტი დამაჯერებლობისთვის ვარსქენის ოჯახის გარშემო ქმნის სომხურ გარემოს და გვიმტკიცებს, რომ „ვაზგენი — შუშანიკის ქმარი, გუგარქის, ე. ი. ქართველთა ბდეშხი (იგივე პიტიახში, ბ. ა.) — იყო შვილი ბდეშხ არშუშასი. პირველად არშუშას შესახებ. იგი იყო ერთი იმ ნახანართაგანი, რომელიც ვარდან მამიკონიანთან ერთად გაიწვიეს სპარსეთის მეფესთან. ლაზარ ფარპეცი მოგვითხრობს: მე-17 წელს ქართველთა თავადმა არშუშამ სპარსთა მეფე ჰაზკერტის სთხოვა... რათა მისთვის მიეცა ნეტარხსენებული ამაიაკ მამიკონიანის ბავშვები, რომლებიც სპარსეთის მეფესთან მძევლებად იყო. სპარსეთის მეფემ არშუშას თხოვნა შეასრულა. გაიგონა თუ არა ეს არშუშამ „წამოდგა, ყველას თვალწინ მუხლებზე დაეცა და შუბლს ურტყამდა იატაკს მადლობის ნიშნად“. ხ. თოროსიანმა არშუშას სომხობა რომ დაამტკიცოს, მკითხველის წინ ასეთ კითხვას სვამს — „არშუშამ ვისთვის ჩაიდინა ყოველივე ეს?“ და თვითონვე პასუხობს: „— ამაიაკი იყო ვარდან მამიკონიანის ძმა, რომელიც ავარაირის ბრძოლის შემდეგ ტაიქში სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკლეს. ამაიაკის შვილები იყვნენ: ვაჰანი, ვასაკი, არტაშესი. ცნობილია, რომ ვაჰანი 80-იან წლების ბრძოლების წინამძღოლი და გმირი გახდა, არშუშამ მძევლები თავის სახლში წაიყვანა და აღზარდა. ამ დროს არწრუნიანთა სახელგანთქმულ გვარში ჰყავდათ ორი და: ძვიკი... და მისი და ანუშვარამი. ძვიკი ამაიაკ მამიკონიანის მეუღლე და ვაჰანის დედა იყო. ანუშვრამი კი არშუშას მეუღლე და ვაზგენის დედა... ამ დების ძმა აღა-არწრუნი იყო საჰაკ-მესროპის ერთ-ერთი მოწაფე, მასწავლებლის მსგავსად, ყოველივე სომხურის თაყვანისმცემელი, ერთგული ყოველივე სომხურის, როგორც ვარდანი“.

სტატიის ავტორი აღშფოთებული წამოიძახებს: „ამაზე მეტად სომხური სულით გამსჭვალული სომხური ოჯახის წარმოდგენა შეუძლებელია“ (დაყოფა ჩვენია, ბ. ა.).

არშუშა პიტიახშის მეუღლე არწრუნიანთა გვარის რომ იყო, ამაში ახალი არაფერია და არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება თვით არშუშას, ის იყო უძველესი ქართული მიწა-წყლის — გოგარენის განმგებელი. როგორც მოგვეხსენება, გოგარენი — უძველესი ქართული პროვინცია, ქართლის განაპირა მხარე — ესაზღვრებოდა სომხეთს. ცხადია, ქართლის მეფეები ამ მხარის განმგებლად გარკვეული პოლიტიკური და ეროვნული მიზნით არაქართველი მმართველის დანიშვნას ერიდებოდნენ.

ამ საკითხის შესახებ ს. ჯანაშია თავის ერთ-ერთ ნაშრომში, რომელშიც ქართლის პიტიახშთა ინსტიტუტი გამოიკვლია, გვაწვდის საყურადღებო დასკვნას: „მას შემდეგ, რაც შაჰმა ქართლის დიდ აზნაურებში დასაყრდენი გაიჩინა, პიტიახშებად უკვე ქართველები ინიშნებიან (ადრე იყვნენ სპარსელები — ბ. ა). კერძოდ, პიტიახშობა იმავე პოლიტიკური ფუნქციით დაიმკვიდრეს ქვემო ქართლის მთავრებმა არშუშას სახლიდან“.[5] კიდევ უფრო კონკრეტულად შეეხო ქართლის პიტიახშთა ვინაობას ს. კაკაბაძე, რომლის აზრით პიტიახშები მაზრპანის თანაშემწეები იყვნენ ქართლში და, როგორც წესი, ქართველს ნიშნავდნენ ამ თანამდებობაზე. ასე, მაგალითად, პიტიახშად იქნა დანიშნული ქართველი ვარსქენ არშუშას ძე.[6]

V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი არშუშას შესახებ წერს: „ქართველთა ქვეყნიდან იყვნენ ბდეშხი არშუშა და ამ ქვეყნის მამასახლისები“. ეს ცნობა პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ და არა შინაარსდაცლილად (ან გადატანითი მნიშვნელობით), როგორც ეს სტატიის ავტორს ესმის. ასე რომ, ქართველი პიტიახშის სომხებთან ნათესაობა სულაც არ ნიშნავს მისი ეროვნულობის ეჭვის ქვეშ დაყენებას.

თუმცა აღნიშნული ფაქტორები ხ. თოროსი-

ანს სულაც არ ანალვლებს და მაინც თავისას განაგრძობს: „არშუშას ოჯახში ანუშვრამის, ძვიკის, ალა-არწრუნის სულს ემატება ვარდან მამიკონიანისა და სააკ პართევის სული... ვაზგენი ეკუთვნოდა სომეხ ნახარართა იმ რიცხვს, რომლებიც V საუკუნის 60-იან წლებში განუდგნენ ქრისტიანობას და მიიღეს ზოროასტრიზმი. ამრიგად, ვაზგენი გამგრძელებელია იმ პოლიტიკური მიმართულებისა, რომლის წინააღმდეგ 50-იან წლებში იბრძოდა ვარდანი და ვარდანიდები. 70-იან წლებში კვლავ გაჩაღდა ვაჰანანცების ახალი ბრძოლა სპარსეთის წინააღმდეგ. ვაჰანანცებს უწოდებდნენ მეთაურის — ვაჰან მამიკონიანის — სახელის მიხედვით. ეს ის ვაჰანია, რომელიც იზრდებოდა და სწავლობდა ბდეშხ არშუშას კარზე, მის შვილთან, ვაზგენთან ერთად. მაგრამ ვაზგენი და ვაჰანი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს იმყოფებოდნენ...“

450 წელს ავარაირის ველზე, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების წინ, სომხებმა დასდეს ფიცი. „ამ სომხური აღთქმის მთავარი დევიზი იყო: შეურიგებელი ბრძოლა მოღალატეებთან — შინ თუ გარეთ; ბრძოლა ყველას წინააღმდეგ, მშობელი იქნება თუ მსახური. შუშანიკი ამ აღთქმის ერთგული მებრძოლი იყო. ის აღდგა ქმრის წინააღმდეგ. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მოღალატე და პატრიოტი. ვასაკ სიუნეცის (სპარსელების მომხრე ნახარარი, ბ. ა.), და ვარდან მამიკონიანის საქმის გამგრძელებლები. როგორც მამა შეეწირა ბრძოლას, ასევე მისმა ქალმა აირჩია მამის გზა“.

ადვილი მისახვედრია, ხ. თოროსიანი რა მიზნით მკვება მთელ ამ ისტორიას. გაოცებას ის იწვევს, რომ სომეხმა ავტორმა, არც აცივა, არც აცხელა, და შუშანიკს ვარსქენის სომხობაც უცერემონიოდ ზედ მიაყოლა, რის საფუძველიც, როგორც ვნახეთ, მას არ მქონდა. ყოველ შემთხვევაში, თავის პოზიციის გასამაგრებლად ამ საკითხში რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი წერილობითი წყარო მას არ მოუშველებია. ეს გაუთავებელი მსჯელობანი და ისტორიები კი სჭირდება იმისთვის, რომ ბოლოს გააკეთოს ასეთი აბსურდული დასკვნა: „როგორც ვხედავთ — წერს ხ. თოროსიანი — „შუშანიკის წამების“ შექმნის ტერიტორიული გარემოა გუგარქი, მოქმედება მთლიანად ხდება სომხურ ოჯახში, ხოლო ორი მთავარი მოქმედი გმირიც სომეხია. მათი ტრაგედიის მიზეზი სომხურ ნიადაგზეა აღმოცენებული: შუშანიკი იბრძვის, რათა თავის ოჯახს, შვილებს შეუნარჩუნოს სომხობა. აშკარაა, ყოველივე ამას ქართულ ეკლესიასთან არავითარი კავშირი არა აქვს“.

ნათქვამია „მტუუანს სამარის კარამდე უნდა სდიოო“. ეტყობა ხ. თოროსიანი მშობლიური სომხური სასულიერო მწერლობის და სომხური ეკლესიის ისტორიის ელემენტარულ ცოდნაზე მწყრალად ბრძანდება, საკუთარი მეცნიერული აზრი არ გააჩნია და ბრმად ენდობა ბელგიელი მეცნიერის პ. პეეტერსის მოსაზრებას, რომელიც დიდიხანია მეცნიერთა მიერ გაკრიტიკებულია და უარყოფილი. პ. პეეტერსის აზრით, თითქოს ძველ ქართულ მწერლობაში XI საუკუნემდე არ მოიპოვება შუშანიკის შესახებ ცნობები. შუშანიკი პირველად სომეხთა წმინდანად იყო მიჩნეული და შემდეგ ქართულმა ეკლესიამ აღიარა წმინდანად (VII ს.), ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ. ამაზე ადრე ვერც შუშანიკის წამება დაიწერებოდა.

პ. პეეტერსის ეს მოსაზრება ძველი ქართული წერილობითი წყაროების უცოდინარობაზეა აგებული, რაც უცხოელ მეცნიერს ასე თუ ისე მიეტევება, მაგრამ ჩვენი კარის მეზობელ მკვლევარს კი არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება.

იაკობ ხუცესიდან დაწყებული დღემდე არც ერთ ქართველ მკვლევარს არ მოსვლია აზრად შუშანიკის სომხობა დაემალა, რადგან ქართველთა მხრივ ეს არავითარ უხერხულობას არ იწვევდა, როგორც პ. პეეტერსი ფიქრობდა და ახლა შეფარვით გვეუბნება ხ. თოროსიანი. შუშანიკი ეწამა ქართულ მიწაზე, თავის მოღვაწეობით ის ორგანულად იყო დაკავშირებული ქართლთან. შეეწირა ქრისტიანობას და თავისი ქართული ოჯახის ინტერესებს. ამიტომაც ქართულმა ეკლესიამ ის თავიდანვე წმინდანად გამოაცხადა. ამ შემთხვევაში ეროვნებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ევსტატე მცხეთელი და აბო თბილელი ეროვნებით ქართველები არ იყვნენ, მაგრამ ქართული ეკლესიის წმინდანები არიან. ასევე იყო სომხეთშიც: რიფსიმე, გაიანე არ იყვნენ სომხები, მაგრამ სომხური ეკლესიის ეროვნულ წმინდანებად ითვლებიან. შუშანიკიც არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს და ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მის მიმართაც.

მოგვეპოვება თუ არა ცნობები ძველ ქართულ წერილობით წყაროებში შუშანიკის შესახებ XI საუკუნემდე?

ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში შუშანიკი მოხსენიებულია: იოანე-ზოსიმეს მიერ X საუკუნეში შედგენილ კალენდარში, სადაც 17 ოქტომბრის დღისთვის წერია: „ხსენებაი კოზმანისი და დამიანესი და შუშანიკის, რომელი ქართლს იწამა“. აგრეთვე „იერუსალიმის განჩინებაში“ დადასტურებულია „შუშანიკის წამების“ არსებობა (VIII-IX სს). მიქაელ მოდრეკილს უნდა ეკუთვნოდეს X საუკუნის საგალობელი: „სძალსა ქრისტესსა ნინოს ქართლის ქადაგსა, ვარსკვლავსა მნათობსა საღმრთოოითა მით ნათლითა, კერპთა სიბნელით მაოტებულსა, მოვედით, შევამკობდეთ, გაიანეს და რიფსიმეს და მხნესა შუშანიკს — მათთანვე ვაქებდეთ“ და ა. შ.

ახლა ამ თვალსაზრისით გადავხედოთ V-XI საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობას. შუშანიკს იხსენიებს IX საუკუნის ძეგლი. ეს არის არსენ საფარელის თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა", თხზულებაში გადმოცემულია ქართველებისა და სომხების საეკლესიო განხეთქილების მთელი ისტორია. მართალია, ტექსტის ის ადგილი, სადაც შუშანიკაა ნახსენები, ცოტა ბუნდოვანია, მაგრამ ერთი რამ ცხადია — აქ ნახსენებია შუშანიკი, ჩვენ კი ამჟამად ეს გვაინტერესებს. აი, ეს ადგილიც: „და განდევნა კირიონ ქართლისა კათალიკოსმან მოსე ცურტაველი საყდრისაგან თვისისა, რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკსა ნაწილთა თანა — სომხითისა. და ითხოვა აბრაჰამ კვირიონისაგან საყდარი მის, ხოლო იგი არა ერჩოდა მას". შუშანიკი არის მოხსენებული „მოქცევაი ქართლისა"-ში... „მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი. და მისა ზედა ვარსქენ პიტიახში იყო და შუშანიკ იწამა ცურტავს და მის შემდგომად კათალიკოზი იყო სამოელ და მერმე სიმონ-პეტრე. და ამის ბაკურის ზედა დაესრულა მეფობაი ქართლისაი". ასევეა მოხსენებული შუშანიკი „ქართლის ცხოვრებაში" და კიდევ სხვა წერილობით წყაროებში. მოტანილი მასალიდან აშკარად ჩანს, რომ V-XI საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა იცნობს შუშანიკს და ის ქართლის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ორგანიულ ნაწილად მიაჩნია.

საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება და ზ. თოროსიანს მივუთითოთ „ეპისტოლეთა წიგნზე", რომელიც, მართალია, ქართულ ენაზე არ შემოგვრჩა და მხოლოდ სომხურადაა, მაგრამ მასში დაცულია საინტერესო ცნობა.

VII საუკუნის დასაწყისში ქართული და სომხური ეკლესია საბოლოოდ დაშორდა ერთმანეთს. ეს საეკლესიო განხეთქილება დაიწყო ცურტავის საეპისკოპოზოში. კირიონ ქართლის კათალიკოსმა ამ დროს დაიწყო საეკლესიო რეფორმები. კირიონის მოღვაწეობით უკმაყოფილო ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ დატოვა ქართლი და სომხეთში გადავიდა. მან სომხეთის საეკლესიო მამებს შეატყობინა, რომ ქართველები ჭეშმარიტ სარწმუნოებას განუდგნენო. ამის შემდეგ დაიწყო მიწერ-მოწერა ქართლის კათალიკოს კირიონსა და სომხეთის კათალიკოს აბრამს შორის. „ეპისტოლეთა წიგნში" ხშირად იხსენიება წმინდა შუშანიკი, მაგრამ ამჟამად საინტერესოა 608 წელს დაწერილი კირიონ კათალიკოსის წერილი აბრამ სომეხთა კათალიკოსისადმი. ამ წერილში კირიონი აღნიშნავს, რომ წარსულში ქართველებსა და სომხებს შორის სარწმუნოებრივი ერთიანობა იყო და მათ შორის სრული თანხმობა სუფევდა — „აზნაურნი, რომლებიც სომეხთაგან ქართულს დამოყვრებიან, წმინდა შუშანიკის მსახურებაზე და მცხეთის წმინდა ჯვარს მოდიოდნენ, რომ მოელოცათ და სჯულს ზიარებოდნენ".[7] მოტანილი სტრიქონები ასახავენ V-VI საუკუნეების ქართველ და სომეხთა სარწმუნოებრივ ურთიერთობას. აშკარად ჩანს, რომ ამ საუკუნეებში ქართლში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა შუშანიკის ხსენების დღე, როდესაც, ქართველებთან ერთად, მცხეთის ჯვარზე სალოცავად სომხებიც ჩამოდიოდნენ. თუ სომხეთში შუშანიკის დღე იყო დაწესებული ამ დროს, მაინცდამაინც მცხეთის ჯვარზე რატომ ჩამოვიდოდნენ სალოცავად? არც იმის შესაძლებლობა არის გამორიცხული, რომ კირიონ ქართლის კათალიკოსი (V ს) იცნობდა შუშანიკს.

საინტერესოა V-XI საუკუნეების სომხური წერილობითი წყაროებიც. ვნახოთ, იხსენიება თუ არა მათში შუშანიკი.

ამ თავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ არსად არ არის ხსენებული და სრული დუმილია შუშანიკის შესახებ V საუკუნის შუშანიკის თანამედროვე სომხურ მწერლობაში. ამ საუკუნის ყველაზე პოპულარული პიროვნება სომხეთში იყო შუშანიკის მამა ვარდან მამიკონიანი — 450 წლის სომხეთის აჯანყების გმირი. და აი, ვარდან მამიკონიანის გმირობასა და თავდადებას ქება-დიდებით იხსენიებენ მოსე ხორენაცი, ელიშე, ლაზარე ფარპეცი თავიანთ ისტორიებში და არსად კრინტს არ სძრავენ მისი წამებული შვილის შუშანიკის შესახებ. წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ შუშანიკი სომეხ წმინდანად ყოფილიყო შერაცხული და არ ეხსენებინა ფარპეცს თავის ისტორიაში. ლაზარე ფარპეცი ხომ შუშანიკის თანამედროვეა, რომელიც 455 წლიდან ერთ ხანს არშუშა პიტიახშის კარზე იმყოფებოდა. მან ხომ 450 და 482-588 წლების სომეხთა აჯანყება აღწერა შუშანიკის ბიძაშვილის ვაჰან მამიკონიანის დავალებით. 482-483 წლების სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყების მეთაური იყო მეფე ვახტანგ გორგასალი და ვაჰან მამიკონიანი. ფარპეცი თავის ისტორიაში შავით თეთრზე წერს „...ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა უშჯულო — ბდეშხი ვაზგენი მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს". ეს გახდა კიდეც საბაბი სპარსთა წინააღმდეგ აჯანყებისა. განა ბუნებრივი არ იქნებოდა აქ შუშანიკიც მოეხსენებინა? მხედველობაში არ არის მისაღები პ. პეეტერსის ტენდენციური აზრი, თითქოს ფარპეცი შუშანიკის ხსენებას ვაჰან მამიკონიანის რიდით ვერ გაბედავდაო, რადგან ეს უკანასკნელი ერთ დროს მაზდეანი იყო და სპარსული ორიენტაციის მომხრე. თუ ეს ასეა, მაშინ ფარპეცს ვაჰანის შიშით ხმა არ უნდა ამოეღო შუშანიკის მამის ვარდან მამიკონიანის გმირობასა და მის

უკომპრომისო ბრძოლაზე სპარსთა წინააღმდეგ, რადგან ეს ვაჰან მამიკონიანს ეწყინებოდა. მაგრამ ეს მიზეზი არ არსებობდა, უბრალოდ, ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო შუშანიკის კულტი სომხეთში, და ამიტომ სდუმან ისინი, მეორეც, არც ქართულ ორიგინალში და არც მის სომხურ თარგმნით რედაქციაში არსად ხსენება არ არის შუშანიკის სომეხი ნათესავებისა და საეკლესიო მოღვაწეების, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შუშანიკის ამბავს სომხეთში V საუკუნეში არავითარი გამოხმაურება არ ჰქონია, იმ დროს, როცა ქართული საზოგადოება მასზე ზრუნავდა, დიდი პატივით დაასაფლავა და მაშინვე ქართულ ეროვნულ წმინდანად შერაცხა.

სომხურ თარგმნით რედაქციაში პირდაპირ არის ნათქვამი — „მოიწია თავიცა იგი ეპისკოპოსი ხუცესთა თ-ა და დიაკონთა, რომელ იგი იყვნეს განმამტკიცებელ და თანაზიარ ქირთა ნეტარისა მის დედოფლისათა, რაითა წარგზავნონ, წმინდაი იგი დიდთა მათ შრომათაგან ნავსადგურისა მის მიმართ ქრისტესისა. ეგრეთვე დიდ-დიდნი აზნაურნიცა და სხუანიცა ზეპურნი სოფლისა მის ქართლისანი, რაითა მონაწილე იყვნენ წარგზავნასა და კურთხევასა ნეტარისა მისი შუშანიკისსა8 (დაყოფა ჩვენია ბ. ა.).

ჩანს, შუშანიკის ტრაგიკული ბედით შეწუხებულა ქართლის მოსახლეობის ყველა ფენა, აზნაურნი და უაზნონი ამ ფაქტს, როგორც ვხედავთ, „წამების“ სომხური თარგმნითი რედაქციაც ვერ მალავს. თხზულების არც ერთ სომხურ თარგმნით ტექსტში შუშანიკის ბედით იმ დროინდელი (V ს) სომეხი საზოგადოების დაინტერესების კვალიც არ ჩანს.

მართალია, სომეხი საეკლესიო მოღვაწენი ხშირად ამბობენ, რომ ცურტავში სომხური ლოცვა შუშანიკმა შემოიღოო, მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, „წამების“ ქართულ ორიგინალში ან მის სომხურ რედაქციაში ამის შესახებ რაიმე იქნებოდა ნათქვამი. ვფიქრობთ, ეს უფრო ყურმოკრული, ზეპირი ცნობაა, თორემ სომეხ საეკლესიო მამებს რომ ცოდნოდათ „წამებაში“ შუშანიკის მიერ ცურტავში სომხური წირვის შემოღების შესახებ ლაპარაკი არ არისო, ამის თქმას ვერ გაბედავდნენ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როდის მოხდა სომხეთში შუშანიკის წმინდანად შერაცხვა?

სომხეთში შუშანიკის ეროვნულ წმინდანად შერაცხვა მოხდა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, VII საუკუნის დასაწყისში. 608 წელს აბრამ სომეხთა კათალიკოსმა ამ დროს ასე მიმართა მთელ სომეხ ერს: „ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, დედამძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ჩვენს ეკლესიაში მიეღებით მათ, არამედ მათთან კორწინებისაგანაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ, ვითარცა ურიებს! იგივე ბრძანება უცვლელი დარჩეს ალბანელთათვისაც, რათა შერცხვეთ და მოიქცნენ მრუდე გზიდან“.

ამგვარი მოწოდების შემდეგ, რა თქმა უნდა, სომხები ველარ მოვიდოდნენ სალოცავად ვერც მცხეთის ჯვარზე, ვერც მანგლისის ჯვარზე და ვერც ცურტავს გაბედავდნენ სალოცავად ჩამოსვლას.

ცნობილია, რომ, ისტორიული წყაროების მოწმობით, შუშანიკის კულტი ქართლში ჩნდება V საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამავე პერიოდში დაიწერა ი. ხუცესის „შუშანიკის წამებაც“. შუშანიკის კულტი კი სომხეთში VI საუკუნეში ჩნდება თანდათან. ქართველებთან ერთად, ახლა სომხებიც აღიარებენ მას წმინდანად და იგივე ორივე ერის საერთო წმინდანი ხდება. ცურტავში ქართულად და სომხურად სრულდებოდა წირვა. მაგრამ VII საუკუნის დასაწყისში, ქართველ-სომეხთა საბოლოო განხეთქილების შემდეგ, სომხები შუშანიკს უკვე თავის ეროვნულ წმინდანად აცხადებენ და თარგმნიან კიდეც იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობას“ სომხურად. ამ საუკუნემდე (VII ს) შუშანიკის სომხური მარტვილობა არც ერთ წყაროში არ დასტურდება.9

ამდენად, ხ. თოროსიანის განცხადება — თითქოს შუშანიკი მაშინვე შერაცხეს სომხეთში წმინდანადო, ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.

რაც შეეხება ვარსქენ პიტიახშს. „შუშანიკის წამების“ შინაარსიდან ვიცით, რომ ერთხელ ვარსქენმა თავის ძმა ჯოჯიკთან, მის მეუღლესა და შუშანიკთან ერთად ივახშმა. „და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისასა და ინებეს ერთად პურისა ჭამა, რაითამცა მოიყვანეს წმიდაი შუშანიკიცა, და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაი, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა გახდა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღე უზმასა გარდაევლნეს და ვითარცა მეტად აიძულეს და ძალით წარიყვანეს ტაძრად. ხოლო გემოი არა რაისა იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯოიკისმან მიართუა ღვინოი ჭიქითა და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმინდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამოთ პური?!“ და განყარა ხელი და ჭიქა იგი პირსა შეალეწნა და ღვინოი იგი დაითხია. მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხთა თვისთა დასთრგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰკრა, და თუალი ერთი დაუბუშტა და მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მოითრევდა. ვითარცა

მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შეუღლად აღდგა ჯოჯიკ, ძმაი მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუაბასტიცა თავსა მისსა მოეხეთქა და ჩირით, ვითარცა კრავი მგელსა გამოუღო ხელთა მისთა და ვითარცა მკდუარი იდვა წმინდაი შუშანიკ ქუეყანასა ზედა და აგინებდა ვარსქენ თესლტომსა მისსა და სახლისა მამისა მათრებლად სახელ-სდებდა მას“ (დაყოფა ჩვენია, ბ. ა.).

ამ ეპიზოდში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალმა. შუშანიკის საქციელით გამძვინვარებული ვარსქენი უმოწყალოდ სცემს და თან „მის თესლ-ტომს“ აგინებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ვარსქენი სხვა ტომისაა შუშანიკისგან განსხვავებით, რომ იგი ტომით ქართველია და ამიტომ ასე იოლად იხსენიებს აუგად შუშანიკის „თესლ-ტომს“. ვარსქენი რომ ტომით სომეხი ყოფილიყო, ცოლის ეროვნებას ასე უდიერად ვერ მოიხსენიებდა, ეს ხომ თავისივე ტომის გინება იქნებოდა. ჩვენს ამ დაკვირვებას ამართლებს ამ ადგილის სომხური თარგმანი. ბუნებრივია სომეხმა მთარგმნელმა ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღო იაკობ ხუცესის მიერ აღწერილი ვარსქენისაგან შუშანიკის „თესლ-ტომის“ გინება და ასე გადააკეთა: „...და მიითუალეს იგი მკუდრად. და თავად განძვინებული აგინებდა ღმერთსა და მამათა მისთათასა. და შემდგომად მრავალთა მათ გუემათა...“

სომეხი მთარგმნელის ტენდენციური დამოკიდებულება აშკარაა და „თესლტომი“-ს ნაცვლად თარგმნა სომხურად „ღმერთი“, რითაც თავისი ეროვნული თავმოყვარეობა დაიცვა.

ვარსქენი რომ ქართველი იყო, ეს მტკიცდება იქიდანაც, რომ ეს პატივმოყვარე პიტიახში ვახტანგ გორგასალმა სიკვდილით დასაჯა 482 წელს. სხვა ქვეყნის შვილს, თუნდაც ქრისტეს მცნების უარმყოფელს, რატომ დასჯიდა სიკვდილით ქართლის მეფე და ამით რატომ გაართულებდა კიდევ ურთიერთობას სპარსეთის მეფეთა-მეფესთან? ვარსქენი პიტიახში იყო, ტომით ქართველი, ქართველთა პიტიახში, რომელმაც სპარსეთის მეფეთ-მეფის იმედით და მხარდაჭერით დაიწყო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება და ამიტომ მეფე ვახტანგმა სიკვდილით დასაჯა თავის ქვეშევრდომი.

როგორც ვხედავთ, ხ. თოროსიანის დიდი მონდომების მიუხედავად, ვარსქენ პიტიახშის არაქართველობა არ მტკიცდება და თოროსიანის განცხადება მხოლოდ განცხადებად რჩება.

ქართველი პიტიახშის ოჯახში მომხდარი ტრაგედიის მიზეზი ქართულ სახელმწიფოებრივ ეროვნულ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული. და სომეხი ქალი შუშანიკიც თავის წამებით ობიექტურად ამ ეროვნულ ინტერესებს სწირავს თავს და ამით იცავს თავის ოჯახის ინტერესებსაც. აქედან ლოგიკურია მისი წამება აღწერა ქართველმა მღვდელმა. სიკვდილისთანავე ქართველებმა ეროვნულ წმინდანად შერაცხეს და დიდი პატივი მიაგეს. მაგრამ ყოველივე ამის გაგონებაც არ უნდა ხ. თოროსიანს და გალიზიანებული კვლავ თავისას გაიძახის — „შუშანიკის წამების“ ტერიტორიული გარემო არის გუგარქი. მოქმედება ხდება სომხურ ოჯახში. ორი მთავარი მოქმედი გმირიც სომეხია. მათი ტრაგედიის მიზეზი სომხურ ნიადაგზეა აღმოცენებული: შუშანიკი იბრძვის თავის ოჯახისთვის, რათა შვილებს სომხობა შეუნარჩუნოს. აშკარაა, რომ ყოველივე ამას ქართულ ეკლესიასთან არავითარი კავშირი არ აქვს“.

ხ. თოროსიანი ვერაფრით ვერ შერიგებია ქართველი იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ავტორობას. ამგვარი „უსამართლობით“ შეურაცხყოფილი თავის ნაშრომში წერს: „ელიშეს ისტორიის ავტორი სომეხია, ფარპეციც სომეხია, რატომ უნდა იყოს მაინცდამაინც „შუშანიკის წამების“ ავტორი ქართველი? ავტორი, ვთქვათ ქართველია, რა კავშირი აქვს ამ ნაწარმოებს ქართველთან? დიდი სიყალბე იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ V საუკუნეში ვიღაც ქართველმა (დაყოფა ჩვენია, ბ. ა.) უკიდურესად ღრმად სომხური ინტერესების პოზიციიდან დაწერა ერთი სომხის ქალის წამების ისტორია, რომელიც ელიშეს და ფარპეცის იდეურ-პოლიტიკური და რელიგიური სულითაა გაჟღენთილი?!“

რა შეიძლება ითქვას ამგვარი პრიმიტიული და არამეცნიერული მსჯელობის შესახებ, რომელშიც ხ. თოროსიანი თავის ქვებუდნურ ემოციებს ვერ მალავს და ავტორის განქიქებაზე გადადის, რადგან გრძნობს, რომ მის ეგრეთწოდებულ აღმოჩენას მყარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ხ. თოროსიანს უნდა მოეხსენებოდეს, რომ იაკობ ხუცესი „ვიღაც ქართველი“ არ არის, რომ იგი V საუკუნის ცნობილი ქართველი მწერალია, რომელმაც შექმნა „ხელიხელთ საგოგმანებელი“ მხატვრული შედევრი „შუშანიკის წამება“ და არის ქართველი ეროვნული გენია. ხოლო მისი განქიქება იგივე მეზობელი ერის ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა და შეურაცხყოფაა. უფრო მეტიც, ხ. თოროსიანმა არც ქართველი მეცნიერები დაინდო და ყველანი ყალბისმქმნელებად გამოაცხადა. რა გამოდის, ამ რამდენიმე წლის წინ მთელ დუნიაზე ხალხი შევყარეთ და ვიზეიმეთ პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოების იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ 1500 წლის იუბილე, ხ. თოროსიანი კი „გვიმტკიცებს“ ამ ნაწარმოების არაქართველობას. სხვათა შორის, იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს სომეხმა მეცნიერებმაც და

ზეიმში აქტიური მონაწილეობაც მიიღეს.

მაგრამ ხ. თოროსიანს "მეცნიერული ქეშმარიტება სულაც არ აინტერესებს, მისთვის მთავარია სენსაცია და შთაბეჭდილების მოხდენა. ამგვარი საქციელი ასეთ „ვაი-მკვლევრისაგან" მოულოდნელი არ არის, მაგრამ გასაოცარია ჟურნალ „გარუნის" რედაქციის პოზიცია, რომელიც, როგორც ჩანს, წერილის ავტორის შეხედულებებს უკლებლივ იზიარებს.

სამწუხაროდ, ხ. თოროსიანი არ ჩერდება და ახალ „მეცნიერულ მარგალიტებს" გვთავაზობს. თურმე ნუ იტყვით, ქართველი მეცნიერების შეცდომის მიზეზი ყოფილა ის, რომ „ჩვენამდე მოაღწია „შუშანიკის წამების" როგორც სომხურმა ვრცელმა და მოკლე რედაქციებმა, ისე ქართულმა ვრცელმა და მოკლე რედაქციებმაც. ბუნებრივია, უნდა გაირკვეს, რომელია ორიგინალი და რომელი თარგმანი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აურაცხელი ფაქტი, თითო-თითოდ და ყველა ერთად აღებული, ურყევად მოწმობს, რომ ქართული ვრცელი რედაქცია სომხურიდან არის თარგმნილი. ეს თარგმანი შესრულებულია მე-5 საუკუნიდან ასი წლის მერე, ზუსტი თარიღი, რასაკვირველია, შეუძლებელია დადგინდეს, მაგრამ შესაძლებელია გაირკვეს დროის ის მონაკვეთი, როცა ეს თარგმანი შესრულდა. ამისთვის უამრავ ფაქტებიდან რამდენიმეს მოვიხმობთ".

ასე ნიაღვარივით წამოსული რიხიანი მსჯელობის შემდეგ ავტორისაგან ველოდით ამ უამრავი ფაქტებიდან ერთ-ორს მაინც, მაგრამ აქაც იმედი გაგვიცრუვდა. ახალი საბუთის მაგიერ ხ. თორისიანმა „შუშანიკის წამების" ქართული და სომხური რედაქციების ურთიერთ მიმართებისა და მათი შექმნის დროის თაობაზე ისევ და ისევ პ. პეეტერსის ყავლგასული და ცალმხრივი მოსაზრება შემოგვთავაზა. ალბათ ავტორი ფიქრობს — აქაოდა სომეხ მკვლევრებს შეიძლება ეროვნული მიკერძოება დასწამონ, ბელგიელ პ. პეეტერსზე კი ამას ვერ იტყვიან და ასე უფრო შევქმნით ობიექტურობის შთაბეჭდილებასო. იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს პ. პეეტერსის მოსაზრებას: „პ. პეეტერსმა დაამტკიცა, რომ მისი მეთოდი, რომლითაც ის იკვლევდა ამ ნაწარმოებს, აღიარებულია: „შუშანიკის წამების" მოკლე ქართული რედაქცია თარგმნილია 940-944 წწ. ამის შესახებ არავინ დავობს. ესე იგი სომხური მოკლე რედაქცია არსებობდა IX საუკუნის ბოლოს ან X საუკუნის დასაწყისში. ტექსტოლოგიური შედარებით და ანალიზით დამტკიცდა, რომ ვრცელი ქართული რედაქციის ავტორმა ისარგებლა სომხური მოკლე რედაქციით, რაც შეუძლებელია მომხდარიყო მე-5 საუკუნეში და ბუნებრივია არ შეიძლებოდა ეს ნაწარმოები პირველად შექმნილიყო ქართულ ენაზე.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ვრცელი ქართული რედაქციის ავტორს ხელთ ჰქონდა მოკლე ქართული რედაქცია. ამრიგად, ქართული ვრცელი რედაქცია არ შეიძლებოდა არსებულიყო მეათე საუკუნეზე ადრე. მისი შექმნის დროის საზღვრები — 940-944 წწ. — XI საუკუნემდე. ეს არის ხელნაწერის შექმნის პერიოდი, რომელიც ყველაზე ადრეულ ხელნაწერად ითვლება და წარმოადგენს ვრცელ ქართულ რედაქციას".[10]

როგორც ვხედავთ, სტატიის ავტორმა „შუშანიკის წამების" ქართული და სომხური რედაქციების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხშიც პ. პეეტერსი მოიშველია და გვიკიჟინებს. აი, უცხოელი პ. პეეტერსი რას ამბობს, ქართული თხზულება „შუშანიკის წამება" სომხური ორიგინალიდან არის თარგმნილიო. ისე კი თავის დროზე პ. პეეტერსის ამ დებულების უნიადაგობა და მისი ავტორის მიერ ძველი ქართული წერილობითი წყაროების უცოდინარობა მეცნიერულად დაამტკიცეს ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ილ. აბულაძემ, შ. ონიანმა და სხვებმა.

კ. კეკელიძემ ბელგიელი მეცნიერის პ. პეეტერსის ამ მოსაზრებას თავის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის" პირველ ტომში (1951, გვ. 107) „სრული გაუგებრობა" უწოდა. პ. პეეტერსის მოსაზრება უსაფუძვლოა, როცა ამტკიცებს, თითქოს იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების" კვალიც არ ჩანს ძველ ქართულ მწერლობაშიო. თუ რა გამოძახილი ჰქონდა იაკობ ხუცესის ამ თხზულებას V-XI საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში, ზემოთ უკვე დავინახეთ და აქ აღარ გავიმეორებთ.

პ. პეეტერსი ასევე წინააღმდეგობაშივარდება, როცა ამტკიცებს, თითქოს „ფსევდოიაკობის" ნაწარმოებისა და სომხური რედაქციის საერთო ადგილები, აგრეთვე ქართულზე სომხური რედაქციის დამოკიდებულების კვალი ახსნილია იმით, რომ ორივენი სარგებლობდნენ შუალედური ქართული რედაქციით. კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, „თუ ეს რედაქცია ჯერ კიდევ 940 წლამდე დაიკარგა (როგორც პ. პეეტერსი ფიქრობს, ბ. ა), როგორ ისარგებლებდა იმით 940 წლის შემდეგ „ფსევდოიაკობი? " (გვ. 108). კ. კეკელიძემ მთელი აკადემიური საფუძვლიანობით გააკრიტიკა პ. პეეტერსის ზემოთ ხსენებული მოსაზრება და მართებულად უარყო კიდეც იგი. მოვუსმინოთ მას:

„პრიორიტეტი ყოველმხრივ იაკობის შრომას ეკუთვნის. ამის მაჩვენებელია, პირველ ყოვლისა, დეტალები ნაწარმოების: ა) ქრონოლოგიური: ვარსქენის სპარსეთს გამგზავრება პეროზის მერვე წელს, აღნიშვნა შუშანიკის სამგზის ტანჯვის დროისა — 8 აპნისს, აღდგომის ორშაბათს; 19 ვარდობისას; ბ) გეოგრაფიული: ქუეყანა ჰერეთისა — საზღვარი ქართლისა, უდი-სასაფლაო ვარსქენის დედისა,. შუ-

შანიკის წამების ადგილის ბუნების ზედმიწევნითი აღწერილობა; გ) ყოფაცხოვრებითი: ქალისა და კაცის ერთად პურის ჭამა, მზითევის უკან დაბრუნება, ციხის რეჟიმის აღწერილობა. შეუძლებელია, ეს დეტალები გადმომთარგმნელს, იაკობს, შეეთხზას, გამოტოვება კი მათი თარგმანის პროცესში ქართულიდან სომხურად სავსებით დასაშვებია. ამის მაჩვენებელია შემდეგ ზემოაღნიშნული ცხოველი ტონი მოთხრობისა; ეს ტონი უფრო უდგება უშუალო მოწმეს, ვიდრე მთარგმნელს. დასასრულ, ქართულ რედაქციაში არსად ნაციონალური კვალი არ ჩანს. სომხური თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია ნაციონალური ტენდენციით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იაკობის შრომა დაწერილია სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცხოვრებაში ნაციონალიზაციის პროცესის დაწყებამდე, ხოლო სომხური ამის შემდეგ, უფრო სწორად, მათ შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ“.

ვფიქრობთ, ცხადზე უცხადესია კ. კეკელიძის მტკიცება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ პირველადობის შესახებ, მაგრამ პატივცემულ მეცნიერს, რომლის ობიექტურობაში ეჭვის შეტანა არც ერთი ეროვნების მკვლევარს არ შეუძლია, თავის დასკვნის გასამაგრებლად მაინც მოაქვს დამატებითი ფაქტები. სიტყვა მივცეთ ისევ კ. კეკელიძეს: „იაკობის შრომა რომ მართლა სომეხ-ქართველთა საეკლესიო ერთობის ხანაშია დაწერილი ჩანს: 1) დღესასწაულები მოძრავია: შუშანიკის ხსენება დაუწესებიათ არა მისი აღსასრულის დღეს, არამედ ხუთშაბათს; ასეთი პრაქტიკა ჩვენში სწორედ აღნიშნულ ეპოქაში იყო მიღებული და ის მდგომარეობდა იმაში, რომ მოწამეთა და წმინდანთა სახსენებელი თვის რიცხვთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ შვიდეულის დღეებთან. ასე მაგალითად, მირიანის დროს „დააწესეს დღესასწაული ძლევით შემოსილისა ჯუარისაი აღვსებისა ზატიკისა ზატიკსა, დღესა კვირიაკესა (**Описание 11, 795**), ანდა: „მარტვილიისა უკუნა ზატიკისა, დღესა ოთხშაბათსა“ (იქვე და იოანე — ზოსიმეს კალენდარი); „და განაწესეს დღესასწაული ნეტარისა აბიბოს მეხუთესა ზატიკისა, დღე კვირიაკესა“, „პირველსა ხუთშაბათსა შემდგომად ამაღლებისა — დავით გარეჯისა“, „პირველსა ოთხშაბათსა შემოდგომად ამაღლებისა — დოდო გარეჯელისა“... 2) ბიბლიური ტექსტის არქაულობა და თავისებურება: პავლე მოციქულის აზრი, რომელიც გამოთქმულია 1 კორინ. VII, 15-ში, აქ (ი. ხუცესის „შუშანიკის წამებაში“, ბ. ა.) ოდნავ ცვლილებითაა გადმოცემული: „არა დამონებულ არს ძმაი, გინა დაი, არამედ განეყენენი“. 3) ლიტურგიკულმა პრაქტიკამ ჯერ კიდევ არ იცის ჰიმნოგრაფიული ელემენტი, ის ფსალმუნების გალობით და კირიეთი ამოიწურება: შუშანიკის დაკრძალვის ღამეო, ამბობს იაკობი „განვათიეთ და დავითის ქნარითა ყოვლად-ძლიერისა ღმერთსა და ძესა მისსა, უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტეს, ვადიდებდით“. ასეთი იყო საქრისტიანო პრაქტიკა მეექვსე საუკუნეში“.[1]

აქვე შევნიშნავთ, რომ პ. პეეტერსმა შეგნებულად არ მოახდინა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებისა“ და მისი სომხურად თარგმნილი რედაქციების ტექსტობრივი შედარება — ანალიზი. ამ გარემოებამ კი უცხოელი მეცნიერი შეცდომაში შეიყვანა. შემდგომში ცნობილმა არმენოლოგმა ილ. აბულაძემ ჩაატარა ამ თხზულების და მისი სომხური თარგმნითი რედაქციების ტექსტოლოგიური შედარება-ანალიზი, რამაც ერთხელ კიდევ ეჭვმიუტანლად დაადასტურა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ორიგინალობა და მისგან სომხური რედაქციის წარმომავლობა.

პ. პეეტერსის მცდარი დებულებების უკრიტიკოდ გაზიარება ხ. თოროსიანის სტატიის ქვიშაზე ნაგები აბსურდული კონცეფციის საფუძველია, თუ შეიძლება მას კონცეფცია ეწოდოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ველარ ჩერდება და სტატიის დასასრულს „აღმოჩენის“ კიდევ ერთ ნიმუშს გვაწვდის: „ქართველოლოგიაში მიღებულია ის აზრი, რომ „შუშანიკის წამების“ ავტორია შუშანიკის სახლის მოძღვარი იაკობი. თუ ეს ასეა, მაშინ ეს კიდევ უფრო ამტკიცებს, რომ ორიგინალი სომხურ ენაზეა დაწერილი, რადგან შუშანიკის პირადი მოძღვარი არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველი“.

რა შეიძლება ითქვას ასეთი „გამანადგურებელი“ არგუმენტის შემდეგ? ფაქტია, რომ თოროსიანს ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არა აქვს ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი ურთიერთობის ისტორიაზე. თუ ეს ასე არ არის, მაშინ სტატიის ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ არშუშა პიტიახშის სასახლის კარზე ქართულ ენასთან ერთად სომხურიც იყო ხმარებაში. ეს ბუნებრივია, რადგან ქვემო ქართლის საპიტიახშო სომხეთის საზღვარზე მდებარეობდა და რა გასაკვირია, რომ ქართულის მერე, იქ სომხურ ენასაც გასავალი ჰქონოდა. პიტიახშის კარის სასულიერო პირი ქართულთან ერთად სომხურის მცოდნეც უნდა ყოფილიყო, ამ დროს (V ს) ხომ სარწმუნოებრივი ერთიანობა სუფევდა ქართველთა და სომეხთა შორის. ბუნებრივია, იაკობ ხუცესი იყო შუშანიკის მოძღვარი და, ხ. თოროსიანის სურვილის მიუხედავად, ტომით ქართველი.

სომხურ ფილოლოგიურ მეცნიერებაში იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ მიმართ, კარგა ხანია დამკვიდრდა მცდარი შეხედულება. ძველი სომხური ლიტერატურის სახელმძღვანელოებისა და გამოკვლევებში ამ თხზულებას ძველი სომხური მწერლობის ძეგლად განიხი-

ლავენ და შეგნებულად სდუმან იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობის“ ქართული ორიგინალიდან სომხური თარგმანითი რედაქციული ტექსტების წარმომავლობის შესახებ. მ. აბელიანის, კ. ს. ტერ-დავთიანის და სხვა სომეხ მკვლევართა შრომების რიცხვს ხ. თოროსიანის ეგრეთწოდებული ნაშრომიც მიემატა, მაგრამ ამ უკანასკნელმა წინამორბედებს „ალმოჩენებით“ ბევრად გადააჭარბა.

ამგვარი ნაშრომის გამოქვეყნება სოლიდურ ჟურნალში არაფრით არ არის გამართლებული, არც მეცნიერულად და არც ეთიკურად. ასე წერა მეზობელი ერის შესახებ ჩვენს ეპოქაში მოულოდნელია, მით უმეტეს შუშანიკის „მარტვილობასთან“ დაკავშირებით. შუშანიკის სახელთან დაკავშირებულია ქართველ-სომეხთა მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა. მასზე დაწერილი შრომებიც ამასვე უნდა ემსახურებოდეს ორივე ენაზე.

## შენიშვნები:

[1] Ак. Шанидзе. Два чано — мингрельских суффикса в грузинском и армянском языках, ЗВОРАО, т. XXIII. Петроград, 1916, გვ. 369.

[2] Н. Марр — Избранные работы, т. IV, 1937. стр. 269, დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიიდან, თბილისი. 1979, გვ. 21.

[3] J. Saint – Martin, memoires historigues et georgrapligues sur l' Armenie, l' Paris, 1818, გვ. 79.

[4] M. Brosset, Histonire de la Georgie, I, 1849, გვ. 46, შენ. 4.

5 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 266-267.

6 ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, 1959 წ. გვ. 20.

7 ეპისტოლეთა წიგნი, გამოსცა ზ. ალექსიძემ, 1969 წ., გვ. 89.

8 ილ. აბულაძე, მარტვილობაჲ შუშანიკისაი, 1938 წ., თბილისი, გვ. 42.

9 შ. ონიანი, იაკობ ხუცესის (წამება წმინდისა შუშანიკისი“, 1978, თბილისი, გვ. 54-55.

[10] Analecta Bollandana, t., I, II, III-IV, 1935.

11 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I 1951 წ., თბილისი, გვ. 108-109.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1979 წ. ტ. II, 1983 წ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973 წ.

დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, 1979 წ.

დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1980.

ა. ბოგვერაძე, ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, კრებული, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1963 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როლანდ თოფჩიშვილი

# XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ

ეთნოგრაფიული მეცნიერების ძირითადი წყარო, როგორც ცნობილია, ხალხში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებია. ამასთანავე, ცნობილია ისიც, რომ, როგორც ისტორიული მეცნიერება, ეთნოგრაფია მხოლოდ საკუთრივ ეთნოგრაფიული მასალით როდი კმაყოფილდება. იგი დასაბამიდანვე მიხდევდა სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროების გამოყენებასაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია XIX ს-ში რამდენჯერმე ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები და 1886 წ. საოჯახო სიები (სს). ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ეს უკანასკნელი, 1886 წ. თბილისის გუბერნიის (აღმოსავლეთი საქართველო) სს, რომლებიც დაცულია საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოსა და იმპერატორის ბრძანებით 1886 წ. 24 თებერვალს გადაწყდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი რეგიონისათვის სს შედგენა. სს შედგენის ძირითადი მიზანი იყო: ა. სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ზუსტი აღრიცხვა; ბ. მოსახლეობის სოციალური და ეროვნული შემადგენლობის დაზუსტება და გ. კომლთა საგადასახადო შესაძლებლობების განსაზღვრა. სს შედგენა დაიწყო 1886 წ. მაისში და დამთავრდა იმავე წლის ბოლოს.

სს-ში შეტანილია ყველა დასახლებული პუნქტი. ნაჩვენებია ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში მოსახლე ოჯახების სულთა შემადგენლობა. შესაბამისად, დაჯამებულია სოფლის (ქალაქის) კომლთა და სულთა რაოდენობა, მამრობით და მდედრობით სქესთა ცალ-ცალკე ჩვენებით. 1886 წ. სს შეიცავს გრაფებს, რომლებშიც ფიქსირებულია თითოეული პირის ასაკი, ტომობრივი მიკუთვნებულობა (НАРОДНОСТЬ) სარწმუნოება, საოჯახო სალაპარაკო ენა (ЯЗЫК ДОМАШНИЙ), განათლება, კომლთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა. ამასთანავე, ყურადღება აქვს მიქცეული მოსახლეობის გადაადგილების საკითხებს. მოსახლეობის მიგრაცია სს-ში ძირითადად ფიქსირებულია უკანასკნელი კამერალური აღწერიდან (1878 წ.). ნაჩვენებია მიგრაციის ფორმაც. როგორც ჩანს, სს სათანადო ორგანოებისათვის მუდმივად სამუშაო დავთრებს წარმოადგენდა, რადგან შენიშვნების გრაფაში შეტანილია შემდეგდროინდელი ცვლილებები კომლთა მონაცემების შესახებ.

1886 წ. სს-ის სტატისტიკური მონაცემები, აღწერის ჩატარებიდან შვიდი წლის შემდეგ, ცალკე წიგნადაც გამოვიდა.[1]

1886 წ. სს-ის დედნების მეცნიერულ დამუშავებასა და შესწავლას არაერთი თვალსაზრისით აქვს ღირებულება, რადგან გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, ბუნებრივია, ვერ ასახავდა სრულად იმ სოციალურ, სამეურნეო და ეთნიკურ მომენტებს, რომლებსაც მათში იპოვის მკვლევარი. მკვლევარს შეუძლია სს-დან ამოიღოს მისთვის სასურველი მასალა: 1. მოსახლეობის დემოგრაფია (მოსახლეობის რაოდენობა; სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა; საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის — მთა, მთისწინეთი, ბარი; ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები; მოსახლეობის განსახლების სიხშირის დადგენა დასახლებული და დაუსახლებელი ადგილების ჩვენებით), 2. მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა; 3. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა; 4. ეთნიკური პროცესები; 5. მოსახლეობის მიგრაცია; 6. გვარსახელების ეთნოგრაფია; 7. საოჯახო ყოფა; 8. სამეურნეო სფერო; 9. ტოპონიმები...

წინამდებარე წერილში აქ ჩამოთვლილ საკითხთაგან მხოლოდ ზოგიერთს შევეხებით.

ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრისას მკვლევარს ერთგვარი სიფრთხილე სჭირდება, რადგან ზოგჯერ ძნელია ენდო გრაფას, რომელშიც აღნიშნული პიროვნების ამა თუ იმ ეროვნებისადმი კუთვნილებაა აღნიშნული. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართველ გრიგორიანებზე, ქართველ მაჰმადიანებსა და ქართველ კათოლიკეებზე. ქართველი მონოფიზიტები (გრიგორიანები) ხშირ შემთხვევაში სომხური ეროვნებისადმი არიან მითვლილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აზრი აღმწერთა მიერ სარწმუნოებრივ მომენტზეა გადატანილი. თუ ქართველი, მართლმადიდებლური რწმენის გარდა, აღიარებდა სხვა სარწმუნოებას, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლნენ სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ფრანგებად (და სომხებად) — კათოლიკე ქართველები სამცხე-ჯავახეთში, ინგილოებად — მაჰმადიანი ქართველები ისტორიულ ჰერეთში, თურქებად — მაჰმადიანი ქართველები სამხრეთ-დასავლეთში საქართველოში. როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ კათოლიკე ქართველები, სს-ის მიხედვით, სომხებად არიან წარმოდგენილნი. ალბათ, იმის გამო, რომ, როგორც ცნობილია, მათ რომის პაპის მიერ დამტკიცებული ჰქონდათ სომხურენოვანი რიტი (ტიპიკონი)[2] და დამორჩილებული იყვნენ სომხური კათოლიკური ეკლესიისადმი. ამით იყო განპირობებული, რომ ქართველი კათოლიკეების („ფრანგების") გვარსახელებს ზოგჯერ სომხური ძირები ჰქონდა.

ისტორიულად საქართველოში (უმეტესწილად ქალაქებში) ცხოვრობდნენ სომხები, რომლებიც თავიანთი ეროვნული სარწმუნოების — გრიგორიანული ქრისტიანობის მიმდევრები იყვნენ. ცნობილია, რომ საქართველოში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში) მონოფიზიტური ქრისტიანობა გავრცელდა ქართველთა შორისაც და ჩამოყალიბდა ქართველ გრიგორიანთა თავისებური ჯგუფი.[3] სს-ის მიხედვით, ქართველი გრიგორიანები (რა თქმა უნდა, სომხებთან ერთად) ქართლ-კახეთის არაერთ სოფელში გვხვდებიან. რა მონაცემებით ვადგენთ, რომ გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევართა ნაწილი ქართველია? პირველ რიგში გასათვალისწინებელია გრაფა «ЯЗЫК ДОМАШНИЙ». ამ გრაფის მიხედვით კი არა იშვიათად სომხური ეროვნებისა და გრიგორიანური სარწმუნოების რიგი ოჯახებისათვის შინაურულ სალაპარაკო ენას „ქართული" წარმოადგენს. მაგრამ ამ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან ბევრი სომხისთვისაც ამ პერიოდში დედაენა ქართულია. ეს ერთი. მეორე — ქართულ გვარსახელებზე დაკვირვება. ხშირად, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, ქართული გვარსახელების მატარებელნი სომხებად არიან მიჩნეულნი. მესამე — ზოგჯერ გრიგორიანული სარწმუნოებისა და სომხური გვარსახელის მატარებელი მეორე (ქართული) გვარსახელითაც არის მოხსენიებული. მეორე ანუ ძველი გვარსახელით პიროვნებათა მოხსენიება სს-ის დიდ პლუსად მიგვაჩნია. ამით შესაძლებლობა გვეძლევა ვიკვლიოთ როგორც ეთნიკური პროცესები, ისე კონკრეტული გვარსახელების ისტორია. ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს, რომ სს-ში მოხსენიებული მეორე გვარსახელი ძველი გვარსახელია, რომლის შეცვლაც ფეოდალური და კაპიტალისტური პერიოდის საქართველოში, გარკვეული მიზეზების გამო, იშვიათად არ ხდებოდა.

გორის მაზრის ვარიანის საზ-ის სოფ. ახალდაბაში, სხვადასხვა გვარის ქართველებთან ერთად, მოსახლეობდნენ პაპუაშვილები, თათრიშვილები, ნაცვლიშვილები, თანდილაშვილები, გიორგაშვილები, კუტიშვილები, ჯავახიშვილები.[4] ჩამოთვლილ გვართა წარმომადგენლები სომხური ეთნიკური ფენისადმი არიან მიკუთვნებული, ჩვენი ღრმა რწმენით, სარწმუნოებრივი მომენტის გამო. აღნიშნული გვარსახელების მატარებელნი იმავე სს-ის მიხედვით საქართველოს სხვა რეგიონებშიც არიან განსახლებულნი და ყველანი ქართველებს ეკუთვნიან. ამასთანავე, გიორგაშვილი წარმოშობით სომეხი რომ იყოს, ის იქნებოდა არა გიორგაშვილი, არამედ გეურქაშვილი. ახალდაბაში ასეთია სულ 29 კომლი. საერთოდ, 1886 წ. სს-ით შეიძლება გამოთვლა, თუ რამდენი კომლი, გვარი, სული არის ჩამოცილებული ხელოვნურად ქართულ ეთნოსს და მექანიკურად სხვა ეთნოსზე, ამ შემთხვევაში სომხურზე, მიწერილი.

სს-ის მიხედვით მკვეთრად სომხური ეთნიკური სურათია ნაჩვენები ქართლის სოფ. ახალქალაქში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან გარკვეულ მიკრორაიონში ახალქალაქი ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ახალქალაქში სომხები დაასახლა როსტომ მეფემ (1632-1658).[5] ახალქალაქის სომხური გვარსახელების ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. მაგრამ უნდა დავასახელოთ ზოგიერთი „სომხური" გვარსახელი: მამასახლისიშვილი, ქვრივიშვილი, ხუციშვილი, მეზურნიშვილი, გოგინაშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ჩალაშვილი, ტატანაშვილი, აბუაშვილი, გაბრიელიძე, წვერიანაშვილი, მჭედლიშვილი, ნასყიდაშვილი, ივერიანოვი, ფირალაშვილი, გოდერძიშვილი, მამაცაშვილი (254-8-1658). ჩამოთვლილ გვარსახელებს ქართული ძირები აქვთ, ეთნოგრაფიული მასალებითაც ისინი

გრიგორიანი ქართველები იყვნენ და, ბოლოს. 1818 წ .კამერალურ აღწერაში მათი უმეტესობა ეროვნებით ქართველია (254-1-542). 1880 წ. კამერალურ აღწერაში კი ახალქალაქელი გოზალიშვილები მეორე გვარით (წერეთელი) არიან მოხსენიებული (254-1-1244, გვ. 24-82). მაგრამ ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ახალქალაქში არამცირედი რაოდენობით ჩანს ნამდვილი სომხური ფენაც. სს-ით სომხებსაც ეთნიკური პროცესების მნიშვნელოვანი გავლენა განუცდიათ ქართულ სამყაროში და მათი საოჯახო სამეტყველო ენა ქართული გამხდარა.

გორის მაზრის სოფ. ბერბუკში მოსახლეობდნენ გიგაურები (254-8-1655). სს-ით გიგაურები, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების გამო, სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული. ეთნოგრაფიული მონაცემებითაც სოფელში მათ სომხებს ეძახდნენ. გადმოსახლებული კი არიან ქსნის ხეობის სოფ. ძეგლევიდან, სადაც ადრე არაგვის ხეობის მთიდან იყვნენ მოსული.

ბორჯომის ხეობის სოფ. ბერისაყდარში (254-8-1660) ძირითადი მოსახლეობა სომხები იყვნენ. მაგრამ აქ მკვიდრობდნენ ქართველებიც (სანდაძე, მოხიაშვილი, ვერხვიაშვილი და სხვ.), რომლებიც სს-ით მიკუთვნებული არიან სომხური ეთნოსისადმი.[6] ამასთანავე, ისიც ხაზგასასმელია, რომ ვერხვიაშვილების ერთი კომლი თუ სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი და ეროვნებით „სომეხია“, მეორე — მართლმადიდებელი და ქართველია.

გორის მაზრის სოფ. ვაყაში (254-8-1662) სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული: იმედაშვილები, მამულაშვილები, მექარიშვილები... გრაკალში — პაპიაშვილები, გოგინაშვილები, დურგლიშვილები, ტატიაშვილები (254-8-1668); დიდ გარეჯვარში — თუშიშვილები, მუნჯიშვილები; დირბში — ქულუმბეგაშვილები (ამ გვარის წარმომადგენლები საერთოდ ოსები არიან), დოლიაშვილები, მოძმანაშვილები, თეთრუაშვილები, ქოთუაშვილები, ბერიანაშვილები, პაატაშვილეები (254-8-1667)...; ზემო რეხში — ქაქიტაშვილები, ჭამუკელაშვილები, ქარელიშვილები, კაბულაშვილები (ეს გვარიც ოსურია... 254-8-1674); ტყვიავში — ქარელები, მერაბაშვილები, გიგუაშვილები, ხაბაზიშვილები (245-8-1706) და მრავალი სხვა.

ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ქ. ცხინვალის აღწერა, რომელშიც ზოგჯერ სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრები ქართული ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული. მაგალითად, ხოჯაბაევი, ნალბანდიშვილი, ბუტაური (254-8-1717). პირველი ორი გვარსახელის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, მესამე (ბუტაური) კი ქართული გვარია, რომლის წინაპრებიც დაბლობში შიდა ქართლის მთიანეთიდან იყვნენ ჩამოსული.

ს. კავთისხევში, სომხურ-გრიგორიანული რწმენის გამო, სომხური ეროვნებისადმი არიან მიკუთვნებული: ნანიკაშვილები, ქსოვრელები (1880 წ. აღწერით ქსოვრელების ნაწილი მართლმადიდებელია, ნაწილი — გრიგორიანი; 254-1-1246, გვ. 76-98. 1818 წ. აღწერით კი ყველა ქსოვრელი ქართველია. 254-1-544, გვ. 158-164); ირემაშვილები, ტუშურაშვილები, ბასიაშვილები, ბიჭიკაშვილები... (254-8-1725); ქვახვრელში — ბერიკაშვილები, პაპიაშვილები, გოგოლაშვილები, მათიაშვილები, ხუციშვილები, გიგოლაშვილები...

სომხური ეთნიკური ელემენტი მოსახლეობდა ქსნის ხეობის სოფ. ახალგორშიც (ლენინგორი). სომხური ეთნოსის გაჩენა ახალგორში, ჩვენი დაკვირვებით, XV ს-ში უნდა მომხდარიყო.[7] ძირად სომხებთან ერთად ახალგორში მოსახლეობდნენ ისეთი გვარებიც, რომლებიც სომხური ეთნოსისადმი კონფესიური მიკუთვნებულობის გამო არიან მიწერილი. ასეთ გრიგორიან ქართველებს შორის შეიძლება დავასახელოთ: მზარეულოვი, ბურდინოვი, მეარაყოვი, კაკილოვი, კიკოლაშვილი, ხუბაშვილი (ძირითად ოსი), ხოცუელიშვილი, ბერიაშვილი, ლოსეურაშვილი, გათენაშვილი, გელიაშვილი, დათიაშვილი, გრემელაშვილი, ცაგარელი. ეთნოგრაფიული მასალებითაც ჩამოთვლილი გვარები ქართველები არიან, რომლებმაც, გარკვეული მიზეზების გამო, მიიღეს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და შესაბამისად მიეკუთვნენ სომხურ ეროვნებას. მაგალითად, გათენაშვილის ადრინდელი გვარი გიგაური ყოფილა. ამასთანავე, გათენა მამაკაცი უძველესი ქართული სახელია. ამ ძირზე გვარსახელი გათენეთი (გათენაძე) XIII ს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ჭოროხის ხეობა) გვხვდებოდა.[8]

ქართველი გრიგორიანების ჩამოთვლა 1886 წ. სს მიხედვით შეიძლება გაგვეგრძელებინა აგრეთვე თბილისის, თელავის, სიღნაღის მაზრებიდან. ამჟამად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნებული იმ გვარსახელებისადმი, რომლებიც მეორე გვარსახელებითაც არიან მოხსენიებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფრჩხილებში მითითებული მეორე გვარსახელები ადრინდელ გვარებს წარმოადგენენ. მეორე გვარით პიროვნების მოხსენიება დამახასიათებელი იყო

XIX ს. თითქმის ყველა კამერალური აღწერისათვის, რა თქმა უნდა, თუ ასეთი მეორე (ანუ ძველი) გვარსახელი ჰქონდათ. ხშირად ეთნოგრაფიული მასალა (გადმოცემა გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ) და დოკუმენტური მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. ავიღოთ მაგალითად თბილისის მაზრის სოფელი ახალსოფელი (25-8-1606), სადაც მოსახლე კაზაროვების ერთ ნაწილს მიწერილი აქვთ: «он же Матиашвили», „მეორე ნაწილს «он же Мартиашвили». სოფელ კუმისში (254-8-1616) მკვიდრობდა «Кекелов (он же Алавердашвили)». კუმისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ (გრიგორიანული რწმენის გამო კი სომხებად არიან ჩაწერილი). ამ შემთხვევაში თავად გვარსახელები მიუთითებენ თავიანთ ტომობრივ ქართველობას: ბაბალაშვილი, გურასპაშვილი (შდრ. გურასპაული), საყვარელაშვილი, მათურაძე (შდრ. ოიკონიმი მათურა ფშავში და გვარსახელი მათურელი), თათარაშვილი, გზირიშვილი, გარსევანოვი, ხოსიტოვი, გურამოვი, ძამიევი, ყუყიაშვილი, ტეტიაშვილი, კახელაშვილი, ქობულაშვილი, ოლქიაშვილი, დედალაშვილი, ნინიაშვილი, სოზიაშვილი, მაისურაძე, საყევაროვი, კახუროვი, როსტიაშვილი... პატარა ენაგეთში (254-3-1629): «Грикурашвили (он же Мествиришвили)»; სართიჭალაში — «Степанов (он же Гарсанашвили)»; ხანიორეში — «Оханашвили (он же Оркодашвили)»; «Саркисашвили (он же Кикуашвили)»; ყანდაურაში — «Кузанашвили (он же Гамткицулашвили)»; ჩუმლაყში — Демуров (он же Менабдишвили)» (254-3-1782, 1603); ანანურში (დუშეთის მაზრა) — «Степанов (он же Мухашвили)».

ზემოთ მიმოხილული მასალით, ვფიქრობთ, ქართველ გრიგორიანთა არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. თუმცა ასეთი ჯგუფების არსებობა საქართველოში ეჭვს ქვეშაა დაყენებული ზოგიერთი ავტორის მიერ. მაგალითად პ. მურადიანი წერს, რომ «... каким-то образом нужно доказать само существование «общности грузин-григорнан». Это понятие было придумано в начале нашего столетия под воздействием определенных настроений в Грузинском буржуазном обществе»[9]. თუმცა იმავე ნაშრომის სხვა გვერდზე ვკითხულობთ: «Известно, что бывали случаи,, когда армяне - монофизиты переходили в лоно халкедонистов, а грузины становились «армянами» (т. е. монофизитами»)».[10]. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში აღნუსხულ საფლავის ქვათა ეპიტაფიების ორენოვანი (ქართულ-სომხური) წარწერები იმავე ავტორს აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ ამ სოფლებში ორენოვანი სომეხი მოსახლეობა მკვიდრობდა.[11] ჩვენი მხრით დავძენთ, რომ ორენოვანი (ქართულ-სომხური) ეპიტაფიები ამის დამადასტურებელი არაა. ეთნოგრაფიული მასალებით, იმ სოფლებში, რომლებზედაც პ. მურადიანი მიუთითებს, ორენოვანი სომეხი მოსახლეობა არ ყოფილა. აქ მხოლოდ ქართველი გრიგორიანები ცხოვრობდნენ, რომელთა მშობლიური ენა ქართული იყო და უცნობი იყო მათთვის სომხური ენა. მეორეც, იმავე ეთნოგრაფიული მასალებით (რომლებსაც საოჯახო სიები მხარს უჭერს) სომხური ენა არ იცოდნენ თვით ნამდვილად სომხებმაც. ასეთი არაერთი მაგალითის მოტანა შეგვეძლო. რაც შეეხება საფლავის ქვათა ორენოვან ეპიტაფიებს, ანგარიშგასაწევია, რომ ისინი კეთდებოდა სომხური გრიგორიანული ეკლესიის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით. დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ, მართალია, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში სომხური მოსახლეობა იყო, და, შესაბამისად, ქართველი გრიგორიანებიც, მაგრამ ამ უკანასკნელთა რაოდენობის ზრდა განსაკუთრებით იგრძნობა XIX ს. შუა ხანებიდან (არაერთი მაგალითი შეიძლებოდა მოგვეტანა XIX ს. სხვადასხვა პერიოდის კამერალური აღწერებიდან, რომლებშიც ესა თუ ის გვარები ჯერ მართლმადიდებლებად და ქართველებად, შემდეგ კი გრიგორიანებად და სომხებად არიან ჩაწერილი). საქართველოში XIX ს-ში ქართველი გრიგორიანების ზრდა, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს, ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფ ზრდასა და 1811 წლიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვასთან.

როგორც აღვნიშნეთ, 1886 წ. სს მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდნენ მოსახლეობის მიგრაციის კვლევისათვის.[12] გადაადგილების ყველა შემთხვევას სს-ში აღნიშნავდნენ. ამჯერად გვინდა ყურადღება მივაქციოთ ოსთა შიდა ქართლის მთიდან შიდა ქართლის ბარში გადასახლების შემთხვევებს. სს მიუთითებენ, რომ ოსების შიდა ქართლის ბარში ჩამოსახლება ძირითადად მოხდა XIX ს. შუა ხანებიდან, განსაკუთრებით 60-80-იან წლებში. აშკარად ჩანს დასახელებული ეთნიკური ერთეულის ჯგუფური გადასახლებები აღნიშნული მიმართულებით. სს-ში ზუსტი ჩვენებაა მოცემული იმისა, თუ მთის ამა თუ იმ სოფლიდან ბარის რომელ სოფელში გადასახლდნენ ოსების ოჯახები. მთის სოფლების აღწერისას მიწერილი აქვთ სად გადასახლდნენ, დროებით არიან წასული თუ მუდმივად. დროებით საც-

ხოვრებლად წასულების უმეტესობა კი მუდმივად საცხოვრებლად რჩებოდნენ. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი: დღევანდელი ქარელის რ-ის სოფ. ბანში სს-ით ათი კომლი ოსი მკვიდრობდა. სს-ის მიხედვით ისინი ყველანი მიგრანტები იყვნენ, რომლებიც მოსულან ლიახვის ხეობის ზემო წელის სხვადასხვა სოფლებიდან. 10 ოჯახიდან ორი ოჯახი ჩამოსახლდა „15 წლის წინ“ (ე. ი. 1871 წ.), დანარჩენები „11 წლის წინ“ (ე. ი. 1875 წ.), „12 წლის წინ“ (ე. ი. 1874 წ.), „10 წლის წინ“ (ე. ი. 1876 წ.), „8 წლის წინ“ (ე. ი. 1878 წ.) და სხვა (254-1655).

სოფ. კოშკიდან (დიდი ლიახვის ხეობა, დღ. ჯავის რ-ნი), რომელშიც სს-ით 169 კომლი ცხოვრობდა, ბარის სხვადასხვა სოფელში მიგრირებულა 112 კომლი (254-3-1681). სოფ. ზადადან (დღ. ცხინვალის რ-ნი) შიდა ქართლის ბარის სხვადასხვა სოფელში გადასახლებულა 75 ოჯახი (254-3-1674). 46 კომლიდან 20 კომლი გადასახლებულა სოფ. დამწვარადან. საყურადღებოა, რომ შიდა ქართლის მთისა და ბარის სოფლებში დასახლებული ოსები უმეტესად ხიზნის კატეგორიით არიან მოხსენიებული. მიგრაციული პროცესებისა და ეთნიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ 1886 წლისათვის დღევანდელი სამხრეთ ოსეთის აო-ის ცენტრში — ცხინვალში და ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში ახალგორში (დღევანდელი ლენინგორი) არ მოსახლეობდნენ ოსი ეროვნებისანი (254-3-1117, გვ. 1-40; 254-3-1790, გვ. 1-64).

ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების კვლევის თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ზოგიერთი სხვა მასალის მოტანაც. 1886 წ. სს-დან. უთუოდ კვლევის ამ ორბიტაში ექცევა ის, რომ საქართველოში მოსახლე ყველა ოსის გვარსახელი — შვილი ფორმანტით იყო გაფორმებული, გარდა თრუსოს ხეობის ოსებისა. თრუსოელი ოსების გვარსახელების ფუძე ძირითადად — ოვ (—ევ) სუფიქსს ირთავდა. მაგრამ თრუსოს სს სხვა მხრივ იძლევა მასალას ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების გამოსავლენად. სოფ. ალმასიანში (ბაზალიანში) მოსახლე ზაგაშვილებს მართალია ეროვნება „ოსი“ აქვთ მიწერილი, მაგრამ მათი «ЯЗЫК ДОМАШНИЙ» ქართულია. სს-ით ორენოვანია სოფ. კარატკავის მოსახლეობა (ქართული და ოსური). იგივე შეიძლება ითქვას სოფ. ქეთრისის მკვიდრებზეც. სოფ. მნის მცხოვრებლებს კი «ЯЗЫК ДОМАШНИЙ»-ის გრაფაში ქართული აქვთ მიწერილი. რაც შეეხება ოქროყანას (მოსახლეობდნენ: გუდიევები, ბიბილოვები, არჯინოვები, ბიდაგოვები, ზაგალოვები, კაკაევები), თავდაპირველად აღმწერს «НАРОДНОСТЬ»-ის გრაფაში «ОСЕТИНЫ» „ჩაუწერია, მაგრამ შემდეგ გადაუშლია და იმავე ხელით ზემოდან დაუწერია «ГРУЗИНЫ», «ЯЗЫК ДОМАШНИЙ»-ს გრაფაში კი «ГРУЗИНСКИЙ И ОСЕТИНСКИЙ» (254-3-1816). ასევე ორენოვანია სოფლების სივრათას, რესის, სუათისის, ტეფეს, ცოცოლდის, შევარდენის მოსახლეობა. სოფ. თოლგოთის მკვიდრთ (ფიტაროვებს და თაყაევებს) «ЯЗЫК ДОМАШНИЙ-ს გრაფაში ქართული უწერიათ.

საყურადღებოა, რომ სს-ით კარგად ჩანს, იმერეთის მოსახლეობის მიგრაცია შიდა ქართლში, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიური ყოფილა XIX ს. შუა ხანებში, თუმცა პროცესი ჯერ კიდევ XVII-XVIII სს. იყო დაწყებული. სს-დან ირკვევა, რომ გვიან, XIX ს. 80-90-იან წლებში, 900-იანი წლების დასაწყისში, მიგრანტი იმერეთის მოსახლეობის ნაწილი უკან უბრუნდებოდა თავდაპირველ საცხოვრისს. ჩვენთვის ჯერ უცნობია ამ უკანდაბრუნება-გადასახლების მიზეზი, რასაც ალბათ საველე კვლევა-ძიება დაადგენს. სს-დან ერთირამ ცხადად ჩანს, რომ იმერეთიდან ქართლში გადმოსახლებულთა ნაწილი კვლავ აგრძელებდა თავდაპირველ საცხოვრისთან კავშირს (ოჯახი მთლიანად არ გადმოსახლდებოდა) გარკვეული ხნის განმავლობაში.

სს-დან ჩანს, რომ ინტენსიური იყო დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების მოსახლეობის მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოში, უფრო სწორად თბილისის საგარეუბნო სოფლებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში. მათი უმრავლესობა ახალ საცხოვრისში დროებით მცხოვრებლებად არიან გატარებული. შენიშვნების გრაფა კი მიუთითებს ამ კატეგორიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მუდმივად საცხოვრებლად დარჩენაზე. დასავლეთ საქართველოს აღნიშნული რეგიონებიდან აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობის მოსვლის თავდაპირველი ფორმა „დროებით სამუშაოზე სიარული“ უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალციხის, ახალქალაქის მაზრებისა და ზაქათალის ოკრუგის მასალები. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ქართველი კათოლიკეების გვარსახელებს თუ დავაკვირდებით, აშკარად გამოიყოფა სამი ტიპის გვარსახელები: ა. ქართულფუძიანი, ბ. სომხურფუძიანი და გ. თურქულფუძიანი. საერთოდ, ეს გვარები, უმეტეს შემთხვევაში — ოვ (—ევ) სუფიქსითაა გაფორმებული. ეროვნება ყველას ქართველი აქვს მიწერილი, სარწმუნოება — სომხურ-კათოლიკური, «ЯЗЫК ДОМАШНИЙ» — ქართული. ქართული ძირებით არიან: ნებიეროვი, დათებოვი, გოკიელოვი, ბეთანოვი, ბერიძე, ფირალოვი, მეფისოვი, ფეიქაროვი, ხარისჭაროვი, ხუციანოვი, მესარკოვი... არაქა-

რთული ძირებით: კევორკოვი, ნაზაროვი, ხოჯევანოვი, აკამოვი, სეხპოსოვი, ხითაროვი... ზემოთაც გვქონდა ნათქვამი და აქაც გავიმეორებთ, რომ სომხური ძირებით ქართველ კათოლიკეთა გვარსახელების წარმოქმნა დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და არა ლათინურ-კათოლიკურს, სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას კი სომხური ტიპიკონი ჰქონდა დადგენილი,[13] რაც ქართველ კათოლიკეთა წრეში ჯერ სომხური სახელებისა და შემდეგ სომხურძირიანი გვარსახელების გავრცელებას იწვევდა. სომხური და თურქული ძირებით წარმოდგენილი გვარსახელები, რა თქმა უნდა, მეორეული მოვლენაა და ყველა ასეთ გვარსახელს თავდაპირველი გვარი უეჭველად ჰქონდა. მაგალითად, ხითარიშვილის ძირი — გვარი თამარაშვილი ყოფილა.[14] ქ. ახალციხის გარდა, სს-ის მიხედვით ,სომხურ-კათოლიკური მრწამსის ქართული მოსახლეობა გვხვდებოდა სოფლებში: არალში, ვალეში, უდეში, ვარგავში, ხიზაბავრაში( ორი უკანასკნელი სოფელი ახალქალაქის მაზრაში შედიოდა). არალის ქართველი კათოლიკეების გვარები: აფრიამოვი, ფეიქაროვი, ჩაგიევი, ტატალოვი, ჩილინგაროვი,[15] თათეოზოვი, კაჭკაჭოვი, მარტიროზოვი, თომაშვილი, გრიქორაშვილი, ნადირაძე, პეტრეშვილი, ტატეშვილი...

ვალეში ცხოვრობდნენ როგორც მართლმადიდებელი ქართველები, ისე ქართველი კათოლიკეები: გოზალოვი, ზაქაროვი, არუთინაშვილი, გიგოლაშვილი, ნახუდოვი, მელქონაშვილი, ატენოვი, ჩიტოშვილი, გაბელაშვილი, ჯაფოშვილი, მალვენოვი, სარიანოვი, დავიდოვი, გაბრიელოვი, ნიკოშვილი, ბეჩიტაძე. სოფ. უდეს ქართველ კათოლიკეთა გვარებია: მამულოვი, პეტროევი, მაისუროვი, კაზაროვი **(он же Гзиришвили)**, გოგილოვი, ფაცხოვი, პოლოსოვი, ბალახოვი, ობოლოვი, მამასახლისოვი, ულიჯანოვი, კეშეროვი, ვართანოვი **(он же Абуладзе)**, ბადდოევი, **(он же Абуладзе)**, ლალიევი, ზაზაევი, აბულაძე, ანტონაშვილი, პარუნაშვილი, ჭილაშვილი...

1886 წ. სს-ით სოფ. ვარგავში კათოლიკე ქართველების მშობლიური ენა ქართულია, მაგრამ **«народность»**-ის გრაფაში მათ სომხური უწერიათ. ეს გვარებია: ლაზაროვი, დათოევი, შეშაბერიძე, თამაზოვი, დავლშერიძე (მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს მიწერილი „ქართველი“).

ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით სოფ. ხიზაბავრას მოსახლეობა (187 კომლი, 1.274 სული) სომხებადაა მიჩნეული.[16] სს-ის დედნის მიხედვით კი ხიზაბავრას მოსახლეობა ქართველი კათოლიკეები იყვნენ. ოფიციალურად დაბეჭდილმა დოკუმენტმა კი სხვა სურათი მოგვცა. ეს გამონაკლისი როდია.

ახალციხის მაზრა XIX ს. ძირითადად მაჰმადიანური იყო. სს გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ აღნიშნული მაზრის მაჰმადიან მოსახლეობაში, რომელი სოფლების მოსახლეობაა ქართული. ქართველებს **«народность»**-ის გრაფაში მიწერილი აქვთ ქართველი, სარწმუნოება — მაჰმადიანურ-სუნიტური და **«язык домашний»** „— თურქული, ხან კი ქართული და თურქული. მაჰმადიან ქართველებს ზოგჯერ ქართული გვარებიც აქვთ მიწერილი. 1886 წლისათვის ახალციხის მაზრაში ორენოვანი იყო 16 სოფლის მოსახლეობა, რომლებშიც შემდეგი ქართული გვარსახელებია ფიქსირებული: ჩხოკოძე, ტატაძე, ცხადაძე, მამუკაშვილი, ბაზაძე, ზეთიაშვილი...[17]

გამაჰმადიანებული ქართველი მოსახლეობა, რომელთა **«язык домашний»** თურქული იყო, 1886 წ. სს-ით, ახალციხის მაზრაში“ 51 სოფელში მკვიდრობდა.

სს-დან ისიც ჩანს, რომ, მართალია, ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა ყოველმხრივ თურქებადაა გატარებული (ეროვნება, ენა, სარწმუნოება), მაგრამ ჩანს, რომ ასეთი „თურქები“ ზოგჯერ ქართველებს წარმოადგენდნენ. ასეთი სოფლებია: კამზა, მხე, დიდი ხოპსი. ორი ქართული გვარსახელი (თურმანიძე, აბრაზაშვილი) ამოვიკითხეთ პატარა ხმადაში. მხოლოდ სხვათაშორის მიწერილი ეს ქართული გვარები გვაგულისხმებინებს, რომ ამ სოფლის მოსახლეობა ძირად ქართული იყო. მესხეთის ქართველ მაჰმადიანთა შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი გვარები: თავდგირიძე, დუნუკაძე, წულუკიძე, გოლოთიძე, აფაქიძე, დედულაძე, კარწელაშვილი, ჩახოშვილი, გვახიძე, გვარაძე, მაკარიძე, პაიკიძე, სადინაძე, სადუნაძე, კიკიაძე, მოსიძე, ჯავახაძე, დვალიშვილი, ყიფიანი... პრივილეგირებული წოდებიდან: ერისთოვი, მუხრანსკი, პეპინოვი, გიორგწმინდაძე, ამილახვარი, ლორთქიფანიძე, ვაჩნაძე, სანიკიძე...

ეთნიკური პროცესების კვლევის თვალსაზრისით საყურადღებო უნდა იყოს ამონაწერი სოფ. კლდის სს-დან. აქ გვხვდებიან: „რაჯაბ ბიძინ ოღლი ტატიძე“ და „ხალილ ბიძინ ოღლი ტატიძე“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველ მაჰმადიანებში ჯერ კიდევ იყო ტრადიცია ქართული სახელების დარქმევისა. ჩანს, სოფ. კლდეში გამაჰმადიანება-გათურქების

პროცესი შედარებით ახალდაწყებული იყო. გამაჰმადიანება-გათურქების ახლად დაწყებული პროცესის შესახებ მიუთითა ნ. მარმაც: «Сейчас за ручьем Гигадзис-Цкали в селе Дасабоме живет Мамуд Ахмед-оглы Джарбидзе, грузин-мусульманин, который утверждает, что дед его был священником при церкви»[18]. აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1595 წ. თურქეთის ხელისუფალთა მიერ ფისკალური მიზნით შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" შეტანილ ოჯახის უფროსთა სახელები და მამისახელები ქართულ-ქრისტიანულია. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გვხვდება თურქული სახელები.[19]

1886 წ. სს-ში ჩანს ქართველი მაჰმადიანების თურქეთში გადასახლების შემთხვევები და სომეხთა თურქეთიდან გადმოსახლება (ადრე დაწყებული პროცესის გაგრძელება). მთლიანად თურქეთში გადასახლებულა ს. კოლათხევის მოსახლეობა (254-3-1848); უდესა და ურაველის საზოგადოებებიდან 1880-იან წლებში თურქეთში მიგრირებულა 37 კომლი (254-3-1852).

ქართველთა გასომხების შემთხვევები შეინიშნება ახალქალაქის მაზრაში. მაგალითად, სოფ. ტურცხში, სადაც სომეხი კათოლიკეები მკვიდრობდნენ, გვხვდება გვარსახელები აშკარად ქართული ძირებით: ხუციევი, ილიაძე, ოქროევი... სს-ში ეს გვარები ეროვნებით და ენით სომხებად არიან ჩაწერილი (254-3-1892, გვ. 1-49).

უნდა აღინიშნოს, რომ სს-ში ახალციხის ზოგიერთი ქართული გვარი გვარსახელთა მაწარმოებელი უძველესი ქართული სუფიქსით (— ეთ, — ათ) გვხვდება.[20] მაგალითად ,პეტრეთი, გულიჯანათი... ამ ფორმანტით ქართული გვარსახელების წარმოება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღემდეა შემორჩენილი (ოფიციალური — ძე და — შვილი-ს ნაცვლად ხალხურ სამეტყველო ენაში აღნიშნული სუფიქსი იხმარება). სამცხეში თამარაშვილის ნაცვლად იტყვიან თამარათი, ხევში ავსაჯანიშვილის ნაცვლად — ავსაჯანეთი, ფშავში მუშატშვილის ნაცვლად — მუშტათი და სხვ.

ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემებით ახალქალაქის მაზრაში ქართველების რაოდენობა 20.455-ით განისაზღვრება. 21 სს დედნის მიხედვით კი ერთგვარად სხვანაირი სურათი ჩანს. არაერთგზისი გამოანგარიშებით ქართველთა რაოდენობა ახალციხის მაზრაში 1886 წ. შედარებით მეტი ყოფილა — 23.995 სული. ცხადია, წინა წლებში ეს რიცხვი უფრო დიდი იქნებოდა, რადგან სს-ში ვერ მოხვდა თურქეთში გახიზნულ-გადასახლებული ქართველობა. პროცენტული რაოდენობის მიხედვით ქართველი მართლმადიდებლები მთელი ქართული მოსახლეობის 19,8 პროცენტს შეადგენდნენ, ორენოვანი ქართველი მაჰმადიანები (რომლებიც ეთნიკური პროცესების თვალსაზრისით შუა გზაზე იყვნენ გაჩერებული) — 19,4 პროცენტს, თურქულენოვანი ქართველი მაჰმადიანები — 43,2 პროცენტს, ქართველი კათოლიკეები — 18,1 პროცენტს.

1886 წ. სს-ით ზაქათალის ოკრუგში (საინგილო, ისტორიული ჰერეთი) მოსახლეობდნენ როგორც მართლმადიდებელი, ისე გამაჰმადიანებული ქართველები. ამ უკანასკნელთ «народность»-ის გრაფაში უწერიათ ქართველთა ადგილობრივი ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდება „ინგილო", რომელთა «язык домашний» ქართული იყო. მართლმადიდებელი ქართველები სს-ში გვარსახელებით არიან ჩაწერილი, რასაც ვერ ვიტყვით მაჰმადიან ქართველებზე.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ თიანეთის მაზრის სს-ზე. არაერთგზის ერწო-თიანეთში ხევსურეთიდან მიგრირებული ცოლქმრული წყვილი არაკანონიერადაა მიჩნეული, შესაბამისად — მათი შვილებიც (253-3-1752, 1789, 1747...). ვფიქრობთ, ამ მასალას ვრცელი კომენტარი არ სჭირდება. ხევსურეთიდან ერწო-თიანეთში გადმოსახლებულნი ჯვარს არ იწერდნენ ქრისტიანულ ეკლესიაში და არც ბავშვებს ნათლავდნენ. ხევსურული წეს-ჩვეულების მიხედვით, ისინი კანონიერი ცოლ-ქმარი და კანონიერი შვილების მშობლები იყვნენ. აღნიშნულიდან აშკარად ჩანს მთიელთა ქრისტიანობისადმი დამოკიდებულება. მიგრანტები ახალ გარემოში, გარკვეულ ხანს, ინარჩუნებდნენ მთისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ყოფით (ამ შემთხვევაში სოციალურ-რელიგიურ) ელემენტებს.

ხევსურეთისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ყოფითი მომენტი კარგად ჩანს აგრეთვე ხევსურეთსა და ახალ საცხოვრისში (მაგალითად, ერწო-თიანეთში) მათთვის დამახასიათებელი ანტროპონიმიური მასალით. მხედველობაში გვაქვს საკუთარი სახელები. სახელები კი ეთნოგრაფიული კვლევისათვის საყურადღებო მასალას წარმოადგენს.[22] 1886 წ. სს-ით ხევსურეთსა და მიგრანტ ხევსურებში ფაქტიურად არ გვხვდება ქრისტიანული კანონიზებული სახელები (იშვიათი გამონაკლისია გიორგი და ივანე). საქართველოს აღნიშნულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში ძირითადად გავრცელებული იყო ძველი ქართული სახელები (გვხვდება მეზობლად მცხოვრები ვაინახების სახელებიც). შეიძლება ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი (მამაკაცის სახელები): ახალა, ბაბუა, ბიჭური, ბეკო, ბაჭია, გაგა, გამახელა, გელა, ვეფხვია, ია, იმედა, კურდღელა, მინდია, ნადირა, უშიშა, უმცრუა, ფშაველა, შუა, ძაღლიკა, წიქა, ციხკარა, ჭრელა, ხატულა, ჯოყოლა, ჯარია; (ქალის სახელები):

ბერდედა ,ბუბა, განძა, დედიქალა, კმარა, მზექალა, მთიურა, მზია, მინდა, ნათია, ნანა, სამძიმარა, ქალთათა, შუქია და მრავალი სხვ.

სს-ით ფშავში ერთგვარად სხვაგვარი სურათი გვაქვს. აქ, არაერთგზის, მამაკაცები ორი სახელით არიან წარმოდგენილი: ერთი ოფიციალური ქრისტიანული და მეორე ადგილობრივი (ძვ. ქართული) სახელით. ქრისტიანულ სახელებს ფრჩხილებში არაქრისტიანული სახელები აქვთ მიწერილი. ეთნოგრაფიული მასალებით, აქ ეს უკანასკნელი იხმარებოდა.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ კიდევ შემდეგ ეთნოგრაფიულ საკითხს, რომელზედაც სს-ში მკვლევარი ფასეულ მასალას იპოვის. სს-ის მიხედვით შეიძლება 1886 წ. აღმოსავლეთ საქართველოში დიდი ოჯახების რაოდენობის გამოთვლა. ასევე გარკვევა იმისა, თუ რომელ რეგიონში სჭარბობდა დიდი ოჯახები. სს-ით კლასიკური ტიპის დიდი ოჯახები უფრო ბარში შეინიშნება. ამავე დროს, დიდი ოჯახები, მასში შემავალ სულთა რაოდენობის მიხედვით, განსხვავებას ამჟღავნებს სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებსა (მთა, მთისწინეთი, ბარი) და ეთნოგრაფიულ პროვინციებს შორის. ამ თვალსაზრისით მთისწინეთი ერთგვარ საშუალო რგოლს წარმოადგენდა მთასა და ბარს შორის. ბარში თუ არაიშვიათად იყო შემთხვევები, როდესაც დიდ ოჯახში 40-50 სული ცხოვრობდა (მაგალითად, 57 სული დავითვალეთ სოფ. მარტყოფში გ. ი. სამქუაშვილის დიდ ოჯახში — 254-3-1626, გვ. 27-29), მთაში ეს რიცხვი იშვიათად აჭარბებს 18-20 სულს. მთისწინეთი კი, როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ გარდამავალ საფეხურს, საშუალო რგოლს წარმოადგენდა. სს-ით ხევსურეთში არ ჩანს დიდი ოჯახები, თუ არ ჩავთვლით სოფ. მუცოში ქავთარ ჰინჭარაულის ოჯახს, რომელშიც 23 სული მკვიდრობდა (254-3-1746, გვ. 70-71). ამ ორმოციოდე წლის წინ ხევსურეთის სოფ. გარბანში 12-სულიანი დიდი ოჯახი (რომელშიც ცოლშვილიანი ძმები ერთად ცხოვრობდნენ) დაუდასტურებია ი. ჭყონიას.[23] ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით, დიდი ოჯახი ყოფილა არდოტის თემში XX ს-ის დასაწყისში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დიდი ოჯახების ეს რაოდენობა თვისობრიობაში ვერ გადადის. თითებზე ჩამოსათვლელი იყო დიდი ოჯახები ფშავშიც. ისინი ძირითადად შეინიშნება წინაფშავში, სადაც ფშავლები ბუდე-ფშავიდან იყვნენ მიგრირებული XV-XVI საუკუნეებში. თუშეთში დიდი ოჯახები ძირითადად იმ სოფლებში ჩანს, რომლებშიც, სს-ის მიხედვით, განვითარებული იყო გადარეკვითი მეცხვარეობა. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ დაბლობში ჩამოსახლებულ ხევსურებში უკვე შეინიშნება ტენდენცია დიდ ოჯახად ცხოვრებისა. ერწო-თიანეთში მიგრირებულ ხევსურებს შორის არაერთი შემთხვევაა აღნიშნული ორი ცოლ-შვილიანი ძმის ერთად ცხოვრებისა. ხევსურეთში კი ორი დაოჯახებული ძმის ერთად ცხოვრება დასტურდება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთ მათგანს შვილები არა ჰყავს. ხევსურეთში დიდი ოჯახების არარსებობა ამ რეგიონის საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფის თავისებურებებით უნდა აიხსნას. ვფიქრობთ, დიდი ოჯახების არარსებობას აქ განაპირობებდა ურთიერთდახმარების თავისებური ფორმა და მეურნეობის ფართოდ განვითარების შეზღუდულობა. მხედველობაში მისაღები უნდა იყოს, აგრეთვე, მთის ამ კუთხისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დემოგრაფიული სიტუაცია. ამ მხრივ კვლევის წარმართვა ალბათ აღნიშნული თეზისის სისწორეში დაგვარწმუნებს.

სს-ში შესაძლებელია საყურადღებო მონაცემების მოძიება საქორწინო ასაკის შესახებაც. თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (განსაკუთრებით ხევსურეთში) ხშირად 25-28 წლის მამაკაცები დასაქორწინებელნი იყვნენ.

თიანეთის მაზრაში შედიოდა მეზობელი ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, სულ 11 სოფელი. სს-ში ვაინახები გვარსახელებით არიან მოხსენიებული, რაც იშვიათი შემთხვევაა მაჰმადიანური სამყაროსათვის. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ მაჰმადიანობის მიღებამდე, კავკასიის ამ ხალხში გავრცელებული იყო გვარსახელები (ჩვენი აზრით, ესენი იყო არა გვარსახელები, არამედ გვიანდელი გვარები, რომლებიც შემდგომ პერიოდში გვარსახელებად გადაიქცნენ). ჩაჩნებში გავრცელებული გვარსახელები იყო: ალბაკაური, აშიგაური, ბარჩაული, ბადურგაული, ბაკაშაური, გადუმაური, დადიგაური, ზანტაური, კარსამაული, მუხაური, ხაიაური... გვარსახელები წარმოდგენილია საქართველოს მთის გვარსახელებისათვის დამახასიათებელი — ურ (— ულ) სუფიქსით, რაც ვაინახებსა და ქართველ მთიელთა ისტორიულად არსებული ეთნოკულტურული ურთიერთობების მიმანიშნებელი უნდა იყოს.

ასეთია მოკლედ ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები, რომლებსაც 1886 წ. სს-ში იპოვის მკვლევარი. ზემოთ მხოლოდ ნაწილობრივ და ფრაგმენტალურად შევეხეთ ზოგიერთ საკითხს. არანაკლებ საყურადღებო მონაცემები მოიპოვება XIX ს. კამერალური აღწერების მასალებში,[24] რომელთა შესწავლა და სს-თან შედარება შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ რიგ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებს მთელი XIX ს. მანძილზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тифлис, 1893 (შემდეგში: Свод...).

2 შ. ლომსაძე, კათოლიკობა საქართველოში, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 319.

3 გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982, გვ. 302-322 (დანარჩენი ლიტერატურა იხ. აქვე).

4 საქართველოს სსრ ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფ. 254, აღ. 3, საქ. № 1650 (შემდეგ ყველგან ტექსტში: 254-3-1650).

5. П. Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии. Тифлис, 1850, с. 27.

6 სანდაძეთა გასომხების შესახებ მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილიც. იხ. მისი „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. 1, თბ., 1964, გვ. 220.

7 რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი (XVIII-XX სს.), „მაცნე“ (ისტორიის... სერია), № 4, 1987.

8 ტბეთის მატიანე, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ, გვ. 37, 42, 164.

9. П. М. Мурадян, Армянская эпиграфика Грузии (Картли и Кахети), Ереван, 1985, с. 90.

10 იქვე, გვ. 125.

11 იქვე, გვ. 41.

12 რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. თბ., 1984.

13 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

14 ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (მასალები), თბ., 1981, გვ. 230.

15 ჩილინგაროვის ძველი გვარი ვარდიძე ყოფილა („ჩილინგარ“-თურქ. ზეინკალი), ყაუხჩიშვილისა [illegible] ჩი“ — მექუდე) — დარდაგანიძე, პარმახსიზაშვილისა (თურქ. მეტსახელი „პარმაკსიზ“—უთითო) — ვანაძე (ი. მაისურაძე, დასახ. წიგნი, გვ. 200, 184, 131).

16. Свод...

17 ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მსგავსი სიტუაცია დაადასტურა სამხრეთ დასავლეთ საქართველოში ნ. მარმა: «В Дабацврили (სოფელი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, რ. თ.) имеются фамилии **Гопадзе** и **Халадзе**. Местные по грузинской фамилии себя не называют. Только когда спросите, оки сообщают свою грузинскую фамилию (Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, С—П., 1911, с. 5, იხ. აგრეთვე , 25, 26, 31—33, 36, 45); სოფ. ხანძთის შესახებ ნ. მარი წერს: «Грузинская речь здесь домашняя... (с.32).

18 ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

19 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, წიგნი II, თბ., 1941.

20 ვ. დონდუა, „ლიპარიტეთ“-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, „საისტორიო ძიებანი“, თბ., 1967, გვ. 101-140; ტბეთის მატიანე, გვ. 37-40, 73; ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბ., 1979, გვ. 66-70.

21 Свод...

22. Этнография имен. М., 1971; Системы личных имен у народов мира, М., 1986.

23 И. В. Чкониа; Некоторые вопросы семейной общины в Картли ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1955, გვ. 403.

24 1830 წლის მთიანეთის კამერალური აღწერის მონაცემები გამოყენებულია ეთნოგრაფიულ კვლევაში. იხ. რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, მთიულეთის სოფ. ძველად, თბ., 1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოკვლევები ქართული ფოლკლორის საკითხებზე

გამომცემლობა „ნაკადულმა“ მკითხველს მიაწოდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ფიქრია ზანდუკელის წიგნი „მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში“. ამ წიგნის მეცნიერულ ღირებულებას ბევრწილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ზეპირსიტყვიერი შემოქმედების მხატვრულ-სახეობრივი სტრუქტურის კონკრეტული საკითხებისადმი მიძღვნილი მსგავსი მასშტაბისა და ხასიათის პრობლემური გამოკვლევები ძალზე ცოტა თუ მოგვეპოვება ქართულ ფოლკლორისტიკაში.

წიგნში შესული ყოველი წერილის შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედ და ამომწურავად გვაცნობს საკითხის კვლევის ისტორიას და, საჭირო შემთხვევაში, კრიტიკულად აფასებს წინამორბედ მეცნიერთა მუშაობის შედეგებს.

როგორც ანოტაცია გვაუწყებს, „წიგნში ყურადღება გამახვილებულია იმ მხატვრულ ხერხებსა და მეთოდებზე, რომლებზე დაყრდნობითაც ანონიმ ავტორებს ესოდენ მაღალ საფეხურზე აჰყავთ ცალკეული ფოლკლორული ნიმუშები...“

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესოა ფ. ზანდუკელის მიერ წარმოებული დაკვირვებები და საფუძვლიანი კვლევის გზით მიღებული დასკვნები ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიის ლირიკული გმირის სახის გარშემო. „ლირიკული გმირი ლიტერატურული ნაწარმოებისა და ლირიკული გმირი ხალხური პოეზიისა, — აღნიშნავს ავტორი, თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველ შემთხვევაში ინდივიდის თვისებები იწევს წინა პლანზე, მეორე შემთხვევაში კი ლირიკული გმირი კოლექტიური ხასიათისაა და, ამდენად, აქ უკვე კრებით სახესთან გვაქვს საქმე“.

მკვლევარი ამ არსებითი მომენტის გათვალისწინებით წარმართავს მსჯელობას ხალხური სატრფიალო პოეზიის ლირიკული პერსონაჟის მხატვრული სახის თავისებურებათა შესახებ. საილუსტრაციოდ მოიხმობს დიდძალ ზეპირსიტყვიერ მასალას და მისი ანალიზის საფუძველზე დამაჯერებელ, სათანადოდ არგუმენტირებულ მოსაზრებებს გამოთქვამს.

დასმული საკითხის შესწავლა გულისხმობს იმის გარკვევას, თუ როგორია, ერთი მხრივ, ლირიკული გმირი ვაჟის, ხოლო, მეორე მხრივ, ქალის იდეალი ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიის ფაქტობრივი მონაცემების მაგალითზე.

მიუხედავად მხატვრული საშუალებების გამოყენების მხრივ ერთგვარი შეზღუდულობისა და ტრადიციულ ტროპულ სახეთა სტერეოტიპულობისა, ქართული ხალხური ლირიკა ქალის, როგორც უხინჯო, ამაღლებული ტრფიალისა და ქების ობიექტის, საკმაოდ შთამბეჭდავ, მეტყველ პორტრეტს ქმნის. მოხდენილი შედარების, მეტაფორისა თუ ეპითეტის მეშვეობით ანონიმი ავტორი ხელშესახები სიცხადით გადმოგვცემს კდემამოსილი ქართველი ქალის გარეგნულ ხიბლსა და მშვენიერებას... თვალების შედარება მაყვალთან, გიშერთან, ყორნის ფერთან, მელნის ტბასთან და ა. შ., თითქოსდა ახალსა და მოულოდნელს არაფერს გვეუბნება, მაგრამ შესაფერის კონტექსტში მოქცეული ეს შედარებები სასურველი სისადავის, ძალდაუტანებელი ბუნებრიობისა და განუმეორებლობის განცდას იწვევენ მკითხველში... მრავალფეროვანია ქალის თმის, კბილების, ტუჩ-ბაგის, შუბლის, ლოყების, ყელის, წარბების, ტანის, ხელის, ხმის, ენის პოეტური წარმოსახვისთვის მომარჯვებული ფერები და შედარებები ხალხურ სატრფიალო ლირიკაში, რაც ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული სარეცენზიო წიგნში...

ხალხურ პოეზიაში, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების პროზაულ ჟანრებში, რელიეფურად მჟღავნდება კლასობრივი ინტერესები. კოლექტიური ცნობიერების წიაღ გამოვლილ ფოლკლორულ ნიმუშებში, მეტ-ნაკლები სიმკვეთრით, ფიქსირებულია ამა თუ იმ კლასობრივი ფენის მსოფლგანცდა, მხატვრული ალღო და გემოვნება. არისტოკრატიულ წრეებში

---

**ფ. ზანდუკელი, მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1985 წ.**

შექმნილი ლექსი გარკვეულ სხვაობას ავლენს მშრომელი მასების მიერ „ნათქვამ“ ლექსთან, სხვაობას როგორც შინაგანი განწყობილების, ისე სტილური ნიშნების მხრივ. მართებული ჩანს ფ. ზანდუკელის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ლოყების შედარება „ბამბის ქულასთან“ არისტოკრატიული თვალსაზრისის გამომხატველია, ხოლო სტრიქონების — „აქეთ-იქით ლოყები გვაქვს, საკმეჩები ვაშლისებრო“ — ლირიკული გმირი „არამც და არამც არ შეიძლება არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი იყოს“.

განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტორს შესაძლებლობა აქვს, ემპირიული მასალის ლოგიკურ ცნებათა ენაზე განსჯასთან ორგანულად შეახამოს და დააკავშიროს სუბიექტური თვალსაზრისი თუ დამოკიდებულება საანალიზოდ აღებული ცალკეული პოეტური სახეებისადმი, არ დაფაროს პირადი ემოცია და ჩვენც განგვაცდევინოს მხატვრული სიღრმე და ძალმოსილება, ვთქვათ, ქალისადმი მიმართული ამგვარი პოეტური სტრიქონებისა: **„...ისე მშვენივრად დასდიხარ, ვით წყაროს წყალი ქვებზედა“.**

ხალხურ პოეზიაში ჩვეულებრივი მოვლენაა ქალის შედარება ციურ მნათობებთან, ოქროვერცხლთან, მიწასთან... ამ შედარებებში ნათლად ჩანს მათი შემქმნელი უსახელო ავტორების მხატვრული აზროვნების დონე და ხარისხი, პოეტური ნიჭი და კულტურა. არის ლექსები, რომლებშიც ასოციაციათა მთელი წყებაა მოცემული. ასეთ ნაწარმოებთა ტიპიურ მაგალითად გამოკვლევაში დამოწმებულია ხალხური პოეზიის მართლაცდა შესანიშნავი ნიმუში: **„ხოშარას ერთნი წისქვილნი მარილის გულად ცრიანო, შიგ სამნი ქალნი არიან, კაი ყმის გულსა გლიანო, გამოვლენ პირის საბანლად, მთათ შუქნი გადივლიანო“.**

ქალთა ზეპირსიტყვიერი რეპერტუარის განხილვისას ფიქრია ზანდუკელს მოაქვს ხალხური ლექსები, სადაც წარმოჩენილია ვაჟი, როგორც ლირიკული გმირის უმაღლესი იდეალი. „ვაჟის გარეგნობის დახასიათებისას ორი მომენტია ხაზგასმული, — წერს ავტორი. — ერთი, კონკრეტულ-ყოფითი, როდესაც მამაკაცი ფასდება ვაჟკაცური თვისებების, მებრძოლი ხასიათისა და გარეგნული მომხიბვლელობის გამო, მეორე შემთხვევაში ეს ყოფით-კონკრეტული მომენტები მიჩქმალულია და აღებულია განზოგადებული პორტრეტი ვაჟისა, რომელიც, საერთოდ, სილამაზითა და მომხიბვლელობით ხასიათდება...“ სწორი და მისაღებია აზრი იმის შესახებ, რომ ქალისთვის მოსაწონი სრულყოფილი პიროვნება მარტო მას კი არა, მთელ თემსა და ქვეყანას ეკუთვნის, ვინაიდან „ქორისთვალიანი“ შავგვრემანი მოყმე, უწინარეს ყოვლისა, მამულის სიმტკიცის ბურჯი, მისი ფარი და იმედია.

კანონზომიერია ის ფაქტი, რომ ზეპირ ბრუნვაში მოხვედრილი ნებისმიერი ხალხური ლექსი ვარიაციულ ცვლილებებს განიცდის სხვადასხვა კუთხეში და ადგილობრივი კოლორიტით იფერება. ხალხური სატრფიალო ლირიკის ცენტრალური პერსონაჟის ამომწურავი დახასიათების მიზნით მკვლევარი ერთმანეთს უჯერებს ცნობილი ხალხური ლექსის „ქალო, ისებრო, ისებრო“ კახურ, აჭარულ, რაჭულ, მოხეურ, ფშაურ ვარიანტებს და მიდის დასკვნამდე, რომ „ლირიკულ გმირთა ერთი ნაწილი ითვალისწინებს თავისი კუთხის ყოფას, მისთვის ნაცნობი საგნებისა თუ მოვლენების სპეციფიკას და აქედან გამომდინარე, ნიუანსობრივ ცვლილებებს გვაწვდის“.

საყურადღებოა წიგნში შეტანილი გამოკვლევები, რომლებიც ქართული ხალხური ზღაპრების მხატვრული სისტემის კარდინალური საკითხების განხილვას ეძღვნება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფესიონალური ანალიზი იმ მხატვრული ხერხებისა, რომელთა საშუალებითაც ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟის პორტრეტი იხატება. მდიდარი ფაქტობრივი მასალის განხილვასა და განზოგადებას ემყარება მართებული აზრი იმის შესახებ, რომ „ზღაპრებში უფრო მეტად ზოგადი ტიპია გამოყვანილი, ვიდრე კონკრეტული პერსონაჟი“ (გვ. 49); „ზღაპარში არა იმდენად პერსონაჟის ჩვენებაა მთავარი, რამდენადაც აზრის და იდეის განვითარება“ (გვ. 51); „ზღაპრებში უმეტესად სტერეოტიპული პერსონაჟები გვხვდება და მათი ინდივიდუალური ხასიათების გამოკვეთას არსებითი ყურადღება არ ექცევა“ (გვ. 51); „მთქმელი თავისი გმირის ზოგად სურათს იძლევა და ეს სრულიად საკმარისია მისთვის, სიუჟეტის განვითარებაზე რომ გადავიდეს“ (გვ. 52).

ფ. ზანდუკელი განასხვავებს გმირის გარეგნობის ჩვენების რამდენიმე გზას ზღაპარში. ესენია: 1. პერსონაჟის მთქმელისეული ზოგადი დახასიათება; 2. პერსონაჟის პერსონაჟისეული ზოგადი დახასიათება; 3. პერსონაჟის თვითდახასიათება. გარდა ამისა, ვრცლად და დეტალურად საუბრობს იმაზე, თუ როგორ მჟღავნდება გმირის ფიზიკური სილამაზე მოქმედებაში (ანალოგიისთვის მკვლევარი მიმართავს პერსონაჟის ჰომეროსისეული ხატვის მანერას), როგორია პერსონაჟთა ჩაცმულობა, რა აზრობრივი დატვირთვა ახლავს გმირის სამოსელის თავისებურებათა ხაზგასმას ჯადოსნურ ზღაპარში, რა მნიშვნელობა ენიჭება პერსონაჟის მხატვრული სახის სრულყოფასა (ადიხანჯალა, რიხრიხი ხელმწიფე, უხეირო, ივანე ცისკრისა, ამომავალი, ნაცარქექია, დევთაგანი, მშვენიერი ელენე...) და ასაკობრივ დახასიათებას. ნაშრომ-

ში გამორკვეულია ზღაპრის პერსონაჟთა კონტრასტული ხატვის პრინციპები, ნაჩვენებია, რა ფუნქცია აკისრია ნაცარქექიას პორტრეტის გამოძერწვაში დევებთან მის დიალოგს... მკვლევარი ყურადღების გარეშე არ ტოვებს პერსონაჟის ხატვის ე. წ. ირიბ გზას, ანუ ისეთ შემთხვევებს, როცა გმირის სახე მისი ცხენის, იარაღისა თუ სხვა დეტალებისა და ატრიბუტების დახასიათებით განისაზღვრება. ჯადოსნური ზღაპრის უპოპულარეს პერსონაჟთა (მზეჭაბუკი, მზეთუნახავი, დევი, დედაბერი) მხატვრული სახეების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად გამოტანილია დასკვნა, რომ „ჯადოსნურ ზღაპარში მძლავრობს ხატვის სტატისტიკური მეთოდი, შედარებით იშვიათად გვხვდება დინამიკური მეთოდის მომარჯვება. პერსონაჟთა ხატვისას უმეტესად ყურადღება გამახვილებულია გმირის მოქმედებაზე და ნაკლები ადგილი ეთმობა ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას“.

ფოლკლორული შემოქმედების ესთეტიკური ღირებულების არსში წვდომა თავისთავად გულისხმობს პოეტიკის, როგორც სიტყვიერი ნაწარმოების მხატვრული ქსოვილის მაორგანიზებელი ფენომენის, სიღრმისეულ კვლევას. ბუნებრივია მკვლევარის დაინტერესება ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ ჯეროვნად დაუმუშავებელი ისეთი საკითხით, როგორიც გახლავთ ეპითეტი და შედარება ხალხურ ზღაპრებში. მით უფრო საჭირო და გამართლებული ჩანს ამ თეორიული პრობლემის წამოწევა წინა პლანზე, თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რომ ეპითეტი და შედარება არა მარტო ემოციურ „ველს“ ქმნიან ზღაპარში, არამედ „შემფასებლურ ელემენტსაც შეიცავენ და აქედან გამომდინარე, მათი ფუნქციაც საკმაოდ დიდია“. გასაზიარებელია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ამა თუ იმ ჯგუფის ზღაპართა თავისთავადობა გავლენას ახდენს ეპითეტისა და შედარების ხასიათზე. ასე მაგალითად, საცნაურია სხვაობა, რომელიც ჯადოსნურ და საყოფაცხოვრებო ზღაპრებში ხშირად ხმარებულ შედარება-ეპითეტებს შორის შეინიშნება. ჯადოსნურ ზღაპარში, სადაც მოქმედება ირეალურ, არაამქვეყნიურ სამყაროში ხდება და ყველაფერი ფანტასტიკური ელფერითაა აღბეჭდილი, შედარება-ეპითეტებიც ზოგადი და აბსტრაქტულია, ხოლო, საპირისპიროდ ამისა, საყოფაცხოვრებო ზღაპრის ტროპული სახეები კონკრეტულობით, ადამიანთა ყოველდღიური ყოფისთვის დამახასიათებელ საგნობრივ გარემოზე პირდაპირი მინიშნებით გამოირჩევიან. დასმული საკითხის ფართო ასპექტში წარმოსადგენად მკვლევარი მიმართავს ხალხური პროზის სხვა ჟანრებს და აღნიშნავს, რომ თქმულება-გადმოცემებში, სადაც ლოკალურ ეპოქაში მოღვაწე პიროვნებები იხსენიებიან, ეპითეტი და შედარებაც „უფრო კონკრეტული და ზუსტი შინაარსის შემცველნი არიან“.

ხალხურ ლექსებსა და ზღაპრებში გამეორების მხატვრული ხერხი ეფექტის გაძლიერებასა და სათქმელის მკაფიოდ გამოკვეთას უწყობს ხელს. გამეორება, როგორც რიგ ფოლკლორულ ნაწარმოებთა იმანენტური ნიშან-თვისება, აქამდე სპეციალური კვლევა-ძიების საგანი არ ყოფილა, თუმცა „მის ცალკეულ სახეებს გაკვრით თუ ზოგჯერ საგანგებოდაც არაერთი მკვლევარი შეხებია“ (ე. მელეტინსკი, ვ. შიშმარევი, გ. სენკევიჩ-გუდკოვი, ვ. დობროვოლსკი, ბ. სოკოლოვი, მ. ჩიქოვანი, ელ. ვირსალაძე, გრ. კიკნაძე, ა. ცანავა, ჯ. ბარდაველიძე, გ. შეთეკაური და სხვ.).

ხალხურ პოეზიაში მხატვრული გამეორების რამდენიმე სახეობა იჩენს თავს. ნაწარმოების აზრობრივი მხარის გარდაციას და შინაარსის უკეთ აღქმას ისახავს მიზნად ერთი და იმავე სიტყვის გამეორება ლექსებში („წყალსა მოპქონდა ნაფოტი“, „გაქო, გაქო, როგორ გაქო“). ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი და გაანალიზებული გამეორება-მიმართვის მხატვრული ხერხით აგებული ლექსი „დედავ, დედავ, დედშვილობას“. დიდ ემოციურ დატვირთვას იძენს და რამდენადმე განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს გამეორება ხმით ნატირლებში („შენს თვალთ ენაცვლოს შენი დაი“, „—ჩვენ ალაზანში გეძებენით“). ამასთანავე, გამეორება კომპოზიციურად კრავს და ამთლიანებს ხალხურ ლექსს, ამაღლებს მსმენელსა თუ მკითხველზე მისი მხატვრული ზემოქმედების ძალას. მკვლევარი დიფერენცირებულად განიხილავს .ე. წ. კომპოზიციურ და დიალოგურ გამეორებებს, ახასიათებს გამეორების რთული სახის ტიპებს, ე. ი. ისეთ მაგალითებს, როცა, გარდა ცალკეული სიტყვისა და ფრაზისა, მეორდება სიტუაცია („შემომეყარა ყივჩაღი“).

ხშირია გამეორება ზღაპარში, რაც, „უპირველეს ყოვლისა, თვით ჟანრის სპეციფიკით აიხსნება“. მონათხრობის მოცულობრივი სიდიდე იწვევს ნაწარმობის „ცალკეული მხარეების აქცენტირების აუცილებლობას“. ფ. ზანდუკელი ყურადღებას ამახვილებს კომპოზიციურ და სიტუაციურ გამეორება-ფორმულებზე, როგორც ზღაპრისთვის ტიპიურ და ძალზე ნიშანდობლივ მოვლენებზე...

გამოცანის, ფოლკლორული შემოქმედების ამ პოპულარული ჟანრის, შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. ამისდა მიუხედავად, დღემდე არა გვაქვს მისი ზუსტი, საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული ფორმულირება. წინამორბედ მკვლევართა მიგნებებსა და დასკვნებზე დაყრდნობით ფ. ზანდუკელი მრავალმხრივ სწავლობს ქართულ გამოცანებს, კრიტიკულად უდგება დებულებას, რომლის მიხედვითაც გამოცანის

ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტი მეტაფორულობაა და ჟანრის შინაგან ნიშან-თვისებათა კომპლექსური ანალიზიდან გამომდინარე, გვთავაზობს შემდეგ დეფინიციას: „გამოცანა რიტმული ქლერადობის, კითხვით მოწოდებული იდუმალების შემცველი მცირეფორმიანი მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიც გასაშიფრის ცალკეული თვისებები და ნიშნები უმეტესად მეტაფორული მნიშვნელობით გვეძლევა“.

ფოლკლორის ცალკეული ჟანრები რომ დღესაც ცოცხლობენ და ვითარდებიან, ამის თვალსაჩინო დასტურია თანამედროვეობის ამსახველი საბავშვო ზეპირსიტყვიერება. ამ აქტუალური და ჯერაც შეუსწავლელი პრობლემის განხილვა-გაშუქებას ეძღვნება სარეცენზიო წიგნში წარმოქმნილი ბოლო წერილი „თანამედროვეობა ქართულ საბავშვო ფოლკლორში“. ფ. ზანდუკელის დაკვირვებით, ბავშვთა რეპერტუარში წამყვანი ადგილი გამოცანებს უჭირავთ. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს გამოცანები ძირითადად სწავლა-აღზრდის საკითხებთანაა დაკავშირებული. ხსენებული ჟანრის შედარებით ძველი, ადრინდელი ნიმუშებისგან განსხვავებით, ახალშექმნილ ნაწარმოებებში თითქმის გამორიცხულია გართობის, თავშექცევის მომენტი, რაც ძალზე სპეციფიკური, ანგარიშგასაწევი მოვლენაა და, ავტორის სიტყვით, „გამოცანის ისტორიაში ახალ ეტაპზე მიგვანიშნებს“.

ასეთია მოკლე შინაარსი ფიქრია ზანდუკელის წიგნში აღძრული საკითხებისა, რომელთა მეცნიერული ღირებულება ეჭვს არ იწვევს და მრავალსაუკუნოვანი ქართული ზეპირშემოქმედების მხატვრული ფაქტურის ინტენსიური კვლევა-ძიების სამომავლო პერსპექტივებს სახავს.

**ამირან არაბული**

# უკვდავება შარავანდედი

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ აგერ ოთხი ათეული წელი მიიწურა. დრო მიდის, მაგრამ ხალხის ხსოვნაში უფრო და უფრო შარავანდედით იმოსება საბჭოთა ხალხის გმირული საქმეები, ღირსეულ მამულიშვილთა უკვდავი სახეები, რომელთა თავდადებამ საყოველთაო გაოცება გამოიწვია. ამაზე მეტყველებენ ობელისკები, სწორუპოვარი ძეგლები, ვარდ-ყვავილებში ჩასმული საფლავები, სათუთად მოწყობილი ფოტო-სტენდები, რომელთა რიცხვი ისევე განუზომელია, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. იწერება წიგნები, ავტორები მეტწილად ის ადამიანები არიან, საკუთარ მხრებზე რომ გადაიტანეს ომის მთელი საშინელება, ზოგი სტალინგრადთან იბრძოდა, ზოგი ლენინგრადის ბლოკადის მონაწილეა, იცავდა მოსკოვს, კიევს, მკერდით იყო გადაფარებული ბრესტის ციხე-სიმაგრეს, ზოგი კავკასიის სალ კლდეებთან ამ კლდეებივით იდგა შეუვალი... ზოგიც კიდევ საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს იქით მხარში ედგა თავისუფლებისათვის მებრძოლ ბულგარელებს, იუგოსლაველებს, რუმინელებს, პოლონელებს, იტალიელებს, ჰოლანდიელებს, ფრანგებს... და სხვა მიწა-წყლის მამაც შვილებს. საბჭოთა მებრძოლები, სადაც კი მოიხელთებდნენ მტერს, ყველგან მუსრს ავლებდნენ და შეუპოვარი ბრძოლით ღირსეულად განადიდებდნენ საბჭოთა ადამიანების სახელს.

ერთი ასეთი ომგადახდილი ავტორი გახლავთ ნიჭიერი და გამოცდილი ჟურნალისტი მიხეილ დავითაშვილი, რომლის მკერდსაც ამშვენებს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს მიერ გაცემული იულიუს ფუჩიკის სახელობის სამახსოვრო მედალი დიდ სამამულო ომში აქტიური მონაწილეობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პროპაგანდის საქმეში დიდი წვლილისათვის. მ. დავითაშვილის ჟურნალისტურ ნიჭს ერთვის მწერლური თვალიც, ორივე ერთად კი ხელს უწყობს პუბლიცისტურ სიმახვილესაც და ადამიანების სულის ხვეულებში ჩაწვდომას, მის გახსნას. იგი არასოდეს არ კმაყოფილდება მომხდარი ფაქტით, ამ ფაქტთან ერთად მისი მიზანია გვაგრძნობინოს ადამიანში დაგროვილი სიკეთე და მკითხველის გულიც ამ სიკეთით გაათბოს. აი, ამ კეთილშობილ მიზანში იღებს სათავეს მისი პირველი პუბლიცისტური ნარკვევები. იგი ხომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ თანამშრომელი იყო, ომმა რომ საბჭოთა ადამიანების მყუდროება დაარღვია, მაშინ ის მივლინებაში იმყოფებოდა რედაქციის დავალებით. სასწრაფოდ დაბრუნდა უკან და სამხედრო კომისარიატს მიაშურა. პირველი დღეებიდანვე ჩადგა მებრძოლთა რიგებში და მოძმეთა ხვედრი გაიზიარა, როგორც მებრძოლმა და ჟურნალისტმა, მძიმე ჭრილობებით დაუბრუნდა ოჯახს. როგორც კი შესძლო ხელში კალმის აღება, იმ დღიდან ნაყოფიერად შეუდგა ფრონტზე ნანახისა და განცდილის ფურცლებზე გადატანას, ათის ქარცეცხლში გაბნეული საბრძოლო ეპიზოდების

---

მიხ. დავითაშვილი, შარავანდედით მოსილნი, თბილისი, განათლება, 1986 წ.

შეკრებასა და მოწესრიგებას, მრავალი ნაცარწაყრილი საგმირო ამბის სამზეოზე გამოტანასა და გახმაურებას. მან არა ერთი უგზოუკვლოდ დაღუპული ვაჟკაცი გააცოცხლა და ახლა მას სამამულო ომის ისტორიაში თავისი ღირსეული ადგილი უკავია...

ასე დაიბადა შესანიშნავი მონოგრაფია „ლესელიძე“, რომელშიც ჟურნალისტური ოსტატობითაა ხორცშესხმული სახელგანთქმული მხედართმთავრის, კონსტანტინე ლესელიძის ფრონტული ცხოვრება, რომლის თვითმხილველი და მისი ნაწილის მებრძოლიც ჯერ კიდევ ომამდე იყო მიხეილ დავითაშვილი. ეს წიგნის სტრიქონებს უფრო მეტ მღელვარებას ანიჭებს და უფრო დამაჯერებელს ხდის უბრალო ქართველი გლეხის შვილის, კონსტანტინე ლესელიძის გენერალ-პოლკოვნიკის ჩინით დამშვენებულ საბრძოლო დიდების გზას. ასევე ცხოველმყოფელი ინტერესით იკითხება ისეთი წიგნები, როგორიცაა, „21 ათასი კილომეტრი მტრის ზურგში“, „თენგიზ შავგულიძე“, „გმირულ დღეთა გახსენება“, „საბრძოლო დიდების ფურცლები“; პარალელურად აქვეყნებდა მიხეილ დავითაშვილი ომის თემაზე შექმნილ ნარკვევებს, წერილებს, მონოგრაფიებს, რომელთა კითხვისას არ შეიძლება, მადლიერების გრძნობამ არ შეგიპყროთ ავტორის მიმართ, ასეთი სისხლსავსე დამაჯერებელი საბრძოლო ეპიზოდებისათვის და მერე ამ ეპიზოდების ხალხში ლეგენდად გადასვლისათვის. ეს არ არის პატარა საქმე, იგი დიდ შრომასა და უძილო ღამეებთან არის დაკავშირებული. ვინ დათვლის, რამდენი საარქივო მასალის მოჩხრეკა და შეჯერებაა საჭირო, რამდენი კიდევ გასაშიფრავი და დასადგენია, ეს არქივის უჯრებში, ახლა აილეთ იმ ადამიანების მოძებნა და მათთან კავშირის დამყარება, რომლებიც უშუალოდ არიან მოწმენი და მონაწილენი ამა თუ იმ საბრძოლო მოქმედებისა, რომლის შესწავლა-გაცნობის გარეშე ძნელია მიზნის მიღწევა.

წლების მანძილზე დაძაბულ შემოქმედებით შრომას კვლავ ახალი წიგნი — „შარავანდედით მოსილნი“ მოჰყვა. იგი მშვენივრად დაუსტამბავს გამომცემლობა „განათლებას“. წიგნში შეტანილი ნარკვევების ცალკეული სათაურებიც ისეთი გულში ჩამწვდომი და მრავლის მეტყველია, რომ არ შეიძლება არ დაგაინტერესოთ. აი, ეს სათაურებიც: „ლეგენდად ქცეული“, „ცეცხლოვანი გზა“, „ჩეკისტი, მოქალაქე“, „პარტიზანული ბილიკებით“, „უკვდავებასთან წილნაყარი“, „...და სიკვდილმა უკან დაიხია“ და სხვ. სულ ამ კრებულში ათი ნარკვევია. ყველა მათგანი ცოცხალ ამბავზეა აგებული. რომ კითხულობ, თითქოს ზღაპარიც კი გგონია, მაგრამ ფაქტია და ფაქტს სად გაექცევი. ასე მოხდა და ავტორმაც არ დააკლო ცდა, რომ ზღაპრადქცეული ადამიანების საბრძოლო ეპიზოდები გადმოეცა ისე, როგორც სინამდვილეში იყო. დოკუმენტური მასალა წიგნში უხვადაა წარმოდგენილი, სიტყვა დატვირთულია აზრით, მიზანი ნათელია, მგზნებარებით სავსე, კითხულობ როგორც მხატვრულ ნაწარმოებს.

ნარკვევში „...და სიკვდილმა უკან დაიხია“ ავტორი იგონებს: „გაზეთ „კომუნისტის“ 13 დეკემბრის ნომერში ამოვიკითხე შენი გვარი და გამიკვირდა ნუთუ ენი-კალეს რკალში მძიმედ დაჭრილმა, უიმედობაში მყოფმა, გამოსტაცე თავი სიკვდილს? იმ ხელჩართულ ბრძოლაში ველარ მოგეშველეთ, უკან დავიხიეთ და შენი კვალი დავკარგე. ცოცხლებში აღარ მეგულებოდი...“

„ეს გაყვითლებული ბარათი — იგონებს მ. დავითაშვილი — 1944 წელს იყო დაწერილი და ორმოცდაორი წლის გაზაფხულზე ყირიმის მიწაზე, ქერჩის მისადგომებთან, სოფელ ენი-კალესათვის გამართულ ცხარე ბრძოლებს შეეხებოდა. ამ ბრძოლებში ორივენი ვმონაწილეობდით. და აი, ოთხი ათეული წლის შემდეგ, წერილის ხელმეორედ წაკითხვამ ფრონტული ცხოვრების ის წუთები დამიყენა თვალწინ, როცა ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, როცა აშკარად ვიგრძენი სიკვდილის ცივი სუნთქვა. ფატალისტი არ გახლავართ, მაგრამ ისეთ ბეწვისხიდზე მომიწია გავლა, რომ თვითონვე მიკვირს, როგორ გადავრჩი მაშინ“.

ასეთი ფრონტული სინამდვილით არის აღბეჭდილი წინამდებარე წიგნი „შარავანდედით მოსილნი“ და არ მიკვირს ავტორის ეს სტრიქონებიც: „ამის შემდეგ ბევრჯერ მიფიქრია იმ საბედისწერო სისხლით კალთაშელებილ მაისის დღეზე, რამ გადამარჩინა, ბედნიერმა შემთხვევამ თუ მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილმა? სიკვდილისადმი გულგრილობამ თუ იმან, რომ ჯარისკაცს სამშობლოსათვის თავგანწირვა თავის შეუვალ მოვალეობად მიაჩნია?

ალბათ, ყველაფერმა ერთად ალებულმა“.

მართლაც რომ ასე იყო... ამ დიდების ფონზე ვარსკვლავებივით მოსჩანს გენერლების — კონსტანტინე ლესელიძის, პორფილე ჩანჩიბაძის, ვლადიმერ ზარელუას, დიდი სამამულო ომის გმირების — დავით ბაქრაძის, ირაკლი ციციშვილის, დავით ჯაბიძის, მეავტომატეთა ასეულის მეთაურის არტემ აზიროვის, საქვეყნოდ ცნობილი მცირე მიწის ლეგენდარული დესანტის მონაწილის, ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის თამარ გოთუას და სხვათა განვლილი საბრძოლო გზა. წიგნში წარმოდგენილ თითოეულ გმირს თავისი სიმბოლური ადგილი უკავია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფრონტის ყველა უბანზე საქართველოდან წარგზავნილი მებრძოლის თავდადება საგრძნობია და მრავალმხრივი.

ავტორს მკითხველი ისე უბრალოდ და ბუნებრივად შეჰყავს გმირთა სამყაროში რწმუ-

ნდები, რომ ისიც იმ ცეცხლოვანი წლების მონაწილეა. წიგნის სიტყვიერი ქსოვილი მრავალფეროვანია და ნათელი. ავტორის მიზანი გასაგებია — გაგრძნობინოს მებრძოლის სულისკვეთება, გადაგიშალოს მისი სული, თუ რისთვის მიდიოდა ასე თავდადებით რისკზე, რატომ იყო, რომ სიკვდილსაც კი არ ერიდებოდა, ოღონდაც გაემარჯვნა სამართლიანობას. მიხეილ დავითაშვილი ახერხებს თავის გმირებს ბოლომდის მიჰყვეს, როგორც ფრონტზე, ასევე მშვიდობიან ცისქვეშ, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ნაწარმოებს, „მცირემიწელ კომუნისტში“ მოთხრობილია თუ როგორ გაუზიარა თავისი სიხარული არტემ აზიროვს მებრძოლმა არსენ გრძელიშვილმა, რომ მას ოჯახიდან აცნობეს ბავშვი შესძენია და დოდო დაურქმევიათ. მეორე დღეს არსენი დაღუპულა. ომის დამთავრების რამდენიმე წლის შემდეგ არტემ აზიროვს ეს ამბავი გაზეთში გამოუქვეყნებია. მალე არტემ აზიროვთან მოსულა ახალგაზრდა ქალი და უთქვამს, მე არსენ გრძელიშვილის ქალიშვილი გახლავართო, ავტორი დასძენს — „დოდო ახლა ხუთი შვილის დედაა. მათი ოჯახები ჭირსა და ლხინში განუყრელნი არიან. არტემს უხარია, რომ მისი ოჯახის წევრებიც როგორც ნათესავს, ისე ეპყრობიან მცირემიწელი მეგობრის ქალიშვილს“. განა შეიძლება წაიკითხო ასეთი ფაქტი და არ აღელდე?

ასეთი ცოცხალი, გულში ჩამწვდომი ეპიზოდებით არიან შარავანდედით მოსილნი მიხეილ დავითაშვილს ახალი წიგნის გმირები.

ამ მოწმენდილ, მშვიდობიან ცას, მართლაც რომ უხდება დიდი სამამულო ომის გმირთა უქრობი შარავანდედი.

**ვახტანგ გორგანელი**

# ჟურნალ „მნათობის“ 1987 წლის ნომრების შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა


## დოკუმენტები

**ლიტერატურული ჟურნალის ადგილი გარდაქმნაში.** № 12.

## 70 — დიდი ოქტომბერი — 70

**კორალოვი მარლენი** — გუდიაუთა — 1. ვეტერანები. თარგმ. მ ი რ ო ნ ხ ე რ გ ი ა ნ მ ა. № 9, 10, 11.

**მარგველაშვილი გიორგი** — გალაკტიონი და ბლოკი. № 10, 11.

**მუჯირი ალექსანდრე** — ქართული საზოგადოებრივი აზრი ოქტომბრის რევოლუციის შესახებ. № 8.

**სტურუა დევი** — ოქტომბერი, ჩვენი ახლო წარსული გარდაქმნის თვალსაწიერიდან. № 11.

**ჭიჭიაშვილი ელისო** — ანატოლ ფრანსი და ოქტომბრის რევოლუცია. № 11.

**ჭინჭველაშვილი მიხეილი** — კომუნისტური პარტია — დიდი ოქტომბრის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი. № 7.

## 150 — ილია ჭავჭავაძე — 150

**ილია ჭავჭავაძე** — ყვარლის მთებს, გუთნის დედა; ქართვლის დედას; პასუხის პასუხი; კითხვა პასუხი; აჩრდილი (ორი თავი პოემიდან); ლექსები. № 10.

**აბაშიძე გრიგოლი** — დიდი გაკვეთილი. № 10.

**ახვლედიანი გივი** — ილია ჭავჭავაძე ხალხური ტრადიციების შესახებ. № 9.

**ალხაზიშვილი გივი** — მარად თანამედროვე. № 10.

**ბადრიძე შოთა** — ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ისტორიის საკითხები. № 5.

**ბიბილური თამაზი** — დიდბუნებოვანი. № 10.

**გიგინეიშვილი ოლერა** — ცოდვისა და მადლის საკითხი „ოთარაანთ ქვრივში“. № 7.

**დანელია ბათუ** — მარადიული მოძღვარი № 10.

**კარბელაშვილი ანდრო** — „ივერიის“ კორესპონდენტი ლონდონში. № 3.

**მაგაროტო ლუიჯი** — „მზერის“ პოეტიკა ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილში“. № 10.

**მარკოზაშვილი შალვა** — ილია ჭავჭავაძის მარჯვენა ხელი. № 7.

**ტიხონოვი ნიკოლოზი** — დიდი მწერალი პატრიოტი. № 10.

**ფხოველი ჯარჯი** — „აზრი ქვეყნის ხსნისა“. № 10.

**ჟორდროპი ენდრიუ** — სადღეგრძელო თქმული ყვარელში, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო ბანკეტზე .№ 12.

**შატაიძე ნუგზარი** — ერის თანმდევი სული. № 10.

**ღლონტი ალექსანდრე** — „შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაპარაკებენ“. № 2.

**ხუციშვილი სოლომონი** — „ეგრე ნუ მიყურებ“. № 1.

**ჭელიძე ვახტანგი** — წინაპართა აჩრდილები. № 10.

**ჭილაძე თამაზი** — წინასწარმეტყველი. № 10.

**ჯაფარიძე რევაზი** — ილია... ილია!.. ილია!.. № 10.

## 150 — ა. ს. პუშკინი — 150

**აბაშიძე გრიგოლი** — მზიური პოეზია. № 3.

**ბუაჩიძე თენგიზი** — დიდოსტატი. № 3.

**მიმინოშვილი რომანი** — უკვდავება. № 3.

## მოთხრობები, რომანები, ნარკვევები

**ანთაძე მიხეილი** — ოქროს ტახტი. მოთხრობა. № 6.

**გოგოლაძე თენგიზი** — გზები. დოკუმენტური მოთხრობა. № 10.

**დონჟაშვილი თინა** — გონჯაური. რომანი. № 9, 11, 12.

**დოდერერი ფონ ჰაიმოტი** — წამება ნატის ქისებისა. მოთხრობა. თარგმ. ნ ა ნ ა გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა. № 5.

**თოფურიძე ჯემალი** — ტროლეიბუსი. მოთხრობა. № 12.

**კობერიძე კარლო** — ორი მოთხრობა. № 7.

**ლაგერკვისტი პერი** — სიბილა. მოთხრობა. თარგმ. მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ე ლ ა ძ ე მ. № 11, 12.

**მალაზონია ლევანი** — სტუმრები. მოთხრობა. № 6.

**მრელაშვილი ლადო** — თვალის ერთი გადავლებით. ნარკვევი. № 8.

**მიშველაძე რევაზი** — ნოველები. № 1.

**რობაქიძე გრიგოლი** — ენგადი. მოთხრობა. № 8.

**რუხაია გრიგოლი** — ნაჯიხეველი კაცის ამბავი. ნარკვევი. № 11.

**სხირტლაძე გურამი** — ორმო. მოთხრობა. № 5.

**ფურნიე ალენი** — დიდი მოლნი — რომანი. თარგმ. ი რ ა კ ლ ი დ ა გ ი ვ ი გ ე გ ე ჭ კ ო რ ე ბ მ ა. № 7, 8,9.

**ქადაგიძე ნუნუ** — ერთი ცხოვრების ქრონიკა. მოთხრობა. № 9.

**ქირია ჯემალი** — სამი მოთხრობა ერთი მკვლელობის შესახებ. № 5, 6.
**შამანაძე ნოდარი** — იყო ერთი დედაბერი. მოთხრობა. № 11.
**ჩხეიძე ოთარი** — ძველი ბილიკი. მოთხრობა. № 7.
**ჭილაძე ოთარი** — მარტის მამალი. რომანი. № 1, 2, 3, 4.
**ჭიჭინაძე ამირანი** — უხმო თოფი. მოთხრობა. № 2.
**ხალვაში ფრიდონი** — ჩემი და შენი. რომანი. № 5, 6, 7, 8.
**ხერგიანი მირონი** — ქამუშის სევდა. ნარკვევი. № 3.
**ჯაფარიძე რევაზი** — მრუდე მიხა. მოთხრობა. № 4.
**ჯოხაძე მაკა** — ფიჭვები უდაბნოში. მოთხრობა. № 3.

## ლექსები, პოემები.

**აბაშიძე ირაკლი** — უსათაურო ლექსი. № 8; ჰიმნი ბუნებრივ სიკვდილს. ლექსი. № 9.
**აბაშიძე მერაბი** — ლექსები. № 9.
**აბრამიშვილი მარი** — ლექსები. № 8.
**ასათიანი ლია** — ლექსები. № 9.
**ალიმონაკი ლერი** — ლექსები. № 12.
**ალხაზიშვილი გივი** — ლექსები. № 2.
**არაბული ირაკლი** — ლექსები. № 7.
**ალან პო ედგარი** — ყორანი. ლექსი. თარგმ. პორფილე იაშვილმა. № 8.
**ბაბუხადია ლევანი** — ლექსები. № 8.
**ბატიაშვილი დარეჯანი** — ლექსები. № 2.
**ბებია პლატონი** — ბარი. ლექსი. თარგმ. გივი ბერაიამ. № 11.
**ბედიანიძე დალილა** — ლექსები. № 4.
**ბექიშვილი თედო** — ლექსები. № 2.
**გაგუა ხუტა** — ლექსები. № 5.
**გაბური ალექსანდრე** — ლექსები. № 12.
**გეგეჭკორი გივი** — ლექსები. № 5.
**გიგაური გიორგი** — ლექსები. № 7.
**გიგიტაშვილი ალექსანდრე** — ლექსები. № 9.
**გორგანელი ვახტანგი** — დიდება. ლექსი. № 3.
**გონაშვილი მაყვალა** — ლექსები. № 7.
**გოჩიაშვილი ელა** — ლექსები. № 1, 7.
**გოცაძე იზა** — ლექსები. № 8.
**დანელია ბათუ** — ლექსები. № 12.
**დანელია რევაზი** — ლექსები. № 6.
**დარბაისელი ნინო** — ლექსები. № 1.
**თოთაძე ლალი** — ლექსები. № 9.
**კაკუშაძე თენგიზი** — ლექსები. № 9.
**კალანდია გენო** — ლექსები. № 3.
**კვიტაიშვილი ემზარი** — ლექსები. № 1.
**კლდიაშვილი გურამი** — ლექსები. № 4.
**კობერიძე ნუგზარი** — ლექსები. № 6.
**მაისურაძე გოგი** — ლექსები. № 5.
**მაჭარაშვილი სოსო** — ლექსები. № 12.
**მებურიშვილი ტაგუ** — ლექსები. № 9.
**მირნელი მირიანი** — ლექსები. № 11.
**ნადირაძე კოლაუ** — ლექსები. № 4, 9.
**ნავროზაშვილი დავითი** — ლექსები. № 8.
**ნარიმანიძე სილოვანი** — მიძინების ღამის სერენადა. ლექსი. № 11.
**ნარსია ნოდარი** — ლექსები. № 6.
**ოდიშარია გურამი** — ლექსები. № 11.
**ოთარაშვილი ვაჟა** — ლექსები. № 12.
**რილკე მარია რაინერი** — რჩეული ლექსები წიგნიდან: ქამნი. თარგმ. ვახუშტი კოტეტიშვილმა. № 4.
**სულაკაური გიგი** — ხეტიალი. ლექსი. № 5.
**სტურუა ლია** — ლექსები. № 6.
**სულაბერიძე ლადო** — ლექსები. № 6.
**ფხოველი ჯარჯი** — ლექსები. № 2, 8.
**ქინქლაძე ზაზა** — ლექსები. № 7.
**ქუთათელი ალექსანდრე** — ლექსები. № 9.
**შალვაშვილი ბელა** — ლექსები. № 4.
**ჩარკვიანი ჯანსული** — ლექსები. № 8.
**ჩარკვიანი ირაკლი** — ლექსები. № 5.
**ჩხეტიანი მზია** — ლექსები. № 3.
**წერეთელი გიორგი** — ლექსები. № 5.
**ჭელიძე ოთარი** — ლექსები. № 7, 11.
**ჭიჭინაძე გივი** — ლექსები. № 3.
**ხარანაული ბესიკი** — მენაპირე ვარსკვლავი. ლექსი. № 1; შუადღის წიგნი. პოემა. ნაწილი პირველი. № 12.
**ხორნაული ვაჟა** — ლექსები. № 5.
**ჯავახაძე ვახტანგი** — ლექსები. № 6.
**ჯანგულაშვილი თეიმურაზი** — ლექსები. № 7.
**ჯანელიძე ჯანო** — ლექსები. № 3.
**ჯახუა იმედი** — ლექსები. № 3.
**ჯორჯანელი გიორგი** — ლექსები. № 4.

## 100 — აკაკი შანიძე — 100

**აბაშიძე ირაკლი** — აკადემიკოსი აკაკი შანიძე 100 წლისაა. № 2.
**დანელია კორნელი, სარჯველაძე ზურაბი** — ქართველოლოგიის ბურჯი. № 2.
**ხალვაში ფრიდონი** — სიცოცხლეშივე ხალხის გულში ძეგლდადგმული. № 2.

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

**არჩვაძე ლია** — რომანის სამყაროში. № 9.
**ბაქრაძე აკაკი** — ულირსებო კაცი. № 3.
**გეგეშიძე გურამი** — ალექსანდრე ქუთათელი. № 1.
**გვერდწითელი გურამი** — ხედვის მისეული კუთხე. № 4.
**გვეტაძე მანანა** — რაჟდენ გვეტაძე. № 7.
**გოგია ზაზა** — როცა სიცილი მწუხარების თანამგზავრია. № 5.
**თითმერია ჯუმბერი** — „მცირე პროზის“ მასშტაბები. № 5.
**იმედაშვილი კობა** — თანამედროვე ქართული მოთხრობის პრობლემები. № 1.
**კვაჭანტირაძე მანანა** — „დღეს ჩემი დღესასწაულია“! № 8.

**მაღლაფერიძე თეიმურაზი** — არჩილ ჯორჯაძე. № 10.

**მუზაშვილი ნუგზარი** — „პოეტის სიკვდილი“. № 6; „კიცუი ვირისაი“ ანუ რაც მტრობას დაუნგრევია სიყვარულს უშენებია. № 12.

**ნატროშვილი გიორგი** — ოთხმოცი წლის ჭაბუკი. № 6.

**ონაშვილი ნათელა** — ისტორიის პოეტური მემატიანე. № 7.

**ორლოვსკაია ნატალია** — ჟიულ ვერნის რომანი, რომელიც საქართველოში იწყება. № 1.

**ჟორდანია სულხანი** — „მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს. № 9.

**რობაქიძე გრიგოლი** — წერილები. № 10.

**სიხარულიძე ზაზა** — „...თითქოს სხვა მსოფლიოში დავდივარ...“ № 7.

**უთურაშვილი იოსები** — XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართული დემოკრატიული პუბლიცისტიკა და გ. მუხრანბატონის წიგნაკი. № 10.

**ღლონტი ალექსანდრე** — ქვეყნად სიკეთის მთესველი. № 6.

**შამანაძე ნოდარი** — „ლაშარელას“ ფოლკლორული წინამძღვრები. № 8.

**ჩხაიძე თენგიზი** — ზოგი რამ დღევანდელი ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების შესახებ. № 2.

**ჩხენკელი თამაზი** — ესეისტური ჩანაწერები. № 11.

**ჭელიძე ვახტანგი** — მეცხრამეტე საუკუნის სილუეტები. № 4; გერონტი ქიქოძე. № 8, ჩვენი ლადო ასათიანი. № 12.

**ჭილაია სერგი** — ქართული ლექსის ოსტატი. № 5.

**ხარჩილავა ვახტანგი** — „ხმა სინათლისა“. № 1.

**ჯაველიძე ელიზბარი** — უკეთუ სული ცხოველ არს იგი. № 3, 4.

**ჯამბურია კახა** — მიბრუნება წარსულისაკენ. № 5.

## მეცნიერება

**აბაშიძე დავითი** — ქართლის (იბერია) პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. № 9.

**არველაძე ბონდო** — „შუშანიკის წამების“ შესახებ გამოქვეყნებული ერთი აბსურდული ნაშრომის გამო. № 12.

**ბიბილური თეიმურაზი** — ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში. № 6.

**გაბაშვილი ნოდარი** — საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში. № 6.

**გვერდწითელი რუსუდანი** — ანჩისხატის ბაზილიკის სამშენებლო წარწერა. № 1.

**გოილაძე ვახტანგი** — მიქაელი იყო „მღვდელი ჭეშმარიტი“, მაგრამ არ იყო... № 4.

**თვარაძე რევაზი** — სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება და ქართული მწიგნობრობა. № 3.

**კიკნაძე ვაჟა** — მონღოლთა ულუსის დასასრული საქართველოში. № 5.

**კანდელაკი ნოდარი, ცერცვაძე გურამი** — კალენდარულ-ქრონოლოგიური მაჩვენებელი „94 წელი“ და ქართული წელთაღრიცხვა. № 2.

**თოფჩიშვილი როლანდი** — XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები, საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ. № 12.

**მიბჩუანი თეიმურაზი** — მისმიანთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. № 5.

**ნარსიძე გურამი** — დავათის ქვა-ჯვარი. № 4, 8.

**ომარაშვილი ასრათი** — საინგილოს ტოპონიმები ვახუშტის, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და ატლასების მიხედვით. № 7.

**პატარიძე რამაზი** — ქება ქართული ენისა. № 1. დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი. № 3.

**სტეფნაძე ჯემალი** — თამარის მამიდა რუსუდანი. № 7.

**ტაბაღუა ილია** — ფარნავაზ მეფემ „გააუმჯობესა დამწერლობა“. № 9.

**ციხესაშვილი მათე** — საქართველოსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის პოლიტიკური ურთიერთობა X-XV სს. № 9.

**ჩხარტიშვილი მარინა** — „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია. № 5.

## უცხოეთის ლიტერატურა

**მატისენი ოტო ფრენსისი** — როგორ უკავშირდება პოეტის აზრი მსმენელის წარმოსახვას. თარგმ. პაატა და როსტომ ჩხეიძეებისა. № 5.

**სარტრი ჟან-პოლი** — რისთვის ვწერთ. თარგმ. გიორგი ეკიზაშვილმა. № 2.

## ფაქტები, მოგონებები

**დურმიშიძე სერგი** — გიორგი წერეთელი. № 2; ბუნების სადარაჯოზე. № 3; არნოლდ ჩიქობავას რამდენიმე მოსაზრება. № 6; ძმები. № 9.

**მ. რილკეს, ბ. პასტერნაკისა და მ. ცვეტაევას** მიმოწერიდან. თარგმ. ნაირა გელაშვილმა. № 6, 7.

**ჯავახიშვილი ივანე** — მიმოწერიდან. № 8.

## ხელოვნება

**ურუშაძე ნათელა** — ახმეტელის ხელოვნება. № 1.

## წიგნების მიმოხილვა

**არაბული ამირანი** — გამოკვლევები ქართული ფოლკლორის საკითხებზე. № 12.

**ბაიაძე ვასო, როხაძე მურმანი** — მოყვასთათვის აღმართული ხიდები. № 1.

**ბურჭულაძე როლანდი** — ნაშრომი ქალაქების ისტორიისათვის. № 3.

**გიორგაძე გრიგოლი** — ქართული დედაბოძის შემკულობის სიმბოლიკის პრობლემა. № 5.

**გორგანელი ვახტანგი** — უქრობი შარავანდედი. № 12.

**ზლულაძე ნანი** — ილიას პირველი რუსული თარგმანები. № 8.

**კორალოვი მარლენი** — წრფელი აღსარება, სულისა. № 1.

**რობაქიძე ამირანი** — „შვილთან საუბარი“. № 2.

**რობაქიძე ალექსი, ქალდანი აზორი** — საყურადღებო ნაშრომი დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხებზე. № 9.

**პაპასქირი ზურაბი** — საინტერესო მონოგრაფია. № 8.

**ფეიქრიშვილი ილია** — სიმართლის ხმა — ლექსად გამხელილი. № 9.

**ფრუიძე ლევანი** — დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით. № 3.

**ხუციშვილი სოლომონი** — ორი რეცენზია. № 11.

## გამოსათხოვარი

**აფაქიძე ანდრია** — აღსრულდა დიდი ექვთიმეს ოცნება. № 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. პ/მგ მდივნის — 93-55-18, და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17. 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 5. XI. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. XII. 87 წ. ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4}$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 11149. ტირაჟი 32.000. შეკვ. 2630. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76128

ეროვნული ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

100-14